სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

ქართული ენის კათედრის შრომები

I

ზურაბ სარჯველაძე

ძველი ქართული ენა

(ტექსტებითა და ლექსიკონითურთ)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ
რეკომენდებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

თბილისი
2004

ეძღვნება მშობლების ნათელ ხსოვნას

წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება: I — ძველი ქართული ენის მიმოხილვა; II — საკითხავი მასალა; III — ლექსიკონი.

განკუთვნილია სტუდენტთათვის, სპეციალისტთათვის, ძველი ქართული ენის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი: † პროფ. კ. დანელია

რეცენზენტები: პროფ. ა. ღლონტი
დოც. ჭ. თევზაძე

მეორე შესწორებული გამოცემა

© თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა

ISBN 99940-26-55-0

წინასიტყვაობა

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ძველი ქართული ენა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრადიციების მქონე საგანია. იგი იკითხებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი დაარსების დღიდანვე.

შექმნილია ძველი ქართული ენის სახელმძღვანელო (ა.შანიძე), დამხმარე სახელმძღვანელოები (ი. იმნაიშვილი), ქრესტომათიები (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი), ძველი ქართული ენის ლექსიკონები (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე). გამოცემულია ძველი ქართული ენის მრავალი ძეგლი (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ილ. აბულაძე, ი. იმნაიშვილი, ც. ქურციკიძე, კ. დანელია...). ხშირად ამ გამოცემებს ახლავს საკმაოდ სრული ენობრივი მიმოხილვა და ლექსიკონი.

ამასთან უნდა ითქვას ისიც, რომ ჯერჯერობით არ არსებობს წიგნი, რომელშიაც მოცემული იქნებოდა ძველი ქართული ენის შედარებით ვრცელი მიმოხილვა, ტექსტები და ლექსიკონი. ვფიქრობთ, ამგვარი წიგნის საჭიროება არსებობს.

ენობრივი მიმოხილვა, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, ზოგჯერ მკვეთრად სხვაობს სხვა სპეციალისტთა (მათ შორის ამ წიგნის რედაქტორის) თვალსაზრისისაგან. ნაშრომი ისეა აგებული, რომ ავტორის პოზიცია გადმოცემულია საპირისპირო მოსაზრებებთან ყოველგვარი პოლემიკის გარეშე. რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია საკუთარი თვალსაზრისის დაცვა და სხვისი შეხედულების აღიარებაც, თუ დავრწმუნდებით მის სისწორეში.

შევეცადეთ, რაც შეიძლებოდა მეტად მოგვეცა ბრუნებისა და უღლების პარადიგმები, რაც მკითხველს ამ საკმაოდ ძნელი წიგნის სათანადოდ აღქმას გაუადვილებს.

წიგნის მეორე ნაწილში შეტანილია, როგორც ადრე გამოცემული, ისე ჯერ გამოუქვეყნებელი მასალაც. გარდა ისტორიზმის პრინციპისა აქ ვიხელმძღვანელეთ იმითაც, რომ ტექსტები საინტერესო ყოფილიყო როგორც შინარსობლივად, ისე ცოცხალი, სამეტყველო ენის ასახვის თვალსაზრისითაც.

ლექსიკონში ასახულია ამ წიგნში გამოქვეყნებული, ასევე სხვა ძველი ქართული ძეგლების ლექსიკური ერთეულები.

ცხადია, წიგნი ვერ იქნება დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისაგან. ყოველ შენიშვნას ავტორი მადლობით მიიღებს.

ტექნიკურად ეს ძნელი წიგნი დიდი გულისყურით ააწყო თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის თანამშრომელმა, ქალბატონმა ნანა ჩავლეშვილმა. მას ფაქტობრივად ორჯერ მოუხდა ტექსტის აწყობა (პირველი ანაწყობი თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ოფისში მომხდარ ხანძარს ემსხვერპლა). წიგნს საბოლოო სახე მისცა გატონმა გია შერვაშიძემ.

კორექტურის კითხვისას მეშველებოდა სოფიო სარჯველაძე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილთ, აგრეთვე წიგნის რედაქტორს, ხელნაწერთა ინსტიტუტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის ბევრ თანამშრომელს გულითად მადლობას მოვახსენებ.

ზურაბ სარჯველაძე

1997 წ.

შესავალი

1. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები IV-V საუკუნეებით თარიღდება. ჩვენამდე მოღწეულია მრავალი ხელნაწერი, წარწერა, საისტორიო და იურიდიული ხასიათის დოკუმენტი, რომლებიც შეიცავენ უძვირფასეს მასალას ჩვენი ქვეყნისა და მისი კულტურის ისტორიისათვის. საფიქრებელია, რომ ქართული სამწერლობო ენა გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა, მაგრამ ჟამთა სიავის გამო ადრინდელმა ძეგლებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში სამი საფეხური გამოიყოფა: ა) IV-XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების ენა, რომელსაც ძველ ქართულს უწოდებენ; ბ) XI-XVIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების ენა, საშუალი ქართული; გ) ახალი (თანამედროვე) ქართული, რომელიც XIX საუკუნიდან გვაქვს.

ეს დაყოფა უდავო არ არის, მაგრამ საკმაოდ გამოსადეგია საყრდენად ქართული ენის ისტორიის კვლევისას.

2. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან რამდენიმეს დავასახელებთ: ბოლნისის სიონის წარწერები (IV-VI სს), ურბნისის წარწერა (V ს.), უკანგორის წარწერები (V-VI სს.), მცხეთის წარწერები (VI-VII სს), პალესტინის (ბეთლემის) წარწერები (VI ს.), წყისის წარწერა (616-619 წწ.), ბიბლიის ხანმეტი ფრაგმენტები (VI-VII სს.), ხანმეტი ლექციონარი (VII ს.), იაკობის წინარესახარების ხანმეტი ტექსტი (VII ს.) და სხვ.

3. ძველი ქართული ენის ძეგლებს სამ ჯგუფად ყოფენ: ხანმეტი, ჰაემეტი და სანნარევი. ხანმეტია ისეთი ძეგლი, სადაც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების პრეფიქსად ხ- იხმარება (ხიყავ, ხწერ_ ხუეუარს, ხძინავს...); ჰაემეტია ძეგლი, სადაც ამავე შემთხვევებში პრეფიქსად ჰ- დასტურდება (ჰიყავ, ჰწერ_ ჰუეუარს, ჰძინავს...), სანნარევია ძეგლი, სადაც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემის ერთ-ერთი ალომორფია ს- (სწერ, სდგა, სტირ... სძინავს, სთხოვს, მისდევს...).

ხანმეტი ძეგლები თარიღდება IV-VIII საუკუნეებით, ჰაემეტი — VII-VIII საუკუნეებით. სანნარევი ტექსტები IX საუკუნიდან გვაქვს.

4. ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ურთიერთმიმართების შესახებ ჩვენს მეცნიერებაში ძირითადად ორი თვალსაზრისი უპირისპირდება ერთმანეთს. ერთის თანახმად, ქართულ ენაში თავდაპირველად მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების პრეფიქსი ხ- იყო, რომელიც შემდგომში ჰ-თი შეიცვალა

(ივ. ჯავახიშვილი, ალ. ონიანი). მეორე მოსაზრების თანახმად, ხანმეტი და ჰაე-მეტი ტექსტები შექმნილია ორ სხვადასხვა არეალში და, ამდენად, ისინი წარ-მოადგენენ დიალექტურად დაპირისპირებულ ოდენობებს (ა. შანიძე). პრობლემა მეტად რთულია და საბოლოოდ გადაჭრილი არ არის.

აშკარაა, რომ ე.წ. სანნარეული ტექსტების <u>ს-</u> პრეფიქსი მომდინარეობს <u>ჰ-</u>საგან წინაენისმიერ თანხმოვანთა წინა პოზიციაში.

5. ქართველოლოგიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა ქართული დამწერლობის შექმნის დროისა და მისი წარმომავლობის გარკვევა. დღეისათვის არსებობს მდიდარი ლიტერატურა, გამოთქმულია მრავალი, ურთიერთგამომრიცხავი ჰიპოთეზა.

სპეციალისტთა ერთი ნაწილი ქართულ დამწერლობას უდავოდ წინარე-ქრისტიანული ეპოქისად მიიჩნევს (დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ნ. მარი, ივ. ჯა-ვახიშვილი, პ. ინგოროყვა, გ. წერეთელი, რ. პატარიძე...); არაერთი მკვლევარი თვლის, რომ ქართული დამწერლობა (კერძოდ, ასომთავრული) საქართველოში ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურად მიღების შემდეგ შეიქმნა (კ. კეკელი-ძე, ა. შანიძე, თ. გამყრელიძე...).

ქართული დამწერლობის პროტოტიპად სემიტური (ფინიკიური, არა-მეული) ანბანი მიაჩნდათ ივ. ჯავახიშვილს, გ. წერეთელს, რ. პატარიძეს და სხვებს; ბერძნული — დ. ბაქრაძეს, დ. კარიჭაშვილს, კ. კეკელიძეს, ა. შანიძეს, ვ. ბოედერს და სხვა მეცნიერებს. უკანასკნელ ხანებში თ. გამყრელიძემ დამაჯერე-ბლად აჩვენა, რომ ქართული ანბანი შექმნილია ბერძნულის მოდელის მიხედ-ვით.

სავარაუდებელია, რომ ქართული ასომთავრული ანბანი შეიქმნა ჩვ. წ-ის II-III საუკუნეებში ქრისტიანული თემების წიაღში და საქართველოში ქრის-ტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV ს. I ნახევარი) იგი ფართოდ გავრცელდა. უნდა ვიფიქროთ, რომ უფრო ადრეც არსებობდა ქართული დამწერლობის სხვა სახე, რომლის ნიმუშებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

6. ჩვენთვის ცნობილია ქართული დამწერლობის სამი სახეობა: <u>ასომთავრული</u> (ანუ <u>მრგვლოვანი</u>), <u>ნუსხური</u> და <u>მხედრული</u>. უძველესი ქართუ-ლი ძეგლები შესრულებულია ასომთავრულით. ნუსხური დამწერლობის უძვე-ლესი ნიმუშია ატენის ერთ-ერთი წარწერა 835 წლისა. მხედრული დამწერ-ლობა X საუკუნიდან იჩენს თავს (უკვე XIII-XIV სს-ში ჩნდება ტერმინი ხუცური, რომელიც აღნიშნავს ასომთავრულსა და ნუსხურს, მხედრულის საპირისპიროდ).

7. ძველი ქართული ანბანი

ასომთავრული	ნუსხური	წარმოთქმა	რიცხვითი მნიშვნელობა
Ⴀ	ⵓ	[ა]	1
Ⴁ	ⵔ	[ბ]	2
Ⴂ	ⵗ	[გ]	3
Ⴃ	ⵘ	[დ]	4
Ⴄ	ⵙ	[ე]	5
Ⴅ	ⵚ	[ვ]	6
Ⴆ	ⵛ	[ზ]	7
Ⴇ	ⵜ	[ეჲ], [ე]	8
Ⴈ	ⵝ	[თ]	9
Ⴉ	ⵞ	[ი]	10
Ⴊ	ⵟ	[კ]	20
Ⴋ	ⵠ	[ლ]	30
Ⴌ	ⵡ	[მ]	40
Ⴍ	ⵢ	[ნ]	50
Ⴎ	ⵣ	[ჲ], [ი]	60
Ⴏ	ⵤ	[ო]	70
Ⴐ	ⵥ	[პ]	80
Ⴑ	ⵦ	[ჟ]	90

[illegible]	[illegible]	[რ]	100
[illegible]	[illegible]	[ს]	200
[illegible]	[illegible]	[ტ]	300
[illegible]	[illegible]	[უ], [ᲣᲘ]	400
[illegible]	[illegible]	[ფ]	500
[illegible]	[illegible]	[ქ]	600
[illegible]	[illegible]	[ღ]	700
[illegible]	[illegible]	[ყ]	800
[illegible]	[illegible]	[შ]	900
[illegible]	[illegible]	[ჩ]	1000
[illegible]	[illegible]	[ც]	2000
[illegible]	[illegible]	[ძ]	3000
[illegible]	[illegible]	[წ]	4000
[illegible]	[illegible]	[ჭ]	5000
[illegible]	[illegible]	[ხ]	6000
[illegible]	[illegible]	[ჯ]	7000
[illegible]	[illegible]	[ჰ]	8000
[illegible]	[illegible]	[ჰ]	9000
[illegible]	[illegible]	[ო], [ოჰ]	10000

ძველ ქართულ ანბანში 37 ასოა. თითოეული ასოს რიგი და, შესაბამისად, რიცხვითი მნიშვნელობა მკაცრად არის განსაზღვრული (ა = 1-ს; ია = 11-ს; მა = 41-ს; რნა = 151-ს; ჩტკბ = 1322-ს და ა.შ.).

ძველი ქართული დამწერლობა ფონეტიკურ პრინციპს ემყარება, ზოგ შემთხვევაში ეს პრინციპი დარღვეულია იმის გამო, რომ ანიდან ქანამდე ქართული ასოების თანმიმდევრობა თითქმის უგამონაკლისოდ ბერძნულ გრაფემათა რიგს მისდევს. ღანის შემდეგ კი განლაგებულია იმ ფონემათა ამსახველი ნიშნები, რომელთა შესატყვისი თანხმოვნები ბერძნულ ანბანს არ მოეპოვება.

8. ძველ ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად მცხეთის — იბერიის დედაქალაქის — მეტყველება დაედო. საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა ქართული ტომების წარმომადგენელთა ურთიერთობის შედეგად მცხეთაში ჩამოყალიბდა ზედიალექტური მეტყველება („მცხეთური კოინე"). ბუნებრივია, ვივარაუდოთ ამ მეტყველების დიდი სიახლოვე ქართლურ დიალექტთან.

ქართული ენის ისტორიისათვის უაღრესი მნიშვნელობისა იყო ის ფაქტი, რომ VIII საუკუნიდან ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი ხდება სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, კერძოდ, ამ არეალის უდიდესი ქალაქები: არტანუჯი და ქუთაისი. IX-XI საუკუნეთა მრავალ ძეგლში გამოვლინდება სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენები.

9. ქრისტიანული რელიგიისათვის აუცილებელ თხზულებათა თარგმნის, ორიგინალური ძეგლების შეთხზვის შედეგად შეიქმნა მდიდარი და მრავალფეროვანი ძველი ქართული მწერლობა. V-XI საუკუნეთა ქართული ლიტერატურა ძირითადად სასულიერო ხასიათისაა. ამ ეპოქის ძეგლებში გამოვლენილია სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევები. ზოგჯერ თავს იჩენს მკვეთრად გამოხატული დიალექტიზმებიც.

10. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ძველი ქართული ენა, რა თქმა უნდა, ნორმირებულია, ამავე დროს ძველ ქართველ მწერალთა და მთარგმნელთა უდიდესი ნაწილი სავსებით შეგნებულად ცდილობდა სალიტერატურო ენა მეტისმეტად არ დაშორებოდა ცოცხალ მეტყველებას. ისინი ითვალისწინებდნენ ენის განვითარების ტენდენციებს. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენა ინარჩუნებდა ნორმატულ ხასიათს, მაგრამ ამავე დროს ასახავდა ენაში (ცოცხალ მეტყველებაში) მიმდინარე მოვლენებსაც.

იაკობ ხუცესის, იოვანე საბანის ძის, გიორგი მერჩულის, „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ანონიმი ავტორისა და სხვათა თხზულებანი გამოირჩევიან სტილის სისადავით, ცოცხალ მეტყველებასთან სიახლოვით. ეს ტენდენცია განსაკუთრებით იჩენს თავს ეფთვიმე მთაწმიდლის, გიორგი მთაწმიდლის, გიორგი მცირის, თეოფილე ხუცეს-მონაზვნის და სხვათა თხზულებებში. მათ მოახდინეს

ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა, იგი მჭიდროდ დაუახლოვეს ცოცხალ მეტყველებას, რითაც შეამზადეს საფუძველი საშუალი ქართულის ჩამოყალიბებისათვის. სწორედ ამიტომ მიაჩნიათ XI საუკუნის ქართული სალიტერატურო ენა გარდამავალ საფეხურად ძველიდან საშუალისაკენ. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეს რეფორმა მოხდა ფაქტობრივად ისე, რომ ძველი ქართულის ნორმათა მთლიანობა საფუძვლიანად არ შელახულა.

11. ამასთან უნდა ითქვას ისიც, რომ XI საუკუნეში თავი იჩინა საპირისპირო ტენდენციამაც: სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების უკიდურესმა დაპირისპირებამ. ეს მოვლენა ახასიათებს ე.წ. ელინოფილური სკოლის წარმომადგენლებს: ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს, არსენი იყალთოელს და სხვებს. ბერძნული ენის გრამატიკული კონსტრუქციების, სიტყვათწარმოების, ფრაზეოლოგიის კალკირებამ მეტიმეტად დაამძიმა მათი, განსაკუთრებით იოანე პეტრიწის, არსენი იყალთოელის და ზოგი სხვა მწერლის თხზულებათა ენა. ამავე დროს უნდა ისიც ვთქვათ, რომ ამ სკოლის წარმომადგენლებს დიდი დამსახურება მიუძღვით ქართული მეცნიერების ტერმინოლოგიის შექმნაში.

ელინოფილური სკოლის ენობრივი პოზიცია ფაქტობრივად უკუაგდო საშუალი ქართულის ჩამოყალიბებამ. საშუალი ქართული დაემყარა ეფთვიმე მთაწმიდლის, გიორგი მთაწმიდლისა და მათ მიმდევართა ენობრივ მემკვიდრეობას, მათ პრინციპებს და არა ელინოფილთა თეორიულსა და პრაქტიკულ ნამოღვაწევს.

12. ძველ ქართულში ხუთი ხმოვანი და ოცდაათი თანხმოვანი ფონემა იყო.

ხმოვნები საწარმოთქმო ორგანოს ადგილის მიხედვით ასე ჯგუფდებოდნენ: წინაენისმიერნი — ი ე, უკანაენისმიერნი — ო უ, შუაენისმიერი — ა.

ლაბიალური ხმოვნებია: ო და უ, არალაბიალურნი: ა ი ე; პალატალურ (მარბილებელ) ხმოვანთა ჯგუფში შედის: ი ე, არაპალატალურებია: ა ო უ.

ვიწრო ღიაობის (ენის მაღალი აწეულობის) ხმოვნებია: ი უ, ფართო ღიაობის (ენის დაბალი აწეულობის) ხმოვანია ა, საშუალო ღიაობის (საშუალო აწეულობის) — ე და ო.

13. ძველი ქართული თანხმოვნები წარმოების რაგვარობის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ხშულები (ბ ფ პ, დ თ ტ, გ ქ კ, ჯ ყ), აფრიკატები (ძ ც წ, ჯ ჩ ჭ), სპირანტები (ნაპრალოვნები) (ვ, ვ, ზ ს, ჟ შ, ღ ხ, ჰ). წარმოების თვალსაზრისით რთული ბგერებია: მ ნ ლ რ.

მჟღერი თანხმოვნებია: ბ დ გ ძ ჯ ვ ვ ზ ჟ ღ ლ მ ნ რ; ყრუებია: ფ პ თ ტ ქ კ ჯ ყ ც წ ჩ ჭ ს შ ხ ჰ. ყრუ ხშული და აფრიკატი თანხმოვნები წარმოვიდგენენ დაპირისპირებას ფშვინვიერობა — მკვეთრობის მიხედვით: ფშვინვიერებია: ფ თ ქ ჯ ც ჩ, მკვეთრები: პ ტ წ ჭ კ ყ.

14. წარმოების ადგილის მიხედვით ძველი ქართული ენის თანხმოვნები ასე ჯგუფდებიან:

	ხშულები			ნაპრალოვნები	
	მჟღერი	ყრუ		მჟღერი	ყრუ
		ფშვინვ.	მკვეთრი		
წყვილბაგისმიერნი	ბ	ფ	პ	ვ	
კბილისმიერნი	დ	თ	ტ		
კბილბაგისმიერი				ვ	
უკანასასისმიერნი	გ	ქ	კ	ღ	ხ
ხახისმიერნი		ჯ	ყ		
ხორხისმიერი					ჰ

	აფრიკატები			ნაპრალოვნები	
	მჟღერი	ყრუ		მჟღერი	ყრუ
		ფშვინვ.	მკვეთრი		
წინანუნისმიერნი	ძ	ც	წ	ზ	ს
უკანანუნისმიერნი	ჯ	ჩ	ჭ	ჟ	შ

15. /რ/ შუა წარმოების მთრთოლი თანხმოვანია, /ლ/ — გვერდითი, შუა წარმოებისა. /მ/-ს წარმოთქმისას მონაწილეობენ ბაგეები და ცხვირი, /ნ/-ს წარმოთქმისას — კბილები და ცხვირი. ამიტომ /მ/-სა და /ნ/-ს ცხვირისმიერ (ნაზალურ) თანხმოვნებსაც უწოდებენ.

ზოგი ორთოგრაფიულ-ფონეტიკური მოვლენა

16. ი ქართულ ანბანში შემოღებულია ბერძნულის ზეგავლენით.

ბერძნულში Η ძვ. წელთაღრიცხვის VI — ახ. წელთაღრიცხვის III საუკუნეებში მონაცვლეობდა ει-სთან. ის, რომ უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში ი ნიშანი /ეi/ დიფთონგს გადმოსცემს, ბერძნულის გავლენითაა შეპირობებული: ძℓ [ძეi], დღℓ [დღეi] და სხვ.

ი უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში, როგორც წესი, შემდეგ შემთხვევებში ისმარება: ა) ე-ზე დაბოლოებულ სახელთა (ანთროპონიმთა გამოკლებით) სახელობითში: კლდℓ [კლდე-i], ტყℓ [ტყე-i], მეფℓ [მეფე-i]... ბ) ე-ზე დაბოლოებულ ანთროპონიმთა ნათესაობითში: პეტრℓს [პეტრე-ის], ელენℓს [ელენე-ის]... გ) ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმებში: ხუმკობℓს-ი [ხუმკობე-ის-ი], უდიდℓს-ი [უდიდე-ის-ი]... დ) ზოგი ზმნიზედის ფორმაში: ესრℓთ [ესრე-iთ], ეგრℓთ [ეგრე-iთ].

ი გვხვდება აგრეთვე ზოგი სიტყვის შემადგენლობაში: ისრაℓლი, იერუსალℓმი, ამℓნ... რომლებიც შესაბამისი ბერძნული ფორმების ტრანსლიტერაციას წარმოადგენენ, სომხურიდან ნასესხებ შℓნ- (შℓნ-ი „დასახლებული ადგილი"; შℓნ-ებ-ა) ძირში. ამ შემთხვევებში ი /ე/ ხმოვანს გადმოსცემს.

ამასთან, უკვე ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში შეინიშნება ი-ს ნაცვლად ე-ს ხმარების შემთხვევები (ძე კაცისაi, მ. 26,45 (ვენ); ძემან სტეფანესმან და გუდასმან, წყ, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ენაში იშლება /ეi/ დიფთონგი და მის ადგილას /ე/ გვაქვს.

IX-XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გამოვლინდება ი-ს ხმარების კლასიკური ნორმების შემდეგი დარღვევები: ა) ი-ს ნაცვლად გვაქვს ე (პავლეს მოციქულისაi; ქრისტესი; უზეშთაესი; უმეტესი...); ბ) ი იწერება იქ, სადაც ე უნდა იყოს (ორ ძℓ; მეფℓსა; მორეწℓთა; მოწაფℓნი; პℓტრესით...); გ) გვხვდება კონტამინირებული ℓ დაწერილობა (ეგრℓთ; მოწაფℓ; ძℓ; მრწℓმ; შეℓმთხვ; ეკლℓსიისასა; სნℓულთა...); დ) X საუკუნიდან თავს იჩენს ℓ დაწერილობა ეე-ს ნაცვლად (ვარღℓვ, მარჯℓნე; ძℓლი, ℓკℓ, ნℓკℓ...).

ზოგჯერ ℓ ზედმეტად არის დაწერილი ო-ს შემდეგ (შℓრებოდა [შურებოდა]; ვარქℓ [ვარქუ]; ℓრცხვნოო [ურცხვნოო] და სხვა.

მსედრულ ანბანში, რომლის პირველი ნიმუშები X საუკუნიდან გვაქვს, Ի ნიშანი აღარ არის (აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ XI საუკუნის ზოგ ხელნაწერში Ի გრაფემა თითქმის აღარ იხმარება).

17. ॐ. ॐ გრაფემა ძველ ქართულ ანბანში ბერძნულის ზეგავლენით შემოიღეს. ქართულ გრაფემათა მიმდევრობა ანიდან ქანამდე ორი გამონაკლისის გარდა ბერძნულის იდენტურია. ნ-ს შემდეგ ბერძნულში არის ξ-ს გრაფემა. ქართული ანბანის შემქმნელმა სწორედ ამ ადგილას ჩასვა ॐ, რითაც თავიდან აიცილა ქართული ანბანის რიგის შეკუმშვა. ამის შედეგად მივიღეთ, რომ /ი/ ფონემის ორივე ალოფონი [ი] და [ჲ] ორი განსხვავებული გრაფემითაა გადმოცემული.

[ჲ] ალოფონი ძველ ქართულში გვხვდება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ხმოვანთა შემდეგ, აგრეთვე ხმოვანსა და თანხმოვანს შორის (როგორც წესი, როცა თანხმოვანი ნათესაობითი ან მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ნაწილია). ფაქტობრივად, [ჲ]-ს გამოვლენა ძველ ქართულში მორფონოლოგიურად არის შეპირობებული. იგი გვხვდება:

ა) ა, ო, უ (იშვიათად ე) ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელთა (ანთროპონიმებს გარდა) სახელობითში (ძმა-ჲ; წყარო-ჲ; რუ-ჲ; ძე-ჲ...); ბ) ფუძეუკეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმებში (ანა-ჲს, წყარო-ჲსა, ისო-ჲს, რუ-ჲსა, იესუ-ჲს, წყარო-ჲთა, რუ-ჲთა_); გ) ზოგი ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმაში (ხუფროჲს/უფროჲს_); დ) ზოგი ზმნიზედის (წინაჲთ, ზედაჲთ, ქუემოჲთ, ზემოჲთ_) შემადგენლობაში. ზოგჯერ [ჲ] გვაქვს ოდენ ფონოლოგიურად შეპირობებულ პოზიციაში (დაჲცევ, საჲდუმლო_).

ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში ॐ-ს ხმარების წესები შედარებით ზუსტად არის დაცული. მისი კლების შემთხვევები ძალზე იშვიათია (ხუფროს; ძემან სტეფანესმან და გუდასმან_), მაგრამ ეს ნიმუშები მიგვანიშნებენ დამავალ დიფთონგთა მოშლის პროცესზე.

IX საუკუნიდან ॐ-ს ხმარების წესთა დარღვევები მრავლად გვხვდება: ა) ॐ აკლია იქ, სადაც იგი ნორმათა მიხედვით უნდა გვქონდეს (სიტყუა ღმრთისაჲ; გამოზრდა შენი; სიხარული დედისა; გალილეათ; ვინათგან; უნებლიათ; თითო დრაჰკანი; წყარო იგი ცხოველი; ცეცხლისა მისგან უნივთოსა; ჯუარი ოქროსაჲ; უდაბნოთ; ჩრდილოთ; იესუსი; მივიდა იესუსა; ძუძუსმტეჲ; ძუძუსმწოართაჲ_); ბ) ॐ ზედმეტადაა დაწერილი (სიტყვის ბოლოს: არაჲ [არა]; იგიცაჲ; გესმაჲ; თანაგუედვაჲ; შვაჲ, იქმნაჲ; ამხილაჲ; ნეტარმან ჰაბოჲ... სიტყვის შიგნით: არაჲთუ [არათუ]; ჴმაჲმაღალთაგან; კანაჲს გალილეაჲსასა; მართაჲს ვითარცა ქსმა; სწაჲლაჲ; მენაჲვეჲ; არაჲსადა [არასადა]; არაჲვინ; ვაჲებაჲ; ხუროჲთმოძღუარმან; ჰაბოჲს მოუწოდა მთავარმან; გამოჲსჩნდი, იესუჲს ეძიებთ;

ეველრებოდა იესუმს...); გ) Ɔ ენაცვლება ი გრაფემას: ᲫᲪᲘᲗ [იცით]; ᲘᲮᲐᲠᲔᲑᲓ [იხარებდ]; ᲫᲧᲝ [იყო]; ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲘ [კათალიკოზი]; ᲩᲔᲛᲘ [ჩემი]...).

Ɔ მხედრულ ანბანში აღარ გვაქვს.

18. Ყ. Ყ ნიშანი ძველ ქართულ ანბანში შემოღებულია ბერძნულის ზეგავლენით. იგი გრაფიკულადაც მომდინარეობს სათანადო ბერძნული ნიშნისაგან (υ). მისი არსებობა ძველ ქართულ დამწერლობაში ეწინააღმდეგება ანბანის შედგენის როგორც ფონოლოგიურ, ისე ფონეტიკურ პრინციპს, რადგანაც ერთი ნიშანი იხმარება /ᲣᲘ/ კომპლექსის გადმოსაცემად. ეს ფუნქციაც ბერძნულის ზეგავლენითაა შეპირობებული (თ. გამყრელიძე).

Უ ნიშანი ძველ ქართულში ძირითადად გვხვდება ისეთ ფორმებში, სადაც /ᲣᲘ/ კომპლექსია მოსალოდნელი (სიტყვათა ძირებში: ᲛᲨᲕᲓᲘ [მშუიდ-ი], ᲙᲠᲘᲐᲙᲔ [კუირიაკე], ᲫᲕᲠ-Ი [ძუირ-ი]... სახელურსა და ზმნურ ფორმებში, სადაც ფუძისეულ Უ-ს უშუალოდ მოსდევს სუფიქსისეული ი: ᲜᲐᲫᲣ [ნაძუ-ი]; ᲗᲐᲒᲣ [თაგუ-ი]; ᲮᲪᲣᲡ [ᲮᲪᲣ-ის-ა]; ᲗᲗᲣᲗᲐ [თთუ-ით-ა]; ᲗᲥᲣᲡ [თქუ-ი-ს]...).

გვხვდება ბერძნული υ გრაფემის ტრანსლიტერაციის შემთხვევები: ა) /Უ/ ნიშანი გამოხატავს Უ-ს: ᲞᲐᲣᲚᲔ; ბ) Უ ნიშანი გადმოსცემს /ᲣᲘ/ კომპლექსს: ᲔᲒᲕᲠᲔ ᲔᲕᲗᲣᲛᲔ-

ცალკე უნდა გამოყოთ უძველეს ტექსტებში გამოვლენილი შემთხვევები, როცა Უ-თი /Უ/ არის გადმოცემული: ᲗᲐᲕᲧᲐᲜᲘᲡ-ᲪᲔᲡ; ᲗᲐᲕᲧᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲜᲘ; ᲮᲘᲧᲐᲕᲜ, ᲜᲣ ᲙᲐᲪᲡ-ᲮᲚᲐᲕᲜ; ᲮᲘᲠᲐᲕᲜ; ᲕᲧᲐᲕᲜ. ეს მოვლენა ასახავს ზოგ ძველ ქართულ დიალექტში (სამხრეთ-აღმოსავლურ ქართულში) /Უ/-ს და /Უ/-ს მკვეთრი გამიჯვნის არარსებობას.

Უ შედის Უ-ს შემადგენლობაში.

19. ᲥᲧ. Უ-ს დაწერილობის წესი (ᲥᲧ) ძველ ქართულში ბერძნულიდან მოდის. ამ რთული დაწერილობის გამო იგი არ შედის გრაფემათა რიგში და არ მოეპოვება რიცხვითი მნიშვნელობა.

ᲥᲧ-ს ძველ ქართულში ორი ფუნქცია აქვს: იგი გადმოსცემს როგორც მარცვლოვან, ისე უმარცვლო /Უ/-ს (ᲒᲣᲚᲘ, ᲒᲣᲐᲛᲘ). ძველ ქართულში შესაძლოა /Უ/ ხმოვანი თანხმოვნად იქცეს (ᲗᲥᲣ, ᲨᲓᲠ.: ᲗᲥᲣᲐ; ᲡᲣ, ᲨᲓᲠ.: ᲡᲣᲐ და სხვ.) და პირუკუ: (ᲙᲣᲔᲗ-ს, ᲨᲓᲠ.: ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ).

სწორედ Უ-ს რთული დაწერილობა გახდა იმის მიზეზი, რომ IX საუკუნიდან წერილობით ძეგლებში ხშირია, ერთი მხრივ, ო და უ და, მეორე მხრივ, უ და Ვ (ზოგჯერ ო და Ვ) გრაფემათა ურთიერთშენაცვლება (ᲒᲝᲚᲘ [ᲒᲣᲚᲘ]; ᲪᲝᲚᲘ [ᲪᲣᲚᲘ]; ᲗᲥᲝᲐ [ᲗᲥᲣᲐ]... ᲣᲠᲘ [ᲝᲠᲘ]; ᲓᲐᲬᲔᲠᲣᲡ [ᲓᲐᲬᲔᲠᲝᲡ]; ᲬᲣᲛᲐ [ᲬᲕᲛᲐ]; ᲛᲨᲣᲓᲝᲑᲐᲐ [ᲛᲨᲕᲓᲝᲑᲐᲐ]; ᲣᲙᲕᲔ [ᲣᲙᲣᲔ]; ᲗᲕ [ᲗᲣ] და სხვ.).

ამგვარი ურთიერთშენაცვლება ზოგიერთ ძეგლს განსაკუთრებით ახასიათებს. ამ მოვლენას არავითარი ფონეტიკური საფუძველი არ გააჩნია.

საზოგადოდ, Q9-ს რთული დაწერილობა წარმოადგენს ქართული ანბანის შედგენის პრინციპის დარღვევას. ასევე ამ პრინციპიდან გადახვევად უნდა ჩაითვალოს ამ ერთი ასოთი ორი ფონების გამოხატვა.

20. უმარცვლო /უ/ და /ვ/. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, Q9 გრაფემა გამოხატავდა უმარცვლო /უ/-საც. უმარცვლო /უ/ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება შემდეგ პოზიციებში: თანხმოვანსა და ხმოვანს შორის (თუალ-ი, კუალ-ი, ზღუა-ჲ, სხუა-ჲ, კუერთხ-ი, მშჳდ-ი [მშუიდ-ი]...), თანსმოვნებს შორის (გუმერა, თქუმა, სულა<სლვა; ათურამეტი<ათრვამეტ-ი...); სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში თანხმოვნის შემდეგ (თაგუ, ნაძუ, ძეძუ, დათუ, ინჩაკუ...).

ძველ ქართულ ენაში არსებობდა /ვ/, რომელიც შემდეგ პოზიციებში რეალიზდებოდა: სიტყვის დასაწყისში ხმოვნის (ველი, ვირი...), ან თანხმოვნის წინ (ვნება, ვსება...), ხმოვნებს შორის (თავი, გლოვა...), ხმოვანსა და თანხმოვანს შორის (თევზი, შოვრს...), სიტყვის ბოლოს ხმოვნის შემდეგ (ვხატავ, ვილოცავ, კულავ...).

კუმშვის შედეგად /ვ/ შეიძლება გამოვლინდეს თანხმოვანსა და ხმოვანს შორის (ესავს : ესვენ; იკითხავს : იკითხვენ, კითხვა, მკითხველი...). ამ პოზიციაში თავდაპირველი /ვ/ (ანუ /ვ/, რომლის კუმშვის გზით წარმომავლობა დასაბუთებული არაა) შედარებით იშვიათია: რვა, რვალი, პირველი, ფებრვალი, იანვარი, ლვილი, ქართველი, ქვა, ქველი, საზღვარი, ცვალება, წვალება, წყვილი, ჯინჭველი, ხვალე.

როგორც ჩანს, ზოგ დიალექტში არ არსებობდა ფონემატური დაპირისპირება [ვ]-სა და [უ]-ს შორის. ამას ასახავს უძველეს წერილობით ძეგლებში გამოვლენილი ფაქტები: თაჳყანის-ხცეს [თაუყანის-ხცეს], თაჳყანისმცემელნი [თაუყანისმცემელნი], ხკლაჳ [ხკლაუ], მშუა, შჳლი [შუილი] და სხვ.).

IX საუკუნიდან გვხვდება როგორც უ-ს ვ-თი, ისე ვ-ს უ-თი შენაცვლების ფაქტები (ზღვა, მართვე, აქვნდეს... საზღუარი, შეცუალება, ხუალისაგან...).

განსაკუთრებით ხშირია უ-ს ვ-თი შენაცვლება ზოგ ძეგლში, კერძოდ, ლატალის ლექციონარსა და იელის იადგარში. ამ ურთიერთმონაცვლეობას, ჩანს, ცოცხალ მეტყველებაში მომხდარი პროცესი (/ვ/:/უ/ ოპოზიციის მოშლა) უდევს საფუძვლად.

21. ჰ. ძველი ქართული ანბანის ბოლო ასოა ჰ (მისი სახელია ოჰი). იგი შემოღებულია ბერძნულის ზეგავლენით, ძალზე იშვიათად იხმარება და

წარმოადგენს ბერძნული ω-ს ტრანსლიტერაციას (ϑსანა [ოსანა], კლეϑპა [კლეოპა]_). იგი გადმოსცემს შორისდებულს: ϑ, იკითხება: ოჰ.

დიფთონგები

დამავალი დიფთონგები.

22. ძველ ქართულში დამავალი დიფთონგები იქმნებოდა /ა/, /ო/, /უ/, /ე/ ხმოვნებისა და [ჲ]-ს შეერთებით. /ეჲ/ დიფთონგი უპირატესად ᲘᲔ გრაფემით გადმოიცემოდა, იშვიათად ᲔᲘ ასოთა მიმდევრობით.

უკვე უძველეს წერილობით ძეგლებში გამოვლინდება დამავალ დიფთონგთა მოშლის ამსახველი ფაქტები. საფიქრებელია, რომ ეს პროცესი დაიწყო /ეჲ/ დიფთონგის გამარტივებით (დისიმილაცია) და შემდეგ თანდათან გავრცელდა (ამის შესახებ იხ. 16).

დამავალ დიფთონგთა მოშლა ზოგ დიალექტში (ან ცოცხალი მეტყველების გარკვეულ ნაწილში, რომელიც აისახა სალიტერატურო ენის ძეგლებში) სხვა გზითაც წარიმართა: [ჲ] იქცა სრულ ხმოვნად და, ამდენად, დამავალ დიფთონგთა ადგილას ჩამოყალიბდა ხმოვანთა კომპლექსები /აი/, /ოი/, /უი/, /ეი/: პურაი, სტავრაი, უდაბნოი, ჯბოი, ძუძუი, ყრუი, სარწმუნოისაჲ, იწროისაგან, სიცრუითა, ხუფროის, ქუეით, ზეითგან, ანაზდაითი...

აღმავალი დიფთონგები.

23. აღმავალი დიფთონგების პირველი კომპონენტია /ᲣᲬ/, რომელსაც დაერთვის /ა/, /ე/, /ი/ ხმოვნები და ვიღებთ /ᲣᲬᲐ/, /ᲣᲬᲔ/, /ᲣᲬᲘ/ დიფთონგებს: ზღუა, თთუე, შჳდის [ᲨᲣᲬᲘᲓᲘ]...

IX-X საუკუნეებიდან ცოცხალ მეტყველებაში (რომელსაც სალიტერატურო ენა ეურდნობოდა) /ᲣᲬ/ /ᲣᲕ/-ში გადადის, რის შედეგადაც აღმავალი დიფთონგები იშლება: ზღუა>ზღვა, მართუე>მართვე, განიღჳძა [განიღᲣᲬᲘძᲐ]> განიღვიძა და სხვ.

განსაკუთრებით ხშირად გამოვლინდება ამ მოვლენის ამსახველი ფაქტები ზოგ ხელნაწერში (ლატალის ლექციონარი, იელის იადგარი_).

ძირითადი ფონეტიკური პროცესები

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში აისახება ის ფონეტიკური პროცესები, რაც ცოცხალ მეტყველებაში ხდებოდა. ცხადია, სალიტერატურო ენის ნორმირებულობა ამ მოვლენათა სრულად გამოვლენას ხელს უშლიდა, მაგრამ ისინი გადამწერთა შეცდომების სახით მაინც აღწევდნენ სამწერლო ენაში.

ასიმილაცია

24. ხმოვანთა ასიმილაციის ამსახველი უდავო ფაქტები ძველ წერილობით ძეგლებში გამოვლენილი არაა.

საწარმოთქმო ორგანოს ადგილის მიხედვით თანხმოვანთა რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის ნიმუშებია: **სჯ>შჯ** (შჯა, დაშჯა, დაშჯილი, შჯული... დაშჯერდების, დაშჯდები, გამოშჩნდი, შეშჭამენ, შჭირნ_ (აღსანიშნავია, რომ სჯა, სჯული, დასჯდები, გამოსჩნდი, შესჭამენ და მისთ. ფორმები ძველ ქართულში მეტისმეტად იშვიათია), **ხთ>ჰთ>სთ** (განხთქდა>განჰთქდა>განსთქდა).

რეგრესული კონტაქტური ასიმილაციური გამეღერების ნიმუშები X საუკუნიდან გვხვდება: **თგ>დგ** (კიდ*ვ*დგან, ვინაიდგან, თავიდგან, რადგან...), **სგ>ზგ** (მზგეფსი).

უფრო ხშირია რეგრესული კონტაქტური ასიმილაციური დაყრუების შემთხვევები: **გც>ქც** (მიქცე, მიქცა, მოქცა...), **ბს>ფს** (ნეფსით, ქუაფსა), **დთ>თთ** (ბრძმეთთა), **დს>თს** (ბრძმეთსა), **ღს>ხს** (ახსარება).

IX საუკუნიდან წერილობით ძეგლებში გვხვდება სისქე. ძირია **ზრქ**. /რ/-ს დაკარგვის შედეგად უნდა მიგვეღო /ზქ/, მაგრამ ეს კომპლექსი ქართული ენის თანხმოვანთშეგუების წესების მიხედვით დაუშვებელია. ამის გამო /სქ/ მივიღეთ.

/ს/ და /თ/ თანხმოვანთა წინ /დგ/ კომპლექსი /თქ/-დ იქცევა (**უთქს<უ-დგ-ს**; **შეგითქთ<შე-გ-ი-დგ-თ**_).

ბგერათწარმოების რაგვარობის მიხედვით რეგრესული ასიმილაციის შედეგია გამკვეთრება: **დყ>ტყ** (ღაღატ-ყო, ღაღატ-ყვეს); **ბკ>პკ** (დაპკოლეგა<დაბკოლება<დაბრკოლება), გაფშვინიერება: **ტფ>თფ** (თფილისი, თფილელი); **ყს>ჯს** (მეჯს, მეჯსეულად).

აღსანიშნავია, რომ ჩვენი დედაქალაქის უძველესი სახელწოდება — ტფილისი — ნაწარმოებია ტეფ-/ტფ- ზმნური ძირისაგან. ტფილ-ი ვნებითი გვარის მიმღეობაა. -ის ნათესაობითის დაბოლოება (შდრ.: ქუთათისი, მანგლისი, რუისი, ურბნისი და სხვ.). **ტფ>თფ** ამ სიტყვაში X-XI საუკუნეებში დასტურდება. პირველი ძეგლი, სადაც თფილისი გვხვდება, ამჟამად სინის მთაზეა დაცული (სინ.-11). აქვე ვიტყვით, რომ თბილისი XIII საუკუნიდან არის დადასტურებული.

რეგრესული დისტანციური ასიმილაციის ნიმუშები: საკ>შაკ (შაკეთ, დაშაშკელად, მშაკული, შაკოს); საშ>შაშ (შაშო, შაშუალი); სიშ>შიშ (შიშავე); ღუს>ხუს (ახუსება<აღუსება<აღუსება<აღვსება), გუც>ქუც (მოქუცა), ბრკ>პრკ (დაპრკოლება).

პროგრესული კონტაქტური ასიმილაციური დაყრუების ნიმუშები: სდ>სთ (ესთენ<ესდენ<ესოდენ<ესეოდენ; ესთენი); ჯდ>ჯთ (გადაჯთა); შკ>შჩ (შჩული, შჩა, საშჩელი); წდ>წთ (მიწთომა, მიუწთომელი).

აწ ზმნიზედას დაერთვის ღა ნაწილაკი და აწღა ფორმას ვიღებთ, მაგრამ იმის გამო, ქართულისათვის არაბუნებრივია წყ კომპლექსი, აწღა>აწყა.

პროგრესული დისტანციური ასიმილაციის შემთხვევებია: ჭის>ჭიშ (ჭიშკარი<ბჭისკარი), წად>წუთ (მისწუთა, გასწუთეს...), პირად>პირატ (უპირატესი), წრდ>წრტ (წრტიალი).

დისიმილაცია

25. /ეა/ მიმდევრობა /ია/-დ იქცევა (წამლიანი, ნიშნიანი, მარილიანი_), /ეო/ /იო/-ს გვაძლევს (მიოთხე, ორმიოც, დიოფალი...).

ღიაობის მიხედვით დისიმილაციას წარმოადგენს ოვა//ოა>უვა//უა (მთუვარე//მთუარე, მძუარი, ცხუარი, მყუვარ//მყუარ), ოვე>უე (ყუელა< ყოველა).

თანხმოვანთა დისიმილაცია

26. საწარმოთქმო ორგანოს ადგილის მიხედვით რეგრესული კონტაქტური დისიმილაციის ნიმუშები: მბ>ნბ (ჰანბავი//ანბავი, ანბორი, ანბოხი, ენბაზი, იანბიკო, ანბა<ამბა<აბბა); მფ>ნფ (შანფური), მპ>ნპ (ანპარტავანი); ნდ>მდ (ნანდვლ>ნამდვლი, ცხონდა>ცხომდა).

წარმოების რაგვარობის მიხედვით რეგრესული კონტაქტური დისიმილაციის გავრცელებული შემთხვევაა შჩ>რჩ (განრჩა, დარჩილი, რჩული, სარჩელი, მოსარჩლე, ერჩის<ეშკის<ესკის...); შკ>რკ (მოსარკლე, რკაჲ, სარკელი); შჭ>რჭ (სამრჭუალი), პტ>ბტ (მეგბტელი, კელაბტარი), პყ>ბყ (დაბყრობა) და სხვ.

საკმაოდ ხშირია რეგრესული დისტანციური დისიმილაცია საწარმოთქმო ორგანოს ადგილის მიხედვით (ეტკფანე<ეპიფანე; მოსრული<მოსლული; წურილი<წულილი; ბერზებული<ბელზებული; სურნელი< სულნელი).

რეგრესული დისტანციური დისიმილაცია ბგერათწარმოების რაგვარობის მიხედვით: თუ სიტყვაში ორი /მ/ არის, პირველი /ლ/-დ იქცევა (ლუსმარი), თუ სიტყვაში ორი /ნ/ არის, პირველი /ლ/-ს მოგვცემს (მოლოზონი//მოლაზონი).

ხშირია დისიმილაციური გამჟღერების შემთხვევები (ებისტოლე, ამბარტავანი, ებისკოპოსი, გრკალი, ნაგრტენი, ზადიკი, გვრტი...).

პროგრესული კონტაქტური დისიმილაციური გამჟღერების ნიმუშებია: თბილისი (<თფილისი), შეცდომა (<შეცთომა), საცდური (<საცთური), დასთრგუნე (<დასდრგუნე), აღიმსდო (<აღიმსთო), სდულება (<სთულება) და მისთ.

პროგრესული დისტანციური დისიმილაციის ნიმუშია რ-რ>რ-ლ (ჭურჭელი, ორკელ).

მეტათეზისი

27. მარტივი მეტათეზისის ნიმუშებია: დგრ>დრგ (დადრგომა, დადრგომილი, დავადერგით_), ჯრმ>რჯმ (რჯმალი), ღრმ>რღმ (სირღმე), ვყ>ყუ (თაყუანის-ცემა, თაყუანისმცემელი...), თრვ>თურ (ათურამეტი, მთურალი), ვლ>ლვ (დასოლვება, დასოლვებული), ძარცუ>ძუარც (განძუარცა, მძუარცველი), ევლთ>ლევთ (განლევთა), ღმრთ>მღრთ (განმღრთობილი, სამღრთოდ) და მისთ.

საურთიერთო მეტათეზისის შემთხვევებია: შურ>შრუ (ვშრუებოდით), წურილ->წრუილ- (წრჯლ-ი), ლ-რ>რ-ლ (დაცარიელება, ცარიელი, წარმოცარიელება_ ძრიელი, უძრულ... მადრიელი...), რ-ლ>ლ-რ (მწლაფრი, ჰელაკრე, კულაპარატი), მ-ნ>ნ-მ (ნამგალი), მ-რ>რ-მ (გურემა, განგურემილი_).

ბგერათდაკარგვა

28. შედგენილი რიცხვითი სახელების თავკიდურა პოზიციაში იკარგვის /ა/ (თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი, ხუთმეტი, თექუსმეტი, ჩვდმეტი, თურამეტი, ცხრამეტი. ეს მოვლენა IX საუკუნიდან გვხვდება). /ა/ იკარგვის სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაშიც (რასაც, ზეშთ, ზედ, არ, თან). იშვიათად /ა/ ამოვარდება სიტყვის შიგნითა პოზიციიდან (დედუფალი, სადმე, ართუ).

/ეო/ კომპლექსი /ე/-ს დაკარგვით მარტივდება (ესოდენი, ეგოდენი, ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი...)

/ო/-ს დაკარგვის ნიმუშებია: ესდენი, ეგდენი. /ო/-ს გაუჩინარების მიზეზი უმახვილობა ჩანს.

იშვიათია /უ/-ს დაკარგვა (რიჟრაჟუ<რიჟურაჟუ).

თანხმოვანთა დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი დისიმილაციაა (დედუფალი>დეუფალი, დიდად>დიად>დია; სამხრადმდე>სამხრამდე, ადგილდადგილდ>ადგილ-ადგიდ; თთუე>თუე, განსთქდა>განსქდა, თხუთმეტ>ხუთმეტ; უსწრობდა>უსრობდა, მოისწრაფეს>მოისრაფეს, სწყუროდის>სყუროდის; ჩჩჯლი>ჩჯლი; მგრგუალ-ი>მრგუალი; ხუცსისა>ხუცისა; ქრისტესშობა> ქრისტეშობა, ღმრთისმშობელი>ღმრთიმშობელი, ქართლს შინა>ქართლშინა, მას

ზედა>მაზედა; სამშჯავრო>სამჯავრო; დამშჭუალვა>დამჭუალვა; მბრწყინვალე>ბრწყინვალე, მბრძოლი>ბრძოლი; მფრინველი>ფრინველი, დამლბალი>დამბალი; ჩანს>ჩას, გიჩნს>გიჩს; გამოჩნდა>გამოჩდა; მიჩნთ>მიჩთ; წუვა>წვა, ზაკუვა>ზაკვა, ნერწყუვა>ნერწყვა; სასუმელი>სასმელი, თქუმული>თქმული, საკუმილი>საკმილი, ჯუარცუმული>ჯუარცმული; ნესტუო>ნესტო; მიწუდომა>მიწდომა; მიუწუდომელი>მიუწდომელი, მაყულოვანი<>მაყლოვანი, მოვსთულო>მოვსთლო...).

თანხმოვანთა დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი ხშირად ხმარებულ ფორმათა გაცვეთაა (ვიდრე>ვირე, ყოლად>ყოლა, ეგზომ>ეზომ, გულსმოდგინება>გულმოდგინება, კუარცხლბერკი>კუარცხბერკი, მართლუკუნ>მართუკუნ, მკვრცხლ>მკვრცხ, რომელ>რომე, ჰრქვან>ჰრქვა; კაცმან>კაცმა; ფერკი>ფეკი, მოსრული>მოსული, გარნა>განა, ვითარ>ვითა, უკუეთუ>უკეთუ, უკუანა>უკანა, უკუანაისკნელი>უკანაისკნელი და მისთ).

გაცვეთის გზით იკარგვის ბგერათკომპლექსებიც (არს>ა; არიან>ა; არიან>ან, ვალს>ვა; მოვედით>მო; გინებს>გინე; კერძ>კე; უტეევ>უტე; ნუგეშინის>ნუგეშის; რომელ>რო; წაღმართ>წაღმა; წამოღმართ>წამოღმა).

ბგერის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მას გარკვეულ პოზიციებში არ გააჩნია დისტინქტური უნარი. ამდენად, მისი არსებობა, ან არარსებობა სიტყვის (ფორმის) მნიშვნელობაზე გავლენას ვერ ახდენს. ასეთია ვლტ//ვტ (ვლტოლა//ვტოლა), ვლთ//ვთ (განევლთა//განევთა), კლდ//კდ (გუაკლდა//გუაკდა), ფლდ//ფდ (განთავისუფლდა//განთავისუფდა)... კომპლექსები. [ლ]-ს დაკარგვის მიზეზი არის ის, რომ მას ამ პოზიციაში სიტყვათგანმასხვავებელი უნარი არ გააჩნია.

ასევე, თანხმოვანთა წინ [მ]-ს არ გააჩნია დისტინქტური მნიშვნელობა, რაც ამ პოზიციაში მისი დაკარგვის მიზეზია: მთხრებლი>თხრებლი, მწუერვალი>წუერვალი, მდაბალი>დაბალი, მსოფლიო>სოფლიო...

ორ თანხმოვანს შორის [რ] ძველ ქართულში ხშირად იკარგვის: ვრდ>ვდ (შევდომილი), ზრდ>ზდ (მზდელი, საზდელი), ყრდ>ყდ (მიყდნობა), ჩრდ>ჩდ (აჩდილი, ჩდილოჲ), მრთ>მთ (საღმთოჲ, უღმთოჲ, ღმთისათჳს), შრტ>შტ (დაშტებიან), ბრძ>ბძ (ბძენი, სიბძნე; გბძოდის; ბძანება), გრძ>გძ (გძილი; გძნობა), კრძ>კძ (განკძალული, დაკძალვა), ბრწყ>ბწყ (გამობწყინება), ძრწ>ძწ (ძწოლა), მრწ>მწ (მწემი, უმწემესი), ვრც>ვც (ვცელი), ხრწ>ხწ (განხწნა, უხწნელი), გრჩ>გჩ (დაგჩეს), ბრჭ>ბჭ (ბჭალითა), ღრჭ>ღჭ (ღჭენა), ბრგ>ბგ (ბგუნვილი), მრგ>მგ (მგუალი), ზრქ>ზქ>სქ (სისქე), წრფ>წფ (წფელობა), ჰრქ>ჰქ (ჰქჯან), ბრკ>ბკ//პკ (გიბკუმა, დაპკოლება), ღრმ>ღმ (სიღმე), ყრმ>ყმ (ყმაჲ)... [რ] ამ პოზიციაში დისტინქტურ ღირებულებას მოკლებულია. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ

ამავე აგებულების ბრმ-ს არ ენაცვლება ბმ, რადგანაც ამ შემთხვევაში /რ/ ფონემატური ღირებულების მქონეა [ბრმაი: ბმაი].

ბგერათა განვითარება

29. ასიმილაციური გაჩენის ნიმუშებია: ემბანი, ალამბასტრი, ამპოლონი, სამპყრობილე; წმინდა, გაწმენდა, სიწმინდე, წარწყმენდა, წარწყმენდული, წარსაწყმენდელი, სიმინდოი, საფუნძველი, წყაროვები, წყაროვო– და სხვ.

აქცესიურ კომპლექსთა გასათიშად ვითარდება [რ] (მღრდელი, ჯრშული, მკრცე, სიყრმილი), [უ] (მეყუსეულად, სიყუმილი).

დისტინქტურ უნარს მოკლებული თანხმოვანი ვითარდება (მზუავი, მსთულა, მცხედარი, მცბიერი, მსხვლი, მფრთოვანი, მგუერდი, მკვრტი, მზღვარი, მძალი, მკევი; ბრჭე).

ჩჩ კომპლექსის დაძლევის ერთ-ერთი გზაა [რ]-ს განვითარება: ჩრჩუილი. ამ პოზიციაში [რ]-ს მარცვლოვნობას ასახავს ჩურჩული [ჩურჩუილი] ფორმა. ამავე მოვლენის საილუსტრაციოდ გამოდგება დურტკნა (<დრტკნა) და ბურგუნვილი (<ბრგუნვილი).

ლატალის ლექციონარს ახასიათებს [ნ]-ს აბსოლუტურ ბოლოში წარმოდგენა ისეთ ფორმებში, როგორიცაა: გარეშენ, ვიეთმენ, რომლისამენ, დასაეალამდენ, აქამომდენ, ზღუამდენ. ჯრუჭის ოთხთავში დასტურდება მენ (<მე). არაა გამორიცხული, რომ ნ შენ ნაცვალსახელის ანალოგიით იყოს განვითარებული.

ვიწრო ძველ ძეგლებში არ გვხვდება. XI საუკუნიდან გვხვდება სივიწრე, დაავიწრებ და მისთანა ფორმები, სადაც ვ განვითარებულია.

კ-ს გაჩენის ნიმუშია დაჭკნის. იგი XI საუკუნემდე არ დასტურდება.

XI საუკუნიდან გამოვლინდება ვერცხლი. ცალსახად თქმა იმისა, რომ ვეცხლი ადრინდელია, ხოლო ვერცხლი მეორეული, შეუძლებელია, რადგანაც მეგრული და ლაზური ენების ვარჩხილი, რომელიც ქართული ვერცხლ-ის კანონზომიერი ფონემური შესატყვისია, სწორედ /რ/-ს შეიცავს. საფიქრებელია, ქართულ ენაში ოდითგანვე არსებობდა მონაცვლე ფორმები: ვერცხლი// ვეცხლი.

ბგერათა მონაცვლეობა

30. გვხვდება ხმოვანთა შენაცვლების ამსახველი ნიმუშები: ე/ა (მარკვენე//მარკვენა, მარცხენე//მარცხენა, ნაკუერცხალი//ნაკუარცხალი); თანხმოვანთა შენაცვლება უფრო ხშირია: ვ/მ (ვარსკულავი//მარსკულავი); მ/ბ (მრეწეული/მროწეული//ბროწეული), ბ/მ (კბოდე//კმოდე), ლ//რ (თაფლუჭი//თაფრუჭი; წულტუ//წურტუ); მ/ნ (მორჩი//ნორჩი); ს/შ (დაკსვა//დაკშვა); რ/შ (რტო//შტო), წ/ჭ (დაწუხვა//დახუჭვა) და მისთ.

ბგერათა შერწყმა

31. /აუ/ კომპლექსი იძლევა /ო/-ს: დედოფალი<დედაუფალი. X საუკუნიდან /უა/ ჰიმდევრობა /ო/-დ გარდაიქმნება: ხაჭუა>ხაჭო; ეჩუა>ეჩო. ეს მოვლენა საშუალ ქართულში ვრცელდება.

/თს/ კომპლექსი /ც/-ს გვაძლევს: ათსამეტ>აცამეტ ერთსახედ>ერცახედ, /თშ/ — /ჩ/-ს: ხუთშაბათი>ხუჩაბათი, ათშვდმეტი>აჩვდმეტი.

მორფოლოგია

სახელთა ბრუნება

ბრუნვები და მათი ნიშნები

32. ძველ ქართულში შვიდი ბრუნვაა: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი. ბრუნვათა ნიშნები ასე ნაწილდება:

თანხმოვანფუძიანებთან	ხმოვანფუძიანებთან
სახ. –ი /0	–ჲ/0
მოთხ. -მან	-მან
მიც. –ს/–ს–ა	–ს/–ს–ა
ნათ. –ის/–ის–ა	–ის/–ის–ა; –ჲს/–ჲს–ა
მოქმ. –ით/–ით–ა	–ით/–ით–ა; –ჲთ/–ჲთ–ა
ვით. -ად	-დ
წოდ. –ო/0	–ო/0

შენიშვნა 1: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ წრფელობით ბრუნვასაც: კაც, ზღუა, კლდე... ძველი ქართულის დონეზე წრფელობითისა და სახელობითის ფორმები ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლებიან ისე, რომ არ ირღვევა წინადადების წყობა და არც აზრი იცვლება. ამიტომ წრფელობითი და სახელობითი ძველი ქართულისათვის ერთი ბრუნვის ვარიანტებად უნდა მივიჩნიოთ. ამ ბრუნვას ჩვენ სახელობითს ვუწოდებთ. კაც, ზღუა და მისთანა ფორმები უნიშნო სახელობითია, ხოლო კაც–ი, ზღუა–ჲ და მისთანანი — ნიშნიანი.

შენიშვნა 2: ძველ ქართულში გვაქვს მეორეული ბრუნვებიც, ნაწარმოები ნათესაობითის ფორმისაგან: დანიშნულებითი, რომლის ნიშანია -ის–ა/ –ის–ად (კაც-ის–ა//კაც-ის–ად „ადამიანისთვის"), და მიმართულებითი, რომლის ნიშანია –ის–ა (მივიდა_ მეფ-ის–ა, ძმ-ის–ა, დავით-ის–ა_). მიმართულებითი ბრუნვის ფორმა მოეპოვება მხოლოდ ადამიანის (აგრეთვე ღმერთის, ანგელოზის) აღმნიშვნელ სიტყვებს.

შენიშვნა 3: ზოგი სახელი (ხუცეს, ეპისკოპოს, მოძღუარ, მეფე...) წოდებითში ბრუნვის ნიშნის გარეშეც დასტურდება.

მავრცობი ხმოვანი

33. მიცემით, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ბრუნვის ნიშანს დაერთვის –ა მავრცობი ხმოვანი (კაც-ს–ა, კაც–ის–ა, კაც–ით–ა). ძველ ქართულში უპირატესად ა ხმოვნიანი ფორმები იხმარება. უმავრცობო ფორმები გვხვდება კომპოზიტთა (რთულ სიტყვათა) პირველ ნაწილად (თავს-იდვა,

გულსმოდგინედ, კელის-აღპარობა, კელითწერილი და მისთ.). არის ზოგი სხვა განსხვავებაც: მიცემითის -ს დაბოლოებიანი ფორმა მიუთითებს მოქმედების მიმართულებას (წარვიდა იგი ქალაქს), ხოლო -ს-ა დაბოლოებიანი — მოქმედების ადგილს (იყო იგი ქალაქსა). მოქმედებითის უმავრცობო ფორმა გამოსვლითობას გამოხატავს (გამოვიდა იგი სახლით) და მისთ.

როგორც წესი, -ა მავრცობი არ იხმარება ადამიანის საკუთარ სახელებთან.

მრავლობითი რიცხვის წარმოება

34. ძველი ქართული განარჩევს მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებს. მხოლობითს რაიმე სპეციალური ნიშანი არ მოეპოვება, მრავლობითი რიცხვი იწარმოება -ნ/-თ და -ებ სუფიქსებით. უპირატესად გვხვდება -ნ და —თ/-თ-ა მაწარმოებლები (-ნ სახელობითსა და წოდებითში; -თ/-თ-ა მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში). -ებ სუფიქსი ყველა ბრუნვაშია წარმოდგენილი.

შენიშვნა 1: უნიშნო სახელობითის ფორმები მრავლობით რიცხვში მხოლოდ -ებ სუფიქსით იწარმოება (კაც-ებ, ძე-ებ...), არ დასტურდება კაც-ნ და მისთ. ფორმები.

შენიშვნა 2: -თ/-თ-ა ერთსა და იმავე დროს რიცხვსაც გამოხატავს და სახელის ბრუნვასაც. იმის გასარკვევად, რომელი ბრუნვაა, უნდა ჩავანაცვლოთ -ებ სუფიქსიანი ფორმა (თქუეს კაცთა (კაცებმან) — მოთხრობითი; ჰრქუა მან კაცთა (კაცებსა) — მიცემითი; ორთა უფალთა (უფლებისა) მონებაჲ — ნათესაობითი).

შენიშვნა 3: X საუკუნიდან გამოვლინდება ორმაგი მრავლობითის ფორმები (სოფლ-ებ-ნ-ი, სოფლ-ებ-თ-ა და მისთ.)

არსებითი სახელის ბრუნება

35. ბრუნება ძველ ქართულში ერთია, ოღონდ არსებობს გარკვეული სხვაობა თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებას შორის.

თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება

36. თანხმოვანფუძიანი სახელები ორ ჯგუფად იყოფიან: <u>ფუძეუკუმშველები</u> და <u>ფუძეკუმშვადები</u>. ფუძეუკუმშველია სახელი, რომლის ფუძე ბრუნების პროცესში უცვლელია, ხოლო ფუძეკუმშვადია სახელი, რომლის ფუძის შიგნითა ხმოვანი ბრუნებისას ამოვარდება.

ფუძეუკუმშველ სახელთა ბრუნება

37. ამ ტიპის სახელთა ბრუნება უაღრესად მარტივია.

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	ქალაქ		ქალაქ-ებ
	ქალაქ-ი	ქალაქ-ნ-ი	ქალაქ-ებ-ი
მოთხ.	ქალაქ-მან	ქალაქ-თა	ქალაქ-ებ-მან
მიც.	ქალაქ-ს	ქალაქ-თ-ა	ქალაქ-ებ-ს
	ქალაქ-ს-ა		ქალაქ-ებ-ს-ა
ნათ.	ქალაქ-ის	ქალაქ-თ-ა	ქალაქ-ებ-ის
	ქალაქ-ის-ა		ქალაქ-ებ-ის-ა
მოქმ.	ქალაქ-ით		ქალაქ-ებ-ით
	ქალაქ-ით-ა		ქალაქ-ებ-ით-ა
ვით.	ქალაქ-ად		ქალაქ-ებ-ად
წოდ.	ქალაქ-ო	ქალაქ-ნ-ო	ქალაქ-ებ-ო

ასევე იბრუნვის: კაცი, ქალი, ასული, შვილი, თავი, ქარი, ველი, მღდელი, თითი, თუალი (მხედველობის ორგანო), მტერი, პირი, შუბლი, ვეცხლი, ცეცხლი, მწერი, გული და სხვ.

ფუძეკუმშვად სახელთა ბრუნება.

38. კუმშვა ხდება მხოლობითი რიცხვის ნათქაობით, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში, აგრეთვე მთელს -ებ-იან მრავლობითში. კუმშვას იწვევს ხმოვნით დაწყებული ბრუნვის, ან რიცხვის მაწარმოებელი. უპირატესად იკუმშება ნ რ ლ მ თანხმოვნებით დაბოლოებული ფუძეები. ფუძიდან ამოვარდება ა, ე და ო ხმოვნები. კუმშვას უფრო ხშირად განიცდიან ორ და მეტ მარცვლოვანი ფუძეები. ერთმარცვლიანი ფუძე მაშინ შეიძლება შეიკუმშოს, როცა ანლაუტში თანხმოვანთა კომპლექსია.

ფუძიდან ამოვარდება ა:

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	სძალ		სძლ-ებ
	სძალ-ი	სძალ-ნ-ი	სძლ-ებ-ი
მოთხ.	სძალ-მან	სძალ-თ-ა	სძლ-ებ-მან
მიც.	სძალ-ს	სძალ-თა	სძლ-ებ-ს
	სძალ-ს-ა		სძლ-ებ-ს-ა
ნათ.	სძლ-ის	სძალ-თ-ა	სძლ-ებ-ის
	სძლ-ის-ა		სძლ-ებ-ის-ა
მოქმ.	სძლ-ით		სძლ-ებ-ით
	სძლ-ით-ა		სძლ-ებ-ით-ა
ვით.	სძლ-ად		სძლ-ებ-ად
წოდ.	სძალ-ო	სძალ-ნ-ო	სძლ-ებ-ო

ა ამოვარდება ზამთარ, ზეწარ, ისარ, ლამპარ, მაცხოვარ, მოძღუარ, მსტოვარ, მჯარ, მყუარ, დედალ, მამალ, ლელწამ, მტევან და სხვა ფუძეებიდან.

ფუძიდან ამოვარდება ე

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	ირემ		ირმ-ებ
	ირემ-ი	ირემ-ნ-ი	ირმ-ებ-ი
მოთხ.	ირემ-მან	ირემ-თ-ა	ირმ-ებ-მან
მიც.	ირემ-ს	ირემ-თ-ა	ირმ-ებ-ს
	ირემ-ს-ა		ირმ-ებ-ს-ა
ნათ.	ირმ-ის	ირემ-თ-ა	ირმ-ებ-ის
	ირმ-ის-ა		ირმ-ებ-ის-ა
მოქმ.	ირმ-ით		ირმ-ებ-ით
	ირმ-ით-ა		ირმ-ებ-ით-ა
ვით.	ირმ-ად		ირმ-ებ-ად
წოდ.	ირემ-ო	ირემ-ნ-ო	ირმ-ებ-ო

ფუძისეული ე ამოვარდება კედელ, მგელ, მუცელ, სანთელ, სარეცელ, სოფელ, ყურძენ, ძღუენ, ოჯერ, ურემ, ბეჭედ, მკერდ, ღმერთ, ხუცეს და სხვა ფუძეებიდან.

ო ფუძიდან ამოვარდება, თუ ერთმანეთის მიმყოლ მარცვლებში მეორდება ო (გოდოლ, ფოთოლ, ჯოჯობ, გოდორ, კოწოლ...), სხვა შემთხვევებში ო უმარცვლო უ-დ იქცევა (მონაზონ, ნიგოზ...).

ნიმუშები:

ო მთლიანად ამოვარდება:

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	ჰოროლ		ჰორლ-ებ
	ჰოროლ-ი	ჰოროლ-ნ-ი	ჰორლ-ებ-ი
მოთხ.	ჰოროლ-მან	ჰოროლ-თ-ა	ჰორლ-ებ-მან
მიც.	ჰოროლ-ს	ჰოროლ-თ-ა	ჰორლ-ებ-ს
	ჰოროლ-ს-ა		ჰორლ-ებ-ს-ა
ნათ.	ჰორლ-ის	ჰოროლ-თ-ა	ჰორლ-ებ-ის
	ჰორლ-ის-ა		ჰორლ-ებ-ის-ა
მოქმ.	ჰორლ-ით		ჰორლ-ებ-ით
	ჰორლ-ით-ა		ჰორლ-ებ-ით-ა
ვით.	ჰორლ-ად		ჰორლ-ებ-ად
წოდ.	ჰოროლ-ო	ჰოროლ-ნ-ო	ჰორლ-ებ-ო

ო იქცევა უ-დ:

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	მონაზონ		მონაზუნ-ებ
	მონაზონ-ი	მონაზონ-ნ-ი	მონაზუნ-ებ-ი
მოთხ.	მონაზონ-მან	მონაზონ-თ-ა	მონაზუნ-ებ-მან
მიც.	მონაზონ-ს	მონაზონ-თ-ა	მონაზუნ-ებ-ს
	მონაზონ-ს-ა		მონაზუნ-ებ-ს-ა
ნათ.	მონაზუნ-ის	მონაზონ-თ-ა	მონაზუნ-ებ-ის
	მონაზუნ-ის-ა		მონაზუნ-ებ-ის-ა
მოქმ.	მონაზუნ-ით		მონაზუნ-ებ-ით
	მონაზუნ-ით-ა		მონაზუნ-ებ-ით-ა
ვით.	მონაზუნ-ად		მონაზუნ-ებ-ად
წოდ.	მონაზონ-ო	მონაზონ-ნ-ო	მონაზუნ-ებ-ო

შენიშვნა 1: ძველ ქართულ ტექსტებში შესაძლოა დავადასტუროთ ერთი და იმავე ფუძის შეკუმშული და შეუკუმშავი ვარიანტები (მკევლისა// მკევალისა...).

შენიშვნა 2: არის შემთხვევები, როცა ცალკე აღებული ერთმარცვლიანი ფუძე უკუმშველია, მაგრამ თუ იგი კომპოზიტის (რთული სიტყვის) მეორე ნაწილია, შეიკუმშება (თავ-ი, თავ-ის-ა, შდრ. ერისთავ-ი, ერისთვისა...).

შენიშვნა 3: როგორც წესი, არ იკუმშება -ელ მაწარმოებლით დაბოლოებული ფუძეები (საყოფელ-ი — საყოფელ-ისა, სადიდებელ-ი — სადიდებელისა...).

ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება

39. ხმოვანფუძიანი სახელები იყოფა ორ ჯგუფად იმის მიხედვით, იცვლება თუ არა ბრუნებისას ფუძე. თუ სახელის ფუძე უცვლელია, ფუძეუკვეცელი სახელი გვაქვს. ფუძეუკვეცელია ო-სა და უ-ზე დაბოლოებული სახელები. თუ ბრუნებისას სახელის ფუძის ბოლოკიდურა ხმოვანი ამოვარდება, სახელი კვეცადია. იკვეცება ა-სა და ე-ზე დაბოლოებული ფუძეები. კვეცა ხდება მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში, ა ხმოვნით დაბოლოებული ფუძეები ებ-იან მრავლობითშიც იკვეცება.

ფუძეუკვეცელ სახელთა ბრუნება

40. ო ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეთა ოდენობა ძველ ქართულში დიდი არაა.

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	ხერო		ხერო-ებ
	ხერო-ი	ხერო-ნ-ი	ხერო-ებ-ი
მოთხ.	ხერო-მან	ხერო-თ-ა	ხერო-ებ-მან

მიც.	ხურო-ს	ხურო-თ-ა	ხურო-ებ-ს
	ხურო-ს-ა		ხურო-ებ-ს-ა
ნათ.	ხურო-ის	ხურო-თ-ა	ხურო-ებ-ის
	ხურო-ის-ა		ხურო-ებ-ის-ა
მოქმ.	ხურო-ით		ხურო-ებ-ით
	ხურო-ით-ა		ხურო-ებ-ით-ა
ვით.	ხურო-დ		ხურო-ებ-ად
წოდ.	ხურო-ო	ხურო-ნ-ო	ხურო-ებ-ო

ასევე იბრუნვის: აბანო, ბაბილო, გემო, გრჭო, დრო, ეზო, ერბო, ერდო, თეძო, კინამო, კურო, მდელო, ოქრო, რკო, რტო, წყარო და სხვა ფუძეები.

შენიშვნა: მხოლობითი რიცხვის წოდებითი ბრუნვისა და ებ-იანი მრავლობითის ფორმებში შეიძლება გაჩნდეს ვ: წყაროვო, წყაროვებ, წყაროვები და მისთ.

უ-ზე დაბოლოებული სახელები მეტად იშვიათია: ბუ, კუ, ძუ, ძუძუ, რიჟურაჟუ–

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	კუ		კუ-ებ
	კუ-ი	კუ-ნ-ი	კუ-ებ-ი
მოთხ.	კუ-მან	კუ-თ-ა	კუ-ებ-მან
მიც.	კუ-ს	კუ-თ-ა	კუ-ებ-ს
	კუ-ს-ა		კუ-ებ-ს-ა
ნათ.	კუ-ის	კუ-თ-ა	კუ-ებ-ის
	კუ-ის-ა		კუ-ებ-ის-ა
მოქმ.	კუ-ით		კუ-ებ-ით
	კუ-ით-ა		კუ-ებ-ით-ა
ვით.	კუ-დ		კუ-ებ-ად
წოდ.	კუ-ო	კუ-ნ-ო	კუ-ებ-ო

შენიშვნა: ერთმარცვლიან სახელთა მხ. რიცხვის სახელობითსა და წოდებით ბრუნვებში, აგრეთვე ებ-იანი მრავლობითის ფორმებში შესაძლოა გაჩნდეს ვ: კუვი, კუვო, კუვებ, კუვები, კუვებმან და მისთ.

ფუძეკვეცად სახელთა ბრუნება

41. ამოვარდება ბოლოკიდური ა ხმოვანი:

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	ძმა		ძმ-ებ
	ძმა-ჲ	ძმა-ნ-ი	ძმ-ებ-ი
მოთხ.	ძმა-მან	ძმა-თ-ა	ძმე-ებ-მან
მიც.	ძმა-ს	ძმა-თ-ა	ძმ-ებ-ს
	ძმა-ს-ა		ძმ-ებ-ს-ა
ნათ.	ძმ-ის	ძმა-თ-ა	ძმ-ებ-ის
	ძმ-ის-ა		ძმ-ებ-ის-ა
მოქმ.	ძმ-ით		ძმ-ებ-ით
	ძმ-ით-ა		ძმ-ებ-ით-ა
ვით.	ძმა-დ		ძმ-ებ-ად
წოდ.	ძმა-ო	ძმა-ნ-ო	ძმ-ებ-ო

ასევე იბრუნვის: არსება, აფრა, ამაოება, ამბოხება, ბუნება, გაგა, დაბა, დედა, დიდება, დიკა, დილა, დრამა, ელვა, ენა, ზეცა, თივა, თმა, თხა, იწროება, კონა, ლუკმა, მამა, რქა, სირა, სტავრა, ტბა, ფხა, ქვა, ქუეყანა, ღლია, ყანა, ყრმა, ყუა, ძაძა, წყრთა, ჭიქა, ჯმა და სხვა სახელები.

ამოვარდება ე ხმოვანი:

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	დღე		დღე-ებ
	დღᲔ [დღე-ჲ]	დღე-ნ-ი	დღე-ებ-ი
მოთხ.	დღე-მან	დღე-თ-ა	დღე-ებ-მან
მიც.	დღე-ს	დღე-თ-ა	დღე-ებ-ს
	დღე-ს-ა		დღე-ებ-ს-ა
ნათ.	დღ-ის	დღე-თ-ა	დღე-ებ-ის
	დღ-ის-ა		დღე-ებ-ის-ა
მოქმ.	დღ-ით		დღე-ებ-ით
	დღ-ით-ა		დღე-ებ-ით-ა
ვით.	დღე-დ		დღე-ებ-ად
წოდ.	დღე-ო	დღე-ნ-ო	დღე-ებ-ო

ასევე იბრუნვის: არე, არვე, ბაგე, ბადე, ბუდე, ბჭე, დჯრე, ვაკე, ზღუდე, თორნე, კბოდე, კიბე, კლდე, მარცხენე, მარჯუენე, მეუფე, მზე, სახე, სეფე, სიძე, სძე, ტყე, ფრთე, ფუძე, ღამე, ღობე, ღონე, ყურე, ციხე, ძე და სხვა სახელები.

ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნება

43. ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნებას რამდენიმე თავისებურება ახასიათებს:

ა) ისინი სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, როგორც წესი, არ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს;

ბ) არ მოუდით მავრცობი ხმოვანი;

გ) როგორც წესი, არ ეწარმოებათ მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები;

დ) მათი ფუძე არც იკუმშება და არც იკვეცება;

ე) არ გააჩნიათ მრავლობითი რიცხვის ფორმები.

<u>ნიმუშები:</u>

სახ.	იაკობ	ევა	ვაჩე	გიორგი	ნინო	იესუ
მოთხ.	იაკობ	ევა	ვაჩე	გიორგი	ნინო	იესუ
მიც.	იაკობ-ს	ევა-ს	ვაჩე-ს	გიორგი-ს	ნინო-ს	იესუ-ს
ნათ.	იაკობ-ის	ევა-ას	ვაჩ[ე]-ს [ვაჩე-ას]	გიორგი-ს	ნინო-ას	იესუ-ას
მოქმ.						
ვით.						
წოდ.	იაკობ	ევა	ვაჩე	გიორგი	ნინო	იესუ

შენიშვნა 1: ადამიანის საკუთარი სახელი სახელობითის ნიშნით გვხვდება VII საუკუნიდან, მოთხრობითის ნიშნით IX საუკუნიდან, წოდებითის ნიშნით — X საუკუნიდან. ასეთი ფორმები ასახავენ ცოცხალ მეტყველებას.

შენიშვნა 2: ა მავრცობი ხმოვანი ადამიანის საკუთარ სახელთან დასტურდება IX საუკუნიდან. ცხადია, ეს მოვლენაც ცოცხალი მეტყველების ამსახველია.

შენიშვნა 3: XI საუკუნიდან იშვიათად გვხვდება ადამიანის საკუთარი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმები (მარია-მ-ნ-ი, მარიამ-თა და მისთ.).

ისინი ხელოვნურია, ოდენწიგნურია, ამიტომაც ვერ გავრცელდნენ.

შენიშვნა 4: -ით/-ად ბრუნვისნიშნიანი მოქმედებითი ადამიანის საკუთარ სახელებთან მხოლოდ -ურთ, -გან, თანდებულების დართვისას იჩენს თავს (მარიამ-ით-ურთ, ადამ-ით-გან, მართა-ად-ურთ, მართა-ად-გან...).

მეტად იშვიათია -ად/-დ ნიშნიანი ვითარებითი.

შენიშვნა 5: ადამიანის საკუთარ სახელებთან მოქმედებითს ენაცვლება ნათესაობითისაგან ნაწარმოები -ის-ით დაბოლოებიანი ფორმა, ხოლო ვითარებითს ასევე ნათესაობითისაგან ნაწარმოები -ის-ად დაბოლოებიანი ფორმა (ყოველი ნათესავი აბრაჰამისითგან ვიდრე დავითისადმდე ნათესავი ათოთხმეტ, მ. 17).

შენიშვნა 6: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში ადამიანის საკუთარი სახელი ერთნაირი ფორმითაა წარმოდგენილი. წოდებითის ფორმის გამორჩევა ადვილია (იგი მიმართვას წარმოადგენს). უფრო ძნელია სახელობითისა და მოთხრობითის ფორმათა გამიჯვნა. საჭიროა გამოვიყენოთ ჩანაცვლების ხერხი: აღდგა იაკობ (აღდგა კაცი) — სახელობითი ბრუნვა; აღაშენა იაკობ (აღაშენა კაცმან) — მოთხრობითი ბრუნვა.

როცა საკუთარ სახელს მსაზღვრელი ახლავს, იგი გვეხმარება ბრუნვის დადგენისას: მოვიდა წმიდაი გრიგოლი (სახ. ბრ.); თქუა უშჯულომან ვარსქენ (მოთხ. ბრუნვა).

არის შემთხვევები, როცა ფრაზაში ბრუნვის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი სუბიექტი (ქვემდებარე) და პირდაპირი ობიექტი (დამატება). სუბიექტი პირდაპირ ობიექტს უსწრებს: აბრაჰამ შვა ისააკ (აბრაჰამ სუბიექტია, იგი მოთხრობითშია, ისააკ პირდაპირი ობიექტია, სახელობითშია).

უნდა გავითვალისწინოთ კონტექსტიც. შესაძლოა, ობიექტი უსწრებდეს სუბიექტს (მიიყვანა იესუ პილატე ი. 19,1 აქ იესუ სახელობითშია, პილატე მოთხრობითში).

შენიშვნა 7: ი ხმოვნით დაბოლოებულ სახელთა მიცემითი და ნათესაობითი ერთნაირია. გასარჩევად ვიყენებთ ჩანაცვლების ხერხს (ჰრქუა მან გიორგის (კაცსა) — მიცემითი), უწყით გიორგის (კაცისა) საქმე — ნათესაობითია).

შენიშვნა 8: ე-ზე დაბოლოებულ სახელთა ნათესაობითში უნდა გვქონდეს Ი (პეტრᲘს, ჰეროდᲘს...). იგი გამოხატავს /ეᲘ/ დიფთონგს, რომელიც იქმნება ფუძის ბოლოკიდური /ე/ ხმოვნისა და ნათესაობითის ნიშნისეული [Ი]-ს შეხვედრისას. ძალიან ხშირად Ი-ს ენაცვლება ე. ნათესაობითისა და მიცემითის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. გასარჩევად აქაც ჩანაცვლების ხერხს მივმართავთ.

გეოგრაფიულ სახელთა ბრუნება

44. გეოგრაფიული სახელები ძირითადად საზოგადო სახელთა მსგავსად იბრუნვიან (ცხადია, მათ მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოებათ). მიცემითში დასმული -ს დაბოლოებიანი სახელი გამოხატავს მიმართულების (წარვიდა მცხეთას, ტფილისს, ოპიზას...), იშვიათად სადაობის (იყო მცხეთას, ტფილისს, ოპიზას...). სადაობის გამოხატავს აგრეთვე ა მავრცობიანი ფორმა (იყო მცხეთასა, ტფილისსა...). -ს-ა დაბოლოება დაერთვის მსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახელს (განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა ქართლსა), ან თანდებულიან გეოგრაფიულ სახელს (იორდანესა შინა, იშხანსა ზედა და მისთ.).

ნათესაობითში უპირატესად -ის-ა/-ᲘᲡ-Ა დაბოლოება გვაქვს. ეს იმითაა შეპირობებული, რომ ნათესაობითში დასმული გეოგრაფიული სახელი, ჩვეულებრივ, მსაზღვრელად გამოიყენება: **შავშეთისა** წყალნი, **ქართლისა** ქუეყანაᲐ და სხვ.).

-ით დაბოლოებიანი მოქმედებითი, როგორც წესი, გამოსვლითს გამოხატავს (მცხეთით „მცხეთიდან"...). არის ისეთი შემთხვევებიც, როცა -ით დაბოლოებიანი ფორმა მიმართულებითის ფუნქციით იხმარება (იონა... წარვიდა **თარშით**, *იონა 1,3 ლაგურკის ლექციონარი*).

ვითარებითში დასმული გეოგრაფიული სახელი მიმართულებითს გამოხატავს (წარემართა **ხანძთად**, **მცხეთად**...). მიმართულებითის გადმოსაცემად ტექსტებში მონაცვლეობენ მიცემითისა და ვითარებითის ფორმები (წარვიდა **გალილეას/გალილეად**...).

გეოგრაფიული სახელები წოდებითში ბრუნვის ნიშნითაც გვხვდება და უნიშნოდაც (გიხაროდენ, **ბეთლემო/ბეთლემ**...)

<u>ნიმუშები:</u>

სახ.	**შატბერდ**	**მცხეთა**	**სამცხე**
	შატბერდ-ი	**მცხეთა-Ა**	**სამცხᲔ** [**სამცხე-Ა**]
მოთხ.	**შატბერდ-მან**	**მცხეთა-მან**	**სამცხე-მან**
მიც.	**შატბერდ-ს**	**მცხეთა-ს**	**სამცხე-ს**
	შატბერდ-ს-ა	**მცხეთა-ს-ა**	**სამცხე-ს-ა**
ნათ.	**შატბერდ-ის**	**მცხეთ-ის**	**სამცხ-ის**
	შატბერდ-ის-ა	**მცხეთ-ის-ა**	**სამცხ-ის-ა**
მოქმ.	**შატბერდ-ით**	**მცხეთ-ით**	**სამცხ-ით**
	შატბერდ-ით-ა	**მცხეთ-ით-ა**	**სამცხ-ით-ა**
ვით.	**შატბერდ-ად**	**მცხეთა-დ**	**სამცხე-დ**
წოდ.	**შატბერდ**	**მცხეთა**	**სამცხე**
	შატბერდ-ო	**მცხეთა-ო**	**სამცხე-ო**

თუ გეოგრაფიული სახელის ფუძე ბოლოვდება **ლ მ ნ რ** თანხმოვნებით, მიმართულებითის გამოსახატავად ვითარებითში **-დ** სუფიქსი გვაქვს (ქართლ-**დ**, იერუსალᲘმ-**დ**, ბეთლემ-**დ**, სიონ-**დ**, ჩორ-**დ**...), დასტურდება -ად დაბოლოებიანი ფორმებიც (ქართლ-**ად**, იერუსალᲘმ-**ად**...), რაც გვიანდელი მოვლენაა.

როცა **ლ მ ნ რ** თანხმოვნებით დაბოლოებული გეოგრაფიული სახელი უბრალო დამატებას აღნიშნავს, ვითარებითში, როგორც წესი, **-ად** დაბოლოება გვაქვს (ქართლად ფრიადი ქუეყანაᲐ აღირაცხების).

თუ გეოგრაფიული სახელი -ეთ მიმდევრობით ბოლოვდება, მიმართულებითს -ა სუფიქსი აწარმოებს (კახეთ-ა, თოშეთ-ა, საბერძნეთ-ა,

ჯოჯოხეთ-ა...). -ა დაბოლოება გვაქვს აგრეთვე -ით სუფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელთან (სომხით-ა). იგი -ად სუფიქსისაგან მომდინარეობს.

თავისებურად ბრუნებადი სახელები

45. ა) შურდულ-ი. ესაა ერთადერთი სიტყვა, რომლის ბრუნებისას ფუძისეული უ ამოვარდება (ხდება კუმშვა):

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	შურდულ		შურდლ-ებ
	შურდულ-ი	შურდულ-ნ-ი	შურდლ-ებ-ი
მოთხ.	შურდულ-მან	შურდულ-თა	შურდლ-ებ-მან
მიც.	შურდულ-ს	შურდულ-თა	შურდლ-ებ-ს
	შურდულ-ს-ა		შურდლ-ებ-ს-ა
ნათ.	შურდლ-ის	შურდულ-თა	შურდლ-ებ-ის
	შურდლ-ის-ა		შურდლ-ებ-ის-ა
მოქმ.	შურდლ-ით		შურდლ-ებ-ით
	შურდლ-ით-ა		შურდლ-ებ-ით-ა
ვით.	შურდლ-ად		შურდლ-ებ-ად
წოდ.	შურდულ-ო	შურდულ-ნ-ო	შურდლ-ებ-ო

ბ) კუმშვად-კვეცადი სახელები. ძველ ქართულში არის ორი არსებითი სახელი, რომელთა ბრუნებისას ერთდროულად ორი ხმოვანი ამოვარდება: ერთი — ფუძის შიგნითა, მეორე — ფუძის ბოლოკიდურა. ეს სახელებია: მოწაფე, პატარა და მანქანა (სახ. მოწაფე/მოწაფ(ე) [მოწაფე-ე], ნათ. მოწფ-ის/მოწფ-ისა, მოქმ. მოწფ-ით/მოწფ-ითა, ვით. მოწფ-ად; სახ. პატარა-ი, ნათ. პატრ-ის-ა; სახ. მანქანა/მანქანა-ი, ნათ. მანქნ-ის/მანქნ-ისა, მოქმ. მანქნ-ით/მანქნ-ითა).

გ) ღვნო ერთადერთია ო-ზე დაბოლოებულ სახელთაგან, რომელიც იკვეცება (ღვნ-ისა, ღვნ-ითა).

დ) უმარცვლო უ-თი დაბოლოებულ სახელთა ბრუნება. ძველ ქართულში არის სახელთა ჯგუფი, რომელთა ფუძე უმარცვლო უ-თი ბოლოვდება: ბრანგუ, თაგუ, მოგუ, ნაძუ, ნეზუ, დათუ, ლეკუ, ფიჩუ, ბორცუ, კიცუ, ვეფხუ, ძეძუ, ჯაჭუ და მისთ. ამგვარ სახელთა ბრუნება არაერთი სხვაობს თანხმოვანფუძიან უკუმშველ სახელთა ბრუნებისაგან. სალიტერატურო ენის ძეგლებში თავს იჩენს ერთი ორთოგრაფიული მოვლენა: ფუძის ბოლოკიდურა უ-სა და ბრუნვის ნიშნისეული ი-ს შეხვედრისას სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში იქმნება /უი/ დიფთონგი, რომელიც ვ ნიშნით გადმოიცემა.

ნიმუშები:

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	ბორცუ		ბორცუ-ებ
	ბორცკ [ბორცუ-ი]	ბორცუ-ნ-ი	ბორცუ-ებ-ი
მოთხ.	ბორცუ-მან	ბორცუ-თა	ბორცუ-ებ-მან
მიც.	ბორცუ-ს	ბორცუ-თა	ბორცუ-ებ-ს
	ბორცუ-ს-ა		ბორცუ-ებ-ს-ა
ნათ.	ბორცკს [ბორცუ-ის]	ბორცუ-თა	ბორცუ-ებ-ის
	ბორცკსა [ბორცუ-ის-ა]		ბორცუ-ებ-ის-ა
მოქმ.	ბორცკთ [ბორცუ-ით]		ბორცუ-ებ-ით
	ბორცკთა [ბორცუ-ით-ა]		ბორცუ-ებ-ით-ა
ვით.	ბორცუ-ად		ბორცუ-ებ-ად
წოდ.	ბორცუ-ო	ბორცუ-ნ-ო	ბორცუ-ებ-ო

ე) უა და უე მარცვლებით დაბოლოებულ სახელთა ბრუნება. ძველ ქართულში უა მიმდევრობით ბოლოვდება: ზღუა, ლაკუა („ჭა"), სეტ-ყუა, სიტყუა, ეჩუა, ნეფხუა („ყინვა")_ სახელები, უე მარცვალზე: თთუე, მართუე, ტყუე, მენესტუე...

მათი ბრუნება არ განსხვავდება კვეცად სახელთა ბრუნებისაგან, ოღონდ მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში ფუძისეული უ-სა და ბრუნვისნიშნისეული ი-ს შეხვედრისას იქმნება /უი/ დიფთონგი, რომელიც სა-ლიტერატურო ენის ძეგლებში ვ გრაფემით გამოიხატება.

ნიმუშები:

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	სიტყუა		სიტყუ-ებ
	სიტყუა-ꙗ	სიტყუა-ნ-ი	სიტყუ-ებ-ი
მოთხ.	სიტყუა-მან	სიტყუა-თა	სიტყუ-ებ-მან
მიც.	სიტყუა-ს	სიტყუა-თა	სიტყუ-ებ-ს
	სიტყუა-ს-ა		სიტყუ-ებ-ს-ა
ნათ.	სიტყვს [სიტყუ-ის]	სიტყუა-თა	სიტყუ-ებ-ის
	სიტყვსა [სიტყუ-ის-ა]		სიტყუ-ებ-ის-ა
მოქმ.	სიტყვთ [სიტყუ-ით]		სიტყუ-ებ-ით
	სიტყვთა [სიტყუ-ით-ა]		სიტყუ-ებ-ით-ა
ვით.	სიტყუა-დ		სიტყუ-ებ-ად
წოდ.	სიტყუა-ო	სიტყუა-ნ-ო	სიტყუ-ებ-ო

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	მართუე		მართუე-ებ
	მართუꙊ [მართუე-ჲ]	მართუე-ნ-ი	მართუე-ებ-ი
მოთხ.	მართუე-მან	მართუე-თა	მართუე-ებ-მან
მიც.	მართუე-ს	მართუე-თა	მართუე-ებ-ს
	მართუე-ს-ა		მართუე-ებ-ს-ა
ნათ.	მართჷს [მართუ-ის]	მართუე-თა	მართუე-ებ-ის
	მართჷსა [მართუ-ის-ა]		მართუე-ებ-ის-ა
მოქმ.	მართჷთ [მართუ-ით]		მართუე-ებ-ით
	მართჷთა [მართუ-ით-ა]		მართუე-ებ-ით-ა
ვით.	მართუე-დ		მართუ-ებ-ად
წოდ.	მართუე-ო	მართუე-ნ-ო	მართუე-ებ-ო

ვ) ქრისტე. ძველ ქართულში ქრისტე თავისებურად იბრუნვის. მისი ბრუნება ნაწილობრივ მიჰყვება საზოგადო სახელთა ბრუნებას, ნაწილობრივ კი — საკუთარი სახელებისას: კერძოდ, სახელობითსა და მოთხრობითში დაერთვის ბრუნვის ნიშანი; მიცემითში აქვს -ს/-ს-ა დაბოლოება; ეწარმოება მოქმედებითი-სა და ვითარებითის ფორმები; ამავე დროს ნათესაობითსა და მოქმედებითში არ მოუდის მაერცობი; წოდებითში ფუძის სახითაა წარმოდგენილი; ფუძეუკვეცელია.

სახ.	ქრისტე	
	ქრისტꙊ	[ქრისტე-ჲ]
მოთხ.	ქრისტე-მან	
მიც.	ქრისტე-ს	
	ქრისტე-ს-ა	
ნათ.	ქრისტꙊს	[ქრისტე-ის]
მოქმ.	ქრისტꙊთ	[ქრისტე-ით]
ვით.	ქრისტე-დ	
წოდ.	ქრისტე	

ზ) ხუცესი. ხუცეს ფუძე ბრუნებისას იკუმშება, რის შედეგადაც მიღებული ცს კომპლექსი მარტივდება ს-ს დისიმილაციური დაკარგვით:

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	ხუცეს		ხუც-ებ
	ხუცეს-ი	ხუცეს-ნ-ი	ხუც-ებ-ი
მოთხ.	ხუცეს-მან	ხუცეს-თა	ხუც-ებ-მან
მიც.	ხუცეს-ს	ხუცეს-თა	ხუც-ებ-ს
	ხუცეს-ს-ა		ხუც-ებ-ს-ა
ნათ.	ხუც-ის	ხუცეს-თა	ხუც-ებ-ის
	ხუც-ის-ა		ხუც-ებ-ის-ა
მოქმ.	ხუც-ით		ხუც-ებ-ით

	ხუც-ით-ა		ხუც-ებ-ით-ა
ვით.	ხუც-ად		ხუც-ებ-ად
წოდ.	ხუცეს-ო ხუცეს	ხუცეს-ნ-ო	ხუც-ებ-ო

Ძ) ფარაო. იბრუნვის ადამიანის საკუთარ სახელთა მსგავსად:

სახ.	ფარაო
მოთხ.	ფარაო
მიც.	ფარაო-ს
ნათ.	ფარაო-ის
მოქმ.	
ვით.	
წოდ.	ფარაო

თ) -ილ მიმდევრობით დაბოლოებულ სახელთა ბრუნება. -ილ-ით დაბოლოებული ზოგი სახელი (წარმოშობით საწყისი, ან მიმღეობა) ვითარებითში დაირთავს -დ-ს, რის შედეგადაც ფუძის ბოლოკიდურა ლ ამოვარდება ხოლმე (ტირი-დ, სიკუდი-დ, ყივი-დ, ადგი-დ...).

ი) სახლ- ფუძის ვითარებითის წარმოება. ძველ ქართულში დასტურდება სახლ სიტყვის ვითარებითის შემდეგი ვარიანტები: სახლ-ად, სახე-დ, სახი-დ, სახლ-დ. სახლად, როგორც წესი, იხმარება უბრალო დამატების გადმოსაცემად (ყვეს ადგილი სახლად სარცხვნელად, IV მეფ. 10,27), ხოლო სახლდ, სახედ, სახიდ ფორმები მიმართულებითის ფუნქციით (წარვიდა სახლდ/სახედ/სახიდ). როგორც ჩანს, ლ ისტორიულად მარცვლოვანი იყო. მისი რეფლექსებია ე/ი (სახედ/სახიდ).

ია) ა-თი დაბოლოებული ზოგი სახელის უკვეცელობა. ძველ ქართულში არის ა-თი დაბოლოებული რამდენიმე ნასესხები სიტყვა, რომლებიც არ იკვეცებიან ადრინდელ ძეგლებში (აფსიდა, ბაია, ეკლესია, მანანა, ანტლია („წყლის ამოსაღები"), ანტიოქია, ასია, ალექსანდრია (აფსიდა-ჲ, აფსიდა-ჲსა; ბაია-ჲ, ბაია-ჲსა; ეკლესია-ჲ, ეკლესია-ჲსა...).

ამ სახელთა დიდი უმრავლესობა მოგვიანო პერიოდის ძეგლებში იკვეცება. გამონაკლისებად დარჩნენ: ბაია და მანანა.

იბ) ე-თი დაბოლოებულ სახელთა უკვეცელობის შემთხვევები. შენიშნულია ე-თი დაბოლოებული ორიოდე სახელის უკვეცელობის შემთხვევები (ანტე, იქედნე, არე, ყურე). ამათგან პირველი ორი აშკარად ბერძნულიდან მომდინარეობს.

ძველ ძეგლებში ეს სახელები უპირატესად იკვეცება, იშვიათად წარმოდგენილი არიან ფუძის შეუკვეცლად.

ნათესაობითში დასმული სახელი მსაზღვრელად

ნათესაობითში დასმული სახელი ძველ ქართულში ხშირად ასრულებს მსაზღვრელის ფუნქციას ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი უპირატესად მოსდევს სასვრულს, შედარებით იშვიათად უსწრებს

1) მსაზღვრელი მოსდევს სასვრულს. გამოიყოფა ოთხი შემთხვევა: ა) მსაზღვრელი და სასვრული მთლიანობაში; ბ) სასვრული მრავლობითში, მსაზღვრელი — მთლიანობაში; გ) სასვრული მთლიანობაში, მსაზღვრელი — მრავლობითში; დ) მსაზღვრელი და სასვრული მრავლობითში:

	ა)	ბ)
სახ.	ხატ კაცისა ხატ-ი კაცისა-ჲ	ხატ-ნ-ი კაცისა-ნ-ი
მოთხ.	ხატ-მან კაცისა-მან	ხატ-თა კაცისა-თა
მიც.	ხატ-სა კაცისა-სა	ხატ-თა კაცისა-თა
ნათ.	ხატ-ისა კაცისა-ჲსა/კაცისა	ხატ-თა კაცისა-თა
მოქმ.	ხატ-ითა კაცისა-ჲთა	
ვით.	ხატ-ად კაცისა(-დ)	
წოდ.	ხატ-ო კაცისა-ო	ხატ-ნ-ო კაცისა-ნ-ო

	გ)	დ)
სახ.	ხატ კაცთა ხატ-ი კაცთა-ჲ	ხატ-ნ-ი კაცთა-ნ-ი
მოთხ.	ხატ-მან კაცთა-მან	ხატ-თა კაცთა-მან
მიც.	ხატ-სა კაცთა-სა	ხატ-თა კაცთა-სა
ნათ.	ხატ-ისა კაცთა-ჲსა	ხატ-თა კაცთა-ჲსა
მოქმ.	ხატ-ითა კაცთა-ჲთა	ხატ-თა კაცთა-ჲთა
ვით.	ხატ-ად კაცთა	
წოდ.	ხატ-ო კაცთა-ო	ხატ-ნ-ო კაცთა-ნ-ო

შენიშვნა: დ შემთხვევას ასრულებს არ მოლეს მსაზღვრელი -თა დაბოლოებას. მეტად იშვიათად დასტურდება ოდენ -თა (ბრეტს ბალატს მდელთმოძღვარნა მთა ჰერეთსა, ი 82C).

მსაზღვრელი თუ გეოგრაფიული სახელია, ა და ბ შემთხვევები გვაქვს:

	ა)	ბ)
სახ.	ერ ქართლისა ერ-ი ქართლისა-ჲ	ერ-ნ-ი ქართლისა-ნ-ი
მოთხ.	ერ-მან ქართლისა-მან	ერ-თა ქართლისა-თა
მიც.	ერ-სა ქართლისა-სა	ერ-თა ქართლისა-თა
ნათ.	ერ-ისა ქართლი-ჲსა/ ერ-ისა ქართლისა	ერ-თა ქართლისა-თა
მოქმ.	ერ-ითა ქართლისა-ჲთა	
ვით.	ერ-ად ქართლისა(-დ)	
წოდ.	ერ-ო ქართლისა-ო	ერ-ნ-ო ქართლისა-ნ-ო

მსაზღვრელი თუ ადამიანის საკუთარი სახელია, მაშინაც ა და ბ შემთხვევებია:

	ა)	ბ)
სახ.	ძე დავითის	ძე-ნ-ი დავითის-ნ-ი
	ძჷ [ძე-ჲ] დავითის-ი	
მოთხ.	ძე-მან დავითის-მან	ძე-თა დავითის-თა
მიც.	ძე-სა დავითის-სა	ძე-თა დავითის-თა
ნათ.	ძ-ისა დავითის-ა	ძე-თა დავითის-თა
მოქმ.	ძ-ითა დავითის-ითა	
ვით.	ძე-დ დავითის-ა(-დ)	
წოდ.	ძე-ო დავითის-ო	ძე-ნ-ო დავითის-ნ-ო

2) მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს. ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი, როგორც წესი, უცვლელია. ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მხოლოდ საზღვრული.

მსაზღვრელი საზოგადო სახელია:

	ა)	ბ)
სახ.	კაცისა ხატ	კაცისა ხატ-ნ-ი
	კაცისა ხატ-ი	
მოთხ.	კაცისა ხატ-მან	კაცისა ხატ-თა
მიც.	კაცისა ხატ-ს	კაცისა ხატ-თა
	კაცისა ხატ-სა	
ნათ.	კაცისა ხატ-ის	კაცისა ხატ-თა
	კაცისა ხატ-ისა	
მოქმ.	კაცისა ხატ-ით	
	კაცისა ხატ-ითა	
ვით.	კაცისა ხატ-ად	
წოდ.	კაცისა ხატ-ო	კაცისა ხატ-ნ-ო

	გ)	დ)
სახ.	კაცთა ხატ	კაცთა ხატ-ნ-ი
	კაცთა ხატ-ი	
მოთხ.	კაცთა ხატ-მან	კაცთა ხატ-თა
მიც.	კაცთა ხატ-ს	კაცთა ხატ-თა
	კაცთა ხატ-სა	
ნათ.	კაცთა ხატ-ის	კაცთა ხატ-თა
	კაცთა ხატ-ისა	
მოქმ.	კაცთა ხატ-ით	
	კაცთა ხატ-ითა	

ვით.	კაცთა ხატ-ად	
წოდ.	კაცთა ხატ-ო	კაცთა ხატ-ნ-ო

შენიშვნა: ბ შემთხვევის პარალელურად შესაძლოა გვქონდეს: კაცისა ხატებ/ხატ-ებ-ი; კაცისა ხატ-ებ-მან და ა.შ. გ შემთხვევის გვერდით: კაცებისა ხატ/ხატ-ი; კაცებისა ხატ-მან და ა.შ. დ შემთხვევის პარალელურად: კაცებისა ხატ-ებ/ხატ-ებ-ი; კაცებისა ხატ-ებ-მან და ა.შ.

არის შემთხვევები, როცა პრეპოზიციურ მსაზღვრელსაც დაერთვის ბრუნვის ნიშანი:

	ა)	ბ)
სახ.	კაცისა ხატ	კაცისა-ნ-ი ხატ-ნ-ი
	კაცისა-ჲ ხატ-ი	
მოთხ.	კაცისა-მან ხატ-მან	კაცისა-თა ხატ-თა
მიც.	კაცისა-სა ხატ-სა	კაცისა-თა ხატ-თა
ნათ.	კაცისა-ჲსა ხატ-ისა	კაცისა-თა ხატ-თა
მოქმ.	კაცისა-ჲთა ხატ-ითა	
ვით.	კაცისა-დ ხატ-ად	
წოდ.	კაცისა-ო ხატ-ო	კაცისა-ნ-ო ხატ-ნ-ო

	გ)	დ)
სახ.	კაცთა ხატ	კაცთა-ნ-ი ხატ-ნ-ი
	კაცთა-ჲ ხატ-ი	
მოთხ.	კაცთა-მან ხატ-მან	კაცთა ხატ-თა
მიც.	კაცთა-სა ხატ-სა	კაცთა ხატ-თა
ნათ.	კაცთა-ჲსა ხატ-ისა	კაცთა ხატ-თა
მოქმ.	კაცთა-ჲსა ხატ-ისა	
ვით.	კაცთა-დ ხატ-ად	
წოდ.	კაცთა-ო ხატ-ო	კაცთა-ნ-ო ხატ-ნ-ო

ამგვარი ფორმები უმეტესად მაშინ გვაქვს, როცა მსაზღვრელ-საზღვრული გათიშულია (ღმრთისაჲ იგი სიტყუაჲ, ღმრთისამან მან სიტყუამან და ა.შ).

მსაზღვრელად გეოგრაფიული სახელია:

	ა)	ბ)
სახ.	ქართლისა ერ	ქართლისა ერ-ნ-ი
	ქართლისა ერ-ი	
მოთხ.	ქართლისა ერ-მან	ქართლისა ერ-თა
მიც.	ქართლისა ერ-სა	ქართლისა ერ-თა
ნათ.	ქართლისა ერ-ისა	ქართლისა ერ-თა
მოქმ.	ქართლისა ერ-ითა	
ვით.	ქართლისა ერ-ად	

წოდ. ქართლისა ერ-ო ქართლისა ერ-ნ-ო

მსაზღვრელად ადამიანის საკუთარი სახელია:

ა)	ბ)
სახ. იაკობის ძე	იაკობის ძე-ნ-ი//იაკობის ძე-ებ
იაკობის ძ[ე] [ძე-ჲ]	იაკობის ძე-ებ-ი
მოთხ. იაკობის ძე-მან	იაკობის ძე-თა//იაკობის ძე-ებ-მან
მიც. იაკობის ძე-ს	იაკობის ძე-თა//იაკობის ძე-ებ-ს
ქიაკობის ძე-სა	იაკობის ძე-ებ-სა
ნათ. იაკობის ძ-ის	იაკობის ძე-თა//იაკობის ძე-ებ-ის
იაკობის ძ-ისა	იაკობის ძე-ებ-ისა
მოქმ. იაკობის ძ-ით	იაკობის ძე-ებ-ით
იაკობის ძ-ითა	იაკობის ძე-ებ-ითა
ვით. იაკობის ძე-დ	იაკობის ძე-ებ-ად
წოდ. იაკობის ძე-ო	იაკობის ძე-ნ-ო//იაკობის ძე-ებ-ო

ნათესაობითში დასმული რამდენიმე მსაზღვრელი საზღვრულთან

47. არის შემთხვევები, როცა საზღვრულს ნათესაობითში დასმული რამდენიმე მსაზღვრელი ახლავს. შესაძლოა: ა) ყველა მსაზღვრელი დაირთავდეს ბრუნვის ნიშანს; ბ) ბრუნვის ნიშანი მხოლოდ ბოლო მსაზღვრელს მოუდიოდეს.

ა) მხ. რ.

სახ. ათეულ პიტნაკისა და ტეგანისა და მხლისა
ათეულ-ი პიტნაკისა-ჲ და ტეგანისა-ჲ და მხლისა-ჲ
მოთხ. ათეულ-მან პიტნაკისა-მან და ტეგანისა-მან და მხლისა-მან
მიც. ათეულ-სა პიტნაკისა-სა და ტეგანისა-სა და მხლისა-სა
ნათ. ათეულ-ისა პიტნაკისა-ჲსა და ტეგანისა-ჲსა და მხლისა-ჲსა
მოქმ. ათეულ-ითა პიტნაკისა-ჲთა და ტეგანისა-ჲთა და მხლისა-ჲთა
ვით. ათეულ-ად პიტნაკისა(-დ) და ტეგანისა(-დ) და მხლისა(-დ)
წოდ. ათეულ-ო პიტნაკისა-ო და ტეგანისა-ო და მხლისა-ო

მრ. რ.

სახ. ათეულ-ნ-ი პიტნაკისა-ნ-ი და ტეგანისა-ნ-ი და მხლისა-ნ-ი
მოთხ. ათეულ-თა პიტნაკისა-თა და ტეგანისა-თა და მხლისა-თა
მიც. ათეულ-თა პიტნაკისა-თა და ტეგანისა-თა და მხლისა-თა
ნათ. ათეულ-თა პიტნაკისა-თა და ტეგანისა-თა და მხლისა-თა
მოქმ.
ვით.
წოდ. ათეულ-ნ-ო პიტნაკისა-ნ-ო და ტეგანისა-ნ-ო და მხლისა-ნ-ო

ბ) მხ. რ.

სახ. მოწყალება გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა
მოწყალება-ჲ გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა-ჲ
მოთხ. მოწყალება-მან გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა-მან
მიც. მოწყალება-სა გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა-სა
ნათ. მოწყალებ-ისა გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა-ჲსა
მოქმ. მოწყალებ-ითა გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა-ჲთა
ვით. მოწყალება-დ გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა(-დ)
წოდ. მოწყალება-ო გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა-ო

მრ. რ.

სახ. მოწყალება-ნ-ი გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა-ნ-ი
მოთხ. მოწყალება-თა გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა-მან
მიც. მოწყალება-თა გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა-სა
ნათ. მოწყალება-თა გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა-ჲსა
მოქმ. მოწყალება-თა გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა-ჲთა
ვით. მოწყალება-თა გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა(-დ)
წოდ. მოწყალება-ნ-ო გლახაკთა და ობოლთა და ქურივთა-ნ-ო

ძველ ქართულში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელს თავად ახლავს ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი (კედელი სახლისა მეფისაჲ). აქ გამოიყოფა ორი სინტაგმა: კედელი სახლისაჲ, სადაც სახლისაჲ მსაზღვრელია, და სახლისა მეფისაჲ, სადაც მეფისაჲ არის მსაზღვრელი. ამგვარი ფრაზის პირველი წევრი ყოველთვის საზღვრულია, მესამე წევრი ყოველთვის მსაზღვრელი, მეორე კი მსაზღვრელია პირველთან მიმართებით, მაგრამ მესამესთან მიმართებით საზღვრულს წარმოადგენს.

პირველი წევრი ყოველთვის დაირთავს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს, მეორე წევრი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს (ოღონდ შეიძლება იდგეს მხოლობითში ან მრავლობითში), მესამე ყოველთვის დაირთავს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს, ამასთან იგი ანგარიშს უწევს სინტაგმის პირველ და მეორე წევრებსაც. ამ ტიპის სინტაგმათა ბრუნების რვა შემთხვევა გამოიყოფა.

ა) სინტაგმის ყველა წევრი მხოლობითშია:

სახ. ძე მთავრისა ქუეყანისაჲსა
ძ̑ [ძე-ჲ] მთავრისა ქუეყანისაჲსა-ჲ
მოთხ. ძე-მან მთავრისა ქუეყანისაჲსა-მან
მიც. ძე-სა მთავრისა ქუეყანისაჲსა-სა
ნათ. ძ-ისა მთავრისა ქუეყანისაჲსა-ჲსა
მოქმ. ძ-ითა მთავრისა ქუეყანისაჲსა-ჲთა
ვით. ძე-დ მთავრისა ქუეყანისაჲსა(-დ)
წოდ. ძე-ო მთავრისა ქუეყანისაჲსა-ო

ბ) სინტაგმის პირველი წევრი მრავლობითშია, მეორე და მესამე – მხოლობითში:

სახ. ძე-ნ-ი მთავრისა ქუეყანისაჲსა-ნ-ი
მოთხ. ძე-თა მთავრისა ქუეყანისაჲსა-თა
მიც. ძე-თა მთავრისა ქუეყანისაჲსა-თა
ნათ. ძე-თა მთავრისა ქუეყანისაჲსა-თა
მოქმ.
ვით.
წოდ. ძე-ნ-ო მთავრისა ქუეყანისაჲსა-ნ-ო

გ) სინტაგმის პირველი და მესამე წევრები მხოლობითშია, მეორე – მრავლობითში:

სახ. ძე მთავართა ქუეყანისათა
ძℓ [ძე-ჲ] მთავართა ქუეყანისათა-ჲ
მოთხ. ძე-მან მთავართა ქუეყანისათა-მან
მიც. ძე-სა მთავართა ქუეყანისათა-სა
ნათ. ძ-ისა მთავართა ქუეყანისათა-ჲსა
მოქმ. ძ-ითა მთავართა ქუეყანისათა-ჲთა
ვით. ძე-დ მთავართა ქუეყანისათა(-დ)
წოდ. ძე-ო მთავართა ქუეყანისათა-ო

დ) სინტაგმის პირველი და მეორე წევრები მრავლობითშია, მესამე – მხოლობითში:

სახ. ძე-ნ-ი მთავართა ქუეყანისათა-ნ-ი
მოთხ. ძე-თა მთავართა ქუეყანისათა-მან/ქუეყანისათა
მიც. ძე-თა მთავართა ქუეყანისათა-სა/ქუეყანისათა
ნათ. ძე-თა მთავართა ქუეყანისათა-ჲსა/ქუეყანისათა
მოქმ.
ვით.
წოდ. ძე-ნ-ო მთავართა ქუეყანისათა-ნ-ო

ე) სინტაგმის პირველი და მეორე წევრები მხოლობითშია, მესამე – მრავლობითში:

სახ. ძე მთავრისა ქუეყანათაჲსა
ძℓ [ძე-ჲ] მთავრისა ქუეყანათაჲსა-ჲ
მოთხ. ძე-მან მთავრისა ქუეყანათაჲსა-მან
მიც. ძე-სა მთავრისა ქუეყანათაჲსა-სა
ნათ. ძ-ისა მთავრისა ქუეყანათაჲსა-ჲსა/ქუეყანათაჲსა
მოქმ. ძ-ითა მთავრისა ქუეყანათაჲსა-ჲთა
ვით. ძე-დ მთავრისა ქუეყანათაჲსა(-დ)
წოდ. ძე-ო მთავრისა ქუეყანათაჲსა-ო

ვ) სინტაგმის პირველი და მესამე წევრები მრავლობითშია, მეორე – მხოლობითში:

სახ. ძე-ნ-ი მთავრისა ქუეყანათაჲსა-ნ-ი
მოთხ. ძე-თა მთავრისა ქუეყანათაჲსა-თა
მიც. ძე-თა მთავრისა ქუეყანათაჲსა-თა
ნათ. ძე-თა მთავრისა ქუეყანათაჲსა-თა
მოქმ.
ვით.
წოდ. ძე-ნ-ო მთავრისა ქუეყანათაჲსა-ნ-ო

ზ) სინტაგმის პირველი წევრი მხოლობითშია, მეორე და მესამე – მრავლობითში:

სახ. ძე მთავართა ქუეყანათაჲსა
ძჱ [ძე-ჲ] მთავართა ქუეყანათაჲსა-ჲ
მოთხ. ძე-მან მთავართა ქუეყანათაჲსა-მან
მიც. ძე-სა მთავართა ქუეყანათაჲსა-სა
ნათ. ძ-ისა მთავართა ქუეყანათაჲსა(-ჲსა)
მოქმ. ძ-ითა მთავართა ქუეყანათაჲსა-ჲთა
ვით. ძე-დ მთავართა ქუეყანათაჲსა(-დ)
წოდ. ძე-ო მთავართა ქუეყანათაჲსა-ო

ᲗᲐ) სინტაგმის ყველა წევრი მრავლობითშია:

სახ. ძე-ნ-ი მთავართა ქუეყანათაჲსა-ნ-ი
მოთხ. ძე-თა მთავართა ქუეყანათაჲსა-თა
მიც. ძე-თა მთავართა ქუეყანათაჲსა-თა
ნათ. ძე-თა მთავართა ქუეყანათაჲსა-თა
მოქმ.
ვით.
წოდ. ძე-ნ-ო მთავართა ქუეყანათაჲსა-ნ-ო

ადამიანის საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი

48. ადამიანის საკუთარ სახელს უკავშირდება თანამდებობის, ხელობის, წოდების..., პირის რაიმე თვისების გამომხატველი მსაზღვრელები. ამგვარი მსაზღვრელი შესაძლოა საკუთარ სახელს უსწრებდეს, ან მოსდევდეს. ძველ ქართულში, როგორც წესი, საკუთარ სახელს უსწრებს: **მამაჲ, ამბაჲ, დედაჲ...**, მოსდევს: **მოციქული, წინაწარმეტყველი, მახარებელი, ერისთავი, კურაპალატი...** წარმომავლობის სახელები, ჩვეულებრივ, საზღვრულს მოსდევენ (ევსტათი მცხეთელი, ილარიონ ქართველი...).

<u>ბრუნების ნიმუშები:</u>

ა) ადამიანის საკუთარ სახელს მსაზღვრელი უსწრებს

სახ.	მამა გრიგოლ	დედა ფებრონია
	მამა-ჲ გრიგოლ	დედა-ჲ ფებრონია
მოთხ.	მამა-მან გრიგოლ	დედა-მან ფებრონია
მიც.	მამა-სა გრიგოლ-ს	დედა-სა ფებრონია-ს
ნათ.	მამ-ისა გრიგოლ-ის	დედ-ისა ფებრონია-ის
მოქმ.		
ვით.		
წოდ.	მამა-ო გრიგოლ	დედა-ო ფებრონია

ბ) ადამიანის საკუთარ სახელს მსაზღვრელი მოსდევს:

სახ.	პავლე მოციქულ	აბო ტფილელ
	პავლე მოციქულ-ი	აბო ტფილელ-ი
მოთხ.	პავლე მოციქულ-მან	აბო ტფილელ-მან
მიც.	პავლე მოციქულ-სა	აბო ტფილელ-სა
ნათ.	პავლე მოციქულ-ისა	აბო ტფილელ-ისა
მოქმ.		
ვით.		
წოდ.	პავლე მოციქულ-ო	აბო ტფილელ-ო

შენიშვნა: უძველეს წერილობით ძეგლებში დასტურდება ადამიანის საკუთარი სახელის ნიშნიანი ფორმები მიცემითსა და ნათესაობითში: პავლე-ს მოციქულ-სა, პავლ**ჲ**ს [პავლე-ჲს] მოციქულ-ისა და მისთ.

ადამიანის საკუთარ სახელთან დაკავშირებული ეპითეტები (**წმიდაჲ, ნეტარი, სანატრელი, უშჯულოჲ...**) უპირატესად პრეპოზიციურად იხმარებიან.

სახ.	წმიდა შუშანიკ	სანატრელ მარიამ
	წმიდა-ჲ შუშანიკ	სანატრელ-ი მარიამ
მოთხ.	წმიდა-მან შუშანიკ	სანატრელ-მან მარიამ
მიც.	წმიდა-სა შუშანიკ-ს	სანატრელ-სა მარიამ-ს

ნათ.	წმიდ-ისა შუშანიკ-ის	სანატრელ-ისა მარიამ-ის
მოქმ.		
ვით.		
წოდ.	წმიდა-ო შუშანიკ	სანატრელ-ო მარიამ

გეოგრაფიულ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი

49. გეოგრაფიული სახელის მსაზღვრელი, როგორც წესი, საზღვრულს უსწრებს. V-XI საუკუნეთა ორიგინალურ ძეგლებში ყოველთვის პრეპოზიციური მსაზღვრელებია: სოფელი, ქუეყანაჲ... ქალაქი, დაბა შეიძლება უსწრებდეს საზღვრულს, ან მოსდევდეს. პიდრონიმთა მსაზღვრელად იხმარება მდინარე. იგი უმეტესად საზღვრულს უსწრებს.

<u>ბრუნების ნიმუშები:</u>

ა) მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს

სახ.	ქალაქ-ი მცხეთა-ჲ	დაბა-ჲ ბუდ-ი
მოთხ.	ქალაქ-მან მცხეთა-მან	დაბა-მან ბუდ-მან
მიც.	ქალაქ-ს მცხეთა-ს	დაბა-ს ბუდ-ს
	ქალაქ-სა მცხეთა-სა	დაბა-სა ბუდ-სა
ნათ.	ქალაქ-ისა მცხეთ-ისა	დაბ-ისა ბუდ-ისა
მოქმ.	ქალაქ-ით მცხეთ-ით	დაბ-ით ბუდ-ით
	ქალაქ-ითა მცხეთ-ითა	დაბ-ითა ბუდ-ითა
ვით.	ქალაქ-ად მცხეთა-დ	დაბა-დ ბუდ-ად
წოდ.	ქალაქ-ო მცხეთა-ო	დაბა-ო ბუდ-ო

ბ) მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს

სახ.	მცხეთა-ჲ ქალაქ-ი	ბუდ-ი დაბა-ჲ
მოთხ.	მცხეთა-მან ქალაქ-მან	ბუდ-მან დაბა-მან
მიც.	მცხეთა-ს ქალაქ-ს	ბუდ-ს დაბა-ს
	მცხეთა-სა ქალაქ-სა	ბუდ-სა დაბა-სა
ნათ.	მცხეთ-ისა ქალაქ-ისა	ბუდ-ისა დაბ-ისა
მოქმ.	მცხეთ-ით ქალაქ-ით	ბუდ-ით დაბ-ით
	მცხეთ-ითა ქალაქ-ითა	ბუდ-ითა დაბ-ითა
ვით.	მცხეთა-დ ქალაქ-ად	ბუდ-ად დაბა-დ
წოდ.	მცხეთა-ო ქალაქ-ო	ბუდ-ო დაბა-ო

თანდებულიანი ბრუნვები

50. თანდებული დაერთვის სახელობითს, მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითს, ვითარებითს, აგრეთვე ნათესაობითისაგან ნაწარმოებ მეორეულ ბრუნვებს: მიმართულებითსა და დანიშნულებითს. ზოგი თანდებული (ზედა, თანა, შორის, წინაშე...) ორ ბრუნვას დაერთვის, ზოგი — ერთს (ვით, ურთ...).

თანდებული უპირატესად ბრუნვის ფორმას მოსდევს (ერთმარცვლიანი თითქმის უგამონაკლისოდ), შედარებით იშვიათად იგი სახელის წინ დაისმის (სტიროდეთ თავთა თქუენთა და ზედა ნაშობთა თქუენთა, ლ. 23,28 C; აღმაღლდა ღაღადებაჲ მათი წინაშე უფლისა, შესაქმე 19,13 და სხვ.)

თანდებულის პრეპოზიციურად ხმარება ბერძნულის ზეგავლენას უნდა მივაწეროთ. ქართულისათვის ბუნებრივი უკუდებული ჩანს.

წინდებული უპირატესად მაშინ გვაქვს, როცა გათიშული მსაზღვრელ-საზღვრულია (ყოველთა ზედა საცხოვართა; ყოველთა შინა მცენებათა და მისთ.)

სახელობითის უნიშნო ფორმას -ებრ/-ებრივ თანდებული დაერთვის (კაცებრ, წარმართებრ, ყრმებრ... კაცებრივ, წარმართებრივ, ყრმებრივ...) იგი მსგავსებას გამოხატავს.

მიცემით ბრუნვასთან იხმარება: ზედა, თანა, წინაშე, შინა, შორის, ქუეშე, გარე:

სახლსა ზედა/თანა/წინაშე/შინა/შორის/ქუეშე/გარე

ერსა ზედა/თანა/წინაშე/შინა/შორის/ქუეშე/გარე

შენიშვნა: მიცემითის ფორმასთან დასტურდება მო- წინდებული (მოადგილსა).

ნათესაობითის ფორმას დაერთვის: ზედა, თანა, -თჳს, წინაშე, მიერ, შორის, ქუეშე, თჳნიერ, -ებრ, -გან, გამო, -ვით:

კაცისა ზედა/თანა/მიერ/გამო

კაცისათჳს, კაცისაებრ, კაცისაგან, კაცისავით

წინაშე/შორის/ქუეშე/თჳნიერ კაცისა

შენიშვნა 1: საზოგადო და გეოგრაფიული სახელების მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები ყოველთვის -ა მავრცობიანია.

შენიშვნა 2: -თჳს თანდებული გამოხატავს დანიშნულებას (კაცისათჳს „კაცისთვის"), მიზეზს (ბრალისათჳს „დანაშაულის გამო"), ცნობას, საგნის ან მოვლენის შესახებ (ლომისათჳს „ლომის შესახებ").

შენიშვნა 3: -თჳს თანდებულის გვერდით გვხვდება დიალექტური თჳნ ვარიანტიც.

მიმართულებითთან იხმარება მომართ, მიმართ, -მდე/-მდის და -და თანდებულები:

იაკობისა მომართ, კაცისა მომართ...
იაკობისა მიმართ, კაცისა მიმართ...
იაკობისამდე/იაკობისამდის, კაცისამდე/კაცისამდის...
ჩემდა, ჩუენდა, ჩუენდა, თქუენდა.

მოქმედებით ბრუნვას დაერთვის გამო, კერძო, -გან, -ურთ თანდებულები. ისინი დაერთვიან მოქმედებითი ბრუნვის უმავრცობო ფორმას:
სახლით გამო, ქუეყანით გამო...
სახლით კერძო, ქუეყანით კერძო...
სახლითგან, ქუეყანითგან...
სახლითურთ, ქუეყანითურთ...
შენიშვნა 1: კერძო თანდებული შეიძლება გამოხატავდეს გამოსვლითობას (იყო ქარი იგი პირით კერძო, მთ. 14,24), ან მიმართულებითობას (წარვიდა იესუ წიაღ ზღუასა მას გალილეაჲთ კერძო, ი. 6,1).
შენიშვნა 2: X საუკუნიდან გვხვდება რეგრესული ასიმილაციური გამეღერების შედეგად მიღებული სახლიდგან, ქუეყანიდგან და მისთ. ფორმები.

ვითარებითს დაერთვის მიმართ, კერძო, -მდე/-მდის, -მო და -მი თანდებულები:
ცად მიმართ, ქალაქად მიმართ...
ცად კერძო, ქალაქად კერძო...
ცადმდე/ცადმდის, ქალაქადმდე/ქალაქადმდის...
ცადმი, ქალაქადმი...
არის შემთხვევები, როცა ერთდროულად არის წარმოდგენილი წინდებულიცა და უკუდებულიც:
მო-დღედ-მდე/მო-დღედ-მდის... მი-დღედ-მდე/მი-დღედ-მდის...
მო- წინდებული დამოუკიდებლადაც გვხვდება: მოსიკუდიდ, მოდღენდელად, მოსაკურთხეველად და მისთ.
შენიშვნა 1: -მდე/-მდის თანდებულისეული დ-ს ზეგავლენით იკარგვის ბრუნვის ნიშნისეული დ (ქალაქამდე/ქალაქამდის...). ამგვარი ფორმები VII საუკუნიდან იჩენს თავს.
შენიშვნა 2: X საუკუნიდან გვხვდება დიალექტური ვარიანტები: -მდინ/-მდენ, აგრეთვე -მდი.
შენიშვნა 3: მეტად გავრცელებულია -მდე/-მდის თანდებულიანი სახელის წინ ვიდრე-ს წარმოდგენა (ვიდრე ქალაქადმდე/ქალაქადმდის...). ცხადია, ვიდრე აქ ჭარბია. მისი ხმარება ბერძნულის ზეგავლენითაა შეპირობებული.

51. ნაწილაკიანი ბრუნვები

ნაწილაკი ყველა ბრუნვის ფორმას დაერთვის წოდებითის გარდა. არსებით სახელთან ვე, ცა, ღა ნაწილაკები იხმარება (ამათ გარდა არსებით სახელს შეიძლება დაერთოს სხვა ნაწილაკებიც: ძი, მცა, ა, მე, მაგრამ ისინი განეკუთვნებიან არა ამ კონკრეტულ სახელებს, არამედ მთელს წინადადებას).

ნაწილაკი, როგორც წესი, დაერთვის საზოგადო და გეოგრაფიული სახელის მავრცობიან ფორმას.

<u>ნიმუშები:</u>

	მხ. რ.	მრ. რ.		
სახ.	დაბა-ცა დაბა-ჲ-ცა	დაბა-ნ-ი-ცა	დაბ-ებ-ცა დაბ-ებ-ი-ცა	იოსებ-ცა
მოთხ.	დაბა-მან-ცა	დაბა-თა-ცა	დაბ-ებ-მან-ცა	იოსებ-ცა
მიც.	დაბა-ს-ა-ცა	დაბა-თა-ცა	დაბ-ებ-სა-ცა	იოსებ-ს-ცა
ნათ.	დაბ-ის-ა-ცა	დაბა-თა-ცა	დაბ-ებ-ისა-ცა	იოსებ-ის-ცა
მოქმ.	დაბ-ით-ა-ცა		დაბ-ებ-ითა-ცა	
ვით.	დაბა-დ-ცა		დაბ-ებ-ად-ცა	
წოდ.				

	მხ. რ.	მრ. რ.		
სახ.	დაბა-ვე დაბა-ჲ-ვე	დაბა-ნ-ი-ვე	დაბ-ებ-ვე დაბ-ებ-ი-ვე	იოსებ-ვე
მოთხ.	დაბა-მან-ვე	დაბა-თა-ვე	დაბ-ებ-მან-ვე	იოსებ-ვე
მიც.	დაბა-სა-ვე	დაბა-თა-ვე	დაბ-ებ-სა-ვე	იოსებ-ს-ვე
ნათ.	დაბ-ისა-ვე	დაბა-თა-ვე	დაბ-ებ-ისა-ვე	იოსებ-ის-ვე
მოქმ.	დაბ-ითა-ვე		დაბ-ებ-ითა-ვე	
ვით.	დაბა-დ-ვე		დაბ-ებ-ად-ვე	
წოდ.				

	მხ. რ.	მრ. რ.		
სახ.	დაბა-ღა დაბა-ჲ-ღა	დაბა-ნ-ი-ღა	დაბ-ებ-ღა დაბ-ებ-ი-ღა	იოსებ-ღა
მოთხ.	დაბა-მან-ღა	დაბა-თა-ღა	დაბ-ებ-მან-ღა	იოსებ-ღა
მიც.	დაბა-სა-ღა	დაბა-თა-ღა	დაბ-ებ-სა-ღა	იოსებ-ს-ღა
ნათ.	დაბ-ისა-ღა	დაბა-თა-ღა	დაბ-ებ-ისა-ღა	იოსებ-ის-ღა
მოქმ.	დაბ-ითა-ღა		დაბ-ებ-ითა-ღა	
ვით.	დაბა-დ-ღა		დაბ-ებ-ად-ღა	
წოდ.				

ზედსართავი სახელი

52. ზედსართავ სახელებს ორ ჯგუფად ყოფენ: ვითარებითად და მიმართებითად. ვითარებითს უწოდებენ თავდაპირველ, ხოლო მიმართებითს წარმოქმნილ (ნაწარმოებ) ზედსართავ სახელებს.

ვითარებითად მიჩნეული სახელების ერთი ნაწილი მართლაც არის უძველესი ზედსართავები (დიდი, მეტი, ძუელი, თეთრი, უხვ...), მრავალი წარმოქმნილია სახელური ან ზმნური ფუძეებიდან (ახალი, ნათელი, იწროჲ, მრწემი, მაღალი, ძლიერი, კეთილი, ტკბილი...), ზოგიც ნასესხებია (სპეტაკი, შავი, ბოროტი, სასტიკი...)

მიმართებითი ზედსართავი სახელებია: მკცოვანი, მახჳლოსანი, ქვოვანი, საქორწინე-ჲ, ველური, საუკუნოჲ და მისთ.

ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები

53. ზედსართავ სახელს მოეპოვება ხარისხის სამი ფორმა: ა) დადებითი, ანუ ნეიტრალური (თეთრი, კეთილი, ძლიერი...); ბ) ოდნაობითი, რომელიც მიუთითებს, რომ ესა თუ ის თვისება საგანს მცირე ოდენობით (ოდნავ) ახასიათებს (მოთეთრე, მოწაბლე...); გ) უფროობითი, რომელიც აღნიშნავს, რომ ესა თუ ის თვისება საგანს უფრო მეტად ახასიათებს (უთეთრესი, უძლიერესი...)

ამდენად, თეთრ ნეიტრალური ფორმაა, მასთან მიმართებით ოდნაობითია მოთეთრე, ხოლო უთეთრესი — უფროობითი.

დადებით (ნეიტრალურ) ფორმას რაიმე სპეციალური მაწარმოებელი არ გააჩნია.

ოდნაობითს აწარმოებს მო- -ე კონფიქსი (მო-თეთრ-ე, მო-მრუმ-ე, მო-შავ-ე).

უფროობითი ხარისხი განსხვავებულად გამოიხატება ხანმეტ, ჰაემეტსა და სანნარეე ტექსტებში.

ხანმეტ ტექსტებში უფროობით ხარისხს აწარმოებს ხუ- -Ის/-ეს კონფიქსი (ხუ-დიდ-Ის-ი/ხუ-დიდ-ეს-ი...).

გვაქვს ხუ-ფრ-ოჲს/ხუ-ფრ-ოს ფორმები, წარმოქმნილი ხუ- -ოჲს/-ოს კონფიქსით.

შენიშვნა 1: ითვლება, რომ ხუდიდᲘს ნაწარმოებია ზმნური ხ-უ-დიდ-ე ფორმისაგან („მასზე უფრო დიდი"). ვარაუდობენ, რომ არსებობდა *მ-ი-დიდ-ე („ჩემზე დიდი") და *გ-ი-დიდ-ე („შენზე დიდი") ფორმები.

შენიშვნა 2: ხუცესი ძველ ქართულში აღნიშნავს მღვდელს ან სასულიერო პირს (მღვდელი; ეპისკოპოსი) საზოგადოდ. წარმოშობით იგი უფროობითი ხარისხის ფორმაა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ წარმართობის ეპოქაში

ხუცესი აღნიშნავდა კულტის მსახურს, ხოლო შემდგომ ეს სიტყვა ქრისტიანული რელიგიის მსახურის აღსანიშნავად გამოიყენეს.

ჰაემეტ ტექსტებში უფროობით ხარისხს აწარმოებს ჰუ- -Ეს/-ეს კონფიქსი (ჰუ-დიდ-Ეს-ი/ჰუ-დიდ-ეს-ი...). სავარაუდოა, რომ არსებობდა *ჰუ-ფრ-ოᲗს/*ჰუ-ფრ-ოს ფორმაც.

სანნარეე ტექსტებში უფროობით ხარისხს აწარმოებს უ- -Ეს/-ეს და უ- -ოᲗს/-ოს კონფიქსები (უ-დიდ-Ეს-ი/უ-დიდ-ეს-ი... უ-ფრ-ოᲗს-ი/უ-ფრ-ოს-ი...). IX-XI საუკუნეთა ძეგლებში შედარებით იშვიათად გვხვდება უ- -ე და უ- -ო კონფიქსებით ნაწარმოები ფორმები (უ-თეთრ-ე, უ-დიდ-ე... უ-ფრ-ო, უ-მცრ-ო...) შედგენილი შემასმენლის სახელური ნაწილის (შემასმენლის) გადმოსაცემად (უმჯობე არს/იყო... უმცრო არს/იყო და მისთ.).

ზედსართავი სახელის წყობა არსებითთან მიმართებით

54. ზედსართავი სახელი არსებითის მსაზღვრელია. ძველ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში ზედსართავი სახელი უპირატესად არსებითს უსწრებს. ასეთივე ვითარებაა ნათარგმნ ძეგლთა ერთ ნაწილშიც. ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ქართულ თარგმანში ზედსართავი სახელი უმეტესად არსებითი სახელის შემდეგ დგას. ეს არის სემიტურის (კერძოდ, ებრაულის) ზეგავლენა ბერძნულზე და ბერძნულისა ქართულზე. ბიბლიის წიგნთა ზეგავლენით პოსტპოზიციური ზედსართავი მომრავლებულია ქართული ორიგინალური, თუ ნათარგმნი ძეგლების ენაში. სავარაუდოა, რომ ცოცხალ მეტყველებაში გატონობდა ზედსართავი სახელის პრეპოზიცია. ამას მოწმობს წარწერათა, ანდერძმინაწერთა, საისტორიო და იურიდიულ დოკუმენტთა მონაცემები.

ზედსართავი სახელის ბრუნება არსებითთან

55. ზედსართავი სახელი არსებითთან ბრუნებისას ყოველთვის სრული დაბოლოებითაა წარმოდგენილი.

<u>ბრუნების ნიმუშები:</u>

I. ზედსართავი სახელი უსწრებს არსებითს

ა) თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელის ბრუნება არსებითთან

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	სახიერ მოძღუარ სახიერ-ი მოძღუარ-ი	სახიერ-ნ-ი მოძღუარ-ნ-ი
მოთხ.	სახიერ-მან მოძღურ-მან	სახიერ-თა მოძღუარ-თა
მიც.	სახიერ-სა მოძღუარ-სა	სახიერ-თა მოძღუარ-თა

ნათ.	სახიერ-ისა მოძღურ-ისა	სახიერ-თა მოძღუარ-თა
მოქმ.	სახიერ-ითა მოძღურ-ითა	
ვით.	სახიერ-ად მოძღურ-ად	
წოდ.	სახიერ-ო მოძღუარ-ო	სახიერ-ნ-ო მოძღუარ-ნ-ო

მრ. რ.

სახ.	სახიერ-ებ მოძღურ-ებ	სახიერ მოძღურ-ებ
	სახიერ-ებ-ი მოძღურ-ებ-ი	სახიერ-ი მოძღურ-ებ-ი
მოთხ.	სახიერ-ებ-მან მოძღურ-ებ-მან	სახიერ-მან მოძღურ-ებ-მან
მიც.	სახიერ-ებ-სა მოძღურ-ებ-სა	სახიერ-სა მოძღურ-ებ-სა
ნათ.	სახიერ-ებ-ისა მოძღურ-ებ-ისა	სახიერ-ისა მოძღურ-ებ-ისა
მოქმ.	სახიერ-ებ-ითა მოძღურ-ებ-ითა	სახიერ-ითა მოძღურ-ებ-ითა
ვით.	სახიერ-ებ-ად მოძღურ-ებ-ად	სახიერ-ად მოძღურ-ებ-ად
წოდ.	სახიერ-ებ-ო მოძღურ-ებ-ო	სახიერ-ო მოძღურ-ებ-ო

ბ) ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელის ბრუნება არსებითთან

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	წმიდა მოწამე	წმიდა-ნ-ი მოწამე-ნ-ი
	წმიდა-ჲ მოწამჱ [მოწამე-ჲ]	
მოთხ.	წმიდა-მან მოწამე-მან	წმიდა-თა მოწამე-თა
მიც.	წმიდა-სა მოწამე-სა	წმიდა-თა მოწამე-თა
ნათ.	წმიდ-ისა მოწამ-ისა	წმიდა-თა მოწამე-თა
მოქმ.	წმიდ-ითა მოწამ-ითა	
ვით.	წმიდა-დ მოწამე-დ	
წოდ.	წმიდა-ო მოწამე-ო	წმიდა-ნ-ო მოწამე-ნ-ო

მრ. რ.

სახ.	წმიდ-ებ მოწამე-ებ	წმიდა მოწამე-ებ
	წმიდ-ებ-ი მოწამე-ებ-ი	წმიდა-ჲ მოწამე-ებ-ი
მოთხ.	წმიდ-ებ-მან მოწამე-ებ-მან	წმიდა-მან მოწამე-ებ-მან
მიც.	წმიდ-ებ-სა მოწამე-ებ-სა	წმიდა-სა მოწამე-ებ-სა
ნათ.	წმიდ-ებ-ისა მოწამე-ებ-ისა	წმიდ-ისა მოწამე-ებ-ისა
მოქმ.	წმიდ-ებ-ითა მოწამე-ებ-ითა	წმიდ-ითა მოწამე-ებ-ითა
ვით.	წმიდ-ებ-ად მოწამე-ებ-ად	წმიდა-დ მოწამე-ებ-ად
წოდ.	წმიდ-ებ-ო მოწამე-ებ-ო	წმიდა-ო მოწამე-ებ-ო

II. ზედსართავი სახელი მოსდევს არსებითს

ა) თანხმოვანფუძიანი ზედსართავის ბრუნება არსებით სახელთან

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	მოძღუარ სახიერ	მოძღუარ-ნ-ი სახიერ-ნ-ი
	მოძღუარ-ი სახიერ-ი	
მოთხ.	მოძღუარ-მან სახიერ-მან	მოძღუარ-თა სახიერ-თა
მიც.	მოძღუარ-სა სახიერ-სა	მოძღუარ-თა სახიერ-თა
ნათ.	მოძღურ-ისა სახიერ-ისა	მოძღუარ-თა სახიერ-თა
მოქმ.	მოძღურ-ითა სახიერ-ითა	
ვით.	მოძღურ-ად სახიერ-ად	
წოდ.	მოძღუარ-ო სახიერ-ო	მოძღუარ-ნ-ო სახიერ-ნ-ო

	მრ. რ.	
სახ.	მოძღურ-ებ სახიერ-ებ	მოძღურ-ებ სახიერ
	მოძღურ-ებ-ი სახიერ-ებ-ი	მოძღურ-ებ-ი სახიერ-ი
მოთხ.	მოძღურ-ებ-მან სახიერ-ებ-მან	მოძღურ-ებ-სა სახიერ-სა
მიც.	მოძღურ-ებ-სა სახიერ-ებ-სა	მოძღურ-ებ-სა სახიერ-სა
ნათ.	მოძღურ-ებ-ისა სახიერ-ებ-ისა	მოძღურ-ებ-ისა სახიერ-ისა
მოქმ.	მოძღურ-ებ-ითა სახიერ-ებ-ითა	მოძღურ-ებ-ითა სახიერ-ითა
ვით.	მოძღურ-ებ-ად სახიერ-ებ-ად	მოძღურ-ებ-ად სახიერ-ად
წოდ.	მოძღურ-ებ-ო სახიერ-ებ-ო	მოძღურ-ებ-ო სახიერ-ო

ბ) ხმოვანფუძიანი ზედსართავის ბრუნება არსებითთან

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	მოწამე წმიდა	მოწამე-ნ-ი წმიდა-ნ-ი
	მოწამ[ჱ] [მოწამე-ჲ] წმიდა-ჲ	
მოთხ.	მოწამე-მან წმიდა-მან	მოწამე-თა წმიდა-თა
მიც.	მოწამე-სა წმიდა-სა	მოწამე-თა წმიდა-თა
ნათ.	მოწამ-ისა წმიდ-ისა	მოწამე-თა წმიდა-თა
მოქმ.	მოწამ-ითა წმიდ-ითა	
ვით.	მოწამე-დ წმიდა-დ	
წოდ.	მოწამე-ო წმიდა-ო	მოწამე-ნ-ო წმიდა-ნ-ო

	მრ. რ.	
სახ.	მოწამე-ებ წმიდ-ებ	მოწამე-ებ წმიდა
	მოწამე-ებ-ი წმიდ-ებ-ი	მოწამე-ებ-ი წმიდა-ჲ
მოთხ.	მოწამე-ებ-მან წმიდ-ებ-მან	მოწამე-ებ-მან წმიდა-მან
მიც.	მოწამე-ებ-სა წმიდ-ებ-სა	მოწამე-ებ-სა წმიდა-სა
ნათ.	მოწამე-ებ-ისა წმიდ-ებ-ისა	მოწამე-ებ-ისა წმიდ-ისა

მოქმ. მოწამ-ებ-ითა წმიდ-ებ-ითა	მოწამე-ებ-ითა წმიდ-ითა
ვით. მოწამე-ებ-ად წმიდ-ებ-ად	მოწამე-ებ-ად წმიდა-დ
წოდ. მოწამე-ებ-ო წმიდ-ებ-ო	მოწამე-ებ-ო წმიდა-ო

ზედსართავი სახელი არსებითის ფუნქციით

56. საკმად ხშირად ზედსართავი სახელი არსებითი სახელის ფუნქციით გამოიყენება (გუშინ ოცნი სჩრდთა მცირითგან ვიდრე დიდამდე შესაბე 13,1; რაჲ ბორიტი უწნიეს მგს, 8 27,23 და სხვ.).

ასეთ შემთხვევებში ზედსართავი სახელი გაარსებითებულია; იგი საგანს გამოხატავს და არა მის თვისებას. ამგვარი ზედსართავი ისევე იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი.

რიცხვითი სახელი

57. გამოიყოფა რიცხვითი სახელის სამი ჯგუფი: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი

58. რაოდენობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის ოდენობას. ფუძის აგებულების მიხედვით რაოდენობითი რიცხვითი სახელი ორგვარია: მარტივი და რთული. მარტივია ისეთი სახელი, რომელიც ერთი ფუძისაგან შედგება: ერთ-ი, ექუს-ი, შვდ-ი, ათ-ი, ოც-ი, ას-ი... რთულია სახელი, რომელიც შეიცავს ორ, ან მეტ ფუძეს. აქ უნდა გამოვყოთ: ა) სახელები, რომლებიც არ არიან და კავშირით შეერთებული (ათერთმეტი, ათხუთმეტი, ასერთ-ი, ასსამეოც-ი...) და ბ) სახელები, რომლებიც და კავშირს შეიცავენ (ოცდაერთ-ი, ოცდაორ-ი, ორმეოცდაათ-ი...).

ძველ ქართულში გვაქვს განუსაზღვრელობითი ოდენობის გამომხატველი სახელები: მრავალი, მცირე...

შენიშვნა 1: ბევრი აღნიშნავს ათი ათასს.

შენიშვნა 2: ერგასისი ორმოცდაათს გამოხატავს. ერგ- ფუძის წარმომავლობა უცნობია, თუმცა, ცხადია, რომ ნახევარს ნიშნავს.

შენიშვნა 3: IX საუკუნიდან ტექსტებში დასტურდება გამარტივებული ფორმები: თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი...

შენიშვნა 4: ორმეოც, სამეოც (<სამმეოც), ოთხმეოც ფორმები შეიცავენ მე ელემენტს, რომლის მნიშვნელობა „ჯერ" უნდა იყოს. ორმოც, სამოც... ფორმები X საუკუნიდან გვხვდება.

რიგობითი რიცხვითი სახელი

59. რიგობითი რიცხვითი სახელი საგნის რიგს აღნიშნავს. იგი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან მე- -ე კონფიქსით: მე-ორ-ე, მე-ოც-ე, მე-ას-ე...

და კავშირის შემცველი რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან რიგობითის წარმოებისას მე- -ე კონფიქსი ბოლო და-ს მომდევნო სახელს მოუდის: ოცდამეერთე, ასდამეორე... ზოგჯერ შესაძლოა გვქონდეს მეოცდაათე, მეოცდარვე და მისთ. ფორმები.

შენიშვნა 1: ერთისაგან ნაწარმოები მე-ერთ-ე მხოლოდ რთულ რიგობით რიცხვით სახელებში გვხვდება (ოცდამეერთე, ასდამეერთე...), საზოგადოდ კი პირველი იხმარება.

შენიშვნა 2: მეორე ფორმის პარალელურად შესაძლოა გვხვდებოდეს მერმე (მერმე კაცმან, მერმესა კაცსა...).

წილობითი რიცხვითი სახელი

60. წილობითი რიცხვითი სახელი მიუთითებს, რა ნაწილია მთელისა საგანი. იგი იწარმოება რაოდენობითისაგან -ეულ სუფიქსის დართვით (ათ-ეულ-ი „მეათედი", ხუთ-ეულ-ი „მეხუთედი" და ა.შ.); წილობითი იწარმოება რაოდენობითისაგან მე- -ე კონფიქსით: მე-ათ-ე „მეათედი", მე-ას-ე „მეასედი" და სხვ. ფორმალურად ამგვარი წილობითი რიგობითს ემთხვევა. გარჩევა ხდება კონტექსტის მიხედვით. შედარებით იშვიათია რიგობითი რიცხვითი სახელის ფუძისაგან -დ სუფიქსით წარმოქმნილი წილობითი (მესამე-დ-ი, მეექუსე-დ-ი და მისთ.) მეტად იშვიათად ნა- -ალ კონფიქსი რაოდენობითი რიცხვითისაგან წილობითს აწარმოებს (ნა-სამ-ალ-ი „მესამედი"...).

შენიშვნა 1: ერთ- ფუძისაგან წილობითი არ იწარმოება.

შენიშვნა 2: ორ- ფუძისაგან ნაწარმოები წილობითი რიცხვითი სახელი ძველ ქართულში არ არსებობდა. ნახევრის მნიშვნელობით იხმარებოდა ზოგ-ი, აგრეთვე ზოგ- ძირისაგან ნა- -ალ კონფიქსით წარმოქმნილი ნაზოგალი.

რიცხვითი სახელი არსებითის მსაზღვრელად

61. რაოდენობითი რიცხვითი სახელი, როგორც წესი, არსებითს უსწრებს, პოსტპოზიციის შემთხვევები მეტად იშვიათია. ეგევე ითქმის რიგობითი რიცხვითი სახელის შესახებ. განუსაზღვრელობითი რიცხვითი სახელი მრავალი აგრეთვე უპირატესად პრეპოზიციური მსაზღვრელია.

62. თანხმოვანფუძიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნება
არსებითთან ერთად

ა) რიცხვითი სახელი არსებითს უსწრებს

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. სამ ძმა	სამ-ნ-ი ძმა-ნ-ი
სამ-ი ძმა-Ჲ	
მოთხ. სამ-მან ძმა-მან	სამ-თა ძმა-თა
მიც. სამ-სა ძმა-სა	სამ-თა ძმა-თა
ნათ. სამ-ისა ძმ-ისა	სამ-თა ძმა-თა
მოქმ. სამ-ითა ძმ-ითა	
ვით. სამ-ად ძმა-დ	
წოდ. სამ-ო ძმა-ო	სამ-ნ-ო ძმა-ნ-ო

შენიშვნა: მიცემითში, ნათესაობითსა, მოქმედებითსა და ვითარებითში საკმაოდ ხშირად რიცხვითი სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

მხ. რ.		მრ. რ.
სახ. სამ ძმა		სამ-ნ-ი ძმა-ნ-ი
სამ-ი ძმა-Ჲ		
მოთხ. სამ-მან ძმა-მან		სამ-თა ძმა-თა
მიც. სამ ძმა-სა		სამ ძმა-თა
ნათ. სამ ძმ-ისა		სამ ძმა-თა
მოქმ. სამ ძმ-ითა		
ვით.	სამ ძმა-დ	
წოდ.	სამ-ო ძმა-ო	სამ-ნ-ო ძმა-ნ-ო

ბ) რიცხვითი სახელი არსებითს მოსდევს

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. ქალაქ ხუთ	ქალაქ-ნ-ი ხუთ-ნ-ი
ქალაქ-ი ხუთ-ი	
მოთხ. ქალაქ-მან ხუთ-მან	ქალაქ-თა ხუთ-თა
მიც. ქალაქ-სა ხუთ-სა	ქალაქ-თა ხუთ-თა
ნათ. ქალაქ-ისა ხუთ-ისა	ქალაქ-თა ხუთ-თა
მოქმ. ქალაქ-ით ხუთ-ით	
ქალაქ-ითა ხუთ-ითა	
ვით. ქალაქ-ად ხუთ-ად	
წოდ. ქალაქ-ო ხუთ-ო	ქალაქ-ნ-ო ხუთ-ნ-ო

63. ხმოვანფუძიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად

ა) რიცხვითი სახელი არსებითს უსწრებს

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. ცხრა წიგნ	ცხრა-ნ-ი წიგნ-ნ-ი
ცხრა-ჲ წიგნ-ი	
მოთხ. ცხრა-მან წიგნ-მან	ცხრა წიგნ-თა
მიც. ცხრა-სა წიგნ-სა	ცხრა წიგნ-თა
ნათ. ცხრ-ისა წიგნ-ისა	ცხრა წიგნ-თა
მოქმ. ცხრ-ითა წიგნ-ითა	
ვით. ცხრა-დ წიგნ-ად	
წოდ. ცხრა-ო წიგნ-ო	ცხრა-ნ-ო წიგნ-ნ-ო

შენიშვნა: არსებობს ასეთი პარადიგმაც:

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. ცხრა წიგნ	ცხრა-ნ-ი წიგნ-ნ-ი
ცხრა-ჲ წიგნ-ი	
მოთხ. ცხრა-მან წიგნ-მან	ცხრა-თა წიგნ-თა
მიც. ცხრა წიგნ-სა	ცხრა-თა წიგნ-თა
ნათ. ცხრა წიგნ-ისა	ცხრა-თა წიგნ-თა
მოქმ. ცხრა წიგნ-ითა	
ვით. ცხრა-დ წიგნ-ად	
წოდ. ცხრა-ო წიგნ-ო	ცხრა-ნ-ო წიგნ-ნ-ო

ბ) რიცხვითი სახელი არსებითს მოსდევს

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. წიგნ ცხრა	წიგნ-ნ-ი ცხრა-ნ-ი
წიგნ-ი ცხრა-ჲ	
მოთხ. წიგნ-მან ცხრა-მან	წიგნ-თა ცხრა-თა
მიც. წიგნ-სა ცხრა-სა	წიგნ-თა ცხრა-თა
ნათ. წიგნ-ისა ცხრ-ისა	წიგნ-თა ცხრა-თა
მოქმ. წიგნ-ითა ცხრ-ითა	
ვით. წიგნ-ად ცხრა-დ	
წოდ. წიგნ-ო ცხრა-ო	წიგნ-ნ-ო ცხრა-ნ-ო

რიგობითი რიცხვითი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად

64. რიგობითი რიცხვითი სახელი ქართულში ხმოვანფუძიანია. ერთადერთი გამონაკლისია პირველი.

ა) <u>პირველი</u> უსწრებს არსებით სახელს

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. პირველ ჟამ	პირველ-ნ-ი ჟამ-ნ-ი
პირველ-ი ჟამ-ი	
მოთხ. პირველ-მან ჟამ-მან	პირველ-თა ჟამ-თა
მიც. პირველ-სა ჟამ-სა	პირველ-თა ჟამ-თა
ნათ. პირველ-ისა ჟამ-ისა	პირველ-თა ჟამ-თა
მოქმ. პირველ-ით ჟამ-ით	
პირველ-ითა ჟამ-ითა	
ვით. პირველ-ად ჟამ-ად	
წოდ. პირველ-ო ჟამ-ო	პირველ-ნ-ო ჟამ-ნ-ო

ბ) <u>პირველი</u> მოსდევს არსებით სახელს

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. ჟამ პირველ	ჟამ-ნ-ი პირველ-ნ-ი
ჟამ-ი პირველ-ი	
მოთხ. ჟამ-მან პირველ-მან	ჟამ-თა პირველ-თა
მიც. ჟამ-სა პირველ-სა	ჟამ-თა პირველ-თა
ნათ. ჟამ-ისა პირველ-ისა	ჟამ-თა პირველ-თა
მოქმ. ჟამ-ით პირველ-ით	
ჟამ-ითა პირველ-ითა	
ვით. ჟამ-ად პირველ-ად	
წოდ. ჟამ-ო პირველ-ო	ჟამ-ნ-ო პირველ-ნ-ო

გ) ხმოვანფუძიანი რიგობითი სახელი უსწრებს არსებითს

მხ. რ.
სახ. მეექუსე დღე
მეექუსჱ [მეექუსე-ჲ] დღჱ [დღე-ჲ]
მოთხ. მეექუსე-მან დღე-მან
მიც. მეექუსე-სა დღე-სა
ნათ. მეექუს-ისა დღ-ისა
მოქმ. მეექუს-ით დღ-ით
მეექუს-ითა დღ-ითა
ვით. მეექუსე-დ დღე-დ
წოდ. მეექუსე-ო დღე-ო

დ) რიგობითი რიცხვითი სახელი მოსდევს არსებითს

	მხ. რ.
სახ.	დღე მეექუსე
	დღ[ᲔᲑ] [დღე-Ა] მეექუს[ᲔᲑ] [მეექუსე-Ა]
მოთხ.	დღე-მან მეექუსე-მან
მიც.	დღე-სა მეექუსე-სა
ნათ.	დღ-ისა მეექუს-ისა
მოქმ.	დღ-ით მეექუს-ით
	დღ-ითა მეექუს-ითა
ვით.	დღე-დ მეექუსე-დ
წოდ.	დღე-ო მეექუსე-ო

65. განუსაზღვრელობითი რიცხვითი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად

ა) რიცხვითი სახელი უსწრებს საზღვრულს

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	მრავალ ძე	მრავალ-ნ-ი ძე-ნ-ი
	მრავალ-ი ძ[ᲔᲑ] [ძე-Ა]	
მოთხ.	მრავალ-მან ძე-მან	მრავალ-თა ძე-თა
მიც.	მრავალ-სა ძე-სა	მრავალ-თა ძე-თა
ნათ.	მრავლ-ისა ძ-ისა	მრავალ-თა ძე-თა
მოქმ.	მრავლ-ითა ძ-ითა	
ვით.	მრავლ-ად ძე-დ	
წოდ.		მრავალ-ნ-ო ძე-ნ-ო

ბ) რიცხვითი სახელი მოსდევს საზღვრულს

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ძე მრავალ	ძე-ნ-ი მრავალ-ნ-ი
	ძ[ᲔᲑ] [ძე-Ა] მრავალ-ი	
მოთხ.	ძე-მან მრავალ-მან	ძე-თა მრავალ-თა
მიც.	ძე-სა მრავალ-სა	ძე-თა მრავალ-თა
ნათ.	ძ-ისა მრავლ-ისა	ძე-თა მრავალ-თა
მოქმ.	ძ-ითა მრავლ-ითა	
ვით.	ძე-დ მრავლ-ად	
წოდ.		ძე-ნ-ო მრავალ-ნ-ო

წილობითი რიცხვითი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად.

66. თუ წილობითი რიცხვითი სახელი წარმოქმნილია მე- -ე კონფიქსით, იგი არსებითთან ზუსტად ისევე იბრუნვის, როგორც რიგობითი რიცხვითი სახელი (მეხუთე ნაწილ, მეხუთმ ნაწილ-ი, მეხუთე-მან ნაწილ-მან და ა.შ.)

-ეულ სუფიქსით, ნა- -ალ კონფიქსით, -დ სუფიქსით წარმოქმნილი წილობითი რიცხვითი სახელი საზღვრულად გამოიყენება, მისი მსაზღვრელია ნათესაობითში დასმული არსებითი სახელი. ბრუნება ასე ხდება: ათეულ იფქლისა, ათეულ-ი იფქლისა-ი, ათეულ-მან იფქლისა-მან, ათეულ-სა იფქლისა-სა_

რიცხვითი სახელი არსებითის ფუნქციით

67. საკმაოდ ხშირად რიცხვითი სახელი არსებითის ფუნქციით გამოიყენება. მაგალითად: სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მთ. 18,20; პირველმან შეირთო ცოლი, მრკ. 12,20; მრავალი მევნო მე ჩუენებით დღეს მაგისთჳს, მთ. 27,19 და მისთ.

ცხადია, გაარსებითებული რიცხვითი სახელი არსებითი სახელის მსგავსად იბრუნვის.

ნაცვალსახელი

68. შინაარსის მიხედვით ნაცვალსახელი რამდენიმე ჯგუფისაა: პირისა, ჩვენებითი, კუთვნილებითი, კითხვითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, განსაზღვრებითი, გასუსაზღვრელობითი, ურთიერთობითი, უარყოფითი.

პირის ნაცვალსახელები

69. პირის ნაცვალსახელებია: მე, შენ, ესე, ეგე, იგი; ჩუენ, თქუენ, ესენი, ეგენი, იგინი; თავი.

I და II პირის ნაცვალსახელები უბრუნველებია. პირველი პირის ნაცვალსახელს მხ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით ჩაენაცვლება ჩემ-კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძე.

I და II პირის ნაცვალსახელი შეიძლება ასრულებდეს სახელობითის, მოთხრობითის, მიცემითის ან ნათესაობითის ფუნქციას. რაც ჩანაცვლების ხერხით დგინდება:

მოვედ მე (კაც-ი) — სახ. ბრუნვას;

სთქუ შენ (კაც-მან) — მოთხ. ბრუნვას;

გჳჳარს ჩუენ (კაც-ებ-სა) — მიც. ბრუნვას და მისთ.

I და II პირების ნაცვალსახელები მხოლობითსა და მრავლობითში ფუძეთა მიხედვით არიან გარჩეული (მე — ჩუენ, შენ — თქუენ).

70. III პირის ნაცვალსახელები ბრუნებისას რამდენიმე თავისებურებას გვიჩვენებენ: ა) მხოლობითი რიცხვის სახელობითში არ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს; ბ) მოთხრობითსა და სხვა ბრუნვებში მათ სხვა ფუძე ენაცვლებათ; გ) მოთხრობითში ბრუნვის ნიშნად -ნ გამოიყოფა; დ) არ დაერთვით საერცობი; ე) არ ეწარმოებათ წოდებითი ბრუნვა; ვ) არ მოეპოვებათ -ებ-იანი მრავლობითის ფორმები.

მხ. რ.

სახ.	ესე	ეგე	იგი	[ისი]
მოთხ.	ამა-ნ	მაგა-ნ	მა-ნ	იმა-ნ
მიც.	ამა-ს	მაგა-ს	მა-ს	იმა-ს
ნათ.	ამ-ის	მაგ-ის	მ-ის	იმ-ის
მოქმ.	ამ-ით	მაგ-ით	მ-ით	იმ-ით
ვით.	ამა-დ	მაგა-დ	-	იმა-დ
წოდ.	-			

მრ. რ.

სახ.	ესე-ნ-ი	ეგე-ნ-ი	იგი-ნ-ი	[ისი-ნ-ი]
მოთხ.	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ	იმა-თ
მიც.	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ	იმა-თ
ნათ.	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ	იმა-თ
მოქმ.				
ვით.				
წოდ.				

71. თავი ძველ ქართულში გვხვდება უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქციითაც: უჩუენე თავი შენი მღდელთა, მ. 8,4; იტყოდა თავსა თჳსსა ქრისტედ, ლ. 23,2; ეკრძალენით თავთა თქუენთა ცოდისა მისგან ფარისეველთაჲსა, ლ. 12,1 და სხვ.

შენიშვნა: ძველ ქართულში არ არის დადასტურებული ისი და ისინი სახელობითის ფორმით, ოღონდ გვხვდება მათი სხვა ბრუნვების ფორმები. სავარაუდოა; ცოცხალ მეტყველებაში სახელობითის ფორმებიც არსებულიყვნენ.

ჩვენებითი ნაცვალსახელები

72. ჩვენებითი ნაცვალსახელებია: ესე, ეგე, იგი, ესრჱთი, ეგრჱთი, ესეოდენი, ეგეოდენი, ესევითარი, ეგევითარი, ესემლევანი, ეგემლევანი.

ესე, ეგე, იგი შეიძლება იყოს ჩვენებითი ან პირის ნაცვალსახელი. თუ ესე, ეგე, იგი არსებით სახელს (საწყისს, ან მიმღეობას) ახლავს, ჩვენებითია,

თუ ზმნის პირიან ფორმას — პირის ნაცვალსახელებად უნდა ჩავთვალოთ: ესე კაცი/კაცი ესე მოვიდა (ჩვენებითი); ესე მოვიდა (პირისა)...

ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებითს უპირატესად მოსდევს, შედარებით იშვიათად უსწრებს. როცა ზედსართავი სახელი ან სხვა მსაზღვრელი არსებითს უსწრებს, ჩვენებითი ნაცვალსახელიც ყოველთვის არსებითის წინ დაისმის (კეთილი ესე მოძღუარი, ორნი იგი მოწაფენი).

73. ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნება არსებითთან

ა) ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებითს მოსდევს

მხ. რ.

სახ.	ძმა-ჲ ესე	ძმა-ჲ ეგე	ძმა-ჲ იგი	ძმა-ჲ ისი
მოთხ.	ძმა-მან ამა-ნ	ძმა-მან მაგა-ნ	ძმა-მან მა-ნ	ძმა-მან იმა-ნ
მიც.	ძმა-სა ამა-ს	ძმა-სა მაგა-ს	ძმა-სა მა-ს	ძმა-სა იმა-ს
ნათ.	ძმ-ისა ამ-ის	ძმ-ისა მაგ-ის	ძმ-ისა მ-ის	ძმ-ისა იმ-ის
მოქმ.	ძმ-ითა ამ-ით	ძმ-ითა მაგ-ით	ძმ-ითა მ-ით	ძმ-ითა იმ-ით
ვით.	ძმა-დ ამა-დ	ძმა-დ მაგა-დ		ძმა-დ იმა-დ
წოდ.				

მრ. რ.

სახ.	ძმა-ნ-ი ესე	ძმა-ნ-ი ეგე	ძმა-ნ-ი იგი	ძმა-ნ-ი ისი
მოთხ.	ძმა-თა ამა-თ	ძმა-თა მაგა-თ	ძმა-თა მა-თ	ძმა-თა იმა-თ
მიც.	ძმა-თა ამა-თ	ძმა-თა მაგა-თ	ძმა-თა მა-თ	ძმა-თა იმა-თ
ნათ.	ძმა-თა ამა-თ	ძმა-თა მაგა-თ	ძმა-თა მა-თ	ძმა-თა იმა-თ
მოქმ.				
ვით.				
წოდ.				

ბ) ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებითს უსწრებს

მხ. რ.

სახ.	ესე ძმა-ჲ	ეგე ძმა-ჲ	იგი ძმა-ჲ	ისი ძმა-ჲ
მოთხ.	ამა-ნ ძმა-მან	მაგა-ნ ძმა-მან	მა-ნ ძმა-მან	იმა-ნ ძმა-მან
მიც.	ამა-ს ძმა-სა	მაგა-ს ძმა-სა	მა-ს ძმა-სა	იმა-ს ძმა-სა
ნათ.	ამ-ის ძმ-ისა	მაგ-ის ძმ-ისა	მ-ის ძმ-ისა	იმ-ის ძმ-ისა
მოქმ.	ამ-ით ძმ-ითა	მაგ-ით ძმ-ითა	მ-ით ძმ-ითა	იმ-ით ძმ-ითა
ვით.	ამა-დ ძმა-დ	მაგა-დ ძმა-დ		იმა-დ ძმა-დ
წოდ.				

მრ. რ.

სახ.	ესე ძმა-ნ-ი	ეგე ძმა-ნ-ი	იგი ძმა-ნ-ი	ისი ძმა-ნ-ი
მოთხ.	ამა-თ ძმა-თა	მაგა-თ ძმა-თა	მა-თ ძმა-თა	იმა-თ ძმა-თა

მიც.	ამა-თ ძმა-თა	მაგა-თ ძმა-თა	მა-თ ძმა-თა	იმა-თ ძმა-თა
ნათ.	ამა-თ ძმა-თა	მაგა-თ ძმა-თა	მა-თ ძმა-თა	იმა-თ ძმა-თა
მოქმ.				
ვით.				
წოდ.				

ესრΘთი, ეგრΘთი, ესეოდენი, ეგეოდენი, ესევითარი, ეგეევითარი, ესემლევანი ჩვენებითი ნაცვალსახელები, როგორც წესი, საზღვრულს უსწრებენ. ამ შემთხვევაში ბრუნება ისეთივეა, როგორც თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელისა საზღვრულთან ერთად.

შენიშვნა 1: ძველ ქართულში ნაწევარი არ არის.

შენიშვნა 2: ისი ნაცვალსახელი X საუკუნიდან იჩენს თავს.

შენიშვნა 3: ესრΘთ-ი ფორმის გვერდით გვხვდება ესრეთ-ი, ესეთ-ი, ეგრΘთ-ის პარალელურად — ეგრეთ-ი.

ესეოდენ-ი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად იძლევა ესოდენ-ი, ესდენ-ი, ესთენ-ი, ხოლო ეგეოდენი — ეგოდენ-ი, ეგდენ-ი ვარიანტებს.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

74. კუთვნილებითი ნაცვალსახელებია: ჩემ-ი, შენ-ი, ამის-ი, მაგის-ი, მის-ი, თჳს-ი, ჩუენ-ი, თქუენ-ი, ამათ-ი, მაგათ-ი, მათ-ი.

ძველ ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელი არსებით სახელს უპირატესად მოსდევს (ძმა-ჲ ჩემ-ი, სახლ-ი ჩუენ-ი_), იშვიათად უსწრებს (შენ-ი სძალ-ი, ჩემ-ი ძმისცოლ-ი_).

III პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები იწარმოება სათანადო პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან: ამ-ის-ი (შდრ: ამ-ის), მაგ-ის-ი (შდრ: მაგ-ის) და მისთ. თჳს-ი ნაწარმოებია თავ- ნაცვალსახელისაგან.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები უპირატესად საზღვრულს მოსდევენ.

75. კუთვნილებითი ნაცვალსახელის ბრუნება არსებითთან

ა) კუთვნილებითი ნაცვალსახელი არსებითს მოსდევს

		მხ. რ.	
სახ.	ძმა-ჲ ჩემ-ი	და-ჲ შენ-ი	საქმე-ჲ მის-ი
მოთხ.	ძმა-მან ჩემ-მან	და-მან შენ-მან	საქმე-მან მის-მან
მიც.	ძმა-სა ჩემ-სა	და-სა შენ-სა	საქმე-სა მის-სა
ნათ.	ძმ-ისა ჩემ-ისა	დ-ისა შენ-ისა	საქმ-ისა მის-ისა
მოქმ.	ძმ-ითა ჩემ-ითა	დ-ითა შენ-ითა	საქმ-ითა მის-ითა
ვით.	ძმა-დ ჩემ-ად	და-დ შენ-ად	საქმედ- მის-ა(დ)
წოდ.	ძმა-ო ჩემ-ო		

სახ.	წიგნ-ი თვს-ი	
მოთხ.	წიგნ-მან თვს-მან	
მიც.	წიგნ-სა თვს-სა	
ნათ.	წიგნ-ისა თვს-ისა	
მოქმ.	წიგნ-ითა თვს-ითა	
ვით.	წიგნ-ად თვს-ა(დ)	
წოდ.		

მრ. რ.

სახ.	ძმა-ნ-ი ჩემ-ნ-ი	და-ნ-ი შენ-ნ-ი
მოთხ.	ძმა-თა ჩემ-თა	და-თა შენ-თა
მიც.	ძმა-თა ჩემ-თა	და-თა შენ-თა
ნათ.	ძმა-თა ჩემ-თა	და-თა შენ-თა
მოქმ.		
ვით.		
წოდ.	ძმა-ნ-ო ჩემ-ნ-ო	

სახ.	საქმე-ნ-ი შენ-ნ-ი	წიგნ-ნ-ი თვს-ნ-ი
მოთხ.	საქმე-თა შენ-თა	წიგნ-თა თვის-თა
მიც.	საქმე-თა შენ-თა	წიგნ-თა თვს-თა
ნათ.	საქმე-თა შენ-თა	წიგნ-თა თვს-თა
მოქმ.		
ვით.		
წოდ.		

ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელი არსებითს მოსდევს

მხ. რ.

სახ.	ჩემ-ი ძმა-ჲ	შენ-ი და-ჲ	მის-ი საქმე-ჲ
მოთხ.	ჩემ-მან ძმა-მან	შენ-მან და-მან	მის-მან საქმე-მან
მიც.	ჩემ-სა ძმა-სა	შენ-სა და-სა	მის-სა საქმე-სა
ნათ.	ჩემ-ისა ძმ-ისა	შენ-ისა დ-ისა	მის-ისა საქმ-ისა
მოქმ.	ჩემ-ითა ძმ-ითა	შენ-ითა დ-ითა	მის-ითა საქმ-ითა
ვით.	ჩემ-ად ძმა-დ	შენ-ად და-დ	მის-ად საქმე-დ
წოდ.	ჩემ-ო ძმა-ო		

სახ.	თვს-ი წიგნ-ი
მოთხ.	თვს-მან წიგ-მან
მიც.	თვს-სა წიგნ-სა
ნათ.	თვს-ისა წიგნ-ისა

მოქმ.	თუს-ითა წიგნ-ითა		
ვით.	თუს-ად წიგნ-ად		
წოდ.			
		მრ. რ.	
სახ.	ჩემ-ნ-ი ძმა-ნ-ი	შენ-ნ-ი და-ნ-ი	მის-ნ-ი საქმე-ნ-ი
მოთხ.	ჩემ-თა ძმა-თა	შენ-თა და-თა	მის-თა საქმე-ნ-ი
მოც.	ჩემ-თა ძმა-თა	შენ-თა და-თა	მის-თა საქმე-თა
ნათ.	ჩემ-თა ძმა-თა	შენ-თა და-თა	მის-თა საქმე-თა
მოქმ.			
ვით.			
წოდ.	ჩემ-ნ-ო ძმა-ნო		

სახ.	თუს-ნ-ი წიგნ-ნ-ი
მოთხ.	თუს-თა წიგნ-თა
მიც.	თუს-თა წიგნ-თა
ნათ.	თუს-თა წიგნ-თა
მოქმ.	
ვით.	
წოდ.	

კითხვითი ნაცვალსახელები

76. კითხვითი ნაცვალსახელებია: ვინ? რა? (რაჲ?) რომელი? რაოდენი? (რავდენი?) ვითარი?

კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნება

77. ვინ კითხვითი ნაცვალსახელი ბრუნებისას მხოლობითში მხოლოდ ორ ფორმას წარმოგვიდგენს: ვინ და ვის. ვინ საზიაროა სახელობითისა და მოთხრობითისათვის, ვის მიცემითისა და ნათესაობითისათვის. არ გვაქვს მაგრცობი ხმოვანი.

სახ.	ვი-ნ
მოთხ.	ვი-ნ
მოც.	ვი-ს
ნათ.	ვი-ს
მოქმ.	
ვით.	
წოდ.	

მრავლობით რიცხვში სახელობითის ფორმა მხოლობითისას ემთხვევა. მოთხრობითის, მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები იშვიათია.

სახ.	ვი-ნ
მოთხ.	ვი-ეთ//ვი-ნ
მიც.	ვი-ეთ//ვი-ს

ნათ. ვი-ეთ//ვი-ს
მოქმ.
ვით.
წოდ.

შენიშვნა 1: აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, ვინ ფორმისეული ნ ფუძისეულია, თუ მოთხ. ბრუნვის უძველესი ფორმანტი. ძველი ქართულის დონეზე ვინ და ვის ფორმათა დაპირისპირება ნ-ს და ს-ს გამოგვაყოფინებს.

შენიშვნა 2: ვისა ფორმაში (ვისა მივიდეთ?) გამოიყოფა -ის-ა, სადაც ის ნათესაობითის მაწარმოებელია, ა მიმართულებითის მაჩვენებელი.

მეტად შეზღუდულია რაჲ ნაცვალსახელის ბრუნება:

სახ. რა
 რა-ჲ
მოთხ. რა-მან
მიც. რა-სა/რა-ს
ნათ. რა-ჲსა
მოქმ. რა-ჲთა
წოდ.

მოთხრობითის ფორმა იშვიათად გვხვდება. არ მოეპოვება ვითარებითი, წოდებითი ბრუნვების, აგრეთვე მრავლობითი რიცხვის ფორმები.

რაჲ ნაცვალსახელი გვხვდება არსებით სახელთან ერთადაც (სახ. რა-ჲ ბრალ-ი, მოთხ. რა-მან ბრალ-მან, მიც. რა-სა ბრალ-სა, ნათ. რა-ჲსა ბრალ-ისა, მოქმ. რა-ჲთა ბრალ-ითა).

რომელი ნაცვალსახელი ასე იბრუნვის:

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	რომელ-ი	რომელ-ნ-ი
მოთხ.	რომელ-მან	რომელ-თა
მიც.	რომელ-სა	რომელ-თა
ნათ.	რომლ-ისა	რომელ-თა
მოქმ.	რომლ-ითა	
ვით.	[რომლ-ად]	
წოდ.	-	

რომელი არსებით სახელთანაც გვხვდება (სახ. რომელ-ი კაც-ი, მოთხ. რომელ-მან კაც-მან, მიც. რომელ-სა კაც-სა, ნათ. რომლ-ისა კაც-ისა, მოქმ. რომლ-ითა კაც-ითა, ვით. რომლ-ად კაც-ად; მრ. რიცხვი: სახ. რომელ-ნ-ი კაც-ნ-ი, მოთხ., მიც., ნათ. რომელ-თა კაც-თა).

ასევე იბრუნვის რაოდენ-ი/რავდენი, ვითარი კითხვითი ნაცვალსახელები.

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი

78. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელია ვისი? იგი, როგორც წესი, საზღვრულთან ერთად იხმარება:

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. ვის-ი ძ[ძე-ჲ]	ვის-ნ-ი ძე-ნ-ი
მოთხ. ვის-მან ძე-მან	ვის-თა ძე-თა
მიც. ვის-სა ძე-სა	ვის-თა ძე-თა
ნათ. ვის-ისა ძ-ისა	ვის-თა ძე-თა
მოქმ. ვის-თა ძ-ითა	
ვით. ვის-ად ძე-დ	
წოდ.	

მიმართებითი ნაცვალსახელები

79. მიმართებითი ნაცვალსახელი იწარმოება კითხვითი, ან კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძისაგან. ძველ ქართულში გვაქვს შემდეგი შემთხვევები:

ა) მიმართებითი ნაცვალსახელი ფორმის მიხედვით კითხვითს ემთხვევა (გარჩევა ხდება კონტექსტის მიხედვით):

იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, **რაჲ** გიკმს თქუენ, მ. 6,8; იყო სწავლაჲ იგი მისი მათა მიმართ, ვითარცა-იგი ვის აქუნ ჴელმწიფებაჲ, მ. 7,29 და სხვ.;

ბ) მიმართებითი ნაცვალსახელი იწარმოება კითხვითი, ან კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმისაგან -ცა ნაწილაკის დართვით (ვინ-ცა, რაჲ-ცა, რომელი-ცა, ვისი-ცა...);

გ) მიმართებითი ნაცვალსახელი კითხვითისაგან ნაწარმოებია -ესე, -ეგე, -იგი ნაწილაკების (წარმოშობით ნაცვალსახელთა) დართვით (ვინ-ესე, რაჲ-ესე, რომელი-ესე... ვინ-ეგე, რაჲ-ეგე, რომელი-ეგე– ვინ-იგი, რაჲ-იგი, რომელი-იგი...).

დ) გვაქვს მრჩობლი -ცა-ესე, -ცა-ეგე, -ცა-იგი ნაწილაკებიანი ფორმები (რომელიცა-ესე, რომელიცა-ეგე, რომელიცა-იგი...).

ე) -**რაჲ** ნაწილაკი (ნაცვალსახელისაგან მომდინარე) ერთვის **რომელ** და **რაოდენ/რაედენ** კითხვითი ნაცვალსახელების ფუძეს და აწარმოებს მიმართებითს (**რომელ-რაჲ** „რომელიც“, **რაოდენ-რაჲ** „რამდენიც“).

მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნება

მხ. რ.

სახ.	ვინ	ვინ-ცა	ვინ-ესე	ვინ-ეგე	ვინ-იგი	ვინ-ცა-იგი
მოთხ.	ვინ	ვინ-ცა	ვინ-ესე	ვინ-ეგე	ვინ-იგი	ვინ-ცა-იგი
მიც.	ვი-ს	ვი-ს-ცა	ვის-ესე	ვის-ეგე	ვის-იგი	ვის-ცა-იგი
ნათ.	ვი-ს	ვი-ს-ცა	ვის-ესე	ვის-ეგე	ვის-იგი	ვის-ცა-იგი
მოქმ.						
ვით.						
წოდ.						

მრ. რ.

სახ.	ვინ	ვინ-ცა	ვინ-ესე	ვინ-ეგე	ვინ-იგი	ვი-ნ-ცა-იგი
მოთხ.	ვი-ეთ	ვი-ეთ-ცა	ვი-ეთ-ესე	ვი-ეთ-ეგე	ვი-ეთ-იგი	ვი-ეთ-ცა-იგი
მიც.	ვი-ეთ	ვი-ეთ-ცა	ვი-ეთ-ესე	ვი-ეთ-ეგე	ვი-ეთ-იგი	ვი-ეთ-ცა-იგი
ნათ.	ვი-ეთ	ვი-ეთ-ცა	ვი-ეთ-ესე	ვი-ეთ-ეგე	ვი-ეთ-იგი	ვი-ეთ-ცა-იგი
მოქმ.						
ვით.						
წოდ.						

ასევე იბრუნვის სხვა მიმართებითი ნაცვალსახელებიც.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელები

80. განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია: **თავადი** („თვითონ"), **თჳთ**, **თითოეული/თჳთოეული**, **ყოველი**, **სხუაჲ**, **კაცად-კაცადი** („თითოეული"), **თითოსახჱ** („ნაირგვარი").

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი იხმარება დამოუკიდებლად, ან საზღვრულთან ერთად. როგორც წესი, იგი საზღვრულს უსწრებს.

თჳთ უბრუნველია. **თავადი** დასტურდება სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში, იშვიათად ნათესაობითში. **თჳთოეული** მეტად იშვიათად იხმარება.

მრავლობითი რიცხვი ეწარმოება მხოლოდ **ყოველ** და **სხუა** განსაზღვრებით ნაცვალსახელებს.

<u>ბრუნების ნიმუშები:</u>

ა) **განსაზღვრებითი ნაცვალსახელი დამოუკიდებლად:**

მხ. რ.

სახ.	ყოველ	სხუა	
	ყოველ-ი	სხუა-ჲ	თავად-ი
მოთხ.	ყოველ-მან	სხუა-მან	თავად-მან
მიც.	ყოველ-სა	სხუა-სა	თავად-სა
ნათ.	ყოვლ-ისა	სხჳსა [სხუ-ისა]	თავად-ისა
მოქმ.	ყოვლ-ითა	სხჳთა [სხუ-ითა]	

ვით.	ყოვლ-ად	სხუა-დ	
წოდ.			
		მრ. რ.	
სახ.	ყოველ-ნ-ი	სხუა-ნ-ი	სხუ-ებ
			სხუ-ებ-ი
მოთხ.	ყოველ-თა	სხუა-თა	სხუ-ებ-მან
მიც.	ყოველ-თა	სხუა-თა	სხუ-ებ-სა
ნათ.	ყოველ-თა	სხუა-თა	სხუ-ებ-ისა
მოქმ.			სხუ-ებ-ითა
ვით.			სხუ-ებ-ად
წოდ.			

ბ) განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელია:

	მხ. რ.	
სახ.	ყოველ-ი ურმა-ჲ	ურმა-ჲ ყოველ-ი
მოთხ.	ყოველ-მან ურმა-მან	ურმა-მან ყოველ-მან
მიც.	ყოველ-სა ურმა-სა	ურმა-სა ყოველ-სა
ნათ.	ყოვლ-ისა ურმ-ისა	ურმ-ისა ყოვლ-ისა
მოქმ.	ყოველ-ითა ურმ-ითა	ურმ-ითა ყოვლ-ითა
ვით.	ყოველ-ად ურმა-დ	ურმა-დ ყოვლ-ად
წოდ.		
	მრ. რ.	
სახ.	ყოველ-ნ-ი ურმა-ნ-ი	ურმა-ნ-ი ყოველ-ნ-ი
მოთხ.	ყოველ-თა ურმა-თა	ურმა-თა ყოველ-თა
მიც.	ყოველ-თა ურმა-თა	ურმა-თა ყოველ-თა
ნათ.	ყოველ-თა ურმა-თა	ურმა-თა ყოველ-თა
მოქმ.		
ვით.		
წოდ.	ყოველ-ნ-ო ურმა-ნ-ო	ურმა-ნ-ო ყოველ-ნ-ო

შენიშვნა: ყოველი ძველ ქართულში <u>მთელსაც</u> ნიშნავს (ყოველი ქალაქი „მთელი ქალაქი"–).

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი

81. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია: ვინ, რაჲ, რომელი, რაოდენი, ვინმე, რაჲმე, რომელიმე, რაოდენიმე, ზოგი, ერთი.

ზოგი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ფორმის მიხედვით კითხვითისაგან არ განსხვავდება. გარჩევა კონტექსტის მიხედვით ხდება. მაგალითად: ნოღარამცა ვინ ჭამს უკუნისამდე შენგან ნაყოფსა, მრკ. 11,13; არცა დაფარული რაჲ არს, რომელი არა გამოჩნდეს, მრკ. 4.22 C; რომელი წინაუძღოდა და რომელი უკუანა შეუდგეს ᲐᲗ 219 და სხ

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი იწარმოება კითხვითისაგან -მე ნაწილაკის დართვით (ვინმე, რაიმე, რომელიმე, რაოდენიმე/რავდენიმე).

საზღვრულს უმეტესად მოსდევს ერთი, ხოლო ვინმე, რაიმე, რომელიმე, რაოდენიმე/რავდენიმე შესაძლოა, უსწრებდნენ, ან მოსდევდნენ საზღვრულს.

<u>ბრუნების ნიმუშები:</u>

მხ. რ.

სახ.	ვინ-მე	რა-ი-მე	რომელ-ი-მე	რაოდენ-ი-მე
მოთხ.	ვინ-მე	რა-მან-მე	რომელ-მან-მე	რაოდენ-მან-მე
მიც.	ვი-ს-მე	რა-სა-მე რა-ს-მე	რომელ-სა-მე	რაოდენ-სა-მე
ნათ.	ვი-ს-მე	რა-ისა-მე რა-ის-მე	რომლ-ისა-მე რომლ-ითა-მე	რაოდენ-ისა-მე რაოდენ-ითა-მე
მოქმ.				
ვით.			რომლ-ად-მე	
წოდ.				

მრ. რ.

სახ.	ვინ-მე	რომელ-ნ-ი-მე	რაოდენ-ნ-ი-მე
მოთხ.	ვი-ეთ-მე	რომელ-თა-მე	რაოდენ-თა-მე
მიც.	ვი-ეთ-მე	რომელ-თა-მე	რაოდენ-თა-მე
ნათ.	ვი-ეთ-მე	რომელ-თა-მე	რაოდენ-თა-მე
მოქმ.			
ვით.			
წოდ.			

გვაქვს ვიეთნიმე („ზოგნი; ზოგიერთები") ნაცვალსახელიც, რომელიც ასე იბრუნვის: სახ. ვი-ეთ-ნ-ი-მე, მოთხ., მიც., ნათ. ვი-ეთ-თა-მე.

82. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ბრუნება არსებითთან

ა) ნაცვალსახელი უსწრებს საზღვრულს

მხ. რ.

სახ. ვინ-მე	მთავართაგან-ი	რომელ-ი-მე	სიტყუა-ჲ
მოთხ. ვინ-მე	მთავართაგან-მან	რომელ-მან-მე	სიტყუა-მან
მიც. ვი-ს-მე	მთავართაგან-სა	რომელ-სა-მე	სიტყუა-სა
ნათ. ვი-ს-მე	მთავართაგან-ისა	რომლ-ისა-მე	სიტყჳსა [სიტყუ-ისა]
მოქმ.		რომლ-ითა-მე	სიტყჳთა [სიტყუ-ითა]
ვით.		რომლ-ად-მე	სიტყუა-დ
წოდ.			

მრ. რ.

სახ.	ვი-ეთ-ნ-ი-მე	მთავართაგან-ნ-ი	რომელ-ნ-ი-მე სიტყუა-ნ-ი
მოთხ.	ვი-ეთ-თა-მე	მთავართაგან-თა	რომელ-თა-მე სიტყუა-თა
მიც.	ვი-ეთ-თა-მე	მთავართაგან-თა	რომელ-თა-მე სიტყუა-თა
ნათ.	ვი-ეთ-თა-მე	მთავართაგან-თა	რომელ-თა-მე სიტყუა-თა
მოქმ.			
ვით.			
წოდ.			

ბ) ნაცვალსახელი საზღვრულს მოსდევს

მხ. რ.

სახ.	კაც-ი ვინ-მე	სიტყუა-ჲ რომელ-ი-მე
მოთხ.	კაც-მან ვინ-მე	სიტყუა-მან რომელ-მან-მე
მიც.	კაც-სა ვი-ს-მე	სიტყუა-სა რომელ-სა-მე
ნათ.	კაც-ისა ვი-სა-მე	სიტყჳსა [სიტყუ-ისა] რომლ-ისა-მე
მოქმ.		სიტყჳთა [სიტყუ-ითა] რომლ-ითა-მე
ვით.		სიტყუა-დ რომლ-ად-მე
წოდ.		

მრ. რ.

სახ.	კაც-ნ-ი ვი-ეთ-ნ-ი-მე	სიტყუა-ნ-ი რომელ-ნ-იმე
მოთხ.	კაც-თა ვი-ეთ-თა-მე	სიტყუა-თა რომელ-თა-მე
მიც.	კაც-თა ვი-ეთ-თა-მე	სიტყუა-თა რომელ-თა-მე
ნათ.	კაც-თა ვი-ეთ-თა-მე	სიტყუა-თა რომელ-თა-მე
მოქმ.		
ვით.		
წოდ.		

ურთიერთობითი ნაცვალსახელები

83. ურთიერთობითი ნაცვალსახელებია: ერთიერთი და ურთიერთას („ერთმანეთს"). ერთიერთი თითქმის ყოველთვის მიცემითისა და ნათესაობითის ფორმებით (ერთიერთ-სა, ერთიერთ-ისა) დასტურდება, ურთიერთას — მხოლოდ მიცემითის ფორმით.

X საუკუნიდან თავს იჩენს ერთმანერთი ნაცვალსახელიც.

შენიშვნა: გვხვდება ურთიერთარს ფორმაც. ეს არის ფსევდოლექსიკალიზაციის (ურთიერთას + არს) შედეგი.

უარყოფითი ნაცვასახელები

84. უარყოფითი ნაცვალსახელები იწარმოება არა, ვერ/ვერა, ნუ უკ-უთქმით ნაწილაკებზე ვინ, რაჲ კითხვითი ნაცვალსახელების დართვით:

არავინ, ვერვინ, ნუვინ, არღარავინ, ვერღარავინ; არარაი, ვერარაი, ნურაი, არღარაი, ნურარაი.

უარყოფითი ნაცვალსახელები იბრუნვის ვინ და რაი კითხვითი ნაცვალსახელების მსგავსად.

ზმნა

უღლების კატეგორიები

85. ძველ ქართულ ზმნას მოეპოვება შემდეგი უღლების კატეგორიები: პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი, აქტი, ჯერობა, თანამიმდევრობა, მწკრივი.

უღლების კატეგორიები ახალი ლექსიკური მნიშვნელობის ფორმებს არ აწარმოებენ.

პირი და რიცხვი

86. ზმნა განარჩევს სამ პირს: პირველი (მოუბარი), მეორე (მსმენელი), მესამე (საუბრის ობიექტი):

ვწერ (მე) — პირველი პირი;
სწერ (შენ) — მეორე პირი;
წერს (იგი) — მესამე პირი.

პირი შეიძლება იყოს სუბიექტური, ან ობიექტური.

სუბიექტურია პირი, რომელიც ზმნით გამოხატულ მოქმედებას ასრულებს და სუბიექტური პირის ნიშნითაა გადმოცემული.

ობიექტურია პირი, რომელსაც მიემართება ზმნით გამოხატული მოქმედება და ობიექტური პირის ნიშნითაა გადმოცემული. ობიექტური პირი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი.

თუ ზმნა ერთპირიანია, იგი მხოლოდ სუბიექტურ პირს შეიცავს. ამგვარ ზმნებს აბსოლუტური აგებულების ზმნებს უწოდებენ.

ორ და სამპირიანი ზმნები შეიცავენ სუბიექტსა და ობიექტს (ობიექტებს). ამგვარ ზმნებს რელატიური აგებულების ზმნებს უწოდებენ.

ორპირიან ზმნას უკავშირდება სუბიექტი და ობიექტი, რომელიც შესაძლოა პირდაპირი იყოს, ან ირიბი.

სამპირიან ზმნას შეეწყობა სუბიექტი და ორი ობიექტი, რომელთაგან ერთი პირდაპირია, მეორე — ირიბი.

პირდაპირი ობიექტი ბრუნვაცვალებადია: იგი შეიძლება იდგეს მიცემით-ში, ან სახელობითში. ირიბი ობიექტი ყოველთვის მიცემითშია. თუ ობიექტი სა-

ხელობითი ბრუნვის ფორმით არის ზმნასთან დაკავშირებული, იგი პირდაპირია. თუ ობიექტი ვერ დადგება სახელობითში, იგი ირიბია.

სუბიექტური პირის ნიშნები

87. სუბიექტური პირის გამოხატვა განსხვავებულია ხანმეტ, ჰაემეტ და სანნარევ ტექსტებში.

ხანმეტ ტექსტებში პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ვარიანტებია: ვ- (ვ-იცი, ვ-არ, ვ-იხილე...); უ- (თუ სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსს უძღვის მესამე ობიექტური პირის ხ- პრეფიქსი — აღ-ხ-უ-მართე „აღვმართე"; ხ-უ-ესავ „იმედი მაქვს"; ხჳტყოდე [ხ-ჳ-იტყოდე]...), ხჳ- (ხჳყო [ხჳ-იყო]; ხჳპოვო [ხუ-იპოვო]...); ნული (თუ ზმნა იწყება უ-თი, რომელიც ა) ფუძისეულია (უწყი); ბ) სასხვისო ქცევის ნიშანია (მი-ხ-უგე მე მას სიტყუაჲ; ხუბრძანე მე მას იგი...).

შენიშვნა: პირველი სუბიექტური პირის ნიშანი არ არის წარმოდგენილი -ვალ/-ვედ ზმნურ ძირებთან (წარ-ვალ, წარ-ვედ).

სუბიექტური პირველი პირის ნიშნის არარსებობა მორფოლოგიური აკრძალვის შედეგია მაშინ, თუ ობიექტად მეორე პირი იგულისხმება (მე გიცი შენ; მე გარქუ შენ...)

სუბიექტური მეორე პირის ნიშნად ხანმეტ ტექსტებში ხ- პრეფიქსია (ხ-არ, ხ-აოტებ „დევნი", ხ-იყავ, ხ-პოვე...).

მეორე პირის ნიშანი ნულია, თუ: ა) ზმნა ბრძანებითშია (ქადაგე; ისმინე, იბანე...), ბ) ობიექტი პირველი პირია (გარდამსუ, მიბრძანე...) გ) თუ ზმნაში წარმოდგენილია მესამე ობიექტური პირის ნიშანი (ხაცადე, ხარქუ, ხუპყარ...).

სუბიექტური მესამე პირის ნიშნებად ძველ ქართულში გვაქვს: -ს, -ნ, -ა, -ო. ისინი მწკრივების მიხედვით ნაწილდებიან: -ს იხმარება აწმყოში (წერ-ს), უწყვეტლის ხოლმეობითში (წერდი-ს), პირველ კავშირებითში (წერდე-ს), II ხოლმეობითში (დაწერი-ს), II კავშირებითში (დაწერო-ს), I თურმეობითში (დამიწერე-ს), III ხოლმეობითში (დამეწერი-ს) III კავშირებითში (დამეწერო-ს), -ნ გამოხატავს სუბიექტურ მესამე პირს: აწმყოს ხოლმეობითში (წერ-ნ), I ბრძანებითში (წერდი-ნ), II ბრძანებითში (დაწერე-ნ); -ა სუბიექტური მესამე პირის ნიშანია: უწყვეტელში (წერდ-ა), წყვეტილში (დაწერ-ა), II თურმეობითში (დამეწერ-ა); -ო წყვეტილში (აღაგ-ო, განატფ-ო...).

შენიშვნა: -ო წყვეტილში იხმარება მხოლოდ ისეთ ზმნებთან, რომლებიც ძირში ერთ თანხმოვანს, ან რედუქციის შედეგად მიღებულ თანხმოვანთა კომპლექსს შეიცავენ (აქო, განაკმო...).

მრავლობითი რიცხვის წარმოება

I და II სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვი -თ სუფიქსით იწარმოება. მხოლობითის ფორმას დაერთვის -თ და მრავლობითს ვიღებთ (ვარ — ვარ-თ; ხარ — ხარ-თ).

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობა აღინიშნება -ენ, -ან, -ნ, -ეს, -ედ სუფიქსებით. ეს მაწარმოებლები ერთდროულად გამოხატავენ მესამე პირსაც და მრავლობით რიცხვსაც. მათი განაწილება ხდება მწკრივთა მიხედვით: -ენ იხმარება აწმყოში (წერ-ენ, ხატვ-ენ...); -ან — აწმყოში (იცი-ან, ივლტი-ან...), უწყვეტლის ხოლმეობითში (წერდი-ან), I კავშირებითში (ივლტოდი-ან), II ხოლმეობითში (დაწერი-ან); -ნ — I კავშირებითში (წერდე-ნ), II კავშირებითში (დაწერო-ნ), -ეს — უწყვეტელში (წერდ-ეს), წყვეტილში (დაწერ-ეს), -ედ — აწმყოს ხოლმეობითში (წერ-ედ), I ბრძანებითში (წერდ-ედ), II ბრძანებითში (მოკლ-ედ, თქუ-ედ).

შენიშვნა 1: თუ მწკრივის ნიშანია -ე, ბრძანებითში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -დ ვარიანტი იქნება (დაწერე-დ, აღაშენე-დ, იხილე-დ...).

შენიშვნა 2: აწმყოში ორი სუფიქსი იხმარება -ენ და -ან. -ან დაერთვის ისეთ ზმნებს, რომელთაც მწკრივის ნიშნად მოუდის -ი (არ-ი-ან, იც-ი-ან, იმალვ-ი-ან...), აგრეთვე საშუალი გვარის ზოგ ზმნას (ტირ-ან, ვლენ-ან, დგან-ან...).

სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშანთა ტაბულა

| | მხ. რ. | | |

89. <u>სან-ნარევ</u> ტექსტებში პირველი სუბიექტური პირის გამომხატველია ვ- და ნული, რომელიც გვაქვს -ვალ და -ვედ ზმნებთან, უ-თი და ო-თი დაწყებულ ზმნურ ფუძეებთან (უწყი, აღორძნდი, აღუშენე...), აგრეთვე მაშინ, როცა ობიექტად მეორე პირი იგულისხმება (გიცი მე შენ, გარქუ მე შენ (თქუენ)_).

მეორე სუბიექტური პირის ნიშნის ვარიანტებია: ჰ-, როცა ზმნის ფუძე იწყება ბ ფ პ, გ ქ კ, ჯ ყ, ვ, ზ ს, შ, ყ ხ, ლ მ ნ რ თანხმოვნებით; ს-, თუ ზმნის ფუძე იწყება დ თ ტ, ძ ც წ თანხმოვნებით; შ-, თუ ზმნის ფუძე ჯ ჩ ჭ თანხმოვნებით იწყება; მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ხ- გამოვლინდება სამ ზმნაში: ხარ, ხუალ, ხუედ. მეორე სუბიექტური პირის ნიშანი არაა წარმოდგენილი ხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან, აგრეთვე ბრძანებითსა და ისეთ ფორმებში, სადაც ობიექტად იგულისხმება I, ან III ობიექტური პირები (მიცი, მიხილე, ჰკითხავ, მისდევ...).

შენიშვნა 1: როგორც ჩანს, სუბიექტური მეორე პირის გამოხატვამ ცოცხალ მეტყველებაში ადრევე განიცადა არსებითი ხასიათის ცვლილებები: მოიშალა ჰ-, ს-, შ- პრეფიქსები და სუბიექტური მეორე პირის აღმნიშვნელად დარჩა ხ- და ნული.

შენიშვნა 2: სან-ნარევ ტექსტებში გამოვლენილი ჰ- ისტორიულად ჰაემეტი მეტყველებიდან მომდინარეობს, ხოლო ს- მისი ფონეტიკური ვარიანტია (ჰ- დ თ ტ, ძ ც წ, ჯ ჩ ჭ წინაენისმიერთა წინ ს-დ იქცა); ჯ ჩ ჭ თანხმოვნებთან ს- შ-დ გარდაიქმნა; ხმოვნების წინ ჰ- დაიკარგა.

შენიშვნა 3: IX-XI საუკუნეთა ძეგლებში გვხვდება ხ- და ჰ- პრეფიქსები მეორე სუბიექტური პირის ფორმებში (ხაცადეთ, ხპოოთ, ჰირქუამთ, ჰწუხდეთ...). ითვლება, რომ ასეთი ძეგლები გადმოწერილია ხანმეტი და ჰაემეტი დედნებიდან.

ჰაემეტი დედნიდან მომდინარეობას მოწმობს აგრეთვე ჰს- და ჰშ- „მრჩობლი პრეფიქსები" (გადამწერი გამოთქვამდა /ს/ და /შ/ თანხმოვნებს, დედანში ეწერა ჰ-. გადამწერმა კონტამინირებული ფორმები დაწერა, რაც, ერთი მხრივ, ასახავს დედნის ვითარებას, მეორე მხრივ, გადამწერის საკუთარ წარმოთქმას).

სუბიექტური პირველი და მეორე პირების მრავლობითობა <u>-თ</u> სუფიქსით გამოიხატება.

90. სუბიექტური მესამე პირის ნიშნებად მხოლობითში იხმარება -ს, -ა, -ო, -ნ, მრავლობითში — -ენ, -ან, -ნ, -ეს, -ედ სუფიქსები (მათი განაწილება ისეთივეა, როგორიც ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში).

ტაბულა

	მხ. რ.	მრ. რ.	
1.	ვ- 0-	ვ- 0-	-თ
2.	ჰ- ს- შ- ხ- 0-	ჰ- ს- შ- ხ- 0-	-თ
3.	-ს -ა -ო -ნ	-ენ -ან -ნ -ეს -ედ	

ობიექტური პირის ნიშნები

91. პირდაპირ-ობიექტური პირის გამოხატვა. ძველ ქართულში პირველი პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშანია მ- (მ-ხატავს, მ-პოვებს...). მეორე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშანია გ (გ-ხატავს, გ-პოვებს...).

I სერიის მწკრივებში შესაძლოა ნიშნით იყოს გამოხატული მესამე პირის პირდაპირი ობიექტიც. ზმნები იყოფა ორ ჯგუფად: ა) მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშანი წარმოდგენილია (ხ-ყოფ-ს იგი მას, და-ხ-წერ-ს იგი მას...); ბ) მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშანი ზმნას არ გააჩნია (ქადაგებ-ს იგი მას; მოილებ-ს იგი მას...).

ხანმეტ ტექსტებში ე.წ. ხყოფს ტიპის ზმნებს მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშნად ხ- აქვთ, ქადაგებს ტიპისას — ნული.

ჰაემეტ ტექსტებში მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშანი ჰყოფს ტიპის ზმნებთან არის ჰ-, ქადაგებს ტიპის ზმნებთან — ნული.

ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში მესამე ობიექტური პირის ნიშანი პირველი სუბიექტური პირის ნიშანს უსწრებს (ხ-უ-ყოფ; ჰ-უ-ყოფ „ვაკეთებ"...).

სანნარევ ტექსტებში მესამე ობიექტური პირის პირის ნიშნის ვარიანტებად ჰყოფს ტიპის ზმნებთან გვაქვს: ჰ-, თუ ზმნის ფუძე იწყება ბ ფ პ, გ ქ კ, ჯ ყ, ვ, ზ ს, შ, ღ ხ, ლ მ ნ რ თანხმოვნებით (გან-ჰ-ბანს, და-ჰ-ფარავს...); ს-, თუ ზმნის ფუძე იწყება დ თ ტ, ძ ც წ თანხმოვნებით (და-ს-დგამს, და-ს-თმობს...), შ-, თუ ზმნის ფუძე იწყება ჯ ჩ ჭ თანხმოვნებით (შე-შ-ჭამს...), თუ ზმნის ფუძე ხმოვნებით იწყება, მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშანი ნულია (აღაშენებს, იხილავს...). ცხადია, ქადაგებს ტიპის ზმნებთანაც ნული არის მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნის ალომორფი.

სანნარევ ტექსტებში მესამე ობიექტური პირის ნიშანი პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსს მოსდევს (ვ-ჰ-ყოფ, და-ვ-ს-წერ...).

92. პირველი პირდაპირ-ობიექტური პირის მრავლობითობა გამოხატულია მ- და გუ- პრეფიქსებით (მ-ხატავს//გუ-ხატავს იგი ჩუენ; მ-პოვებს//გუ-პოვებს იგი ჩუენ და სხვ.).

მეორე და მესამე პირდაპირ-ობიექტური პირების მრავლობითობა პირველი სერიის ფორმებში არ აღინიშნება და, ამდენად, სხვაობა

მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებს შორის არ არსებობს. გარჩევა კონტექსტის მიხედვით ხდება.

მეორე და მესამე სერიების ფორმებში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის შესახებ იხ. 171

ტაბულები

ა) <u>ხანმეტი ტექსტები</u>

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-	მ-/გუ-
2.	გ-	გ-
3.	ხ- 0-	ხ- 0-

ბ) <u>ჰაემეტი ტექსტები</u>

	მხ. რ.	მრ. რ.
1	მ-	მ-/გუ-
2.	გ-	გ-
3.	ჰ- 0-	ჰ- 0-

გ) <u>სანნარევი ტექსტები</u>

	მხ. რ.	მრ. რ.
1	მ-	მ-/გუ-
2.	გ-	გ-
3.	ჰ- ს- შ- 0-	ჰ- ს- შ- 0-

შენიშვნა 1: ძველ ქართულში მ- და გუ- მრავლობით რიცხვში პირველ ობიექტურ პირს გამოხატავენ. მათ შორის სხვაობა არ შეინიშნება გარდა იმისა, რომ მ- მხოლობითი რიცხვის ფორმაშიაც ვლინდება. ისტორიულად კი მ- და გუ- პრეფიქსები, ჩანს, განირჩეოდნენ: მ- გამოხატავდა ექსკლუზივს, გუ- ინკლუზივს. ეს დაპირისპირება მოიშალა მწერლობამდელ ქართულში.

შენიშვნა 2: ძველ ქართულში შეინიშნება მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშნის ხმარების წესის დარღვევები, რაც ცოცხალ მეტყველებაში მომხდარი ცვლილებების ამსახველია.

ირიბ-ობიექტური პირის გამოხატვა

93. პირველი ირიბ-ობიექტური პირის ნიშანია მ- პრეფიქსი (მ-აქუ-ს, მ-კითხავ-ს, აღ-მ-იშენებ-ს...). მეორე ირიბ-ობიექტური პირის ნიშანია გ- (გ-აქუ-ს, გ-კითხავ-ს, აღ-გ-იშენებ-ს...); მესამე ირიბ ობიექტური პირის ნიშნად ხანმეტ ტექსტებში გვაქვს ხ- (ხ-აქუ-ს, ხ-კითხავ-ს, აღ-ხ-უშენებ-ს...); <u>ჰაემეტ</u> ტექსტებში ჰ-, რომელიც ხმოვნების წინ ზოგჯერ დაკარგულია (ჰ-აქუ-ს//აქუ-ს, აღ-ჰ-უშჱნებ-ს//აღ-უშჱნებ-ს...); <u>სანნარევ</u> ტექსტებში მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშნებია: ჰ-, თუ ზმნის ფუძე იწყება **ბ ფ პ, გ ქ კ, ჯ ყ, ვ, ზ ს, შ, ღ ხ, ლ მ ნ რ** თანხმოვნებით (მი-ჰ-ბაძ-ა, ჰ-გავ-ს, ჰ-ყავ-ს, შე-ჰ-ხედნა...); ს-,

თუ ზმნის ფუძე დ თ ტ, ძ ც წ თანხმოვნებით იწყება (მი-ს-დევ-ს, ს-ძინავ-ს, ს-ცალ-ს...); შ- გვაქვს ჯ ჩ ჭ თანხმოვნებით დაწყებულ ზმნურ ფუძეებთან (შ-ჯობ-ს, შ-ჭირ-ს...); თუ ზმნის ფუძე ხმოვნით იწყება, მესამე ირიბ-ობიექტურ პირს ნული გამოხატავს (აქუს, უყუარს, ესავს...).

94. პირველი ირიბ-ობიექტური პირის მრავლობითობა გამოხატულია მ-/გუ- პრეფიქსებით (მ-აქუს//გუ-აქუს ჩუენ იგი; მ-ერჩის//გუ-ერჩის ჩუენ იგი...). მეორე და მესამე ირიბ-ობიექტური პირების მრავლობითის ფორმა მხოლობითისაგან არ სხვაობს. გარჩევა კონტექსტის მიხედვით ხდება.

ტაბულები

ა) <u>სანმეტი ტექსტები</u>

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-	მ-/გუ-
2.	გ-	გ-
3.	ხ-	ხ-

ბ) <u>ჰაემეტი ტექსტები</u>

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-	მ-/გუ-
2.	გ-	გ-
3.	ჰ- 0-	ჰ- 0-

გ) <u>სან-ნარევი ტექსტები</u>

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-	მ-/გუ-
2.	გ-	გ-
3.	ჰ- ს- შ- 0-	ჰ- ს- შ- 0-

შენიშვნა 1: მ- და გუ- პრეფიქსები მრავლობით რიცხვში გამოხატავენ პირველ ირიბ-ობიექტურ პირს. ძველ ქართულში არ არის ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევა.

შენიშვნა 2: ჰს- და ჰშ- ს- და შ- პრეფიქსთა ორთოგრაფიული ვარიანტებია.

შენიშვნა 3: სან-ნარევ ტექსტებში ჰ- პრეფიქსის გამოვლენა ხმოვანთა წინ, აგრეთვე წინაენისმიერ თანხმოვანთა წინ (ჰემტერა, ჰუყვეს, განჰძარცუეს, ჰძინავნ...) მოწმობს სათანადო ძეგლების ჰაემეტი დედნებიდან მომდინარეობას.

შენიშვნა 4: X-XI საუკუნეთა ძეგლებში დასტურდება მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშანთა კლება, რაც, უდავოდ, ცოცხალი მეტყველების ზეგავლენის შედეგია.

დაჰბადა ტიპის ზმნები

95. ძველ ქართულში არის ზმნები, რომლებსაც ორი პირი შეეწყობათ (სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი) და მეორე სერიის ფორმებში მესამე ობიექტური პირის პრეფიქსს გამოავლენენ: და-ჰ-ბადა, და-ჰ-ბეჭდა, და-ჰ-ესნა, და-ჰ-ესმა, აღ-ჰ-კაზმა, გან-ჰ-მარტა, გან-ჰ-მარჯუა, გან-ჰ-მზადა, წარ-ხ-ასრულა, გან-ჰ-ფინ-ა, გან-ხ-აღო, და-ჰ-მარხა, და-ჰ-კრძალა, წარ-ჰ-მართა, და-ჰ-ნერგა, და-ს-თესა, და-ს-თხია და სხვ. ამ ზმნათა ჰ- და ს- პრეფიქსებს ვერ მივიჩნევთ მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშნებად, რადგანაც მესამე პირდაპირ-ობიექტური პირი მეორე სერიაში არ გამოიხატება. ძველი ქართულის დონეზე ჰ- და ს- პრეფიქსები ზემოთ მოყვანილ ფორმებში მორფოლოგიურად ჭარბია, ისტორიულად კი ისინი გამოხატავდნენ მესამე ირიბ-ობიექტურ პირს, რომელიც მათ დაკარგეს, ხოლო პირის ნიშანი შემორჩათ.

დრო

96. დრო სამია: <u>ახლანდელი, წარსული და მომავალი.</u> <u>ახლანდელია</u> დრო, თუ მოქმედების მომენტი უბნობისას ემთხვევა (ვწერ, დავსწერ, ვდგა, ვზი–); <u>წარსულია</u> დრო, თუ მოქმედების მომენტი უბნობისას უსწრებდა (ვწერდ, დავსწერდ, ვდეგ, ვჯედ...); <u>მომავალია</u> დრო, თუ მოქმედების მომენტი უბნობისას მოსდევს (ვწერდე, დავსწერდე, ვწერო, დავწერო, ვდგე, ვჯდე–).

97. მომავალი დრო ძველ ქართულში უმთავრესად კავშირებითი კილოს ფორმით გადმოიცემა. არის შემთხვევები, როცა მომავალი დრო გამოიხატება ზმნისწინის საშუალებით, ან ვითარებითში დასმული საწყისისა და მეშველი ზმნის შეერთებით (ყოფად არს „მოხდება", შობად არს „დაიბადება"–).

98. ძველ ქართულში არის ისეთი ფორმები, რომლებიც არ გამოხატავენ კონკრეტულ დროს (რომელი პირველითგანვე არს და აცხოვნებს ყოველსა სოფელსა, სინ.მრავალთ. 17, 9-10; არა თუ რომელი შევალს პირით, შეაგინებს იგი კაცსა, არამედ რომელი გამოვალს პირისაგან, იგი შეაგინებს კაცსა, მ. 15, 11 C და სხვ.). ამგვარ ფორმებს <u>უდროო</u> შეიძლება ეწოდოს.

კილო

99. კილო სამია: <u>თხრობითი, კავშირებითი</u> და <u>ბრძანებითი</u>. თხრობითი კილო გამოხატავს მოქმედებას, რომელიც ხდება, ან მოხდა (წერს, დაწერა; ცნობს, ცნო–).

კავშირებითი კილო გამოხატავს მოქმედებას, რომელიც სასურველია მოხდეს, ან მოხდება. ძველ ქართულში კავშირებითი კილო მომავალი დროის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა (წერდეს; წეროს „დაწერს"...).

ბრძანებითი კილო გამოხატავს მოქმედებას, რომელიც, მთქმელის სურვილით, უნდა შესრულდეს. ბრძანებით კილოს ორი ფორმა მოეპოვება: წართქმითი და უკუთქმითი. წართქმითი ბრძანებითი გვიჩვენებს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება უნდა შესრულდეს. წართქმითი ბრძანებითის გამოსახატავად ძველ ქართულს ორი მწკრივი მოეპოვებოდა: პირველი ბრძანებითი და მეორე ბრძანებითი.

უკუთქმითი ბრძანებითი გვიჩვენებს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება არ უნდა შესრულდეს. უკუთქმითი ბრძანებითის გადმოსაცემად ზმნურ ფორმას დაერთვის ნუ და არა ნაწილაკები. ნუ ნაწილაკი ახლავს ეხლანდელი დროის ფორმას (ნუ იყოფინ), არა კავშირებითებს (არა წერდეს, არა დაწეროს).

ასპექტი

100. ასპექტი არის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება დასრულებულია, დასრულდება, ან კიდევ იმას, რომ მოქმედება დაუსრულებელია. ამის მიხედვით გვაქვს ორი სახე ასპექტისა: სრული (მოქმედება დასრულებულია/დასრულდება) და უსრული (მოქმედება არაა დასრულებული/არ ჩანს, რომ დასრულდება).

ძველ ქართულში სრული და უსრული ფორმების გარჩევა ემყარებოდა სერიათა დაპირისპირებას: პირველი სერიის მწკრივები უსრულ ასპექტს გამოხატავდნენ, მეორე სერიისა — სრულს.

აქტი

101. აქტი არის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს, რომ ზმნით გადმოცემულ მოქმედებას მოუბარი უშუალოდ შეესწრო, თუ არა. აქტი ორგვარია: ნახული (მოუბარი შეესწრო მოქმედებას) და უნახავი (მოუბარი არ შესწრებია მოქმედებას). ნახული აქტის ნიმუშებია: წერდა, დაწერა, დაწერის... უნახავი აქტის მაგალითებია: დაუწერიეს, დაეწერა, დაეწერის... უნახავი აქტის ფორმები გადმოიცემა მესამე სერიის მწკრივებით.

უნახავი აქტის გამოხატვა ძველ ქართულში შედარებით იშვიათია.

გზისობა

102. გზისობა არის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების ჯერობას. იგი შეიძლება იყოს ერთგზისი, ან მრავალგზისი. ერთგზისია მოქმედება, თუ იგი არ მეორდება. მრავალგზისია მოქმედება, თუ

იგი მეორდება, ან მეორდებოდა (ხდება, ან ხდებოდა რამდენჯერმე, სისტემატურად).

103. ძველ ქართულში ერთგზისი მკვეთრად განირჩეოდა მრავალგზისისაგან:

ერთგზისი	მრავალგზისი
წერს	წერენ
წერდა	წერდის
დაწერა	დაწერის
დაეწერა	დაეწერის

104. ძველ ქართულ ზმნას მრავალგზისის გამოსახატავად რამდენიმე მწკრივი მოეპოვებოდა (აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტლის ხოლმეობითი, II ხოლმეობითი, III ხოლმეობითი).

თანამიმდევრობა

105. თანამიმდევრობა არის ზმნის შესაძლებლობა, გამოხატოს მოქმედებათა მიმდევრობა დროში. მოქმედებანი შეიძლება თანადროული (სინქრონული) იყვნენ (რომელნი შეჰჭამენ სახლსა ქურივთასა და მიზეზით შორად ილოცვენ, ლ.20,47) და არათანადროული, რომელთაგან ერთი უსწრებს მეორეს (სხვებს).

უწინარესობა-შემდგომობა კარგად არის გარჩეული წარსული დროის ფორმებში. უწინარესი მოქმედება II თურმეობითით გადმოიცემა (და ვითარცა შევიდა, ჰოვა, რამეთუ ცოლსა მისსა წარეღო ყოველი მონაგები თჳსი და ლტოლვილ იყო, ყრმაჲ ჩჩჳლი მწოვარი, შვილი თჳსი, დაეგდო მარტოჲ სახლსა შინა, კიმენი I 327,16).

სერიები და მწკრივები

106. ძველ ქართულ ზმნას 14 მწკრივი აქვს. ისინი სამ სერიას ქმნიან.

პირველ სერიაში 6 მწკრივი შედის: აწმყო, აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტელი, პირველი ბრძანებითი, უწყვეტლის ხოლმეობითი და პირველი კავშირებითი.

მეორე სერიაში ოთხი მწკრივია: წყვეტილი, მეორე ბრძანებითი, მეორე ხოლმეობითი და მეორე კავშირებითი. მესამე სერია ოთხ მწკრივს აერთიანებს: პირველი თურმეობითი, მეორე თურმეობითი, მესამე ხოლმეობითი, მესამე კავშირებითი.

პირველი სერიის მწკრივები

107. აწმყო გამოხატავს ახლანდელი დროის, თხრობითი კილოს, ერთგზის მოქმედებას (წერს, ჰგიეს...). აწმყოს მწკრივი ზოგჯერ გადმოსცემს

უდროო (მარადიულ) მოქმედებასაც (სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველ-გან ხარ და ყოველივეს აღავსებ მადლითა შენითა; მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა; რომლისა მიმართ შუენის დიდებაჲ და თაყუანის-ცემაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე...).

აწმყოს მწკრივის ნიშანია -ი (ვნებითი გვარის ზმნებთან) და ნული: იმალვის, აღეშჱნების, განჭაბუკნების... აღაშენებს, ჰყოფს, დგას...

108. **აწმყოს ხოლმეობითი** გამოხატავს ახლანდელი დროის, თხრობი-თი კილოს, მრავალგზის მოქმედებას (წერ-ნ, ჰგიე-ნ, წკმ-ნ, დგა-ნ...). აწმყოს ხოლმეობითი გადმოსცემს წარსული დროის მრავალგზის მოქმედებასაც (მარადის ღამე და დღე საფლავებსა და მთათა გარე იქცევინ და ღაღადებენ და ქვითა იცემნ თავსა თჳსსა, მრკ.5,5).

ვარაუდობენ, რომ აწმყოს ხოლმეობითს მხოლოდ მესამე პირის ფორ-მები მოეპოვებოდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მწკრივს სამივე პირის ფორმები ჰქონდა. აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის პირველი და მეორე პირების ფორ-მები ერთმანეთს ემთხვეოდა. მათი გამიჯვნისას კონტექსტი უნდა მოვიშველი-ოთ. მაგალითად, აშკარად აწმყოს ხოლმეობითი გვაქვს ამ ფრაზაში:

რამეთუ შენ ცხოვრებისა და სიკუდილისა ჴელმწიფებაჲ გაქუს: და შთა-იყვანებ ბჭეთა ჯოჯოხეთისათა და აღმოიყვანი, სიბრძნე სოლომონისი 16, 13 0; უფლებედ თქუენ ზედა ცოლნი თქუენნი, რამეთუ ყოველსავე, რასაცა იქმთ და დაჰშრუებით, მიიღით და მისცით ცოლთა თქუენთა,II ეზრა. 4,22 და მისთ.

აწმყოს ხოლმეობითის მწკრივის ნიშანია -ი ვნებითი გვარის ზმნებთან (იმალვინ, იყოფინ, იქცევინ...) და ნული (ხატავ-ნ, წერ-ნ, იქმ-ნ...).

შენიშვნა: ძველი ქართული ენის ბოლო პერიოდში აწმყოს ხოლმე-ობითი იშლება.

109. **უწყვეტელი** გამოხატავს წარსული დროის, თხრობითი კილოს, უსრული ასპექტის, ერთგზის მოქმედებას (წერდა, აღაშჱნებდა...).

უწყვეტლის სავრცობია -დ და -ოდ. -ოდ სავრცობიანებს მწკრივის ნიშნად -ე მოუდის, -დ სავრცობიანებს — ნული: ვიმალვ-ოდ-ე; ვ-წერ-დ.

შენიშვნა: -დ სავრცობიან ზმნათა მრავლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირების ფორმებში თავს იჩენს -ი, რომელიც თანხმოვანთგამყარია (ვწერ-დ-ი-თ, სწერ-დ-ი-თ). ძველი ქართულის ბოლო პერიოდში ი მხოლობი-თის ფორმებშიც გვხვდება მრავლობითის ზეგავლენით: ვწერ-დ-ი, სწერ-დ-ი. ცხადია, ი, ძველი ქართულის დონეზე მწკრივის ნიშნად ვერ მიიჩნევა.

110. I **ბრძანებითი** გამოხატავს მომავალი დროის, ბრძანებითი კილოს, უსრული ასპექტის მოქმედებას. პირველი ბრძანებითი უწყვეტლის ფუძეს ემყა-რება. მას მოეპოვება მეორე და მესამე სუბიექტური პირების ფორმები.

მეორე სუბიექტური პირის ფორმა ნაწარმოებია უწყვეტლისაგან სუბიექტური პირის ნიშნის ჩამოცილებით. მესამე სუბიექტური პირის ნიშანია -ნ მხოლობით რიცხვში და -ედ/-დ მრავლობით რიცხვში.

მწკრივის სავრცობია -დ, ან -ოდ. -დ სავრცობიან ზმნებთან მწკრივის ნიშანია ნული, -ოდ სავრცობიანებთან -ე (მრავლობითი რიცხვის მესამე სუბ. პირის ნიშნად -დ სავრცობიანებთან -ედ გვაქვს, -ოდ სავრცობიანებთან — დ).

111. **უწყვეტლის ხოლმეობითი** გამოხატავს წარსული დროის, თხრობითი კილოს, უსრული ასპექტის, მრავალგზის მოქმედებას. სავრცობია -დ, ან -ოდ; მწკრივის ნიშანი — -ი (წერ-დ-ი-ს; იტყ-ოდ-ი-ს...).

112. **პირველი კავშირებითი** გამოხატავს მომავალი დროის, კავშირებითი კილოს, უსრული ასპექტის მოქმედებას.

სავრცობია -დ, ან -ოდ. -დ სავრცობიანებს მწკრივის ნიშნად -ე მოუდის, -ოდ სავრცობიანებს — -ი (წერ-დ-ე-ს; იტყ-ოდ-ი-ს).

შენიშვნა: -ოდ სავრცობიან ზმნათა უწყვეტლისა და პირველი კავშირებითის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. გარჩევა ხდება ზმნის კილოს, ან კონტექსტის მიხედვით.

მეორე სერიის მწკრივები

113. **წყვეტილი** გამოხატავს წარსული დროის, თხრობითი კილოს, სრული ასპექტის, ერთგზის მოქმედებას.

მწკრივის ნიშნებია -ე, -ი და ნული. -ე მწკრივის ნიშნად მოუდის მოქმედებითი გვარის ზმნათა დიდ უმრავლესობას, -ი — -დ სუფიქსიან ვნებითი გვარის ზმნებს, ნული — მოქმედებითი გვარის ზმნათა ნაწილს (-ავ და -ამ თემისნიშნიანებს თითქმის უკლებლივ), ვნებითი და საშუალი გვარის ზმნათა უმრავლესობას.

114. **მეორე ბრძანებითი** გამოხატავს მომავალი დროის, ბრძანებითი კილოს, სრული ასპექტის მოქმედებას. მეორე ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს ემყარება და იგივე მწკრივის ნიშნები აქვს, რაც წყვეტილს. ამ მწკრივს მოეპოვება მეორე და მესამე სუბიექტური პირების ფორმები.

მეორე პირის ფორმა იწარმოება წყვეტილის მეორე პირის ფორმისაგან სუბიექტური პირის ნიშნის ჩამოშორებით:

ს-თქუ	(წყვ.)	თქუ	(II ბრძ.)
აღ-ს-დეგ	(წყვ.)	აღ-დეგ	(II ბრძ.)
მო-ჰ-კალ	(წყვ.)	მო-კალ	(II ბძრ.)...

მესამე სუბიექტური პირის ნიშანია -ნ, მრავლობით რიცხვში -დ (თუ მწკრივის ნიშანია -ე ან -ი) და -ედ (თუ მწკრივის ნიშანია ნული).

115. მეორე ხოლმეობითი გამოხატავს წარსული დროის, თხრობითი კილოს, სრული ასპექტის, მრავალგზის მოქმედებას. მწკრივის ნიშანია -ი (დაწერის, მოვიდის, დგის...).

მეორე ხოლმეობითი საკმაოდ ხშირად გამოხატავს უდროო ფორმებს (ბრმაᲘ ბრმასა თუ წინაუძღუნ, შესცთიან და ორნივე მთხრებლსა შთაცვივიან, მ. 15.14; მცირემან ცომმან ყოველივე შესუარული აღაფუვნის, გალატელთა 5,9 და მისთ.).

116. II კავშირებითი გამოხატავს მომავალი დროის, კავშირებითი კილოს, სრული ასპექტის მოქმედებას. მწკრივის ნიშნებია -ო, -ა, -ე. თუ ზმნას წყვეტილში მწკრივის ნიშნად -ე აქვს, II კავშირებითში -ო მოუდის (დავწერე (წყვ.) — დავწერო (II კავშ.), ვპოვე (წყვ.) — ვპოვო (II კავშ.); თუ წყვეტილში ნიშანი ნულია, II კავშირებითში -ა იქნება მოქმედებითი გვარის ზმნებთან (მოვკან (წყვ.) — მოვკნა (IIკავშ.); ვცან (წყვ.) — ვცნა (II კავშ.)...). -ე მოუდის ვნებითი გვარის ზმნათა იმ ნაწილს, რომელთაც წყვეტილის მწკრივის ნიშნად აქვთ -ი (განვმართლდი (წყვ.) — განვმართლდე (II კავშ.); აღვმაღლდი (წყვ.) — აღვმაღლდე (II კავშ.) და სხვ.), აგრეთვე ისეთ ზმნებსაც, რომელთაც წყვეტილში ნული აქვთ (ვიქმენ (წყვ.) — ვიქმნე (II კავშ.); მოვიქეც (წყვ.) — მოვიქცე (II კავშ.) ერთადერთი მოქმედებითი გვარის ზმნა, რომლის II კავშირებითის ნიშნად -ე გვევლინება, არის (მი)ვსცე.

მესამე სერიის მწკრივები

117. პირველი თურმეობითი გამოხატავს წარსული დროის, თხრობითი კილოს, სრული ასპექტის მოქმედებას, რომლის შედეგი ახლანდელ დროშია წარმოდგენილი.

გარდამავალ ზმნათა (აგრეთვე სტატიკურ ვნებითთა) I თურმეობითის მწკრივის ნიშანია -იე. -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებს პირველ თურმეობითში ნიშანი არ მოეპოვებათ.

ერთპირიან ზმნათა პირველი თურმეობითი იწარმოება ანალიზურად — მიმღეობისა და აწმყოს ფორმით წარმოდგენილი არს მეშველი ზმნის შეერთებით. ორპირიან გარდაუვალ ზმნათა პირველი თურმეობითი იწარმოება ორგანულად და მწკრივის ნიშნად -იე გვევლინება.

უნახავი აქტი პირველი თურმეობითის მწკრივს მკრთალად ახასიათებს.

118. **მეორე თურმეობითი** გამოხატავს თხრობითი კილოს, წარსული დროის, სრული ასპექტის, უნახავი აქტის, ერთგზის, უწინარეს მოქმედებას (და ხვალისაგან შევიდეს კესარიად, ხოლო კორნილიოს მოელოდა მათ, შემოეკრიბა თესლ-ტომი მისი და საყუარელნი მეგობარნი მისნი, საქ. მოციქ. 10,24).

ერთპირიან ზმნათა მეორე თურმეობითი ნაწარმოებია მიმღეობისა და მეშველი ზმნის წყვეტილის (იყო) შეერთებით. ორპირიან გარდაუვალ ზმნათა მეორე თურმეობითი ორგანულად იწარმოება. მწკრივის ნიშანია -ე, სავრცობი -ოდ (ვჰგონებ-ოდ-ე).

119. **მესამე ხოლმეობითი** წარსული დროის, თხრობითი კილოს, სრული ასპექტის, მრავალგზის მოქმედებას გადმოსცემს.

ეს მწკრივი უპირატესად გარდამავალ ზმნებს მოეპოვება. მისი ნიშანია -ი. ძეგლებში დასტურდება X საუკუნიდან.

120. **მესამე კავშირებითი** გამოხატავს მომავალი დროის, კავშირებითი კილოს, სრული ასპექტის მოქმედებას (ვიდრე არღა ეყივნოს ქათამსა, სამგზის უვარ-მყო მე, მ. 26,75).

უკვე ძველ ქართულში მესამე კავშირებითი ძალზე ხშირად გამოიყენება თურმეობითების ფუნქციით (რომელი-რაჲმე დამეკლოს, შემინდვეთ, სინ.-34 120; რომელი-რაჲ დამიკლია, შემინდვეთ, იქვე 208 და სხვ.).

გარდამავალ ზმნათა მესამე კავშირებითის მწკრივის ნიშნებია: -ო, -ა, -ე.

ამ ნიშანთა განაწილება ემთხვევა მეორე კავშირებითის მაწარმოებელთა განაწილებას.

ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა მესამე კავშირებითი იწარმოება მიმღეობისა და მეშველი ზმნის მეორე კავშირებითის ფორმის (იყოს) შეერთებით. ორპირიან გარდაუვალ ზმნათა მესამე კავშირებითი ორგანულად იწარმოება. მწკრივის ნიშანია -ი, სავრცობი — -ოდ (ვჰგონებ-ოდ-ი).

წარმოქმნის კატეგორიები

ზმნისწინები

121. ზმნას შეიძლება თავში მოუდიოდეს მორფემა, რომელსაც **ზმნისწინს** უწოდებენ. **ზმნისწინი** უსწრებს ყველა მაწარმოებელს, მათ შორის სუბიექტური პირველი და ობიექტური პირველი პირების პრეფიქსებსაც.

122. ძველ ქართულში გვაქვს შემდეგი ზმნისწინები:

მარტივი	რთული
მი	**მიმო**

მო	მიმოდა
აღ	აღმო
და	დამო
გან	გამო
შე	შემო
წარ	წარმო
გარდა	გარდამო
შთა	შთამო
უკუ/უკუნ	უკუმო
წიაღ	წიაღმო

123. ზმნისწინთა ფუნქციები. ზმნისწინი ძველ ქართულში გამოხატავს: გეზს, ორიენტაციას, მიმართულებას, აწარმოებს ახალ ლექსიკურ ერთეულს.

124. ზმნისწინიანი ფორმა გამოხატავს ზმნით გადმოცემული მოქმედების მიმართებას რომელიმე პუნქტისაკენ, უზმნისწინო ფორმას ამ მიმართების აღნიშვნა არ ძალუძს. ამის მიხედვით გვაქვს მიმართული გეზი და მიუმართავი გეზი:

მიმართული გეზი	მიუმართავი გეზი
მივალს	ვალს
წარსცა	სცა
მოუწერა	წერა

125. ორიენტაცია შეიძლება იყოს სააქეთო (მიმართული იმ პუნქტისაკენ, სადაც პირველი პირი იმყოფება) და საიქეთო (მიმართული იმ პუნქტისაკენ, სადაც პირველი პირი არ იმყოფება). სააქეთო ორიენტაციას გამოხატავენ მო- და ყველა რთული ზმნისწინი; საიქეთოს — მარტივი ზმნისწინები:

სააქეთო ორიენტაცია	საიქეთო ორიენტაცია
მოვალს	მივალს
აღმოვალს	აღვალს
გამოვალს...	განვალს...

126. მიმართულების გამოხატვა ზმნისწინის ძირითადი ფუნქციაა.

მო- გამოხატავს მიმართულებას იქიდან აქეთ (მოვალს, მოჰყავს);

მი- გამოხატავს მიმართულებას აქედან იქით (მივალს, მიჰყავს);

აღ- გამოხატავს მიმართულებას ქვევიდან ზევით, სადაც I პირი არ არის (აღვალს, აღჰყავს);

და- გამოხატავს მიმართულებას ზევიდან ქვევით, სადაც I პირი არ არის (დავალს, დაჰყავს);

გან- გამოხატავს მიმართულებას შიგნიდან გარეთ, სადაც I პირი არ არის (განვალს, განჰყავს);

შე- გამოხატავს მიმართულებას გარედან შიგნით, სადაც I პირი არ არის (შევალს, შეჰყავს);

წარ- გამოხატავს მიმართულებას აქედან იქით, სადაც I პირი არ არის (წარვალს, წარჰყავს);

გარდა- გამოხატავს მიმართულებას აქედან იქით, რაიმე დაბრკოლების გადალახვით (გარდავალს, გარდაჰყავს);

შთა- გამოხატავს მიმართულებას ზევიდან ქვევით და თანადროულად გარედან შიგნით, სადაც I პირი არ იმყოფება (შთავალს, შთაჰყავს);

უკუ-/'უკუნ- გამოხატავს უკუმიმართულებას, იქიდან აქეთ, სადაც I პირი არ არის (უკუიქცა, უკუნვალს);

წიაღ- გამოხატავს მიმართულებას აქედან იქით დაბრკოლების გადალახვით (წიაღვიდა, წიაღიყვანებს_);

აღმო- გამოხატავს მიმართულებას ქვევიდან ზევით, სადაც I პირია (აღმოვალს, აღმოჰყავს);

დამო- გამოხატავს მიმართულებას ზევიდან ქვევით, სადაც I პირი იმყოფება (დამოვალს, დამოჰყავს);

გამო- გამოხატავს მიმართულებას შიგნიდან გარეთ, სადაც I პირი არის (გამოვალს, გამოჰყავს);

შემო- გამოხატავს მიმართულებას გარედან შიგნით, სადაც I პირი იმყოფება (შემოვალს, შემოჰყავს);

წარმო- გამოხატავს მიმართულებას იქედან აქეთ, სადაც I პირი არის (წარმოვალს, წარმოჰყავს);

გარდამო- გამოხატავს მიმართულებას რაიმე დაბრკოლების გადალახვით, იქიდან აქეთ, სადაც I პირი არის (გარდამოვალს, გარდამოჰყავს);

შთამო- გამოხატავს მიმართულებას ზევიდან ქვევით და გარედან შიგნით, სადაც I პირი არის (შთამოვალს, შთამოჰყავს);

უკუმო- გამოხატავს უკუ მიმართულებას, იქიდან აქეთ, სადაც I პირი იმყოფება (უკუმოვალს, უკუმოჰყავს);

წიაღმო- გამოხატავს მიმართულებას წყლის დაბრკოლების გადალახვით, იქიდან აქეთ, სადაც პირველი პირი არის (წიაღმოვალს, წიაღმოჰყავს);

მიმო- გამოხატავს წრიულ მიმართულებას (მიმოვალს, მიმოჰყავს);

მიმოდა- გამოხატავს წრიულ მიმართულებას (მიმოდავალს, მიმოდაჰყავს);

უკვე ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში შეინიშნება ზემოთ დასახელებულ ზოგ ზმნისწინთა ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტები: ა- (VII); ამო- (864 წ.); გა- (VIII-IX სს.); წა- (864 წ.); წამო- (864 წ.); ჩა- (906 წ.); ჩამო- (IX-X სს.); გადა- (906 წ.); გარდმო- (X ს.); გადამო- (X ს.); უკმო- (X ს.).

127. ძველ ქართულში არის შემთხვევები, როცა ზმნისწინი მიმართულებას აღარ გამოხატავს (აღესრულა, დაწერა, დახატა, მოკუდა, მოკლა_).

128. ზმნისწინი წარმოქმნის ახალ სიტყვას (მოსლვა-მისლვა-დასლვა-განსლვა... აღწერა-მიწერა-მოწერა-დაწერა-გარდაწერა და სხვ.).

129. უკვე ძველ ქართულშივე გვაქვს მრავალი მაგალითი ზმნისწინით მომავალი დროის გამოხატვისა. ეს პროცესი ჯერ კიდევ ხანმეტ ტექსტებში იჩენს თავს და საკმაოდ გავრცელებულია ძველი და საშუალი ქართულის მიჯნაზე.

130. ტმესი. ძველ ქართულში საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ზმნისწინსა და ზმნის დანარჩენ ნაწილს შორის მოთავსებულია ნაცვალსახელი, კავშირი, ნაწილაკი, (მაგალითად: მო-ვინმე-ვიდა, შე-ხოლო-ახო; მო--მცა-ვედ; აღ-ნუ ვინ-ანთის, და-სამე-ვდგრეა და მისთ.).

გარდამავლობა

131. ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალი (თუ მას შეეწყობა პირდაპირი ობიექტი), ან გარდაუვალი (თუ მას არ შეეწყობა პირდაპირი ობიექტი). მაგალითად, გარდამავალია დაწერა, რადგანაც ზმნას შეეწყობა პირდაპირი ობიექტი (წიგნი), მაგრამ გარდაუვალია ემალვის, რადგანაც მას პირდაპირი ობიექტი არ შეეწყობა.

გვარი

132. გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისაა, გარდაუვალი ზმნები — ვნებითის, ან საშუალისა. ფორმალურად ვნებითი და საშუალი გვარის ზმნები იმით განირჩევიან ერთმანეთისაგან, რომ აწმყოს მწკრივის მხოლობითი რიცხვის მესამე პირში ვნებითი გვარის ზმნები ბოლოვდებიან -ებ-ი-ს, -ევ-ი-ს, -ვ-ი-ს, -მ-ი-ს, -ობ-ი-ს, -ოფ-ი-ს, -ემ-ი-ს, -იე-ს მიმდევრობებით.

133. ვნებითი გვარის ზმნები ორ ჯგუფად იყოფა: <u>დინამიკური</u> და <u>სტატიკური</u>. სტატიკური ვნებითები ძირითადად აწმყოს მხოლობითი რიცხვის მესამე პირში -იე-ს დაბოლოებას გამოავლენენ (ჰგიეს, ჰგონიეს, უპყრიეს, ჰმოსიეს...).

134. დინამიკური ზმნები წარმოების თვალსაზრისით ორ ქვეჯგუფს ქმნიან: <u>ნიშნიანი</u> და <u>უნიშნო</u>. <u>ნიშნიანი</u> ვნებითი, თავის მხრივ, იყოფა <u>პრეფიქსიანებად (თავსართიანებად)</u> და <u>სუფიქსიანებად (ბოლოსართიანებად)</u>. პრეფიქს მაწარმოებლად გვევლინება ი- და ე-. ი- პრეფიქსი გვაქვს ერთპირიან ზმნებთან, ე- ორპირიანებთან (არის რამდენიმე ზმნა, რომელთაც ე- მაწარმოებელი მოეპოვებათ, მაგრამ ძველი ქართულის დონეზე ერთპირიანებია: დაება-და, დაეთესა, დაეფლა, დაემარხა, აღმოეცენა, წარემართა, აღესრულა, დაეჯშა და მისთ. ამგვარ ზმნებს დაკარგული აქვთ ირიბ-ობიექტური პირი. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველი ქართული ენის ბოლო პერიოდში (X-XI სს.) ამ ზმნათა ნაწილი ი- პრეფიქსს იღებს (დაიბადა, დაითესა...).

135. სუფიქსი მაწარმოებლებია -დ და -ენ/-ნ. სუფიქსური წარმოება ძირითადად ნასახელარ ზმნებს ახასიათებს. -დ სუფიქსი ისეთ ფუძეებთან გვაქვს, რომლებიც ლ ნ რ თანხმოვნებით ბოლოვდება (განმართლდა, განცოცხლდა, აღმწუანდა, განთეთრდა...). -დ ზოგ ზმნურ ფუძესთანაც იჩენს თავს (განტყდა, განხთქდა...). სხვა თანხმოვნებით დაბოლოებულ ფუძეებთან -ენ/-ნ სუფიქსი გამოვლინდება (შევწუხენ, განვჭაბუკენ, დავდუმენ... შეწუხნა, განჭაბუკნა, დადუმნა...).

136. არის ერთი ჯგუფი ვნებითი გვარის ზმნებისა, რომელთაც გვარის რაიმე მაწარმოებელი არ მოეპოვებათ (აღვდეგ, დავწევ, დავჯედ, განვტეფ, განვკემ...). ამგვარ ზმნებს <u>უნიშნო ვნებითებს</u> უწოდებენ.

137. ვნებითი გვარის ზმნათა ნაწილს აქტიური მოქმედების გამოხატვა შეუძლია (იქორწინებიან, იბრძოლებოდიან, შეიშალნიან, იკბინებოდიან, შეიჭამებოდიან...). ამ ტიპის ზმნებს <u>დეპონენსები</u> ეწოდება.

138. საშუალი გვარის ზმნები ორ ჯგუფად იყოფა: <u>საშუალ-მოქმედებითი</u> და <u>საშუალ-ვნებითი</u>. <u>საშუალ-მოქმედებითი</u> გვარის ზმნები II და III სერიების ფორმებს მოქმედებითი გვარის ზმნათაგან სესხულობენ, ან აწარმოებენ მოქმედებითი გვარის ზმნათა მოდელის მიხედვით. მათი სუბიექტი ბრუნვაცვალებადია (ილოცავს <u>იგი</u>, ილოცა <u>მან</u>, ულოცავს <u>მას</u>).

<u>საშუალ-ვნებითს</u> განეკუთვნება ზმნები, რომლებიც მეორე და მესამე სერიების ფორმებს ვნებითი გვარის ზმნათაგან სესხულობენ, ან კიდევ

ფორმებს აწარმოებს ენებითი გვარის ზმნათა მოდელის მიხედვით. ამ ტიპის ზმნათა სუბიექტი ყოველთვის სახელობითში დგას (წევს იგი; წვა იგი; წოლილ არს იგი).

საშუალი გვარისაა -ავ თემისნიშნიანი სტატიკური ზმნები (ჰბურავს, სთრავს, ჰკიდავს, ჰმარხავს, ჰრთავს, ჰშორავს, ჰხილავს, ჰკურავს, სძინავს, ახლავს, უძლავს...).

საშუალი გვარის ზმნებს დაერთვის -ი, -ავ, -ებ, -ობ თემის ნიშნები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ -ოვ თემის ნიშანი მხოლოდ საშუალი გვარის ზმნებს მოუდის (მაღლოვის, ცრემლოვის...). არის საშუალი გვარის ერთი ნაწილი, რომელთაც თემის ნიშანი არ დაერთვის (წუხს, დუმს, ტირს...).

საშუალი გვარის ზმნას გვარის რაიმე მაწარმოებელი არ მოუდის.

ქცევა

139. ძველ ქართულ ზმნას მოეპოვება ქცევის სამი სახე: <u>საარვისო (ნეიტრალური), სათავისო (სუბიექტური)</u> და <u>სასხვისო (ობიექტური)</u>. <u>საარვისო</u> ქცევა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არ ეკუთვნის არც სუბიექტს და არც ობიექტს. <u>სათავისო</u> ქცევა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი სუბიექტს განეკუთვნება. <u>სასხვისო</u> ქცევა მიუთითებს, რომ პირდაპირი ობიექტი, ან გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი ირიბ ობიექტს ეკუთვნის.

140. ქცევა აქვს ორ და სამპირიან ზმნებს. სათავისო ქცევა მოეპოვება მხოლოდ ორპირიან გარდამავალ ზმნებს. საარვისო ქცევა აქვს ორ და სამპირიან ზმნებს, სასხვისო — ორპირიან გარდაუვალ და სამპირიან გარდამავალ ზმნებს.

141 საარვისო ქცევის ნიშანია ა-, ან ნული: აღაშენებს, განამზადებს... წარჰმართებს, დასწერს, ჰკითხავს... არის შემთხვევები, როცა ხდება ა- პრეფიქსისა და ნულის მონაცვლეობა (აქუს/ჰქონდა; შეახეთქა/შეჰხეთქა...).

142. სათავისო ქცევის მაწარმოებელია ი- პრეფიქსი(დაიბანა, აღიყვანა, მიიქუა, შეიპყრა...).

143. სასხვისო ქცევის მაწარმოებლებია ი- და უ-. ი- გვაქვს პირველსა და მეორე ობიექტურ პირებში, უ- მესამე პირში (მ-ი-თხრა, გ-ი-თხრა, უ-თხრა, მ-ი-ბრძანებს, გ-ი-ბრძანებს, უ-ბრძანებს... მ-ი-ცოცხლდების, გ-ი-ცოცხლდების, უ-ცოცხლდების, მ-ი-ტფების, გ-ი-ტფების, უ-ტფების...).

შენიშვნა: თუ ზმნას არ ეწარმოება საპირისპირო ფორმები (ორი მაინც), იგი ქცევის გაგებას არ შეიცავს. მაგალითად, იცის ზმნის თავკიდურა ი- წარმოშობით სათავისო ქცევის ნიშანია, მაგრამ საპირისპირო ფორმათა (საარვისო, სასხვისო) არარსებობის გამო ვამბობთ, რომ ეს ზმნა უქცევოა. წარ-

მოშობით სასხვისო ქცევის პრეფიქსია უ- ზმნაში განუტევებს, მაგრამ იმის გამო, რომ ამ ზმნას არ მოეპოვება სათავისო და საარვისო ქცევათა (ან ერთ-ერთის მაინც) ფორმები, ვთვლით, რომ იგი ქცევის გაგებას არ შეიცავს. ასეთი-ვე ზმნებია: აქუს, სძინავს, უყუარს, უნდა, უწყის და მისთ.

144. მესამე სერიის ფორმებს ქცევის გაგება არ გააჩნია.

145. რელაციის ე-. არის საშუალი გვარის ზმნები, რომელთა ე- პრე-ფიქსი ირიბ ობიექტთან რელაციას (მიმართებას) გამოხატავს. ასეთი ზმნებია: ებრკუმობს, ეზაობს, ენუკევს, ეტყებს, ეძიებს, ეშურობს, ეძულობს, ექადის, ეკიცხევს, ესავს, ელის, ეშჯის, ერჩის, ეჭუს, ეშინის, ეგლოვს, ემღერს...

კაუზატივი

146. კაუზატივი არის ზმნური კატეგორია, რომლის მეოხებითაც გარ-დაუვალი ზმნისაგან ვაწარმოებთ გარდამავალს. მაგალითად, იტყჳს გარდაუვ-ალი ზმნაა, მისგან ა- პრეფიქსის საშუალებით ვიღებთ ატყუებს („ალაპარა-კებს ის მას") გარდამავალ ზმნას. ამ ზმნის წყვეტილი იქნება აღატყუა („აალაპარაკა მან იგი"). ამრიგად, კაუზატივის ერთ-ერთი მაწარმოებელია ა-.

კაუზატივს აწარმოებს აგრეთვე ა- -ენ (ა- -ინ) კონფიქსი: ვალს — ავლენს, წარვალს — წარავლენს, ავლინებს — წარავლინა; დგას — ადგენს, დაადგინებს — დაადგინა, წევს — აწვენს და მისთ.

კონტაქტი

147. კონტაქტი არის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს, სუბიექტი უშუალოდ ასრულებს ზმნით გამოხატულ მოქმედებას (<u>უშუალო</u> კონტაქტი), თუ ასრულებინებს ირიბ ობიექტს (<u>შუალობითი</u> კონტაქტი).

კონტაქტი მოეპოვება გარდამავალ ზმნას. ორპირიანი ზმნა შეიძლება გამოხატავდეს <u>უშუალო</u> კონტაქტს, <u>შუალობითი</u> კონტაქტის ფორმა ყოველ-თვის სამპირიანია:

<u>უშუალო</u> კონტაქტი	<u>შუალობითი</u> კონტაქტი
დაწერა	დააწერია; დაწერად-სცა
მიიღო	მოაღებია; მოღებად-სცა
თქუა	ათქუმია...

შუალობით კონტაქტს აწარმოებს ა- -ი კონფიქსი (თაყუანის-ა-ცემ-ი-ა, და-ა-წერ-ი-ა_), ან ა- -ევ/ა- -ი კონფიქსი (ა-თქუმ-ევ-ს/ა-თქუმ-ი-ა, ა-ჯნ-ევ-ს/ ა-ჯნ-ვ-ი-ა...).

გვხვდება შუალობითი კონტაქტის აღწერითი წარმოება: მოღებად-სცა (=მოატანინა), დაწერად-სცა (=დააწერინა), წარკითხვად-სცა (=წააკითხვინა) და მისთ.

თემა

148. არის ზმნები, რომელთაც უღლებისას თემა არ ეცვლებათ (ბანა, წერა, გუემა, ხეთქა, ჭამა, წოვა, რეკა, რაცხა...). ამგვარ ზმნებს ერთთემიანებს უწოდებენ.

ორთემიანებია ზმნები, რომელთა I სერიის თემა რაიმე ნიშნით მეორე სერიისას უპირისპირდება. შესაძლოა, განსხვავებას ქმნიდეს ხმოვანთმონაცვლეობა (I სერიაში წარმოდგენილ ე-ს II სერიაში ი ენაცვლება), ან თემის ნიშანი, რომელიც I სერიის ფორმებში არის წარმოდგენილი, II სერიისაში კი — არა.

149. ხმოვანმონაცვლე ზმნები. ზმნათა ერთი ნაწილი ძირისეული (ან ფუძისეული) ხმოვნის მონაცვლეობას გამოავლენს (განვსწმედ: განვწმიდე, წარვსწყმედ: წარვწყმიდე, მივჰფენ: მივჰფინე, ვდრეკ: ვდრიკე, აღვადგენ: აღვადგინე და მისთ.).

ენებითი გვარის ფორმები ი ხმოვნიან ვარიანტებს ემყარება (განიწმიდების, მიეფინების...).

150. თემის ნიშნები. ძველ ქართულში გვაქვს -ი, -ავ, -ამ, -ებ, -ევ, -ემ, -ობ, -ოვ, -ოფ თემის ნიშნები.

151. -ი თემის ნიშანი მოუდის გარდამავალ ზმნებს. იგი ხშირად იწვევს ძირის კუმშვას (აღ-ვ-ზრდ-ი, და-ვ-შ-ჭრ-ი, გან-ვ-ჰ-ურ-ი...), II სერიაში ხმოვანი შემონახულია (აღ-ვ-ზარდ-ე, და-ვ-ჭარ, გან-ვ-ყარ-ე...).

152. -ავ თემის ნიშანი მოუდის როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს (მალ-ავ-ს, ბრწყინ-ავ-ს...). -ავ თემის ნიშნის ვარიანტებია -ევ (ვ-მალ-ევ-დ, ვ-ბრწყინ-ევ-დ...) და -ვ (ვ-მალ-ვ-იდ-ი, ვ-ბრწყინ-ვ-ი-დ-ი... ი-მალ-ვ-ი-ს, ი-მალ-ვ-ოდ-ა...).

თემის ნიშანი ზოგჯერ იწვევს ძირის კუმშვას: ვ-კლ-ავ, შდრ.: მო-ვ-კალ, ვ-ფლ-ავ, შდრ.: და-ვ-ფალ და მისთ.

153. -ამ თემის ნიშანი გვაქვს როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან (გან-ვ-ი-რთხ-ამ, ვ-ი-ცუ-ამ...). -ამ თემის ნიშნის ვარიანტებია: -ემ (გან-ვ-ი-რთხ-ემ-დ, ვ-ი-ცუ-ემ-დ, აღ-უ-თქუ-ემ-დ...) და -მ (გან-ვ-ი-რთხ-მ-იდ-ი, ვ-ი-ცუ-მ-იდ-ი, აღ-უ-თქუ-მ-იდ-ი... , ი-თქუ-მ-ი-ს, გან-ი-სხ-მ-ებ-ი-ან...).

თემის ნიშანს ძალუძს ძირის შეკუმშვა (შე-ვ-ი-რტყ-ამ, შდრ.: შე-ვ-ი-რატყ; გან-ვ-ი-რთხ-ამ, შდრ.: გან-ვ-ი-რათხ. გვხვდება გან-ვ-ი-რთხ-ი, ფორმაც).

154. -ებ თემის ნიშანი გვაქვს როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან (აღ-ვ-ა-გ-ებ, გან-ვ-ა-მართლ-ებ, აღ-ი-ღ-ებ-ი-ს, მო-კუდ-ებ-ი-ს, და-შთ-ებ-ი-ს...).

-ებ თემის ნიშანი მეტად გავრცელებულია. ძველი ქართული ენის ბოლო პერიოდში -ებ დაერთვის ვნებითი გვარის სხვა თემისნიშნიან ფორმებსაც (იმალების, შდრ.: იმალვის; იყოფების, შდრ.: იყოფის; აღირაცხების, შდრ.: აღირაცხვის და მისთ.).

155. -ევ თემის ნიშანი ძალზე იშვიათია. იგი ორ ზმნასთან გვაქვს: ვაკურთხევ (ვაკურთხე) და ვძლევ (ვსძლე).

იძლევის ზმნა (ვნ. გვ.) ხმოვანმონაცვლეთა რიგში დგას (იძლევის: იძლია).

156. -ემ თემის ნიშანი ერთადერთ ზმნურ ძირთან იხმარება (მი-ვ-ს-ცემ, ვ-ს-ცემ, მი-ე-ც-ემ-ი-ს... შდრ.: მი-ვ-ე-ც, ვ-ე-ც, მი-ე-ც-ა...).

157. -ობ თემის ნიშანი გვაქვს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან (მიუთხრ-ობ, შდრ.: მიუთხარ; შევიპყრ-ობ, შდრ.: შევიპყარ; ვიგმ-ობ-ი, შდრ.: ვიგმე და სხვ.).

-ობ თემის ნიშანი ძველ ქართულში დიდად პროდუქტიულია.

158. -ოვ თემის ნიშანი საშუალი გვარის ზმნებთან დასტურდება (ბუტკოვის, იგლოვის, დიდროვის, თესლოვის, კოლტოვის, ლაღოვის, მაღლოვის, მდიდროვის, მრუმლოვის, მჩქეფროვის, მწიფოვის, პეროვის, რულოვის, სასტოვის, სულოვის, ფიცხოვის, ფურცლოვის ღელვოის, ღუელფოვის, შფოთოვის, ცისკროვის, ცრემლოვის, სძულოის, წითლოვის, წყაროვის, ხისტოის, ჯეჯლოვის და მისთ.).

159. -ოფ თემის ნიშანი ერთადერთ ყავ/ყვ/ყ ზმნურ ძირს უკავშირდება (განვყ-ოფ, შდრ.: განვყავ, განიყ-ოფ-ი-ს, შდრ.: განიყო).

მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლება

160. მოქმედებითი გვარის ზმნებს 14 მწკრივი ეწარმოებათ. I სერიაში ოთხი სავრცობიანი მწკრივია: უწყვეტელი, პირველი ბრძანებითი, უწყვეტლის ხოლმეობითი და პირველი კავშირებითი. სავრცობია -დ, იშვიათად — -ოდ.

თუ სავრცობად -დ გვაქვს, უწყვეტელსა და პირველ ბრძანებითში მწკრივის ნიშანია ნული, უწყვეტლის ხოლმეობითში — -ი, პირველ კავშირებითში — -ე.

თუ სავრცობია -ოდ, უწყვეტელსა და პირველ ბრძანებითში მწკრივის ნიშანია -ე, უწყვეტლის ხოლმეობითსა და პირველ კავშირებითში — -ი.

-ავ და -ამ თემისნიშნიანთა უღლება სხვაობს მოქმედებითი გვარის სხვა ზმნათა უღლებისაგან (იხ. 169-170).

მესამე სერიის ფორმებში გარდამავალ ზმნებს ინვერსია მოსდის: სუბიექტი გამოიხატება ობიექტის ნიშნით, ობიექტი — სუბიექტის ნიშნით.

ქცევის გაგება მესამე სერიის ფორმებს არა აქვს. მეორე თურმეობითში, მესამე ხოლმეობითსა და მესამე კავშირებითში გამოვლინდება ე- პრეფიქსი, რომელიც უფუნქციოა.

ისტორიულად გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითი ნაწარმოებია სტატიკურ ზმნათა აწმყოს, მეორე თურმეობითი — სტატიკურ ზმნათა წყვეტილის, მესამე კავშირებითი — სტატიკურ ზმნათა მეორე კავშირებითის მოდელის მიხედვით.

სამპირიანი ზმნა მესამე სერიაში უმთავრესად ორპირიანადაა ქცეული (ირიბი ობიექტი გარდაიქმნება უბრალო დამატებად).

უღლების ნიმუშები

161. ერთთემიან ზმნათა უღლების ნიმუში

I სერია
აწმყო

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-წერ	ვ-წერ-თ
2.	ს-წერ	ს-წერ-თ
3.	წერ-ს	წერ-ენ

აწმყოს ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-წერ	ვ-წერ-თ
2.	ს-წერ	ს-წერ-თ
3.	წერ-ნ	წერ-ედ

უწყვეტელი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-წერ-დ	ვ-წერ-დ-ი-თ
2.	ს-წერ-დ	ს-წერ-დ-ი-თ
3.	წერ-დ-ა	წერ-დ-ეს

I ბრძანებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
2.	წერ-დ	წერ-დ-ი-თ
3.	წერ-დ-ი-ნ	წერ-დ-ედ

უწყვეტლის ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-წერ-დ-ი	ვ-წერ-დ-ი-თ
2.	ს-წერ-დ-ი	ს-წერ-დ-ი-თ
3.	წერ-დ-ი-ს	წერ-დ-ი-ან

I კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-წერ-დ-ე	ვ-წერ-დ-ე-თ
2.	ს-წერ-დ-ე	ს-წერ-დ-ე-თ
3.	წერ-დ-ე-ს	წერ-დ-ე-ნ

II სერია

წყვეტილი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-წერ-ე	ვ-წერ-ე-თ
2.	ს-წერ-ე	ს-წერ-ე-თ
3.	წერ-ა	წერ-ეს

II ბრძანებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წერ-ე	წერ-ე-თ
2.	წერ-ე-ნ	წერ-ე-დ

II ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-წერ-ი	ვ-წერ-ი-თ
2.	ს-წერ-ი	ს-წერ-ი-თ
3.	წერ-ი-ს	წერ-ი-ან

II კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-წერ-ო	ვ-წერ-ო-თ
2.	ს-წერ-ო	ს-წერ-ო-თ
3.	წერ-ო-ს	წერ-ო-ნ

III სერია

I თურმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-ი-წერ-იე-ს	მ-ი-წერ-იე-ს
		გვ-წერ-იე-ს [გუ-ი-წერ-იე-ს]
2.	გ-ი-წერ-იე-ს	გ-ი-წერ-იე-ს
3.	უ-წერ-იე-ს	უ-წერ-იე-ს

II თურმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-ე-წერ-ა	მ-ე-წერ-ა
		გუ-ე-წერ-ა
2.	გ-ე-წერ-ა	გ-ე-წერ-ა
3.	ე-წერ-ა	ე-წერ-ა

III ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-ე-წერ-ი-ს	მ-ე-წერ-ი-ს
		გუ-ე-წერ-ი-ს
2.	გ-ე-წერ-ი-ს	გ-ე-წერ-ი-ს
3.	ე-წერ-ი-ს	ე-წერ-ი-ს

III კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-ე-წერ-ო-ს	მ-ე-წერ-ო-ს
		გუ-ე-წერ-ო-ს
2.	გ-ე-წერ-ო-ს	გ-ე-წერ-ო-ს
3.	ე-წერ-ო-ს	ე-წერ-ო-ს

შენიშვნა 1: უწყვეტლის მხოლობითი რიცხვის ფორმებში ნართაული ი IX საუკუნიდან გამოვლინდება.

შენიშვნა 2: I თურმეობითში -ია დაბოლოება VIII საუკუნის II ნახევრიდან ჩრენს თავს.

162. -ებ თემისნიშნიანი ზმნების უღლების ნიმუში

I სერია
აწმყო

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-გ-ებ	გან-ვ-ა-გ-ებ-თ
2.	გან-ა-გ-ებ	გან-ა-გ-ებ-თ
3.	გან-ა-გ-ებ-ს	გან-ა-გ-ებ-ენ

აწმყოს ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-გ-ებ	გან-ვ-ა-გ-ებ-თ
2.	გან-ა-გ-ებ	გან-ა-გ-ებ-თ
3.	გან-ა-გ-ებ-ნ	გან-ა-გ-ებ-ედ

უწყვეტელი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-გ-ებ-დ	გან-ვ-ა-გ-ებ-დ-ი-თ
2.	გან-ა-გ-ებ-დ	გან-ა-გ-ებ-დ-ი-თ
3.	გან-ა-გ-ებ-დ-ა	გან-ა-გ-ებ-დ-ეს

I გრძანებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
2.	გან-ა-გ-ებ-დ	გან-ა-გ-ებ-დ-ი-თ
3.	გან-ა-გ-ებ-დ-ი-ნ	გან-ა-გ-ებ-დ-ედ

უწყვეტლის ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-გ-ებ-დ-ი	გან-ვ-ა-გ-ებ-დ-ი-თ
2.	გან-ა-გ-ებ-დ-ი	გან-ა-გ-ებ-დ-ი-თ
3.	გან-ა-გ-ებ-დ-ი-ს	გან-ა-გ-ებ-დ-ი-ან

I კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-გ-ებ-დ-ე	გან-ვ-ა-გ-ებ-დ-ე-თ
2.	გან-ა-გ-ებ-დ-ე	გან-ა-გ-ებ-დ-ე-თ
3.	გან-ა-გ-ებ-დ-ე-ს	გან-ა-გ-ებ-დ-ე-ნ

II სერია

წყვეტილი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-გ-ე	გან-ვ-ა-გ-ე-თ
2.	გან-ა-გ-ე	გან-ა-გ-ე-თ
3.	გან-ა-გ-ო	გან-ა-გ-ეს

II ბრძანებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
2.	გან-ა-გ-ე	გან-ა-გ-ე-თ
3.	გან-ა-გ-ე-ნ	გან-ა-გ-ე-დ

II ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-გ-ი	გან-ვ-ა-გ-ი-თ
2.	გან-ა-გ-ი	გან-ა-გ-ი-თ
3.	გან-ა-გ-ი-ს	გან-ა-გ-ი-ან

II კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-გ-ო	გან-ვ-ა-გ-ო-თ
2.	გან-ა-გ-ო	გან-ა-გ-ო-თ
3.	გან-ა-გ-ო-ს	გან-ა-გ-ო-ნ

III სერია

I თურმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-მ-ი-გ-ებ-ია-ს	გან-მ-ი-გ-ებ-ია-ს
		გან-გვ-გ-ებ-ია-ს [გან-გუ-ი-გ-ებ-ია-ს]
2.	გან-გ-ი-გ-ებ-ია-ს	გან-გ-ი-გ-ებ-ია-ს
3.	გან-უ-გ-ებ-ია-ს	გან-უ-გ-ებ-ია-ს

II თურმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-მ-ე-გ-ო	გან-მ-ე-გ-ო
		გან-გუ-ე-გ-ო
2.	გან-გ-ე-გ-ო	გან-გ-ე-გ-ო
3.	გან-ე-გ-ო	გან-ე-გ-ო

III ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-მ-ე-გ-ი-ს	გან-მ-ე-გ-ი-ს გან-გუ-ე-გ-ი-ს
2.	გან-გ-ე-გ-ი-ს	გან-გ-ე-გ-ი-ს
3.	გან-ე-გ-ი-ს	გან-ე-გ-ი-ს

III კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-მ-ე-გ-ო-ს	გან-მ-ე-გ-ო-ს გან-გუ-ე-გ-ო-ს
2.	გან-გ-ე-გ-ო-ს	გან-გ-ე-გ-ო-ს
3.	გან-ე-გ-ო-ს	გან-ე-გ-ო-ს

163. -ობ თემისნიშნიან ზმნათა უღლების ნიმუში

I სერია

აწმყო

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-ტფ-ობ	გან-ვ-ა-ტფ-ობ-თ
2.	გან-ა-ტფ-ობ	გან-ა-ტფ-ობ-თ
3.	გან-ა-ტფ-ობ-ს	გან-ა-ტფ-ობ-ენ

აწმყოს ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-ტფ-ობ	გან-ვ-ა-ტფ-ობ-თ
2.	გან-ა-ტფ-ობ	გან-ა-ტფ-ობ-თ
3.	გან-ა-ტფ-ობ-ნ	გან-ა-ტფ-ობ-ედ

უწყვეტელი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-ტფ-ობ-დ	გან-ვ-ა-ტფ-ობ-დ-ი-თ
2.	გან-ა-ტფ-ობ-დ	გან-ა-ტფ-ობ-დ-ი-თ
3.	გან-ა-ტფ-ობ-დ-ა	გან-ა-ტფ-ობ-დ-ეს

I ბრძანებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
2.	გან-ა-ტფ-ობ-დ	გან-ა-ტფ-ობ-დ-ი-თ
3.	გან-ა-ტფ-ობ-დ-ი-ნ	გან-ა-ტფ-ობ-დ-ედ

უწყვეტლის ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-ტფ-ობ-დ-ი	გან-ვ-ა-ტფ-ობ-დ-ი-თ
2.	გან-ა-ტფ-ობ-დ-ი	გან-ა-ტფ-ობ-დ-ი-თ
3.	გან-ა-ტფ-ობ-დ-ი-ს	გან-ა-ტფ-ობ-დ-ი-ან

I კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-ტფ-ობ-დ-ე	გან-ვ-ა-ტფ-ობ-დ-ე-თ
2.	გან-ა-ტფ-ობ-დ-ე	გან-ა-ტფ-ობ-დ-ე-თ
3.	გან-ა-ტფ-ობ-დ-ე-ს	გან-ა-ტფ-ობ-დ-ე-ნ

II სერია

წყვეტილი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-ტფ-ე	გან-ვ-ა-ტფ-ე-თ
2.	გან-ა-ტფ-ე	გან-ა-ტფ-ე-თ
3.	გან-ა-ტფ-ო	გან-ა-ტფ-ეს

II ბრძანებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
2.	გან-ა-ტფ-ე	გან-ა-ტფ-ე-თ
3.	გან-ა-ტფ-ე-ნ	გან-ა-ტფ-ე-დ

II ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-ტფ-ი	გან-ვ-ა-ტფ-ი-თ
2.	გან-ა-ტფ-ი	გან-ა-ტფ-ი-თ
3.	გან-ა-ტფ-ი-ს	გან-ა-ტფ-ი-ან

II კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-ვ-ა-ტფ-ო	გან-ვ-ა-ტფ-ო-თ
2.	გან-ა-ტფ-ო	გან-ა-ტფ-ო-თ
3.	გან-ა-ტფ-ო-ს	გან-ა-ტფ-ო-ნ

III სერია

I თურმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-მ-ი-ტფ-ობ-იე-ს	გან-მ-ი-ტფ-ობ-იე-ს გან-გვ-ტფ-ობ-იე-ს [გან-გუ-ი-ტფ-ობ-იე-ს]
2.	გან-გ-ი-ტფ-ობ-იე-ს	გან-გ-ი-ტფ-ობ-იე-ს
3.	გან-უ-ტფ-ობ-იე-ს	გან-უ-ტფ-ობ-იე-ს

II თურმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-მ-ე-ტფ-ო	გან-მ-ე-ტფ-ო გან-გუ-ე-ტფ-ო
2.	გან-გ-ე-ტფ-ო	გან-გ-ე-ტფ-ო
3.	გან-ე-ტფ-ო	გან-ე-ტფ-ო

III ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-მ-ე-ტფ-ი-ს	გან-მ-ე-ტფ-ი-ს გან-გუ-ე-ტფ-ი-ს
2.	გან-გ-ე-ტფ-ი-ს	გან-გ-ე-ტფ-ი-ს
3.	გან-ე-ტფ-ი-ს	გან-ე-ტფ-ი-ს

III კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	გან-მ-ე-ტფ-ო-ს	გან-მ-ე-ტფ-ო-ს გან-გუ-ე-ტფ-ო-ს
2.	გან-გ-ე-ტფ-ო-ს	გან-გ-ე-ტფ-ო-ს
3.	გან-ე-ტფ-ო-ს	გან-ე-ტფ-ო-ს

164. -ევ თემისნიშნიან ზმნათა უღლების ნიმუში

I სერია

აწმყო

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-ა-კურთხ-ევ	ვ-ა-კურთხ-ევ-თ
2.	ა-კურთხ-ევ	ა-კურთხ-ევ-თ
3.	ა-კურთხ-ევ-ს	ა-კურთხ-ევ-ენ

აწმყოს ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-ა-კურთხ-ევ	ვ-ა-კურთხ-ევ-თ
2.	ა-კურთხ-ევ	ა-კურთხ-ევ-თ
3.	ა-კურთხ-ევ-ნ	ა-კურთხ-ევ-ედ

უწყვეტელი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-ა-კურთხ-ევ-დ	ვ-ა-კურთხ-ევ-დ-ი-თ
2.	ა-კურთხ-ევ-დ	ა-კურთხ-ევ-დ-ი-თ
3.	ა-კურთხ-ევ-დ-ა	ა-კურთხ-ევ-დ-ეს

I ბრძანებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
2.	ა-კურთხ-ევ-დ	ა-კურთხ-ევ-დ-ი-თ
3.	ა-კურთხ-ევ-დ-ი-ნ	ა-კურთხ-ევ-დ-ედ

I ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-ა-კურთხ-ევ-დ-ი	ვ-ა-კურთხ-ევ-დ-ი-თ
2.	ა-კურთხ-ევ-დ-ი	ა-კურთხ-ევ-დ-ი-თ
3.	ა-კურთხ-ევ-დ-ი-ს	ა-კურთხ-ევ-დ-ი-ან

I კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-ა-კურთხ-ევ-დ-ე	ვ-ა-კურთხ-ევ-დ-ე-თ
2.	ა-კურთხ-ევ-დ-ე	ა-კურთხ-ევ-დ-ე-თ
3.	ა-კურთხ-ევ-დ-ე-ს	ა-კურთხ-ევ-დ-ე-ნ

II სერია

წყვეტილი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-ა-კურთხ-ე	ვ-ა-კურთხ-ე-თ
2.	ა-კურთხ-ე	ა-კურთხ-ე-თ
3.	ა-კურთხ-ა	ა-კურთხ-ეს

II ბრძანებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
2.	ა-კურთხ-ე	ა-კურთხ-ე-თ
3.	ა-კურთხ-ე-ნ	ა-კურთხ-ე-დ

II ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-ა-კურთხ-ი	ვ-ა-კურთხ-ი-თ
2.	ა-კურთხ-ი	ა-კურთხ-ი-თ
3.	ა-კურთხ-ი-ს	ა-კურთხ-ი-ან

II კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	ვ-ა-კურთხ-ო	ვ-ა-კურთხ-ო-თ
2.	ა-კურთხ-ო	ა-კურთხ-ო-თ
3.	ა-კურთხ-ო-ს	ა-კურთხ-ო-ნ

III სერია

I თურმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-ი-კურთხ-ევ-იე-ს	მ-ი-კურთხ-ევ-იე-ს გვ-კურთხ-ევ-იე-ს [გუ-ი-კურთხ-ევ-იე-ს]
2.	გ-ი-კურთხ-ევ-იე-ს	გ-ი-კურთხ-ევ-იე-ს
3.	უ-კურთხ-ევ-იე-ს	უ-კურთხ-ევ-იე-ს

II თურმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-ე-კურთხ-ა	მ-ე-კურთხ-ა გუ-ე-კურთხ-ა
2.	გ-ე-კურთხ-ა	გ-ე-კურთხ-ა
3.	ე-კურთხ-ა	ე-კურთხ-ა

III ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-ე-კურთხ-ი-ს	მ-ე-კურთხ-ი-ს გუ-ე-კურთხ-ი-ს
2.	გ-ე-კურთხ-ი-ს	გ-ე-კურთხ-ი-ს
3.	ე-კურთხ-ი-ს	ე-კურთხ-ი-ს

III კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-ე-კურთხ-ო-ს	მ-ე-კურთხ-ო-ს გუ-ე-კურთხ-ო-ს
2.	გ-ე-კურთხ-ო-ს	გ-ე-კურთხ-ო-ს
3.	ე-კურთხ-ო-ს	ე-კურთხ-ო-ს

165. -ემ თემისნიშნიანი ზმნის უღლება

I სერია

აწმყო

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წარ-ვ-ს-ც-ემ	წარ-ვ-ს-ც-ემ-თ
2.	წარ-ს-ც-ემ	წარ-ს-ც-ემ-თ
3.	წარ-ს-ც-ემ-ს	წარ-ს-ც-ემ-ენ

აწმყოს ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წარ-ვ-ს-ც-ემ	წარ-ვ-ს-ც-ემ-თ
2.	წარ-ს-ც-ემ	წარ-ს-ც-ემ-თ
3.	წარ-ს-ც-ემ-ნ	წარ-ს-ც-ემ-ედ

უწყვეტელი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წარ-ვ-ს-ც-ემ-დ	წარ-ვ-ს-ც-ემ-დ-ი-თ
2.	წარ-ს-ც-ემ-დ	წარ-ს-ც-ემ-დ-ი-თ
3.	წარ-ს-ც-ემ-დ-ა	წარ-ს-ც-ემ-დ-ეს

I ბრძანებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
2.	წარ-ს-ც-ემ-დ	წარ-ს-ც-ემ-დ-ი-თ
3.	წარ-ს-ც-ემ-დ-ი-ნ	წარ-ს-ც-ემ-დ-ედ

უწყვეტლის ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წარ-ვ-ს-ც-ემ-დ-ი	წარ-ვ-ს-ც-ემ-დ-ი-თ
2.	წარ-ს-ც-ემ-დ-ი	წარ-ს-ც-ემ-დ-ი-თ
3.	წარ-ს-ც-ემ-დ-ი-ს	წარ-ს-ც-ემ-დ-ი-ან

I კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წარ-ვ-ს-ც-ემ-დ-ე	წარ-ვ-ს-ც-ემ-დ-ე-თ
2.	წარ-ს-ც-ემ-დ-ე	წარ-ს-ც-ემ-დ-ე-თ
3.	წარ-ს-ც-ემ-დ-ე-ს	წარ-ს-ც-ემ-დ-ე-ნ

II სერია

წყვეტილი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წარ-ვ-ე-ც	წარ-ვ-ე-ც-(ი)-თ
2.	წარ-ე-ც	წარ-ე-ც-(ი)-თ
3.	წარ-ს-ც-ა	წარ-ს-ც-ეს

II ბრძანებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
2.	წარ-ე-ც	წარ-ე-ც-(ი)-თ
3.	წარ-ე-ც-ი-ნ	წარ-ს-ც-ედ

II ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წარ-ვ-ს-ც-ი	წარ-ვ-ს-ც-ი-თ
2.	წარ-ს-ც-ი	წარ-ს-ც-ი-თ
3.	წარ-ს-ც-ი-ს	წარ-ს-ც-ი-ან

II კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წარ-ვ-ს-ც-ე	წარ-ვ-ს-ც-ე-თ
2.	წარ-ს-ც-ე	წარ-ს-ც-ე-თ
3.	წარ-ს-ც-ე-ს	წარ-ს-ც-ე-ნ

III სერია

I თურმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წარ-მ-ი-ც-ემ-იე-ს	წარ-მ-ი-ც-ემ-იე-ს
		წარ-გვ-ც-ემ-იე-ს [წარ-გუ-ი-ც-ემ-იე-ს]
2.	წარ-გ-ი-ც-ემ-იე-ს	წარ-გ-ი-ც-ემ-იე-ს
3.	წარ-უ-ც-ემ-იე-ს	წარ-უ-ც-ემ-იე-ს

II თურმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წარ-მ-ე-ც-ა	წარ-მ-ე-ც-ა
		წარ-გუ-ე-ც-ა
2.	წარ-გ-ე-ც-ა	წარ-გ-ე-ც-ა
3.	წარ-ე-ც-ა	წარ-ე-ც-ა

III ხოლმეობითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წარ-მ-ე-ც-ი-ს	წარ-მ-ე-ც-ი-ს წარ-გუ-ე-ც-ი-ს
2.	წარ-გ-ე-ც-ი-ს	წარ-გ-ე-ც-ი-ს
3.	წარ-ე-ც-ი-ს	წარ-ე-ც-ი-ს

III კავშირებითი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	წარ-მ-ე-ც-ე-ს	წარ-მ-ე-ც-ე-ს წარ-გუ-ე-ც-ე-ს
2.	წარ-გ-ე-ც-ე-ს	წარ-გ-ე-ც-ე-ს
3.	წარ-ე-ც-ე-ს	წარ-ე-ც-ე-ს

166. -ოფ თემისნიშნიანი ზმნის უღლება

I სერია
აწმყო

	მხ. რ.	მრ. რ.
241 **განუსაზღვრელობითი** ნაწილაკია -მე.

242. სხვათა სიტყვის ნაწილაკებია: -ო, -მეთქი, -თქუა.

243. -მცა ნაწილაკი თხრობითი კილოს ფორმას კავშირებითად აქცევს (არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა გესუა შენ იგი ცოლად, მ. 14,4; არარაᲐ აქუს, რაᲐმცა მოგაგეს შენ, ლ. 14,14 და სხვ.). -მცა ნაწილაკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა პირობითობის გამოხატვა (ტჯროსს თუმცა და სიდონს იქმნნეს ძალნი, რომელნი იქმნნეს თქუენ შორის, მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს, მ. 11, 21; უკუეთუმცა მე მიცოდეთ, მამაᲐცამცა ჩემი იცოდეთ, ი. 8, 19 და სხვ.).

თხრობითი კილოს ფორმას -მცა ნაწილაკი ბრძანებითად აქცევს: ესემცა იცით, მ. 24,43 DE, შდრ.: უწყოდეთ C; ნუმცა იყოფინ, მ. 16,22 C (ამგვარი შემთხვევები იშვიათია).

-მცა ნაწილაკი ზმნის ფორმას II თურმეობითის შინაარსს ანიჭებს: არა უნდა, ვითარმცა ჰურიასტანს იქცეოდა, ი. 7,1 C; საუკუნითგან არასადა ვის ესმა, ვითარმცა აღ-ვინმე-უხილნა თუალნი შობითგან ბრმისანი, ი. 9,32 DE.

იშვიათად -მცა იხმარება „თითქოს" ნაწილაკის ფუნქციით: ნუ ჰგონებთ, ვითარმცა მე ძჯრისმეტყუელ რაᲐმე ვყავ თქუენთჳს წინაშე ღმრთისა, ი. 5,45 C; ფარაო იხილა ჩუენებაᲐ: ეგონა, ვითარმედ დგა იგი მდინარესა ზედა. და, აჰა, ესერა, ვითარმცა მდინარისაგან გამოვიდოდეს შჳდნი ზროხანი, შესაქმე 41,1-2 O; ვიხილევდ მერმე ჩუენებასა: და ვითარმცა შჳდნი თავნი ყუავლისანი აღმოვიდოდეს ადგილსა ერთსა, იქვე 41,22 O.

244. ძველ ქართულში და ზოგჯერ ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენება (რომელთა აღრიცხუაჲ კნინღადა შეუძლებელ არს, აგ. ძეგლ. II 62, 4-5; მარტივთა ვიეთმე შური და ჯდომაჲ შთაუთესა და მცირედღადა ძმათა მისთა შეასო კნინი რაიმე, იერ.-3, 36 r; წარმავალ ვართ ყოველნი, ვითარცადა მამანი ჩუენნი, აგ. ძეგლ. III 89, 21; ხოლო საზრდელი შენი იყოს, ვინაჲდა ჩუენცა ვიზარდებით, იქვე 146, 22-23 და მისთ.).

245. -ვე ნაწილაკი ინტენსიობას გამოხატავს; უკუე ნიშნავს: „მაშ, მაშასადამე, მართლაც, იქნებ", ნუუკუე – „იქნებ, განა, ხომ", ბარე – „ბარემ, მაშასადამე", -ღა – „კიდევ; ჯერ კიდევ", მებრ – „სრულიად", სამე – „მართლაც", კნინ//კნინღა – „თითქმის", თჳსაგან – „ცალკე", თუ არა „თორემ", ჰეღამე – „იქნებ"..

246. ძველ ქართულში -ცა ნაწილაკი ზმნის პირიან ფორმასაც დაერთვის (განუკჳრდებოდაცა მათ და იტყოდეს, მ. 13, 54; დასთრგუნვიდესცა, ლ. 12,1; იტყოდესცა მ. 12,22; ჰხედვიდაცა, მ. 12,22..

247. პირიან ფორმასთან გვხვდება ნაწილაკის ფუნქციით გამოყენებული და (მარადის ღმრთისა ხედვითა უჴორცოთა მიემსგაჴსებოდა, ვიდრეცა წარემატებოდადა მოღუაწებითა ყოველთა მყოფთა მის ადგილისათა, აგ. ძეგლ II 11, 14-17; შენვე იხილე, რომელი იყოსდა შემძლებელ განგებად ჩუენდა, აგ. ძეგლ. III 158, 16-17 და სხვ.).

შორისდებული

248. ძველ ქართულში შორისდებული მეტად იშვიათია. დასტურდება: **ბ** [ოჰ], ვაჲ, ვაშა.

წინადადების წევრები

შემასმენელი

249. შემასმენელი ორგვარია: მარტივი და შედგენილი. მარტივი შემასმენელი პირიანი ზმნით გადმოიცემა (თქუა, აღაგო, წარვიდა და მისთ.). მარტივ შემასმენელს უთანაბრდება რთული ზმნა (ნათელ-ყო, უარ-ყო, ჯერ-იჩინა და სხვ.).

<u>შედგენილი</u> შემასმენელი შედგება სახელადი ნაწილისა (შემასმენლისა) და მეშველი ზმნისაგან. შემასმენლისად გვხვდება სახელი, სახელზმნა, იშვიათად მეტყველების სხვა ნაწილებიც. შემასმენლისად გამოყენებული სახელი და სახელზმნა ძირითადად წარმოდგენილია უნიშნო სახელობითის (წრფელობითის) ფორმით. მეშველ ზმნად გამოიყენება: არს, იყო, ქმნა.

ქვემდებარე

250. გარდამავალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე ბრუნვაცვალებადია: I სერიის ფორმებთან იგი სახელობითში დგას, II სერიის ფორმებთან — მოთხრობითში, III სერიის ფორმებთან — მიცემითში (კაცი აშენებს სახლსა, კაცმან აღაშენა სახლი, კაცსა აღუშენებიეს სახლი). ასევე ბრუნვაცვალებადია საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებული ქვემდებარე (კაცი იცინის, კაცმან განიცინა, კაცსა განუცინიეს).

ვნებითი გვარის ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე ყოველთვის სახელობითში დგას (კაცი იმალვის, კაცი დაიმალა, კაცი დამალულ არს). სახელობითშია საშუალ-ვნებითი გვარის შემასმენლის ქვემდებარეც (კაცი ბორგის, კაცი აღბორგნა, კაცი აღბორგებულ არს).

შემასმენლისა და ქვემდებარის რიცხვში ურთიერთობა

251. პირის ნაცვალსახელებით გადმოცემული ქვემდებარე ყოველთვის ითანხმებს შემასმენელს რიცხვში (ჩუენ აღვაშენებთ, თქუენ აღაშენებთ, ესენი/ეგენი/იგინი აღაშენებენ; ჩუენ ვესავთ, თქუენ ესავთ, ესენი/ეგენი/იგინი ესვენ; ჩუენ ვთქუთ, თქუენ სთქუთ, ამათ/მაგათ/მათ/იმათ თქუეს...).

თუ ქვემდებარის მრავლობითობა -ნ/-თა სუფიქსებითაა გამოხატული, ზმნა-შემასმენელი, როგორც წესი, მრავლობითში დგას (კაცნი აქებენ, კაცნი დადუმნებიან; კაცთა აქეს, კაცნი დადუმნეს და მისთ.).

თუ ქვემდებარის მრავლობითობას -ებ სუფიქსი აღნიშნავს, ზმნა-შემასმენელი, როგორც წესი, მხოლობითში დგას (კაცები წერს/ხატავს; კაცებმან დაწერა/დახატა...).

თუ ქვემდებარე კრებითი სახელითაა გადმოცემული, შემასმენელი შეიძლება იდგეს მრავლობითში, ან მხოლობითში (ერი იგი, რომელი წინაუვიდოდა და რომელი უკუანა შეუდგა, ღაღადებდეს და იტყოდეს, მ. 21, 9; შდრ.: შეკრბა მისა ერი მრავალი, მ. 13,2).

პირდაპირი დამატება

252. პირდაპირი დამატება შეეწყობა მხოლოდ გარდამავალ ზმნა-შემასმენელს. პირდაპირი დამატების ბრუნვებია: მიცემითი და სახელობითი.

მიცემითში დგას I სერიაში დასმულ ზმნა-შემასმენელთან შეწყობილი პირდაპირი დამატება (კაცი აშენებს სახლსა), სახელობითში – II და III სერიებში მდგარი ზმნა-შემასმენლის პირდაპირი დამატება (კაცმან აღაშენა სახლი, კაცსა აღუშენებიეს სახლი).

პირდაპირი დამატებისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვში

253 ზმნაში აისახება ნ- სუფიქსიან მრავლობითში დასმული პირდაპირი დამატების მრავლობითობა -ენ/-ან/-ნ სუფიქსებით (იხ. 172). II და III სერიებში მდგარ ზმნაში გამოხატულია აგრეთვე ჩუენ და თქუენ ნაცვალსახელებით გადმოცემული პირდაპირი დამატების რიცხვი.

-ებ-იან მრავლობითში დასმული პირდაპირი ობიექტის რიცხვი, როგორც წესი, ზმნაში არ გამოიხატება.

თუ პირდაპირი დამატება ერთზე მეტია, ზმნა-შემასმენელში დამატების მრავლობითობა შეიძლება აისახოს, ან არა (პირველად წარეგზავნნეს მას დედაი და ცოლი და შვილნი, სვან. მრავალთ. 414, 31; აკურთხნა იოსეფ და ქალწული იგი, სინ. მრავალთ. 96, 27; შდრ.: იხილა სიმონ და ანდრია, ძმაი მისი, მრკ. 1,16 CD და მისთ.).

ირიბი დამატება

254. ირიბი დამატება ყოველთვის მიცემითში დგას (კაცი აღუშენებს შვილსა სახლსა, კაცმან აღუშენა შვილსა სახლი, კაცსა აღუშენებიეს შვილსა სახლი). სამპირიანი ზმნა-შემასმენლის ირიბი დამატება მესამე სერიაში ხშირად უბრალო დამატებად იქცევა ხოლმე (კაცსა აღუშენებიეს სახლი შვილისა// შვილისათჳს).

ირიბი დამატებისა და ზმნა-შემასმენლის ურთიერთობა რიცხვში

255. ირიბი დამატების მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის II და III პირების ფორმები გარეგნულად მსგავსია:

უყუარს	კაცსა/კაცთა
გიყუარს	შენ/თქუენ

გარჩევა ხდება სახელის ფორმის ან კონტექსტის მიხედვით.

პირველი პირის მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები ნაწილობრივ გარჩეულია. გუ- მხოლოდ მრავლობითში გვხვდება, მ- შეიძლება იყოს მხოლობითშიც და მრავლობითშიც.

სახელისა და ზმნის წყობა

256. საზოგადოდ, ძველ ქართულში სახელი ზმნას უსწრებს.

ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველი წინადადების ძირითადი წყობა ორიგინალური ძეგლების მიხედვით შემდეგია: **ქვემდებარე — ზმნა-შემასმენელი — პირდაპირი დამატება.**

გარდაუვალი ზმნის შემცველი წინადადების ძირითადი წყობა ორიგინალური ძეგლების მიხედვით ასეთია: **ქვემდებარე — ზმნა-შემასმენელი — ირიბი დამატება.**

არსებითად ასეთი ვითარებაა თარგმნილ ძეგლებშიც.

ძველ ქართულ ძეგლებში მეტად იშვიათადაა წარმოდგენილი სამპირიან ზმნა-შემასმენელთან შეწყობილი შესაბამისი სახელები. ამის გამო რაიმე კანონზომიერების დადგენა ძნელდება.

ქართული ენის ისტორიისათვის დამახასიათებელია ზმნის წინადადების ბოლო პოზიციაში დასმის ტენდენცია. ძველი ქართული ენის უკანასკნელი პერიოდისათვის წამყვანი ხდება შემდეგი განლაგება: **ქვემდებარე — პირდაპირი დამატება — ზმნა-შემასმენელი** (ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებისათვის), **ირიბი დამატება — ქვემდებარე — ზმნა-შემასმენელი** (ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველ წინადადებისათვის).

უბრალო დამატება

257. უბრალო დამატება დგას მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით, დანიშნულებითსა და ვითარებით ბრუნვებში.

მიცემით ბრუნვაში მდგომი უბრალო დამატება, როგორც წესი, თანდებულიანია: **მეინაკეთა თანა შეიღეს წინაშე თავი იგი,** სინ. მრავალთ. 210, 25; **არა მოვაწიო თქუენ ზედა** სხუაჲ სიმძიმე, იოვ. გამოცხ. 2,24.

გვაქვს უთანდებულო მიცემითით გადმოცემული უბრალო დამატებაც: **არავინ დაადგის** სადგმელი ახალი უმურკნველი **სამოსელსა** ძუელსა, მ. 9,16 DE; შდრ. **სამოსელსა ზედა** C.

ნათესაობითში დასმული უბრალო დამატება შეიძლება იყოს უთანდებულო, ან თანდებულიანი; ჯერ-არს ძისა კაცისა ფრიად ვნებაჲ და შეურაცხყოფაჲ მოხუცებულთაგან და მღდელთმოძღუართა და მწიგნობართა, ლ. 9,22; ვითარ ანუ დასაბამად უწმიდჱს იქმნა მეძავი ქალწულისა მის? სინ. მრავალთ. 219, 22; კაც იქმნა თჳნიერ ბუნებისა, სინ. მრავალთ. 35,19; მოვიდენ დღენი, რაჟამს წარვიდეს მათგან სიძე, მ. 9,15 C; მართა უცალო იყო მსახურებისაგან ფრიადისა, ფსევდომაკარი 189, 31 და მისთ.

მოქმედებითში მდგარი უბრალო დამატება უთანდებულოა, ან თანდებულიანი:

იგინი იტყოდიან პირითა მათითა, ფსალმ. 58,14; და იყო შუენიერ ქმნულობითა და კეთილ პირითა ფრიად, შესაქმე 39, 6; მათ მითცა არა ჯელი შეყვეს წინაწარმეტყველსა მას, სინ. მრავალთ. 107,8.

ვითარებითის უთანდებულო ფორმა გამოხატავს უბრალო დამატებას:

რომელმან გარდააქცია ზღუაჲ კმელად, ფსალმ. 65,6; უკუეთუ ქრისტემან მას დედაკაცსა მარტოსა მერწყულსა მაღალი იგი სარწმუნოებაჲ წინადაუდვა კიბედ, სინ. მრავალთ. 77,4; ბჭედ ჯოჯოხეთისად ჭირნი ამის სოფლისანი თქუნა, იქვე 223,19.

ცალკე უნდა გამოვყოთ ის შემთხვევა, როცა უბრალო დამატება არის წარმოდგენილი ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმასთან. უბრალო დამატება ძველ ქართულში ასეთ კონსტრუქციაში უპირატესად ნათესაობითშია, იშვიათად — მიცემითში:

ვიცნი... საქმენი შენნი უკუანაჲსკნელნი უმრავლეს პირველისა, იოვ. გამოცხ. 2,19; არარაჲ არს უბოროტეს გრძნებისა, მამ. სწავლ. 150, 12-13; რაოდენ უმჯობეს არს კაცი საცხოვარსა, მ. 12,12 D; საცხოვრისა CE.

საფიქრებელია, რომ თავდაპირველად უბრალო დამატება ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმასთან მიცემითში დაისმოდა.

განსაზღვრება

258. განსაზღვრების ფუნქციით ძველ ქართულში გამოიყენება ზედსართავი სახელი, მიმღეობა, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, არსებითი სახელი.

განსაზღვრება ორგვარია: <u>შეთანხმებული</u> (ზედსართავი სახელი, მიმღეობა, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი) და <u>მართული</u> (ნათესაობითში დასმული არსებითი სახელი).

ძველ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში ზედსართავი სახელი და მიმღეობა უპირატესად საზღვრულს უსწრებს. ასეა ნათარგმნ ძეგლთა უმეტესობაშიც. ამ მხრივ გამონაკლისია ბიბლიური წიგნები, აგრეთვე ჰიმნოგრაფიული ხასიათის ძეგლები.

რიცხვითი სახელი, როგორც წესი, საზღვრულს უსწრებს როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმ ძეგლებში.

ესე, ეგე, იგი ჩვენებითი ნაცვალსახელები, აგრეთვე კუთვნილებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები უპირატესად საზღვრულს მოსდევენ.

ესეოდენი, ეგეოდენი, ესრჱთი, ეგრჱთი, ესემლევანი, ეგემლევანი ჩვენებითი ნაცვალსახელები, აგრეთვე განსაზღვრებითი ნაცვალსახელები უპირატესად საზღვრულს უსწრებენ.

მართული მსაზღვრელი ძველ ქართულში უპირატესად საზღვრულის შემდეგ დგას.

ადგილის გარემოება

259. ადგილის გარემოება გადმოიცემა ადგილის ზმნიზედით (აქა, იქი, მუნ, ზემოჲთ, ქუემოჲთ, წინაჲთ, უკუანაჲთ...), მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებითსა და მიმართულებითში დასმული არსებითი სახელით.

ადგილის გარემოება გადმოცემულია ადგილის ზმნიზედით: სული კაცისაჲ ურჩებისათჳს შორს განდგა ღმრთისაგან, ფსევდომაკარი 223,15; მიუგო მან შინაგან, ნოველები, I 63, 25; შენ მუნ ხარ, ფსალმ. 138,8; რამეთუ აწ გარეშეღა სდგა კართა, სინ. მრავალთ. 84, 3; არა თუ სამოსელი ბრწყინვალჱ ჯამს აქა მოსად, იქვე 84, 15.

უთანდებულო მიცემითის ფორმა მავრცობი ხმოვნის გარეშე, ან მავრცობი ხმოვნით მიმართულებას გამოხატავს: და ვითარცა მიეახლნეს იერუსალჱმს, მ. 21,1; მათ წარავლინეს კაცი მონასტერსა მას, ნოველები, I 19, 17-19.

მიცემითის უთანდებულო ფორმა მავრცობით ადგილობითობის გამოსახატავად იხმარება: ესენი არიან კლდოვანსა მას დათესულნი, მრკ. 4,16 DE; რომელსაცა ადგილსა მიხჳდე, ანუ თუ სოფელსა იქცეოდი, ანუ თუ დაბასა, ანუ თუ უდაბნოსა, სინ. მრავალთ. 224, 16-17.

თანდებულიანი მიცემითი ადგილობითობას გადმოსცემს: უკუეთუ იყვნენ მართალნი ქალაქსა მას შინა ერგასისნი, შესაქმე 18,24; ესენი არიან კლდოვანსა ზედა დათესულნი, მრკ. 4,16 C.

-გან თანდებულიანი ნათესაობითი გამოსვლითობას გადმოსცემს: მას დღესა შინა გამოვიდა. იესუ სახლისა მისგან, მ. 13,1; შინაგან გულისაგან ზრახვანი კაცთანი უკეთურნი გამოვლენ, მრკ. 7,21 C; ოდეს განვიდეს სული ჩემი გუამისა ჩემისაგან, ნოველები, I 23, 45.

უთანდებულო, ან თანდებულიანი მოქმედებითი გამოსვლითობას გადმოსცემს: რომელმან გამოიღე ყუავილი იგი აღდგომისაჲ მკუდრეთით, სინ. მრავალთ. 204, 20; არა თუ ვარსკულავნი ზეცით ქუეყანად გარდამოჴდეს, იქვე 217,6; რომელი შორაეს ქალაქით ათ მილიონ, ნოველები, I 18, 1-2.

მიმართულებითი ბრუნვა: მრავალნი ჰურიათაგანნი მოსრულ იყვნეს მართალსა და მარიამისა, ი. 11,19; რაჲსათჳს სხჳსა სიკეტი შეჳევნისა თხოვად, მამ. სწავლ. 146,28; მივიდა მამისა საბაჲსა, მამ. ცხორებანი 280,19.

ვითარებითში დასმული სახელი მიმართულებითს გამოხატავს: აღ-თუ-ეკდე ცად, ფსალმ. 138,8; არა თუ ვარსკულავნი ზეცით ქუეყანად გარდამოჴდეს, სინ. მრავალთ. 217,6; უცხოდ სოფლად თუ ვინმე მიგიყვანოს შენ, იქვე 221,10; ოდესმე წარვიდოდა იგი ციხედ, ნოველები, I 23, 18-19.

ძველ ტექსტებში შეინიშნება მიცემითისა და ვითარებითის ფორმათა მონაცვლეობა:

ვითარცა მიეახლნეს იერუსალიმს, მ. 21,1 DE; შდრ. იერუსალიმდ C; და წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას, მ. 22, 3 DE; შდრ.: ქორწიდ C.

დროის გარემოება

260. დროის გარემოება გადმოიცემა დროის ზმნიზედებით (აწ, ადრე, მაშინ, გუშინ, ოდეს, ხვალე, ძუღუან, მერმე...), სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმებით.

დროის გარემოება გადმოცემულია დროის ზმნიზედით: მაშინ მოუკდეს იესუს მოწაფენი თჳსნი, მ. 18,1 DE; რაჟამს მოვიდეს გუამი იგი დიდებით ძალითა მისითა, ფსევდომაკარი 221,10; ოდესმე ჰრქუა ბერსა, ნოველები, I 18,2; აწ ღმერთი ქმნულ არს მოყუარე მისსა, იქვე 18,13; მიერითგანცა გულისხმაყო ზედამიწევნით, სინ. მრავალთ. 108,32 და მისთ.

დროის გარემოება გადმოცემულია უნიშნო სახელობითით: რაჲთა გამოიცადნეთ ათ დღე, ოთ. გამოცხ. 2,10; დავყავ მის თანა სამ დღე, ათ. ასკეტ. კრებ. 78v, 3-4a; ნეტარი მამაჲ ოვანე მყოვარ ჟამ ევედრებოდა ღმერთსა, მამ. ცხორებანი 275, 7-8.

დროის გარემოებას გადმოსცემს მიცემითი ბრუნვა: მას ჟამსა განყოფამან მან ენათამან საქმენი ცუდნი განაქარვნა, სინ. მრავალთ. 181,9; მას დღესა შინა გამოვიდა იესუ სახლისა მისგან, მ. 13,1; ილოცევდით, რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა შინა, გინა დღესა შაბათსა, მ. 24, 20 DE; შდრ.: ზამთარსა C.

ნათესაობითი ბრუნვა: ილოცევდით, რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთრის, მრკ. 13,18 C; შემდგომად წყლითრღუნისა დაიდვა შჯული ნოეს მიმართ, სინ. მრავალთ. 85,20; ნოეს ზედა სიძჳსათჳს მოიწია წყლითრღუნაჲ იგი ქუეყანასა ზედა, მამ. სწავლ. 151, 17-18.

მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები: ვარსკულავთაჲ რომელიმე ღამით მხერვალ არს, სინ. მრავალთ. 217,27; ესე ყოველი მიყოფიეს სიჭაბუკით ჩემითგან, მრკ. 10,20 C; დაადგრა მწუხრიოგან განთიადმდე და გან-

თიადითგან მწუხრამდე ლოცვად და ტირილად, ნოველები, I 23, 24-25; მსთუად შეეკესმინ ჩემი, ფსალმ. 137,3; მაცადე მე პირველად განძღებად შვილთა, მრკ. 7,27; იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკუდილამდე, იოვ. გამოცხ. 2, 10; მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ზედა, მ. 27,45 C.

დროის გარემოება გამოხატულია სინტაგმით, რომლის პირველი წევრია რაჲ, მეორე კი უნიშნო სახელობითში დასმული დროის გამომხატველი სიტყვა (დღე, ჟამ, თთუე, წელიწად...). ამიზდებნ იგი თავსა თჳსსა რაჲ დღე ას ფულად, მამ. ცხორებანი 263,11; რაჲ წელიწად მოიყვანიან კაცი უცხოჲ, ბალავარ. 40, 28-29; რაჲ კჳრიაკეთა შთავიდის მათ შინა, მამ. ცხორებანი 152,6). რაჲ დღე ნიშნავს „ყოველდღე". რაჲ ჟამ — „ყოველ დროს" და ა.შ.

ვითარების გარემოება

261. ვითარების გარემოება გადმოიცემა ვითარების ზმნიზედებით (ეგრე, ეგრჱთ/ეგრეთ, ესრე, ესრჱთ/ესრე, პირსპირ...), სახელობითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმებით.

ზმნიზედა გადმოსცემს ვითარების გარემოებას: ეგრე მხიარულ იყვნეს, მამ. ცხორებანი 79,8; ამის სოფლისანი იგი ქორწილნი არა ეგრჱთ არიედ განკითხვით, სინ. მრავალთ. 83,10-11; ეგრეთ ვყო, ძმაო, რაზომცა შემეძლოს, ნოველები I 23,21; მერმე კუალად თქუა, ლ. 13,20; ამას ზედა შეწუხნა ეროდე ფრიად, სინ. მრავალთ. 210,8; ერცახე აოკრებულ არს, ნაყოფი ვითარ მოგუცეს, ნოველები, I 23,31-32; უფროჲსღა მადლი ჰპოო შენ წინაშე ღმრთისა, იქვე 23,51; ძმანი ორნი ჯორციელად იყოფვოდეს სოფელსა ერთად, და განვიდეს აგრეთვე ზოგად და მონაზონ იქმნეს, იქვე 24,1-2.

ვითარების გარემოებას გამოხატავს სახელობითის უნიშნო ფორმა: მწრაფლ მოგაგოს სათხოელი შენი, მამ. სწავლანი 145,16; მკჳრცხლ წარვიდეთ წარმტყუენველთა ჩუენთა თანა, იქვე 147,5-6; მძლაერ დაგიმორჩილოს შენ, იქვე 149,22; შემოიღის ეშმაკმან განდგომილებაჲ და უვარის-ყოფაჲ ღმრთისაჲ, სადამე ცხადად და სადამე იდუმალ, იქვე 150,16-18.

ნათ. ბრუნვა: ძალისაებრ ჩემისა ვიზრუნე, ნოველები, I 23,30; ყო ძმამან მან ბრძანებისაებრ მისისა, იქვე 23,52-53.

მოქმედებითი ბრუნვა: რამეთუ მიერითგანცა გულისხმა-ყო ზედამიწევნით, სინ. მრავალთ. 108,33; წარვიდა ძმაჲ იგი და იქმნა მონაზონ, არამედ უდბებით ცხოვრებდა, ნოველები, I 19,6-7.

ვითარებითი ბრუნვა: განმიმრავლდეს მე უფროჲს თმათა თავისა ჩემისათა მოძულენი ჩემნი ცუდად, ფსალმ. 68,5; ეკლესიამან ერთპირად ღაღატ-ყო, სინ. მრავალთ. 223,36; დაადგრა მწუხრითგან განთიადმდე და განთიადითგან მწუხრამდე ლოცვად და ტირილად დაუცხრომელად, ნოველები, I 23,24-25.

მიზნის გარემოება

262. მიზნის გარემოება გადმოიცემა მიზნის ზმნიზედებით (ამისთჳს, მისთჳს) და სახელით ნათესაობითსა და ვითარებით ბრუნვებში.

მიზნის გარემოებას გამოხატავს მიზნის ზმნიზედა: ამისთჳს გცა შენ უფალმან შენმან, რაჲთა გულისჯმა-ჰყო, ვინ არს, რომელმან გცა შენ, მამ. სწავლ. 146, 23-24;

ნათესაობითი ბრუნვა: ესე სახე არს შენი, ძეო მეფისაო, რომელი პატივ-მეც მხიარულებისა სასოებისათჳს, რომელსა ჰგონებ ჩემ თანა, ბალავარ. 34, 23-25.

ვითარებითი ბრუნვა: აღეღო ეტრატი ძმათაგან საწერლად, ნოველები, I 23,13; სალოცველად ყოვლისა ამის კრებულისათჳს, ადიშ. ოთხთ. ანდერძი; ჰკენ სასწაულებ და ნიშებ საცთუნებელად, შე-თუმცა-უძლეს, რჩეულთაცა, მრკ. 13,22 C.

მიზეზის გარემოება

263. მიზეზის გარემოება გამოიხატება მიზეზის ზმნიზედებით (ამისთჳს, ამის გამო, მის გამო), ნათესაობითი და (იშვიათად) მოქმედებითი ბრუნვებით.

მიზეზის გარემოებას გამოხატავს მიზეზის ზმნიზედა: რაჲსათჳს რომელიმე მდიდარ არს და რომელიმე გლახაკ? მამ. სწავლ. 143,5; მდიდარი რაჲსათჳს იტანჯებოდა? არამედ ამისთჳს, რამეთუ იგი ხოლო მარტოჲ ჭამდა, იქვე 146,2-3; მისთჳს იტანჯებოდა, იქვე 146,4-5; სოდომი რაჲსა უკუე დაიქცა, არამედ ამისთჳს, იქვე 151,16; რად გძინავს, უფალო? ფსალმ. 43,24; რაჲთა არა ამის გამო აპმაღლდე, მამ. ცხორებანი 279,34.

ნათესაობითი ბრუნვა გადმოსცემს მიზეზის გარემოებას: სული კაცისაჲ ურჩებისათჳს შორს განდგა ღმრთისაგან, ფსევდომაკარი 223,15; ხოლო მან ვერარაჲ მიუგო სიტყუაჲ დედასა თჳსსა სირცხჳლისაგან, ნოველები, I 19, 13-14; არა ჰნებავს სინანულად სიძვისაგან მისისა, იოვ. გამოცხ. 2,21.

მოქმედებითი ბრუნვა: ხოლო ზღუაჲ იგი მითცა არა მიუტევებდა მას, არცა შეუნდობდა, სინ. მრავალთ. 107,12; სიმრუდე კირჩხიბისაჲ ბუნებით არს, ხოლო სიმრუდე შენი ნებითა შენითა არს, მამ. სწავლ. 148, 9-10.

წინადადების ტიპები

264. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელია გრძელი პერიოდები, სადაც გადაჯაჭვულია თანწყობა და ქვეწყობა. მაგალითად შეიძლება დავიმოწმოთ „სინური მრავალთავის“ ერთი ადგილი:

გულისხმა-ყავთ, რავდენნი ძლიერნი და მეფენი, რომელთა ედგნეს შრავანდნი თავთა მათთა და აღელესნეს მახჳლნი მათნი და აღემახუნეს, ვითარცა შუანი მძჳნვარეთანი, გულისწყრომანი იგი მათნი და უთქუმიდეს სიკუდილდ და უმზირდეს შეწუვად ცეცხლითა, და დაყარნა კაპარჭნი თჳსნი ეშმაკმან, ხოლო ვერაჲ შეუძლო ყოფად ეკლესიათათჳს, რამეთუ ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას, და საქმენიცა იგი მოწამე არიან, რომელნი იქმნეს მის ზედა, მრავალგზის ჰბრძვეს და ვერ ერეოდეს მას, არამედ მბრძოლნიცა იგი წარჯდეს და დასავიწყებელად შეიქმნეს, ხოლო ეკლესიაჲ ოდესვე და მარადის ყუავს, 224,3-11

მოვიყვანთ ერთ ადგილს „ბალავარიანიდან“:

ჰრქუა კაცმან მან ქრისტესმოყუარემან: დასაბამი საქმისა ჩემისაჲ ესე იყო, რამეთუ მესმა სიტყუაჲ ერთი დღეთა ოდენ სიჭაბუკისა ჩემისათა და ჩასწუთა ნაწუეთი მისი ჩემ თანა, და ყოვლადვე ჴსენებაჲ მისი მაქუნდა გულსა შინა ჩემსა, რასაცა ვიქმოდე, და აღორძნდებოდა დღითი დღე, ვითარცა ნერგი რაჲ აღორძნდებინ, ვიდრემდის განსრულდა ნერგი იგი და ესევითარი ნაყოფი გამოიღო, რომელსა-ესე ჰხედავ ჩემ თანა, ხოლო სიტყუაჲ, რომელი მესმა, ესე არს: ჰგონებენ უგუნურნი არსსა მას არაარსად და არაარსსა მას — არსად, რომელმან ვერ გულისკმა-ყოს არსი იგი, ვერ თანაწარჰჴდეს არაარსსა მას, ხოლო არსი იგი მერმე იგი სოფელი არს და არაარსი — სოფელი ესე, რომლითა შენ შეპყრობილ ხარ, 6,7-18.

265. გვაქვს სამი ტიპის წინადადება: **მარტივი, შერწყმული** და **რთული**. უნდა ითქვას, რომ ძველ ქართულში მარტივი წინადადება შედარებით იშვიათია. უპირატესად გვხვდება შერწყმული და რთული წინადადებები.

შერწყმული წინადადება

266. ერთგვარი წევრების შეერთება, როგორც წესი, კავშირის მეშვეობით ხდება. მაერთებელ კავშირებად გამოიყენება: **და, ხოლო, ანუ, არამედ, გინა თუ**:

მრავალი საფასჲ განუყო გლახაკთა და მონასტერთა, მამ. ცხორებანი 279, 41-42;

და წარვიდა ძმაჲ იგი და იქმნა მონაზონ, არამედ უდბებით ცხოვრებდა, ნოველები, I 19, 6-7.

ვისი არს ხატი ესე, ანუ ზედაწერილი, მ. 22,20;

რაჟამს იხილოს ხილვაჲ ღმრთეებრი, გინა თუ ხილვაჲ ანგელოზებრი, მამ. ცხორებანი 277,21.

იშვიათად შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრების შეერთება უკავშიროა:

სხუანი აცხოვნნა, თავისა თჳსისა ვერ ძალ-უც ცხოვნებად, მ. 27,42: შემიყვანეთ მე სახლსა ღჳნისასა, განაწესეთ ჩემ ზედა სიყუარული, ქებ. ქებ.

2,4; შეეედ მტილსა ჩემსა, დაო ჩემო, სძალო, მოვწილე ზმური საკუმეველი-თურთ ჩემით, ეჭამე პური ჩემი თაფლითა ჩემითა, იქვე 5,1.

267. ძველ ქართულში დასტურდება ყველა ტიპის შერწყმული წინადადება: ერთგვარშემასმენლებიანი (და აღიხუნა თუალნი თჳსნი და იხილა რტოთა მათ ზედა მცირედი რაჲმე თაფლი და იწყო ჭამად, ბალავარ. 37, 8-10), ერთგვარქვემდებარეებიანი (და შეაქცია გემოვნებამან და სიტკბოებამან მისმან, ბალავარ. 37,10-12), ერთგვარდამატებებიანი (გამოავლინე ნათელი შენი და ჭეშმარიტებაჲ შენი, ფსალმ. 42,3; თავ-უყავ მამასა და დედასა, მ. 15,4 C; 19,19 C; რომელსა-იგი უსუპითა და ლერწმითა ასუეს, სინ. მრავალთ. 83, 5-6), ერთგვარგანსაზღვრებებიანი (კაცისა ცრუჲსა და მზაკუვარისაგან მიჳსენ მე, ფსალმ. 42,1) და სხვ.

შერწყმული წინადადების პირდაპირი დამატება რიცხვში ითანხმებს უახლოეს შემასმენელს:

გამოადინნა სისხლნი თჳსნი და ასუა ჴსნილთა თჳსთა, კლარჯ. მრავალთ. 98 r, 11-13.

როცა შემასმენელთან რამდენიმე პირდაპირი დამატებაა, შემასმენელი რიცხვში უახლოესს უთანხმდება:

და დაუტევა მამაჲ და დედაჲ და ძმანი და დანი და ნათესავნი, სვან. მრავალთ. 412, 22-24; რომელმან აღაღოს წიგნი და შჳდნი ბეჭედნი მისნი, A-397 29 r, 2-4.

როცა შემასმენელთან მხოლობითში დასმული რამდენიმე დამატებაა, შემასმენელი შეიძლება იდგეს მხოლობითში, ან მრავლობითში:

იხილა სიმონ და ანდრია, მრკ. 1,16 CD; შდრ.: იხილნა E.

რთული თანწყობილი წინადადება

268. რთული თანწყობილი წინადადების შემადგენელ ნაწილთა (წინადადებათა) შეერთება, ჩვეულებრივ, კავშირიანია. კავშირებად გამოიყენება: და, ხოლო, არამედ, ანუ, გარნა.

და განათლდა სახლი იგი ბრწყინვალებითა მით თუალებისაჲთა და აღივსნეს ყოველნი იგი სურნელებითა მით გულისსათქუმელითა, ბალავარ. 34, 11-14;

ცანი და ქუეყანაჲ წარჯდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარჯდენ, მრკ. 13,31;

არა შევიდა იესუ მოწაფეთა თანა ნავსა მას, არამედ მოწაფენი ხოლო მისნი შევიდეს, ი. 6,22;

რომელი ინაჯით ზის, ანუ რომელი ჰმსახურებს, ლ. 22,27;

ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ ხოლო, მრკ. 5,36.

არის შემთხვევები, როცა და გამოყენებულია მაპირისპირებელი კავშირის („ხოლო") ფუნქციით:

ნათესავი უკეთური და მომრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, მ. 12, 39 C; მშჯლდი ძლიერთაჲ მოუძლურდა, და ძლიერთა გარეშეირტყეს ძალი, ფსალმ. გალ. 3,4; შენ აბრალებ მგელსა მშიერსა, და სიმაძღრე შენი წარმოსტყუენავს მშიერთა, ალსა ცეცხლისასა დაავსებ, და ალი აგზებულ არს შინაგან შენსა, შენ გძულს მცირე გუელი, და შინაგან შენსა დამკჳდრებულ არს დიდი ვეშაპი, შენ მოჰკლავ ღრიანკალსა, და ენაჲ შენი უბოროტეს ღრიანკალისა კბენს, მამ. სწავლ. 148, 11-14.

შედარებით იშვიათია უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება:

არცა უკუნვიქეცით გულითა ჩუენითა, მისდრიკენ ალაგნი ჩუენნი გზისაგან შენისა, ფსალმ. 43,19; მიგიზიდეს შენ, შემდგომად შენსა სულნელად ნელსაცხებელისა შენისა ვრბიოდეთ, ქებ. ქებ. 1,4; შევიყუარენ ძუძუნი შენნი უფროჲს ღჳნისა, სიწრფოებამან შეგიყუარა შენ, იქვე 1,4; აჰა, ზამთარი წარკდა, წჳმაჲ დასცხრა, წარვიდა, ყუავილი გამოჩნდა ქუეყანასა, ჟამი სხლვისაჲ მოიწია, კმაჲ გურიტისაჲ ისმა ქუეყანასა ჩუენსა, ლელუმან გამოუტევა ყუავილი თჳსი, ვენაკნი ჩუენნი ყუავიან, იქვე 2, 11-13.

რთული ქვეწყობილი წინადადება

269. რთული ქვეწყობილი წინადადება ძველ ქართულში მეტად ხშირია. ამასთან საკმაოდ არის ისეთი შემთხვევები, როცა ერთდროულად გვაქვს ქვეწყობა და თანწყობა. თანწყობილია მთავარი (იგი შედგება რამდენიმე მარტივი, რამდენიმე შერწყმული, ან მარტივი და შერწყმული წინადადებისაგან), ან დამოკიდებული. მთავარს ახლავს რამდენიმე დამოკიდებული (ერთგვარი და არაერთგვარი), ან გვაქვს თანამიმდევრული დაქვემდებარება (დამოკიდებულს მოეპოვება თავისი დამოკიდებული წინადადება და ა.შ.).

270. დამოკიდებული წინადადება მთავარს უსწრებს (ვითარ მივიდა ლაკრად, ჰოვა მამაჲ ჩუენი საბა, მამ. ცხორებანი 275,18) მოსდევს (ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ სახელი გაქუს და ცხოველ ხარ და მკუდარ ხარ, იოვ. გამოცხ. 3,1), ან მოთავსებულია მთავარის ნაწილებს შორის (წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა, და მეუსეულად ჰპოვოთ ვირი დაბმული და კიცჳ მის თანა, მ. 21,2).

271. მთავარისა და დამოკიდებულის შეერთება, როგორც წესი, მაქვემდებარებელი კავშირის მეშვეობით ხდება. მაქვემდებარებელი კავშირებია: **რამეთუ, რაჲთა, უკუეთუ, თუ, ვითარმედ, რაჲ.**

გეშინოდენ უფლისა და მიეცით მას დიდებაჲ, რამეთუ მოვიდა ჟამი სასჯელისა მისისაჲ, იოვ. გამოცხ. 14,7;

ხოლო ამას ყოველსა ამისთჳს იქმს ეშმაკი, რაჲთა ამას საწუთროსა შთააგდოს იგი ზრუნვათა, ფსევდომაკარი 224, 33-34;

ხოლო აწ, უკუეთუ მოვისწრაფოთ სინანულად, ვიპოვნეთ მარჯუენით ქრისტესა, მამ. სწავლანი 61, 4-5;

ვინაჲ უწყი, თუ ჭეშმარიტსა იტყჳან, ბალავარ. 72, 20-21;

ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ აღდგა იგი მკუდრეთით, მ. 27,64;

მაშინ მთავარი მოიწია სრბით მოყუსებითურთ თჳსით უკუანა წმიდისა და მიიწია ქალაქსა შინა კრებასა, ითხოვდეს რაჲ იგინი პურსა, მამ. ცხორებანი 225, 28-29.

იშვიათია რომელ: და სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე სპეტაკ ფრიად, რომელ მურკვალმან ქუეყანასა ზედა ვერ უძლოს ესრე განსპეტაკებად, მრკ. 9, 3; ვჰმადლობ ღმერთსა, რომელ არავის თქუენგანსა ნათელ-ვეც, ლიმონ. 71,6-7 და სხვ.

ასევე იშვიათად და გამოიყენება მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით: რაჲ გნებავს, და გიყო თქუენ, მრკ. 10,36; ვინ გნებავს ორთაგანი, და მიგიტევო თქუენ, მ. 27,17 და მისთ.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გამოიყენება მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინ, ვინცა, რაჲ, რაჲცა, რაჲ-ესე, რაჲ-ეგე, რაჲ-იგი, რომელი, რომელიცა, რომელი-ესე, რომელი-ეგე, რომელი-იგი...) და მიმართებითი ზმნიზედები (ვინაჲ, ვინაჲცა, სადა, სადაცა, სადა-ესე, სადა-ეგე, სადა-იგი...). მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები წევრ-კავშირებს წარმოადგენენ.

იშვიათია უკავშირო შეერთება:

და აწ განვალ მე და გამცნებ: დაუმარხე ღმერთსა შჯული მისი, ბალავარ. 87, 5-6:

მე გეტყჳ შენ: ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყჳ მას, შუშ. IV, 10-11;

და შე-მცა-ეშინა, ნუუკუე ვერ დაითმინოს სიმქისე სიტყუათა მისთაჲ, ბალავარ. 107, 20-22.

272. ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება დამოკიდებული წინადადების ყველა სახე: შემასმენლური (მე ვარ, რომელი განვიკითხავ გულსა და თირკუმელთა, იოვ. გამოცხ. 2,23; ესე იგი არს, რაჲთა კალოსა შინა გულისა ჩუენისასა არა იყვნენ ერთბამად სათნოებაჲ და უკეთურებაჲ, ფსევდომაკარი 165, 31-32), ქვემდებარული (ამას იტყჳს, რომელსა ჰქონან შჳდნი იგი სულნი ღმრთისანი, იოვ. გამოცხ. 3,1; თანაგუაც, რაჲთა მარა-

დის ვცრემლოოდით, ნოველები, I 22,5), პირდაპირდამატებითი (უწყი, რამეთუ ესთენ არს გამოცდილებაჲ თქუენი, ბალავარ. 33, 32-33; რომელმან სძლიოს, ვყო იგი სუეტად ტაძარსა შინა ღმრთისა ჩემისასა, იოვ. გამოცხ. 3,12), ირიბდამატებითი (ჰგავს, თუ ესე არს საწადელი სულისა ჩემისაჲ, ბალავარ. 35,3; ჰხედვიდა იგი, ვითარმცა იყო წმიდასა ბეთლემს, მამ. ცხორებანი 280,38), უბრალო დამატებითი (უნდა მას თუალითა ხილვაჲ, უკუეთუ ნანდჳლვე ჭეშმარიტ არს საქმჱ იგი, მამ. ცხორებანი 280, 41-42; კმა არს სიტყუაჲ შენი ნაცვალად მისსა, რამეთუ ფრიად განანათლე გონებაჲ ჩემი სიტყჳთა შენითა, ბალავარ. 35, 12-14), განსაზღვრებითი (ესე სახე არს ყოველთა, რომელნი იმკვებიან სამოსლითა და ოქროჲთა, ბალავარ. 34, 3-5; გითხრა თქუენ საქმე საშინელი, ვითარმედ მიწამან შეურაცხმან პირსა სცა დამბადებელსა თჳსსა, მამ. სწავლ. 151, 13-14), ადგილის გარემოებითი (სადა არიან საფასენი თქუენნი, მუნცა არიან გულნი თქუენნი, მ. 6,21 C); დროის გარემოებითი (დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდე დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჯთა შენთა, მრკ. 12,36; რამეთუ, აჰა, ესერა, ვითარცა იყო ჯმაჲ მოკითხვისა შენისაჲ ყურთა მომართ ჩემთა, ჰკრთებოდა ყრმაჲ ესე მუცელსა ჩემსა, ლ. 1,44 DE), ვითარების გარემოებითი (ესოდენ სახიერი კაცი იყო, რომელ მონათათჳსცა დიდად ზრუნვიდა, ათ. ასკეტ. კრებ. 3v, 19; ესრეთ კეთილთა ოდენ სათნოებათა ნაყოფი აღვაორძინოთ სულსა შინა ჩუენსა, ვითარცა წერილ არს, ფსევდომაკარი 166, 14-15), მიზნის გარემოებითი (მოვიდა, რომელ უჩუენოს მოწაფესა თჳსსა, კლარჯ. მრავალთ. 75r, 18-20; განეშორენით შერეულებისაგან მათისა, რაჲთა არა მოისრნეთ ცოდვითა მათითა, მამ. სწავლ. 151, 1-2), მიზნის გარემოებითი (ესე გაქუს, რამეთუ გძულან საქმენი იგი ნიკოლაელთანი, იოვ. გამოცხ. 2,6; დათმობითი (რამეთუ, დაღაცათუ ყოველნივე სათნოებანი სულისა წმიდისა მიერ არიან, არამედ, რაჲთა არა მაღლოოდის, რომელი-იგი მათ მადლთა ღირსქმნულ იყოს და რაჲთა არა ჰგონებდეს, ვითარმედ სრულსა საზომსა მიწთომილ არს და არღარაჲ უკმს, ფსევდომაკარი 169, 1-4; ხოლო ჩუენ დაღაცათუ განვაგრძეთ სიტყუაჲ ესე ჩუენი კეთილისა მოქალაქობისათჳს, ვითარცა ვისწავეთ უფლისაგან, იქვე 171, 7-8); პირობითი (უკუეთუ არა მღჳძარე იყო, მოვიდე შენ ზედა, ვითარცა მპარავი, იოვ. გამოცხ. 3,3; აწ უკუეთუ ესრეთ არს, ვითარ ეჰგონებ, მითხარ, და, უკუეთუ სხუაჲ რაჲმე გაქუს გარეშე ამისა, რომელი მესმის, კმა არს სიტყუაჲ შენი ნაცვალად ამისსა, ბალავარ. 35, 10-13), მთავრისმიმართი (ეკრძალენით, რამეთუ ლომი წინაკერძო თქუენსა არს, მამ. ცხორებანი 281,7).

სინტაქსური ასიმილაცია.

273. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არც თუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა მთავარი წინადადების ქვემდებარე, ან დამატება იმართვის არა მთავარი წინადადების, არამედ დამოკიდებული წინადადების შემასმენლის მიერ. ეს ხდება მაშინ, როცა დამოკიდებული წინადადება მთავარშია მოთავსებული:

ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს, მ. 3,10; წიგნსა მაგას, რომელსა იკითხავ ყურთა ერისათა, მოიღე ჯელითა შენითა, იერემია. 36,14.

სინტაქსური და ფრაზეოლოგიური კალკები

274. ენათა ურთიერთქმედების შედეგად შესაძლოა თავი იჩინოს უცხო ენის სინტაქსურმა და ფრაზეოლოგიურმა კალკებმა. ძველ ქართულში ამგვარი მოვლენები უპირატესად ბერძნულის გავლენის შედეგია. ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა მოვლენის პირველწყაროა სემიტურია (ებრაული), ოღონდ აისახა ძველი აღთქმის ბერძნულ ვერსიებში, საიდანაც ქართულში შემოვიდა.

ქვემოთ განვიხილავთ ასეთ შემთხვევათა ერთ ნაწილს.

ინფინიტივური კონსტრუქცია

275. ძველ ქართულში ვითარებითში დასმულ საწყისს პირდაპირი დამატება ეწყობა მიცემითში, ან სახელობითში:

ვინაჲ ძალ-გუც აქა განძღებად პურითა ქსოდენი ერი, მრკ. 8,4;

არა სთნავს ღმერთსა ჩუენსა სახიერსა სუმად შვილთა თჳსთა ნავღელი, მამ. სწავლ. 147,16; მღილმან ვერ შეუძლის ხელსა მაგარსა და ფიცხელსა განრყუნად, იქვე 152, 8-9.

ამგვარ კონსტრუქციას ინფინიტივურს უწოდებენ. საკმაოდ ხშირად ვითარებითში დასმულ საწყისს ნათესაობითში დასმული უბრალო დამატება შეეწყობა: ნუ უდებ იქმნები მოძულებად ბოროტისა, მამ. სწავლ. 149,19.

უშემასმენლო კონსტრუქცია

276. ქართული ენისათვის, საზოგადოდ, არაა დამახასიათებელი უშემასმენლო წინადადება. ბერძნულის გავლენით ძველ ქართულში იშვიათად იჩენს თავს უშესასმენლო წინადადებები:

ყოველი ნათესავი აბრაჰამისითგან ვიდრე დავითისამდე ნათესავი ათოთხმეტ, და დავითისით ვიდრე ბაბილოვნელთა ტყუენვამდე ნათესავი ათოთხმეტ, და ტყუენვითგან ბაბილოვნელთაჲთ ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ, მ. 1,17.

ამგვარი წინადადებები დასტურდება სინურ მრავალთავშიც (864 წ.), განსაკუთრებით ხშირად კი — ელინოფილური მიმდინარეობის მწერალთა - ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენი იყალთოელისა და სხვათა ნაწერებში.

საშუალმა და ახალმა ქართულმა ამგვარი კონსტრუქცია არ იცის.

მიმღეობური კონსტრუქცია

277. ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენი იყალთოელის და სხვა ელინოფილთა ნაწერებში ხშირად გვხვდება ე.წ. მიმღეობური კონსტრუქცია. მიმღეობა ცვლის ზმნას.

ოთხთავის ძველ თარგმანებში იკითხება: მოუწოდა იოვანე ორთა მოწაფეთა თჳსთა და მიავლინნა. იესუჲსა და ჰრქუა, ლ. 7,19. XII-XIII საუკუნეთა ხელნაწერებში დაცულია მარკოზისა და ლუკას სახარების თარგმანება, სადაც ეს მუხლი ასეა წარმოდგენილი: მიმწოდებელმან ორთა მოწაფეთა მისთამან იოანე მიავლინნა იესუჲს მიმართ მეტყუელმან, იერ.-22 64г.

დავიმოწმებთ კიდევ ორიოდე ნიმუშს: ყოველი ძალი ღმრთეებრივთა ერთთაჲ, დამწყებელი ზენაჲთ და თჳსთა საშუალთა მიერ წარმვლელი ვიდრე უკუანაჲსკნელთადმი იშთამოებს, იოანე პეტრიწი, შრომები, I 86, 5-7; ყოველთა შორის მყოფთა თავსა შორის თჳსსა და არა სხჳსა შორის მქონებელი ყოფისაჲ არსებაჲ არს, ხოლო ვერშემძლებელი თავით თჳსით ყოფასა, არამედ სხუასა შინა მქონებელი ყოფისაჲ, დიალექტიკა 75, 28-33 (არსენი იყალთოელის თარგმანი); ამათ მეტყუელი ცრემლითა დაალტობდა ქუეყანასა განგრძობილად ლოცვისა აღმასრულებელი, აგ. ძეგლ. III 130, 7-8; მომდრეკელთა თავისათა ილოცეს მუნ ერთბამად, იქვე 139, 3-4 და მისთ.

საერო მწერლობის ენას ამგვარი კონსტრუქცია არ ახასიათებს.

პასიური კონსტრუქცია

278. ძველ ქართულ თარგმნილ ძეგლებში ზოგჯერ თავს იჩენს ვნებითი გვარის ზმნა იქ, სადაც ქართული ჩვეულებრივ მოქმედებითი გვარის ფორმას იყენებს. ეს მოვლენა ბერძნულის ზეგავლენითაა შეპირობებული:

მაშინ იესუ აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ, მ. 4.1; თთუესა მას მეექუსესა მიივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქსა გალილეველთასა, ლ. 1,26; რაჲსათჳს ნელსაცხებელი ესე არა განიყიდა სამასის დრაკნის და მიეცა გლახაკთა, ი. 12,5 და მისთ.

თარგმნილ ძეგლთა გავლენით ამგვარი კონსტრუქცია ორიგინალურ ძეგლებშიც ჩნდება: რომელი დღეთა ამათ ჩუენთა იმარტჳლა, აგ. ძეგლ. I 46,8; ამოტ კურაპალატი მოიკლა, იქვე 264, 33; აწ ბრძანენ მეფობამან შენმან მოცემად ტყჳვი, რომლისა მიერ დაიბუროს წმიდაჲ ეკლესიაჲ, რაჲთა მას შინა ელოცვებოდის წმიდასა მეფობასა შენსა, აგ. ძეგლ. II 134, 24-27 და სხვ.

პასიური კონსტრუქცია ახალ ქართულსაც ახასიათებს რუსულის ზეგავლენით.

თანდებულიანი კონსტრუქცია

279. ძველ ქართულში ბერძნულის ზეგავლენით საკმაოდ ხშირად იხმარება თანდებულიანი ფორმა იქ, სადაც უთანდებულო სახელი უნდა იყოს (ზოგჯერ სახელი საერთოდაც არ არის საჭირო):

განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი, მ. 7,23; მოგელოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ, მ. 21,43; იკითხვიდა მათგან, მ. 2,4; განევთას მამაჲ ძისაგან და ძჱ მამისაგან, დედაჲ ასულისაგან და ასული დედისაგან, დედამთილი ძისცოლისაგან და ძისცოლი დედამთილისაგან, ლ. 12, 53; გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან, აგ. ძეგლ. I 19, 19-20; ჩემდამო ნურას იტყოდეთ, იქვე 66, 22 და მისთ.

ამგვარი კონსტრუქცია თანამედროვე ქართულს თითქმის აღარ ახასიათებს.

„და“ კავშირი

280. ცნობილია, რომ ძველ ქართულ თარგმნილსა და ორიგინალურ ძეგლებში და მეტად ხშირად იხმარება. და გვხვდება შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრებს შორის:

და დაუტევა მამაჲ და დედაჲ და ძმანი და დანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკები, აგ. ძეგლ. I 57, 4-6; რამეთუ საშინელ და წმიდა არს და ყოვლად ძლიერ და საკვრველ და უფალ, იქვე 52, 13-14 და სხვ.

და იწყებს წინადადებას:

და წარმოვიდა მიერ იესუ, მ. 12,9; და იყო მუნ კაცი, რომელსა კელი განკმელ ედგა და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს, მ. 12,10; და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ, აგ. ძეგლ. I 11, 3-4; და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსქენ პიტიახში, იქვე 14,20 და მისთ.

ზოგჯერ წინადადებას იწყებს ფრაზა: და იყო, რომელიც სრულიად ჭარბია:

და იყო, დღეთა კონსტანტინე მეფისათა, ქრისტეს აღმაღლებითგან სამასმეათესა წელსა, იყო ღუაწლი ბრძოლისაჲ მტერთაგან, აგ. ძეგლ. I 83, 12-14; და იყო, ვითარცა მიიწინეს იგი მთავარნი, იქვე 102,16; და იყო, დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი ძლიერნი, იქვე 118, 4-5 და სხვ.

და კავშირის ასეთი ხმარება ქართულში ბერძნულის ზეგავლენად ითვლება, იღონდ ბერძნულში იგი ებრაიზმს წარმოადგენს.

წინდებულიანი კონსტრუქცია

281. ქართულში თანდებული, როგორც წესი, ბრუნვის ფორმას მოსდევს. ბერძნულის ზეგავლენით არის არაერთი შემთხვევა, როცა წინდებულიანი კონსტრუქცია გვხვდება:

არცალა აღანთიან სანთელი და ქუეშე შედგიან იგი კკმირსა, არამედ ზედა სასანთლესა, მ. 5,15; ესე სასწაული იყოს აღთქუმისა ჩემისაჲ, რომელი მივსცე შორის ჩემსა და თქუენსა და შორის ყოვლისა კორციელისა, შესაქმე 9,12 (სინური ლექციონარი) და მისთ.

საყურადღებოა, რომ ვიდრე წინდებული იხმარება ვითარებითში დასმულ სახელთან:

პეტრე მისდევდა მას შორით ვიდრე ეზოდმდე, მ. 26,58; განვიდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემდმდე, ლ. 2,15; ვიდრე მუნ ჟამადმდე მოვიდიან შვილნი იგი მისნი ხილვად დედისა თჳსისა, აგ. ძეგლ. I 23,25; წინამძღურობდა ხანძთას კეთილად ვიდრე სიკუდიდმდე, იქვე 278,40 და სხვ.

ვიდრე ამ შემთხვევაში ჭარბია.

პარონომაზია

282. ძველ ქართულში ფართოდ არის გავრცელებული პარონომაზია (ხედვიდა ხედვითა, ტანჯა ტანჯვითა...):

ხილვით ვიხილე ძჳრი იგი ერისა ჩემისაჲ, გამოსლვ. 3,7; პარვით წარმომიპარეს მე, შესაქმე 40,15 და სხვ.

ეს მოვლენა ბერძნულით გაშუალებული სემიტური (ებრაული) მოვლენის კალკა ჩანს.

ჴელსა ჩემსა, ჴელსა შენსა ... ტიპის გამოთქმები

283. ფრაზები ჴელსა ჩემსა, ჴელსა შენსა... ძველ ქართულში ხშირად გამოხატავს „მე", „შენ"...

იხილე ნიშები იგი ყოველი, რომელი მიგეც ჴელსა შენსა, გამოსლვ. 4,21; ნათესავთა შენთა და მღდელთმოძღუართა მომცეს შენ ჴელთა ჩემთა, ი. 18,35 და მისთ.

ეს არის ებრაულის კალკა, გაშუალებული ბერძნულით.

ჴელისა მისისაგან

284. გამოთქმა ჴელისა მისისაგან იხმარება „მისგან" ფორმის მნიშვნელობით:

არცა ვის ჴელ-ეწოფების მიტაცებად მათა ჴელისაგან მამისა ჩემისა, ი. 10,29; განვიდა ჴელთაგან მათთა, ი. 10,39; ვინ გიჴსნეს შენ ჴელთაგან ჩუენთა, აგ. ძეგლ. I 66,18 და მისთ.

ეს მოვლენაც სემიტურის კალკაა, ოღონდ ბერძნულით გაშუალებული.

ჴელითა მისითა

285. ჴელითა მისითა ნიშნავს: „მის მიერ", „მისგან":

შჯული იგი ჯელითა მოსესითა მოეცა, ი. 1,17 C; შდრ.: <u>მოსეს მიერ</u> DE; ნათელი მივიღე სამოელ კათალიკოზისა ჯელითა, აგ. ძეგლ. I 43, 24-25.

ეს მოვლენაც ქართულში ბერძნულის გზით დამკვიდრდა (წყარო აქაც სემიტურია).

286. პირისაგან მისისა ნიშნავს „მისგან“:

გამოვიდა იაკობ პირისაგან ისაკისა, მამისა თჳსისა, შესაქმე 27,30; აჰა, ესერა, პირისა შენისაგან არა ჯუებულ ვიქმენ, იქვე 48,11 და მისთ.

ეს გამოთქმაც სემიტურის კალკაა, ბერძნულის გზით შემოსული ქართულში.

287. სული ჩემი, სული შენი... ამ ტიპის ფრაზები ზოგჯერ ნიშნავს „მე“, „შენ“...

გუალე და ვიდოდე ეგჳპტედ, რამეთუ მოწყდეს ყოველნი, რომელნი ეძიებდეს სულსა შენსა, გამოსლვ. 4,19; რომელი სთნავს სულსა ჩემსა, მ. 12,18 და სხვ.

ეს ფრაზაც ებრაულის კალკაა, ბერძნულის გზით შემოსული.

288. ამის პირისათჳს, მაგის პირისათჳს... ტიპის ფრაზები ნიშნავს „ამიტომ“, „ამისთვის“, „ამის შესახებ“...

ამის პირისათჳს ფრიად მწუხარე ვარ, იერ.-3 61v, 24; არა ბრალეულ ვიქმნე ამის პირისათჳს, აგ. ძეგლ. II 40,8; ესევითართა პირთათჳს უბნობაჲ... უყუარდა, იქვე 51,5 და მისთ.

ეს მოვლენა ბერძნულის კალკას წარმოადგენს.

289. და, აჰა. ძველ ქართულში ხშირია და, აჰა; და, აჰა, ესერა... ტიპის გამოთქმები:

და, აჰა, სამ კაც დგეს მის ზედა, შესაქმე 18,2; და, აჰა, ესერა, კეთროვანი ვინმე მოუჴდა, მ. 8,2 და მისთ.

ესაა ებრაულის კალკა, ძველ ქართულში ბერძნულის მეშვეობით შემოსული.

290. ძველი ქართულის ლექსიკაში გამოიყოფა ძირითადი ბირთვი და პერიფერიული ლექსიკა. ძირითად ბირთვში შედის: ა) ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სიტყვები (თავი, ყური, შუბლი, თუალი, ცხვრი, ყურმალი, პირი, ჯაჯა, ჯორჯი, ჯორცი, ჯელი, იდაყუი, ფერჯი, მუჯლი, ქუსლი, თითი, ძუალი, გული, თირკუმელი, ღვძლი, წელი, მუცელი, თმაჲ, ფრცხილი და სხვა); ბ) ახლო ნათესაობის ტერმინები (მამაჲ, დედაჲ, ძმაჲ, დაჲ, შვილი, ძეჲ, ასული, ქმარი, ცოლი...); გ) ბუნების მოვლენების ამსახველი ლექსემები (დღე, ღამე, ნათელი, ბნელი, სული („ქარი"), წვმაჲ, თოვლი, ყინელი...), დ) ზოგი ციური მნათობის სახელი (მზე, მთოვარე, ვარსკულავი, მთიები...); ე) რიცხვითი სახელი (ერთი, ორი, სამი... ათი, ოცი, ასი...); ვ) ზოგი ფრინველისა და ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა (ქათამი, ტრედი, ღრღედი, ქორი, შაშუ-ი... ძაღლი, ზრახაჲ, ფური, ჯარი, დათუი, ცხოვარი, თხაჲ, თაგუი...); ზ) ზოგი ზედსართავი სახელი და გაზედსართავებული მიმღეობა (თეთრი, მრუმეჲ, დიდი, მცირეჲ, მწარეჲ, მწუანეჲ, წითელი, ცხელი, ზრქელი, თხელი, ჩჩჯლი, ვრცელი, იწროჲ, გრილი...); თ) ნაცვალსახელები (მე, შენ, ჩუენ, თქუენ, ესე, ეგე, იგი...), ი) ყოველდღიური ყოფის ამსახველი ზმნები (ყოფნა, დგომა, ჯდომა, წოლა, სლვა, ჭამა, ძილი, კეთება, ქმნა, ხედვა, ყურება, რაცხა...); ია) ზმნიზედები (აქა, იქი, მუნ, აწ, ხვალე, ზეგე, მერმე, ესრჱთ, ეგრჱთ...) და სხვა.

პერიფერიულ ლექსიკას განეკუთვნება ისეთი ლექსემები, რომლებიც ყოველდღიურ საქმიანობას (ყოფას) არ უკავშირდებიან.

291. ძირითად ლექსიკურ ბირთვში შედის საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარე ერთეულები (ადრე, ათი, ასული, ასი, ბაგაჲ, ბადეჲ, ბანა, ბარკალი, ბგერა, ბერწი, ბერვა, ნაბერწყალი, ფერჯი, ნაბიჭევი, ბდეკნვარეჲ, ბირება, ბორგა, ბრუნვა, ნაბრდღუენი, ბრდღუენა, ფრეწა, ბრტყელი, ფრცხილი// ფრჩხილი, ბრძოლა, ბრწამლი, ბუგრი, ბუდეჲ, ბურვა, ბუტკოჲ, ფუტკარი, აღგება, ეგე, იგი, გბობა, გვა, შეგნება, გუალვა, გუალე, მგუარდლ, აღგზნება, გზაჲ, გლოვა, გლესა, გლეკა, გონება, გორება, გორგალი, გრეხა, მრგუალი, გრგოლი, გრძელი, გრწყილი, გული, გრგვნვა, საგუსალი, ქსოვა, ქსელი, და, დაჲ, დაბაჲ, დათუი, უდარესი, იდაყუი, თხაჲ, სადგისი, დედაჲ, დება, დრეკა, დღე, თხელი, დიდი, დნობა, თთუე, დუმილი, დუღილი, ენაჲ, ერთი, ექუსი, ეშუი, ეჩუეჲ, ვლა, ვარცხნა, ვარცლი, სავრძელი, ვაშლი, ვაცი, ვედრება, ელვა, ვენაკი, ვერძი, ვსება, ვეკცხლი, ვლთობა, ვლტოლა, ვლტობა, ვნება, ვრცელი, ზამთარი, ზაფხული, ზრდა, შაშუი, ზელა, მზერა, ზუერი, ზომა, სისხლი, კაცი, კლდეჲ, კრება, კორტნა, კრთომა, ლოშნა, ლბობა, მამაჲ, მოსა, ნება, ნერწყუი, შიმშილი, შთობა, რეკვა, რეცხა, რაცხა, პერი, ქართლი, ქართველი, სუანი,

სუმა, სამი, სერი, სხუა, ყანა, ყოფა, ყინელი, ძმაჲ, ძმარი, ძერი, წერა, წნელი, წამი, წუელი, წული, წელი, ჭრა, ჯინჭარი, ჯობნა და მრავალი სხვა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ ძეგლებში მათი ჟანრობრივი და სტილისტური თავისებურებების გამო ვერ აისახა ძირითადი ლექსიკური ბირთვის არაერთი სიტყვა, რომელთა არსებობა სრულიად უეჭვოა (ანწლი, არჩუი, ბელელი, ბელურა და მისთ.).

წარმოქმნა

292. ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი საშუალება წარმოქმნაა. ახალი სიტყვების გაზად, როგორც წესი, ძირითადი ლექსიკური ბირთვი გამოიყენება.

მაწარმოებლებად გვევლინება: **თავსართი** (შედარებით იშვიათად), **ბოლოსართი** და **თავსართ-ბოლოსართი**. მაწარმოებელი დაერთვის ძირს, ან ფუძეს.

წარმოქმნილი ფუძეები შეიძლება შინაარსის მიხედვით დავაჯგუფოთ: კნინობით-ალერსობითი, წარმომავლობისა, ქონებისა, უქონლობისა, დანიშნულებისა, ხელობისა, წინავითარებისა, გეოგრაფიული სახელები.

293. **კნინობით-ალერსობითის** მაწარმოებლებად გვხვდება **-აკ, -ა, -უკ, -უკ-ა, -უნ-ა, -უც, -ოა** ბოლოსართები.

-აკ ბოლოსართი რამდენიმე ფუძეს აწარმოებს (სახლ-აკ-ი, ტრეფ-აკ-ი, დისწულ-აკ-ი, ძმისწულ-აკ-ი, მცირე-აკ-ი, კნინ-აკ-ი, ლოდ-აკ-ი, წუენ-აკ-ი, მართუე-აკ-ი, ფრთე-აკ-ი...).

გვხვდება **-აკ** სუფიქსიანი ნასახელარი ზმნაც (დაკნინაკება, პარხლ. მრავალთ.)

-ა ბოლოსართი **აკ**-ისაგან მომდინარეობს. იგი IX საუკუნიდან გვხვდება (კახ-ა-ჲ, სულ-ა-ჲ, ბერ-ა-ჲ, ქალ-ა-ჲ, პურ-ა-ჲ, მცირ-ა-ჲ, წუელ-ა-ჲ, მუკლ-ა-ჲ, ქათამ-ა-ჲ, წიგნ-ა-ჲ, კაც-ა-ჲ, რომელ-ა-ჲ, ფსალმუნ-ა-ჲ, დაჩსრეკილ-ა-ჲ, იადგარ-ა-ჲ...).

-უკ ორ სახელში ჩანს: ძერძერ-უკ-ი და უბადრ-უკ-ი.

-უც სუფიქსი გამოიყოფა კეკლ-უც-, ხოლო **-ოა** მხალ-ოა ფუძეში.

-უნ-ა სუფიქსი ძველ ქართულში გვხვდება თაგ-უნ-ა საკუთარ სახელში.

-აკ, -უკ სუფიქსებს დაერთვის **-ა** და ვიღებთ **-აკ-ა, -უკ-ა** მაწარმოებლებს (მართუე-აკ-ა-ჲ, მოკლე-კ-ა-ჲ<მოკლე-აკ-ა-ჲ; უბადრ-უკ-ა-ჲ).

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში კნინობით-ალერსობითი სახელები მეტად იშვიათია.

294. **წარმომავლობის** სახელები ძველ ქართულში ნაწარმოებია **მ- -არ/მ- -რ, მ- -ელ, მ- -ურ, მ- -იურ, მ- -იო, მ- -იონ, მ- -იორ,**

მე- -ელ, მე- -ულ, -ელ, -დელ, -ერ, -იელ, -ივ, -იო, -იონ, -იულ, -ურ/-ულ, -ულ, -ეან/-იან მაწარმოებლებით.

მ- -არ კონფიქსი შედარებით იშვიათია (მ-ტბევ-არ-ი, მ-დღევ-არ-ი). მ- -არ კონფიქსის ვარიანტია მ- -რ (მ-დღევ-რ-ი).

ძველ ქართულში გვაქვს რამდენიმე სიტყვა, რომელთა შემადგენლობაში წარმომავლობის მ- -ელ კონფიქსი გამოიყოფა (მ-ეგრ-ელ-ი, მ-ასპინძ-ელ-ი, მ-ეგვპტ-ელ-ი, მ-აწყუერ-ელ, მ-რუ-ელ-ი//მ-როვ-ელ-ი, მ-გალილევ-ელ-ი, მ-სოფლ-ელ-ი...). ძველ ქართულშივე გვხვდება: ეგვპტ-ელ-ი, აწყუერ-ელ-ი, გალილევ-ელ-ი, სოფლ-ელ-ი, სადაც ოდენსუფიქსური წარმოებაა.

მ- -ურ კონფიქსითაა ნაწარმოები: მ-დაბ-ურ-ი, მ-სახ-ურ-ი, მ-ეგვპტ-ურ-ი.

მ- -იურ თავსართ-ბოლოსართი გამოვლინდება მ-დაბ-იურ- და მ-სოფლ-იურ- ფუძეებში.

მ- -იო აწარმოებს მ-დაბ-იო და მ-სოფლ-იო ფუძეებს. მეტისმეტად იშვიათად გვხვდება მდაბრიო (მ-დაბ-რ-იო, ათ-25).

მ- -იონ კონფიქსი დასტურდება მ-დაბ-იონ, მ-სოფლ-იონ ფუძეებში.

მ- -იორ მაწარმოებელი გვხვდება მ-დაბ-იორ, მე- -ელ- მე-ეგვპტ-ელ, მე- -ეულ — მე-მთ-ეულ ფუძეებში.

ზემოთ განხილული წარმოქმნა პროდუქტიული არ არის. ზოგი აფიქსი მხოლოდ თითო-ოროლა ფუძესთან გვხვდება. ჩანს, ეს ტიპი არქაულია. კონფიქსები მ- თავსართს შეიცავენ (მე- და მ- მაწარმოებელთა დაკავშირება სადავო არ უნდა იყოს). საფიქრებელია, რომ მ- თავსართი თავდაპირველად სუფიქსთა გარეშე აწარმოებდა წარმომავლობის სახელებს. ამას მოწმობს სვანურის ოდენთავსართული წარმოება (მუ-შუან „სვანი", მუ-რუს „რუსი"...), თუმცა თავსართ-ბოლოსართიანი წარმოებაც საკმაოდ არქაულია. იგი ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქაში არსებობდა (მეგრ. მ-არგ-ალ-ი „მეგრელი").

ადამიანის სახელთა წარმომავლობას აწარმოებს -ელ სუფიქსი (ნინევ-ელ-ი, არაბი-ელ-ი, პონტი-ელ-ი, ასი-ელ-ი, ქართვ-ელ-ი, მცხეთ-ელ-ი...). იგი ძველ ქართულში ფრიად გავრცელებული მაწარმოებელია.

საყურადღებოა, რომ -ელ ზოგჯერ არაადამიანის აღმნიშვნელ ფუძეებშიც გამოვლინდება (ებრაელი ენაჲ, ალექსანდრიელი ნავი, თესალონიკელი ქვაჲ და სხვ.).

-დელ სუფიქსი გამოიყოფა დროის გარკვეული მონაკვეთის აღმნიშვნელ ფუძეებში (დღე-ნ-დელ-ი, წინა-ნ-დელ-ი, აწ-ინ-დელ-ი, გუშ-ინ-დელ-ი, შრ-ან-დელ-ი, ძუღუ-ან-დელ-ი...).

ხშირია -ურ ბოლოსართი, რომელიც არაადამიანთა სახელებს აწარმოებს (ველ-ურ-ი, შინა-ურ-ი, აქა-ურ-ი, სოფლ-ურ-ი, ეგვპტ-ურ-ი, ყრმებ-ურ-ი, მეძვ-ურ-ი, ავაზაკ-ურ-ი...).

თუ ფუძე (ძირი) რ თანხმოვანს შეიცავს, მაწარმოებლად -ულ ვარიანტია (არაბ-ულ-ი, ქართ-ულ-ი, ბერძ-ულ-ი, ჰრომა-ულ-ი, გარე-ულ-ი, მტერ-ულ-ი და მისთ.).

წარმომავლობას, ან მიმდევრობას აწარმოებს -ეან სუფიქსი (ადამ-ეან-ი, აბრამ-ეან-ი, ნესტორ-ეან-ი...)... -იან ვარიანტი X-XI საუკუნეებიდან გამოვლინდება (აბრამ-იან-ი, მარკ-იან-ი, ვალენტ-იან-ი...).

არაპროდუქტიული მაწარმოებლებია: -იერ/-იელ (ამ-იერ-ი, იმ-იერ-ი; შორ-იელ-ი), -ერ (ამ-ერ-ი, იმ-ერ-ი), -ივ (სოფლ-ივ-ი), -იო (სოფლ-იო-ჲ), -იონ (სოფლ-იონ-ი), -ულ (მამ-ულ-ი, დედ-ულ-ი), -იულ<იურ (მერჩულ-იულ-ი).

ჩანს, -იო, -იონ, -იულ მაწარმოებლები რთული შედგენილობისაა: -ი(ვ)-ო, -ი(ვ)-ონ, -ივ-ურ/-ი(ვ)-ულ.

295. ქონების სახელებს აწარმოებს სუფიქსები: -ევან/-ეან//-იან, -იერ//-ნიერ/-იელ, -ოსან, -ოვან/-ოან, -ედ.

-ევან სუფიქსი გამოიყოფა ისეთ ფუძეებში, როგორიცაა: სახარულ-ევან-ი, ნაკლულ-ევან-ი, მწინკულ-ევან-ი...

/ვ/-ს დაკარგვითაა მიღებული -ეან, რომელიც ძველ ქართულში უპირატესად იხმარება (გესლ-ეან-ი, წამლ-ეან-ი, ჯმ-ეან-ი, ქარ-ეან-ი, აუგ-ეან-ი, უბ-ეან-ი, სხეულ-ეან-ი, მარილ-ეან-ი...).

-ეან სუფიქსისაგან დისიმილაციით -იან მივიღეთ (აუ-გ-იან-ი, ქვ-იან-ი, ნიშნ-იან-ი, ეკლ-იან-ი, მარილ-იან-ი, თიკ-იან-ი, ტყ-იან-ი...). იგი ძეგლებში X საუკუნიდან ჩნდება.

-იერ სუფიქსი ძველ ქართულში პროდუქტიულია (სალ-მობ-იერ-ი, ნაყოფ-იერ-ი, ცოლ-იერ-ი, ღონ-იერ-ი, ბიწ-იერ-ი, ფას-იერ-ი, რჩულ-იერ-ი, სახ-იერ-ი, სულ-იერ-ი, ნივთ-იერ-ი და მისთ.).

დასტურდება -იერ სუფიქსის -ნიერ ალომორფიც (სმ-ნიერ-ი, წეს-ნიერ-ი, ფაჩუ-ნიერ-ი, სახ-ნიერ-ი...). ნ-ს წარმომავლობა საკვლევია.

თუ ფუძე /რ/ თანხმოვანს შეიცავს, მაწარმოებლად -იელ გვაქვს (ყორც-იელ-ი, ქმრ-იელ-ი). გვხვდება -რიელ ალომორფიც (ვენაკ-რიელ-ი, კაც-რიელ-ი). /რ/-ს გაჩენის მიზეზი საძიებელია.

პროდუქტიულია -ოსან (ჰორლ-ოსან-ი, ლახურ-ოსან-ი, მახვლ-ოსან-ი, მშვლდ-ოსან-ი, ცხენ-ოსან-ი, ფარ-ოსან-ი, ჩაბალახ-ოსან-ი, ჩაფხუტ-ოსან-ი...).

ასევე პროდუქტიულია -ოვან/-ოან (ჰასაკ-ოვან-ი, მქუშ-ოვან-ი, მკა-ოვან-ი, ფერ-ოვან-ი, წიდ-ოვან-ი, ფინიკ-ოვან-ი, კლდ-ოვან-ი, კეთრ-ოვან-ი, ვენაკ-ოან-ი, ზეთისხილ-ოან-ი, ამბოხ-ოან-ი, მწუან-ოან-ი, კელ-ოან-ი, ხნ-ოან-ი და მისთ.).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში თავს იჩენს -ოვან/-ოან სუფიქსის წინ რ, იშვიათად ლ (კევ-როვან-ი, მქუშ-როვან-ი, ჭაბუკ-როვან-ი, დდ-როვან-ი/დიდ-როან-ი; თივ-ლოვან-ი). რ და ლ თანხმოვანთა ფუნქცია უცნობია.

ძველ ქართულში საკმაოდ პროდუქტიულია -ედ სუფიქსი (შარავანდ-ედ-ი, თუალ-ედ-ი, ფესუ-ედ-ი, ქორ-ედ-ი, კამარ-ედ-ი, ეტლისთუალ-ედ-ი, პილოასძუალ-ედ-ი, ვარსკულავ-ედ-ი, ოთხსატ-ედ-ი, ათეზო-ედ-ი, ხაო-ედ-ი, მუსმარ-ედ-ი, ჯაჭუ-ედ-ი და სხვ.).

-ედ მაწარმოებლის წინ ერთ შემთხვევაში რ გამოვლინდება (კბოვ-რედ-ი).

შარავანდ-ედ-ი <u>გვირგვინოსანს</u> ნიშნავს. ზოგჯერ -ედ სუფიქსის ფუნქცია დაჩრდილულია და შარავანდედი გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი ს მნიშვნელობით იხმარება (დღეს ადიდებენ მას მეფენი შარავანდედითა თჳსითა, უდაბნ. მრავალთ. 143; აღჰკადა შარავანდედი თავსა მაგისსა და დაიდგა თავსა თჳსსა, || ეზრა. 4, 30 0).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შარავანდედი <u>სხივის</u> აღმნიშვნელადაც გვხვდება (შარავანდედი მზისაჲ შთა-რაჲ-დგის წყალთა შინა, ექუს. დღ. 19,18; ნათელსაცა და შარავანდედსა მზისასა დაჰფარვიდა, A-40 69 და სხვ.).

296. უქონლობის სახელების მაწარმოებლებია: უ-, უ- -ო, უ- -ურ/უ- -ულ, უ- -არ.

უ- თავსართი ხშირი არაა (უ-ძილ-ი, უ-რიცხუ-ი, უ-ზავ-ი, უ-სრულ-ი, უ-ნივთიერ-ი...).

უ- -ო კონფიქსი პროდუქტიულია (უ-შვილ-ო, უ-ყელ-ო, უ-დაბნ-ო, უ-სას-ო, უ-ქალაქ-ო, უ-გზ-ო, უ-დედ-ო, უ-ჟამ-ო, უ-ბად-ო...).

უ- -ურ მაწარმოებელი ხშირია (უ-ჯამ-ურ-ი, უ-გუნ-ურ-ი, უ-ძლ-ურ-ი, უ-სახ-ურ-ი, უ-გემ-ურ-ი...). თუ სიტყვა რ თანხმოვანს შეიცავს, დისიმილაციით უ- -ულ მაწარმოებელი გვექნება (უ-ფერ-ულ-ი, უ-ფსკრ-ულ-ი, უ-რწყ-ულ-ი, უ-ზუერ-ულ-ი, უ-წუერ-ულ-ი...).

ერთ შემთხვევაში რ გამოვლინდება -ულ სუფიქსის წინ (უ-კაც-რულ-ი). მისი ფუნქცია უცნობია.

უ- -არ კონფიქსი გვხვდება უ-ეჭუ-არ და უ-წვმ-არ ფუძეებში.

297. დანიშნულების სახელებს აწარმოებს სა-, სა- -არ, სა- -ალ, სა- -ელ, სა- -ე, სა- -ო, სა- -ურ, სა- -ულ აფიქსები.

სა- თავსართი ძველ ქართულში საკმაოდ ხშირია (სა-კაკ-ი, სა-ყელ-ი, სა-მკარ-ი, სა-ყურ-ი, სა-ყურძენ-ი, სა-უნჯ-ი, სა-გრილ-ი, სა-ეჭუ-ი, სა-ზომ-ი, სა-დილ-ი, სა-ზღვარ-ი, სა-ცხოვარ-ი, სა-მართალ-ი...).

სა- -ე კონფიქსი პროდუქტიულია (სა-უკუნ-ე, სა-უნჯ-ე, სა-ნოვაგ-ე, სა-ვენაკ-ე, სა-მკრ-ე, სა-ზუერ-ე...).

ხშირია სა- -ო (სა-მთავრ-ო, სა-მღდელ-ო, სა-მარადის-ო, სა-მეუფ-ო, სა-უკუნ-ო, სა-ზამთრ-ო და სხვ.).

სხვა მაწარმოებლები იშვიათია: სა- -ალ (სა-სთუნ-ალ-ი, სა-გზ-ალ-ი, სა-შუ-ალ-ი); სა- -ელ (სა-ბზ-ელ-ი, სა-ისრ-ელ-ი, სა-ეჭუ-ელ-ი, სა-კამრობ-ელ-ი, სა-სიძობ-ელ-ი, სა-ვრძ-ელ-ი//სა-ვარძ-ელ-ი), სა- ურ/სა- -ულ (სა-განძ-ურ-ი, სა-ბეჭ-ურ-ი, სა-კიდ-ურ-ი, სა-ცეცხ-ურ-ი, სა-გზა-ურ-ი, სა-სძე-ურ-ი; სა-წმართ-ულ-ი, სა- -ულ (სა-რწყ-ულ-ი, სა-კარცხ-ულ-ი, სა-სთა-ულ-ი).

298. ხელობის სახელთა პროდუქტიული მაწარმოებლებია მე- -ე და მო- -ე თავსართ-ბოლოსართები (მე-პურ-ე, მე-მარნ-ე, მე-წულ-ე, მე-ასეულ-ე, მე-ათეულ-ე, მე-მტილ-ე... მო-ქალაქ-ე, მო-ხარკ-ე, მო-კარვ-ე, მო-ვან-ე, მო-ღვნ-ე, მო-ნადირ-ე...).

ძველ ქართულში მე- -ე და მო- -ე აფიქსთა დართვისას, როგორც წესი, ფუძისეული ხმოვნის ამოღება ხდება, მაგრამ ზოგჯერ უკუმშველი ფორმაც დასტურდება (მე-კრ-ე//მე-კარ-ე).

შედარებით იშვიათია მე- -ურ/მე- -ულ კონფიქსი (მე-თევზ-ურ-ი, მე-განძ-ურ-ი; მე-რწყ-ულ-ი...).

299. წინავითარების სახელები ძველ ტექსტებში იშვიათია.

წინავითარების სახელთა მაწარმოებლებია ნა- (ნა-ბიჭ-ი, ნა-ცილ-ი, ნა-წილ-ი), ნა- -ევ (ნა-ბაკ-ევ-ი, ნა-ბიჭ-ევ-ი, ნა-მგლ-ევ-ი, ნა-ღვნ-ევ-ი), ნა- -ავ (ნა-ზეთ-ავ-ი, ნა-კერპ-ავ-ი, ნა-მეტ-ავ-ი//ნა-მეტნ-ავ-ი, ნა-მკეც-ავ-ი, ნა-ქლიბ-ავ-ი).

300. აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს -ება (სასო-ება, კელოვნ-ება, კაც-ება, ჭეშმარიტ-ება, სავს-ება, მძლავრ-ება...) და -ობა სუფიქსები (უზეშთაეს-ობა, უკუნაიხსნელ-ობა, მოხუცებულ-ობა, მეგობრ-ობა, მძლავრ-ობა, მყოფ-ობა და მისთ.).

გვაქვს ამ სუფიქსთა პარალელურად ხმარების შემთხვევები (მეგობრ-ება//მეგობრ-ობა, დიდებულ-ება//დიდებულ-ობა, მოხუცებულ-ება//მოხუცებულ-ობა, მძლავრ-ება//მძლავრ-ობა...).

აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლებია სი- -ე (სი-აზნაურ-ე, სი-აზნ-ე, სი-ბერ-ე, სი-ბნელ-ე, სი-ბრმ-ე, სი-ბრძნ-ე, სი-გლახაკ-ე, სი-გრილ-ე, სი-დიდ-ე, სი-ზარ-ე, სი-ზრქ-ე, სი-იწრ-ე...) და სი- -ო (სი-ლბ-ო, სი-ტფ-ო,

სი-ჩრდ-ო, სი-ჩჩ-ო, სი-წბ-ო) კონფიქსები. აღსანიშნავია, რომ სი- -ო გაცილებით იშვიათია, ვიდრე სი- -ე. ზოგჯერ სი- -ე და სი- -ო მონაცვლეობენ ერთსა და იმავე ძირთან (სი-გრძ-ე//სი-გრძ-ო). არის შემთხვევები, როცა -ება დაერთვის სი- -ო მაწარმოებლიან ფუძეს (სი-ტკბ-ო-ება, სი-ჩჩ-ო-ება, სი-წრფ-ო-ება).

301. გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლებია -ეთ, -ით, სა- -ეთ, სა- -ე, სა- -ო.

-ეთ სუფიქსი აწარმოებს ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, როგორიცაა: კახ-ეთ-ი, ჰერ-ეთ-ი, ჯავახ-ეთ-ი, თოშ-ეთ-ი, სპარს-ეთ-ი და სხვ.

-ეთ სუფიქსი გვხვდება სამყაროს მხარეთა აღმნიშვნელ სახელებში (აღმოსავალ-ეთ-ი, დასავალ-ეთ-ი, ჩრდილო-ეთ-ი, სამხრ-ეთ-ი). -ეთ სუფიქსი შედის აგრეთვე ჯოჯოხ-ეთ სიტყვის შემადგენლობაში.

და მოჰკუდე". ვაჲ სასწ̂ საშრომელი! ვაჲ გ. ოებაჲ უღირსი! ვითარ არა შეიწყალა თჳსი ქმარი საყუარელი?! აღდუღებულთა მათ ბრძჳნთა მისთა, ვითარცა დამწუარი ნაკუერცხლითა და ყოველთა ჴორცთა მისთა, იგი, ვითარცა მატლი, არა შედრკა შეწყალებად მისა. ჰხედვიდა იგი ყოველთა ყოვლითურთ დაცემულსა, მაშურალსა, ჭირვეულსა და დადუმებულად მგალობელსა, აღმტკმობილითა პირითა გამოიღებდა სიტყუათა და იგი არა შელბა შეწყალებად. უწყოდა, რამეთუ მაშინ სუფევდა ძოწეულითა შარავანდედისაჲთა და აწ ხედვიდა სკორეთა ზედა დაცემულსა და შიშველსა გუამითა, არა მოიკსენა, ვითარ-იგი მის თანა პატიჳსა ზედა ყუოდა, არამედ აწუევდა, ვითარმედ: „თქუ ნურაჲ სიტყუაჲ გმობისაჲ და მოჰკუდე".

ეჰა, ესე ნიჭი დედაკაცისაჲ! ეჰა, ესე კეთილი სალბუნი, განმაქარვებელი სალმობათაჲ! ეჰა, სიყუარული მეუღლისაჲ, ერთობაჲ! აწ ოდეს-იგი შენ სნეულ იყავ, ესემლევანი სიტყუაჲ მოგიგოა? არა ლოცვითა და ქველისაქმითა შენი სენი განკაფაა? ვერმემცა კმა ეყოა მას წუთადი ესე სწავლაჲ აქაჲ და შენ საუკუნესა მას სატანჯველსა მოატყუებდი გმობითა? ანუ არა უწყი: „ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წ̂მიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა არცა ამას სოფელსა, არცა მას სოფელსა?" გნებავს სხუაჲცა ხილვად უკეთურისა მის სწორად: იხილო, ეგერა, დალილაჲ, რამეთუ მანცა მჳნესა მას სამსონს თავი დაჰჴენა, შეკრა და მისცა იგი კელთა უცხოთესლთასა, თჳსი ქმარი, თჳსი მეუღლ̂, რომლისა მოქენე იყო, რომლისა გამო შუენიერ იყო, რომელსა ჰლიქნიდა, რომელი-იგი თავისა თჳსისა უფროჲს უყუარდა, ამას ეკრუვა: რომელი გუშინ ჰყუარობდა, დღეს აცთუნებდა, რომლისაგან გუშინ ყუოდა, სიყუარულით უყუარდა, დღეს ცთუნებით დაჰფლეოდა.

ანუ არამე შუენიერ იყო? და ვინმე უშუენიერ̂ს იყო მისთა მათ ჟამთა, რომელსა შჳდნი კოწოლნი შუენიერნი შუბლსა დამოეკიდნეს და შჳდისა ნათლისა ხატი მადლითა ეტჳრთა? და არამე მჳნე იყოა? ანუ ვინმე იყო უმჳნ̂ს მისა, რომელმან ლომი საშინელი გზასა ზედა მარტომან დააშთო და ერთითა ღაწჳთა ათასი უცხოთესლი დარეცა? არამედ წ̂მიდა და ეგოდენ წ̂მიდა იყო, რაჟამს-იგი სწ̂ყუროდა ნაკლულევანებითა წ̂ულისაჲთა, ილოცა და რომელი-იგი კელთა ღაწჳ ეპყრა გამჳმარი, წ̂ყრა და მისგან ლ̂ხინებით წ̂ყურილი იგი დაუდგა. ესევითარი შუენიერი და ესემლევანი მჳნ̂ და ესემლევანი წ̂მიდაჲ თჳსმან ცოლმან, ვითარცა მბრძოლი, შეკრა და უცხოთესლთა მისცა. და ვითარმე ერეოდა დედაკაცი იგი ესევითარსა მას მჳნესა და კინაჲ? არამედ სახეკეთილობითა ქმრისაჲთა, რამეთუ ზრახვაჲ სიმჳნისა მისისაჲ ღამე გამოსტყუეა ზაკუვით, შიშველი საბლითა შეკრა და ძალისაგან დასცა.

ამისთჳს გამცნებს შენ წინაწარმეტყუელი, ვითარმედ: „ცოლისა შენისაგან ეკრძალე და საიდუმლოსა შენსა ნუ უთხრობ მას". მითხარლა, რომელმან მჳეცმან თჳსისა მეუღლისათჳს ესევითარი ზრახვაჲ იზრახის? ანუ რომელსა ვეშაპსა დედალსა თჳსისა ქმრისა წარწყმედაჲ უნდა? ანუ რომელმანმე ძუმან ლომმან თჳსი მამალი კლვად მისცა? გულისხმა-ყავ, რამეთუ განგებულად თქუა „სიბრძნემან," ვითარმედ: „არა არს სხუა თავ უფროჲს თავისა გულისა" და: „არა არს სხუა სიბოროტე უფროჲს სიბოროტისა დედაკაცისაჲსა," არამედ ბოროტისაჲ მის სიტყჳსაჲ აქამომდე იყავნ აღსასრული.

მარკოზ
8

1 ხოლო მათ დღეთა შინა მერმე მრავალი ერი იყო და არარაჲ აქუნდა,
რაჲმცა ჭამეს; მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: 2. „მეწყალის მე ერი ესე,
რამეთუ სამი დღე არს, ვინაჲთგან ესენი ჩემ თანა დადგომილ არიან და არა აქუნს,
რაჲმცა ჭამეს, 3. და წარ-თუ-უტევნე იგინი უზმით სახიდ თჳსა, შეჰგუსნეს მათ გზას,
რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან“. 4. ჰრქუეს მას მოწაფეთა
თჳსთა: „ვინაჲ შეუძლო შენ მათ აქა განძღებად პურითა უდაბნოსა ზედა?“ 5. და
ჰკითხა მათ: „რაოდენი გაქუნს თქუენ პური?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „შჳდ“. 6. და უბ-
რძანა ერსა მას ინაკით-დასხდომაჲ ქუეყანასა ზედა და მოიხუნა შჳდნი იგი პურნი,
ჰმადლობდა და განტეხა და მისცემდა მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა დაუგონ; და დაუგეს
ერსა მას. 7. და თევზნიცა ჰქონდეს მცირედ და იგინიცა აკურთხნა და ბრძანა და-
გებაჲ. 8. და ჭამეს და განძღეს, და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი შჳდი გოდორი საესე. 9.
რამეთუ იყვნეს, რომელთა-იგი ჭამეს, ვითარ ოთხ ოთას ოდენ; და განუტევნა იგინი
10. და მუნქუესვე აღკედ ნავსა მოწაფითურთ თჳსით და მოვიდა დალმანუთად კერძო.
11 და გამოვიდეს ფარისეველნი და იწყეს სიტყჳს-გამოძიებად მისგან, ეძიებდეს
სასწაულს ზეცით, რამეთუ გამოსცდიდეს მას. 12. და სულთ-ითქუნა სულითა თჳსითა
და თქუა: „რაჲსათჳს ნათესავი ესე სასწაულს ეძიებს? მართლიად გეტყჳ თქუენ:
არასადა ეცეს ნათესავსა ამას სასწაულ“. 13. და დაუტევნა იგინი და მერმე აღკედ
ნავსა მას და წიაღკედ მიერ, 14. და დაავიწყდა თანამიღებად პური, გარნა ერთ
ხოლო კუეზა აქუნდა მათ თანა ნავსა მას შინა. 15. და ამცნებდა მათ და ეტყოდა:
„ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და თბისა მისგან ჰეროდიანთაჲსა“. 16. და
იგინი განიზრახვიდეს გულთა შინა მათთა და ურთიერთას იტყოდეს, რამეთუ: „პური
არა გუაქუს“. 17. და გულისკმა-ყო იესუ და ჰრქუა მათ: რაჲსათჳს განჰიზრახავთ,
რამეთუ პური არა გუაქუს, მცირედმორწმუნენო? არღა გიცნობიეს, არცა გულისხმა-
გიყოფიეს? შესულებულველა არიან გულნი თქუენნი. 18. თუალ-გასხენ და არა
ხედავთ და ყურ-გიდგან და არა გესმის, და არა გაჯსოს, 19. ოდეს-იგი ხუთი კუეზაჲ
განუტეხე ხუთ ათასსა, რავდენი კუელი საესჱ ნატეხისაჲ აღიღეთ?“ — ჰრქუეს მას:
„ათორმეტი“. 20. მერმე: „ოდეს-იგი შჳდი კუეზაჲ — ოთხ ათასსა მას, რაოდენი გო-
დორი საესჱ ნეშტი აღიღეთ?“ — ხოლო მათ ჰრქუეს: „შჳდი“. 21 და ჰრქუა მათ:
„ვითარ არა გულისკმა-გიყოფიეს?“ 22. და მოვიდეს იგინი ბეთსაიდად და მოართუეს
მას ბრმაჲ და ევედრებოდეს მას, რაჲთამცა კელი შეახო მას. 23. და უპყრა კელი
ბრმასა მას და განიყვანა გარეშე დბასა, ჰნერწყუა თუალთა მისთა და დასხნა კელ-
ნი მისნი და ჰკითხვიდა მას: „ხედავ რას?“ 24. აღიხილნა და თქუა: „ვხედავ კაცებსა,
ვითარცა ხეებსა მავალსა“. 25. მერმე კუალად დასხნა კელნი თუალთა ზედა მისთა,
და აღიხილნა დაწყნარებულად და იხედვიდა სრულიად ყოველსა. 26. და წარავლინა
იგი სახიდ თჳსა და ჰრქუა მას: „ნუცა დაბასა მას შეხუალ“. 27. და გამოვიდა იესუ
და მოწაფენი მისნი სოფლებსა მას კესარიაჲსა ფილიპჱსასა და ჰკითხვიდა მგზავრ
მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: „რაჲ თქჳან ჩემთჳს კაცთა, ვითარმედ ვინ ვარ მე?“ 28.
ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: „იოვანე ნათლისმცემელი“, და სხუათა: „ელია““, და
რომელთამე: „ერთი წინაწარმეტყუელთაგანი“. 29. მან ჰრქუა მათ: „თქუენ რაჲ

სთქუთ, ვინ ვარ?" მიუგო მას პეტრე და ჰრქუა: „შენ ხარ ქრისტჱ". 30. მან
შეჰრისხნა მათ, რაჲთა არავის უთხრობდენ მისთჳს. 31. და იწყო სწავლად მათდა,
რამეთუ ჯერ-არს ძჲსა კაცისასა ფრიად ვნებად და შეურაცხებად და
მოხუცებულთაგან და მღდელთმოძღუართაგან და მწიგნობართაგან მოკლვად და
მესამესა დღესა აღდგომად, 32. და განცხადებულად სიტყუასა ამას იტყოდა. და გა-
რე-იდგინა იგი პეტრე და იწყო მისა ლალვად. 33. ხოლო იგი მოიქცა და იხილნა
მოწაფენი თჳსნი, შეჰრისხნა პეტრეს და ჰრქუა: „უკუნიქეც ჩემგან, ეშმაკო, რამეთუ
არა ჰზრახავ შენ ღმრთისასა, არამედ კაცთასა". 34. და მოუწოდა ერსა მას მოწაფი-
თურთ თჳსით და ჰრქუა მათ: „რომელსა ჰნებავს კუალსა ჩემსა სლვად, უვარ-ყოფ
თავი თჳსი, აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე, 35. რამეთუ, რომელსა უნდეს
თავისა თჳსისა ცხორებაჲ, მან წარწყმიდოს იგი; ხოლო რომელმან წარწყმიდოს თავი
თჳსი ჩემთჳს და სახარებისა ამისთჳს, მან განარინოს იგი. 36. რაჲმე სარგებელ არს
კაცისა, შე-თუ-იძინოს სოფელი ყოველი და განიკუას სული თჳსი. 37. ანუ რაჲ მის-
ცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისათჳს? 38. რამეთუ რომელსა სარცხჳნელ-უჩნდე
მე და სიტყუანი ჩემნი ნათესავსა ამას შორის მომრუშესა და ცოდვილსა, ძჲსა კა-
ცისასა სარცხჳნელ-უჩნდეს იგი, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისაჲთა და ან-
გელოზთა თანა წმიდათა".

იოანე

4

1. ვითარცა გულისჴმა-ყო უფალმან, ვითარმედ ესმა ფარისეველთა მათ, რამე-
თუ იესუ უმრავლესთა დაიმოწაფჳებს და ნათელ-სცემს უფროჲს იოვანესა, 2. არა თუ
თჳთ იესუ ნათელ-სცემდა, არამედ მოწაფენი მისნი, 3. დაუტევა ჰურიასტანი ქუეყანაჲ
და მივიდა მერმე გალილეად. 4. და იყო მისა თანაწარსლვად სამარიასა, 5. მივიდა
იგი ქალაქსა ერთსა სამარიტელთასა, რომელსა სახელი ერქუა სჳქარ, მახლობელად
დაბასა მას, რომელ მისცა იაკობ ძჲსა თჳსსა იოსეფს. 6. და მუნ იყო წყაროჲ ერთი
იაკობისი და იესუ, დამაშურალი გზისა მისგან, ჯდა წყაროსა მას თანა. და იყო ჟამი
მეექუსჱ. 7. მოვალს დედაკაც ერთ სამარიაჲთ ვსებად წყლისა. ჰრქუა მას იესუ:
„მასუ მე". 8. რამეთუ მოწაფენი მისნი შესლულ იყვნეს ქალაქად, რაჲთა საზრდელი
იყიდონ. 9. ჰრქუა მას დედაკაცმან მან სამარიტელმან: „შენ ჰურია ხარ. ვითარ ჩემგან
სუმად ითხოვ, დედაკაცისა ამისგან სამარიტელისა? რამეთუ არასადა მიეახლნიან
ჰურიანი სამარიტელთა". 10. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: „უკუეთუმცა უწყოდე შენ
ნიჭი იგი ღმრთისაჲ და ვინ არს, რომელი გეტყჳს შენ, ვითარმედ: „მასუ მე", შენმცა
ითხოე მისგან, ქცა ხოლო თუმცა შენ წყალი იგი ცხოელი". 11. ჰრქუა მას
დედაკაცმან მან: „უფალო, შენ სარწყული არა გაქუს, და ჯურღმული ესე ღრმა არს.
აწ ვინაჲ გაქუს შენ წყალი ცხოელი? 12. ნუთუ უდიდეს ხარ შენ მამისა მის ჩუენისა
იაკობისა, რომელმან ესე ჯურღუმული მოგუცა ჩუენ? და თავადი მაგისგან სუმიდა
და ძენი მისნი და საცხოვარი მისი. 13. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: „ყოველი რომელი
სუმიდეს მაგის წყლისაგან, მერმეცა სწყურიდისვე. 14. ხოლო რომელმან სუას
წყლისა მისგან, რომელი ვსცე მას, არა სწყურიდის უკუნისამდე. ხოლო წყალი იგი,
რომელი ვსცე მას, ეყოს მას წყაროჲ წყლისა აღმოდინებულისაჲ ცხორებასა მას

საუკუნესა". 15. პრქუა მას დედაკაცმან მან: „უფალო, მეც მე წყალი ეგე. რაითა არა
მწყუროდის და არცა მოვიდე აქა ესებად წყლისა". 16. პრქუა მას იესუ: „მიეედ და
მოხადე ქმარსა შენსა და მოვედ აქა". 17. მიუგო დედაკაცმან მან და პრქუა: „არა
მიეის მე ქმარ". — პრქუა მას იესუ: „კეთილად სთქუ. ვითარმედ: „არა მიეის მე
ქმარ". 18. რამეთუ ხუთ ქმარ ცვალებულ არს შენდა და, რომელი-იგი აწ გიეის, არა
არს იგი შენი ქმარი; ეგე მართალი სთქუ". 19. პრქუა მას დედაკაცმან მან: „უფალო,
ვჰგონებ, ვითარმედ წინაწარმეტყველ ხარ შენ. 20. მამანი იგი ჩუენნი მთასა ამას
ზედა თაყუანის-სცემდეს, და თქუენ იტყჳთ, ვითარმედ: „იერუსალიმს ხოლო არს
ადგილი, სადა ღირს თაყუანის-ცემაი". 21. პრქუა მას იესუ: „დედაკაცო, შენ გრწმენინ
ჩემი, რამეთუ მოვიდენ ჟამნი, რაჟამს არცა მთასა ამას, არცა იერუსალიმსა
თაყუანის-სცემდენ მამასა. 22. თქუენ თაყუანის-სცემთ მას, რომელი არა იცით, ჩუენ
თაყუანის-ვსცემთ, რომელი-იგი ვიცით, რამეთუ ჴსნაი ჰურიათაჲ არს. 23. ხოლო
მოვლენან ჟამნი და აწვე არს, რაჟამს ჭეშმარიტნი თაყუანისმცემელნი თაყუანის-
სცემდენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა. რამეთუ მამაიცა ეგევთართა
თაყუანისმცემელთა ეძიებს. 24. სული ღმერთ არს და თაყუანისმცემელთა მისთა
სულითა და ჭეშმარიტებითა ღირს თაყუანის-ცემაი". 25. პრქუა დედაკაცმან მან:
„უწყი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა პრქჳან ქრისტჱ. რაჟამს მოვიდეს, მან
გჳთხრას ჩუენ ყოველი". 26. პრქუა მას იესუ: „მე ვარ, რომელი-ესე გეტყჳ შენ". 27.
და ამას სიტყუასა მოიწინეს მოწაფენი მისნი და დაუკჳრდა, რამეთუ დედაკაცსა მას
ეტყოდა, ხოლო არა ვინ პრქუა მათგანმან. ვითარმედ: „რასა ეძიებ, ანუ რასა ეტყჳ
მაგას?" 28. დაუტევა სარწყული იგი თჳსი დედაკაცმან მან და შევიდა ქალაქად,
პრქუა კაცებსა მას: 29. „მოედით და იხილეთ კაცი ერთი, რომელმან მრქუა მე ყოვე-
ლივე. რაიცა მექმნა. ნუუკუე იგი იყოს ქრისტჱ იგი?" 30. გამოვიდოდეს ქალაქისა
მისგან და მოვიდოდეს მისა. 31 და ვიდრე არღა მოსრულ იყჳნეს მისა. ევედრებოდეს
მას და ეტყოდეს მოწაფენი მისნი: „მოიღუარ, პური ჭამე!" 32. მან პრქუა მათ: „მე
საჭმელი მაქუს ჭამად, რომელი თქუენ არა იცით". 33. იტყოდეს მოწაფენი იგი
ურთიერთას: „ნუთუ მოართუა ვინ მაგას ჭამად?" 34. პრქუა მათ იესუ: „ჩემი საჭ-
მელი იგი არს, რაითა ვყო ნებაჲ მისი, რომელმან მომავლინა მე. და აღვასრულნე
საქმენი მისნი, 35. არა თქუენ სთქუთ, ვითარმედ: „ოთხ თუელა. და მკაჲ. მოიწიოს"?
აჰა, გეტყჳ თქუენ: „აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანობირი ეგე, რა-
მეთუ განთეთრებულ არიან და ახან მკად. 36. და რომელმან მომკოს, სასყიდელი მი-
იღოს და შეკრიბოს ნაყოფი ცხოვრებასა მას საუკუნესა, რაითა მთესველი იგი და
მომკალი იხარებდენ ერთად. 37. ამით არს სიტყუაჲ იგი ჭეშმარიტ, რამეთუ სხუაჲ
არს, რომელი სთესავს, და სხუაჲ არს, რომელმან მომკოს. 38. მე წარგავლინე თქუ-
ენ მომკად, რომელსა არა თქუენ შუერით, სხუანი დაშურეს, და თქუენ ნაშრომსა
მათსა შეხუედით". 39. და ქალაქისა მისგან სამარიტელთაისა მრავალთა ჰრწმენა იგი
სიტყჳთა დედაკაცისა მის წამებითა, ვითარმედ: „მრქუა მე ყოველივე, რაიცა მექმნა".
40. და ვითარცა მოვიდეს მისა სამარიტელნი იგი, ევედრებოდეს მას ყოფად მათ
თანა. და იყო მუნ ორ დღე. 41. და უფროას და უმეტეს მრავალთა ჰრწმენა მისი
სიტყუათა მისთათჳს. 42. და ეტყოდეს დედაკაცსა მას: „არა ამიერითგან სიტყჳთა შე-
ნითა გურწამს, რამეთუ ჩუენ თჳთ გუესმის მაგისგან და უწყით, რამეთუ ეგე არს

ჭეშმარიტად მკსნელი სოფლისაჲ". 43. და ორისა დღისა შემდგომად მოვიდა მიერ და წარვიდა გალილეად. 44. რამეთუ თჳთ თავადმან წამა, ვითარმედ: „წინაწარმეტყველი თჳსსა სოფელსა შეურაცხ არნ." 45. ხოლო რაჟამს-იგი მივიდა გალილეად, შეიწყნარეს იგი გალილეველთა მათ, რამეთუ ეხილვაცა მრავალი სასწაული, რომელ ქმნა იერუსალ©მს დღესასწაულსა მას, რამეთუ იგინიცა მისრულ იყვნეს დღესასწაულსა მას. 46. მივიდა მერმე კანას გალილეაჲასსა, სადა-იგი გარდააქცია წყალი ღჳნოდ. და მუნ იყო სეფეწულ ერთ, რომლისა ძ© თჳსი იდვა სნეული კაფერნაუმს. 47. მას ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ მოსლულ არს ჰურიასტანით გალილეად, მოვიდა მისა და ევედრებოდა, რაჲთა გარდავიდეს და განკურნოს ძ© იგი მისი, რამეთუ მიახდა სიკუდიდ. 48. ჰრქუა მას იესუ: „უკუეთუ ნიშ და სასწაულ არა იხილოთ, არა გრწმენეს". 49. ჰრქუა მას სეფეწულმან მან: „უფალო, გარდამოვედ, ვიდრე არღა მომკუდარ არს ყრმაჲ იგი ჩემი". 50. ჰრქუა მას იესუ: „ვიდოდე, ძე იგი შენი ცოცხალ არს". — და ჰრწმენა კაცსა მას სიტყუაჲ მისი, რომელი ჰრქუა, და წარვიდა. 51. და ვითარ გარდავიდოდა, მოეგებვოდეს მას მონანი მისნი სიხარულით და თქუეს, ვითარმედ: „ყრმაჲ იგი შენი ცოცხალ არს". 52. ჰკითხვიდა მათ ჟამისა მისთჳს: „რომელსა მოჰქარდა?" ჰქუეს მას: „გუშინ, მეშჳდესა ჟამსა დაუტევა იგი სიცხემან". 53. მოეგონა მამასა მისსა ჟამი იგი, რომელსა ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: „ძე შენი ცოცხალ არს." და ჰრწმენა მას თავადსა და ყოველსა სახლსა მისსა. 54. ესე მერმე მეორე სასწაული ყო იესუ, მოსრულ ჰურიასტანით გალილეად.

გიორგი მერჩული

შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, და მის თანა ჯსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ

(ნაწყვეტები)

1. „ბრძნად მეტყუელებაჲ ვეცხლი არს წმიდაჲ, ხოლო დუმილი ოქროჲ რჩეული", ვითარცა თქუა სოლომონ.

არამედ აწ მე, ვინაჲთგან ვერ ძალ-მიც მოუკლებელად ლოცვაჲ და სულელთა ყოველთა უდარეს ვარ, ნაკლულევანებაჲ ჩემი არა მიფლობს დუმილად და ზოგსრაჲმე უმჯობესად შემირაცხიეს, რაჲთა ვიტყოდი ღირსად ცხორებასა ღმერთშემოსილთა კაცთასა, ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისა და მოყუასთა და მოწაფეთა მისთასა მადლითა და შეწევნითა ღმრთისაჲთა, რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა ჭეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმიდისათა. და ნეტართა მათ ოხითა ეპოვო ორკერძოვე ლხინებაჲ უძლურებათა ჩემთაჲ ესრეთ სიტყუათა ამათ წერითა.

2. ესე იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამადედათაჲ და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსე ერისთჳისასა აღზრდილ იყო ყელითა კეთილადმსახურისა დედოფლისა, ნერსეს ცოლისაჲთა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი. და საშოაჲთგანვე დედისაჲთ შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თჳსისა, ვითარცა სამოელ წინაწარმეტყუელი, და მარხვასა შინა იზარდე-

ბოდა მსგავსად წინამორბედისა, რამეთუ სიჩჩოჲთგანვე ღუნოჲ და კორცი არა შეჴდა პირსა მისსა, ვინაჲთგან ქრისტჱსა განეკუთნა სული თჳსი სამკჳდრებელად და ხატიცა მონაზონებისაჲ ემოსა, რამეთუ თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაჲსა და ყოვლისაგან აღრეკისა კაცთაჲსა და მარტოდ იყოფვენ თჳსსა მას სადგურსა, რომელსა განწესებულ იყო. ამისთჳსცა დაყუდებულ უწოდიან მას სახელი.

ხოლო გულისკმიერობაჲ სწავლისაჲ განსაკჳრვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა „დავითი" და კმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად. და, რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის. და განითქუა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის. ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ სიტყჳსაებრ მოციქულისა, ვითარმედ: „გან-რაჲმე-აცოფა ღმერთმან სიბრძნჱ იგი ამის სოფლისაჲ".

სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთა. რაჟამს იტყჳნ, ბრძნად აღაღის პირი თჳსი და წესი განუჩინის ენასა თჳსსა. და ჰასაკისა ზრდასა თანა სათნოებაჲცა კეთილი იზარდებოდა, რამეთუ არა იყო, ვითარ ჭაბუკი, მზუაობარ და ჭამადთა გულისსათქუმელთა მოყუარჱ, არამედ თავით თჳსით დანიელ წინაწარმეტყველისა სიტყუასა იტყჳნ, ვითარმედ: „პური გულისსათქუმელი არა ჭამო" და ესრეთ მიიღის საზრდელი საგლახაკოჲ ჯორცთა თჳსთა განსამტკიცებელად ნეტარმან გრიგოლ, მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა, მუუდრომან ქცევითა და მოწყალემან გონებითა, რამეთუ ძირი სიწმიდისაჲ მარადის გულსა მისსა დანერგულ იყო, აღმომცენარჱ ჯეჯლსა ღმრთისმსახურებისასა. და ნერგი ჭეშმარიტებისა სარწმუნოებისაჲ აღორძდა სულსა მისსა და ნაყოფი ღმრთისა სიყუარულისაჲ გარდაეტატა მის შორის. და ესევითარითა მრავალფერითა კეთილად განგებითა ცხოვნდებოდა ჭაბუკი ესე სამღდელოჲ სათნოდ უფლისა. ხოლო იყო ხილვითა დიდ, ჯორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოლად კეთილ სრულიად, გუამთა მრთელ და სულითა უბიწო.

3. მაშინ ჴელმწიფეთა მათ, აღმზრდელთა მისთა, და სანატრელმან დედამან მისმან და ერისა სიმრავლემან ინებეს ხუცად კურთხევაჲ ამის ნეტარისაჲ. და ჰრქუეს მთავართა მათ და მშობელმან მისმან: „შვილო, ყოვლად კეთილო და სარწმუნოო ქრისტეს მონაო, აჰა, მოიწია, ჟამი წინაწარმეტყველისა დავითის თქუმულისაჲ, რომელსა იტყჳს: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა, არამედ უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა". და აწ შენ გპოვა ქრისტემან უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა და რაჲთა შენ აღხვდე მთასა უფლისასა და დადგე ადგილსა წმიდასა მისსა შემწირველად წმიდასა და უსისხლოსა მსხუერპლსა მისსა ღირსებისა შენისათჳს და სასოდ სულთა და ჯორცთა ჩუენთა".

ხოლო ამას ნეტარსა დაღაცათუ აქუნდა სიყუარული მღდელობისაჲ, შეზრუნდა სიტყუასა მათსა ზედა და შიში დაეცა სიახლისათჳს ჰასაკისა მისისა და ჰრქუა მათ: „აწ პატიჳსა ვსედავ და პატიჳისაგან მეშინის". მაშინ მიუგეს ბრძენთა მათ მთავართა და ჰრქუეს: „შენ მოგცა ქრისტემან კეთილი მოხუცებულებაჲ გონებისაჲ. და აწ ნოღარა ურჩ იქმნები, არამედ მორჩილ იქმენ ბრძანებასა ქრისტჱსსა და ჰმონე მას მღდელობითა, რომელმან ივნო ჩუენთჳს, მღდელმან მან საუკუნემან, და ჩუენ, ყოველნი, გუაცხოვნა".

ხოლო ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ და ნებითა ღმრთისაჲთა იკურთხა ხუცად ვედრებისაებრ მვედრებელთა მისთაჲსა, რომელ შუენოდავე კრძალულებით საღმრთოჲთა კანონითა ქცევასა მისსა. და ესრეთ მხიარულ იქმნა სიხარულ იგი ერისაჲ.

4. მაშინ მთავარნი იგი განიზრახვიდეს ეპისკოპოსობასა მისსა. ხოლო ნეტარმან გრიგოლ, ვითარცა იხილა თავი თჳსი კორციელად დიდებასა შინა, ფრიად წუხდა გული მისი და განიზრახა ფარულად სივლტოლაჲ თჳსით ქუეყანით.

5. და ესევითარსა კეთილსა განზრახვასა და გზავნასა მისსა პოვნა მოყუასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტჱს მადლისაჲთა: საბა, რომელსა ეწოდა საბან, დედისდისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშენებელი და ეპისკოპოსი მისი, და თევდორე, ნეძჳსა მაშენებელი და მამაჲ, და ქრისტეფორე, კჳრიკეთისა მაშენებელი და მამაჲ. ესე ოთხნი შეანწევრა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყუარულმან შეამტკიცნა ერთზრახვად შეკრებულნი. ვითარცა სული ერთი ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული.

მაშინ ერთითა მით ერთობითა აღიბეჭდნეს თავნი თჳსნი ძლიერებისა ბეჭდითა მით ნიშისა საუფლოჲსა პატიოსნისა ჯუარისაჲთა და სიხარულით წარემართნეს გზასა მას. და მოიყვანნა იგინი ქართლით ოპიზას პირველად.

ხოლო იყვნეს ოპიზას ძმანი მცირედნი შეკრებულ ქრისტჱს სიყუარულისათჳს, ვინაჲთგან პოვნილ იყო წმიდაჲ იგი მცირე ეკლესიაჲ წმიდისა ნათლისმცემელისაჲ. და იყო წინამძღურისა მათისა სახელი ამბა გიორგი, რამეთუ მესამე მამაჲ იყო ოპიზისაჲ, რაჲთგან სამოელ და ანდრია გარდაცვალებულ იყვნეს. ამან ნეტარმან ამბა გიორგი. ვითარცა იხილნა სანატრელი მამაჲ გრიგოლ და მოყუასნი მისნი, გულისკმა-ყო საღმრთოჲთა ცნობითა ღირსებისა მათისა მადლი და შეიწყნარნა იგინი სიხარულით, არა ვითარცა მოწაფენი, არამედ ვითარცა უზეშთაესნი მისა. და ორისა წელიწდისა ჟამთა იყვნეს ოპიზას მამაჲ გრიგოლ და მოყუასნი მისნი ღუაწლითა ფიცხლითა მონაზონებისა შრომისაჲთა. ვითარცა იო წქი მს ჟამსა მონაზონთა.

ხოლო მამასა გრიგოლს სწადოდა მარტოდ დაყუდებაჲ, რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხორებაჲ მარტოდმყოფთაჲ მათ სივრცესა მას შინა უდაბნოჲსასა, რომელნი-იგი იზარდებოდეს მძოვართასსედ მწუანვილითა და ხილითა. ხოლო რომელნიმე ფარულად იყვნეს. ყოველთა მათ ნეტართა მოიხილავნ წმიდაჲ გრიგოლ და კეთილთა ქცევათა მათთა ისწავებნ. რომელთაგანმე — ლოცვასა და მარხვასა, რომელთაგანმე — სიმდაბლესა და სიყუარულსა, რომელთაგანმე — სიმშჳდესა და განურისხველობასა, რომელთაგანმე — უპოვარებასა და ქუეყანასა ზედა წოლასა, გინა თუ ზეკდომით ძილსა. რომელთაგანმე — უპრულებასა და კელთსაქმარსა დუმილით და მსგავსთა ამათთა სათნოებათა, და ესრეთ სწავლათაგან სულიერთა აღსავსემან მიაქციის საყოფლადვე თჳსა. რამეთუ ესმინ წმიდათა მათგან, ვითარმედ: „პრცხუენისმცა სოფელსა ქცევათაგან ჩუენთა კეთილთა“.

6. მას ჟამსა იო ვინმე ბერი ხანცთას მარტოდმყოფი კაცი, მართალი და წმიდაჲ, რომლისა სახელი კუედიოს.

მას ჟამსა მოიწია ხანცთად სათნოჲ მამაჲ ჩუენი გრიგოლ წმიდისა მის ბერისა. და ვითარცა იხილეს ერთმანერთი, განიხარეს ფრიად და ყვეს ლოცვაჲ. მაშინ ნეტარმან მან ბერმან ჰრქუა: „მაკურთხე, წმიდაო მამაო გრიგოლ, რამეთუ მღდელი ხარ შენ“. და აო ლოცვაჲ მამამან გრიგოლ, და ვითარცა მრავალჟამისა მეგობარნი საყუარელნი, მოიკითხეს ურთიერთას და სიხარულით დასხდეს. ხოლო ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა: „ვსმადლობ ქრისტესა, რომელი მომიძღუა საყოფელად შენდა შვილსა

შენსა და ღირს-მყო მე თაყუანის-ცემად კუალსა წმიდათა ფერჯთა შენთასა, გამორჩეულო ღმრთისაო! ამიერითგან იყავ წმიდაჲ ჯუარი შენი საფარველ ჩემდა და შეწევნაჲ ღირსთა ლოცვათა შენთაჲ. და წმიდაჲ ჯუარი შენი მარადის იყავ ჩემ ზედა, უძლურისა ამის მოხუცებულისა, და მცირედთა დღეთა შემდგომად იხილო მტუერქმნული შენ, წმიდაო ღმრთისაო. დაღაცათუ დღითა უმრწემეს ხარ, საქმით კულა უხუცეს ხარ ჩემსა. რამეთუ შენ იყო მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყველთა საცხოვართა ქრისტჱსთაჲ და სულისა ჩემისა საუკუნოდ გვრგვნი და სასოჲ".

მაშინ განჰმზადა ტაბლაჲ მსგავსად ჩუეულებისა სიხარულით, რომელი დახუდა დიდსა მას უპოვარებასა მისსა. და აკურთხეს მადლობით და იწყეს ჭამად მარადის მეტყველთა სულისა საზრდელსა მას სიტყუასა: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგვწყალენ ჩუენ". და კნინითა მით საშუებლითა ფრიად იშუებდეს, ვითარცა დიდძალითა სანოვაგითა, და ვითარცა მიიღეს საზრდელი, კუალად იწყეს სულისა ცხორებისა ზრახვასა. და იყო განგრძობილად სიტყუაჲ მათ შორის. რამეთუ დღჱ იგი დამწუხრდა და ღამჱ განთენა უძილობით ლოცვასა შინა მათსა და გალობასა ღმრთისასა.

და განთიად მოახილვა ყოველი სანახები ხანცთისაჲ და ფრიად შეეყუარდა წმიდასა გრიგოლს. მაშინ ჰრქუა ნეტარსა ბერსა: „წარვიდე ოპიზას და მსწრაფელ ხოლო მივიდე ძმათა ჩემთა თანა, რომელ დაუტევენ მუნ, რაჲთა მოვიდენ ჩემ თანა და იგინიცა იკურთხნენ წმიდათაგან ლოცვათა შენთა". და ვითარცა მოიწია ოპიზას, ახარა ძმათა თჳსთა ხილვაჲ წმიდისა მის ბერისაჲ და ადგილისაჲ მის, კეთილისა საყოველისა ღმრთივმოცემულისაჲ. და მსწრაფულ ხოლო მივიდეს ამბა გიორგისა, ოპიზისა წინამძღურისა, და მოიღეს ლოცვაჲ წმიდაჲ მისი და ძმათა ყოველთაჲ და სიხარულით მოიწინეს ხანცთად. ყვეს ლოცვაჲ და მოიკითხეს წმიდაჲ იგი ბერი, ვითარცა ზეცისა ანგელოზი. ხოლო მან განიხარა ხილვაჲ ნეტართაჲ მათ და ჰრქუა მათ: „თქუენ ხართ სიწმიდისა ნაყოფნი, მცენარენი სულნელნი, ვარდნი შუენიერნი, ფინიკნი კეთილნი და ზეთისხილნი ნაყოფსავსენი, ზეთითა მით სიწმიდისაჲთა პოხილნი, რომელთა ხილვითა დღეს განიპოხა სიბერჱ ჩემი და ამაღლდა სიხარული ჩემი. ვითარცა რქაჲ მარტორქისაჲ. ამიერითგან იხარებდინ უდაბნოჲ ესე თქუენ, ქრისტესნებისმყოფელთა. ამას შორის დანერგვითა". ხოლო მათ ჰრქუეს: „წმიდაო მამაო, სიტყუათა შენთა პატივი ჩუენთჳს ზეშთა ბუნებათა არს, არამედ დაამტკიცენ ქრისტემან, ყოვლისა შემძლებელმან, ქებისა ბრძანებაჲ ეგე მადლიერი, და კმა არს ჩუენდა, და ინებენ უფალმან მოცემად ჩუენდა მადლი ესე. რაჲთა ღირსად ვჰმსახუროთ სიწმიდესა შენსა ვიდრე აღსასრულამდე. ჰ, წმიდაო ღმრთისაო". მაშინ ჰრქუა ბერმან: „დაღაცათუ მხიარულ არს გული თქუენი მსახურებად მოხუცებულებასა ჩემსა. ხოლო ესე უწყოდეთ, ნებითა ღმრთისაჲთა ვიდრე სიკუდილამდე თჳთ ვჰმსახურო თავსა ჩემსა. აწ მე აღმითქუამს უფლისადა ვიდრე აღსასრულამდე ჩემდა მარტოდმყოფებაჲ, სულითა კულა თქუენ თანა ვარ და აწ ჯერ-არს ჩემდა აღნათქუემისა საქმით აღსრულებაჲ."

7. ამისა შემდგომად ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: „ნეტარო კაცთა შორის, არს მახლობელად ჩუენსა ქუაბი მცირე, წარმიყვანე მუნ შენ და ძმათა შენთა, რაჲთა ნეშტი დღეთა ჩემთაჲ მას შინა აღვასრულო, რამეთუ მცირედღა ყოფად არს ჩემი ჯორცთა შინა ყოფაჲ. ხოლო ესე აღმითქუთ, რომელ ჩემდა სიკუდიდმდე არა განჰმრავლდეთ ადგილსა ამას შინა". და ჯუარი დასწერა თჳსსა მას სამკჳდრებელსა, და სიტ-

ჟუაჲ მისი განძლიერდა. და მათ არღარა იკადრეს ცილობად. არამედ მივიდეს მის თანა ქუაბად და ყველ ლოცვაჲ. ხოლო ბერმან თქუა: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნისამდე. ამას დავემკვდრო. რამეთუ მთნავს ესე". მაშინ ამბორს-უყვეს ურთიერთას და მისცეს მშჳდობაჲ წმიდასა მას ნეტართა მათ და შთამოვიდეს ადგილსა მას, ღმრთისა მიერ ჩინებულსა სამონასტრედ.

ამისა შემდგომად იწყო მან ხანცთისა შენებაჲ. და ერთობით ჯჳარი დასწერეს ადგილსა მას და იწყეს საქმედ სენაკებისათჳს ქუეყანისა დავაკებად. რამეთუ კლდჱ იგი ხანძთისაჲ უფიცხლეს არს უფროჲს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა. და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი. რამეთუ არა აქუნდა მათ ცული და წერაქჳ, არცა სხუაჲ ეგევითარი საკმარი. არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა ჴელთა მათთა. და თანაშემწე ექმნეს ყოვლითა საკმრითა და კორცთა საღუაწითა. რამეთუ მას ჟამსა სხუაჲ მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა თჳნიერ ოპიზისა. და არცა მსოფლიონი ერისაკცნი ახლვიდეს ახლად შენებისთჳს მათ ქუეყანათაჲსა. რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა, და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დამშენებულ ტაძეთა შინა ადგილადგილ.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაჲ და შემდგომად საჟუდელი თჳსი და თითო სენაკები ძმათა მათთჳს მცირჱ და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი. და დღითი დღე აღორძნდებოდეს ძმანი და თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ მართალთა და მონაწილე წმიდათა მოწამეთა, მჴნდებოდეს რაჲ ღუაწლსა მას მონაზონებისასა მსგავსად წმიდათა მოწამეთა და უფროჲს მათსა, რამეთუ მარტჳლნი ერთსა ხოლო ჟამსა იწამნეს, ხოლო ესენი ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათჳს ქრისტჱსისა.

8. მას ჟამსა ნეტარი იგი ბერი კუედიოს მოხუცებულ იყო ფრიად და მიახლებულ კორცთაგან განსლვად. მაშინ მივიდა მამაჲ ჩუენი წმიდაჲ გრიგოლ და ძმანიცა, რომელნი იყვნეს მის თანა, ხილვად ბერისა. და ვითარცა მოიკითხეს, ჰრქუეს: „გუაკურთხენ, წმიდაო მამაო, რამეთუ აწ მიხუალ უფლისა". ხოლო მან ჰრქუა: „ღმერთი მშჳდობისა, სიყუარულისა და კაცთმოყუარებისაჲ იყავნ თქუენ თანა ყოლადვე. არამედ ჩემთჳს ლოცვა-ყავთ. წმიდანო მამანო". და დაიძინა ნეტარმან ბერმან და ტკბილ ეყო მას ჰრული მისი. ხოლო მამამან გრიგოლ და ძმათა წარმოიყვანეს ძლევითშეძოსილი გუამი მისი და გალობითა წმიდითა დაჰმარხეს იგი საფლავსა შინა. მაშინ ნებითა ღმრთისაჲთა განმრავლდებოდეს ძმანი ქრისტჱსმსახურნი.

ხოლო მამაჲ გრიგოლ არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა, არამედ პირველად გამოცადის ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, და უკუეთუ იპოვის გულითა უმანკოჲ, უზაკუველი და უდრტჳნველად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, იგი შეიწყნარის სიხარულით. ამისთჳსცა ყოველნი მოწაფენი მისნი კეთილ იყვნეს ფრიად და ღირსად შემწყნარებელ სათნოებათა მისთა წმიდათა და ემსგავსებოდეს მოძღუარსა კეთილსა. — და ესრეთ კეთილად ცხონდებოდეს იგინი სულიერად. ხოლო ჯორციელად დიდსა იწროებასა იყვნეს.

9. და მათ ჟამთა მფლობელი იყო ამათ ქუეყანათა ღმრთისმსახური კელმწიფჱ დიდი ბაგრატუნიანი აშოტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნჱ, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ ვიდრე უკუნისამ-

დე ჟამთა. და ელმწიფისა მის წინაშე და შვილთა მისთა, დიდებულთა მათ ელმწიფეთა წინაშე შეუსწაველელ იყო წმიდაჲ გრიგოლ.

ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული, და აწ ნათესავთა მისთა ჰრქჳან დაფანჩულნი. ესე აზნაური შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვანებითა, და ყოველსა ზედა საქმესა განმარჯუებითა და კეთილადმორწმუნეობითა ქებულ იყო.

ამას აქუნდეს ზოგნი სოფელნი მახლობელად ვანსა ნეტარისა გრიგოლისსა, რომელმანცა მოწაფეთა თჳსთა უპოვარებაჲ იხილა რაჲ, მიიწია ნებითა ღმრთისაჲთა სახლსა გაბრიელ დაფანჩულისასა. ხოლო იგი შინა არა დახუდა, არამედ ღმრთისმოყუარჱ მეუღლჱ მისი მარიამ სარწმუნოებით მოეგება მამასა ჩუენსა გრიგოლს და ჯეროვნად პატივ-სცა და მრავლითა კეთილითა განუტევა; და თანა კაცნი წარმოაყვანნა შესასწაველელად და ჰრქუა: „წმიდაო მამაო, ამათ კაცთა ასწავე გზაჲ მონასტრისა შენისაჲ და საღუაწი სულიერთა შვილთა შენთაჲ უზრუნველ იყოს შენგან, რამეთუ არა დაგაკლდეს სახლისაგან ჩუენისა, არამედ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა კსენებულ-გუყვენით უფალი ჩემი გაბრიელ და მე, მკვეალი შენი, და შვილნი ჩუენნი". და ესრეთ სიხარულით მოვიდა მონასტრად თჳსა მამაჲ გრიგოლ და განიხარეს ძმათა მათ ფრიად, რამეთუ ღმერთმან პატივ-სცის მადიდებელთა თჳსთა.

ხოლო რაჟამს მოიწია სახედ თჳსა გაბრიელ მთავარი, მაშინ აუწყა ღმრთისმოყუარემან მეუღლემან მისმან ნეტარისა მამისა გრიგოლის მოსლვაჲ და ვითარ-იგი მან სიხარულით განუტევა. და ვითარცა ესმა ესე დიდებულსა მას აზნაურსა, მადლი შეწირა ღმრთისა წმიდისა მის შესლვისათჳს სახლსა თჳსსა და აკურთხა მეუღლჱ თჳსი. და მსწრაფულ ხოლო დაწერა წიგნი ვედრებისაჲ და წარავლინნა კაცნი კეთილნი, რაჲთა კუალადცა ბრძანოს სახლსა მისსა. ხოლო მამაჲ ჩუენი ნეტარი გრიგოლ მორჩილ იქმნა სიტყუათა მისთა და წარჰყვა კაცთა მათ მოვლინებულთა.

და ვითარცა ესმა მისლვაჲ ამის ნეტარისაჲ, აღდგა და მიეგება წინა გაბრიელ, აზნაური მეფისაჲ, და თაყუანის-სცა სიხარულით და ამბორს-უყოფდა წადიერად ელთა მისთა წმიდასა მას და წარიყვანა პატივით სახედ თჳსა და მრავალთა დღეთა განუსუენა, და წარმოუდგინნა წინაშე მისა ოთხნი იგი ძენი თჳსნი, ყოვლად კეთილნი და ყოვლითავე მსგაჳსნი გაბრიელ მამისა მათისანი: პატრიკ, გუარამ, არშუშა და აბულასათ. და ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: „წმიდაო ღმრთისაო, აკურთხენ ესენი წმიდათა ელთა შენთა დასხმითა ჩუენ მშობელთა მათთა თანა!"

და ვითარცა იხილა წმიდამან მან ფრიადი სარწმუნოებაჲ კურთხეულთა მათ მეუღლეთა და შვილთა მათთაჲ, მაშინ აღდგა სიხარულისა ცრემლითა საჳსჱ და აღიპყრნა წმიდანი ელნი თჳსნი (ღმრთისა) მიმართ და ჰრქუა: „უფალო, მოხედე ლოცვასა ჩემსა. გლახაკისა მონისა შენისასა, და ლოცვითა ყოველთა წმიდათა შენთაჲთა აკურთხენ მშობელნი შვილითურთ და შვილნი მშობელთა თანა, კეთილად მორწმუნენი ესე და მადიდებელნი წმიდისა სახელისა შენისანი". და ჯუარი დასწერა ყოველთა და დაჯდა. მაშინ გაბრიელ ჰრქუა წმიდასა მას: „ქრისტემან საქმით დაამტკიცენ სიტყუაჲ ბაგეთა შენთაჲ, ღირსო მამაო, და ჩუენ მოგუეცინ უფალმან გულსმოდგინედ მსახურებაჲ სიწმიდისა შენისაჲ. ჩუენ თანა არს ჲორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესენი შევსაჳნეთ ურთიერთას. თქუენ მონაწი-

ლე-გუყვენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა ცხორებასა ამას და შემდგომად სიკუდილისა. და ძუალნი ჩუენნი ღირს-ყვენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენთა და ლოცვაჲ ჩუენთჳს უკუნისამდე განაწესეთ მონასტერსა თქუენსა. და ჩუენ აღგითქუამთ: ცხორებასა ჩუენსა და ცხორებასა შვილთა ჩუენთასა შეილითი შვილადმდე თანაგუაც თქუენი ღუწაჲ და მონასტრისა თქუენისაჲ ჟამთა უკუნისამდე. არამედ, წმიდაო მამაო. სავანე კეთილი ადგილი დედათათჳს სამკჳდრებელად გამონახეთ, რაჲთა ესე მცნებაჲ იყოს ჩუენ შორის: ნათესავისა ჩემისა უკუეთუ მოწესე მამაკაცი იყოს. სამკჳდრებელად მისა ხანცთაჲ იყოს. და უკუეთუ ერისა ჩემისა მოწესჱ დედაკაცი იყოს. მუნ დაემკჳდროს. რომელიცა შენ გამოაჩინო ქუეყანასა ამას ადგილი. შენ მიერ კურთხეული. და ვითარცა მიცვალებულთა მამათათჳს ხანცთაჲ განმიწესებია. ეგრეთვე იყოს სამარხავი მიცვალებულთა დედათაჲ აწ შენებულსა მას".

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიება-ყო გულსმოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობელად. ჯუარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათაჲ. რომელსა აწ ჰრქჳან გუნათლის ვანი და ჟამისმწირველი მღდელი ვანისა მისთჳს ხანცთით განაწესა ნეტარმან გრიგოლ ვედრებითა გაბრიელისითა.

10. ხოლო გაბრიელ. დიდებულმან აზნაურმან. ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მამაჲ გრიგოლ და მოსცნა კირითხურონი და ნივთი ყოველი ქვითკირისა ეკლესიისა საშენებელად. და ესრეთ მოვიდა მამაჲ გრიგოლ თჳსსა ვანსა. და განიხარეს მოწაფეთა მისთა. მადლი მისცეს ქრისტესა და ულოცვიდეს მოღუაწეთა მათ.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიოჲ დაავაკა და. ვითარ დაიწყებდა ეკლესიასა. ლოცვაჲ ცრემლით წართქუა. და ჯუარი დასწერა ადგილსა წმიდისა ეკლესიისასა. და იწყეს შენებად. და ესრეთ კეთილად განსრულდა ძუელი იგი ეკლესიაჲ ხანცთისაჲ შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა გიორგისითა და ლოცვითა ნეტარისა მამისა გრიგოლისითა. ხოლო კორციელად მოღუწებითა დიდებულისა გაბრიელ მთავრისაჲთა და ყოველთა მართლმორწმუნეთაჲთა. მას ჟამთა ყოველთა მათ წმიდათა უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შენებად და წმიდათა ეკლესიათა. და ესრეთ განმრავლდეს მსახურნი წმიდისა სამებისანი და მარადის მადიდებელნი.

11 ხოლო სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედაჲ ფებრონია მოიწია სამცხით და დაემკჳდრა მერეს შინა. და ღირსად ცხორებისა და სულიერად განგებისა მისისა არა იყო საზღვარ. და საღმრთოჲთა სიყუარულითა წმიდითა ერთმზრახვა და მეგობარ იყვნეს ფრიად ნეტარნი ესე ღმრთისა კაცნი: დედაჲ ფებრონია და მამაჲ გრიგოლ. და ხუცესი მერისაჲ ხანცთით არნ.

ამისა შემდგომად ღმრთისმსახურსა მეფესა აშოტ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერისმთავარმან სანატრელისა მამისა გრიგოლის ღირსებაჲ და უცხოვებაჲ და უქმსა უდაბნოსა მონასტრისა შენებაჲ და მოწაფეთა მისთა სათნოებაჲ და მოწაფეთაგანვე ცნობაჲ დიდებულებისა წმიდისა მის მშობელთაჲ. ესე ყოველი ვითარცა გულისკმა-ყო კეთილადმსახურმან კურაპალატმან აშოტ. მსწრაფულ ხოლო დაწერა ეპისტოლჱ კელითა თჳსითა და კაცი ერთი კეთილი წინაშემდგომელთაგანი და ერთი გაბრიელის მსახურთაგანი სწრაფით წარმოავლინნა მამისა გრიგოლის წინაშე. და ვითარცა წარიკითხა წიგნი კურაპალატისაჲ, პატივით მოწერილი წოდებისაჲ. ნეტარმან მამამან და კაცთა მათგანცა ცნა ყოველი. მუნთქუესვე წარვიდა კელმწიფისა მის წინაშე და მი-რაჲ-იწია პალატად. მოეგებნეს ძენი კურაპალატისანი. და ვითარ მივიდა კარსა ტაძრისა მათისასა. მაშინ კურაპალატი ზეაღდგა და წინამოეგება ნეტარსა მა-

მასა გრიგოლს. და დიდითა სიმდაბლითა მოიკითხეს ერთმანერთი და დასხდეს. ხოლო კურაპალატმან ჰრქუა: „ღმერთისამიერი კურთხევაი პირითა შენითა იყავნ ჩუენ ყოველთა ზედა, წმიდაო". და მან თქუა: „გაკურთხენინ ყოველნი პირმან ქრისტჱსმან და ყოველთა წმიდათამან. რამეთუ ჭეშმარიტად სამართალ არს სიტყუაი ესე: „სადა არს პატიჳი მთავრობისაი, მუნ არს მსგავსებაი ღმრთეებისაი", რამეთუ თქუენ, კელმწიფენი, უფალ-ყენა ღმერთმან ქუეყანისა განგებასა, ვითარცა გულისკმა-ვჰყოფთ კეთილს-ყოფასა ღმრთისასა ჩუენდა მომართ მეფობითა შენითა".

მაშინ კურაპალატმან ჰრქუა მამასა გრიგოლს: „მეფეთა ისრაჱლისათა ჟამადჟამად წინაწარმეტყუელი აღუდგინის ღმერთმან სიქადულად მათა და ზღუდედ შჯულისა, და შესაწევნელად მორწმუნეთა და სამხილველად ურწმუნოთა. ეგრეთვე ჟამთა ჩუენთა შენ გამოგაჩინა ღმერთმან ქრისტეანეთა სიქადულად, და რაჲთა მარადის ილუწიდე ჩუენთჳს წმიდითა ლოცვითა შენითა წინაშე ქრისტჱსა და წმიდათა მისთა". ხოლო მან ჰრქუა: „დავით წინაწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო კელმწიფეო. მეფობაი და სათნოებანიცა მისნი დაგიმკჳდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათჳსცა ამას მოგაკსენებ: არა მოაკლდეს მთავრობაი შვილთა შენთა და ნათესავთა მათთაი ქუეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა. არამედ იყუნენ იგინი მტკიცედ უფროის კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყუნენ უკუნისამდე".

ამისა შემდგომად კაცმან მან მოციქულმან წარმოთქუა ქებაი ხანცთისაი. ვითარმედ: „კეთილ არს უდაბნოი იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო. და აქუს მას წყაროი მდიდრად გამომდინარჱ, შუენიერი. გრილი და ჰამოი და მაღნართა სიმრავლჱ ურიცხჳ და მცირედი რაჲმე სხუაცა ნუგეშინის-მაცემელი ძალისაებრ მის უდაბნოისა. ხოლო სათესავი ჟანაი და სათიბელი ქუეყანაი რაჲთურთით არა არს, არცა იქმნების ღირღოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთაჲსა"". ესე ვითარცა ესმა დიდებულსა კურაპალატსა. შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანცთისა. მაშინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა — ადარნესე და ბაგრატ და გუარამ — შეწირეს თითოეულად. რაჲცა საკმარი მონასტერსა მისსა უკმდა, ყოველი უხუებით.

და ვითარცა ადგილნი იგი მოითუალნა და კურთხევაი მიანიჭა კურაპალატსა და ძეთა მისთა ნეტარმან გრიგოლ. მაშინ მრავლისა კეთილისა ნაყოფითა საჱსჱ მოვიდა ხანცთად. მონასტრად თჳსა. და ახარა ძმათა ყოველი იგი განმარჯუებაი მადლითა ქრისტჱსითა და ოხითა წმიდისა გიორგისითა. ხოლო მათ უხაროდა და ულოცვიდეს სარწმუნოებით შემომწირველთა და ჰმადლობდეს ქრისტესა კეთილისმყოფელსა.

12. და ვითარცა კორციელად შეემატებოდა, ეგრეთვე სულიერად შეეძინებოდა რიცხუსა მას წმიდათა კაცთასა. რამეთუ მას ჟამსა მოვიდეს მამაი ეტჯფანე და მღდელი მატოი ქართლით და დიდი ზენონ სამცხით. რამეთუ ეტჯფანე და მატოიჲ პირველვე მეგობარ იყენეს ამის წმიდისა და სახელსა მისსა მოვიდეს ხანცთად.

ხოლო ზენონ შვილი იყო სარინოისა ვისმე კაცისაი სამცხეს და ღმრთისმსახურებით აღზრდილ იყო და სიწმიდით იქცეოდა. რამეთუ საღმრთოი შიში მკჳდრ იყო მის შორის და სწადდა მონაზონებაი აღთქუმისაებრ აღთქუმისა მმარხველთაჲსა. და ვითარცა აღესრულნეს მმოპელნი მისნი. მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მის თანა. და ზენონ გულს-ეტყოდა,

რაჲთამცა მამული და დედული მონაგები დასა თჳსსა დაუტევა ნებისაებრ მისისა და თჳთმცა იქმნა მონაზონ უცხოებასა შინა.

და ვითარ ამას განიზრახვიდა ზენონ, დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჯუებითა შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველ წარვიდეს შავეთს. ხოლო ზენონ ვითარცა ცნა. შეიჭურა საჭურველითა მარტოდ და ამჴედრდა ცხენსა და დევნაუყო. და ვითარ დიდი ქუეყანაჲ ვლო, თქუა გულსა თჳსსა, ვითარმედ: „ვარ მე ჭაბუკ სახელოვან და, რომელსა ვდევ. ფრიად შეურაცხ არს, დაღაცათუ ვეწიო და მოვკლა, საბრკე არს სულისა ჩემისაჲ, და უკუეთუ ცუდად უკუნვიქცე სახედ ჩემდა, სირცხჳლ არს ჩემდა, არამედ აღთქუმაჲ მონაზონებისაჲ აწ აღესრულო უფალსა". და ახოვან იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევებაჲ სისხლთა დათხევასა ემსგავსების. და დაიწერა ჯუარი ჯორცთა თჳსთა და წარემართა საღმრთოსა მას გზასა და მიიწია წინაშე დედისა ფებრონიაჲსა მერე, რამეთუ იყო იგი სახლისა მისისაჲ. და ნებითა ღმრთისაჲთა მუნ იყო მამაჲ გრიგოლ. და დედამან ფებრონია შეაწუნარა წმიდასა მას უმანკოჲ იგი კრავი, მწყემსსა მას კეთილსა, რომელმცა მოუკლა ხანცთად

ესე ნეტარი ზენონ მიიწია მოხუცებულებასა და ვიდრე აღსასრულადმდე არა განეშორა ხანცთასა ჭეშმარიტად სულიერი შვილი. მსგავსი მამისაჲ, კეთილი მოწაფჱ, ნაცვალი მოძღურისაჲ. ნეტარი. სათნოებათა საუნჯჱ, მონაზონებისა წესი წმიდაჲ, კლარჯეთისა უდაბნოთა ზღუდჱ, სულთა უკეთურთა მაოტებელი.

13. რამეთუ ვიდრე მოსლვადმდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა მჴეცთაგან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტჱსნი განბნეულ იყვნეს თითოჲ, ანუ თუ ორ-ორი სივრცესა მას უდაბნოთასა, ხოლო მოსლვასა წმიდისა გრიგოლისსა ცხოვარნი იგი განმკნდეს და მჴეცნი იგი ეშმაკნი განიოტნეს და ყოველი წესი საღმრთოჲ განემართა.

ხოლო მამაჲ გრიგოლ გულს-ეტყოდა. ვითარმედ: „ვითარცა მონასტრისა ჩემისა მამანი სათნოებითა უზეშთაეს არიან ჟამისა ამის მონაზონთა, ეგრეთცა წეს არს წესი საღმრთოჲ საეკლესიოჲ ეკლესიასა შინა ჩემსა დაწესებად ბრძენთაგან განუკითხველი"". ამისთჳს განიზრახა წარსლვაჲ ქრისტჱს საჭურჭლედ, მეორედ იერუსალჱმდ, რომელ არს კოსტანტინეპოლისი, და ყოველთა საჩინოთა საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა მოხილვად და ლოცვად. მას ჟამსა იერუსალჱმს წარმავალი ვინმე პოვა მეგობარი თჳსი და მას დაჰვედრა საბაწმიდისა წესისა დაწერაჲ და წარმოცემაჲ. და ძმათა თჳსთა კაცნი მოღუაწენი უჩინნა და მშჯდობაჲ დაუტევა მათ და აღუთქუა კუალად ადრე მოსლვაჲ.

და თანაწარიყვანნა საბა, დედისდისწული თჳსი, და ერთი ვინმე სხუაჲ მოწაფე და წარემართა საბერძნეთად და მოიწია კოსტანტინეპოლისს, და თაყუანის-სცა ძელსა ცხორებისასა და წმიდათა ყოველთა ნაწილსა. და სიხარულით მოვლნა ყოველნი წმიდანი ადგილნი სალოცველნი, რამეთუ მრავალთა ენათა წურთილ იყო იგი და მრავალმოსწავლე ყოფილ კელითა კეთილადმსახურებისაჲთა. და რომელიმე სახილაჲი მოძღუარ კეთილის ექმნის და რომელიმე — განსაკრძალველ ბოროტისათჳს. და ესრეთ აღმოიჳსო გული მისი სიმდიდრისაგან დაუბეჭდველისა ახლისა შჯულისა, და სულითა მადლისაჲთა განმხიარულებულნი წარმოემართნეს საყოფელად თჳსა.

14. და ვითარცა მოიწინეს ტაოს, ესმა მუნ მყოფთაგან კაცთა, ვითარმედ აშოტ კურაპალატი მოიკლა და მის წილ კელმწიფეზენ ძენი მისნი. მაშინ ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთისმსახურისა მის კელმწიფისა დაცემისათჳს და ტირილითა

საკსენი ულოცვიდეს მიცვალებულსა მას მეფესა. ხოლო ნეტარი გრიგოლ ჰმადლობდა ღმერთსა და გლოით იტყოდა: „ჰ. მეფეო ჩემო. ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაჲთმე მოგელოდი, აღმოსავალითმე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთმე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ. რომელიცა წყობით ჯელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკვრველი ეგე დიდებული, ღმრთისმსახური ჯელმწიფე! აწ ვითარმე მიეცი ჯესსა შეურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი-იგი იუდაჲს მსგავსად შენ უფლისა თჳსისა მკლველ იქმნნეს მოსაკუდინებელად ჩუენ გლახაკთა, მლოცველთა შენთა, უკუნისამდე?!" ამისა შემდგომად ულოცვიდეს შვილთა მისთა დიდებულთა ჯელმწიფეთა, რაჲთა უფალმან დაიცვნეს დიდებით და დღეგრძელებით კეთილსა შინა ღმრთისმსახურებასა.

15. და ვითარცა მოიწინეს მახლობელად იშხანსა, გამოეცხადა ღმრთისა მიერ ნეტარსა გრიგოლს და ღირსსა საბას იშხნისა პირველი დიდებულებაჲ, დაბასა მისსა წმიდანი ეკლესიანი, და ეუწყა, ვითარმედ კუალად განახლებად არს პირველებრ ჯელითა საბანისითა და ეცნობა გზაჲცა მისავალად. რამეთუ მის ჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი. და მი-რაჲ-ვიდეს იშხანს, ფრიად უხაროდა პოვნაჲ დიდებულისა მის ადგილისაჲ. რამეთუ იყო მას შინა ნუგეშინისსაცემელი სულიერი და კორციელი. და საბას მუნთქუესვე გულს-ედვა დადგომაჲ, ხოლო ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა: „ძმაო, პირველად ვიხილნეთ ძმანი ჩუენნი. ხანცთას შინა მყოფნი. და ნებითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა მათითა კუალად მოიწიო ადგილსა ამას წმიდასა". და მიერ წარმოსლვასა მათსა მიიწინეს წინაშე ძეთა კურაპალატისათა და დაულოცეს ნუგეშინის-ცემით სიკუდილისათჳს მამისა მათისა.

16. და ესრეთ მოვიდეს ხანცთად. მონასტრად თჳსა, და მოიყვანნეს ნაწილნი წმიდათანი და ხატნი წმიდანი და სხუაჲ ევლოგიაჲ ფრიად.

და პოვნეს ძმანი ცოცხლებით და მშჯდობით. ყოველნი მხიარულნი შეუშფოთებლად საღმრთოჲთა სიყუარულითა საკსენი და განიხარეს, რამეთუ კუალად მაცხოვრისა მადლმან შეკრიბნა ნებისმყოფელნი თჳსნი.

და შემდგომად მცირედთა დღეთა საბა განუტევა იშხანს და ორნი მოწაფენი მისცნა მას და თჳთ განაგებდა სულიერსა ცხორებასა ხანცთისასა ნებსურ უფლსა.

17. მაშინ იერუსალჵმით მოიწია კაცი. რომელმან მოართუა საბაწმიდისა განგებაჲ დაწერილი. ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ჟამსა განაწესა წესი თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინვებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასჵ დაულეველთა კეთილთაჲ.

ხოლო აწ წესთა მათგანი სულიერთაჲ მცირედი რაჲმე გუპყრიეს, ვითარმცა ზღუსაგან წუეთი ერთი წყალი ვინმე აღმოიღო.

რამეთუ ესრეთ იყო ცხორებაჲ ნეტართაჲ მათ: სიმართლესა შინა მათსა მარადის თავთა თჳსთა ბრალობაჲ აქუნდა და სიყუარულისა ძირი მტკიცე. მოთმინებაჲ სიმდაბლით და სიმშჯდით, მარხვაჲ ლოცვითა შეზღუდვილი, სარწმუნოებასა თანა მართალსა დამტკიცებული, სიწმიდჵ გულისაჲ და ჭეშმარიტებაჲ ენისაჲ და უბიწოებით კრძალეაჲ სრულიად ყოველსავე ზედა. ხოლო წმიდასა ეკლესიასა ლოცვასა მათსა არა აქუნდა უბნობაჲ ურთიერთას, არამედ შიშით დგანედ, ვითარცა ზეცას წინაშე ღმრთისა. და რაჟამს „დავითსა" იტყჳედ, ვიდრე „ალელუაჲსა" განსრულებამდე

მემკვრეთა ვერ იკადრიან მუჯღისა აღებაი დაწყნარებულსა მას ლოცვასა მათსა, რამეთუ არა აქუნდა ჩუეულებაი სწრაფით თქუმისაი ყოველსავე ზედა საგალობელსა მათსა. არამედ მდაბლად და გჯანად იყო ლოცვაი მათი. და კედელსა თჳნიერ ბერთაღსა არავინ მიეკრდნებოდა. ხოლო ძილსა და უკრძალველად ჯდომასა ყოლადვე არა იკადრებდეს ეკლესიასა შინა. და ესევითარი მრავალი სათნოებაი კეთილი სხუაეცა დამკჳდრებულ იყო შორის მათსა, რომლისათჳს არა არს აწ თითოეულად ყოველისათჳს სიტჯუაი. რამეთუ შემოკლებულ არს ჟამი ესე და გონებაი ისწრაფის. რაითა არა იყოს ნამეტნავ სასმენელსა მსმენელთასა, ამისთჳს განგებაი ყოველი ვერ დაიწერა წიგნსა ამას, არამედ თითო სიტჯუაი ყოვლისაგან. რომელ აქამდე წესი აქუნდა ხანცთასა და აწ რომელ აქუს. ესრეთ: ყოველთა ღამის-თევათა შემწუხრებითგან განთიადამდე ლოცვაი და ღამის-თევათა წინადღით დღისა ჟამთა ყოველთა ლოცვაი და ჟამის-წირვაი.

18. არამედ პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისთა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთაი. რამეთუ სენაკთა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოი სარწყული წყლისათჳს. ხოლო სხუაი ნუგეშინისსაცემელი ჯორცთაი არა აქუნდა საჭამადისაი და სასუმადისაი ყოლადვე. არამედ რომელი ტრაპეზსა ზედა ერთბამად ჭამიან. მით იყო ცხორებაი მათი. და მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს ღჳნოსა ყოლადვე. და რომელნიცა მიიღებდეს. მცირედ იჯუმევდეს. და სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა. რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა. და არცა ღამჱ სანთელი აღანთიან. არამედ ღამჱ იყო ფსალმუნებაი და დღისი წიგნის-კითხვაი და ლოცვაი მარადის.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უმგბრითა. ხოლო მრჩობლად საზრდელად მისა იყო ყოველთა დღეთა ჰისთა პური ნაკლულევანებით. დღესა შინა ერთ ჭამის და წყალი წონითვე მცირედი. ღჳნოი კულა სიყრმითგანვე არა ესუა და უმრავლესნი სათნოებანი მისნი და მოწაფეთა მისთანი ღმერთმან მხოლომან უწყნის.

19. ხოლო პირველითგან მოუუასთა მათ კეთილთა ნეტარისა გრიგოლისთა. თევდორეს და ქრისტეფორეს. აქუნდა გულსა მათსა საღმრთოი შური მონასტრისა შენებისაი და არა გამოუცხადეს მამასა გრიგოლს განზრახვაი მათი, არამედ ფარულად წარვიდეს აფხაზეთს და თანა ძმანიცა ვინმე წარჰყვეს.

და ვითარ მოიწინეს სამცხეს, ბრძანებითა ღმრთისაითა ძჱ დიდისა მირეან აზნაურისაი დაიმოწაფეს. სახელით არსენი. რომელსა ეწოდა ღირსად დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა საყდრისა გჳრგჳნი დაუჭნობელი. ხოლო ყრმაი იგი მცირჱ იყო ჟამითა. ვითარ ეკუსისა წლისაი. და სახლსა შინა მამისა თჳსისისა იზარდებოდა. არამედ კაცთა მათ ღმრთისათა განზრახვითა მირეანისითა მოწესეთა სამოსლითა შეჰმოსეს ყრმაი იგი და მარჯუენაი მისცეს ფიციისაი მირეანს და ჰრქუეს: ..მოძღუარი ჩუენი გრიგოლ არს მამაი ხანცთელი, და. უფალსა თუ უნდეს, ესეცა მოწაფჱ იყოს მისი ჩუენ თანა. სადაცა ჩუენ ვიყვნეთ``. და წარვიდეს აფხაზეთად. ხოლო მეფემან აფხაზთამან დემეტრე დიდითა პატივითა პატიჳ-სცა და ადგილსა კეთილსა დამკჳდრნა.

20. და რაჟამს ცნა ნეტარმან გრიგოლ წარსლვაი თევდორესი და ქრისტეფორესი. შეწუხნა ფრიად და თანაწარიყვანნა ოთხნი ძმანი და წარვიდა ძიებად კრავთა მათ რჩეულთა მწყემსი იგი კეთილი. და ვითარ მოიწია ქართლისა სანახებსა, ნებითა ღმრთისაითა ძიებასა მას ძმათასა პოვა ეფრემ ყრმაი. ჭაბუკი ღირსი. და ღირსებასა

შინა იხილვა მამაკაცებასა სრულსა მიწევნული სიწმიდით, და სიწმიდესა შინა აწყურისა ეპისკოპოსი. სასწაულთა მოქმედი. ხოლო ეპისკოპოსობასა შინა მიიწია მოხუცებულებასა კეთილსა და აღესრულა საკვრველებით. ესე ეფრემ. ღირსი ღმრთისაჲ, დაიმოწაფა ნეტარმან გრიგოლ და უბრძანა. ესრეთ: ..რაჟამს მოვიქცე აფხაზეთით. თანაწარგიყვანო შენ ხანცთად''. და თჳთ წარემართა აფხაზეთს.

და მი-რაჲ-იწია წინაშე კელმწიფისა მის. ზეაღდგა და წინამოეგება და სიმდაბლით მოიკითხა. რამეთუ ზარი აჰკდა მადლთაგან სიწმიდეთა მისთაჲსა და დიდებულებისაგან პირისა მისისა.

და შემდგომად მოკითხვისა დასხდეს მეფჱ და ნეტარი გრიგოლ. ხოლო წმიდამან განგრძობილად ულოცა და მრავლითა კურთხევითა შეამკო. და მეფემან მან თქუა: ..კურთხეულ არს ღმერთი. რომელი მოგიძღუა აქა. წმიდაო მამაო. არამედ ვინაჲ არს მიზეზი მოშრომისა შენისაჲ. მაუწყე მე''. და ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა: ..მეფეო ღმრთისმსახურო და დიდებულო. მოწევნულ არიან წმიდანი მამანი. ძმანი ჩემნი. წინაშე შენსა და აწ არიან სამეუფოსა ამას და მათთჳს არს მოსლვაჲ ჩემი აქა. არამედ ბრძანენ კელმწიფეპამან შენმან და მოვიდენ იგინი ჩუენდა''. ხოლო მეფესა დაუმძიმდა ძიებაჲ მათი და ჰრქუა: ..არა მოსრულ არიან აქა ეგვეითარნი მონაზონნი. რომელთასაცა ბრძანებს სიწმიდე შენი''. მაშინ ნეტარი მამაჲ გრიგოლ სიტყუასა ზედა მეფისასა განრისხნა და ჰრქუა: ..მეფეო. ნუ შრომასა შემამთხუევ. მომცენ ძმანი ჩემნი. რომელნიცა მოიწინეს შენდა''. და ვითარ ღონჱ სიტყჳსაჲ არღარა აქუნდა მეფესა მართლმხილებისაგან მის წმიდისა. უბრძანა მოცენაჲ ძმათა მათ

და ვითარ იხილეს მამაჲ გრიგოლ. შეუვრდეს ცრემლით. ხოლო წმიდამან მან აღადგინნა და შეიტკბნა სიყუარულით და ჰმადლობდა ქრისტესა პოვნისა მათისათჳს. და რამეთუ იყვნეს ბუნებით მომლოდებელ წმიდისა მის ძმანი იგი. მათცა უხაროდა ურთიერთასი იგი შეკრებაჲ თჳსი.

და მეფემან მან ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: ..წმიდაო მამაო. აჰა. იქმნა წადიერებაჲ ნებისა შენისაჲ. არამედ უფალმან ყავნ ნებაჲცა გულისა ჩემისაჲ. რამეთუ მაქუს სულსა ჩემსა მონასტრისა ახლად შენებაჲ. აწ ბრძანე და მოვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და, სადაცა სიწმიდემან შენმან ინებოს. მონასტრად აღვაშენოთ ადგილი იგი''.

და მოვლნეს ქუეყანანი. საგონებელნი სამონასტრედ. და არა სთნდეს წმიდასა მას. და ჰრქუა მეფესა მას: ..არა არს მიწაჲ. არცა წყალი ქუეყანასა ამას. სადაცა მონასტერი აღეშენა. რამეთუ ტალანტი მონაზონისაჲ მარხვაჲ არს. და ამას ბიწასა ზედა ვერ ეგების მარხვაჲ სულისაგან ხორშაკისა მაკუდინებელისა''.

და შეწუხნა ფრიად მეფჱ იგი ამის მიზეზისათჳს და ჰრქუა მათ: ..არა სამართალ არს კეთილთა თქუენთაგან უნაწილობაჲ ამის ქუეყანისაჲ''.

21 მაშინ მამამან გრიგოლ სარწმუნოებისაებრ მეფისა აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბჱ, და ილარიონ ვინმე იერუსალჱმით მოსრული. სარწმუნოჲ მოხუცებული. დაადგინა მამასახლისად. რამეთუ ხანძითით წარყოლილ იყო იგი თევდორეს და ქრისტეფორეს თანა და აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი. და მამამანცა გრიგოლ თჳსნი წიგნნი. რომელ აქუნდეს. და-ვე-უტევნა მონასტერსა მას. ხოლო კელმწიფე იგი სიხარულითა აღივსო მონასტრისა მის შენებისათჳს და შეწირა სა-

შენებელად მისა ფრიად შესაწირავი, და მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა დრამაჲ ათი ათასი და ყოვლითა კეთილითა აღავსნა.

22. ხოლო ჟამსა წარმოსლვისა მათისასა გამოჰკითხა მეფემან დიმიტრი მამასა გრიგოლს გულსმოდგინედ სახℓ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ, რაჲთა აუწყოს მას ადგილთა მათ წმიდათა ნიშნი ყოველი. და მამამან გრიგოლ ჰრქუა მას: „ღმრთისმსახურო მეფეო, დაღაცათუ ფრიად განვამრავლო სიტყუაჲ, ვერვე მისწუთების გონებაჲ ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა მათ სიკეთესა უწყებად შენდა, ვინაჲთგან წესი მონაზონებისაჲ მათ შორის აღორძინებულ არს და უფროჲსად ყუაოდის და აღემატოს მომავალთა ჟამთა, არამედ ვთქუა მრავლისაგან მცირედი, ესრეთ: რამეთუ ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხℓ შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თჳსსა საზღვარსა — უნოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ, მზუარℓ, რამეთუ კაცთა ნახჳნი ფერკეთანი არა ოდეს თიკიან ექმნებიან სლვასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შეშაჲ ნებისაებრ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქჳშათა მათ შინა, ურიცხჳ მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ, ბუნებით მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან. და არს იგი უგზო და მიუვალ რაჲთურთით სოფლისა წესითა მცხორებელთაგან, რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალთა არს მკჳდრობაჲ მათი. და მორტყმულ არს ერთკერძო მთაჲ იგი და ერთკერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ გარემოადგს ზღუდისსახედ უძრავისა.

და ესრეთ ყოვლითკერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ და კევნებისა, და წყალთა მათგან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა. და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საკნავი, არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა მისლვაჲ აქუს კარაულისა ზურგითა, და მცირედ ვენაკნი ჭირით და ურვით დაუნერგვან და ეგრეთვე მტილები. ხოლო მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლე ურიცხჳ. და ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი უქრისტოთა მათ ურწმუნოთაგან შერყევისაგან და ყოვლისა ძრვისა ჟამსა კელმწიფეთა მტერობისასა. და ესრეთ მრავლითა მშჳდობითა მყუდროებით არიან ყოლადვე და ქრისტესა ადიდებენ.

რამეთუ ღმერთმან დასაბამსავე დაბადებისასა უკუანაისთათჳს ჟამთა დაჰბადნა იგინი მონაზონთა სამკჳდრებელად და ყოველთა ქრისტეანეთა შესაევედრებელად ორკერძოვე. და რამეთუ განგებასა ღმრთისასა ესე ჩუეულებაჲ აქუს, რაჲთა წმიდათა მათ უდაბნოთა მონასტერნი კელითა გლახაკთაჲთა აღაშენნეს, რომელნიმცა სრულიად თავისუფალ იქმნნეს სოფლისა საცთურთაგან, დაღაცათუ წმიდათა უდაბნოთა კელმწიფენი იღუწიან, ხოლო წოდებად სახელი გლახაკთაჲ ჯერ-იჩინა ქრისტემან შენებასა წმიდათა მონასტერთასა. არამედ მისცა ღმერთმან კელმწიფებაჲ მორწმუნეთა მეფეთა აღშენებად საყდართა საბისკოპოსოთა და ქალაქთა სოფლებითურთ და ყოველსა ერსა ზედა მთავარ-ყვნა, რაჲთა სიმართლით განიკითხვიდენ მათ შემკობილნი სამოსლითა ბრწყინვალითა, ხოლო რაჲთა არა დაუტეონ გონებაჲ მათი ხილულთა მათ ნივთთა შინა, არამედ კეთილთა მათ საუკუნეთა გულისკმა-ჰყოფდენ. ხოლო სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისსა კელმწიფებასა ქუეშე არიან, ვინაჲთგან მოჰრიდეს საშუებელთა საწუთროისათა ნებსით და აღირჩიეს ღმრთისათჳს მწუხარებაჲ ადგილთა გლოვისათა მსგავსად პირველთა მათ მამათა წმიდათა, რომელთა სიგლახაკესა შინა დიდსა მყოფთა აღაშენნეს წმიდანი უდაბნონი თჳნიერ ქუეყანისა მეფეთა ბრძანებისა, შეწევნითა ყოვლისა შემძლებელისა

ღმრთისაჲთა. და აწცა ჟამთა ჩუენთა არიან მსგავსნი პირველთა მათ ნეტართა კაცთანი, მაშენებელ მონასტერთა ადგილთა უქმთა შინა ღმრთისა სამკჳდრებელად, ხოლო კელმწიფენი კეთილადმსახურნი შრომასა მათსა თანამონაწილე იქმნებიან საფასეთა უხვად მიცემითა, ვითარცა-ესე დღეს დიდებულმან შენმან მეფობამან განამდიდრა სიგლახაკე ჩუენი ფრიადითა კეთილითა, და ყოლადვე მოზიარე ხარ ლოცვასა ჩუენსა თანა". ხოლო მეფჱ განმხიარულდა სიტყუათაგან ნეტარისა გრიგოლისთა და ფრიადი სარწმუნოებაჲ და სიყუარული დაამტკიცა გულსა მისსა უდაბნოთა მიმართ კლარეკეთისათა და ჰმადლობდა ქრისტესა, კეთილისმყოფელსა ნებისმყოფელთა მისთასა. და ესრეთ მშჳდობაჲ დაუტევეს კელმწიფესა მას და წარმოვიდეს აფხაზეთით.

23. და მგზავრ სლვასა მათსა ჰრქუეს ნეტარსა გრიგოლს სანატრელთა მათ თევდორე და ქრისტეფორე: „წმიდაო მამაო, ჟამსა მას წარმოსლვისა ჩუენისასა ხანცთით, სამცხეს რაჲ მოვიწიენით, მახლობელად ადგილსა მირიან აზნაურისასა, და გჳხილნეს ჩუენ კაცთა მისთა, რამეთუ სადგური ჩუენი ჟამსა მწუხრისასა ველსა ზედა ვყავთ, და აუწყეს უფალსა თჳსსა, და მსწრაფლ ხოლო მოვიდა მირეან თჳთ, და მოგჳკითხნა სიმდაბლით და წარგჳყვანნა ტაძრად თჳსად და განგჳსუენა კეთილად. და ვითარცა განთენა, შემიყვანნა წინაშე მეუღლისა თჳსისა, რომლისაჲ არს სახელი კრავი, რამეთუ არს იგი მკევალი ქრისტჱსი, და ვითარცა ულოცეთ მას და ესხედით, მაშინ მირეან, დიდებულმან უფალმან, დაადგინნა წინაშე ჩუენსა ძენი თჳსნი ბრძანებით, სამნი იგი ყრმანი, ყოლად კეთილნი და შუენიერნი. და ვითარცა ულოცეთ მათ, ჰრქუა კრავის: „აწ ვყოთ ჩუენ სასწაულ კეთილ და ერთი ძეთა ჩუენთაგანი განვაწესოთ მონაზუნად და მოწაფე ამათ ქრისტჱს მოწაფეთა, და ამათითა ლოცვითა მოეცეს მადლი, რაჲთა იხილონ მოძულეთა ჩუენთა და ჰრცხუენოდის. აწ თქუ, რომელი იყოს მოწესედ შორის შვილთა ჩუენთა?" ხოლო მან ჰრქუა: „უფალო ჩემო, შვილნი შენნი არიან წინაშე შენსა, რომლისაჲცა ჰბრძანო, უფალმან გამორჩიენ რჩეულად მოწესედ". ხოლო მან თქუა: „მრწემი ესე იყოს მონაზონ და სულიერად შვილ უდაბნოჲსა მამათა ამათ". და მოიყვანა კელითა თჳსითა და ჯჯუარი დაწერადგუცა ჩუენ და სამოსლითა მოწესეთაჲთა შემოსა, და ჩუენ სახელი არსენ უწოდეთ, და აღუთქუთ შენდა მოწაფედ შვილი მისი ყოფად მსგავსად ჩუენდა, და მან უფროჲს განიხარა. აწ, ვითარცა სათნო-უჩნს სიწმიდესა შენსა, ეგრეთცა ქმენ". ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „ძმანო სანატრელნო, ნებაჲ არს ღმრთისაჲ, რაჲთა კელითა ჩუენითა იქმნეს იგი რჩეულ შორის მოწესეთა და მიიწიოს საზომსა დიდსა", და მანცა წარმოუთხრა ამისვე პასუხისა მსგავსად ღირსისა ყრმისა და ჭაბუკისა ეფრემისთჳს ყოველი. და განიხარეს ძმათა მათ სიტყუასა ზედა მოძღურისა თჳსისასა და მოიწინეს ერთობით, სადაცა იყო ეფრემ და წარმოიყვანეს, და ეგრეთვე სანატრელი არსენი. ხოლო წმიდაჲ ეფრემ იყო დღითა უხუცეს.

და რაჟამს მოიწინეს ხანცთას, ფრიად განიხარეს ძმათა, ქრისტჱს მიერ კრებულთა მათ საღმრთოთა, სულიერისა მამისა და ძმათა მათ მოსლვაჲ, ხოლო დრტჳნვაჲ იყო მათ შორის ყრმათა მათთჳს მოყვანებისა და მოვიდეს წინაშე მამისა გრიგოლისა და ჰრქუეს: „საქმენი შენნი განუკითხველ არიან ყოველნი თჳნიერ ამისა, რომელ ყრმანი ესე მოიყვანენ, და წესსა შენგან დამტკიცებულსა შენ ზევე გამოეკუეების მომავალთა ჟამთა საკმედელად ჩუენდა. დაღაცათუ უშიშ არს გული ჩუენი ჟამისა ამისთჳს, არამედ გარეშე წესისა არს საქმე ესე. და აწ ესე არს სიტყუაჲ ჩუენი, წმიდაო ღმრთისაო".

ვითარცა ესმა კეთილი იგი გულისსიტყუაი ცხადად. განიხარა ნეტარმან გრიგოლ და ჰრქუა მათ: „მ. ძმანო სანატრელნო. ნუ იყოფინ ჩემდა წესისა მის პირველთა წმიდათა მამათაგან შეკრებულისა ცვალებაი ჯორციელისა რაჲსამე მიზეზისათჳს. არამედ ჭეშმარიტსა ვიტყჳ წინაშე ღმრთისა. რამეთუ არაოდეს გასმია ნაცილი სიტყუაი პირისაგან ჩემისა". ხოლო ძმანი იგი დაჯერებულ იქმნეს. მაშინ თევდორე და ქრისტეფორე. რამეთუ სენაკნი მათნი ერთგან იყჳნეს და სხუათა ძმათაგან განშორებულ. წარიყვანნეს ღმერთშემოსილნი იგი ყრმანი. სულიერთა მათ მამათა. სენაკად თჳსად მცნებისაებრ ნეტარისა მამისა გრიგოლისისა და აღზარდნეს კეთილად

24. მას ჟამსა ბაგრატ კურაპალატმან ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმათა თჳსთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მოიღო კურაპალატობაი ნაცვალად აშოტ კურაპალატისა. მამისა თჳსისა. და ძმანი მისნი. ყოველნი კეთილნი და დიდებულნი ჴელმწიფენი. — ადარნერსე უსუცესი და გუარამ მრწემი. — მშუვალესა მას ძმასა მორჩილ ექმნნეს საღმრთოისა ძმობისა სიყუარულითა. რამეთუ ერთზრახვა. ერთსულ და ერთნება იყჳნეს იგინი.

ხოლო ბაგრატ უმთავრეს მათსა იყო სიბრძნითა. სახითა და სიქველითა და ყოვლითა ღმრთისმსახურებისა სისრულითა. და მადლითა ქრისტჱსითა განდიდნა მეფობაი სამთა მათ ძმათა ჴელმწიფებაი. რამეთუ შეწევნითა ღმრთისაჲთა ჯრმლითა მათითა დაიპყრნეს ფრიადნი ქუეყანანი და განიოტნეს აგარის ნათესავნი.

ხოლო ნეტარი მამაი გრიგოლ მიიწია წინაშე დიდებულისა ბაგრატ კურაპალატისა და ჯერისაებრ შესხმაი კურაპალატობისაი მიუღოცა. ხოლო ქებაი იგი შესხმისაი. ჟამისა მის ბრძენთა მიერ შეუცავი. ფრიად სთნდა კეთილადმსახურსა კურაპალატსა და ჰრქუა მას: „მ. წმიდაო მამაო, ღმერთმან შეგამკო სიბრძნითა, ჰასაკითა და სულითა წმიდითა ჴსნისა ზღუდედ ჩუენდა, შუამდგომელად შორის სიკუდილისა და ცხორებისა. რომლითაცა ვრცელ იქმენ ყოველსა ამას ქუეყანასა თანაზრუნვითა და საღმრთოჲთა მოღუაწებითა შენითა. ხოლო მე თანა-მაც სიყუარული და პატივი მამობისა შენისაი. აწ ბრძანენ სიწმიდემან შენმან მეფობისა ჩუენისაგან მსახურებაი ღირსებისა შენისაი. რამეთუ ღმრთისა მიერ მონაწილე ხარ ჩუენ თანა, შვილთა აშოტ კურაპალატისათა".

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „კეთილადმსახურო მეფეო, უმეტეს და უფროჲს კეთილადმსახურისა მამისა შენისა ფრთეთაგან საუფლოისა ჯუარისათა შეცვულო. მარჯუენაი დამბადებელისაი და წმიდათა ოხაი მარადის გფარავს და მცველი იგი დაუძინებელი ყოლადვე მცველ არს შენდა. და ნათელი დაუღამებელი უძღჳს მეფობასა შენსა. და არა საკმარ არს მისა ბრწყინვალებაი სანთლისაი. გარნა მრუმეთათჳს ხოლო. არამედ მე გულსმოდგინედ ლოცვაი შენი მიპყრიეს, რაჲთა არა მოგაკლდეს კეთილი საქმე მეფობისა მიზეზთაგან. არამედ აწ ამას ვითხოვ შენგან: არს აშოტ კურაპალატისა შეწირული აგარაკი ხანცთას და იქმნების კეთილად მონასტრად. უკუეთუ მიბრძანოს მეფობამან შენმან. აღვაშენო სადიდებელად ღმრთისა და საცხორებელად სულისა შენისა. და ვიდრე ეგოს ცაი და ქუეყანაი ეგოს მს შნა ლოცვაი შენთჳს".

25. მაშინ სიხარულით უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან შენებაი მისი და მისცა ყოველივე საკმარი საშენებელად. და რაჟამს მივიდა ნეტარი მამაი გრიგოლ შატბერდს, ჯუარი დასწერა ადგილსა მას ჩინებულსა და იწყეს საქმედ ეკლესიისა და სენაკებსაცა. და ესრეთ დღითი დღე აღორძნდებოდა იგი კეთილად. შატბერდი აღეშენა საღმრთოჲთა შეწევნითა და ლოცვითა ნეტარისა მის კაცისაჲთა. რომელმანცა

შეაერთნა ორნივე იგი უდაბნონი ერთად შენაწევრებულნი და შემტკიცებულნი ძმობ-
რივსა ზედა სიყუარულსა ვიდრე ჟამთა აღსასრულამდე.

ამისა შემდგომად უწოდა კურაპალატმან წმიდასა მას და, ვითარცა მიიწია
მის წინაშე. ყოველი აუწყა კეთილად განმარჯუებაჲ მონასტრისაჲ მის ქრისტჱს მი-
ერ. მაშინ უბრძანა ადგილნი მარჯუენი აგარაკად შატბერდსა. და ყოველი, რაჲცა
უკმდა. მისცა მისთჳს სრულიად საშენებელად.

26. მას ჟამსა ნეტარსა გრიგოლს გულმან უთქუა ესენებაჲ საბან იშხნელისაჲ
და აუწყეს პირველ ყოფილი ღმრთისმსახურსა კურაპალატსა. ხოლო მას ვითარცა
ესმა, ფრიად განიხარა და მსწრაფულ დაწერა წიგნი და წარავლინნა კაცნი კეთილნი
და პატივით უწოდა მას. ხოლო მივლინებულნი იგი მოვიდეს და აუწყეს კურა-
პალატსა. ვითარმედ: „არა ჰნებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსლვაჲ აქა". მაშინ ბრძანა
კურაპალატმან გზათა იშხანისათა საქმე, რამეთუ მახლობელად იყო ჟამსა მას და
ჰრქუა ნეტარსა მამასა გრიგოლს: „განუგებელად ვქმენ. რამეთუ წიგნი არა მიწერად-
გეც. აწ. ვითარ წეს არს. მიუწერე". და თჳთ კუალად დაწერა წიგნი სხუაჲ და
წიგნიცა მამისა გრიგოლისი წარსცა. ხოლო ნეტარი საბან დაემორჩილა მეორედ
ბრძანებასა კურაპალატისასა და უფროჲს ხოლო წიგნსა მამისასა.

და მივიდა მათდა სასურველი იგი კაცი ღმრთისაჲ მოსურნეთა მათ თანა. ხო-
ლო კურაპალატი წინამიეგებაჲ და პატივით მოიკითხა. და მან კურთხევით ულოცა. და
ვითარ დასხდეს. ჰრქუა კურაპალატმან წმიდასა მას: „ჯერ-არს ყელმწიფეთა მორ-
ჩილებაჲ. რაასათჳს არა მოხუედ პირველსა წოდებასა. წმიდაო მამაო?"

ხოლო მან ჰრქუა: „დიდებულო მეფეო. შენ ქუეყანისა ყელმწიფე ხარ. ხოლო
ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ. ხო-
ლო ქრისტჱ ყოველთა დამბადებულთაჲ: შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფჱ ხარ.
ხოლო ქრისტე საუკუნოჲ მეუფჱ და სრული ჰგიეს უცვალებელი. უჟამოჲ. დაუსაბა-
მოჲ. დაუსრულებელი. მეუფჱ ანგელოზთა და კაცთაჲ. და უფროჲს შენსა ჯერ-არს
სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ. რომელმანცა ბრძანა. ვითარმედ: „ვერვის ყელ-ეწიფების
მონებაჲ ორთა უფალთაჲ". არამედ აწ სიტყჳთა ძმისა და მოძღურისა ჩემისა გრიგო-
ლისითა მოვედ წინაშე შენსა". ხოლო კურაპალატმან ჰრქუა: „სამართალ არს სიტ-
ყუაჲ შენი. წმიდაო". ამისა შემდგომად კურაპალატი მივიდა იშხანს და ნეტარნი იგი
კაცნი მამაჲ გრიგოლ და მამაჲ საბა თანა. და ფრიად შეუყუარდა კურაპალატსა ად-
გილი იგი. არამედ რაჲსაცა განვაგრძობ სიტყუათა? ნებითა ღმრთისაჲთა იქმნა საბა
ეპისკოპოს იშხანსა ზედა. ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულსა კათოლიკე
ეკლესიასა და საყდარსა მისსა. რომელი წელიწადთა მრავალთა დაქურივებულ იყო.
აწ კუალად იქმნა სულიერი ქორწილი და მეორედ აღეშენა ამის ნეტარისა მიერ.
ხოლო ჯორციელად მოღუაწებითა ღმრთისმსახურთა მათ მეფეთაჲთა.

და რაჟამს მამაჲ გრიგოლ სტუმრად მიიწიის იშხანს. ეპისკოპოსმან საყდარსა
იგი დასჳს, და თჳთ თანადაჯდის, რამეთუ არა თავს-იდვის ურჩებაჲ ნეტარისა გრი-
გოლისი, ვინაჲთგან მოძღუარ და უზეშთაეს იგი იყო. და ესრეთ წარემართა იშხანი
კეთილად ვიდრე აქამომდე და უკუნისამდე.

27. არამედ აწ კუალად პირველსავე სიტყუასა მივიდეთ. რამეთუ ნეტარი მა-
მაჲ ჩუენი გრიგოლ პატივცემულ იყო ზეგარდამო ღმრთისა მიერ და ჟამთა მისთა
არა ვინ ურჩ იყო სიტყუათა მისთა. უფროჲს ხოლო ყელმწიფენი მის ჟამისანი. ხოლო
იყო ჟამი. რომელსა ერთგან იყვნეს ძმანი იგი დიდებულნი. და ნეტარმან მან გულ-

სმოდგინედ მოაკსენა, რაგთამცა ბრძანეს და იხილნეს მისნი იგი შენებულნი მონასტერნი და ყოველნი კლარჯეთისა უდაბნონი.

ხოლო მათ ისმინეს მოკსენებაჲ წმიდისაჲ მის. რომელიცა წინაწარმოუძღუა მთავართა მათ. და პირველად მიიყვანა შატბერდს და ფრიად შეუყუარდა ადგილი იგი და შეწირეს მრავალი შესაწირავი კელმწიფეთა და აზნაურთა და ყოველმან ერმან. მაშინ მოღუაწედ შატბერდისა გამოჩნდეს დიდებულნი აზნაურნი, და რაჟამს წარმოვიდეს შატბერდით კელმწიფენი იგი, და ნეტარი გრიგოლ წინაუძღოდა მათ.

მაშინ მოვიდა ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი, ღირსი და სასწაულთა მოქმედი, და პატივით მოიკითხეს კელმწიფეთა მათ და თანაწარმოიყვანეს და მოიწინეს ჯმერკს და ბერთას წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიათა და დაბას წმიდისა მოწამისა გიორგის ეკლესიასა, ხოლო დოლისყანაჲ მონასტრად უკუანაას იქმნა. და მოილოცნეს წმიდანი ადგილნი და ფრიადი განუყვეს განსაყოფელი, რამეთუ სამთა მათ კელმწიფეთა აქუნდეს დიდნი შესაწირავნი, და მიიღეს მადლი ლოცვითა ამათ ნეტართა მამათაჲთა და მოიწინეს ოპიზას და განმხიარულდეს მადლითა ნათლისმცემელისაჲთა და ლოცვითა ნეტართა მათ კაცთაჲთა, და აჩუენეს მოღუაწებაჲ ძლიერი შესაწირავთა მიცემითა და წარემართნეს ხანცთად. ხოლო ნეტარმან გრიგოლ წინამძღუარნი იგი მონასტერთანი თანაწარმოიყვანნა მის თანა და მოვიდეს ხანცთად საყოფელსა დიდისა მოწამისა გიორგისსა. და უმეტეს განკჳრდა გონებაჲ კელმწიფეთაჲ მათ, რაჟამს იხილნეს მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი უფიცხლესსა მონაზონებისა კანონსა, რამეთუ იყენეს იგინი. ვითარცა ზეცისა ანგელოზნი. და პირველად მტერთა ძლევისა საჭურველი მიიღეს ოხითა წმიდისა გიორგისითა და შემდგომად ლოცვითა მათ სანატრელითაჲთა ჯორცითა სულთა თანა განათლდეს, რამეთუ იხილეს ადგილიცა იგი ნაყოფთაგან ულუაწი, უფროესი მიანიჭეს კეთილთა მათგან შესაწირავი. და ჟამსა მასვე მოიწია წინამძღუარი მიძნაძოროესაჲ, დიდი მამაჲ სანატრელი დავით, მაშენებელი მონასტერთაჲ. და მოწაფენი მისნი ნეტარნი: ილარიონ. მამაჲ და მაშენებელი წყაროესთავისაჲ, რომელიცა კათალიკოზ იქმნა მცხეთას, და მამაჲ ზაქარია. მაშენებელი ბარეთელთისაჲ. წინამიგებებად კელმწიფეთა მათ.

და ვითარცა იხილეს მფლობელთა მათ შეკრებაჲ იგი წმიდათა მამათაჲ, იყენეს რაჲ მსგავს წმიდათა უკორცოთა, განიხარეს. რამეთუ ესმოდეს მათგან მოძღურებანი საღმრთოესა მცნებისანი, რომლისათჳსცა თქუეს დიდთა მათ კელმწიფეთა: „წმიდანო მამანო, ვინაჲთგან გიხილენით თქუენ. დაგუავიწყდა მებრ, თუ ქუეყანასა ზედა ვართ ჩუენ, არამედ ვჰგონებთ, ვითარმედ ზეცას წმიდათა ბანაკსა დამკჳდრებულ ვართ. რამეთუ თქუენ სულითა მარადის წინაშე ღმრთისა მდგომარე ხართ. და სადაცა არიან საყოფელნი თქუენნი, მუნცა არიან გულნი თქუენნი, არამედ იყავნ მეოხებაჲ თქუენი ჩუენ ზედა აქა და საუკუნესა“.

ხოლო წმიდათა მათ ფრიადითა ლოცვითა შეჭურნეს და აკურთხნეს კელმწიფენი იგი და ჰრქუეს: „ღმრთისმსახურნო მეფენო, ჭეშმარიტად გულნი თქუენნი კელთა შინა ღმრთისასა არიან, რომელმანცა ჩუენ. გლახაკთა, გულსა ნუგეშინის-სცა პირითა თქუენითა და კეთილთა თქუენთა უხუად მონიჭებითა. და თქუენ მოგცა უფალმან დანერგვაჲ, უკუდავთა კელმწიფეთა, წმიდათა ეკლესიათა მოკუდავითა მეფობითა. და შეწევნაიცა მათი უხილავად საჭურველ-ყო თქუენდა უფროჲს ხილულთა საჭურველთა და უმრავლეს ბევრთა მჴედართა. და ესე უწყოდეთ, რამეთუ სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქუენნი — ესე წმიდანი უდაბნოთა მამანი — არიან ჯორციელად განწესებულთა ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი და საჭურველნი ყოველთა

მორწმუნეთა მეფეთანი მწყობრთა შინა წყობისათა თქუენ, უმეტესად ამისთჳს, რამეთუ მეფობისა სიმაღლესა თანა გაქუს თქუენ ქრისტჱს მიმსგაესებული სიმდაბლე და მოღუაწეაჲ წმიდათა ეკლესიათაჲ და ნუგეშინის-ცემაჲ გლახაკთაჲ და ყოვლისა ერისა სიმართლით განკითხვაჲ, რაჲთა ქუეყანისა ამის მეფობასა თანა მოიღოთ ზეცისაცა მეუფესა თანა მკჳდრობაჲ უოხჭნოჲ და მოგეცინ ქრისტემან დიდებაჲ სრული ზეცისა და ქუეყანისაჲ, რაჲთა სიტკბოებით მოკსენებაჲ ჩუენი არაოდეს უდებ-ჰყოთ ვანისმყოფთა ამათთჳს".

28. ამისა შემდგომად მამისა გრიგოლისთჳს ზრახვა-ყვეს ეპისკოპოსისა მის თანა წმიდათა მამათა, რაჲთა დაადგინონ გრიგოლ არქიმანდრიტად ყოველთა კლარჯეთისა უდაბნოთა ზედა და მოაკსენეს კელმწიფეთა მათ. ხოლო მათ ფრიად განიხარეს და ერთობით დიდითა დაპატიჟებითა მოღუაწებისა მის საქმედ დაადგინეს. და მრავალთა წელიწადთა ვიდრე გარდაცვალებადმდე განაგებდა წმიდათა მათ მამათა წესსა კეთილად.

ხოლო კელმწიფეთა მათ მოილოცნეს მიძნაძოროჲ, წყაროჲსთავი, და ბარეთელთაჲ და ადგილნი მათნი. და მუნცა მისცეს შესაწირავი და მიიღეს მადლი წმიდათა მათ ეკლესიათაგან და ნეტართა მამათა ღირსთა და წმიდათა მოღუაწეთაგან, და ყოველთა მათ უდაბნოთა ზღვარნიცა განვე-უთჳსნეს.

და წარსლვასა მათსა თანაწარიყვანეს ნეტარი გრიგოლ. და ადარნესე კელმწიფემან ძჱ თჳსი, გურგენ, ნათლითა მისცა მას, და რამეთუ ბაგრატ კურაპალატისა ძე. დავით კურაპალატი, ნეტარისა მამისა გრიგოლისვე აქუმული იყო, ორნი ესე კელმწიფენი: დავით კურაპალატი და გურგენ კურაპალატი, რომლისათჳსცა გარდაცვალებისა ჟამსა ანდერძ-უყო გურგენ კურაპალატსა, ვითარმედ: „ნათლისმამისა ჩემისა ძუალთა მახლობელად დამდეკით ფერკჳთა თანა და სხუათა მათ მამათა ძუალნი ჩემ ზედა დაუსუენენით", რომელ ყოველსცა ეგრეთ. არამედ შემდგომად გურგენ კურაპალატისა ძემან მისმან, აშოტ ერისთავთა ერისთავმან, ხანცთას ახალი ეკლესიაჲ დაიწყო წადიერად და ურიცხჳ შესაწირავი გარდაჰმატა მას.

ხოლო იყო ჟამსა მას ხანცთას წინამძღოლად მამაჲ არსენი, ნათესავით აზნაური. ამისითა განზრახვითა იქმნა დაწყებაჲ ახლისა მის და შუენიერისა ეკლესიისაჲ ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქვითკირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკეს და ესრეთ შეჰრაცხეს შემზადებაჲ ადგილისაჲ მის, ვითარმცა სრულიად აღეშენა. არამედ აკურთხენ ქრისტემან ამონა, სიბრძნით სრულიად მაშენებელი, და შემწენი ყოველნი, რომელთაგან კეთილად განემარჯუებოდა შენებაჲ ეკლესიისაჲ მის. ხოლო ქვაჲ და კირი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა და ყოველი სასწორითა იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი იგი.

მას ჟამსა გარდაიცვალა ღმრთისმსახური იგი კელმწიფე. წმიდათა ეკლესიათა მაშენებელი და მონაგებთა შემწირველი და გლახაკთა მოღუაწე, და დაემარხა ხანცთას არსენის გზითა და ძისა მისისა მცხუედისაჲთა, არამედ მამაჲ არსენი და ჯიბრილისა ძმაჲ, სანატრელი იოვანე. ახლისა ეკლესიისა განმასრულებელი, ორნივე ესე ხანცთას მამობასა შინა აღესრულნეს.

ხოლო გურგენ, ძმისწული აშოტისი, დიდი კელმწიფჱ ფრიადთა ნათესავთაჲ, ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთავთა ერისთავად. და მან განასრულა ეკლესიაჲ იგი ახალი ხანცთაჲ და მის თანა ყოველთა დიდებულთა კელმწიფეთა და აზნაურთა.

29. არამედ აწ კუალად ნეშტი იგი პირველი განვაახლოთ. რამეთუ რაჟამს-იგი განდიდნა სახელი ნეტარისა მამისა გრიგოლისი და მიიწია ქართლად. და ესმა სანატრელსა დედასა მისსა დიდებულებაჲ ძისა თჳსისაჲ. რამეთუ იყო იგი ცოცხალ და მიწევნულ მოხუცებულებასა. მას ჟამსა განმხიარულდა სულითა და განძლიერდა ჯორცითა და მადლი შეწირა ქრისტჱსა. რომელმან კეთილი სახარებაჲ ასმინა ძისა მისისაჲ, ყოლად კეთილისაჲ, ჯორციელად სიქადულისაჲ და სულისა მისისა გჳრგჳნოსანმყოფელისაჲ, რამეთუ იგი ხოლო მარტოჰ ესუა შვილად და თჳნიერ მისისა შობისა მამაკაცი არღარა იცოდა, არამედ სიწმიდით დადგრომილ იყო ლოცვასა შინა და მარხვასა და მარადის შიშსა ღმრთისასა.

ხოლო გული მისი იგლოვდა ძისა თჳსისა განშორებისათჳს, არამედ სიხარულისა ჴმამან განამტკიცა და მიცვალებულთა მისთათჳს, რომელ გულის-კლებაჲ აქუნდა, დაავიწყდა ამით ნუგეშინის-ცემითა და მსწრაფლ ხოლო წარმოვიდა საკედრითა. და თანაიყენეს მსახურნი მისნი, მამანი და დედანი.

და მოიწია დედისა ფებრონიაჲსა მერეს. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა და მსწრაფლ ხოლო აუწყა წიგნითა ნეტარსა გრიგოლს. ხოლო წმიდაჲ იგი, ძჱ უბიწოჲ. მალიად მივიდა დედისა წინაშე მორწმუნისა და თაყუანის-სცა მას და ქრისტჱსმიერი კურთხევაჲ და მშჳდობაჲ მისცა. ხოლო იგი სიხარულითა მოეგება ძესსა თჳსსა, ამბორს-უყოფდა და ეტყოდა: „შვილო ჩემო ტკბილო, გიხილე. რომლისათჳსცა მსურდა, რამეთუ ხილვითა შენითა განმეშორნეს ყოველნი იგი პირველნი ტკივილნი". და მრავალფერითა სიტყჳთა განგრძობილად იყო უბნობაჲ მათი.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა: „შენდობა იყავნ ჩემდა შენ მიერ, დედაო ჩემო. არამედ არა ნებითა ჩემითა განგეშორე. გარნა ნებასა ღმრთისასა ესრეთ სათნო-უჩნდა, ვითარცა აწ იქმნა. ხოლო შენ ცხორებასა ამას წუთსა არაჲ გაკლდა ჯორციელად და სულიერად ვიდრე აქამომდე, არამედ აწ თანა-მაც მოლუაწებაჲ შენი სულიერად და ჯორციელად მცნებისაებრ უფლისა. რომელსა ბრძანებს პატივისათჳს მშობელთაჲსა".

და ფრიად ნუგეშინის-სცა მას ნეტარმან მან ღმრთისა კაცმან და აღაშენა ფრიად სანატრელი იგი მოხუცებული. და მან პირველად აკურთხა ღმერთი და მერმე ძე იგი თჳსი, და თანამოსრულნი იგი სახლეულნი თჳსნი შეჰვედრნა და ჰრქუა: „ჩემდა მსგავსად ესენი გვედიან. შვილო, რომელთა გულსმოდგინედ მსახურებაჲ ჩემი თავს-იდვეს". ხოლო წმიდამან მან, ვითარცა ჯერ-იყო, დაიურვნა ყოველნი კეთილად.

მაშინ ნეტარმან დედამან ფებრონია ჰრქუა მოხუცებულსა მას სარწმუნოსა: „ღმრთისმოყუარეო დედაო, შვილისა შენისა და ძმისა ჩემისა გრიგოლის თანა მე ვარ აწ შვილი შენი. და არა დაგაკლდეს ჩუენგან მსახურებაჲ ყოლადვე". მაშინ ნეტარმან გრიგოლ ჯერისაებრ განაგო ცხორებაჲ დედისა და მისთანათაჲ მათ და მსახურსა ვისმე დედაკაცსა დედისა თჳსისასა ქმარი უსუა, და ბასილი, მამაჲ ხანცთელი, მისგან იშვა, რომელიცა ფრიადთა წელიწადთა წინამძღურობდა ხანცთას კეთილად ვიდრე სიკუდიდმდე და მისლვად მისა წინაშე უფლისა, არამედ შემდგომად ჟამთა მრავალთა სანატრელი მშობელი მამისა გრიგოლისი გარდაიცვალა მერეს შინა და მივიდა უფლისა, რომლისაცა სუროდა.

30. ხოლო ნეტარმან გრიგოლი დაიღუაწა სული მისი და დიდებაჲ შეწირა ღმრთისა, რომელმანცა მოჰმადლა მას კეთილად მსახურებაჲ დედისა თჳსისაჲ და სრულიად კურთხევაჲ მისგან მიიღო.

არამედ თევდორე და ქრისტეფორე. სანატრელთა მათ დიდთა მამათა, რაჟამს იხილნეს განჭაბუკებულნი და სრულნი სიბრძნითა და ჰსაკითა ღირსნი იგი ღმრთისანი არსენი და ეფრემ. გულპყრობილ იქმნნეს ფიცებისაგან მამისა გრიგოლისა, რომლისადა აღეთქუა, ვიდრე ურმათა მათ აღორძინებადმდე არა განშორნენ მთუგან.

მაშინ ფარულად ხანცითი ღამე გამოვიდეს, და ძმანიცა ვინმე თანაწარიყვანნეს, და კუალად წარვიდეს კერძოთა ქართლისათა, რამეთუ უფალი უწოდდა მათ უხილავად ბრძანებით და აღაშენებდა წმიდათა მათ მონასტერთა მათ მიერ ნეძუსა და კჯრიკეწმიდისასა. ხოლო ნეტარსა გრიგოლს ეუწყა უფლისა მიერ, რაჲთა არღარა დაბრკოლნეს გულსმოდგინებისა მისგან მათისა, არამედ თანამდგომ ექმნეს კეთილსა მას საქმესა. და ძიება-ყო მამამან გრიგოლ და პოვნა იგინი სამცხეს და აბრალა ფარულად წარსლვაჲ მათი.

ხოლო იგინი შეუვრდეს და ჰრქუეს: „შენდობა იყავნ ჩუენდა, წმიდაო მამაო, რამეთუ ამის მიზეზისათჳს იქმნა გამოსლვაჲ ჩუენი ხანცითით, რაჲთამცა ნაყოფი რაჲმე ნაწილ ჩუენდა ჩნდა ახლად შენებითა მონასტერთაჲთა". ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „კეთილ არს განზრახვაჲ ეგე თქუენი ნებითა ღმრთისაჲთა, არამედ მე თანა-მონაწილე-მყავთ გულსმოდგინებასა მაგას, რამეთუ არა ვარ მახრწეველ კეთილისა". და წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა, და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს სენაკები ორგანვე. და უწოდეს თეოდორჱს ვანსა ნეძჳ. ხოლო ქრისტეფორჱსსა კჯრიკეწმიდაჲ და მოწაფენი დაუტევნეს. და სამნივე ესე ნეტარნი: გრიგოლ და თევდორე და ქრისტეფორე, წარმოვიდეს ხანცითად ძმათა განყოფად ჯერისაებრ. და ვითარცა მოიწინეს კრებულსა მას თანა, ღმრთისა სათნოსა, და მოიკითხნეს იგინი, სიტყუად იწყო ნეტარმან გრიგოლ ძმათა მათ მიმართ: „ერნო ქრისტჱსნო, ისმინეთ ჩემი! პირველად ჩუენ ზოგად მოვიწიენით უდაბნოსა ამას წმიდასა მე. გლახაკი გრიგოლ, და საბან, იშხნისა ეპისკოპოსი, და თევდორე და ქრისტეფორჱ, ოთხნი ესე. და მრავალთა წელიწადთა, ვითარცა მოწაფენი, მორჩილ იყვნეს ჩემდა, ვიდრე ჟამადმდე ღმრთის-წოდებისა დიდნი ესე მამანი, სათნონი ქრისტჱსნი. და ოდეს ინება ქრისტემან, საბა ეპისკოპოს-ყო იშხანსა ზედა, და წარიყვანნა მან ძმანი აქაჲთ. ხოლო აწ ქრისტე აღაშენებს ორთა მათ მონასტერთა ფრიად კეთილთა ქართლს შინა თევდორჱს და ქრისტეფორჱს მიერ. და ვითარცა-იგი კორციელად მშობელთა მონაგები შვილთა განუყვიან, ეგრეთვე ხანცთაჲ სულიერად მშობელი არს ჩუენ ყოველთაჲ. დაღაცათუ ხატი მონაზონებისაჲ გუაქუნდა პირველ მოსლვისა, ხოლო კურთხევაჲ ყოველი აქა მოგვღებიეს ჩუენ. და აწ ამათ, შვილთა თჳსთა, ჴელითა ჩემითა ძმათა უბოძებს, რაჲთა ახლად შენებასა მათსა უზრუნველ იყვნენ კეთილად გამოცდილთა მონაზონთა თანადგომითა, და რაჲთა მტკიცედ ეგოს სულიერი სიყუარული ჩუენ მიერ აღშენებულთა მონასტერთაჲ".

და ვითარცა სიტყუანი ესე დაასრულნა, უბრძანა შემოკრებაჲ ძმათა ყოველთაჲ. და თევდორჱს და ქრისტეფორჱს განზრახვითა გამოირჩინა მათ შორის ძმანი ათცამეტნი ხანცთისათჳს საუხუცესოდ, და სხუანი ყოველნი სწორად განყენა სამად გუნდად. რამეთუ შატბერდისა ხუედრი წარეგზავნნეს პირველვე შატბერდს. და უბრძანა აღთქუმისაებრ წილით განყოფაჲ. ხოლო თევდორე და ქრისტეფორე განმხიარულდეს, არამედ მცირედ მკსინვარებაჲ იყო მათ შორის, რამეთუ ეფრემ და არსენი გრიგოლის ნაწილსა იყვნეს, ხოლო ეფრემ მიანიჭა თევდორეს, და არსენი თჳთ იჩინა, და სწორი მისი სხუაჲ ძმაჲ მისცა ქრისტეფორეს. და დაჯერებულ იქმნნეს იგინი სიხარულით.

ხოლო საკვველ ესე იყო ნეტრეულთა მათ სამწყსოთაჲ, რამეთუ არა აცილობდეს მწყემსთა მათ კეთილთა, ვითარმცა სიტყუას-უგებდეს ადგილისათჳს, სადამცა ვისმე ჰმარჯუდა, რამეთუ, ვითარცა საცხოვარნი, შეპრაცხნეს თავნი თჳსნი მარადის ქრისტჱს თანა მყოფთა მათ ქრისტჱს გამორჩეულთა. ესრეთ იყო მორჩილებაჲ ძლევითშემოსილთა მათ კაცთაჲ. და ნეტარნი იგი მამანი ჩუენნი წარუძღუეს ძმათა მათ და კუალად მიიწინეს ნეძუს და კვრიკეწმიდას. ხოლო მამაჲ გრიგოლ თანადამდგომ ექმნა მათ ყოვლითა გულითა ახლად შენებასა მათსა, და აკურთხნეს ადგილნი წმიდათა ეკლესიათანი და დასხნეს საფუძველნი.

33. ხოლო ნეტარი მამაჲ ჩუენი გრიგოლ ორთა მათ მისთა შენებულთა მონასტერთა შინა, ხანცთას და შატბერდს, იქცეოდა მარადის და მოძღურებისა მისისა სწავლითა აღავსებდა გულსა მოწაფეთა თჳსთასა, რამეთუ არა ხოლო თუ წიგნთა საღმრთოთა ოდენ სიბრძნისმეტყველებდა ყოვლით კერძო, არამედ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწდისა განგებითა მოძღუარი იყო განუკითხველად. და ყოველთა დღესასწაულთა განგებაჲ კეთილად იცოდა, რამეთუ, რომელიცა დაესწაჲა, დაუვიწყებელად აკსოვდა. და აქუნდა კმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შუენიერებაჲ.

ხოლო განსაკვრვებელ იყო კსოვნებაჲ მისი. რამეთუ აწ არს ხანცთას კელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან, ხოლო ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი წიგნნი ძუელისაცა შჯულისანი. არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქუმულნი აურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა უმეტეს ზეშთა ბუნებისა ჩუენისა.

35. არამედ მრავალგზის მის ჟამისა კელმწიფეთა განიზრახეს დამტკიცებით ამის ნეტარისა ეპისკოპოსობაჲ და ფრიადითა შრომითა აწყინეს, რაჲთამცა დაემორჩილა. ხოლო მან არა ინება დიდებაჲ ესევითარი.

ამისა შემდგომად იხილა ნეტარმან მამამან გრიგოლ აღორძინებული ერი საღმრთოჲ შატბერდს და წმიდაჲ ეკლესიაჲ პირველი განსრულებად და კურთხევად.

40. მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი მრავალნი უდიდესსა საზომსა მონაზონებისასა მიწევნულ იყვნეს.

42. არამედ პირველკსენებულნი და ყოლად მოსაკსენებელნი იგი ღირსნი არსენი და ეფრემ, მოწაფენი და აღზრდილნი გრიგოლისნი, მოვიკსენნეთ, რომელნიცა სათნო-იყვნა ნებამან ღრმთისამან მწყემსთმთავრად სამწყსოთა მათ თჳსთა პირმეტყველთა. რამეთუ დიდი ეფრემ უწინარეს მრავლით წლით არსენისა იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს, ხოლო შემდგომად დიდი არსენი კათოლიკე ეკლესიასა, ქრისტჱს კუართისა სამკვდრებელსა მცხეთას, ქართლისა კათალიკოზ იქმნა. და იყო სიყუარული მათ შორის ერთად ზრდილობისათჳს.

არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათჳს ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათჳს, რამეთუ თჳნიერ განზრახვისა მათისა მძლავრ სამცხისა ერითა ძე თჳსი დაადგინა კათალიკოზად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაჲთა.

არამედ მცირედმხილებისათჳს უფლისა მიშუებითა იყო აღძრვაჲ ეპისკოპოსთაჲ მათ, ვიდრემდის ნეტარი ეფრემ მი-ვე-ერჩდა მათ, რამეთუ სამართალ იყო სიტყჳს-გებაჲ იგი. და რომელ ჟამსა მას კელმწიფე იყო მამფალი გუარამ დიდი, მირე-

ანისთჳს გულძჳრად იყო, და მსწრაფლ ხოლო ბრძანა შეკრებაჲ ეპისკოპოსთაჲ და უდაბნოესა მამათაჲ.

და ყოველნი შემოკრბეს ჲკავსეთს, არამედ მამაჲ გრიგოლ არა მუნ იყო, არცა ყოველნი კლარჯეთისა უდაბნოთა წინამძღუარნი მამანი, რამეთუ იყო ნეტარი გრიგოლ არქიმანდრიტი და წადიერად მოელოდეს ყოველნი. და მარტოდ ანჯმნობდეს წესისა წინამძღუარნი იგი არსენი კათალიკოზისათჳს და ჳერა დაამტკიცეს სიტყუაჲ მათი. მაშინ ერუშნელმან ეპისკოპოსმან მის ჯამისამან ჰრქუა ყოველთა: ,,ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთაჲ, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვაჲ ყოველთაჲ''. და მათ ჰრქუეს: ,,ვისთჳს არს სიტყუაჲ ეგე დამტკიცებითი?'' ხოლო მან თქუა: ,,გრიგოლ არქიმანდრიტისათჳს, ხანცთისა და შატბერდისა მაშენებლისა''.

მაშინ ერთმან ვინმე ეპისკოპოსმან სილაღით თქუა შორის შეკრებულთა მათ: ,,იგი ოდენ არსა ვარსკულავი მნათობი?'' ხოლო სხუათა მათ ყოველთა თქუეს: ,,ჭეშმარიტსა იტყჳს, რამეთუ იგი არს მოძღურებისა ნათლითა განმანათლებელ და შემკულ სულითა წმიდითა''.

და მეტსეულად იხილეს წმიდაჲ იგი მომავალი კარაულითა შორის კრებულსა მას მამათასა საკჳრველად ხილვითა, რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაჲ. ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა, ვითარცა გჳრგჳნი სამეუფოჲ პატიოსანთა თუალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული. და ვითარცა იხილეს ღმრთისამიერი დიდებულებაჲ მისი, ყოველნი სიხარულით მიეგებნეს და შეუდგეს სიტყუათა მისთა სიხარულით.

მას ჯამსა მოვიდა ეფრემ ეპისკოპოსი და პირველად მოიკითხა მოძღუარი თჳსი. მამაჲ გრიგოლ, და მერმე ძმანი თჳსნი ეპისკოპოსნი. ხოლო ნეტარმან გრიგოლ ფარულად მოუწოდა ნეტარსა ეფრემს და ჰრქუა მას: ,,შვილო, პატივსა მაგას წმიდისა მღდელთმთავრობისასა გაფუცებ, ნუ უშლი სულიერად ძმასა შენსა, არსენის''. ხოლო მან ჰრქუა: ,,წმიდაო მამაო, ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაჲ სამართალისათჳს, და მეცა შემინდეე. რამეთუ არა ვარ ამიერითგან არსენის ცხოვარი და არცა იგი ჩემი მწყემსი''. მაშინ წმიდამან მან მკსინვარედ ჰრქუა: ,,უკუეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უვარ-მყავ. ვითა არა შენი მოძღუარი ვარ''. ხოლო ნეტარი ეფრემ სიტყუასა მას ზედა სულიერისა მამისა და მოძღურისასა ატირდა და ჰრქუა: ,,ფიცხელ არს ბრძანებაჲ ესე. განმკუეთელ უფროჲს მახჳლისა. აწ ნებაჲ შენი იყავნ და ნუ ნებაჲ ჩემი, წმიდაო ღმრთისაო''. ხოლო მან ჰრქუა: ,,ეფრემ სანატრელო, გისმინენ ქრისტემან, რაჲცა ითხოო მისგან შენ, უმანკოო გულითა და წრფელო გონებითა, მიმსგავსებულო მოძღუარსა შენსა ქრისტესა. და შენ უწყი სულითა შენითა ღმრთისმხილველითა, ვითარ ღმერთსა ებრძანა კათალიკოზობაჲ არსენისი სისრულისა მისისათჳს, არამედ მირეან, მამამან მისმან, აუგიან-ყო უკამოდ შესწრაფებითა. აწ შენ კეთილად ჰყავ სმენაჲ ჩემი, რამეთუ გულისწყრომამან კაცისამან სიმართლე ღმრთისაჲ არა ქმნის. ხოლო ბრალი ესე არსენისი ჩემ ზედა იყავნ''.

ამისა შემდგომად, რაჟამს ესმა გუარამ ჲელმწიფესა მოსლვაჲ ნეტართაჲ მათ, მოეგება წინა სიხარულით და მოიკითხნა სიმდაბლით. და ვითარცა დასხდეს, ბრძანა ხოლო გუარამ შემოკრებაჲ ყოველთა მოწესეთაჲ, და მოვიდეს. მაშინ ჰრქუა: ,,წმიდანო მამანო, ეპისკოპოსნო და მეუდაბნოენო, იცით ყოველთა კანონი სჯულისაჲ, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოზისა მძლავრებით დაჯდომასა''. ამას სიტყუასა შინა აუგისა სიტყუანი განამრავლნა და ელოდა პასუხსა მათგან. ხოლო

თუალნი ყოველთანი ხედვიდეს მამასა გრიგოლს და ეპისკოპოსსა ეფრემს. და მათ დაიდუმეს ჟამ ვრთ.

მაშინ ეპისკოპოსთა ჰრქუეს ეფრემს: „ბრძანე პასუხი. რაი ჯერ არს". ხოლო მან თქუა: „სადა მამაი გრიგოლ იყოს. მე მუნ არა ვიკადრებ სიტყუად". მაშინ კელმწიფემან მან ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: „მამაო, ყოველნი შენ გელიან სიტყუად ჭეშმარიტებისა, რამეთუ უსუცეს ხარ ყოველთა დღითა და სათნოვებითა ნებისა ღმრთისაჲთა, და შენგან კამს დასაბამი სიტყუსაი". ხოლო მან თქუა: „ჯერ-იყო პირველად მღდელთმოძღუართაგან ბრძანებაი, ხოლო აწ სიტყჳთა შენითა ვიტყჳ ესრეთ: ჭეშმარიტთა ქრისტეს სამწყსოთა ისმინეთ გლახაკისა ამის მოხუცებულისაი. რამეთუ არსენი კათალიკოზი ნებითა ღმრთისაჲთა კათალიკოზი არს და ძჳრისმეტყუელთა მისთა. რომელთა არა შეინანონ. კდემულ იყვნენ და სრულიად ჰრცხუენეს ამას საწუთროსა და მას საუკუნესა".

ხოლო კელმწიფე იგი დაღაცათუ იყო ბრძენ და ღმრთისმსახურ, არამედ მართლმხილებისაგან მართლისა მის კაცისა შეშფოთნა ფრიად. რამეთუ ნებაი სიბრძნესა სძლევდა და შური პატივსა არა ჰრიდებდა. გესლი რაი გულისაი ბაგეთაგან იცნობა განუგებელად სიტყჳსა განტევებითა ესრეთ. ვითარმედ: „მრავლით ჟამითგან არა მეხილვა მამაი გრიგოლ. არამედ მასმიოდა. ვითარმედ ბრძენთაგან შეუცავი სიბრძნე მისი შეცვალებულ არს სიბერითაო და პირველსმენილი ვიხილე თუალითა". და შჯულისაცა მრავალთა სიტყუათა იტყოდა. რომელი არა შეჰგავს ერისკაცთა. რამეთუ იყო იგი ფრიად სიტყუაკელოვან.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა მას: „მ. კელმწიფეო. რად განჰრისხნები ჭეშმარიტებისათჳს? ესე უწყოდე. რამეთუ პირველთა წმიდათა მათ მამათა შეკრებასა ეპისკოპოსთა და წინამძღუართა წესისათა მონაზონთა თანა იყვნეს პირველნი მორწმუნენი მეფენი. არა თუ მათ თანა შჯულისმოძღურებასა იკადრებდეს. არამედ შჯულის-გამოძიებასა მათსა იკითხიან და ითხოიან სიტყჳსა გამოცხადებაი. რამეთუ მათ მიერ ისწავებდეს მცნებათა ღმრთისათა და მოწამედ იყვნეს თქმულთა მათთა. და წმიდათა მოციქულთა და ღირსთა მათ მღდელთმოძღუართა განსაზღჳრებულსა კანონსა შინა არავე ბრძანებულ არს ერისკაცისაი. ვითარმცა ეპისკოპოსთა და წესისა წინამძღუართა მამათა განსაგებელისა მოძღურებასა იკადრებდა. გინა ახალსახიობასა მოიღებდა. დაღაცათუ სამართლად საგონებელ იყოს. არამედ შჯულისა და მღდელთმოძღუართა შეურაცხებაი არს. ხოლო მე აწ. სიტყჳსაებრ შენისა. გუარამ. ვარ გონებაშეცვალებულ. გარნა ოდეს სამართალმან დაგასამართლოს. მაშინ იხილო თავი შენი ცნობამიღებულ და სიტყუანი ჩემნი არღარა განჰგმნე".

ხოლო კელმწიფე იგი შეძრწუნდა გონებითა და ჰრქუა ეპისკოპოსთა მათ: „თქუენგან ჯერ-არს განსაგებელი თქუენი განგებად. აწ თქუთ:" და მათ ჰრქუეს: „ღმრთისმსახურო გუარამ, ქრისტეᲦსმიერმან სასწაულმან უტყუ-ქმნა ენაი ჩუენი. რამეთუ ვიხილეთ დღეს გრიგოლის ზედა მიუწდომელი დიდებაი". და აუწყეს ხილვაი იგი ყოველი, რომელი იხილეს შემოსლვასა მისსა.

მაშინ ზარ-ჰკდა კელმწიფესა მას. რამეთუ იყო იგი მდაბალ და ღმრთისმოშიშ, იძლია სიმდაბლისაგან და შეუვრდა ნეტარსა გრიგოლს და ჰრქუა: „წმიდაო ღმრთისაო. შემინდვე. რამეთუ დაგაბრკოლე". ხოლო მან ჰრქუა: „ქრისტემან ყოველნი ბრალნი შეგინდვენ".

მაშინ გუარამ, დიდმან კელმწიფემან, კეთილად ისტუმრნა ყოველნი. და პურის-ჭამასა შინა, რაჟამს განმხიარულდა გუარამ ღჳნითა, მაშინ ეპისკოპოსთა მათ ერ-

თობით თქუეს: „ჯერ-მე-იყო მხილებაჲ ესე არსენისთჳს, არამედ აწ ამიერითგან არსენი იყავნ კათალიკოს ქართლისა ყოვლისა და სულიერად მამა ყოველთა და ყოველთა შორის იჭჴ პირველი და-მცა-ჴსნილ არს სრულიად. რაჲთა ქრისტეანობისა პატივი ჩუენი მშჳდობით და მყუდროებით აღვასრულოთ". და გუარამ კელმწიფემან და ყოველმან ერმან თქუეს: „ამენ. იყავნ!"

ხოლო კელმწიფემან მან იკითხა ეპისკოპოსთა მათგან: „წმიდაო ღმრთისანო, უკუეთუ ქუეყანისა ჩუენისა ერისკაცი ვინმე. წიგნთა საღმრთოთა მეცნიერი და ენათაცა წურთილი, მიიწიოს იერუსალჵმდ. ანუ სხუათა წმიდათა ადგილთა. და იხილოს რაჲმე კეთილი წესი, რომელ ქრისტეანობასა შუენოდის და ჩუენ შორის არა იყოს. გინა თუ წიგნთაგან წმიდათა გულისჴმა-ყოს და თავით თჳსით ერსა უსწავლელსა აუწყებდეს, კეთილი არსა, ანუ არა?" ამას რაჲ იტყოდა, ასმენდა ვიეთმე მრავლისმეტყუელთა. ხოლო მათ თქუეს: „უკუეთუ ახალი რაჲმე კეთილი წესი ერისკაცმან გულისჴმა-ყოს მსგავსად ბრძანებისა შენისა. უმჯობეს დუმილი არს. და. უკუეთუ დუმილი ვერ ძალ-ედვას. არა თავით თჳსით ქადაგებდეს, არამედ აუწყოს თჳსსა ეპისკოპოსსა. და. თუ ჯერ-იყოს, მან ასწაოს თჳსსა სამწყსოსა: უკუეთუ კულა სილაღით წარმდებობდეს ერისკაცი იგი და ერსა ახლად სხუასა წესსა დაუდებდეს. ეგეთითარი იგი ნაცვალად შესაძინელისა მაცილობელთა და წინააღმდგომთა თანა დაისაჯოს დიდებით უფლისა მოსლვასა".

ხოლო ერისკაცთა მათ შეიკდიმეს მხილებაჲ იგი უმეცართა წესის-დადებაჲ და შეინდვეს შჯულისა წინამძღუართაგან. და ვითარცა განასრულეს პურის-ჭამაჲ. მისცეს მშჳდობაჲ მთავარსა მას დიდსა. და მან სიხარულით განუტევნა ყოველნი. მას ჟამსა ახარეს არსენის, რამეთუ არა იყო კრებასა მას. ვითარმედ: „შემდგომად ღმრთისა მოძღუარმან შენმან, გრიგოლ მამამან, დაამტკიცა კათალიკოზობაჲ შენი". ხოლო იგი სიხარულით ჰმადლობდა ქრისტესა და წმიდასა მას.

ხოლო ეფრემ ეპისკოპოსმან, მცნებისაებრ მამისა გრიგოლისსა. სიყუარული არსენი კათალიკოზისაჲ პირველებრვე განაახლა, რამეთუ მოკლედ დაწყნარა შფოთი გრძელად მოსაცალებელი, რომელი იყო შორის კათალიკოზისა და ეპისკოპოსთა. უფროჲს ხოლო გუარამ კელმწიფისა. და სანატრელნი ესე. არსენი კათალიკოზი და ეფრემ ეპისკოპოსი, მოვიდიან ხილვად მოძღურისა თჳსისა მამისა გრიგოლისა. არამედ ძველი ხანცოისა ეკლესიაჲ არსენი კათალიკოსმან აკურთხა და ქართლისა ეკლესიათა ყოველთა სიხარული მიჰფინა, რამეთუ საყდარი მამათმთავრობისაჲ შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა. ხოლო რაჟამს მამაჲ გრიგოლ გარდაიცვალა, დამარხვასა მის თანავე იყო არსენი. რომელიცა ოცდაშჳდ წელ კათალიკოზობდა და მერმე გარდაიცვალა ამიერ სოფლით.

44. არამედ დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ ექმნა ქუეყანასა ჩუენსა: რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალჵმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტჵსმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევაჲ ქართლს განაწესა იერუსალჵმისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით. არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების. რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების. ხოლო კჳრიელეისონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო. წყალობა-ყავ". გინა თუ: „უფალო, შეგჳწყალენ".

ესე ნეტარი ეფრემ ორმეოც წელ ეპისკოპოსობდა. შემკული სულითა წმიდითა, რამეთუ დაფარულსა კაცთა საქმესა. ვითარცა ცხადსა, ამხილებდა.

55. ხოლო ჟამთა ამის წმიდისათა კელმწიფემან აშოტ კურაპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქუეყანანი და აღაშენა ციხე არტანუჯისაჲ საცხორებელად დედუფლისა, მეუღლისა თჳსისა, და მას შინა კეთილად ცხოვნდებოდა მრავალთა წელიწადთა. ხოლო აცოუნა მტერმან კელმწიფჱ იგი და მოიყვანა მან დედაკაცი სიძვისაჲ ციხესა მას შინა, რომლისა თანა იმრუშებდა, რამეთუ ეშმაკი ტრფიალებისაჲ ფრიად აზრზჳნდა, რომელსა პირველ არა აქუნდა ეგჳვითარი ჩუეულებაჲ, არამედ ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა. და ვითარცა ესმა ნეტარსა გრიგოლს საქმე იგი სულისა განმხრწნელი, შეწუხნა ფრიად. და აუწყა წმიდასა გრიგოლს, დიდსა მას მოხუცებულსა, რომელი მკჳდრ იყო ეკლესიათა, რამეთუ იყო იგი სასწაულთა მოქმედ და დიდად პატივცემულ ღმრთისა და კაცთაგან, და განზრახვითა მისითა ამხილა პირისპირ კელმწიფესა მას, ხოლო მან აღუთქუა ცოდვისა მის განტევებაჲ და დედაკაცისა მის წარგზავნაჲ, ვინაიცა მოეყვანა იგი და ვერ დაამტკიცა თჳსი ბრძანებაჲ, რამეთუ დაემონა გულისთქუმასა.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა ჟამი მარჯუე. ოდესცა კურაპალატი შორს იყო არტანუჯსა. დღესა ერთსა შუტბერდით წარვიდა და მიიწია მიმწუხრი ძირსა მის ციხისასა და კაცი მიუვლინა დედაკაცსა მას ჭამადისა თხოვად და მუნ დადგომისა მიზეზი შეუთუალა. ხოლო მან სიხარულითა დიდითა განიხარა და მრავალფერი სანოვაგე წარსცა წმიდისა მისთჳს და მოწაფეთა მისთა. და ვითარცა განთენა, კუალად მიუვლინა კაცი, რაჲთა მივიდეს ხილვად მისა. მაშინ უფროჲსად განმხიარულებული მსწრაფლ მოვიდა წმიდისა მის ორთა თანა მკჳალთა თჳსთა, რაჲთამცა ღირს იქმნა ჯუარსა ნეტარისა მის კაცისასა.

ხოლო მან არა დასწერა ჯუარი, არამედ უბრძანა განშორებულად დაჯდომაჲ, და მოწაფენი კიდერე განდგეს წამის-ყოფითა მოძღურისა თჳსისაჲთა და ეგრეთვე მსახურნი იგი დედანი, რამეთუ წმიდისა მის შიში ყოველთა ზედა მიფენილ იყო. მაშინ ჰრქუა ნეტარმან გრიგოლ: „მ, საწყალობელო, რაჲსათჳს შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რაჲთმე მიზეზითა საფრკე ქმნულ ხარ დიდისა კელმწიფისადა?"

ხოლო მან ცრემლით ჰრქუა: „წმიდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინაჲთგან გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა. და აწ არა უწყი, თუ რაჲ ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყუეთა შენთამან შემაძრწუნა ფრიად". ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „შვილო, იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუეთა ჩემ გლახაკისათა და მე თავსმდებ გექმნე ქრისტჱს მიმართ. რაჲთა მან თაჳადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვეს". და მან ჰრქუა: „წმიდაო მამაო, კელთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისაჲ იზრუნე". მაშინღა ჯუარი დასწერა და აკურთხა ლოცვითა და შეჭურა მადლითა და მისცა თჳსთა კამლთა საბელი, რაჲთა სარტყლად შეირტყას, და მან ყო ეგრეთ.

და წმიდამან მან ჰრქუა: „შვილო ჩემო, დღეს იქმნა ცხორებაჲ სულისა შენისაჲ, რამეთუ სანატრელისა დედისა ფებრონიაჲს წინაშე მიგიყვანებ შენ". და მან განიხარა ფრიად. ხოლო ნეტარმან გრიგოლ უბრძანა მკჳალთა მათ მისთა წარსლვაჲ ციხედვე, და დედაკაცსა მას ჰრქუა: „შვილო ჩემო, წარემართე და ვიდოდე წინაშე ჩუენსა". და ესრეთ მოიყვანა იგი მერეს, რამეთუ პირველვე განზრახვაჲ ნეტარისა დედისაჲ თანაიყო, და შეჰვედრა იგი მას და ჰრქუა: „იღუაწე ესე ჯერისაებრ, იღუაწედა, რაკამს ძიება-ყოს კურაპალატმან, რამეთუ ჰხედავ გულსა ამისსა შე-

მუსრვილსა". ხოლო მან თქუა: „ქრისტემან კეთილად იზრუნოს მკევლისა თჳსისათჳს, რომელიცა პოვა შენ მიერ, ღირსო მამაო".

ხოლო რაჟამს მიიწია კურაპალატი ციხედ, იკითხა ხოლო დედაკაცი იგი. და ვითარ არა პოვა, ფრიად შეიურვა. გულისხმა-ყო რაჲ ყოველი იგი ყოფილი საქმე, და რამეთუ არა ღონითა რაჲთმე კაცობრივთა მახეთაჲთა იყო ტრფიალ მისა მიმართ ყელმწიფე იგი. არამედ ეშმაკისა მანქანებითა ესოდენ ძლეულ იყო, რომელ თავ-მოთნეობაჲ დაავიწყდა და მსწრაფულ ხოლო მოვიდა მერეს. ხოლო ნეტარმან ფეგ-რონია დამალა დედაკაცი იგი. და ვითარ ილოცა კურაპალატმან ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და მიიღო ლოცვაჲ დედისა ფეგრონიაისი, მაშინ იწყო სიტყუად: „უწყიმეა, დედაო, რაისათვის მოვედ აწ?" ხოლო მან პრქუა: „უფალმან იცის, რაისათჳს ჰბრძანე აქა". და მან პრქუა: „ამის მიზეზისათჳს იქმნა მოსლვაჲ ჩემი, რამეთუ სახლისა ჩუენისა მეჯურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი ყელთა მისთა იყო და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია, და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი. აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგჳთუალოს და კუალად თქუენდაჳ მოვიდეს. ვითარცა უნდეს".

ხოლო ფეგრონია პრქუა მას მკუეთრ: „მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაც-თა თანა. რომელნი იქმან უშჯულოებასა". ესე რაჲ ესმა კურაპალატსა, სირცხჳლეულ იქმნა მართლმხილებისა მისგან კდემული და მყოვარ ჟამ დადუმნა, ვითარცა ძლე-ული, რამეთუ კორციელად ძლიერსა ყელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს, შეჭურვილთა მათ საღმრთოჲთა შურითა. ხოლო შეურვებულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან თქუა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო", და მსწრაფულ ხოლო აღდგა და წარვიდოდა.

მაშინ ნეტარი ფეგრონია დაწყნარებულითა სულითა აყენებდა, რაჲთამცა ის-ტუმრა იგი და არა დაემორჩილა, რამეთუ მამხილებელად აქუნდა თჳსი გონებაჲ და ნებაჲ რაჲ კორცთმოყუარებისაჲ განეშორა და აუგი თჳსი გულისკმა-ყო, ხოლო სუ-ლითა იხარებდა, სიბრძნემან რაჲ წარიოტა სულმოკლებაჲ იგი მავნებელი და აქებდა წმიდათა მათ მძლავრებასა, უფროჲს ხოლო ძლევისა მომცემელსა ღმერთსა, და სიხა-რულით წარვიდა, რამეთუ გულითა წმიდითა აქუნდა ნეტართა მათ პატივი, ვითარცა სულისა მისისა საუკუნოდ გჳრგჳნოსანმყოფელთაჲ.

56. არამედ ადარნერსე ყელმწიფესა უფროჲსი ვნებაჲ შეამთხუა მტერმან. რო-მელიცა იყო ძᲣ აშოტ კურაპალატისაჲ, რამეთუ შესმენითა მეძჳსა ქალისაჲთა. რომ-ლისა თანა იმრუშებდა იგი. უსამართლოდ განიშორა სიცრუჳთა სიძჳსაჲთა სარ-წმუნოჲ ცოლი თჳსი და წარგზავნა ქუეყანად თჳსად აფხაზეთად, ვინაჲცა მოეყვანა იგი. ხოლო ქრისტემან მონასა თჳსსა, გრიგოლს, გამოუცხადა ყოველი იგი უსამარ-თლოებაჲ, რომელიცა შეამთხჳეს უბრალოსა მას დედუფალსა. ამისთჳსცა მრავალგზის მხილებაჲ მიაწია ნეტარმან გრიგოლ ადარნერსეს ზედა, არამედ ყელმწიფეს იგი ცუდითა თავმოთნეობითა იძლია და მხილებაჲ მართლისა მის კაცისაჲ არა თავ-იდვა, არამედ შესძინა ძჳრი ძჳრსა ზედა თჳსსა და სხუაჲცა ცოლი შეირთო. მაშინ მამამან გრიგოლ უწინასწარმეტყუელა ბრალთა მათთჳს, რაჲ-იგი შემთხუევად იყო მისდა მიშუებითა ღმრთისაჲთა, და პრქუა ესრეთ: „არასმენისათჳს სიტყუათა ჩემ გლა-ხაკისათა მიეცე ბოროტთა სენთა, და რომელ აწ ძენი გესხენ, იგუემენენ ეშმაკთაგან და ვერ განიკურნო შენ და ვერცა შვილნი იგი შენნი. ვიდრე არა შეინდოთ დე-დუფლისა მისგან. უსამართლოდ გაპატიჟებულისა მკევლისა მის ღმრთისა. დაღათაცუ კორცთაგან განვიდეს იგი, არამედ საფლავთაგან მისთა შე-ვე-ინდონ შვილთა შენთა.

ხოლო შემასმენელი იგი მეძაე ადრე განაქიქოს ქრისტემან უფროის ყოველთა ცთომილთაასა ლირწად წარმდებებისა მისისათჳს და უკეთურებისა''.

ხოლო ადარნერსე სიტყუათაგან ნეტარისა გრიგოლისთა ფრიად შეშინდა და შეუკრდა წმიდასა მას. ხოლო მან აღადგინა და ჰრქუა: ..ქრისტემან შენდობაჲ ბრალთაჲ მოგეცინ შენ, არამედ ესე უწყოდე. თქუმული ჩემი აღესრულოს ჟამსა თჳსსა, რაჲთა გულისკმა-ყონ ყოველთა ნაყოფი ურჩებისაჲ''. და შემდგომად მცირედთა დღეთასა შეემთხჳა ადარნერსეს სენი ტეხისაჲ წრდიალი, რომელსა ჰრქჳან ნიკრისი, და ტკივილთა მათგან იგუემებოდა მწარედ. რამეთუ მუნ ჟამადმდე ყოლად უვნებელ იყო იგი. და მსწრაფულ ხოლო წარავლინა კაცი კეთილი. რომელსა ერქუა კუპრა, წინაშე დედუფლისა მის შენდობისა თხოვად. და ვითარ მიიწია მოციქული იგი ადარნერსესი ფერსათს, სადაცა არს აწ საფლავი მისი. და იხილა დედუფალი იგი თჳსი დიდსა შინა მონაზონებასა. რომელიცა იყო ასული ბაგრატ შაროელისა კულმწიფისაჲ, რამეთუ სამოსლად მისა იყო შეურაცხი ჩოჯაჲ და ემოსა მას წმიდაჲ სქემაჲ და ტჳრთი დიდი შეშისაჲ ეკიდა და სახიდ თჳსად მიაქუნდა სანატრელსა მას, რომელსა პირველ სახელი ეწოდა ბევრეულის და მერმე ანასტასია.

ესე რაჲ იხილა კაცმან მან მოციქულმან. იცნა და შეუკრდა ადარნერსეს მაგიერ და ჰრქუა: ..ქრისტეს ნებისმყოფელო, გეკედრების, შეიწყალე უფალი ჩემი, სამართლად ღმრთისაგან განპატიჟებული შენ ძლით, და ნუ სწყეე მას, არამედ შეუნდჳენ დიდნი ბრალნი მისნი''.

ხოლო მან ჰრქუა: ..გეფუცები ქრისტესა, არაოდეს აღმოსრულ არს წყევაჲ პირსა ჩემსა და არცა მას ვწყევ. ქრისტემან შეუნდჳენ ყოველნი ცოდჳანი და განკურნენ სულით და კორცით''. და მსწრაფულ ხოლო განიკურნა ადარნერსე.

71. ხოლო ნეტარი ესე კაცი ღმრთისაჲ, მამაჲ გრიგოლ. ნებისა ქრისტესისა სამკჳდრებელი. სასწაულთა მოქმედი დიდებული. ფრიად გარდარეულად დაბერდა, რამეთუ ას და ორისა წლისა ჟამთა მიიწია. ხოლო ფერი პირისა მისისაჲ არა იცვალა. არცა შეემთხჳა თუალთა მისთა მრუმედმხედველობაჲ და კორცითა ძლიერ იყო და რაჲთურთით უძლურებაჲ სიკუდილადმდე არა იპოვა მის თანა. ხოლო შრომაჲ დიდად უყუარდა არა ხოლო ლოცვისა და მარხვისაჲ ოდენ, არამედ დღე და ღამე კელითა თჳსითა იქმოდა. და იყო იგი მხიარულად მესტუმრე და გლახაკთმოლუაწე. ხოლო უმრავლესთა დღეთა შატბერდს იყოფინ. რამეთუ თჳსთა მათ მონასტერთა მამასახლისნი დაედგინნეს. და იგინი იღუწოდეს მათ; რომელი გარდამრე საქმე არნ. მას აუწყიან მსგავსად სიბრძნისა მის ღმრთივმოცემულისა, რომელი მკჳდრ იყო მის თანა მარადის. ვიდრე აღსრულებადმდე მისა და მიწევნად ბრძენი ბრძენთა თანა საუკუნესა ცხორებასა და სუფევასა.

72. ხოლო დღეთა მათ მოხუცებულებისა მისისათა იყო რაჲ შატბერდს. ზრუნვაჲ აქუნდა ძმათა მათ მკჳდრთა ხანცთისათა, რამეთუ ესმა. ვითარმედ ოხჭანი ამის ცხორებისაჲ შატბერდს ეგულების სულიერად მამასა მათსა. მაშინ, რომელთა სლვაჲ ძალ-ედვა, ერთობით მიიწინეს ყოველნი შატბერდს ძიებად წმიდისა მის. ხოლო ძმათა მათ შატბერდელთა განიხარეს მისლვაჲ ძმათა მათ თჳსთაჲ და, რაჟამს გულისკმა-ყჳეს მიზეზი მისლვისა მათისაჲ, სიხარული მწუხარებად გარდაექცა. და ვითარცა იღოცეს თაყუანის-ცემით წმიდასა ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და თაყუანის-სცეს ნეტარსა მამასა თჳსსა შვილთა მათ, სულიერად შობილთა და შრომით შეკრებულთა. ხოლო მან წადიერებით სურვიელად ამბორს-უყო ყოველთა და მოწლედ მოიკითხნა. ვითარცა მამამან ტკბილმან და მოძღუარმან სახიერმან. და მერ-

მე ურთიერთას ამბორს-უყვეს მოკითხვით ძმათა მათ ხანცთელთა და შატბერდელთა და დასხდეს. მაშინ სიტყუად იწყო ხანცთელთა მიმართ ნეტარმან გრიგოლ და ჰრქუა მათ: „ძმანო და შვილნო საყუარელნო, რაჲ არს მიზეზი თქუენ ყოველთა აქა მოშრომისაჲ. მაუწყეთ!" ხოლო ეტჯფანე და ზენონ ჰრქუეს ძმათა მათ სხუათა: „წეს არს თქუენ მიერ ღირსი პასუხი, რაჲთა ბრძენთა მოწაფეთა ბრძნისა მოძღურისა მიმართ ღირსითა სიტყჳთა ძღუენი გულსმოდგინებისაჲ შესწიროთ და სასოებით საწადელი სულისა ჩუენისაჲ მოვიღოთ მადლითა ღმრთისაჲთა".

მაშინ ყოველთა ერთობით ჰმა-ყვეს: „ჰ, წმიდაო ღმრთისაო, სულიერად შვილთა შენთა მშობელო მამაო და მზრუნველო ცხორებისა ჩუენისაო, და შესაეედრებელო ქრისტეს მორწმენეთაო. დაღაცათუ შატბერდელნი ძმანი ჩუენნი ყოველნი უფლისა სათნონი არიან და ნებისაებრ ღმრთისა ნებისა შენისა მორჩილ, არამედ ესოდენთა დღეთა არამოსლვაჲ შენი ჩუენდა ხანცთისათჳს ფრიად სირცხჳლ არს და ჩუენდა. ყოველთა, საკადმელ ყოველთა კაცთაგან, რამეთუ პირველი ნაყოფი წმიდათა შრომათა შენთაჲ ხანცთაჲ არს. და აწ ამისთჳს არს ჩუენი აქა მოსლვაჲ. რაჲთა ჰბრძანო ხანცთად და ნუგეშინის-ეცეს, რომელთა ვერ ძალ-უც აქა მოსლვაჲ, და სხუათაცა უდაბნოთა აჩუენოთ ჩუენდა მომართ სრული სიყუარული შენი. და ესე უწყოდე. უკუეთუ სმენაჲ არა ვპოოთ, ვიპოვნეთ ყოველნი აქა წინაშე შენსა. რამეთუ მძიმე არს ჩუენდა ამას ჟამსა უშენოდ ხანცთად მისლვაჲ".

ხოლო წმიდამან მან თქუა: „აწ თქუენ სიყუარულმან მოგიყვანნა აქა. ხოლო ჩემ ზედა ორკერძოვე მძიმე არს: პირველად, შეწუხებაჲ თქუენი და, მერმე. ძმათა ამთგან განშორებაჲ".

მაშინ მოუწოდა ყოველთა შატბერდელთა ძმათა და ჰრქუა მათ: „მოვედით. შვილნო, ხანცთისა მკჳდრთა თანა, ძმათა თქუენთა, და ნებაჲ ურთიერთას შეზავეთ. რამეთუ შფოთი ივლტის ბრძენთაგან, და ერთობით უმჯობესი დაამტკიცეთ. ხოლო მე ვჰგონებ, უწინარეს აღშენებული ადგილი ემართლების მაშენებელსა თჳსსა უფროესსა პატივსა, ვითარცა მოხუცებული ემართლების ჭაბუესა პატივით მსხურებსა".

ხოლო შატბერდელთა ძმათა ჰრქუეს: „ჭეშმარიტ არს ბრძანებაჲ შენი, წმიდაო მამაო, და უკუეთუმცა სამართალი არა მიგცემდა. არამცა მივეშუენით ძმათა ჩუენთა". ესე რაჲ თქუეს და მსგავსი ამისი ჳკერისაებრ, მაშინ ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა ყოველთა: „შვილნო, ბრძანებამან ქრისტესმან შეგუკრიბნა დღეს. რაჲთა სიმტკიცე ერთობისა და სიყუარულისაჲ აწ დაუმტკიცოთ მომავალთა ჟამთა ორთა ამათ მონასტერთა შინა დამკჳდრებულთა ძმათა შჯულად საუკუნოდ. აწ თქუენცა დაიმარხენით უფლისა ბრძანებანი ერთმანერთისა პატივითა და სიყუარულითა ყოვლისა თანა სათნოებისა სიმდაბლითა უეჭველითა, და წმიდათა შინა ეკლესიათა თქუენთა ურთიერთას ულოცევდით, და მემცა, გლახაკი, მარადის გაკსოვ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, და ძმობასა თქუენსა კეთილად იხილვებოდეთ მახლობელთა და შორიელთაგან, და უკუეთუ ვიეთმე ძმათა სწადოდის ყოფაჲ ხანცთელთა შატბერდს. გინა თუ შატბერდელთა ხანცთას, ნუ ვისმცა კელ-ეწიფების არა-შეწყნარებაჲ მათი, გინა თუ შფოთით განზრახვისა მათისა დაშლაჲ და მძლავრებით დაყენებაჲ თჳნიერ სამართალისა რაჲსამე მიზეზისა. უკუეთუ კულა უსამართლოდ აყენებდეს ვინმე, სიტყუაჲ მისცეს ღმერთსა დღესა მას განკითხვისასა. რამეთუ ნებაჲ ჩემი არა არს, სულიერად მამისა თქუენისაჲ. ხოლო სხუაჲ ყოველი სულისა ცხორებისა საღმრთოჲ წესი პირველითგანვე გაქუს განწესებული ჩემ მიერ, მას ზედა მტკიცედ იყვენით უკუნისამდე".

მაშინ შევიდა წმიდად ეკლესიად და ცრემლით თავი თუსი დაჰვედრა მას, მშჯ-
დობაჲ მდუმრიდ რაჲ დაუტევა. და გამოსლვასა ბერთა ამბორის-ყოფაჲ მისცა. და
ეგრეთ წარემართა ხანცთად კერძო. ხოლო ერი იგი ყოველი ცრემლით მოუდგა და
წმიდაჲ იგი ადგილსა მაღალსა დადგა შორის ერსა მას ღმრთისასა და დიდებაჲ შე-
წირა ქრისტეს მიმართ.

73. და მერმე შატბერდსა ჯუარი დასწერა და ჰრქუა: „კეთილად აღორძნდი,
შატბერდო, და შეიმკვე მადლითა და განძლიერდი ძალითა ღმრთისაჲთა, რაჲთა ნა-
ყოფი მსხუერპლთა შენთაჲ ჟამად-ჟამად უბიწოჲ შესწირო უფლისა, რამეთუ მე აწ,
ესერა, მშჯდობასა დაგიტევებ შენ და არღარა იხილო პირი ჩემი კორციელად, ვიდრე
უფლისა დიდებით მოსლვადმდე. აწ დაღაცათუ კორცითა განგეშორები, ხოლო სული-
თა მარადის შენ თანა ვარ შეწევნად შენდა".

მაშინ მწარითა ცრემლითა ტიროდეს მკჯდრნი შატბერდისანი სიტყჳსა მის-
თჳს, ვითარმედ კორციელად არღარა ხილვად–უც მოძღუარი თჳსი.

ხოლო წმიდამან ჰრქუა მათ: „შვილნო, სულისა სიბრძნითა გულისა ტკივილ-
თა სძლეთ და ნუ შეძრწუნდებინ გონებაჲ თქუენი, რამეთუ მე ესერეთ აღგითქუამ:
არაჲ დგაკლოს თქუენ ქრისტემან აქა და საუკუნესა მას, უკუეთუ ეგნეთ მას ზედა,
რომელიცა გისწავიეს ჩემგან პირველთა წმიდათა მამათა შეწირული მონაზონებისა
წესი. და ეგრეთვე ვამცნებ შემდგომითი შემდგომად შვილთა ჩემთა, რაჲთა დაიმარხონ
წმიდაჲ ესე მოძღურებაჲ. და უკუეთუ ჟამმან ჭირისაგან წესი ცვალოს, რომელ სუ-
ლისა ფრიად არა სავნებელ იყოს, შენდობა იყავნ ჟამსა მას და არა სამარადისოდ,
არცა შუებისა მრავლისა მიდევნებითა".

და ვითარცა სიტყუანი ესე დაასრულნა, მაშინ ამბორს-უყო ძმათა მათ შატ-
ბერდელთა, ცრემლითა სავსეთა, და ფრიადითა ვედრებითა დაარწმუნა უკუნქცევაჲ
თჳსად ადგილად და თჳთ წარჰყვა ძმათა მათ ხანცთელთა. ხოლო სწორი სასყიდელი
მიიღეს ღმრთისაგან. რომელთა წარიყვანეს იგი, და რომელნი იქცეს. რამეთუ სარ-
წმუნოებაჲ და სიყუარული მამისა და მოძღურისა თჳსისაჲ სწორად აქუნდა მთ ყოველთა.

ხოლო რაჟამს შატბერდით ხანცთად მოვიდა ნეტარი გრიგოლ, განიხარეს
ხანცთასა თანა მახლობელთა მათ უდაბნოთა და მოვიდოდეს ძმანი ყოვლით კერძო
ხილვად წმიდისა მის. და მიაქუნდა კურთხევაჲ და ლოცვაჲ მისგან და სიხარულითა
სავსენი წარვიდიან ადგილად თჳსად.

რამეთუ დიდებაჲ ხანცთისაჲ ამაღლდა საუკუნოჲთა და საცნაურითა სამკა-
ულითა, იქმნა რაჲ განმზადებულ შრომათაგან მაშურალთა მათ ნაწილთათჳს გან-
სასუენებელ უკუნისამდე. მას ჟამსა განიხარა ნეტარმან მამამან გრიგოლ, რამეთუ კე-
თილსა შინა იხილა მონასტერი თჳსი და ფრიად მადლით აკურთხა წინამძღუარი იგი
სარწმუნოჲ მამაჲ ეპიფანე და ძმანი ყოველნი მორჩილნი მისნი.

77. ხოლო ნეტარსა მამასა ჩუენსა გრიგოლს გულმან უთქუა განსლვაჲ კორ-
ცთაგან და ღმრთისა მისლვაჲ.

მაშინ უბრძანა ძმათა თჳსთა შესაქმე კერეონთა სანთელთაჲ შესაწირავად გა-
რემო ყოველთა მათ მახლობელთა უდაბნოთა, რომელ არიან ოპიზაჲ და ფრთენი
მისნი, ბერთაჲ და მახლობელნი მისნი. მიძნაძოროჲ, წყაროჲსთავი თანამკჯდრით მა-
თითურთ. ხოლო შატბერდი, დაღაცათუ სხუათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს,
არამედ განუყოფელად თანამოძმე არს მათი ერისა მის ღმრთისა სიკეთითა და ყო-
ვლითავე საღმრთოჲსა მოძღურებისა წესითა და კანონითა მონაზონებისა შჯულის-დე-
ბისაჲთა. და ყოვლითავე კეთილისა საქმითა სწორად პატივცემულ არს ღმრთისა მიერ

და კაცთაგან, რამეთუ არს იგი სიქადულ ყოვლადვე მახლობელთა მონასტერთა. მათ ყოველთა უდაბნოთა თანაწარსცა კერეონები და შეუთუალა დღჱ იგი, რომელსა აღანთნენ და ლოცვა-ყონ მისთჳს.

78. ხოლო მათ გულისკმა-ყვეს ჟამი იგი მიცვალებისა მისისაჲ ამიერ სოფლით. წმიდანი მამანი შემოკრბეს ჟამსა მას დროსა დღისა მისისასა პატივად ნეტარისა მის მოხუცებულისა და რაჲთა იკურთხნენ მის მიერ. ხოლო იგი სიხარულითა აღიჳსო ხილვითა მათითა და ქრისტჱსმიერითა კურთხევითა აკურთხნა ყოველნი და პრქუა მათ: „მოგეცინ უფალმან შრომისა თქუენისა სასყიდელი".

მაშინ პრქუეს ყოველთა მათ მამათა ნეტარსა გრიგოლს: „წმიდაო ღმრთისაო, ნუ დამიეწყებ ჩუენ. სულიერად შვილთა შენთა, მი-რაჲ-იწიო წინაშე პირსა სახიერისა, მოწყალისა და მწყალობელისა ტკბილისა უფლისასა, მომიჯსენენ სამწყსონი შენნი".

79. მაშინ პრქუა ხანცთას შინა მყოფთა ძმათა: „შვილნო. რომელი მცნებაჲ პირველითგან გესმა ჩემგან, სულისა თქუენისა საცხორებელად დიმარხეთ და ჰყოფდით მარადის საკსენებელსა ჩემსა".

83. ხოლო იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ასდამეორესა წელსა, ქრონიკონსა ოთხმეოცდაერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოცდაათისა წლისა, დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუს ათას ხუთასორმეოცდამეათოთხმეტესა წელსა, იერუსალჱმს პატრიაქობასა აგათონისსა, მცხეთას კათალიკოზობასა მიქელისსა, ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნერსე ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისა, ძისა კოსტანტი მეფისასა, მაგისტროსობასა ადარნერსესსა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა, ერისთოობასა სუმბატისსა, ძისა დავით მამფლისასა, — ქრისტემან დიდებაჲ უოხჷნოჲ მათ ყოველთა მიანიჭენ!

ხოლო ჟამსაე მას იყო ანჩს ეპისკოპოსი მაკარი. და ნეტარისა მამისა გრიგოლის შენებულთა მათ მონასტერთა იყენეს მამასახლისნი ნათესავით დიდთა აზნაურთა შვილნი: ხანცთას — მამაჲ თევდორე, დისწული მცხუედაესაჲ. და შატბერდს — მამაჲ გრიგოლ, ძე ლიპარიტისი, სახელითა დიდისა მამისა გრიგოლისითა შემკობილი. — ქრისტემან სრულიად შეამკენ მადლითა მისითა და განამართლენ წინაშე მისსა საუკუნოდ!

ხოლო ხანცთისა წინამძღურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, სამთავე ამათ ერთად გულსმოდგინებითა დაიწერა ხანცთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრებაჲ ესე.

წიგნი რუთისი

1

1. და იყო, დღეთა მათ მსაჯულთა შჯასა იყო სიყმილი ქუეყანასა ზედა; და წარვიდა კაცი ბეთლემით ჰურიასტანისაჲთ, მწირობდა სოფელსა მას მოაბისასა. იგი და ცოლი მისი და ორნი ძენი მისნი. 2. და სახელი მისი ელიმელექ და სახელი ცოლისა მისისაჲ ნოომინ და სახელი ორთა მათ ძეთა მისთაჲ: მაალონ და ქელონ ეფრათელი ბეთლემით ჰურიასტანისაჲთ. და წარვიდეს ქუეყანასა მას მოაბისასა და იყოფოდეს მუნ. 3. და მოკუდა ელიმელექ, ქმარი ნოომინისი, და დაშთა იგი და ორნი

ძენი მისნი. 4. და მოიყვანნეს ძეთა მათ მისთა თავისა თჳსისა ცოლნი მოაბელნი, სახელი ერთისაჲ ურიფა და სახელი მეორისაჲ მის რუთ; და იყოფოდეს მუნ ათ წელ. 5. და მოწყდეს ორნივე იგი ძენი მისნი, მაალონ და ქელონ. და დაშთა მარტოჲ დედაკაცი იგი ქმრისაგან და ორთაგან ძეთა მისთა. 6. და აღდგა დედაკაცი იგი და ორნივე ძისცოლნი მისნი და მოიქცეს იგინი ქუეყანით მოაბისაჲთ სოფლად ჰურიასტანისა, რამეთუ ესმა მათ ქუეყანასა მას მოაბისასა, ვითარმედ მოჰხედა უფალმან ერსა თჳსსა მოცემად ნაყოფისა. 7. და გამოვიდა იგი მიერ ქუეყანით და ორნი იგი ძისცოლნი მისნი მის თანა და მოვიდეს იგინი გზასა მოქცევად ქუეყანასა მას ჰურიასტანისასა. 8. და ჰრქუა ნოომინ ორთა მათ ძისცოლთა მისთა: ..წარვედით და მიიქეცით სახიდ მამისა თჳსისა და ყავნ უფალმან თქუენ თანა წყალობაჲ, ვითარცა-იგი თქუენ ჰყავთ მკუდართა მათ თანა და ჩემ თანა. 9. და მოგაგენ უფალმან კეთილისა მაგის წილ და ჰპოვოთ თქუენ განსუენებაჲ სახლსა შინა ქმრისა თჳსისასა". და ამბორს-უყო მათ და უჯმნიდა. და აღიმაღლეს კმაჲ მათი და ტიროდეს. 10. და ჰრქუეს მას: ..არა ეგრე. არამედ შენ თანა მოვიდეთ ერისა შენისა". 11. და ჰრქუა მათ ნოომინ: ..მიიქეცით, ასულნო ჩემნო, და წარვედით. რაჲსათჳს მოხუალთ თქუენ ჩემ თანა? ნუუკუე ამიერითგან შვილნი არიანა მუცელსა ჩემსა და იგინი იყვნენ ქმარ თქუენდა? 12. არამედ აწ წარვედით, ასულნო ჩემნო, ამისთჳს. რამეთუ დავბერდი და არღარა შემძლებელ ვარ მე ქმრისა სუმად. უკუეთუმცა გარქუ თქუენ, ვითარმედ შემძლებელ ვარლა და შევეყო ქმარსა და ვშვნე მე ძენი 13. და მათ ელოდით თქუენ, ვიდრემდე განორძნდენ და დაგიყენნე თქუენ, რაჲთა არა ისხნეთ ქმარ. ნუ ეგრე, ასულნო ჩემნო, რამეთუ განმწარდა ჩემთჳს უფროჲს თქუენსა. რამეთუ კელი უფლისაჲ გამოვიდა ჩემ ზედა". 14. და აღიმაღლეს კმაჲ მათი და მერმეცა ტიროდესვე. და ამბორს-უყო ურიფა დედამთილსა თჳსსა და წარვიდა ერისა თჳსისა, ხოლო რუთ შეუდგა და მისდევდა მას. 15. და ჰრქუა ნოომინ რუთს: ..აჰა, ეგერა, მიიქცა მოყუასი შენი ერისა თჳსისა და ღმერთთა თჳსთა. მიიქეც შენცა მოყუასისა შენისა თანა". 16. მიუგო და ჰრქუა რუთ: ..ნუ შემემთხუევინ მე ეგე ყოფად. ვითარმცა დაგიტევე შენ და მივიქეც და წარვედ სახიდ ჩემდა, არამედ ვიდრეცა მიხჳდე, მივიდე და, სადაცა იყოფოდი, ვიყოფოდი მეცა შენ თანა. ერი შენი ერი ჩემი და ღმერთი შენი ღმერთი ჩემი არს, 17. და სადაცა მოჰკუდე. მოკუდე მეცა და მუნ დავეფლა. ესე მიყაენ მე უფალმან და ესე შემძინენ. რამეთუ სიკუდილმან განწვალოს შენ შორის და ჩემ შორის. 18. ხოლო მან ვითარცა იხილა, რამეთუ დაამტკიცა ესრჱთ მისლვად მის თანა, დასცხრა მიერითგან სიტყუად მისა. 19. და წარმოვიდეს მიერ ორნივე და მოვიდეს ბეთლემდ. და იყო, ვითარცა მოიწინეს იგინი ბეთლემდ, ოხრიდა ყოველი იგი ქალაქი მათ ზედა და თქუეს: ..უკუეთუ ნანდჳლ ნოომინ არს ესე?!" 20. და ჰრქუა მათ: ..ნუ მრქჳთ მე ნოომინ, არამედ მარქუთ მე სიმწარჱ, რამეთუ განამწარა ძლიერმან ჩემ ზედა. 21. რამეთუ მე სავსე წარვედ და ცალიერი მომაქცია მე უფალმან. რაჲსათჳს მრქუათ მე ნოომინ? და უფალმან დამამდაბლა მე და ძლიერმან ბოროტი მიყო მე". 22. და მოიქცა ნოომინ და მოვიდა და რუთ მოაბელი, ძისცოლი მისი, მის თანა, მოვიდოდეს ქუეყანით მოაბისაჲთ. და ესენი მოვიდეს ბეთლემდ დასაბამსა ოდენ მკისა ქრთილისასა.

2

1. და ნოომინის ქმრისაჲ იყო კაცი მეცნიერი, და კაცი ესე იყო ძლიერ ძალითა ნათესავისაგან ელემელექისა და სახელი მისი ბოოს. 2. და ჰრქუა რუთ მოაბელმან

ნოომინს: „განვედ ველად და ვკრიბო თავი კუვილისაჲ შემდგომად, სადაცა ვპოვო მადლი წინაშე თუალთა მისთა“. და ჰრქუა მას ნოომინ: „განვედ, ასულო“. 3. და განვიდა და მივიდა და შეკრიბა თავი კუვილისაჲ ყანასა შინა შემდგომად მომკალთა-სა. და მიემთხუა იგი მიმთხუევით ნაწილსა მას ყანასა ბოოსისსა, რომელი-იგი იყო ნათესავისაგან ელიმელექისა. 4. და, აჰა, ესერა, ბოოს მივიდა ბეთლემით და ჰრქუა მომკალთა მათ: „უფალი თქუენ თანა!“ და მათ ჰრქუეს: „გაკურთხენ შენ უფალმან!“ 5. და ჰრქუა ბოოს მონასა მას მისსა, ზედამდგომელსა მას მომკალთასა: „ვინ არს ჭა-ბუკი ესე?“ 6. მიუგო მონამან მან, რომელ-იგი ზედაადგა მომკალთა მათ, და ჰრქუა ბოოსს: „დედაკაცი ესე არს მოაბელი, რომელი მოვიდა ქუეყანით მოაბისაჲთ, 7. და თქუა: „ვკრიბო თავი და შევიკრიბო მჭელეულსა მომკალთა შემდგომად“, და მოვიდა და დაადგრა განთიადითგან ვიდრე აქამომდე და არა განისუენა მცირედცა ყანასა ამას შინა“. 8. და ჰრქუა ბოოს რუთს: „შენ გეტყჳ, ასულო: ნუ წარხუალ კრებად სხჳსა ყანასა და ნუცა განეშორები, არამედ აქა შეეყავ მკევალთა ჩემთა თანა, 9. და თუალნი შენნი ეგნენ ყანასა ამას, სადა მკიდენ, შეუდეგ მათ. აჰა, ესერა, მიბრძანებიეს მონათა ჩემთა, რაჲთა არას გეტყოდიან შენ. და ოდეს გწყუროდის, მიხვდე ჭურჭრად და ჰსუა, ვინაიცა სუან მონათა ჩემთა“. 10. და დავარდა რუთ პირსა ზედა თჳსსა და თაყუანის-სცა მას ქუეყანასა ზედა, და ჰრქუა მან ბოოსს: „რაჲ არს, რამეთუ ვპოვე მადლი წინაშე თუალთა შენთა, და მიცან მე? და მე ვარ უცხოჲ“. 11. მიუგო მას ბოოს და ჰრქუა: „თხრობით მითხრეს მე, რავდენი უყავ დედამთილსა მას შენსა შემდგომად სიკუდილისა მის ქმრისა შენისა, და დაუტევე მამაჲ შენი და დედაჲ შენი და ქუეყანაჲ, საშობაჲ შენი, და მოხუედ ერისა, რომელ არა იცოდე შენ გუშინ და ძუღუან. 12. მოგაგენ შენ უფალმან საქმისა წილ შენისა და იყავნ სასყიდელი შენი სავსებით უფლისა მიერ, ღმრთისა ისრაჱლისა, რომლისა მოხუედ სასოებად ქუეშე ფრთეთა მისთა“. 13. ხოლო მან ჰრქუა: „მიპოვნიესმცა მადლი წინაშე შენსა, უფალო, რამეთუ ნუგეშინის-მეც მე და ეტყოდე გულსა მკევლისა შენისასა, და მე ვიყო ამიერითგან ვითარცა ერთი მკევალთა შენთაგანი“. 14. ჰრქუა მას ბოოს: „ჟამსა პურის-ჭამისასა მოვედ აქა და ჭამე პური და დაწო პური შენი ძმარსა“. და დაჯდა რუთ ერთკერძო მომკალთა მათ და შეუსუარა მას ბოოს ჯალი და მისცა, და ჭამა და განძღა. 15. და აღდგა კრებად თავისა და ამცნო ბოოს მონათა თჳსთა და ჰრქუა: „რაჲთა მჭელეულსაცა შორის იკრიბოს თავი და ნუ ჰკდემთ მას, 16. არამედ თავს-დებით თავს-იდევით ეგე და მისცით მას საჭმლისაგან თქუენისა და უტეევთ იგი, ჭამდეს და კრებდეს თავსა და ნუ ჰრისხავთ მაგას“. 17. და კრიბა ყანასა მას შინა ვიდრე მწუხრადმდე და გამოწმიდა, რომელი-იგი შეეკრიბა, და იყო სათეული ერთ ქრთილი იგი. 18. და აღიღო და შევიდა ქალაქად. და იხილა იგი დედამთილმან მისმან, რომელი-იგი შეეკრიბა, და გამოიღო რუთ და მისცა მას, რომელი-იგი დაუშთა ნეშტი, რომლისაგან განძღა. 19. და ჰრქუა დედამთილმან მისმან: „სადა ჰკრიბე შენ, ასულო, დღეს და სადა ჰყავ ესოდენი ესე? კურთხეულმცა არს, რო-მელმან-იგი გიცნა შენ“. და უთხრა რუთ დედამთილსა თჳსსა, სადა-იგი კრიბა, და უთხრა სახელი კაცისაჲ მის: „რომლისა თანა ვკრიბე დღეს, ჰრქჳან ბოოს“. 20. ჰრქუა ნოომინ ძისცოლსა თჳსსა: „კურთხეულ იყავნ კაცი იგი უფლისა მიერ, რამეთუ არა დაუტევა წყალობაჲ მისი ცოცხალთა თანა და მკუდართა თანა“. და ჰრქუა ნო-ომინ: „მახლობელ არს კაცი იგი ჩუენდა და ნათესავცა არს ჩუენდა“. 21. ჰრქუა რუთ დედამთილსა თჳსსა: „და მრქუაცა მე, ვითარმედ შეეყავ მკევალთა ჩემთა, ვიდრემდე დასრულონ ყოველი სამკალი, რავდენიცა არს ჩემი“. 22. და ჰრქუა ნოომინ რუთს,

ძისცოლსა თუსსა: „კეთილ, ასულო, რამეთუ განხუედ მკევალთა მისთა თანა და არა მიხუედ შენ სხჳსა ყანასა“. 23. და შეეყო რუთ მკევალთა ბოოსისთა კრებად თავისა, ვიდრემდე დასრულეს მკაჲ ქრთილისაჲ, და შევიდა რუთ და იყოფოდა დედამთილისა თჳსისა თანა.

3

1. ჰრქუა ნოომინ რუთს: „ასულო, აწ არამედ გიძიო შენ განსუენებაჲ, რაჲთა კეთილი გეყოს შენ? 2. და, ეგერა, ბოოს მეცნიერი ჩუენი არს, სადა-იგი მკევალთა მისთა თანა იყავ შენ, და იგი შეკრებს ქრთილსა კალოსა თჳსსა ამას ღამესა. 3. და შენ იბანე და იცხე და შეიმოსე სამოსელი თჳსი და აღვედ შენ კალოდ მისა და ნუ გამოეცხადები შენ კაცსა მას ვიდრე აღსრულებადმდე ჭამისა, და დაწევ ფერჯთა თანა მისთა. 4. დაწევს იგი, დაისწავლე ადგილი იგი, სადა დაწევს იგი მუნ და მივედ მახლობელად მისა და დაწევ ფერჯთა თანა მისთა და მან გითხრას შენ, რაჲ-იგი ჯერარს ყოფად შენდა“. 5. ჰრქუა რუთ დედამთილსა თჳსსა: „ყოველივე, რაჲცა მრქუა, ვყო“. 6. და აღვიდა იგი კალოდ მისა და ყო ეგრე, ვითარცა ამცნო დედამთილმან მისმან. 7. და ჭამა ბოოს და სუა და განმხიარულდა გული მისი, და მივიდა და დაწვა იგი ზჯნსა მას წერულისა მისისასა. ხოლო რუთ მივიდა მისა ფარულად და დაწვა იგი მახლობელად ფერჯთა თანა მისთა. 8. და იყო შუაღამეს ოდენ. განიღვძა და განჰკრთა კაცი იგი და შეძრწუნდა, რამეთუ დედაკაცი წვა ფერჯთა თანა მისთა. 9. ჰრქუა მას: „ვინ ხარ შენ?“ ხოლო მან ჰრქუა მას: „მე ვარ რუთ, მკევალი შენი, და გარდამომდევ სამოსელი შენი მკევალსა შენსა, რამეთუ შენ ნათესავ ჩემდა ხარ“. 10. ჰრქუა მას ბოოს: „კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ, ასულო, რამეთუ კეთილი ჰქმენ წყალობაჲ ესე უკუანაჲსკნელი უფროჲს პირველისა, რამეთუ არა მიხუედ შენ შემდგომად ჭაბუკთა, გინა თუ გლახაკისა ვისამე, ანუ თუ მდიდრისა. 11. და აწ ნუ გეშინინ. ყოვლისაჲ, რაჲცა მრქუა, ვყო შენთჳს, რამეთუ იცის ყოველმან ნათესავმან ერისა ჩემისამან, რამეთუ დედაკაცი ძლიერებისაჲ ხარ შენ. 12. და აწ ჭეშმარიტად ნათესავ ვარ მე, არამედ არს სხუაჲ ნათესავი უმახლობელᲘსი ჩემსა. 13. იყავ ამას ღამე და იყოს ხვალისაგან: უკუეთუ გითჳსოს შენ, თჳს-გეყავნ შენ, უკუეთუ არა უნდეს თჳსობაჲ შენი, თჳს-გიყო მე. ცხოველ არს უფალი!“ და დაწვა იგი ვიდრე განთიადმდე. 14. და დაიძინა ფერჯთა თანა მისთა ვიდრე ხვალისადმდე. და აღდგა იგი უადრᲘს, ვიდრემდე იცნას კაცმან მოყუასი თჳსი. და თქუა ბოოს: „ნუმცა ვინ უწყის, რამეთუ მოვიდა დედაკაცი კალოსა ამას“. 15. და ჰრქუა ბოოს: „მომიპყარ მე სამოსელი შენი აქა, რომელ გმოსიეს შენ. და განჰმარტე ეგე“, ხოლო მან მიუპყრა მას. და გარდაუწყო მას ექუსი საწყაული ქრთილი და დასდვა იგი მას ზედა, და შევიდა იგი ქალაქად. 16. და შევიდა რუთ დედამთილისა თჳსისა და ჰრქუა მას: „რაჲ არს, ასულო?“ ხოლო მან უთხრა ყოველივე, რაჲ უყო კაცმან მან, 17. და ჰრქუა მას: „ექუსი ესე საწყაული ქრთილისაჲ მომცა მე და მრქუა მე: ნუ შეხუალ ცალიერი დედამთილისა შენისა“. 18. ხოლო მან ჰრქუა მას: „დაჯედ ასულო, ვიდრემდე გულისხმა-ჰყო შენ, ვითარ-იგი არა დავარდეს სიტყუაჲ, რამეთუ არა დაიდუმოს კაცმან მან, ვიდრემდე აღასრულოს სიტყუაჲ იგი დღესვე“.

1. და აღვიდა ბოოს ბჭეთა ზედა და დაჯდა მუნ. და, აჰა, ესერა, ნათესავი იგი წარმოვიდოდა, რომელისათჳს თქუა ბოოს. და ჰრქუა ბოოს: ,,მოაქციე და დაჯედ აქა საიდუმლოითა!'' და მოაქცია და დაჯდა მუნ. 2. და მოიყვანა ბოოს ათი კაცი მოხუცებულთაგანი ქალაქისათაჲ და ჰრქუა მათ: ,,დასხედით!'' და დასხდეს. 3. და ჰრქუა ბოოს ნათესავსა მას: ,,ნაწილი იგი ძმისა ჩემისა ელიმელექის ქუეყანისაჲ მიეცინ ნოომინს, რომელ-იგი მოვიდა ქუეყანით მოაბისაჲთ. 4. და მე ვთქუ, ვითარმედ ,,ვაუწყო ყურთა შენთა''. 4. და ჰრქუა მას: ,,მოუგე ამათ წინაშე, რომელნი სხენან, და მოხუცებულთა წინაშე ერისა ჩემისათა: უკუეთუ ეშვილები, ეშვილე; უკუეთუ არა ეშვილები, მითხარ მე. რაჲთა ვცნა, რამეთუ არა ვინ არს შენსა გარეშე ნათესავ და შენსა შემდგომად მე ვარ''. ხოლო მან ჰრქუა: ,,მე ვარ, ვეშვილები''. 5. და თქუა ბოოს: ,,დღესა მას, რომელსა მოიგო ქუეყანაჲ იგი ელისაგან ნოომინისა და რუთისგან მოაბელისა, ძისცოლისა მისისა, რომლისაჲ მოკუდა ქმარი, სამკჳდრებელი იგი მოიგე თავსა შენისა და იგიცა მოიყვანე თავისა შენისა, რომლისაგან აღუდგინო მკჳდრი მკუდარსა მას სამკჳდრებელსა მას მისსა ზედა''. 6. ჰრქუა ნათესავმან მან: ,,ვერ ელიმელეხების მე თავისა ჩემისა შვილებად მისა, ნუუკუე განჳრყუნე სამკჳდრებელი ჩემი. და ეშვილე შენ სამკჳდრებელსა მას ჩემსა ზედა. რამეთუ მე ვერ ძალ-მიც შვილებად''. 7. და ესე სამართალი იყო პირველად ისრაჱლსა შორის საშვილებელსა ზედა და ცვალებასა ზედა: რაჲთა დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ. განიძარცჳს კაცმან კამლი თჳსი და მისცის მოყუასსა თჳსსა, რომელი იშვილებინ საშვილებელსა თჳსსა ზედა. და ესე იყო საწამებელ ისრაჱლსა შორის. 8. და ჰრქუა ნათესავმან მან ბოოსს: ,,მიიღე თავისა შენისა საშვილებელი იგი ჩემი!'' და განიძარცუა კამლი თჳსი და მისცა მას. 9. ჰრქუა ბოოს მოხუცებულთა მათ და ყოველსა ერსა: ,,მოწამე ხართ თქუენ დღეს, რამეთუ მომიგებიეს ყოველივე ელიმელექისი და მაალონისი ელისაგან ნოომინისა 10. და რუთისა მოაბელისა. ცოლი მაალონისი მოვიგე თავისა ჩემისა ცოლად აღდგინებად სახელისა მკუდრისაჲ მის სამკჳდრებელსა მისსა ზედა, და არა აღიკოცოს სახელი მკუდრისაჲ მის ძმათაგან მისთა და ტომთაგან ადგილისა მისისათა. მოწამეცა ხართ თქუენ დღეს''. 11. მიუგო ყოველმან ერმან, რომელნი სხდეს ბჭეთა ზედა, და თქუეს: ,,მოწამე ვართ''. და მოხუცებულთა მათ ჰრქუეს: ,,მოეცინ უფალმან ცოლსა მას შენსა, რომელი შეეალს სახლსა მას შენსა, ვითარცა რაქელს და ვითარცა ლიას. რომელ აღაშჱნეს ორთავე მათ სახლი ისრაჱლისაჲ და ყვეს ძალი ეფრათას და წოდებად სახელი ბეთლემს. 12. და იყავნ სახელი შენი, ვითარცა სახელი ფარეზისი, რომელი უშვა თამარ იუდას ნათესავისაგან შენისა შვილი''. 13. და მოიყვანა ბოოს რუთ და იყო მისა ცოლად. და შეეიდა მისა და მოსცა მას უფალმან მიდგომილებაჲ და შვა ძჱ. 14. და ეტყოდეს დედანი იგი ნოომინს და ჰრქუეს: ,,ეურთხეულ არს უფალი, რომელმან დაგამტკიცა შენ დღეს შვილებაჲ წოდებად სახელი შენი ისრაჱლსა შორის. 15. და იყოს იგი შენდა მოსაქცეველ სულისა და გამომზრდელ სიბერესა შენსა რამეთუ სძალმან შენმა შვა ძჱ, რომელ უმჯობჱს არს იგი შენდა შჳდთა ძეთა''. 16. და მოიქუა ნოომინ ყრმაჲ იგი და დასუა წიაღთა თჳსთა და ექმნა მას მპოხელ. 17. და უწოდეს მას მოძმეთა სახელი და თქუეს: ,,ესუა ძჱ ნოომინს''. და უწოდეს სახელი მისი იობედ. ესე არს მამაჲ იესესი, მამისა დავითისი. 18. და ესე არიან შობანი ფარეზისნი: 19. ფარეზ შვა არამ, არამ შვა ამინაბად. 20. ამინადაბ შვა ნაასონ, ნაასონ შვა სალმუნ, 21. სალმუნ შვა ბოოს, ბოოს შვა იობედ. 22. და იობედ შვა იესე და იესე შვა დავით. მეფჱ დიდი, გამორჩეული.

1

2. ამბორს-მიყავ[ნ] მე ამბორის-ყოფითა პირისა მისისაᲗთა. რამეთუ უმჯობᲔს არიან ძუძუნი შენნი უფროს ღჳნისა. 3. და სულნელებაᲗ ნელსაცხებელთა შენთაᲗ უფროს ყოველთა სულნელებათა. ნელსაცხელებელ წარმოცალიერებულ სახელი შენი, ამისთჳს ქალწულთა შეგიყუარეს შენ. 4. მიგიზიდეს შენ. შემდგომად შენსა სულნელად ნელსაცხებელისა შენისა ვრბიოდეთ. ქალწულთა სძალი უთხრობს, რაᲗ-იგი მიანიჭა მას დედამან: ..შემიყვანა მე მეფემან საუნჯესა თჳსსა. ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ შენდამი". სძალი უთხრობს ქალწულთა და Ჰრქუეს: ..შევიყუარენ ძუძუნი შენნი უფროს ღჳნისა. სიწრფოებამან შეგიყუარა შენ". — ქალწულნი სიძესა უკმობენ სახელსა. 5. შავ ვარ და შუენიერ. ასულნო იერუსალᲔმისანო. ვითარცა საყოფელნი კედრისანი და ვითარცა კარავი სოლომონისი. 6. ნუ მხედავთ მე. რამეთუ დაშავებულ ვარ. რამეთუ უგულებელს-მყო მე მზემან. ძენი დედისა ჩემისანი მლალვიდეს მე. დამადგინეს მე მცველად ვენაკოვნისა. საკენაკᲔ ჩემი არა დავიცევ". 7. სძალი სიძესა ეტყჳს: ..მითხარ მე. რომელი შეგიყუარა სულმან ჩემმან. სადა ᲰᲬყსი. სადა დააწვინნი შუასამხრის? ნუუკუე იქმნე შენ. ვითარცა ვინ მოიცავᲔ კოლტსა სხუათასა? 8. უკუეთუ არა იცნა თავი შენი. კეთილო დედათა შორის. განვედ შენ კუალსა სამწყოსთა შენთასა. დამწყსენ თიკანნი შენნი საყოფელსა მწყემსთასა. 9. საკედარსა ჩემსა ეტლთა შინა ფარაოᲜისთა გამსგავსე. მახლობელო ჩემო. 10. განშუენდეს ღაწუნი შენნი. ვითარცა გურიტისანი. ყელი შენი. ვითარცა მძივი დაცუმული. 11. ქმნულებასა ოქროᲜისასა გამსგავსოთ შენ და წულილად დაცუმულსა ვეცხლსა. 12. და მოგასხნეს ჯელნი მეუფემან. სძალი თავისათჳს და სიძისათჳს — იტყჳს: ..ნარდიონმან ჩემმან გამოსცეს სულნელებაᲗ თჳსი. 13. შეკრული შტახში — ძმისწულაკი ჩემი ჩემდა: შორის სასძეურთა ჩემთა განისუენოს. 14. ტევანი გამობუტკოვის. ძმისწული ჩემი ჩემდა. შორის ვენაკოვანსა გადისასა". 15. სიძᲔ სძლისა მიმართ იტყჳს: ..აჰა. ეგერა. შუენიერ ხარ. მახლობელო ჩემო. აჰა. ეგერა. თუალნი შენნი შუენიერ. ვითარცა ტრედისანი. 16. აჰა. ესერა. კეთილ ხარ. ძმისწულო ჩემო. ცხედარსა ჩემსა ზედა საგრილი. 17. მოსელნი სახლისა ჩემისანი — ნაძჳსანი და მენანი — სროᲜსანი".

2

1. სიძᲔ თავისათჳს და სძლისათჳს იტყჳს: ..მე — ყუავილი ველისაᲗ. შროშანი ღელეთაᲗ. 2. და ვითარცა შროშანი შორის ეკალთა. ესრეთ არს მახლობელი ჩემი შორის ასულთა; 3. ვითარცა ვაშლი შორის ხეთა ნარისათა. ესრეთ არს ძმისწული ჩემი შორის ძეთა. საგრილსა ქუეშე მისსა გულმან მითქუა და დავჯედ; და ნაყოფი მისი ტკბილ არს სასასა ჩემსა". 4. ქალწულთა სძალი ეტყჳს: ..შემიყვანეთ მე სახლსა ღჳნისასა. განაწესეთ ჩემ ზედა სიყუარული. 5. დამამტკიცეთ მე სულნელებითა საცხებელთაᲗთა. გარემომასხთ მე ვაშლი. რამეთუ დაწყლულ ვარ მე სიყუარულითა". 6. სიძᲔ სძალსა ეტყჳს: ..მარცხენᲔ მისი თაჳსა ჩემსა ქუეშე და მარჯჳენემან მისმან შემიწყნაროს მე. 7. გაფუცებ თქუენ. ასულნო იერუსალᲔმისანო. ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა. რაჟამს აღდგეს. განაღჳძეთ სიყუარული. რაჟამსცა უნდეს. 8. კმაᲗ ძმისწულისა ჩემისაᲗ: ..აჰა. ესერა. მოვალს ხლდომით მთათა ზედა და მორბის ბორცუთა ზედა. 9. მსგავს არს ძმისწული ჩემი ქურციკსა და ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა ბეთელისათა". სძალი ქალწულთა სიძისათჳს აუწყებს: ..აჰა. ეგერა. ესე შინაგან ზღუდესა ჩუენსა. და იხედავს სარკუმლით გამო შინაგან არდაგთა". 10. მომიგებს

ძმისწული ჩემი და მეტყჳს: ..აღდეგ. მოვედ. შუენიერო ჩემო. ტრედო ჩემო. 11. რამეთუ. აჰა. ზამთარი წარკდა. წჳმაჲ დასცხრა. წარვიდა. 12. ყუავილი გამოჩნდა ქუეყანასა. ჟამი სხლვისაჲ მოიწია. კმაჲ გურიტისაჲ ისმა ქუეყანასა ჩუენსა. 13. ლეღუმან გამოუტეეა ყუავილი თჳსი. ვენაკნი ჩუენნი ყუავიან. მოჰსცეს სულნელებაჲ თჳსი". სიძჱ სძალსა ეტყჳს: ..აღდეგ. მოვედ, მახლობელო ჩემო, ტრედო ჩემო". 14. საგრილსა მას ქუეშე კლდისასა, მახლობელად ზღუდესა მას. მიჩუენე მე პირი შენი და მასმინე კმაჲ შენი. რამეთუ ტკბილ არს კმაჲ შენი სმენად და პირი შენი შუენიერ ხილვად". 15. ქალწულთა სიძჱ ეტყჳს: ..მიპყართ ჩუენ მელები მცირჱ, განმრყუნელი ვენაკთაჲ, ვენაკნი ჩუენნი ყუავიან. 16. ძმისწული ჩემი ჩემდა და მე — მისდა, რომელი ჰმწყსი შროშანთა შოვრის. 17. ვიდრემდე წარკდეს დღჱ და მოვიდეს აჩრდილი. მოიქეც და ემსგავსე შენ. ძმისწულო ჩემო. ქურციკსა, ანუ ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა სულნელთა.

3

1. სარეცელთა ჩემთა ზედა ღამე ვეძიებდ, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან. 2. ვხადოდე მას და არა კმა-მცა მე. ვეძიებდ მას და არა ეპოვე იგი. 3. მპოვეს მე მცველთა, რომელნი მოპვლიდეს ქალაქსა. ნუთუ ჰპოვეთ, რომელი უყუარს სულსა ჩემსა? 4. ვითარცა კნინ წარვლე მათგან, ვპოვე იგი, რომელი უყუარს სულსა ჩემსა". პოვა სძალმან სიძჱ და თქუა: ..შევიპყარ იგი და არა განუტეო, ვიდრემდის შევიყვანო იგი სახიდ დედისა ჩემისა და საუნჯეთა მშობელისა ჩემისათა. 5. გაფუცებ თქუენ, ასულნო იერუსალჱმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა. უკუეთუ აღადგინოთ და განაღვძოთ, რაჟამსცა უნდეს". 6. სიძჱ სძალსა ჰკითხავს: ..ვინ არს ესე. მომავალი უდაბნოთ. აღმაღლებული. ვითარცა კუამლი საკუმეველთაჲ? ზმური და გუნდრუკი და ყოველი შეზავებული ნელსაცხებელისმოქმედთაჲ." 7. ქალწულთა ესე თქუეს: ..აჰა. ესერა. ცხედარი სოლომონისი და სამეოცნი ძლიერნი გარემო მისა ძლიერთაგან ისრაჱლისათა. 8. ყოველთა მახვლი ჴელთა. წურთილნი ღუაწლსა. კაცად-კაცადსა ბარკალთა თანა შიშისათჳს ღამისაჲსა. 9. გავალაკნი ქმნნა სოლომონ მეფემან ძელთაგან ლიბანისათა. 10. სუეტნი შეექმნნა ვეცხლისანი. კამარად დრეკილი მისი — ოქროჲსაჲ. საჯდომელი მისი — ძოწეულისაჲ. იატაკი მისი — ანთრაკ ლესულ სიყუარულისაგან ასულთა იერუსალჱმისათა. 11. განვედით და იხილეთ მეფჱ სოლომონ, მიჰხედეთ გჳრგჳნსა მას მისსა. რომელი-იგი დაადგა მას დედამან მისმან დღესა სიძობისა მისისასა და დღესა სიხარულისა მისისასა".

4

1. სიძემან ეგრე თქუა: ..აჰა, ეგერა, სდგა, მახლობელო ჩემო: აჰა. ეგერა. სდგა. შუენიერო ჩემო, თუალნი შენნი ტრედისანი, გარეშე დუმილისა მაგის შენისა; თმაჲ შენი — ვითარცა არვე თხათაჲ. რომელნი გამოჩნდეს ედომით. 2. კბილნი შენნი — ვითარცა არვჱ მორისულთაჲ. აღმომავალი საბანელით. ყოველნი ორთმსხმელნი და ბერწი არა არს მათ შოვრის. 3. მეწამულ ბაგენი შენნი. ვითარცა ძოწით ღებულნი. გარდანაღები ერთი ქსლისაჲ და სიტყუაჲ შენი შუენიერ. ვითარცა ნაქურცენი მრეწეულისაჲ. საკეთენი შენნი გარეშე დუმილისა მაგის შენისა: 4. ვითარცა გოდოლი დავითისი — ყელი შენი, ათასი ფარი დამოკიდებული მას ზედა და ყოველი ისარი ძლიერთაჲ. 5. ორნი ძუძუნი შენნი. ვითარცა თიკანნი მარჩჩენი ქურციკისანი. რომელნი ძოვედ შოვრის შროშანთა. 6. ვიდრე დღისა შერიჟეუბამდე და აჩრდილთა შეძრვად მე თჳთ მივიდე მთასა მურისასა და ბორცუსა ლიბანისასა. 7. ყოვლად შუ-

ენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, და ბიწი არა არს შენ თანა. 8. მოვედ, სძალო, ლიბანით აქა, მოვედ გუნდრუკოვნით და მოხვდე, წარმოჰვლო თავსა ზედა არეთასა, თხემსა ზედა სანირისსა და ერმონისსა საყოფელთაგან ლომთაჲსა და მთათაგან ვეფხთაჲსა. 9. გუასურვე ჩუენ, დაო ჩუენო, სძალო, გული. გუალმე ჩუენ ერთითა ყელისსაბმელითა მძივისა შენისაჲთა. 10. განშუენდეს ძუძუნი შენნი, დაო ჩემო, სძალო. რავდენ შუენიერ არიან ძუძუნი შენნი ღვინისაგან და სული სამოსლისა შენისაჲ უმეტჳს საკუმეველთა ყოველთა. 11. თაფლი დამოსწუთის ბაგეთა შენთა, დაო ჩემო, სძალო, თაფლი და სძჳ ქუეშე ენასა შენსა და სული სამოსლისა შენისაჲ, ვითარცა სული გუნდრუკისაჲ. 12. მოკრძალულ არს დაჲ ჩემი, სძალი, მტილი მოკრძალული, წყარო დაბეჭდული. 13. მოციქულებაჲ შენი — სამოთხე ნაყოფიერ, ხე ხილოვან. კკარი ნარდიონითურთ. 14. ნარდიონი და ქურქუმაჲ, საკუმეველი, ლერწამი და კინამოჲ ყოვლით ხითურთ ლიბანისაჲთ, ზმური და ალოჲ ყოვლითურთ პატიოსნით საკუმეველით. 15. წყარო სამოთხის და თავ წყარო ცხოველის, გამომავალი ლიბანით. 16. განიღვძე, სამხარო, და მოვედ, ბღუარო. მოპბერე მტილსა ჩემსა და გამოუტევე სულნელებაჲ საკუმეველთა ჩემთაჲ. შთაკედინ ძმისწული ჩემი მტილსა თჳსსა და ჭამენ ნაყოფთაგან თჳსთა.

5

1 შევედ მტილსა ჩემსა, დაო ჩემო, სძალო! მოვწილე ზმური საკუმეველითურთ ჩემით, ჭამე პური ჩემი თაფლითა ჩემითა და ვსუ მე ღვინოჲ ჩემი სძითა ჩემითა". მოყუასთა მათ სიძჳ ეტყჳს: „ჭამეთ, მოყუასნო, და სუთ და დაითრვენით, ძმისწულნო ჩემნო. 2. მე ძძინავს, და სულსა ჩემსა ჰღვძავს". სძალი აგრძნობს სიძისა რეკასა კარისასა და იტყჳს: „კმაჲ ძმისწულისა ჩემისაჲ ჰრეკს კარსა, განაღე, ძმისწულო ჩემო, ტრედო ჩემო, სძალო ჩემო! თავი ჩემი აღივსო ცუარითა ღამისაჲთა. 3. განვიძარცუე სამოსელი ჩემი, ვითარმე შევიმოსო იგი? დავიბანენ ფერკნი ჩემნი, ვითარრაჲ შევაგინნე იგინი? 4. ძმისწულაკმან ჩემმან მოყო კელი სარკუმლით გამო და მუცელი ჩემი აღიძრა მას ზედა. 5. აღვდეგ მე განღებად კარისა ძმისწულისა ჩემისა. კელთა ჩემთა დასწუთა ზმური, თითთა ჩემთა ზმური სავსე კელთა ზედა საკსველისათა. 6. განუღე მე ძმისწულსა ჩემსა. დისწული ჩემი წარვიდა ჩემგან და სული ჩემი განვიდა სიტყუასა მისსა. ვეძიებდ მას და არა ვპოვე იგი. ვხადოდ მას და არა მომიგო მე. 7. მპოვეს მე მცველთა, რომელნი მოჰვლიდეს ქალაქსა, მცეს მე და მწყლეს მე. მიმიღეს სამოსელი ჩემი ჩემგან მცველთა ზღუდისათა. 8. გაფუცებ თქუენ, ასულნო იერუსალჳმისანო, ძალთა და ძლიერებათა ველისათა, უკუეთუ ეპოვოთ დისწული ჩემი, რაჲ უთხრათ მას? რამეთუ დაწყლული სიყუარულისაჲ ვარი მე. 9. რაჲ არს დისწული შენი დისწულისაგან, კეთილო დედათა შორის? რაჲ არს დისწული შენი დისწულისაგან, რამეთუ ესრჳთ მაფუცებ ჩუენ?" 10. სძალი ეტყჳს: „დისწული ჩემი მწყაზარ და მწითურ, გამორჩეულ შობითგან ბევრეულთა; 11. თავი მისი — ოქროსა ოფაზისაჲ, კოწოლნი მისნი, ვითარცა ხჳ დანაკისკუდისაჲ, შავ, ვითარცა ყორანი; 12. თუალნი მისნი, ვითარცა ტრედისანი, სავსებასა ზედა წყალთასა; 13. ღაწუნი მისნი, ვითარცა ფიალნი სულნელთანი, რომელნი აღმოაცენებენ ნელსაცხებელსა გბოლვილსა; ბაგენი მისნი, ვითარცა შროშანნი, წუთოდიან სანელსაცხებლეთა საგბოლველთა; 14. კელნი მისნი — ოქროსანი, წახნაგებულ, სავსე ოქროთა თარშისაჲთა: მუცელი მისი, ვითარცა პილოსძულისაჲ, ლესულ თუალთაგან საფიროვნისათა; 15. წკვნი მისნი მარმარინოჲსანი, დამტკიცებულ ზედა სადგომელთა ოქ-

როისათა: ხილვაჲ მისი, ვითარცა ლიბანსჰ და ვითარცა ნაძჳ რჩეული: 16. კორეი მისი — სავსჰ სიტკბოებითა და ყოვლად საწადელ. ესე არს ძმისწული ჩემი, ასულნო იერუსალჵმისანო". 17. ასულნი ჰკითხვენ: „ვიდრე ვიდა ძმისწული შენი, შუენიერო დედათა შორის? ვიდრე მიიმართა ძმისწულმან? და ვიძიოთ იგი შორის შენსა".

6

1. მიუგებს სძალი: „ძმისწული ჩემი შთავიდა მტილსა თჳსსა წედთა მათ საკუ-მეველთასა მწყსად შორის მტილსა და დაკრებად შროშნისა. 2. მე ძმისწულისა ჩემისა და ძმისწულაკი ჩემი ჩემდა, რომელი ჰმწყსი შორის შროშანთა. 3. კეთილ ხარ, მახლობელო ჩემო, ვითარცა სათნოჲ, შუენიერ, ვითარცა იერუსალჵმი, საკჳველ, ვითარცა დაწესებულნი. 4. მარიდენ თუალნი შენნი წინაშე ჩემსა, რამეთუ მაგათ აღმაფრინეს მე. თმაჲ შენი, ვითარცა სამწყსოჲ თხათაჲ, რომელნი გამოჩნდეს გა-ლადთ; 5. კბილნი შენნი, ვითარცა არჵ მორისულთაჲ, აღმომავალი საბანელითა, ყოველნი ორთმსხმელ და ბერწი არა არს მათ თანა; 6. მეწამულ ბაგენი შენნი, ვი-თარცა ძეწჯთ ღებულნი, გარდანაღები ერთი ქსლისაჲ და სიტყუაჲ შენი შუენიერ, ვი-თარცა ნაქურცენი მრეწეულისაჲ, საკეთენი შენნი გარეშე დუმილისა მაგის შენისა. 7. სამეოცნი არიან დედუფალნი და ორმეოცნი ხარჭნი. 8. ერთ არს ტრედი ჩემი, სძალი ჩემი, ერთ არს დედისა თჳსისაჲ. იხილეს იგი ქალწულთა და ჰნატრიდეს მას და დედუფალთა და ხარჭთა აქეს იგი. 9. ვინ არს ესე. რომელი აღმოვალს, ვითარცა ცის-კარი, შუენიერ. და, ვითარცა მთოვარჵ, რჩეულ. ვითარცა მზისთუალი, საკჳველად განწესებულ?" 10. სიძემან თქუა: „მტილსა ნიგუზოვანსა შთავჳედ მიხედვად ნაყოფთა წყაროთასა ხილვად, თუ ყუავიან მროწეულნი. ანუ თუ წარმოუტევებიეს ნაძუსა". სძალი სიძესა ეტყჳს: „მუნ მიგცნე შენ ძუძუნი ჩემნი. 11. და დამდვა მე. ვითარცა ეტლი ამინადაბისი. არა ცნა სულმან ჩემმან".

7

1. ქალწულთა და დედუფალთა ეტყჳს სიძჵ: „რაჲ იხილოთ უდულამელის თა-ნა, რომელი მოვალს, ვითარცა გუნდი ბანაკთაჲ?" 2. სიძჵ სძალსა ეტყჳს: „ვითარ შუენიერ არს სლვაჲ შენი, ასულო [ამი]ნადაბისო? ჟამიერად ქმნული მუჴლთა შენთაჲ მსგავს არს მძივთა დაცუმულთა, საქმჵ ჴელოვნისაჲ: 3. უპე შენი — ტაკუკ წახ-ნაგებულ. მოუკლებელ, ზავებულ: მუცელი შენი, ვითარცა ხუავი იფქლისაჲ, გარე-მოცეული შროშნითა; 4. ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი მარჩიენი ქურციკისანი; 5. ყელი შენი, ვითარცა გოდოლი პილოჲსძუალისაჲ: თუალნი შენნი, ვითარცა ტბანი ესებონისანი, ბჭეთა ასულთა შორის მრავალთა; ცხვრნი შენნი, ვი-თარცა გოდოლი ლიბანისაჲ პირისპირ დამასკისა; 6. თავი შენი შენ ზედა, ვითარცა კარმელი; თხზული თავისა შენისაჲ, ვითარცა ძოწეული, ვითარცა მეფჵ შარავან-დადგმულ ასპარეზსა. 7. რავდენ შუენიერ ხარ და რავდენ დასტკბნი, სიყუარულო, ფუფუნებასა შინა! 8. ემსგავსა სიმაღლჵ შენი ფინიკსა და სასძეურნი შენნი ტევანთა მისთა. 9. და ვთქუ: „აღვკედ ფინიკსა ამას და შებმა-უყო სიმაღლესა მისსა. იყვნედ ძუძუნი შენნი, ვითარცა ტევანნი ვენაკსა, და სული ღრძილთა შენთაჲ. ვითარცა ვაშ-ლი; 10. და სასაჲ შენი, ვითარცა ღჳნოჲ სულნელი". სძალი ეტყჳს: „მიხუალ კუალსა ძმისწულისა ჩემისასა სიწრფოებითი, მყოფ არს ბაგეთა ჩემთა და კბილთა. 11. მე ძმის-წულისა ჩემისა და ჩემდა მოქცევაჲ მისი. 12. მოვედ. ძმისწულო ჩემო, და განვიდეთ აგარაკად, ვიყოფვოდით დაბნებსა: 13. აღვიმსთოთ ვენაკებად, ვიხილოთ, თუ ყუავიან ვენაკნი, ანუ თუ წარმოეტეოს ნაძუსა, ანუ თუ ყუავოდის მროწეული. მუნ მიგცნე

ძუძუნი ჩემნი შენ. 14. გამოსცეს სულნელებაჲ თჳსი მანდრაგორთა და კართა ჩუენთა თანა ყოველთა ხეთა ხილოვანთა ახალი ძუელისა თანა რომელი მომცა მე დედამან ჩემმან, ძმისწულო ჩემო, დაგიმარხო შენ.

8

1 ვინ მოჰსცნა ძმისწულსა ჩემსა წოვნად ძუძუნი დედისა ჩემისანი, გპოვე შენ გარე, შეგიყუარე შენ და არა ვინ მგმოს მე. 2. შეგიპყრა და შეგიყვანო შენ სახიდ დედისა ჩემისა და საუნჯეთა მშობელისა ჩემისათა. გასუა შენ ღჳნოჲ ნელსაცხებლისმგბოლველთაჲ, მიგიპყრა შენ კაწახი მროწეულთა ჩემთაჲ. 3. მარცხენჲ მისი თაჳსა ჩემსა ქუეშე და მარჯუენჲ მისი შემემთხჳოს მე. 4. გაფუცებ თქუენ, ასულნო იერუსალჲმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა, რაჟამს აღსდგეთ, განაღჳძეთ სიყუარული, რაჟამს უნდეს". 5. ასულთა და დედოფალთა სიძესა ჰრქუეს: „ვაშლსა ქუეშე განგაღჳძე შენ. ვითარცა სიკუდილი, სიყუარული. ფიცხელ არს, ვითარცა ჯოჯოხეთი, შური; ფრთენი მისნი — ფრთენი ცეცხლისანი, ალისა მისისანი. მუნ ელმოდა შენთჳს მშობელსა შენსა, 6. რამეთუ მძლავრ არს, 7. წყალნი მრავალნი ვერ შემძლებელ არიან დაშრეტად სიყუარულისა და მდინარეთა ვერ წარღუნენ იგი. უკუეთუ მოჰსცეს კაცმან ყოველივე ცხოვრებაჲ თჳსი სიყუარულსა, შეურაცხებით შეურაცხ-ყონ იგი" 8. ასულნი იერუსალჲმისანი ამას იტყჳან: „დაჲ ჩუენი მცირე არს და ძუძუნი არა ასხენ, რაჲმე უყოთ დასა ჩუენსა დღესა მას, რომელსა ჰრქუას მას სიტყუაჲ? 9. უკუეთუმცა ზღუდჲ იყო, გამო-მცა-ვხატეთ ფიცრითა ნაძჳსაჲთა". 10. სძალი განცხადებულად იტყჳს: „უშჲნენითმცა არდაბაგნი ვეცხლისანი, ანუ თუ კარი იყო, მე ზღუდე ვარ და ძუძუნი ჩემნი, ვითარცა გოდოლნი. მე ვიყავ წინაშე თუალთა მისთა, რომელი ვჰპოვებდი მშჳდობასა. 11 ვენაკი იყო სოლომონისი ბელამონს და მოჰსცა ვენაკი იგი მცველთა. კაცმან მან მოართუას ნაყოფითა თჳსითა ათასი ვეცხლისაჲ. 12. ვენაკი ჩემი არს წინაშე ჩემსა. ათასეული სოლომონს და ორასი მცველთა ნაყოფისა მისისათა". 13. სძალი იტყჳს: „რომელი ჰზი მტილებსა შინა, მოყუასნი გელიან, ჰმაჲ შენი მასმინე. 14. ივლტოდე, დისწულო ჩემო, და ემსგავსე ქურციკსა, ანუ ნუკრსა ირემთასა მთათა ზედა სულნელთასა".

ფსალმუნნი

88

2. წყალობათა შენთა, უფალო, უკუნისამდე უგალობდე. თესლითი თესლამდე მიუთხრობდე ჭეშმარიტებასა შენსა პირითა ჩემითა. 3. რამეთუ სთქუ: სოფელი წყალობით აღვაშენო და ცათა შინა განვმზადო ჭეშმარიტებაჲ ჩემი; 4. ვყავ აღთქუმაჲ რჩეულთა ჩემთა თანა და ვფუცე დავითს, მონასა ჩემსა; 5. უკუნისამდე განვამტკიცო ნათესავი მისი და აღვაშენო თესლითი თესლამდე საყდარი მისი. 6. აღგიარებენ ცანი საკჳრველებასა შენსა, უფალო, და ჭეშმარიტებასა შენსა ეკლესიასა შინა წმიდათასა. 7. ვინ არს ღრუბელთა შინა, რომელი ესწოროს უფალსა? ანუ ვინ ემსგავსოს უფალსა ძეთაგანი ღმრთისათაჲ? 8. ღმერთი დიდებულ არს ზრახვასა შინა წმიდათასა, დიდ არს და საშინელ მათ ზედა, რომელნი არიან გარემოჲს მისა. 9. უფალო ღმერთო ძალთაო, ვინ გემსგავსოს შენ? ძლიერ ხარ შენ, უფალო, და ჭეშმარიტებაჲ შენი გარემო არს შენსა. 10. შენ უფლებ ძალთა ზედა ზღჳსათა და ოხრაჲ ღელვათა

მისთაჲ შენ დააცხრვე. 11. შენ დაამდაბლნე ვითარცა წყლულნი, ამპარტავანნი, ძლიერებითა მკლავისა შენისაჲთა განაბინნე მტერნი შენნი. 12. შენნი არიან ცანი და შენი არს ქუეყანაჲ; სოფელი და სავსებაჲ მისი შენ დაამყარე. 13. ჩრდილოჲ და ბღუარი შენ შეჰქმენ, თაბორი და ერმონი სახელითა შენითა იხარებდენ. 14. შენი არს მკლავი და შენი არს ძლიერებაჲ; განძლიერდინ კელი შენი და ამაღლდინ მარჯუენე შენი. 15. სიმართლით და განგებულებით აღმართებულ არს საყდარი შენი. წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ ვიდოდიან წინაშე შენსა. 16. ნეტარ არს ერისა მის, რომელმან იცის გალობაჲ შენი; უფალო, ნათლითა პირისა შენისაჲთა ვიდოდიან. 17. სახელითა შენითა იხარებდენ მარადღე და სიმართლითა შენითა ამაღლდენ, 18. რამეთუ სიქადული ძალისა მათისაჲ შენ ხარ და ნებითა შენითა ამაღლდეს რქაჲ მათი. 19. რამეთუ უფლისა მიერ არს შეწევნაჲ და წმიდისა მიერ, ისრაელ, მეუფისა შენისა. 20. მაშინ ეტყოდე შენ ჩუენებით ნაშობთა შენთა და სთქუ: „დავდვა მე შეწევნაჲ ძლიერისა ზედა და აღვამაღლო რჩეული ერისა ჩემისაჲ. 21. ვპოვე მე დავით, მონაჲ ჩემი. და საცხებელი წმიდაჲ ჩემი ვსცხე მას. 22. კელმან ჩემმან შეიწყნაროს იგი და მკლავმან ჩემმან განამტკიცოს იგი. 23. არა ირგოს მტერმან მისმან და შვილმან უსჯულოებისამან არა აკნოს მას. 24. დავსცნე წინაშე მისსა მტერნი მისნი და მოძულენი მისნი დავამდაბლნე. 25. წყალობაჲ ჩემი და ჭეშმარიტებაჲ ჩემი მის თანა და სახელითა ჩემითა ამაღლდეს რქაჲ მისი; 26. დავდვა მე ზღუასა ზედა კელი მისი და მდინარეთა ზედა — მარჯუენე მისი. 27. მან მხადოს მე: „მამაჲ ჩემი ხარი შენ, ღმერთი შემწყნარებელი ცხორებისა ჩემისაჲ. 28. მე პირმშოდ დავადგინო იგი უმაღლეს უფროჲს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა. 29. უკუნისამდე დაუმარხო მას წყალობაჲ ჩემი და აღთქუმაჲ ჩემი ვარწმუნო მას. 30. განამტკიცო უკუნითი უკუნისამდე ნათესავი მისი და საყდარი მისი, ვითარცა დღენი ცისანი. 31. და-თუ-უტეონ შვილთა მისთა შჯული და სამართალთა ჩემთა თუ არა ვიდოდიან. 32. სიმართლენი ჩემნი თუ შეურაცხ-ყვნენ და მცნებანი ჩემნი თუ არა დაიმარხნენ, 33. ძიება-ვყო კეურთხითა უსჯულოებათა მათთათჳს და გუემითა — ცოდვათა მათთათჳს. 34. ხოლო წყალობაჲ ჩემი არავე დავაყენო მისგან, არცა ეცრუო ჭეშმარიტებასა ჩემსა. 35. არცა შევაგინო აღთქუმაჲ ჩემი და, რაჲ-იგი აღმოჴდა ბაგეთა ჩემთა, მე არა ვაქციო. 36. ერთ ეფუცე სიწმიდესა ჩემსა დავითს და მე არა ეცრუე. 37. ნათესავი მისი უკუნისამდე ეგოს, და საყდარი მისი, ვითარცა მზე. წინაშე ჩემსა, 38. ვითარცა მთოვარე განმტკიცებული უკუნისამდე: მოწამე სარწმუნოჲ ცათა შინა არს. 39. ხოლო აწ შენ განიშორე, შეურაცხ-ჰყავ და განაგდე შენგან ცხებული შენი; 40. აქციე აღთქუმაჲ მონისა შენისაჲ და შეაგინე ქუეყანასა ზედა სიწიდე მისი. 41. დაარღვე ყოველი ზღუდე მისი და ჰყავ სიმტკიცე მისი შეძრწუნებულ; 42. იავარ-ყვეს იგი ყოველთა თანაწარმავალთა გზისათა და იქმნა იგი საყუედრელ გარემოჲსთა მისთა. 43. აღამაღლე მარჯუენე მაჭირებელთა მისთაჲ და ახარე ყოველთა მტერთა მისთა; 44. გარემიაქციე შეწევნაჲ მახვლისა მისისაჲ და არა შეეწიე მას ბრძოლასა შინა. 45. შეაგინე სიწმიდე მისი და საყდარი მისი ქუეყანასა დამკუ; 46. შეაკნინენ დღენი ჟამთა მისთანი და მოჰფინე მის ზედა სირცხვლი. 47. ვიდრემდის, უფალო, განჰრისხდე სრულიად და აღატყდეს, ვითარცა ცეცხლი, შური შენი? 48. ხოლო აწ შენ მოიკსენე და იხილე, ვინ არს ძალ ჩუენდა, ანუ ცუდად სამე შეჰქმნენ ყოველნი ძენი კაცთანი? 49. ვინ არს კაც, რომელი ცხოვნდეს და არა იხილოს მან სიკუდილი, ანუ ვინ იკსნეს სული თჳსი კელთაგან ჯოჯოხეთისათა? 50. სადა არიან წყალობანი შენნი პირველნი, უფალო, რომელ ეფუცე დავითს ჭეშმარიტებითა შენითა? 51. მოიკსენე ყუედრებაჲ

მონათა შენთაჲ, რომელ დავიკრიბე წიალთა ჩემთა მრავალთაგან თესლთა; 52. რომელ მაკუედრეს მე მტერთა შენთა, უფალო, რომელ მაკუედრეს მე ნაცვალად ცხებულისა შენისა. 53. კურთხეულ არს უფალი ღმერთი უკუნისამდე. იყავნ, იყავნ!

129

1. ღრმით აღმოვღაღადებ შენდამი, უფალო; 2. უფალსა შეგესმინ ჴმისა ჩემისაჲ. იყვნედ ყურნი შენნი მორჩილ ჴმასა ლოცვისა ჩემისასა. 3. უკუეთუ უშჯულოებათა ჩემთაებრ მომაგებდე მე, უფალო, უფალო, ვინმე დაგითმოს შენ? 4. რამეთუ შენ მიერ არს ლხინებაჲ. 5. სახელისა შენისათჳს დაგითმო შენ, უფალო, დაუთმოს სულმან ჩემმან სიტყუასა შენსა. 6. ესავს სული ჩემი უფალსა საკუმილითგან განთიადისაჲთ მიმწუხრადმდე, საკუმილით განთიადისაჲთ ესევდინ ისრაელი უფალსა, 7. რამეთუ უფლისა მიერ არს წყალობაჲ და მის მიერ არს გამოჴსნაჲ. 8. თავადმან იჴსნა ისრაელი ყოველთაგან ჭირთა მისთა.

130

1. უფალო, არა აღმაღლდა გული ჩემი, არცა განცხრებოდეს თუალნი ჩემნი; არა ვიდოდე მე მდიდართა თანა, არცა უსაკჳველესთა ჩემთა თანა. 2. არამედ დავიმდაბლე თავი ჩემი, რაჲთამცა აღმაღლდა სული ჩემი; ვიქმენ მე. ვითარცა ყრმაჲ, განყენებული სძისაგან დედისა თჳსისა, რაჲთამცა მოეგო სულსა ჩემსა. 3. ესევდინ ისრაელი უფალსა ამიერითგან უკუნისამდე.

131

1. მოიჴსენე, უფალო, დავით და ყოველი სიმშჳდჱ მისი, 2. ვითარ-იგი ეფუცა უფალსა და აღუთქუა ღმერთსა იაკობისსა: 3. ,,არა შევიდე საყოფელსა სახლისა ჩემისასა, არცა აღვკედ საგებელსა ცხედრისა ჩემისასა, 4. არა ჴსცე ძილ თუალსა ჩემსა, არცა რული წამთა ჩემთა, არცა განსუენებაჲ ჯორცთა ჩემთა, 5. ვიდრემდე ვპოვო მე ადგილი უფლისაჲ და საყოფელი ღმრთისა იაკობისი. 6. ესერა, გუესმა მისი ევფრათით და ვპოვეთ იგი ველსა მას მაღნართასა. 7. შევიდეთ საყოფელთა მისთა და თაყუანის-ჴცეთ ადგილსა მას, რომელსა დადგეს ფერჴნი მისნი. 8. აღდეგ, უფალო, განსასუენებელად შენდა, შენ და კიდობანი სიწმიდისა შენისაჲ; 9. მღდელნი შენნი შეიმოსნენ სიმართლითა, და წმიდანი შენნი სიხარულით იხარებდენ 10. დავითისთჳს, მონისა შენისა, ნუ გარემოიქცევ პირსა შენსა ცხებულისაგან შენისა. 11. ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა თჳსითა და არა ეცრუვოს მას: ,,ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დაჯსუა იგი საყდართა შენთა. 12. და-თუ-იმარხონ შვილთა შენთა შჯული ჩემი და წამებანი ჩემნი, რომელ ვასწავნე მათ, ნაშობნი მათნი დასხდენ უკუნითი უკუნისამდე საყდართა შენთა. 13. რამეთუ სათნო იყო უფალმან სიონი და გამოირჩია დამკჳდრებად იგი: 14. ,,ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნისამდე; ამას დავემკჳდრო, რამეთუ მთნავს ესე. 15. ნადირნი მისნი კურთხევით ეკურთხნე და გლახაკნი მისნი განვაძღნე პურითა. 16. მღდელნი მისნი შევმოსნე ცხორებითა და წმიდანი მისნი სიხარულით იხარებდენ. 17. მუნ აღმოუცენო რქაჲ დავითს და განუმზადო სანთელი ცხებულსა ჩემსა. 18. მტერნი მისნი შევმოსნე სირცხჳლითა, ხოლო მის ზედა გამობრწყინდეს სიწმიდე ჩემი.

ცნობისათჳს და უწყებისათჳს ჭეშმარიტად

(ნაწყვეტები)

რომელი მოგუეთხრა ჩუენ მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთა განსაზღვრებული გამოძიებისათჳს ჟამთა და წელიწადთა. მცხრალისათჳს და ნაკისათჳს, მთოვარესა ზედანადებისათჳს. ხუთეულისათჳს და ექუსეულისა, შჳდეულისათჳს და დღისაძიებელისათჳს.

დასაბამითგან რომელ წელნი გარდასრულ არიან, ესრჱთ იცნობების: ჯუარ-ცუმამდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა წელნი ჭფლდ, შემდგომად ჯუარ-ცუმისა ვიდრე მოაქამომდე შოდ; ხოლო დადგომასა იანვარისასა წელითი წლად დაერთვის ერთი ნიადაგად რიცხუსა მას ერთრიცხუად ყოველნი წელნი.

რაჟამს გინდეს ძიებაჲ ზ-ეულისაჲ. იპყრენ დასაბამითგანნი წელნი ვიდრე მას წელადმდე. რომელსა ზედა სდგეს და კჱ-ულად გაუტეევ. და, რომელ უმცრო დაგრჩეს, დ-ეულად აღრიცხუე. თუ დ-დ ოდენ იყოს, ცანღა, ნაკი არს მას წელსა. თუ დ-სა უმცრო იყოს, არა არს ნაკი. და რაოდენი ოთხი იყოს. ეგდენი თითოჲ დაურთე და შჳდეულად გაუტეევ და რაჲ დაგრჩეს, ეგდენი იყოს შჳდეული მის წლისაჲ: აბგე. ვზაგ, დეეა. ბგდვ. ზაბდ. ეეზბ, გდეზ, — ესე არს ზ-ეული.

დღისაძიებელი, რომელ დაერთვის თთუედ-თთუედ, ესრჱთ არის: იანვარი ლა. დღისაძიებელი არაჲ; ფებრვალი სამ წელ კჱ. მეოთხესა წელსა კთ, დღისაძიებელი გ: მარტი ლა, დღისაძიებელი გ; აპრილი ლ, დღისსაძიებელი ვ: მაისი ლა, დღისაძიებელი ა; ივნისი ლ. დღისაძიებელი დ: იულისი ლა, დღისაძიებელი ვ: აგუსტოსი ლა, დღისაძიებელი ბ; სეკდენბერი ლ, დღისაძიებელი ე; ოკდონბერი ლა, დღისაძიებელი არაჲ; ნოენბერი ლ. დღისაძიებელი გ: დეკენბერი ლა, დღისაძიებელი ე.

უკუეთუ გინდეს ცნობაჲ დღისაჲ. იპყრენ დღენი მის თჳსანი მას დღემდე, რომელსა ეძიებდე და დაურთე დღისაძიებელი მის თთუისაჲ და შჳდეული მის წლისაჲ და შჳდეულად გაუტეევ: და რაჲ დაგრჩეს. იგი იყოს დღჱ: თუ ერთი დაგრჩეს, კვრიაკჱ არს, თუ ორი — ორშაბათი და ესრეთ ყოველნი დღენი გულისკმა-ყვენ ....

თუ გინდეს ცნობაჲ მთოვარისაჲ, იპყრენ დღენი თთუეთანი იანვარითგან მუნ დღედმდე, რომელსაცა ზედა სდგე. დაურთე ე-ული მის წლისაჲ და ჲ-ეულად გაუტეევ და. რაჲ დაგრჩეს, ე-ე ჟამ ყავ და ხუთსა რომელ უმცრო იყოს, მარცუალ-ყავ და რაოდენი ჲ გაგეტეოს, ეგდენი თითოჲ დაურთე და ვ-ეული დაურთე მის წლისაჲ და ლ-ეულად გაუტეევ და, რაჲ დაგრჩეს, ეგდენ იყოს მთოვარჱ...

უკუეთუ გინდეს ცნობის. თუ მზჱ რომელსა ეტლსა ზედა ზის, იპყარ მარტისაგან ია და ყოველნი თუენი ვიდრე მუნ დღედმდე. რომელსა ზედა სდგე. და იგი თანაშეათუალე, და ლ გაუტეევ და ცან. რავდენ ლ იყოს, ვერძისაჲ თავ-ყავ და ყოველსა ეტლსა ლ-ლ მისცემდი და, რომელსაცა ზედა მიგიყვანოს, მას ეტლსა ზედა ჯდეს მზჱ.

უკუეთუ გინდეს [ცნობის], თუ მთოვარჱ რომელსა ეტლსა ზედა ზის. იპყარ რიცხვ მთოვარისაჲ. თუ რავდენ იყოს, და იბ შეკეცე და გაყავ ლ და. რაჲ მზისა აკლდეს ლ-ეულსა, მთოვარისაჲთა გაასრულე და მზისა ეტლითგან წაღმართ ყოველსა ეტლსა ლ-ლ-სა მისცემდი და, რომელსა ეტლსა ზედა მიგიყვანოს, მასცა ეტლსა ზედა ჯდეს მთოვარჱ. დაპყოფს მზჱ ეტლსა ზედა ლ და დაპყოფს მთოვარჱ ეტლ ლ

7

1 ხოლო რომლისათჳს-იგი მოსწერეთ ჩემდა. უმჯობეს არს კაცისა დედა-
კაცისა შე-ვე არა-ხებაი 2. ხოლო სიძვისათჳს — კაცად-კაცადსა თჳსი ცოლი ესუნ და
თითოეულსა თჳსი ქმარი ესუნ. 3. ცოლსა ქმარი იგი თანანადებსა მისცემდინ. ეგრეცა
ცოლი იგი — ქმარსა. 4. ცოლსა მას თჳსთა კორცთა ზედა არა ჴელ-ეწიფების. არა-
მედ ქმარსა: ეგრეცა ქმარსა მას თჳსთა კორცთა ზედა არა ჴელ-ეწიფების. არამედ
ცოლსა. 5. ნუ განეშორებით ურთიერთას. გარნა ნუ შეთქუმით რაი. ჟამ რაოდენმე.
რაითა მოიცალოთ ლოცვასა. და კუალად ურთიერთასვე იყენით. რაითა არა გან-
გცადნეს თქუენ ეშმაკმან უთმინოებითა თქუენითა. 8. ამას ვიტყჳ შენდობით. არა თუ
ბრძანებით. 7. მნებავს ყოვლისა კაცისა ყოფად. ვითარცა თავი თჳსი: არამედ კაცად-
კაცადსა თჳსი მადლი აქუს ღმრთისა მიერ. რომელსამე — ესრᲗთ და რომელსამე —
ეგრᲗთ. 8. ვეტყჳ უქორწინებელთა მათ და ქურივთა: უკეთᲗს არს მათა. უკუეთუ
ეგნენ ესრᲗთ. ვითარცა მე. 9. უკუეთუ ვერ დაითმინონ. იქორწინედ: უმჯობეს არს
ქორწინებაი განკურვებასა. 10. ხოლო ქორწინებულთა მათ ვამცნებ არა მე. არამედ
უფალი: ცოლი ქმრისაგან ნუ განეშორებინ. 11. უკუეთუ განეშოროს. ეგენ უქმროდ.
გინა ქმარსავე დაეგენ: და ქმარი ცოლსა ნუ დაუტევებ. 12. ხოლო სხუათა მათ
ვეტყჳ მე. არა თუ უფალი: უკუეთუ ძმასა ვისმე ესუას ცოლი ურწმუნოი და მას
ჯერ-უჩნდეს ყოფაი მის თანა. ნუ დაუტევებ მას. 13. დედაკაცსა თუ ვისმე ესუას
ქმარი ურწმუნოი და მას ჯერ-უჩნდეს ყოფაი მის თანა. ნუ დაუტევებ ქმარსა მას.
14. რამეთუ განწმდების ქმარი ურწმუნოი ცოლისა მისგან მორწმუნისა და
განწმდების ცოლი ურწმუნოი ქმრისა მისგან მორწმუნისა. უკუეთუ არა. შვილნიმცა
თქუენნი არაწმიდა იყვნეს. ხოლო აწ წმიდა არიან. 15. უკუეთუ ურწმუნოი იგი
განეყენებოდის. განეყენენ: არა დამონებულ არს ძმაი იგი. გინა თუ დაი ეგევითართა
მათ. რამეთუ მშჳდობასა გჳწოდნა ჩუენ ღმერთმან. 16. რაი იცი. დედაკაცო. აცხოვნო
თუ ქმარი შენი? ანუ შენ რაი იცი. მამაკაცო. აცხოვნო თუ ცოლი შენი? 17. არამედ
კაცად-კაცადსა ვითარცა განუყო ღმერთმან: და კაცად-კაცადი. ვითარცა იჩინა
ღმერთმან. ეგრეცა ვიდოდენ და ესრᲗთცა ყოველთა ეკლესიათა უბრძანებ. 18. წინა-
დაცუეთილი თუ ვინმე იჩინა. ნუ იურვინ. და წინადაუცუეთული თუ ვინმე იჩინა. ნუ
წინადაიცუეთნ. 19. წინადაცუეთილებაი არარაი არს და წინადაუცუეთილებაი არავე
რაი არს. არამედ დამარხვაი მცნებათა ღმრთისათაი. 20. კაცად-კაცადი ჩინებითა მით.
რომლითაცა იჩინა. მას ზედა ეგენ. 21. მონაი თუ იჩინე. ნუ რაი გეჭირნ. არამედ ძალ-
თუ-გედვას განთავისუფლებად. უფროიესცა იღუაწე. 22. რამეთუ რომელი უფლისა
მიერ იჩინოს მონაი. უფლისა მიერ განთავისუფლებულ არს: ეგრეცა აზნაური.
რომელი იჩინა. მონაი არს უფლისაი. 23. სასყიდლით სყიდულ ხართ; ნუ იქმნებით
მონა კაცთა. 24. კაცად-კაცადი რომელსა იჩინენით. ძმანო. მას ზედაცა ეგენით
ღმრთისა მიერ. 25. ხოლო ქალწულთათჳს ბრძანებაი უფლისა მიერ არა მაქუს:
ᲑᲘᲚᲝ გაზრახებ, ვითარცა შეწყალებული უფლისა მიერ, სარწმუნო ყოფილ. 26. მე
ეგრე ვჰგონებ. ვითარმედ: ესე კეთილ არს მოწევნულისა ამისთჳს ურვისა, რამეთუ
უმჯობᲑს არს კაცისა, ესრᲗთ თუ იყოს. 27. შე-თუ-ყოფილ ხარ ცოლსა. ნუ განუ-
ტევებ: თავისუფალ თუ ხარ ცოლისაგან. ნუ ეძიებ ცოლსა. 28. იქორწინე თუ. არა
სცოდე: და თუ იქორწინოს ქალწული. არა ცოდა. ჭირი კორცთაი თავს-იდვიან ესე-
ვითართა მათ: ხოლო მე თქუენ გერიდები. 29. და ამას გეტყჳ თქუენ. ძმანო. რამეთუ

ჟამი ესე შემოკლებულ არს ამიერითგან; რომელთა ესხნენ ცოლ, ვითარცა არა ესხნენ: 30. და რომელნი ტიროდიან, ვითარცა არა ტიროდიან; და რომელთა უხაროდის, ვითარცა არა უხაროდის; და რომელნი იყიდდენ, ვითარცა არარაჲ აქუნდეს; 31. და რომელნი იმსახურებდნენ სოფელსა ამას, ვითარცა არა იმსახურებდენ, რამეთუ წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ. 32. ხოლო მე მნებავს უზრუნველობაჲ თქუენი. უქორწინებელი იგი ზრუნავენ უფლისასა, ვითარმეცა სათნო ეყოს უფალსა, 33. ხოლო ქორწინებული იგი ზრუნავენ სოფლისასა, რაჲთა სათნო ეყოს ცოლსა. 34. და განყოფილ არს დედაკაცი იგი ქორწინებული და ქალწული. რამეთუ ქალწული ზრუნავენ უფლისასა, რაჲთა იყოს წმიდა სულითა და ჯორცითა; ხოლო ქორწინებული იგი ზრუნავენ სოფლისასა, რაჲთა სათნო ეყოს ქმარსა. 35. ამას თქუენისა უმჯობჷსისათჳს ვიტყჳ, არა ვითარმცა საცთურს-რასმე-გიგებდ თქუენ, არამედ შუენიერებისა და კეთილად დადგრომისა უფლისა მიმართ უზრუნველად. 36. უკუეთუ ვისმე სარცხჳნელ-უჩნდეს ქალწულეებაჲ თჳსი, იყოს თუ გარდარეულ, და ეგრეთ რაჲმე ღირდეს ყოფად, რაჲ უნდეს, ყავნ, არა ცოდა, იქორწინენ. 37. ხოლო რომლისა დამტკიცებულ არს გულსა მისსა მტკიცედ და არა უც ურჯა, და ჴელმწიფება აქუს თჳსსა ზედა ნებასა და ესე დაამტკიცა გულსა თჳსსა დამარხვად თჳსი ქალწულებაჲ, კეთილად ყო. 38. და რომელმან ქორწინოს თჳსი იგი ქალწულებაჲ, კეთილადვე ყოს. და რომელმან არა ქორწინოს, უმჯობჷს ყოს. 39. დედაკაცი იგი კრულ არს, რაოდენ ჟამ ცოცხალ არს ქმარი მისი. უკუეთუ მოკუდეს ქმარი იგი, თავისუფალ არს, უნდეს თუ ქორწინებაჲ. გარნა უფლისა მიერ. 40. ხოლო უსანატრელჷს არს, უკუეთუ ეგრჷთ დაადგრეს ზრახებისა ჩემისაებრ. ვჰგონებ, ვითარმედ სული ღმრთისაჲ მაქუს.

პავლეს ეპისტოლე კოლასელთა მიმართ

4

1. და უფალნი ეგე სამართალსა და სწორსა მონათა მათ მიაგებდით: უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალი გივის ცათა შინა: 2. ლოცვასა განეკრძალენით, ილჯებდით მას შინა მადლობით: 3. ილოცევდით მას თანა ჩუენთჳსცა, რაჲთა ღმერთმან განმიღოს ჩუენ კარი სიტყჳსაჲ სიტყუად საიდუმლოთა მათ ქრისტჷსთა, რომლისათჳსცა პყრობილ ვარ, 4. რაჲთა განეცხადო იგი, ვითარ-იგი ჯერ-არს ჩემდა სიტყუად. 5. სიბრძნით იქცეოდეთ გარეშეთა მათ მიმართ და ჟამთა გამოიფრდიდით. 6. სიტყუაჲ თქუენი მარადის მადლითა, ვითარცა მარილითა, შეზავებულ იყავნ, იცითმცა, ვითარ-იგი თითოეულსა ღირს სიტყჳს-მიგებაჲ. 7. ჩემთჳს ყოველი გაუწყოს ტჳქიკოს, საყუარელმან ძმამან და სარწმუნომან მსახურმან და თანამონამან ჩუენმან უფლისა მიერ, 8. რომელ-იგი მივავლინე თქუენდა ამისთჳს, რაჲთა გულისსმა-ყოს თქუენი და ნუგეშინის-სცეს გულთა თქუენთა 9. ონესიმჷთურთ, სარწმუნოისა და საყუარელისა ძმისა, რომელ-იგი არს თქუენგანი; ყოველივე გაუწყოს აქაჲ. 10. გიკითხავს თქუენ არისტარქოს, თანატყჳჷ ჩემი, და მარკოს, მამისძმისწული ბარნაბაისი, რომლისათჳს მიიღეთ მცნებაჲ; უკუეთუ მოვიდეს თქუენდა, შეიწყნარეთ იგი. — 11. და იესუ, რომელსა ერქუა იოსტოს. რომელნი-იგი იყვნეს წინადაცუეთილებისაგანნი. ესენი ხოლო შემწე არიან ჩემდა სასუფეველისათჳს ღმრთისაჲსა, რომელნი მექმნნეს მე ნუგეშინისმცემელ. 12. გიკითხავს თქუენ ეპაფრა თქუენგანი, მონაჲ ქრისტე იესუისი, მარადის ილუწის თქუენთჳს ლოცვათა შინა მისთა, რაჲთა მტკიცედ სდგეთ სრულნი და გულმხიარულნი ნებითა ღმრთისაჲთა. 13. ვეწამები მას, რამეთუ აქუს

მას ფრიადი სიყუარული თქუენთჳს და ლაოდიკელთა მათთჳს და ჰიერაპოლელთა. 14. გიკითხავს თქუენ ლუკა, მკურნალი საყუარელი, და დემა. 15. კითხვაჲ არქუთ ლაოდიკელთა მათ ძმათა და ნჳმფასა და სახლისა მისთა კრებულთა. 16. და რაჟამს აღმოიკითხოთ თქუენ წიგნი ესე, ეგრე ყავთ, რაჲთა ლაოდიკელთაცა ეკლესიასა აღმოიკითხოს და ლაოდიკელთაჲთ კუალად თქუენვე აღმოიკითხეთ. 17. და არქუთ არქიპოსს: ეკრძალე მსახურებასა მაგას, რომელი მიიღე უფლისა მიერ, რაჲთა იგი აღასრულო. 18. კითხვაჲ ჴელითა ჩემითა პავლ©სითა. მოიჯსენენით კრულებანი ჩემნი. მადლი თქუენ თანა, ამენ.

კათოლიკე ეპისტოლენი

იაკობ

4

1. ვინაჲ არიან ბრძოლანი თქუენ შორის, ანუ ლალვანი? ანუ არა მიერვე გულისთქუმთაგან თქუენთა, რომელნი განწყობილ არიან ასოთა შინა თქუენთა? 2. გული გითქუამს და არა გაქუს. კაც-ჰკლავთ და ეშურობთ და ვერ ძალ-გიც მიმოხუევად. ილალავთ და იბრძავთ და არა გაქუს, რამეთუ არა ითხოვთ. 3. თქუენ ითხოვთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად ითხოვთ, რაჲთა გულისთქუმითა თქუენითა განილინეთ. 4. მემრუშენო, ანუ არა უწყით, რამეთუ სიყუარული ამის სოფლისაჲ მტერობა არს ღმრთისა? რომელსა უჩნდეს მეგობარ-ყოფად ამის სოფლისა. მტერად ღმერთსა აღუდგების. 5. ანუ ჰგონებთ, ვითარმედ ცუდად იტყჳს წიგნი: საშურელად სურის სულსა, რომელი დამკჳდრებულ არს ჩუენ თანა? 6. უფროჲს მოცემად მადლისა; ამისთჳს იტყჳს: ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი. 7. დაემორჩილენით ღმერთსა და წინააღუდეგით ეშმაკსა და იერტოდის თქუენგან. 8. მიეახლენით ღმერთსა და მოგეახლოს თქუენ. განიწმიდენით ჴელნი, ცოდვილნო, და განმართენით გულნი, ორგულნო. 9. დამდაბლდით და ტირეოდეთ. სიცილი თქუენი გლოვად გარდაიქეცინ და სიხარული თქუენი — მწუხარებად. 10. არამედ დამდაბლდით წინაშე უფლისა და მან აგამაღლნეს თქუენ. 11. ნუ ძჳრსა იტყჳთ, ძმანო ჩემნო, ურთიერთას. რომელი ძჳრსა იტყოდის ძმისათჳს, გინა განიკითხვიდეს ძმასა თჳსსა, განიკითხავს შჯულსა და დაშჯის შჯულსა: უკუეთუ შჯულსა შჯი, არა ხარ მყოფელი შჯულისაჲ, არამედ განმკითხველი. 12. ერთი არს შჯულისა მდებელი და გამკითხველი, რომელი შემძლებელ არს ცხორებად და წარწყმედად. შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ მოყუასსა? 13. აწ თქუენცა. რომელნი-ეგე იტყჳთ: „დღეს გინა ხვალე წარვიდეთ რომელსამე ქალაქსა და დავყოთ მუნ წელიწადი და ვივაჭროთ და შევიძინოთ", 14. რომელთა არა იცით ხვალისაჲ, რავდენმე უკუე არს ცხორებაჲ თქუენი? ვითარცა კუამლნი ხართ, რომელი მცირე ჟამ ჩან და მერმე განქარდის. 15. ამის წილ, რომელი-იგი გიღირს თქუმად: „უკუეთუ უფალსა უნდეს, და ვცხონდეთ და ვყო ესე. ანუ იგი", 16. ხოლო აწ იქადით სილაღითა თქუენითა; ყოველი სიქადული ესევითარი ბოროტ არს. 17. რომელმან იცოდის კეთილისა საქმედ და ქმნეს, ცოდვა არს მისა.

2

1 განიშორეთ ყოველი უკეთურებაჲ და ყოველი ზაკუვაჲ და ორგულებაჲ და შური და ყოველივე ძჳრისსიტყუაჲ: 2. ვითარცა აწინდელშობილთა ყრმათა უზაკუველი იგი სძჱ გსუროდენ, რაჲთა მას შინა აღორძნდეთ ცხორებად. 3. უკუეთუ გემოჲ გიხილავს, რამეთუ ტკბილ არს უფალი, 4. რომელსა-ეგე მოუკედით ლოდსა ცხოველსა, რომელი-იგი კაცთაგან შეურაცხ იქმნა, ხოლო ღმრთისაგან რჩეულ და პატიოსან. 5. და თქუენცა, ვითარცა ლოდნი ცხოველნი, აღიშჱნებით სახლად სულიერად, სამღდელოდ წმიდად, შესაწირავად სულიერთა მსხუერპლთა სათნოდ ღმრთისა იესუ ქრისტჱს მიერ. 6. რამეთუ წერილ არს წიგნსა: აჰა, დაკსდებ სიონს შინა ლოდსა საკიდურსა, რჩეულსა, პატიოსანსა და, რომელსა პრწმენეს იგი, არა რცხუენეს. 7. თქუენდა არს პატივი, მორწმუნეთა მაგათ, ხოლო ურწმუნოთა — ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშჱნებელთა, იგი იქმნა თავ კიდეთა და ლოდი შებრკოლებისაჲ და კლდჱ საცთურისაჲ, 8. რომელნი შებრკოლდებიან სიტყუასა მას ურჩებით, რომელსაცა ზედა დაესხნეს. 9. ხოლო თქუენ, ნათესავი რჩეული, სამეუფოჲ სამღდელოჲ, თესლი წმიდაჲ, ერი მოგებული, რაჲთა სათნოებასა მიუთხრობდეთ, რომელმან ბნელისაგან გიწოდა თქუენ საკჳველსა მას ნათელსა მისსა, 10. რომელნი-ეგე ოდესმე არა ერ ღმრთის, ხოლო აწ ერნი ღმრთისანი ხართ, რომელნი-ეგე არა შეწყნარებულ, აწ შეეწყალენით. 11. საყუარელნო, გლოცავ თქუენ, ვითარცა მწირთა და წარმავალთა, განეშორენით კორციელთაგან გულისთქუმათა, რომელნი ეწყვებიან სულსა. 12. სლვაჲ თქუენი წარმართთა შორის გაქუნდინ კეთილი, რაჲთა, რომლისათჳს-იგი ძჳრსა იტყჳან თქუენთჳს, ვითარცა ძჳრისმოქმედთასა, კეთილთაგან საქმეთა შეიჭუდენ და ადიდებდენ ღმერთსა დღესა მას მოხედვისასა. 13. დაემორჩილენით ყოველსა კაცობრივსა დაბადებულსა უფლისათჳს, გინა თუ მეფესა, რამეთუ ყოველთა ზედა არს, 14. გინა თუ მთავართა, ვითარცა მის მიერ მოვლინებულთა შურისმეძიებელად ბოროტისმოქმედთათჳს და მაქებელად კეთილისმოქმედთათჳს: 15. დაყოფად პირთა კაცთა უგუნურთა უმეცრებასა, 16. ვითარცა აზნაურნი, და ნუ ვითარცა საფარველად გაქუნ უკეთურებისა აზნაურებაჲ ეგე. არამედ ვითარცა მონანი ღმრთისანი. 17. ყოველთა პატივ-სცემდით, ძმათა ჰყუარობდით, ღმრთისა გეშინოდენ, მეფესა პატივ-სცემდით. 18. მონანი დაემორჩილენით ყოვლითა მოშიშებითა უფალთა თჳსთა, ნუ ხოლო სახიერთა და ტკბილთა, არამედ უსახურთაცა, 19. რამეთუ ესე არს მადლი ღმრთისაგან: უკუეთუ გონებისათჳს კეთილისა დაითმინით მწუხარებაჲ, ევნებინ თუ სიცრუვით. 20. რომელი უმჯობჱს არს, უკუეთუ ვცოდვიდეთ და ვიქენჯნებოდით და მოვითმენდეთ? არამედ უკუეთუ კეთილსა იქმოდით და გევნებოდის და მოითმენდეთ, ესე მადლი ღმრთისაგან არს. 21. ამინენითვე ამისათჳს, რამეთუ ქრისტემანცა იენო თქუენთჳს და თქუენ დაგიტევა კელითწერილი, რაჲთა შეუდგეთ კუალთა მისთა. 22. რომელმან-იგი ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა: 23. რომელი იგინებოდა და იგი არა ვის აგინებდა, ევნებოდა და არა ვის უთქუმიდა, მიეცა მსაჯულსა სიცრუვით; 24. რომელმან ცოდვანი ჩუენნი თავს-ისსნა კორცითა თჳსითა ძელსა ზედა, რაჲთა ცოდვასა განვეშორნეთ და სიმართლით ვცხონდებოდით, რომლისა-იგი წულულებითა განკეურნენით. 25. იყვენით, ვითარცა ცხოვარნი შეცთომილნი, არამედ მოქცეულ ხართ აწ მწყემსისა მის და მოღუაწისა სულთა თქუენთასა

1 ეგრეთვე ცოლნი დაემორჩილენით თჳსთა ქმართა. დაღათუ ვიეთნიმე ურჩ
არიან სიტყჳსა მის, დედათა სლვისაგან თჳნიერად სიტყჳსა შეეძინნენ, 2. ხედვიდენ
რაჲ იგინი შიშით წმიდასა მას სლვასა თქუენსა, 3. რომელ-ესე არს არა გარეშჲთა
მით განთჰზვითა თმისაჲთა და ოქროჲსა შესხმითა, გინა შემოსითა სამოსლისა, შემკო-
ბითა, 4. არამედ დაფარულითა მით გულისა კაცისა უხრწნელითა მით სიმშჳდისაჲთა
და ყუდროებისა სულითა, რომელ არს წინაშე ღმრთისა პატიოსან. 5. ესრეეე ოდესმე
წმიდანიცა იგი დედანი, რომელნი ესვიდეს ღმერთსა, შეიმკობდეს თავსა თჳსსა და
დამორჩილებულ იყვნეს თჳსთა ქმართა, 6. ვითარცა-იგი სარა ერჩდა აბრაჰამსა და
უფლით ხადოდა მას, რომლისა-იგი იქმნენით შვილ კეთილისმოქმედ, და არა
გეშინოდის არცა ერთისა შიშისა, 7. ქმარნი ეგრეეე მსგაესად თანაეყვენით შენდობით,
ვითარცა უუძლურესსა ჭურსა და დედათასა მისცემდით პატივსა, ვითარცა თანამ-
კვდრთა მადლისა მის ცხორებისათა. რაჲთა არა დააცადოთ ლოცვასა თქუენსა. 8.
ხოლო დასასრულად ყოველნი ერთზრახვა იყვენით, მოწყალე. ძმათმოყუარე, მდაბალ.
9. ნუ ვინ ბოროტსა ბოროტისა წილ მიაგებთ. ნუცა გინებასა საგინებელისა წილ;
წინააღმდგომსა მას აკურთხევდით. რამეთუ ამისთჳს იჩინენით. რაჲთა კურთხევაჲ
დაიმკვდროთ. 10. რამეთუ რომელსა უნდეს სიყუარული ცხორებისაჲ და ხილვად
დღენი ცხორებისანი. დააცხრვენ ენაჲ თჳსი ბოროტისაგან და ბაგითა ნუ იტყუიედ
ზაკვასა. 11 მოაქციენ ბოროტისაგან და ქმენინ კეთილი. მოიძიენ მშჳდობაჲ და მის-
დევდინ მას. 12. რამეთუ თუალნი უფლისანი მართალთა ზედა და ყურნი ლოცვასა
მათსა ზედა. პირი უფლისაჲ მოქმედთა ზედა ბოროტისათა. 13. და ვინმე არს ბოროტ-
ისმყოფელ თქუენდა. უკუეთუ თქუენ კეთილისმობაძავ იქმნნეთ? 14. დაღათუ გევნე-
ბოდის სიმართლისათჳს, ნეტარ ხართ, შიშისა მათისაგან ნუ გეშინინ, ნუცა შეს-
ძრწუნდებით. 15. უფალი იესუ ქრისტჲ წმიდა-ყავთ გულთა შინა თქუენთა, განმზა-
დებულ იყვენით მარადის სიტყჳს-მიგებად ყოველისა, რომელი ეძიებდეს სიტყუასა
თქუენ შორის სასოებისა მისთჳს. არამედ სიმშჳდით და შიშით. 16. გონებაჲ გაქუნდინ
კეთილი. რაჲთა. რომლითა-იგი ძჳრსა გეტყოდიან. ჰრცხუენოდის მათ, რომელნი-იგი
გმძლავრობენ თქუენ კეთილითა მით ქრისტჲს მიერ სლვითა. 17. უმჯობჲს არს, კე-
თილსა თუ იქმოდით და ეგრე ჯერ-უწნდეს ნებასა ღმრთისასა ვნებაჲ თქუენი, ვიდრე-
ღა ბოროტსა თუ იქმოდით. 18. ხოლო ქრისტემანცა ერთგზის ცოდვათა ჩუენთათჳს
იენო. მართალმან ცრუთათჳს. რაჲთა ჩუენ წარგვდგინნეს ღმერთსა, მოკუდა ჯორ-
ცითა და ცხონდა სულითა, 19. რომლისაგან საპყრობილესა მას შინა სულთა მივიდა
და ქადაგა, 20. რომელნი-იგი ურჩ ოდესმე იყვნეს, რაჟამს-იგი თაეს-ედვა სულგრძე-
ლებასა ღმრთისასა დღეთა მათ ნოესთა, შემზადებასა კიდობნისასა, რომელსა შინა
იყვნეს მცირედნი, ესე იგი არს, რვანი სულნი განერნეს წყლისაგან. 21 რომლისასახედ
აწ თქუენცა გაცხოვნებს ნათლის-ღებაჲ, არა ჯორცთაგან განშორებაჲ მწიკულისაჲ,
არამედ გონებისა სათნო-ყოფაჲ ღმრთისაჲ აღდგომითა იესუ ქრისტჲსითა, 22.
რომელი არს მარჯუენით ღმრთისა. რომელი ამაღლდა ზეცად. დაემორჩილნეს მას
ანგელოზნი და კელმწიფებანი და ძალნი.

5

1. ყოველსა რომელსა ჰრწმენეს, ვითარმედ იესუ არს ქრისტე, იგი ღმრთისაგან
შობილ არს, და ყოველსა რომელსა უყუარდეს მშობელი, უყუარს შობილიცა იგი
მისგან. 2. ამით უწყით, რამეთუ გკუუარან შვილნი ღმრთისანი, რაჟამს ღმერთი
გკუუარდეს და მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ, 3. რამეთუ ესე არს სიყუარული
ღმრთისაჲ, რაჲთა მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ, და მცნებანი მისნი მძიმე არა არიან.
4. რამეთუ ყოველი, რომელი შობილ იყოს ღმრთისაგან, სძლევს სოფელსა, და ესე
არს ძლევაჲ, რომლითა სძლევს სოფელსა სარწმუნოებაჲ ჩუენი. 5. რაჲ არს, რომ-
ლითა სძლევს სოფელსა, არამედ რომელსა ჰრწმენეს, ვითარმედ იესუ არს ძე ღმრთი-
საჲ? 6. ესე არს, რომელი მოვიდა წყლითა და სისხლითა, იესუ ქრისტე, არა წყლითა
ხოლო, არამედ წყლითა და სისხლითაცა; და სული არს, რომელი წამებს, რამეთუ
სული არს ჭეშმარიტებისაჲ. 8. რამეთუ სამნი არიან, რომელნი წამებენ: სული და
წყალი და სისხლი, და სამნივე ესე ერთისა მიმართ არიან. 9. უკუეთუ წამებასა
კაცთასა მოვიღებთ, წამებაჲ ღმრთისაჲ უფროჲს არს, რამეთუ ესე არს წამებაჲ
ღმრთისაჲ, რომელი წამა ძისა მისისათჳს. 10. რომელსა ჰრწმენეს ძისა მიმართ
ღმრთისა, აქუს წამებაჲ იგი თავსა შორის თჳსსა, რომელსა არა ჰრწმენეს ღმერთი,
მტყუვრად გამოაჩინა იგი, რამეთუ არა ჰრწმენა წამებაჲ იგი, რომელი წამა ღმერ-
თმან ძისა მისისათჳს. 11. და ესე არს წამებაჲ, რამეთუ ცხორებაჲ საუკუნოჲ მომცა
ჩუენ ღმერთმან და ესე ცხორებაჲ ძისა მისისა თანა არს. 12. რომელსა აქუნდეს ძე,
აქუს ცხორებაჲცა. რომელსა არა აქუნდეს ძე ღმრთისაჲ, მას არცა ცხორებაჲ აქუს.
13. ესე მივწერე თქუენდა, მორწმუნეთა სახელისა მიმართ ძისა ღმრთისა, რაჲთა უწ-
ყოდით, რამეთუ ცხორებაჲ საუკუნოჲ გაქუს, რაჲთა გრწმენეს სახელისა მიმართ ძისა
ღმრთისა. 14. და ესე არს განცხადებულებაჲ, რომელი მაქუს მისა მიმართ, რამეთუ.
უკუეთუ რაჲმე ვითხოოთ ნებისაებრ მისისა, ისმენს ჩუენსა. 15. რაჲცა-იგი ვითხოოთ
და უწყით, რამეთუ მოვიღოთ თხოაჲ იგი, რომელი ვითხოვეთ მისგან. 16. უკუეთუ
ვინმე იხილოს ძმაჲ თჳსი, რომელი ცოდვიდეს ცოდვასა არასასიკუდინესა. ითხოოს და
მოსცეს მას ცხორებაჲ; რომელნი-იგი ცოდვიდენ არასასიკუდინედ. არს ცოდვაჲ
სასიკუდინე. არა მისთჳს ვიტყჳ, რაჲთა ითხოოს. 17. ყოველივე სიცრუე ცოდვა არს
და არს ცოდვაჲ არასასიკუდინე. 18. ვიცით, რამეთუ ყოველი რომელი შობილ იყოს
ღმრთისაგან, არა ცოდოს. არამედ რომელი-იგი შობილ იყოს ღმრთისაგან, დაიმარხოს
თავი თჳსი და ბოროტი მას არა შეეხოს. 19. ვიცით, რამეთუ ღმრთისაგან ვართ და
ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას. 20. ხოლო ვიცით, რამეთუ ძჱ ღმრთისაჲ
მოვიდა და მომცა ჩუენ გონებაჲ, რაჲთა ვიცოდით ჩუენ ჭეშმარიტი ღმერთი და
ვართ ჩუენ ჭეშმარიტისა თანა ძისა მისისა იესუ ქრისტესა. ესე არს ჭეშმარიტი
ღმერთი, ცხორებაჲ საუკუნოჲ. 21. შვილნო, დაიცვენით თავნი თჳსნი კერპთაგან. ამენ.

შესაქმე

39

1. ხოლო იოსებ შთაიყვანეს ეგუიპტედ და მიიყიდა იგი პეტეფრე, საჭურისმან ფარაოისმან, მატაკარანმან, მზარაულმთავარმან, კაცმან ეგუიპტელმან, კელთაგან ის-მაიტელთასა, რომელთაცა შთაიყვანეს. 2. და იყო უფალი იოსების თანა, და იყო კაცი მაგებელ, და იყო სახლსა შინა კაცისა მის მეგუიპტელისსა წინაშე. 3. ხოლო იცოდა უფალმან მისმან, რამეთუ უფალი იყო მის თანა და, რავდენსა-რას იქმს, უფალი წარუმართებს მას. 4. და პოა იოსებ მადლი წინაშე მისსა, და სათნო-ეყო იგი მას და დაადგინა იგი სახლსა ზედა თუისსა და ყოველივე, რაჲცა იყო მისი, მისცა კელსა იოსებისსა. 5. და იყო შემდგომად დადგინებისა მისისა ყოველსავე, რაჲცა იყო მისი, აკურთხა უფალმან სახლი ეგუიპტელისაჲ მის იოსებისთჳს, და იყო კურთხევაჲ უფლისაჲ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა. 6. და მისცა ყოველი კელსა იოსებისსა, რაჲცა იყო მისი, და არა იცოდა, რასა იქმოდა იოსებ, გარნა პური ხოლო ჭამის. და იყო იოსებ შუენიერ ქმნულებითა და კეთილ პირითა. 7. ამის სიტყუისა შემდგომად თუალ-სცნა ცოლმან მეგუიპტელისამან, უფლისა მისისამან, და ჰრქუა მას: „დაწევ ჩემ თანა!" 8. ხოლო მან არა ინება და ჰრქუა ცოლსა უფლისა თუისისსა: „უკუეთუ უფალმან ჩემმან არარაჲ უწყის ჩემთჳის სახლსა შინა მისსა და ყოველივე, რაჲცა არს მისი, მომცა კელთა შინა ჩემთა, 9. რამეთუ ცოლი მისი ხარი შენ; და აწ ვითარ ვქმნე საქმე ესე ბოროტი და ვცოდო წინაშე უფლისა ღმრთისა ჩემისა?" 10. და რაჟამს ეტყუენ იგი დღითი დღე, და არა ერჩდა იოსებ დაწოლად მის თანა. 11. და იყო ეგევითარი რაჲმენ დღ©, მივიდა იოსებ სახიდ საქმედ საქმესა თჳსსა, და არაჳინ იყო ახლოს. 12. მაშ[ნ] შებმა-უყო სამოსელსა მას მისსა და ეტყოდა მას: „დაწევ ჩემ თანა!" ხოლო იოსებ მიუტევა სამოსელი თჳსი კელთა მისთა და ივლტოდა და განვიდა გარე. 14. მოუწოდა, რომელ იყვნეს სახლსა მას შინა და ჰრქუა მათ: „იხილეთ აწ, რამეთუ მომგუარა ჩუენ მონაჲ ესე ებრაელი კიცხევად ჩემდა, შემოვიდა დაწოლად ჩემ თანა. და მე ვლაღატ-ყავ ჴმითა დიდითა. 16. მას ვითარცა ესმა ჴმაჲ ჩემი, დაუტევა სამოსელი მისი ჩემ თანა, და ივლტოდა და განვიდა გარე". მოვიდა უფალი იგი მისი სახიდ მისა. 17. და უთხრა მას იგი მსგავსად სიტყუისა მისისა და თქუა: „შემოვიდა ჩემდა მონაჲ ესე ებრაელი, რომელი შემოიყვანე ჩემდა კიცხევად. შემოვიდა ჩემდა და მრქუა მე. დაწევ ჩემ თანაო. 18. და ვითარცა ესმა, რამეთუ აღვიმაღლე ჴმაჲ ჩემი, დაუტევა სამოსელი მისი ჩემ თანა, ივლტოდა და განვიდა გარე". 19. და ვითარცა ესმეს სიტყუანი იგი უფალსა მისსა ცოლისაგან თუისისა და თქუა: „ესე მიყო მეა მონამან ჩემმან?" განრისხნა გულისწყრომით უფალი მისი. 20. და მოიყვანა იოსებ და შესუა იგი საპყრობილესა ადგილსა მას, სადა-იგი პყრობილნი ფარაოისნი იყვნეს. 21. და იყო უფალი იოსებს თანა და მისცემდა მას წყალობასა. და პოა მადლი წინაშე მესაპყრობილეთმოძღურისა მის, 22. და მისცა მე-საპყრობილეთმოძღუარმან მან საპყრობილე კელთა იოსებისთა და ყოველნი იგი პყრობილნი, რაოდენნი იყვნეს საპყრობილესა შინა.

40

და იყო, შემდგომად სიტყუათა მათ შესცოდა მთავარღუინისმნემან მეფისა მე-გუიპტელისამან და მეპურეთმოძღუარმან უფალსა მათსა, მეფესა ეგუიპტისსა. 2. და

განრისხნა ორთავე მათ ზედა საჭურისთა: ღუინისმნესა და მეპურეთმოძღუარსა, 3. და
მისცნა იგინი საპყრობილედ მზარაულთმოძღურისა მის ადგილსა, სადა-იგი იოსებ
პყრობილ იყო. 4. და შეჰვედრნა იგინი მესაპყრობილეთმთავარმან იოსებს, და დგა
იგი წინაშე მათსა. და იყვნეს იგინი საპყრობილესა შინა მრავალ დღე. 5. და იხილეს
ჩუენებაჲ ორთავე კაცად-კაცადმან მათმან ღამესა ერთსა ხილვაჲ იგი ჩუენებისა
მისისაჲ: ღუინისმნემან და მეპურეთმოძღუარმან, რომელნი იყვნეს საპყრობილესა
შინა. 6. შევიდა მათა განთიად და იხილნა იგინი. და იყვნეს იგინი შეძრწუნებულ: 7.
ჰკითხვიდა საჭურისთა მათ ფარაოისთა იოსებ საპყრობილესა მას შინა უფლისა თუ-
ისსა: ,,რაჲსათუის პირნი თქუენნი მწუხარე არიან დღეს?'' 8. ხოლო მათ ჰრქუეს:
,,ჩუენებაჲ ვიხილეთ და არავინ არს გამომეტყველ''. ჰრქუა მათ იოსებ: ,,ანუ არა
ღმრთისა მიერ არსა გამოთარგმანებაჲ იგი მათი? მითხართ იგი მე'' 9. და უთხრა
ღუინისმნემან ჩუენებაჲ იგი თუისი იოსებს და თქუა: ,,ძილსა შინა ჩემსა ვხედევდ:
იყო ვენაკი წინაშე ჩემსა 10. და ვენაკსა მას სამნი ძირნი: იგი აღმოსცენდა და აღმო-
ორძნდა მორჩი. და მწიფე იყვნეს ტევანნი, 11. და სასმელი ფარაოისი ჴელსა ჩემსა. და
მოვიღე ყურძენი იგი, გამოვწურე სასმელსა შინა ფარაოისსა და მივეც სასმელი ჴელ-
თა ფარაოისთა''. 12. ჰრქუა მას იოსებ: ,,ესე არს გამოთარგმანებაჲ მაგისი: სამნი იგი
ძირნი სამნი დღენი არიან. 13. სამნიღა დღენი წარჯდენ, მოეკსენოს ფარაოს სამთავ-
როი შენი და კუალად დაგადგინოს ღუინისმნეობასაცე შენსა, და მისცე სასუმელი
ჴელსა ფარაოისსა პირველისაებრვე მთავრობისა შენისა. ვითარცა-იგი იყავ პირის-
მწდ. 14. არამედ მომიკსენე მე თავით თუისი[თ]. რაჟამს კეთილი გეყოს შენ. და ყავ
ჩემ ზედა წყალობაჲ და იკსენე ჩემთჳს წინაშე ფარაოისსა; და განმიყანოს მე საპ-
ყრობილისა ამისგან. 15. რამეთუ პარვით წამომიპარეს მე ქუეყანით ებრაელთაჲთ და
აქა არა რაჲ ვქმენ ბოროტი, და შემომაგდეს მე სახლსა ამას ჯურღმულისსა''. 16. და
ვითარცა იხილა მეპურეთმოძღუარმან მან, რამეთუ მართლ გამოუთარგმანა მას. და
ჰრქუა იოსებს: ,,და მეცა ვიხილე ჩუენებაჲ, მეგონა, ვითარმედ: სამნი ლაკნანი სამნ-
დოითა მქონდეს თავსა ჩემსა ზედა. 17. ხოლო ლაკნასა მას ზედაკერძოსა იყო ყოვ-
ლისაგან სანუაგისა, რომელსა ჭამნ ფარაო, ქმნული მეპურეთმოძღურისა, და მფრინ-
ველნი ცისანი შესჭამდეს მას ლაკნისა მისგან, რომელი იყო თავსა ზედა ჩემსა''. 18.
მიუგო იოსებ და ჰრქუა: ,,ესე არს შეტყუებაჲ მაგისი: სამნი იგი ლაკნანი სამნი
დღენი არიან. 19. სამნიღა დღენი წარჯდენ. მოგკუეთოს ფარაო თავი შენი. დამოგ-
კიდოს ძელსა, და შეჭამნენ მფრინველთა ცისათა ყორცნი შენნი''. 20. და იყო მესა-
მესა დღესა დღ შობისა ფარაოისი, სუმაჲ იყო დიდი ყოველთა მონათა ფარაოისთა.
მოეკსენა პატივი ღუინისმნისაჲ მის და პატივი მეპურეთმოძღურისაჲ მის შორის
მონათა მისთა 21. და კუალად დაადგინა ღუინისმნ იგი თუისსავე მთავრობასა ზედა.
და მისცა სასმელი იგი ჴელთა ფარაოისთა, 22. ხოლო მეპურეთმოძღუარი იგი მოჰ-
კიდა ძელსა. ვითარცა-იგი გამოუთარგმანა მას იოსებ. 23. ხოლო ღუინისმნესა მას
არა მოეკსენა იოსებ, არამედ დაავიწყდა.

მეორე შჯულისა

6

4. ისმინე. ისრა ლ. უფალი ღმერთი შენი უფალი მხოლოი არს. 5. და შე-
იყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენი-
თა. 6. და იყვნედ სიტყუანი ესე, რომელთა გამცნებ დღეს, გულსა შენსა. 7. და ასწა-

ვებდე მათ ძესა შენსა და ეტყოდი მათ ჯდომასა შენსა სახლსა შინა, და სლვასა შენსა გზასა ზედა და დაწოლასა და აღდგომასა შენსა. 8. და შეიბენ იგინი სასწაულად კელსა შენსა, და იყვნენ შეურყეველ წინაშე თუალთა შენთა. 9. და დასწერე იგინი წირთხლთა კართა შენთასა და ეზოთა შენთასა. 10. და რაჟამს შეგიყვანოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ქუეყანასა მას, რომლისათჳს ეფუცა მამათა შენთა: აბრაჰამს, ისაკს და იაკობს მოცემად შენდა ქალაქები დიდ-დიდი და კეთილი, რომელ შენ არა აღაშენე, 11. და სახლები სავსჱ ყოვლითა კეთილითა, რომელ შენ არა აღავსენ: ჯურღმულნი აღმოკუეთილნი, რომელ შენ არა აღმოჰკუეთენ: ვენაკოანი ზეთისხილთანი, რომელ შენ არა დაჰნერგე; და შჭამდე რაჲ და განსძღებოდი, 12. ეკრძალე თავსა შენსა, ნუუკუე დაივიწყო უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანა შენ ქუეყანით ეგუიპტით სახლისაგან კრთებისა.

I მეფეთა

2

11. და ყრმაჲ იგი სამოელ იყო მსახურ წინაშე უფლისა ელის მღდელთა თანა. 12. ხოლო ძენი ელისნი იყვნეს ბილწ და არა იცოდეს უფალი. 13. და სამართალსა მას მღდელისსა ყოველისაგან ერისა მიიღებდეს. და მოვიდის ყრმაჲ იგი მღდელისაჲ, ოდეს-იგი შეაგბიან ჯორცი, ფუცხჴ სამპირი აქუნ კელსა მისსა. 14. შთაყვის იგი ემბაზსა, ანუ სიავსა, ანუ ქუაბსა, ანუ ქოთანსა და ყოველი, რომელი მიემთხჴის, მიიღის იგი მღდელმან მან თავისა თჳისისა. და ესრეთ უყოფდეს ყოველსა ისრაჱლსა, რომელნი-იგი მოვლენედ შეწირვად წინაშე უფლისა. 15. ვიდრე კმეჳამდე ცმელისა წინაშე უფლისა მოვიდის ყრმაჲ იგი მღდელისაჲ მის და ჰრქჳს კაცსა მას შემწირველსა: „მომეც მე ჯორცი მგბარი სიავისაგან". 16. და ჰრქჳს კაცმან მან შემწირველმან: „ეკუმიოსღა პირველად ცმელი, ვითარცა ჯერ-არს, და მაშინ მიიღე ყოვლისაგან, რომლისათჳს გული-უთქუმიდეს სულსა შენსა". და ჰრქჳს მან: „არა, არამედ მომეც მე აწ. უკუეთუ არა, მოვიღო მძლავრ". 17. და იყო ცოდვაჲ იგი დიდი ყრმათაჲ მათ წინაშე უფლისა, რამეთუ შეურაცხ-ჰყოფდეს მსხუერპლსა უფლისასა. 18. და
ყრმაჲ იგი სამოელ იყო მსახურად წინაშე უფლისა და ემოსა მას ეფუთბარი. 19. და ორკეცი მცირეჲ უქმნის მას დედამან მისმან და მიართჳს მას ჟამითი ჟამად, რაჟამსიგი აღვალნ ქმრისა თჳისისა თანა შეწირვად მსხუერპლსა მას მათ დღეთასა. 20. და აკურთხა ელი ელკანა და ცოლი მისი და ჰრქუა: „მოგეცინ შენ უფალმან თესლი ცოლისა მაგისგან შენისა ამის წილ თანანადებისა, რომელ-ეგე ამსახურეთ წინაშე უფლისა". და წარვიდა კაცი იგი ადგილად თჳსსა. 21. და მოხედა უფალმან ანას და შვა სამ ძე და ორ ასულ. და განდიდნა ყრმაჲ იგი სამოელ წინაშე უფლისა. 22. და ელი მოხუცებულ იყო ფრიად. და ესმოდა, რასა-იგი უყოფდეს ძენი მისნი ძეთა ისრაჱლისათა. 23. და ჰრქუა მათ: „რაჲსათჳს ეგრე იქმთ სიტყჳისა ამისთჳს, რომელი მესმის მე პირისაგან ერისა უფლისა? 24. ნუ ეგრე, შვილნო. არა კეთილ არს ჰამბავი ესე, რომელი მესმის თქუენთჳს. ნუ ეგრე ზამთ, ვითარმცა არა ჰმონებდით ერსა უფლისასა. 25. უკუეთუ შესცოდის კაცმან კაცსა, ილოცვედ მისთჳს კაცნი უფლისა მიმართ. უკუეთუ უფალსა შესცოდოს, ვინ ილოცოს მისთჳს?" და არა ისმენდეს კმასა მამისა მათისსა, რამეთუ ნებით უნდა უფალსა განრყუნაჲ მათი. 26. და ყრმაჲ იგი სამოელ ვიდოდა და განდიდნებოდა. იყო იგი სათნო უფლისა და კაცთა. 27. და მოვიდა კაცი ღმრთისა ელისა და ჰრქუა მას: „ამას იტყჳს უფალი: გამოცხადებით გამო-

ვეცხადე სახლსა მამისა შენისასა, ვიდრე იყვნესლა იგინი ეგუიპტეს მონად ფარაოისა.
28. და გამოვირჩიე სახლი მამისა შენისა ყოველთაგან ტომთა ისრაჱლისათა ჩემდა
მღდელად და აღსლვაი საკურთხეველსა ზედა ჩემსა და კუმეკად საკმეველისა და
აღებად ეფუდისა, და მივეც სულსა მამისა შენისასა ყოველი ძეთა ისრაჱლი-
სათა საჭმლად. 29. და რაისათჳს მიხედეთ თქუენ საკურთხეველსა ჩემსა და მსხუ-
ერპლსა ჩემსა ურცხვინოითა თვალითა და ადიდენ ძენი შენნი უფროის ჩემსა კურ-
თხევად მათთჳს პირველად ყოველი ნაყოფი მსხუერპლთაი სახლისა ისრაჱლისაი? 30.
ამისთჳს ამას იტყუის უფალი ღმერთი ისრაჱლისაი: ვთქუ, ვითარმედ სახლი შენი და
სახლი მამისა შენისა ვიდოდიან წინაშე ჩემსა უკუნისამდე. და აწ იტყუის უფალი:
ნუსადა იყოფვინ. არამედ მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე და შეურაცხისმყოფელნი ჩემნი
შეურაცხ იქმნენ. 31. აჰა ესერა, დღენი მოვლენან, — იტყჳს უფალი, — და მოვსრა
ნათესავი შენი და თესლი სახლისა მამისა შენისაი, 32. და არა იყოს მოხუცებული
შენი ტაძარსა შინა ჩემსა. 33. და არა ავჴოცო შენგან კაცი საკურთხეველისაგან
ჩემისა, რაჲთა ეკუებოდის თუალთა მისთა და დადნებოდის გული მისი, და ყოველი
ნაშთომი სახლისა შენისაი დაეცეს მახვილითა კაცთაჲთა. 34. და ესე იყავნ
სასწაულად შენდა, რომელი მოიწიოს ორთა მათგან ძეთა შენთა ზედა და მოწყდენ
ოფნი და ფინეზ ერთბამად ორნივე. 35. და აღვადგინო ჩემდა მღდელი სარწმუნოი,
რომელმან ყოველივე გულისა ჩემისაი ყოს. და უშენო მას სახლი სარწმუნოი. და
ვიდოდის იგი ცხებულისა ჩემისა ყოველთა დღეთა. 36. და იყოს, ყოველივე ნეშტი
სახლისა შენისაი მოვიდოდის თაყუანის-ცემად მისა დანგითა ვეცხლისაჲთა და
ერთითა კუეზითა პურითა და ჰრქუას: დამადგინე მე ერთსა ოდენ სამღდელოსა შენსა
ჭამად პურისა".

3

1. და ყრმაი იგი სამოელ იყო მსახურად უფლისა წინაშე ელი მღდელისა. 2.
და სიტყუაი უფლისაი იყო პატიოსან მათ დღეთა შინა, და არა იყო ხილვა განჩინე-
ბისაი. 3. და იყო მათ დღეთა შინა და ელის ეძინა ადგილსა თჳსსა, და თუალთა მის-
თა იწყეს დამძიმებად. და ვერ ეძლო ხედვად 4. სანთლისა ღმრთისა ვიდრე აღგე-
ბადმდე. და სამოელს ეძინა ტაძარსა მას შინა, სადა-იგი დგა კიდობანი ღმრთისაი. 5.
უწოდდა უფალი სამოელს და ჰრქუა: „სამოელ, სამოელ!" და ჰრქუა: „აჰა. ესერა, ვარ.
რაჲსა მიწყს მე?" და მივიდა იგი ელისა. და ჰრქუა მას ელი: „არა გიწოდე შენ, მი-
იქეც და დაიძინე. შვილო". და მივიდა და დაიძინა. 6. და შესძინა უფალმან წოდებად
მისა მეორედ და ჰრქუა: „სამოელ, სამოელ!" და აღდგა სამოელ და მივიდა ელისა და
ჰრქუა: „აჰა, ესერა, რამეთუ მიწოდე მე!" და ჰრქუა მას ელი: „არა გიწოდე. მიეედ და
დაიძინე, შვილო". 7. და სამოელისა ვიდრე ცნობამდე ღმრთისა და ვიდრე
გამოცხადება[მდე] სიტყჳსა უფლისა. 8. და მერმე შესძინა უფალმან წოდება სამო-
ელისა მესამედ. აღდგა იგი და მივიდა ელისა და ჰრქუა: „აჰა, აქა ვარ. რამეთუ მი-
წოდე მე". და გულისხმა-ყო ელი, ვითარმედ უფალი უწოდდა ყრმასა მას. 9. და
ჰრქუა ელი სამოელს: „მიიქეც და დაიძინე, შვილო. და იყოს, ოდეს გიწოდოს შენ,
თქუ: იტყოდენ უფალი, რამეთუ ესმის მონასა შენსა." წარვიდა სამოელ, დაიძინა ად-
გილსა თჳსსა. 10. მოვიდა უფალი, დაადგა მას ზედა და უწოდა მას, ვითარცა-იგი
პირველ.

1. და შეკრიბეს უცხოთესლთა მათ ბანაკები მათი ბრძოლად და შეკრბეს სოქოთად ჰურიასტანისსა, დაიბანაკეს შორის სოქოთსა და შორის ეზიკასა და აფურენს. 2. და საულ და კაცნი ისრაᲔლისანი შეკრბეს და დაიბანაკეს ღელესა მას მაღნარისსა, ესენი ამიერ და იგინი იმიერ და განეწყვნეს ისრაᲔლნი ბრძოლად წინაშე უცხოთესლთა. 3. და უცხოთესლნი იგი განეწყვნეს და დადგეს მთასა მას ერთკერძო, და ისრაᲔლი დგა მთასა მას ამიერ. და ღელე იგი შორის მათსა. 4. და გამოვიდა კაცი ყოველისა მისგან განწყობილისა უცხოთესლთაჲსა. გოლიად იყო სახელი მისი, გეთელი, სიმაღლᲔ მისი ოთხ წყრთა და მტკაველ. 5. და ჩაფხუტი რვალისაჲ ედგა თავსა მისსა. და თორნეჲ ჯაჭუედი ემოსა მას. და იყო სასწორი თორნისა მისისაჲ ხუთ ათას სიკლა რვალი და რკინაჲ. 6. და საწმერთულნი რკინისანი ესხნეს წელთა მისთა. და ასპიტი რვალისაჲ ზედა ბეჭთა მისთა. 7. და ტარი ლახურისა მისისაჲ, ვითარცა ლვილი მქსოელთა. და ლახურისპირსა მას მისსა ზედა ექუსასი სიკლა რკინისაჲ და რომელსა აქუნდა საჭურველი მისი. წინაუვიდოდა უწინარეს მისა. 8. დადგა და ღაღატყო განწყობილისა მის მიმართ ისრაᲔლისა და ეტყოდა მათ: „რაჲსათუის გამოხუალთ წყობად და ბრძოლად ჩუენ წინაშე? არა მე ვარა უცხოთესლი და თქუენ ებრაელნი საულისნი? გამოირჩიეთ თავისა თქუენისა და გარდამოგუალე[ნ] ჩუენდა. 9. უკუეთუ უძლოს ჩემდა ბრძოლად და მომკლას მე. ვიყვნეთ თქუენდა მონა; უკუეთუ მე ვსძლო მას და მოვკლა იგი. იყვნით თქუენ ჩუენდა მონად და მმონებდით ჩუენ". 10. და უცხოთესლმან თქუა: „აჰა, ესერა. მე ვაყუდრე განწყობილსა შორის ისრაᲔლისსა დღეს. მომეცით მე კაცი და მარტოდ ვიწყვნეთ ორნი". 11. და ესმა საულს და ყოველსა ისრაᲔლსა სიტყუანი იგი უცხოთესლისანი მის და, განჰკრთეს და შეეშინა მათ ფრიად. 12. და დავით იყო ძᲔ კაცისაჲ ეფრათელისაჲ. ესე იყო ბეთლემით ჰურიასტანისაჲთ და სახელი მისი იესე. და ამას ესხნეს რვა ძე. და კაცი მოხუცებული იყო დღეთა საულისთა და გარდასრულ წელთა. 13. და განვიდეს სამნი ძენი იესესნი უხუცესნი საულის თანა ბრძოლად. და ესე არს სახელები სამთა მათ ძეთა იესესთაჲ. რომელნი განსრულ იყვნეს ბრძოლად: ელიაბ. პირმშოი მისი, და შემდგომი მისი — ამინადაბ — და მესამᲔ — სამეა. 14. დავით იყო უმწეესი. და სამნი ესე უხუცესნი განვიდეს საულის თანა ბრძოლად. 15. და დავით წარვიდა და მიიქცა საულისგან და წარვიდა მამისა თჳისისა მწყსად ცხოართა მამისა თუისისათა ბეთლემს. 16. და წარმოდგის უცხოთესლი იგი მსთუად და მწუხრი. დგანნ წინაშე განწყობილისა მის ისრაᲔლისა. და ესრეთ ყვის ორმეოცთა მათ დღეთა. 17. და ჰრქუა იესე ძესა თუისსა დავითს: „მიართუ ძმათა შენთა სათუელი ჯალისაჲ ამის და ათი ესე ჯუეზაჲ პური, და მიეედ ბანაკად ძმათა შენთა: 18. და ათი ესე ხაჭუაჲ ნედლი შეართუით ათასისთაჳსა მას, და ძმათაჲ იკითხე მშუიდობაჲ. და ჰამბავი მომართუ და მითხარ მე სიცოცხლეჲ მათი". 19. საულ და ყოველი ისრაᲔლი ღელესა მას შინა ჰბრძოდეს უცხოთესლთა მათ. 20. და აღიმსთო დავით განთიად და ცხოარნი თუისნი დაუტევნა მცველთა. წარიღო და წარვიდა, ვითარცა ამცნო მას იესე. მივიდა ბანაკად ერისა მის, რომელი განსრულ იყო ბრძოლად, და ღაღადებაჲ იყო ბანაკსა მას. 21. და განეწყვნეს ძენი ისრაᲔლისანი ბრძოლად და უცხოთესლნი იგი განეწყვნეს წინაშეგანწყობილისა მის ძეთა ისრაᲔლისათაჲსა. 22. და დადვა დავით საჭურველი თჳსი და მიუთუალა იგი ყელთა ჭურჭლისმცველისათა. და მირბიოდა ბანაკად განწყობილსა მას ბრძოლისსა, და მოიკითხნა ძმანი თუისნი მშვიდობით. 23. და ვიდრე იგი ეტყოდაღა მათ, აჰა, ესერა. კაცი იგი ამალეკი აღმოვიდოდა, რომლისა სახელი მისი გოლიად.

ფილისტიმელი. რომელი იყო გეთით. განწყობილისაგან უცხოთესლთაჲსა; და ეტყოდა იგი სიტყუისაებრ მისისა. და ესმეს სიტყუანი ესე დავითს 24. და ყოველსა კაცსა ისრაჱლისსა. და იხილეს კაცი იგი, შეეშინა და ილტოდეს ფრიად პირისაგან მისისა. 25. და თქუა კაცმან ისრაჱლისაგანმან: ,,ხედავთა კაცსა იმას, რომელი აღმოვალს, რამეთუ ყოველრეაჲ ისრაჱლისაჲ აღმოვალს. და კაცმან რომელმან მოკლას იგი, განამდიდროს იგი მეფემან და ასული მისი მისცეს მას. და სახლი მამისა მისისაჲ ყოს თავისუფალ ისრაჱლსა შორის''. 26. და თქუა დავით: ,,რაჲმე ეყოს კაცსა მას, რომელმან მოკლას უცხოთესლი ესე და მოსპოს ყოველრეაჲ ისრაჱლისაგან?'' 27. ჰრქუა მას ერმან მან სიტყუისა მისებრ და ეტყოდეს: ,,ესრეთ ეყოს კაცსა მას, რომელმან მოკლას იგი''. 28. და ესმა ესე ელიაბს, ძმასა მისსა, უხუცესსა. ეტყოდა რაჲ იგი კაცთა მათ. და განურისხნა დავითს გულისწყრომით ელიაბ და ჰრქუა: ,,რაჲსათუის შენ ესრეთ მოსრულ ხარ აქა? ვის დაგიტევებიან მცირედნი იგი ცხოარნი უდაბნოსა ზედა? მე არა ვიცი ამპარტავანებაჲ შენი და უკეთურებაჲ გულისა შენისაჲ, რამეთუ ხილვად ბრძოლისად მოსრულ ხარ შენ?'' 29. თქუა დავით: ,,რაჲ მიყოფიეს მე აწ? აწ ნუ რასა სიტყუასა ვიტყოდი?'' 30. და წარვიდა მისგან სხუასა ადგილსა და თქუა ეგრეთვე. 31. და ესმეს სიტყუანი ესე დავითისნი, რომელთა იტყოდა. და უთხრეს საულს და მიიყვანეს იგი წინაშე საულისსა. 32. და თქუა დავით: ,,ნუ შეწუხნებინ გული უფლისა ჩემისაჲ მისთუის, რამეთუ მონაჲ შენი განვიდეს უცხოთესლისა ამის თანა და ჰბრძოდის''. 33. ჰრქუა საულ დავითს: ,,ვერ ძალ-გიც განსლვად უცხოთესლისა ამის თანა, რამეთუ შენ ყრმაჲ ხარ, ხოლო იგი მამაკაც არს მბრძოლი სიჭაბუკითგან თუისით''. 34. და ჰრქუა დავით საულს: ,,მწყემსი იყო მონაჲ შენი, რაჟამს მოვიდის ლომი, ანუ დათუი, განიღის ცხოარი კოლტისაგან. 35. განვიდი შემდგომად მისა, მოვკლი იგი და გამოული პირისაგან მისისა. უკუეთუ მომაქციის მე. უპარი ყიაჲ მისი. დავსცი და მოვაკუდინი. 36. ლომსა და დათუსა კლვიდა მონაჲ შენი და იყვნენ უცხოთესლნი ესე წინადაუცუეთელნი, ვითარცა ერთი მათგანი. მე განვიდე. და მოვკლა იგი და მოვსპო დღეს ყოველრეაჲ ისრაჱლისაგან; არამედ ვინ არს უცხოთესლი ესე. წინადაუცუეთელი ესე. რომელი აუეგრებს განწყობილსა ღმრთისა ცხოველისსა?'' 37. და თქუა დავით: ,,უფალმან, რომელმან განმარინა მე პირისაგან ლომისა და ჴელთაგან დათუისათა, მან განმარინოს მე ჴელთაგან ამის უცხოთესლისათა.'' და ჰრქუა საულ დავითს: ,,განვედ და უფალი იყავნ შენ თანა!'' 38. და შეჰმოსა საულ დავითს საჭურველი თუისი და ჩაფხუტი რვალისაჲ დადგა თავსა მისსა. 39. და შთააცუა მას თორნჱ და შეირტყა დავით მახუილი გარეგან თორნესა მას. და ჴლობდა დავით სლვასა შინა თუისსა ერთგზის და ორგზის, რამეთუ უჩუეველ იყო. და ჰრქუა დავით საულს: ,,ვერ განვიდე ამიერ, რამეთუ არა ჩუეულ ვარ ამას'', და განიძუარცუა იგი მისგან. 40. და მოიღო დავით არგანი ჴელსა მისსა და გამოირჩინა ხუთნი ქვანი მრგუალნი ჴევისა მისგან, და შთაისხნა იგინი ვაშკარანსა მას მწყემსთასა და შურდული მისი აქუნდა ჴელსა მისსა: და მიუჴდა კაცსა მას უცხოთესლსა. 41 და მოვიდა უცხოთესლი იგი და მოეახლა დავითს. და კაცი იგი, რომელსა აქუნდა ფარი მისი, წინაუძღოდა მას. 42. და მოხედა უცხოთესლმან მან გოლიად და იხილა დავით, და შეურაცხ-ყო იგი, რამეთუ ყრმაჲ იყო და თავად იგი მწითურ იყო და თუალითა შუენიერ. 43. და ჰრქუა უცხოთესლმან მან დავითს: ,,ძაღლი ნუ ვარა მე, რამეთუ გამოხუედ არგნითა და ქვითა ჩემ ზედა?'' და სწყევდა უცხოთესლი იგი კერპთა მიმართ თჳსთა. 44. და ჰრქუა უცხოთესლმან მან დავითს: ,,მოვედ ჩემდა და მივსცე ჴორცი შენი საჭმლად მფრინველთა

ცისათა და მკეცთა ქუეყანისათა". 45. და დავით ჰრქუა უცხოთესლსა მას: „შენ მოხუალ ჩემდა მახუილითა და ლახურითა, მე მოვალ სახელითა უფლისა ძალთაჲსა, ღმრთისა განწყობილისა მის ისრაჱლისსა, [რომელსა] აყუედრე დღეს. 46. და შეგაყენოს უფალმან ჴელთა ჩემთა დღეს: და მოგკლა შენ და აღვიღო თავი შენგან და მივსცე გუამი შენი საჭმლად მფრინველთა ცისათა და მკეცთა ქუეყანისათა. და ცნას ყოველმან კრებულმან, რამეთუ არს ღმერთი ისრაჱლსა შორის. 47. და ცნას ყოველმან კრებულმან, რამეთუ არა ლახურითა იკსნეს ერი უფალმან, რამეთუ უფალი არს ბრძოლაჲ. და მოგუცნენ თქუენ ჴელთა ჩუენთა. 48. და აღდგა უცხოთესლი იგი. მოეახლა დავითსა ბრძოლად. და დავით ისწრაფა და განვიდა განწყობილისა მისგან მიგებებად უცხოთესლისა მის. 49. მიყო ჴელი თუისი დავით ვაშკარანსა მას და მოიღო ქვაჲ ერთი, და გასტყორცა იგი და სცა უცხოთესლსა მას შუბლსა. და განვიდა ქვაჲ იგი ჩაფხუტისაგან შუბლად მისა და დაეცა პირდაქცევით ქუეყანასა ზედა. 50. და განძლიერდა დავით უფროის უცხოთესლისა მის მას დღესა შინა. და სცა უცხოთესლსა მას და მოკლა იგი. და მახუილი არა იყო ჴელსა დავითისსა. 51 და მირბიოდა დავით, დაადგა მას ზედა და უპყრა მახუილსა და გამოსტაცა ქარქაშისაგან თუისისა, და მოკლა იგი და მოჰკუეთა თავი მისი მახუილითა მით და იხილეს უცხოთესლთა მათ. რამეთუ მოკუდა ძლიერი იგი, და ივლტოდა. 52. და აღდგეს კაცნი იგი ისრაჱლისანი და იუდაისნი და ღაღატ-ყვეს და სდევდეს უცხოთესლთა მათ ვიდრე შესულამდე გეთისა და ვიდრე ბჭემდე ასკალონისა. და დაეცნეს წულულნი უცხოთესლთანი გზასა ზედა ბჭეთასა და ვიდრე გეთამდე და ასკალონდმდე. 53. და მოიქცეს კაცნი ისრაჱლისანი და მოვიდეს შემდგომად უცხოთესლთა მათ და წარმოტყეენეს ბანაკები მათი. 54. და მოიღო დავით თავი იგი უცხოთესლისა მის და შეიღო იერუსალჱმდ და საჭურველი მისი დადვა სამყოფელსა თუისსა. 55. და იყო, ვითარცა იხილა საულ დავითი, განარაჲვიდოდა ბრძოლად უცხოთესლისა მის, ჰრქუა აბენეზერ მთავარსა მას ერისა მისისსა: „ვისი ძჱ არს ჭაბუკი ესე?" აბენეზერ მიუგო და ჰრქუა: „ცხოელ არს სული შენი, უფალო ჩემო, მეფე, არა ვიცი". 56. თქუა მეფემან: „ჰკითხე, ვისი ძჱ არს ჭაბუკი ესე". 57. და ვითარ მოიქცა დავით მოკლვისაგან უცხოთესლისა, წარმოიყვანა იგი წინაშე საულისა. და თავი იგი უცხოთესლისა მის აქუნდა ჴელსა მისსა. 58. და ჰრქუა მას საულ: „ვისი ძჱ ხარ, ჭაბუკო?" და თქუა დავით: „ძჱ ვარ მონისა შენისა იესესი ბეთლემელისა".

18

1. და ვითარცა შევიდა დავით საულისა და აღასრულნა სიტყუანი თუისნი მისსა მიმართ, და იხილა იგი იონათან და შეეყო სული მისი სულსა დავითისსა. და შეიყუარა იგი იონათან სულისა თუისისა თანა. 2. და წარიყვანა იგი საულ მიერ დღითგან და არღარა მიუტევა იგი სახიდ მამისა თუისისა. 3. და აღითქუეს იონათან და დავით აღთქმაჲ. რამეთუ შეიყუარა იგი სულისაებრ თუისისა სული მოყუსისა თუისისა. 4. და განიძარცუა იონათან სამოსელი თუისი და მისცა იგი დავითს, ჯაჭუი და მახუილი მშუილდად და სარტყელად. დაადგინა იგი საულ კაცთა მათ ზედა მბრძოლთა, 5. განვიდოდა დავით და შემოვიდოდა და გულისხმა-ჰყოფდა ყოველსა საქმესა, ვიდრეცა ავლინებდა მას საულ წინაშე თუალთა მონათა საულისთა. 6. და რაჟამს შერაჲვიდოდეს ივინი, მორაჲქცეულ იყო მოკლვისა მისგან უცხოთესლისა, გამოვიდოდა მძნობრებითა მაქებელნი მიგებებად დავითისა, შემთხუევად საულისა მეფისა ყოველთაგან ქალაქთა ისრაჱლისათა ქებად და ძნობად და შესხმად ბობღნითა და

ჭნარითა, ნესტუეითა და სიხარულითა დიდითა. 7. შეასხმიდეს დედანიცა იგი მძნობარნი და ეტყოდეს: „მოსრა საულ ათასეული, დავით ბევრეული“. 8. და განრისხნა გულისწყრომით საულ. და ბოროტ-უჩნდა სიტყუაჲ ესე ფრიად წინაშე საულისა მისთუის და თქუა საულ: „მისცეს დავითს ბევრეული და მე ათასეული, და რაჲღა აკლს მას, გარნა მეფობაჲ?“

ნაწყვეტები სინური ლექციონარიდან

შესაქმე

1

1 დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ. 2. და ქუეყანაჲ ესე იყო უხილავ და განუმზადებელ. და ბნელი იყო ზედა უფსკრულთა, და სული ღმრთისაჲ იქცეოდა ზედა წყალთა. 3. და თქუა ღმერთმან: „იყავნ ნათელი!“ და იყო ნათელი. 4. და იხილა ღმერთმან ნათელი იგი, რამეთუ კეთილ. და განაშორა ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა. 5. და უწოდა ღმერთმან ნათელსა მას დღ҃ და ბნელსა მას უწოდა ღამ҃. და იყო მწუხრი და იყო განთიად, დღ҃ იგი პირველი. 6 და თქუა ღმერთმან: „იყავნ სამყაროჲ შორის წყალთა!“ და იყავნ განმაშორებელ [შორის წყალთა და იყო ეგრეთ. 7. და განყო ღმერთმან] შორის წყალთა მათ, რომელი-იგი იყო ქუეშე სამყაროსა მას და შორის წყალთა მათ, რომელი იყო ზედა სამყაროსა მას. 8. და უწოდა ღმერთმან სამყაროსა მას ცაჲ; და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. და იყო მწუხრი და იყო განთიად, დღ҃ იგი მეორ҃.

9. და თქუა ღმერთმან: „შეკრბედ წყალნი ეგე, რომელ არიან ქუეშე ცასა, შესაკრებელსა ერთსა და გამოჩნდინ კმელი!“ და იყო ეგრე. და შეკრბეს წყალნი იგი ქუეშე ცასა შესაკრებელსა ერთსა, და გამოჩნდა კმელი. 10. და უწოდა ღმერთმან კმელსა მას ქუეყანაჲ და შესაკრებელსა მას წყალთასა უწოდა ზღუებ. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. 11. და თქუა ღმერთმან: „აღმოაცენენ ქუეყანამან მწუანვილი თივისაჲ, სათესაჲი თესლად-თესლადი და მსგავსად-მსგავსადი: და ხს҃ ნაყოფიერი, რომელმან გამოიღის ნაყოფი, რომლისაჲ თესლი მისი მის თანავე იყოს, მსგავსად-მსგავსადი და თესლად-თესლადი ქუეყანასა ზედა!“ და იყო ეგრე. 12. და გამოიღო ქუეყანამან მწუანვილი თივის, სათესავი თესლად-თესლადი და მსგავსად-მსგავსადი, და ხს҃ ნაყოფიერი, რომელმან გამოიღის ნაყოფი, რომლისაჲ თესლი მის თანავე იყოს, თესლად-თესლადი ქუეყანასა ზედა. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. 13. და იყო მწუხრი და იყო განთიად, დღ҃ იგი მესამ҃.

14. და თქუა ღმერთმან: „იყვნედ მნათობნი ქუეყანასა ზედა სამყაროსა ცისასა განმანათლებელად [ქუეყანისა, განსაყოფელად შორის დღისა და შორის ღამისა და იყვნედ სასწაულებად და დღეებად და წელიწადებად, 15. და იყვნედ განმანათლებელად სამყაროსა ცისასა, რაჲთა ჩნდეს ქუეყანასა ზედა!“ და იქმნა ეგრეთ]. 16. და შექმნნა ღმერთმან ორნი ესე ნათელნი დიდ-დიდნი, მნათობი ესე დიდი მფლობელად დღისა და მნათობი ესე უმცირ҃სი მფლობელად ღამისა, და ვარსკულავნი. 17. და დასხნა იგინი სამყაროსა ცისასა, რაჲთა ჰნათობდენ ქუეყანასა ზედა, 18. და მთავრობდენ დღესა და ღამესა და განსწვალებდენ შორის ნათლისა და შორის ბნელისა. და

იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. 19. და იყო მწუხრი და იყო განთიად, დღ̆ იგი მეოთხ̆.

20. და თქუა ღმერთმან: „გამოიყვანეთ(!) წყალთა საშუმინველი ცხოველი და მფრინველი ფრთოვანი ქუეყანასა ზედა მსგავსად სამყაროსა ცისასა!" და იყო ეგრე. 21. და შექმნა ღმერთმან ვეშაპი იგი დიდი და საშინელი ყოველთა საცხოვართა ქუეწარმავალთაჲ, რომელნი გამოიყვანნეს წყალთა თესლად-თესლადისაებრ მათისა. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. 22. და აკურთხნა იგინი ღმერთმან და თქუა: „აღორძნდით და განმრავლდით და აღავსენით წყალნი იგი ზღუსანი და მფრინველნი ეგე განმრავლდით ქუეყანასა ზედა!" 23. და იყო მწუხრი და იყო განთიად, დღ̆ იგი მეხუთ̆.

24. და თქუა ღმერთმან: „გამოიღენ ქუეყანამან საშუმინველი ცხოველი თესლად-თესლადი ოთხფერჯი და ქუეწარმავალი, მჴეცი ქუეყანისაჲ და ყოველი პირუტყუ და ყოველი ქუეწარმავალი თესლად-თესლადი!" და იყო ეგრე. 25. და შექმნნა ღმერთმან მჴეცნი ქუეყანისანი თესლად-თესლადი საებრ მათისა. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. 26. და თქუა ღმერთმან: „ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა, და მთავრობდეს თევზთა ზედა ზღუსათა და მფრინველთა ცისათა და საცხოვართა პირუტყუთა და ყოველთა ქუეწარმავალთა, რომელნი ვლენან ქუეყანასა ზედა". 27. და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად ღმრთეებისა შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი. 28. აკურთხნა იგინი ღმერთმან და თქუა: „აღორძნდით და განმრავლდით და აღავსეთ ქუეყანაჲ და უფლებდით მას ზედა და მთავრობდით თევზთა ზედა ზღუსათა და მფრინველთა ცისათა და ყოველთა საცხოვართა და ყოველთა ქუეწარმავალთა, რომელნი ვლენან ქუეყანასა ზედა". 29. და თქუა ღმერთმან: აჰა, ეგერა, მიგეც თქუენ ყოველი თივაჲ თესლოვანი სათესავი თესლი. რომელ არს პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა, და ყოველი ხ̆ , რომელსა აქუს მის თანა ნაყოფი სათესავი თესლისაჲ, — თქუენდა იყოს საჭმლად. — 30. და ყოველთა მფრინველთა ცისათა და ყოველთა ქუეწარმავალთა, რომელნი ვლენან ქუეყანასა ზედა, რომელსა აქუს მის თანა საშუმინველი ცხოველთაჲ, და ყოველი თივაჲ მდელოჲსაჲ საჭმლად. და იყო ეგრე: 31. და იხილა ღმერთმან ყოველი, რავდენი ქმნა, და, აჰა, ესერა, კეთილ იყო ფრიად. და იყო მწუხრი და იყო განთიად, დღ̆ იგი მეექუს̆.

18

1. და ეჩუენა ღმერთი აბრაჰამს მუხასა მას თანა მამბრესა, ჯდა რაჲ იგი კართა ზედა კარვისა მისისათა სიცხისა ჟამსა. 2. აიხილნა თუალნი თჳსნი აბრაჰამ და, აჰა, ესერა, სამნი კაცნი მოვიდოდეს და მოადგეს მას ზედა. და ვითარცა იხილნა იგინი აბრაჰამ, მირბიოდა მათა კარით მის კარვისაჲთ და თაყუანის-სცა პირსა ზედა ქუეყანისასა. 3. და ჰრქუა მათ: „უფალნო, უკუეთუ ეპოვე მადლი წინაშე თქუენსა, ნუ თანაწარხუალთ მონისა თქუენისა, არამედ მოაქციეთ კარვად მონისა თქუენისა. 4. და მოვიღო წყალი და დაიბანენით ფერჳნი თქუენნი და დაიგრილეთ ხესა ამას ქუეშე. 3. ვიღრემდე მოგართუა პური, და ჭამეთ, და მისა შემდგომად წარვედით გზასა თქუენსა, ვინაჲცა მოიწიენით ადგილსა ამას". ჰრქუეს კაცთა მათ: „ეგრე ყოთ, ვითარცა სთქუ". 6. და მისწრაფა აბრაჰამ კარვად სარაჲსა და ჰრქუა: „აწ ადრე უკ და შესუარე სამი საწყაული სამინდოჲ და შექმენ ყუერბეულად". 7. და მირბიოდა აბრაჰამ საბწყსოდ და მოიბა ეგბოჲ ერთი ჩჩვლი და პოხილი და მისცა მონათა თჳსთა

მოსაქმედ ადრე. 8. და მოიღო ერბოი და სძღ და კბოი იგი მომზადებული და პური, და დაუგო მათ წინაშე. და ჭამეს და აბრაჰამ დგა წინაშე მათსა ხესა მას ქუეშე.

9. და პრქუა მას უმთავრ©სმან მან: „სადა არს სარა, ცოლი შენი?" და თქუა აბრაჰამ: „აჰა, ესერა, არს კარავსა შინა". 10. პრქუა მას უფალმან: „მოვაქციო მე ამასვე ჟამსა, და სარას, ცოლსა შენსა, ესუას ძ©". ხოლო სარას ესმოდა სიტყუაი იგი, დგა რაი იგი ზურგით კერძო კარავსა მას შინა. 11. რამეთუ აბრაჰამ და სარა მოხუცებულ იყვნეს და გარდასრულ იყვნეს დღეთა მათთა, და სარა დადგრომილ იყო დედათასა ყოფად. 12. განიცინა სარა გულსა შინა თჳსსა და თქუა: „რომელ-იგი აქა-მომდე არა ყოფილ არს, და უფალი ჩემი მოხუცებულ არს". 13. და პრქუა უფალმან აბრაჰამს: „რაჲსათჳს განიცინნა სარა გულსა შინა თჳსსა" და თქუა: „ჭეშმარიტად ვშჳ მეა? რამეთუ მე დავბერდი". 14. ნუუკუე შეუძლებელ არსა ღმრთისა მიერ? ამასვე ჟამსა მოვაქციო აქავე და სარას ესუას ძ©". 15. და უვარ-ყო სარა და თქუა: „არა ვიცინოდე, უფალო!"- რამეთუ შეეშინა სარას ფრიად. და პრქუა უფალმან: „არა, არამედ იცინოდე".

16. და აღდგეს კაცნი იგი და წარვიდეს სოდომით კერძო, ხოლო აბრაჰამ თანაუვიდოდა მათ და წარჰგზავნიდა. 17. და თქუა უფალმან: „ნუუკუე დაუფაროა მონასა ჩემსა აბრაჰამს, რომელი მეგულების მე ყოფად? 18. რამეთუ აბრაჰამ ყოფით იყოს ნათესავად დიდად, და იკურთხეოდიან მისა მიმართ ყოველნი ნათესავნი ქუეყანისანი". 19. უწყოდა, რამეთუ მან განაწყვნეს შვილნი თჳსნი შემდგომად მისა, რაჲთა იმარხვიდენ გზათა უფლისათა ყოფად სიმართლისა და განკითხვისა, რაჲთა მოაჳლინოს უფალმან აბრაჰამის ზედა და ყოველსა, რომელსა იტყოდა მისა მიმართ. 20. და პრქუა უფალმან: „ღაღადებაჲ სოდომისაჲ და გომორისაჲ განძლიერებულ არს, და ცოდვანი მათნი დიდ არიან ფრიად. 21. გარდავიდე და ვიხილნე. უკუეთუ ნანდჳლე ღაღადებისა მათისაებრ იყვნენ, რომელნი მოიწევიან ჩემ წინაშე. უკუეთუ არა, რაჲთა ვცნა". 22. და მიაქციეს მიერ კაცთა მათ და ორნივე წარვიდეს სოდომად, ხოლო აბრაჰამ დგა წინაშე უფლისა. 23. მიეახლა და პრქუა მას: „წარ-მე-სწყმიდოა მართალი უღმრთოჲსა თანა და იყოს მართალი იგი, ვითარცა უღმრთოჲ? 24. უკუეთუ იპოვნენ მართალნი იგი ერგასის ქალაქსა შინა. წარწყმიდნეა იგინი? არა დააცადოა ყოველი იგი ადგილი ერგასისთა მათთჳს მართალთა, უკუეთუ იყვნენ მუნ შინა? 25. ნუსადა იყოფინ. ვითარმცა მოჰკალ მართალი უღმრთოსა თანა და იყოს მართალი იგი, ვითარცა უღმრთოჲ ნუსადა! რომელი-ეგე შჯი ყოველსა ქუეყანასა, არა ჰყო საშჯელი ესე?" 26. და თქუა უფალმან: „უკუეთუ ვპოვნე სოდომას შინა ერგასისნი მართალნი, დავაცადო ერგასისთა მათთჳს მართალთა ყოველი იგი ადგილი". 27. მიუგო აბრაჰამ და პრქუა უფალსა: „აწყა მიწყიეს სიტყუად უფლისა ჩემისა, რამეთუ მე ვარ მიწაჲ და ნაცარი. 28. უკუეთუ დააკლდეს ერგასისთა მათ ხუთი, წარსწყმიდოა ხუთთა მათთჳს ყოველი იგი ქალაქი?" და თქუა უფალმან: „უკუეთუ ვპოვნე მუნ შინა ორმეოცდახუთნი, არა წარვწყმიდო". 29. და შესძინა მერმე აბრაჰამ უფლისა მიმართ და თქუა: „უკუეთუ იპოვნენ მუნ შინა ორმეოც?" და თქუა უფალმან: „არა წარვწყმიდო ორმეოცთა მათთჳს." 30. და თქუა აბრაჰამ: „ნუუკუე განრისხნე, უფალო, უკუეთუ ვიტყოდიღა? იპოვნენ თუ მუნ ოცდაათ?" და თქუა უფალმან: „არა წარვწყმიდო, ვპოვო თუ მუნ ოცდაათ." 31. და თქუა აბრაჰამ: „ვიტყოდი მელაა უფლისა მიმართ, უკუეთუ იპოვნენ მუნ ოც?" და თქუა უფალმან: „არა წარვწყმიდო ოცთა მათთჳს." 32. და თქუა აბრაჰამ: „ერთგზისღა ვიტყოდი უფლისა მიმართ: უკუეთუ იპოვნენ მუნ ათ?" და თქუა უფალმან: „არა წარვწყმიდო ათთა მათთჳს."

33. და წარვიდა უფალი, ვითარცა დასცხრა აბრაჰამი სიტყუად მისა მიმართ, და აბრაჰამ წარვიდა ადგილად თჳსა.

ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი

(ნაწყვეტები)

იყო, მათ ჟამთა ოდენ გიორგი კაბადუკიელი იწამა ქრისტჱსთჳს. მათ დღეთა კაბადუკიაჲთ ქალაქით კაცი ვინმე, მთავართა შესაბამი, მონაჲ ღმრთისაჲ, წარვიდა ჰრომელ მეფეთა წინაშე მსახურებად და ნიჭისა მოღებად. და მათვე დღეთა კაცი ვინმე იყო კოლასტას შინა და ესხნეს ორ შვილ: ძჱ და ასული. სახელი ძისა მისისაჲ იობენალი, ხოლო ასულისაჲ — სუსანა.

და ვითარ აღესრულნეს მშობელნი იგი, დაშთეს შვილნი მათნი ობლად. აღდგეს და წარვიდეს წმიდად ქალაქად იერუსალჱმდ, იმედ-ყვეს სასოვებაჲ იგი ყოველთა ქრისტეანეთაჲ — წმიდაჲ აღდგომაჲ — და მიევედრნეს მუნ.

ესე ძმაჲ სუსანაისი მიემთხჳა დევტალარობასა, ხოლო სუსანა ჰმსახურებდა მიათჳრსა, სარას ბეთლემელსა.

ხოლო ესე ჭაბუკი კაბადუკიელი მიიწია წინაშე მეფისა ჰრომელ. და ეწყენეს ბრანჯნი ჰრომთა ბრძოლად ველსა ზედა პიტალანისასა. და მოსცა ღმერთმან ჭაბუკსა მას კაბადუკიელსა ძალი უძლეველი და ქმნა წინააღდგომაჲ მტერთაჲ ძლიერად. ვიდრემდის წარიქცინა სივლტოლად და შეიპყრა მეფჱ ბრანჯთაჲ და მის თანა მთავარნი მრავალნი და შეიყვანნა წინაშე მეფისა მეფჱ ბრანჯთაჲ და ყოველნი მთავარნი, ხოლო მეფემან განაწესა სიკუდილი მათი. მაშინ იწყეს ტირილად ბრანჯთა მათ და ევედრებოდეს ზაბილოვნს: „მოგუეც პირველად შჯული შენი და შეეკუვანენ ჩუენ ტაძარსა მას ღმრთისა თქუენისასა და მაშინღა იყავნ სიკუდილი ჩუენი, რამეთუ შე-ცა-შენვე-გკპყრენ და შენვე ყავ ესე ჩუენ ზედა, და უბრალო იყო სისხლთა ჩუენთაგან".

ხოლო ზაბილოვნსცა ესმა, მსწრაფლ აუწყა ესე მეფესა და პატრეაქსა სიტყუაჲ მათი. და მოსცეს მათ ნათელი ჯელსა ზაბილოვნისსა და შეიყვანნეს ტაძარსა ღმრთისასა, წმიდასა ეკლესიასა, და აზიარნეს საიდუმლოთა ქრისტესთა და უჩუენნეს მათ დიდებანი იგი წმიდათა მოციქულთანი. და დილაჲთ ადრე აღდგეს ბრანჯნი იგი და სამოსელი სამკუდროჲ შეიმოსეს და განვიდეს ადგილსა მას კაცთა საკლავსა. ილოცვიდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა ნათლის-ღებასა მას ზედა და ზიარებასა და იტყოდეს: „ჩუენ სიკუდილსა შინა უკუდავ ვართ, რამეთუ ღირს-მყენა ჩუენ ღმერთმან ესვითარსა დიდებასა ხილვად და საგზალსა მას დაულევნელსა, ჯორცსა და სისხლსა ქრისტჱს, ძისა ღმრთისა უკუდავისა მის მეუფისასა, რომელი არს უფროჲს უმაღლეს ყოველთა მაღალთა და უქუესკნელეს ყოველთა ქუესკნელთა, რამეთუ იგი არს კურთხეულ უკუნითი უკუნისამდე, ამენ. ხოლო ვაჲ ნამობთა ჩუენთა, ნაყოფთა სიმწარისათა, მკვდრთა ბნელისათა!" და კმობდეს იგინი: „მოვედინ მეკრმლჱ ეგე და აღიხუენინ თავნი ჩუენნი ჩუენგან".

ამას რაჲ ჰხედვიდა ზაბილოვნ, აღიძრა გონებითა და ტიროდა, რამეთუ, ვითარცა ცხოვართა, თავნი თჳსნი კლვად წარეპყრნეს და, ვითარცა კრავთა, შვილთა მათთა სწყალობდეს. მაშინ შევიდა ზაბილოვნ წინაშე მეფისა და გამოითხოვნა და ნი-

ჭითა განუტევნა. ხოლო იგინი ეკედრებოდეს ზაბილოვნს, რაჲთა წარჰყვეს ქუეყანად მათა და მისცეს შჯული ქრისტესი და ნათლის-ღებაჲ წყლითა ყოველსა ერსა მათსა.

ხოლო ისმინა მათი ზაბილოვნ და მოსთხოვნა მღდელნი პატრიაქსა და ბრძანებაჲ მოიღო მეფისაგან და წარვიდეს სიხარულით. და ვითარცა მიეახლნეს ვითარ ერთ დღისა სავალსა, მიკდა ჰამბავი, ვითარმედ მეფჱ მოვალს ცოცხალი და ყოველნი მთავარნი მის თანა. მაშინ შეიძრნეს ათნი იგი საერისთვონი: ხოლამაჲ და ხოზაბაჲ, ხლაჭაჲ, ხენეშაგი, ტიმგარაგი, ზაქაჲ, გზაჲ, ზარგაჲ, ზარდაჲ, ზარმაჲ და თმონიგონი სამეუფოჲ და მოეგებვოდეს მდინარესა ზედა დიდსა ღდამარასა.

და განყო მეფემან ერი იგი და დაადგინა წყალსა მას იმიერ და ამიერ. და აკურთხეს მღდელთა მდინარჱ იგი და შთაკდა ყოველი ერი მდინარესა მას, და განიბანებოდეს და აღმოვიდოდეს გამოსავალსა ერთსა. და დასდებდა ზაბილოვნ კელსა ყოველსა ერსა ათ დღე. და აღჰმართნეს კარავნი და შეწირეს მღდელთა ჯამი და აზიარნეს ქრისტჱსს საიდუმლოთა. და განუტევნა მღდელნი და განკარგა ყოველი წესი ქრისტიანობისაჲ და დაუტევა კურთხევაჲ და წარვიდა ნიჭითა დიდითა ჰრომედ, და განიზრახა გულსა თჳსსა და თქუა: „წარვიდე იერუსალჱმდ“, და მისცა გლახაკთა ყოველი იგი მონაგები. და დევტალარი იგი პატრიაქქმნულ იყო. და ფრიად დაიმეგობრნეს ურთიერთას ზაბილოვნ და პატრიაქი.

ჰრქუა სარა მიაფორმან პატრიარქსა: „ესე ზაბილოვნ, მამაჲ და ემბაზი ბრანჯთაჲ, კაცი სრული სიბრძნითა და ღმრთისმოშიებითა. ამას მიეც დაჲ შენი სუსანა ცოლად“. და სთნდა წმიდასა პატრიაქსა სიტყუაჲ მისი და მისცეს სუსანა ცოლად მისა. და წარვიდეს თჳსა ქალაქად კოლასედ და მე ოდენ ვიშევ მათგან, და იგინი არიან მშობელნი ჩემნი. და აღმზარდა მე დედამან ჩემმან წიაღთა შინა თჳსთა მსახურებასა შინა გლახაკთასა დღე და ღამე დაუცადებელად.

და ვითარცა ვიქმენ მე ათორმეტის წლის, მშობელთა ჩემთა განყოდეს ყოველი, რაჲცა აქუნდა, და წარვიდეს იერუსალჱმდ. მაშინ მამამან ჩემმან დაიწერა ჯუარი პატრიაქისაგან და განიჯჳნა დედისაგან ჩემისა. და შემიტყბო მე მკერდსა მისსა და დამალუარნა, ვითარცა ღუარნი, ცრემლნი თჳსნი თუალთა და პირსა ჩემსა და მრქუა: „შენ, მხოლოოვ ასულო ჩემო, ესერა, დაგიტევებ შენ ობლად ჩემგან და მიგითუალავ შენ ღმერთსა ცათასა, მამასა, ყოველთა მზრდელსა. და უფალსა, რამეთუ იგი არს მამაჲ ობოლთაჲ და მსაჯული ქურივთაჲ. ნუ გეშინინ, შვილო ჩემო! ხოლო შენ მაგდანელისა მარიამის შური აღიღე სიყუარულისაოჳს ქრისტესისა და დათა მათ ლაზარესთა. და თუ შენ ესრჱთ გეშინოდის მისა, ვითარცა მათ, მან ეგრჱთ მოგცეს ყოველი, რაჲცა სთხოოო მას, ოდეს რაჲ გინდეს მისგან“. და მომცა ამბორებაჲ საუკუნოჲ და წარვიდა წიაღ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელ-რაჲ ყოფაჲ მისი იცის მისმან უფალმან იესუ.

ხოლო დედაჲ ჩემი მისცა პატრიაქმან მსახურად გლახაკთა დედათა უძლურთა, ხოლო მე ვჰმსახურებდ მიაფორსა სომეხსა დვინელსა ორ წელ. და ვჰკითხვედი ენებათა მათთჳს ქრისტესთა, ჯუარ-ცუმისა, დაფლვისა და აღდგომისათჳს მისისა და სამოსლისა მისისა და ჯუართა და ტილოთასა და სუდარისასა ყოველსა მიწყებით, რამეთუ არა ვინ ყოფილ იყო, არცა იყო შორის იერუსალჱმსა ზომი მისი მეცნიერებითა შჯულისა გზასა ძველსა და ახალსა ყოველსავე. იწყო უწყებად ჩემდა და თქუა: „ვხედავ, შვილო ჩემო, ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა, რომელი იზახებენ ყოველსა ზედა ოთხფერკსა, გინა, ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა აერთასა უფროჲს მამლისა და ყოველი ქუეყანაჲ გუგასა თუალისა მი-

სისასა, მცირესა მარგალიტისსწორსა, შეაყენის და განიხილის, განიცადის საჭმელი მისი, ცეცხლებრ დაინახის, მოუტევნის ფრთენი შრიალებად და მიიმართის მის ზედა. ეგრეთ იყოს ცხორებაჲ შენი წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა".

თჟუმული სიდონიადსი აღშენებისათჳს ეკლესიათადსა

ხოლო მეფჱ ეტყოდა ნინოს აღშენებისათჳს ეკლესიისა. ოდეს-იგი წარემართა მეფჱ და ყოველი ერი მოსწრაფებით ქრისტეანობასა, ვიდრე მღდელთა მათ მოსლვადმდე საბერძნეთით. ჰრქუა მეფემან მორწმუნემან წმიდასა ნინოს: „სადა უშენო სახლი ღმერთსა?" ხოლო ნეტარმან მან ჰრქუა: „სადაცა მეფეთა გონებაჲ მტკიცე არს". ხოლო მეფემან ჰრქუა: „მიყუარან მაყუალნი ეგე შენნი და მუნ მინებს გონებითა, არამედ არა ესრჱთ, არამედ არა ვჰრიდო სამოთხესა მას სამეუფოსა და ნაძეთა სიმაღლესა და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყუავილთა მათ სულნელებასა, არამედ მას შინა აღვაშენო ტაძარი სალოცველად ჩემდა, რომელი ეგოს უკუნსამუ".

და მეყსეულად მოიღეს ძელი და იწყეს შენებად. და მოჰკუეთეს ნაძვ იგი და შემზადეს სუეტად და ძირთა მისთა ზედა დადვეს საფუძველი ეკლესიისაჲ. და იყო სუეტისა მის საშინელ ხილვაჲ და საძირკველი, რომელი ზემო წერილ არს. ხოლო ოდეს მოიწია ჟამი აღმართებად სუეტი იგი პირველმოსენებული, იწყეს ხუროთა მათ აღმართებად და ვერ უძლეს. მაშინ შეკრბა სიმრავლჱ ურიცხვ და მეფჱ მათ თანა, იწყეს ფერად-ფერადთა ღონეთა და მანქანათა მზადებად, არა თუ აღმართებად ოდენ ვერ შეუძლეს, არამედ შეძრვადცა. და უქმ იქმნა ყოველი სიბრძნჱ და ღონის-ძიებაჲ კაცთაჲ, რაჲთა სუეტისა მის აღმართებითა საკვრველად ღმერთი იდიდოს და კაცნი უმეტესად დაემტკიცნენ სარწმუნოებასა. და ვითარ ვერ შეუძლეს აღმართებად და უმარჯჳ იქმნა საქმჱ იგი. წარვიდა მეფჱ და ყოველი ერი გულგდებული ურვისაგან და მწუხარე იყვნეს ამას ზედა. ხოლო ნეტარი ნინო დაშთა ადგილსავე და ათორმეტნი დედანი სხუანი. ხოლო სანატრელი იგი გოდებდა და დაადენდა ცრემლთა სუეტსა მას ზედა.

და ვითარცა შუაღამე ოდენ იყო, წარმოიქცეოდეს ორნი ესე მთანი: არმაზ და ზადენ, რეცათუ ესრჱთ ჩამოირღუეოდეს. და დაიყენნეს ორთავე წყალნი იგი. და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა საშინელად ქალაქი. და მიერ შეიქმნნეს ჴმანი საშინელნი და საზარელნი ტყეებისა და სივლტოლისანი. ეგრევე არაგვ გარდამოჴდა ციხესა ზემოჲთ და იქმნებოდეს საშინელნი გრგჳნვანი. და შეშინდეს დედანი იგი და ივლტოდეს და მეცა მათ თანავე. ხოლო ნეტარი წმიდაჲ ნინო ღაღადებდა: „ნუ გეშინინ, დანო ჩემნო. მთანი იგი მუნვე ჰგიან და წყალნი იგი მუნვე დიან და ერსა ყოველსა სძინავს. ხოლო ესე, რომელ რეცა მთანი დაირღუეს, სამართლად გუაჩუენებს, რამეთუ ურწმუნოვებისა მთანი დაირღუეს ქართლს შინა, და წყალნი რომელ დაეყენნეს, დაეყენა სისხლი იგი ყრმათა ეშმაკთა შეწირვისაჲ. ხოლო ჴმანი ესე ტყეებისანი არიან ეშმაკთა სიმრავლისანი, რამეთუ ეგლოვენ თავთა მათთა ოკრებასა, რამეთუ არიან იგინი მეოტ ამით ადგილით ძალითა მაღლისათა და ჯუარითა ქრისტჱსითა. მოიქეცით და ილოცევდით ღმერთსა მიმართ, შვილნო!" და მეყსეულად დასცხრეს ჴმანი იგი და იყო არარაჲ.

და დადგა წმიდაჲ ნინო და განიპყრნა ჴელნი თჳსნი ცად მიმართ და თუალნი ღმერთსა მიმართ, ილოცვიდა და ევედრებოდა, რაჲთა არა დაიბრკოლოს საქმჱ ესე სარწმუნოვებისაჲ მტერმან, რომელსა წადიერებით წარმართებულ არს მეფჱ და ყო-

ველი ერი. და ვიდრე არღა ეყოვნა ქათამსა, სამთავე კართა სცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან და დალეწნეს კარნი ქალაქისანი. და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა და მეყსეულად შეიქმნეს ზარისაღსაკდელნი ზრინვანი და ყივილნი და კლვაჲ ერისაჲ, ვითარმცა სისხლი დიოდა. და აღივსო ყოველი ადგილი და მოვიდა ჩუენ ზედა სიმრავლჱ ზახილთაჲ და მახვლთაჲ. და დადნეს ჯორცნი ჩუენნი და განილია სული ჩუენი, ხოლო მე ვტიროდე მამისათჳს და ნათესავთა ჩემთათჳს. და მსწრაფლ მესმა, ყმობდეს ძლიერად: „ამას ბრძანებს მეფჱ სპარსთაჲ ხუარა და მეფეთმეფჱ ხუარან ხუარა: „ყოველი ჰურიაჲ განარინეთ პირისაგან მახვლისა". ვითარცა ესე მესმა, მოვეგე გონებასა, შეორგულდი მე და ათნი იგი ჩემ თანა. და მოახლებულ იყვნეს მახვლოსანნი და ჩუენსა გარემოჲს სცემდეს და კლვიდეს.

და ისმა ყმაჲ ძლიერად, მირიან მეფე შეიპყრესო, და გარემოიხილა მჴნედ მოლუაწემან მან და თქუა: „კუალად ყვესა? ვიცი, რამეთუ დიდად შჴირს", და ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ ესე ნიშანი მათისა წარწყმედისაჲ არს და ქართლისა ცხორებისაჲ და ამის ადგილისა დიდებისაჲ. და ნუგეშინის-გუცემდა, ვითარცა მოძღუარი ყლოვანი. ნანდჳლვე ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული ქრისტესი წმიდაჲ ნინო, და მოექცა ერსა მას, მომავალსა ჩუენ ზედა, და ჰრქუა: „სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარან და ხუარა? საბასტანით გუშინ წარმოხუედითა? მალე მოხუედით. და დიდად სამე არს ლაშქარი, უზომო ვიდრემე ხართ და ძლიერად დაჰლეწეთ ქალაქი ესე. მახვლი დაეცით. უბრძანებ ქართა და ნიავთა: „წარვედით ბნელთა ჩრდილოჲსათა, მთათა მათ კედარისათა. აქა მოვიდა იგი, რომელსა თქუენ ეძლტოდეთ". და განძრა მარჯუენე თჳსი და დასწერა ჯელითა სახჱ ჯუარისაჲ. და მეყსეულად უჩინო იქმნა ყოველი იგი სიმრავლჱ ერისაჲ და იქმნა დაყუდება დიდ. და ჩუენ ვადიდებდით ღმერთსა და ვჰნატრიდით წმიდასა და სანატრელსა ნინოს.

და ვითარცა ცისკარი აღეღებოდა, მცირედ მიერულა დათა მათ ჩემთა, ხოლო მე მღჳძარე ვიყავ და წმიდაჲ ნინო დგა ჯელაღპყრობილ. და, აჰა, ესერა, ზედამოადგა ჭაბუკი ერთი, ყოვლადვე ნათლითა შემოსილი, და მოგბლარდნა ცეცხლისსახედ ზეწარი, და ჰრქუნა სამნი რაჲმე სიტყუანი ნეტარსა ნინოს. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თჳსსა. ხოლო ჭაბუკმან მან მიყო ჯელი სუეტსა მას და უპყრა თავი და აღამაღლა და წარიღო სიმაღლესა ცათასა. და მე განკჳრვებული მივეახლე და ვარქუ ნეტარსა დედოფალსა: „რაჲ არს ესე?" ხოლო მან მომიდრიკა თავი ჩემი ქუეყანად და მე ტირილდ ვიწყე ზარსა მას ზედა. და მცირედისა ჟამისა შემდგომად აღდგა ნეტარი იგი და მეცა აღმადგინა და განვეშორენით მას ადგილსა. ხოლო დედანი იგი იყვნესვე კიდე.

და, აჰა, ვიხილე. სუეტი იგი ცეცხლისსახედ ჩამოვიდოდა და მოეახლა ხარისხსა მას თჳსსა. და ვითარ დაემართა და დადგა ზედა ხარისხსა მას ქუეყანით აღშორებულად ვითარ ათორმეტ წყრთა და ნელიად ჩამოიცვალებდა თჳსსავე მას ზედა ნაკუეთსა, რამეთუ ხარისხად იყო ძირი იგი მისი, რომლისაგან მოკუეთილ იყო სუეტი იგი ცხოველი. და ვითარ რიჟურაჟუ ოდენ იყო, აღდგომილ იყო მეფჱ, გულგდებული ურვათაგან, და მიხედა სამოთხესა მას დაწყებულსა მისსა ეკლესიასა, რამეთუ მუნ მტკიცე იყო გონებაჲ მისი, და იხილა მუნ ნათელი, ვითარცა ელვაჲ, ზეცადმდე აღწევნული სამოთხესა მას შინა, იწყო სრბად, მკჳრცხლ მოსლვად და ყოვლისა ერისა სიმრავლჱ მის თანა. და ვითარცა მოვიდეს და იხილეს საკჳრველი იგი: ნათლითა მბრწყინვალჱ სუეტი იგი ჩამოვიდოდა ადგილად თჳსა, რეცათუ დადგა ხარისხსა თჳსსა ზედა და დაემყარა ჯელთშეუხებელად კაცთაგან, — ნეტარ მას ჟამსა, რაჲ იგი

იქმნებოდეს! — შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთაჲ ქალაქი და დამოსდიოდეს მდინარენი ცრემლთანი მეფესა და მთავართა და ყოველსა ერსა სულთქუმითა სულისა მათისაჲთა და ადიდებდეს ღმერთსა და პნატრიდეს ნეტარსა ნინოს. და იქმნებოდეს მას დღესა შინა სასწაულნი მრავალნი.

თჟუმული ზმიდისა გასილი ეპისკოპოსისაჲ შურისათჳს და სახჱ სინანულისაჲ მორწმუნეთათჳს

ვითარცა-იგი რაჲ ორბი სპეტაკი იპოების ყოლადვე ადგილთა სულმყრალთა მწიკულევანთა და ერიდების იგი ბოსტანთა და სამოთხეთა და ადგილთა სურნელთა და ეგრეთვე მწერთა დაუტევნიან გუამნი სურნელნი და ცოცხალნი და დაეხვნიან წუთხსა წყლულებათასა. ეგრეთვე მოშურნენი და შინაგანმხედველნი ყოლადვე არა მიხედვენ კეთილთა საქმეთა და სათნოებათა მოყუსისათა, არამედ გამოიწულილვენ და გამოეძიებენ შებრკოლებათა და აუგთა ძმისა თჳსისათა, რაჲთა მიმოსდებდენ და ტკივილით ამხილებდნენ მას და აყუედრებდენ. არამედ, ვიდრემდის კაცი ცოდვიდეს ცოდვასა, რომელი შესაძლებელ იყოს წამლისა მიღებად, ამას ღმერთი ითუალავნ დღითი დღედ განსაცდელითა სარგებელისა მისისათჳს, რამეთუ, რაჟამს განძჳნებულ იქმნის სენი იგი ცოდვისაჲ უზეშთაეს წამლითა კურნებისაჲთა, მაშინ არღარაჲ შესაძლებელ არს თჳნიერ ასოჲსა მის დამპლისა მოკუეთისა, რაჲთა არა განეზაოს სენი იგი წრდიალი გუამსა ყოველსა და დაიკსნეს სრულიად, რამეთუ ეუფლების მწუხარებაჲ და ტკივილი ყოველსა სულსა დაკსნილსა და მცირედმორწმუნესა ღმრთისა მიერ. ვითარცა-რაჲ მღილმან ვერ შეუძლის ხესა მაგარსა და ფიცხელსა განრყუნად, არამედ ღბილსა და ფატარსა ეუფლის და შეჭამის, ეგრეცთვე ვერშესაძლებელ არს მწუხარებაჲ და განსაცდელი კაცსა. სარწმუნოებითა შეჭურვილსა და სასოებითა განმტკიცებულსა ღმრთისა მიერ, არამედ ჩუკენსა და დაკსნილსა.

ყოველი რომელი მოსწრაფედ სურვიელ არს მერმეთა მათ კეთილთა და საშუებელთა მიმთხუევად, მას დაყოვნებით ყოფაჲ კორცთა ამათ შინა უმძიმეს საპყრობილისა და სატანჯველისა შეურაცხიეს. ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა ვსძლოთ ნებასა კორცთასა და დავემორჩილნეთ ღმერთსა, რამეთუ ვერშემძლებელ ვართ მსახურებად ღმრთისა და ცოდვისა ერთად, არამედ ვსძლოთ ბოროტსა და ძლიერად წინააღუდგეთ განსაცდელთა მოთმინებითა, რამეთუ ვერშესაძლებელ არს კაცისა, რომელი ეძიებს ღმერთსა, თუმცა არა მოიწინეს მის ზედა ღუაწლნი განსაცდელთანი და. უკუეთუ ვინმე მღვძარებით ეწყოს მათ, მოუძლურდენ წინაშე მისა და შფოთი მათი და კუეთებაჲ მცირე და სუბუქ იყოს და ღბილ, ვითარცაღა ხენი იძრვიედ ოდენ ნიავისაგან მყუდროსა და ჰამოსა. და უკუეთუ ვიძლინეთ ცოდვითა და დავადგრეთ ბოროტსა ზედა, განძჳნდეს ჩუენ ზედა და განმრავლდენ მწუხარებანი განსაცდელთანი საზომად ურჩებისა ჩუენისა მცნებათა ღმრთისათა.

ყოველი კაცი, რომელი ჰგონებდეს საფასეთა მიერ, უშჯულოდ მოგებულთა, საქმედ კეთილისა, მსგავს არს კაცსა უძლურსა და სნეულსა, რომელი ჰგონებს და იტყჳ, ვითარმედ: ..რაჲდენ უფროჲს განძჳდეს სენი ჩემი, უმჯობეს არს თავისა ჩემისა'', რამეთუ უმჯობეს არს კაცისა, თუ მონაგები. სიმართლით მოგებული, თჳთ იმსახუროს, ვიდრე არა უმშჯავროდ მოგებულითა საქმედ კეთილისა საქმესა, რამეთუ მარხვაჲ ჭეშმარიტი განშორებაჲ არს ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა, რომელ არს შეკრძალვაჲ თუალთაჲ და ენისაჲ და ძლევაჲ რისხვისა და გულისწყრომისაჲ და რი-

დებაი გემოთა და ნებასა ჯორცთასა და ტყუვილსა და ძვრის-ჯსენებასა და ბოროტისა ყოფასა მოყუსისასა და დაცვაი თავისა თჳსისაი ყოვლისაგან შეგინებისა, სულიერისა და ჯორციელისა. უბიწოებით და სიწმიდით. რომელმან გულსმოდგინედ იწყოს საქმედ საქმეთა სულიერებისათა, უწყოდენ მან, რამეთუ უწყიეს მას სლვად გზასა მას იწროსა, ძნელსა და შესაჭირვებელსა, საჳსსა შრომითა ურიცხჳთა და მრავალფერითა ჭირითა, რომელსა არა ყოველნი ვლენან ღვრღუაროვნებისა და სიძნელისა მისისაგან და არცაღა. რომელთა იწყიან სლვად მას შინა გულსმოდგინედ, შემძლებელ იქმნიან ყოველნივე მიწევნად თავსა სისრულისა მისისასა. არამედ რომელნიმე მათგანნი. რომელთა ყოვლითა გულსმოდგინებითა წადიერად და ძლიერად შებმა-უყვიან ცხორებასა მას საუკუნესა და სარწმუნოებით გონებითა მტკიცითა და სასოებითა შეუორგულებელითა იწყიან სლვად გზასა მას იწროსა. მაშინ აღუჩნდის იწროებაი მისი ფართოებად და სიძნელე მისი — მარჯჳუედ საკალად და სიხარულით ვლენედ მას შინა. ვიდრემდის მიიწიან ცხორებასა მას საუკუნესა.

მარადის გეკსენედ გონებასა შენსა საქმჱ სიმართლისაი და ცხორებაი იგი საუკუნოი და ზრუნვაი სულისა შენისათჳს. რაითა შეამკო იგი სიმართლითა და განეშორო სიმწარესა ცოდვისასა და განათავისუფლო მიდევნებისაგან ბოროტთა გულისსიტყუათა და ნებისაგან ჯორცთაისა და განპბანო იგი მწინკულისაგან სიძვისა და განაღჳძო გონებაი შენი. რაითა არა მძლე გექმნენ შენ განსუენებანი ჯორცთანი მავნებელნი, რომელნი იზარდებიან უზომოისა ძილისაგან და ცუდად ჯდომისა და უდბობისაგან. მიეც ჯორცთა შენთა საზრდელი სადაგი და გუამსა შენსა სამოსელი ადვილისა ფასისაი და სულსა შენსა მცნებანი საღმრთონი და საქმჱ კეთილისაი და ენებათა და შრომათა მოთმინებაი და ნუ შეუდგ მრავალფერთა სანოაგეთა შუებასა და ეკრძალე. რაითა არა ჰზრდიდე გუამსა შენსა ნუკეგით ზეთითა და პოხილითა. რაითა არა მძლე გექმნენ კეთილისა ნებასა შენსა ნებითა ბოროტისაითა. აღკრ-ასხენ გულისთქუმასა შენსა შიშითა ღმრთისაითა. რაითა არა ტრიობდეს ბოროტთა მიდევნებითა და დაწყნარე განძჳნებაი აღძრვისა მისისაი, რამეთუ კაცი უნდოი და უდები დაღაცათუ სიტყუასა კეთილსა იტყჳნ. ვინაითგან თჳთ იგი არა ჰყოფნ. მსმენელმან არა შეიწყნარის იგი, რამეთუ გონებაი მსმენელისაი აგრძნობნ. ვითარმედ მეტყუელსა მას სიტყჳსა კეთილისასა არა ჰქონან საქმენი კეთილნი. არამედ უკუეთუ ვინმე კეთილისმეტყუელ არნ. დაღაცათუ არა იტყჳნ, სახენი საქმეთა მისთანი ამხილებედ კაცთა და აიძულებედ საქმედ კეთილისა. რომელნი ზრახვიდენ ყოველსა სიტყუასა კეთილსა და თჳთ არა იქმოდიან, იგინი თავთა თჳსთა ამხილებენ და სიტყუასა მათსა არა აქუს ძალი საქმისა კეთილისაი. რამეთუ მსგავს არიან იგინი თუალთა დაბრყჳლებულთა. რომელნი ვერშემძლებელ არიედ ხილვად ბრწყინვალებასა მზისასა. ეგრეთ არიან სულნი, რომელნი ჰმონებენ ნებასა ჯორცთასა. რამეთუ წინააღუდგის ნისლი იგი გულისთქუმისაი წინაშე თუალთა მისთა და არა აუფლის ხილვად მცნებათა ღმრთისაჲთა. ვითარცა-იგი უკმს თუალთა სარკჱ განსაცდელად აუგთა პირისა მისისათა. ეგრეთვე უკმს კაცთა მართალთაცა მამხილებელი თუალუხუავი. რომელი აუწყებდეს სიყუარულსა ვედრებისა მათისასა ღმრთისა მიმართ და რამეთუ სრული სიყუარული ღმერთი არს და არა არს მიწევნაი საზომსა სისრულისა მსრსსა

რომელსა უყუარს ღმერთი სიყუარულითა ჭეშმარიტითა. ვერშემძლებელ არს იგი უდბად შეურაცხ-ყოფად მცნებათა მისთა, არცა დიდთა და არცა მცირეთა. და თითოეულმან ჩუენგანმან უკუეთუმცა გულისკმა-ყო ჭეშმარიტად. ვითარმედ ღმერთი ჰხედავს ყოველთა გულისზრახვათა და საქმეთა მისთა, არამცა დაყოვნდა ცოდვასა ში-

ნა და არცამცა უდებ-ყვნა მცნებანი მისნი და არცამცა დაეყენა მისთჳს თავს-დებად ღუაწლთა და განსაცდელთა, მოწევნულთა მის ზედა. რამეთუ ყოველმან, რომელმან გულსმოდგინედ იწყოს საქმედ კეთილსა და მოგებად სათნოებათა ჭეშმარიტთა და მისა შემდგომად კუალადიქცეს ჩუეულებათავე თჳსთა ბოროტთა. ამან არა თუ ცხორებაჲ იგი ოდენ საუკუნოჲ დაიჭირვა. არამედ მოატყუაცა თავსა თჳსსა პატიჟი იგი უვარისმყოფელთა ღმრთისათაჲ სიმწარესა მას შინა ჯოჯოხეთისასა და სატანჯველთა.

უმჯობეს არს კაცისა ზრუნვაჲ სულისა თჳსისაჲ, ვიდრეცა არა განგებასა სხუათა საქმეთასა და სულისა თჳსისა უდებ-ყოფასა. რომელსა გზანი თჳსნი კეთილად არა წარემართნენ, ვითარ შემძლებელ არს სრულებასა მიწევნად?!

ბრძენი, რომლისა განგებასა აუგი ერთოს, იგი არა ბრძენი არს. რამეთუ ბრძენმან სრულმან რომელი საქმე ქმნის და რომელი განიზრახის და სხუათა აუწყის, შეცთომილებაჲ არა არნ მის თანა და არცა იბრალის ვისგანმე საქმე და განგებაჲ ბრძენისა ჭეშმარიტისაჲ. ბრძენი იგი არს, რომლისა გონებაჲ ყოლადვე არა შეშფოთნეს და გულისწყრომად არა აღიძრას და განსაცთელთაგან არა შეძრწუნდეს და ყოველსა ზედა მოთმინებით სულგრძელებდეს და ჟამთა არა ჰყვებოდის. ესე არს მთავარი ბრძენთაჲ და მოძღუარი მოძღუართაჲ. ფრიად სიბრძნით ჯერ-არს ლოცვაჲ ღმრთისა მიმართ, რაჲთა იყოს იგი მსგავს თხოვისა მისისა. საქმესა შინა მოთმინებისასა არა იპოვების განსუენებაჲ ჯორციელი, რამეთუ მოთმინებაჲ იძულებით და მწუხარებით არნ.

უწყით სამე, რამეთუ კაცნი მართალნი და სათნონი ამას სოფელსა არა თუ ნებიერებენ, არამედ ზრუნვით და მწუხარედ ყოველსავე სულგრძელად მოითმენენ. ყოვლისა პირველად იყავნ ზრუნვაჲ შენი თავისა შენისათჳს და მისა შემდგომად სხუათათჳს და უწყიმცა გამორჩევაჲ სულისა სარგებელისაჲ სავნებელისაგან. ნუ სცემ მიზეზსა მტერობასა და ნუცა ზრდი ცთომილებასა, რომელსა შინა იყოს განსუენებაჲ უფროს სარგებელისა.

იყავ განმზადებულ სიმშჳდით შეწყნარებად პატიჟთა ცთომილებისათა, რომელნი მოწინენ შენ ზედა მგმობართა შენთაგან და მოძულეთა. კაცი, რომელი მოსწრაფე იყოს არაშეწუხებად მოყუსისა, სახჱ კეთილისაჲ შეუმოსიეს მას. რომლითა ჰმსახურებს ჩუეულებასა კეთილსა. ყოვლისა პირველად იყავნ ზრუნვაჲ შენი მონებად უფლისა და რაჲთა მარადის თაყუანის-სცემდე წინაშე მისა არა ხოლო თუ ცრემლით და ლოცვით, არამედ მცნებათაცა აღასრულებდ.

ნუ გიყუარნ სიცილი, ნუცა სიტყუაჲ რისხვისაჲ გამოვალნ პირით შენით, რომელ არს საქმე უსახურთა და უგუნურთაჲ. განაღჳძე სული შენი, რაჲთა არა იყო ზუავ. ლაღ და განმცხრომელ, არამედ მდაბალ, მყუდრო, მძიმე და ბრძენ და მოიგე სიწმიდე და სარწმუნოებაჲ, სულგრძელებაჲ და სასოებაჲ და მოთმინებაჲ.

უკუეთუ ჰქმნე რაჲმე შენ საქმჱ ცოდვისაჲ ფარულად და ჭგონებდე არაგანცხადებასა მისსა, უწყოდე ჭეშმარიტად, დაღაცათუ დაჰფარო იგი კაცთაგან, ხოლო ცხად არს იგი წინაშე ღმრთისა, რომელი ჰხედავს დაფარულთა. გეშინოდენ ღმრთისა და მცნებათა დაემორჩილე და ძჳრისზრახვასა ეკრძალე. მრავალთა არა უწყიან ჭეშმარიტებაჲ, ხოლო სასმენელნი მათნი მორჩილ არიან სიტყუასა მოძღუართა და ბრძენთა მეტყუელთასა.

შეაყავ თავი შენი ყოველსა ჟამსა სმენად სწავლასა კეთილისასა. და ოდეს ესე ყოველი ჰყო, რომელი სხუათა მძიმე-უჩნდეს და ძნელ, იგი შენ ზედა ადვილ და სუ-

ბუქ იყოს მოპოვნებად. ნუ გცონის სლვად გზასა შორსა მისლვად მათდა, რომელთა გასწაონ შენ მოგებაჲ სათნოებისაჲ. დიდ სირცხვლ არს ესე ჩუენდა, რაჟამს ვხედავთ შრომასა და ღუაწლსა ვაჭართასა, რომელნი თაეგაწირვით ვლენან ზღუასა შინა და კმელსა ქუეყანასა შორთა გზათა, რაჲთა სარგებელი შეეძინონ მონაგებთა მათთა წარმავალთა და ჩუენ მცირედცა არა გუნებავს სლვად გზასა მშჳდობისასა. რაჲთამცა შეეძინეთ სარგებელი სულთა ჩუენთაჲ წარუვალი.

ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა ყოველთა კაცთა თანა მშჳდობით ვიდოდით და დაწ-ყნარებით ვიქცეოდით და მყუდროდ ვცხონდებოდით. შეზავებულ იყავ ღმრთისმო-ყუარეთა კაცთა თანა, ვითარცა შეზავებულ ხარ სულსა შენსა თანა. ნუ მოიგებ მყის მეგობარსა გამოუცდელად. ვიდრემდის არა გამოიკითხო შეზავებაჲ მისი მეგობარსა მისსა თანა, რომელი მოეგო პირველ შენსა, რაჲთა არა შემდგომად შეყოფისა თქუ-ენისა კუალად განიშორნეთ სიძულილით. უმჯობეს არს კაცისა ყოლადვე არაშეყოფად მეგობარსა, ვიდრე არა ჟამითი ჟამად ცვალებასა მეგობრისასა. მოიძულე შფოთი, ვითარცა საცთური, რამეთუ ორნივე მავნებელ არიან მომგებელთა მისთა.

ბასრობისათჳს ნუ აღშფოთნები, რაჲთა არა გეკინოდიან. იყავნ ზრუნვაჲ შენი დიდ, ვითარცა მარადის ცხოველისაჲ, და განგებაჲ შენი კეთილ, ვითარცა დღესვე მო-სიკუდიდისაჲ. მეგობარსა მარადის აქებდი ფარულად და ცხადად, რამეთუ დაწყებაჲ სიყუარულისაჲ ქებაჲ არს, ვითარცა დაწყებაჲ ბოროტისაჲ მტერობაჲ არს. რაჟამს საქმესა რასმე განიკითხვიდე ვის თანამე, პირველად იხილე განგებაჲ მისი სულისა მისისათჳს და ეგრეთ მიენდვე განკითხვად. გიყუარდინ ჭეშმარიტსა და სამართალსა მამხილებელი, რამეთუ უფროჲს და უმჯობეს არს საფასეთა, უმშჳკაეროდ მო-გებულთა. ემოყურებოდე მათ, რომელნი სიმართლისათჳს და ჭეშმარიტებისათჳს და-იტჳრვებდენ.

იყავ შენ მარადის მაშრომებელ ჯორცთა შენთა და მოსწრაფედ მაღჳძებელ სულსა და იქმოდე ჯორცითა სარგებელსა სულისა შენისასა და მას შეუდეგი, რომელი მიგაახლებდეს შენ ღმერთსა. განსაცდელთათჳს და კეთილთა, რომელნი მოიწეოდიან შენ ზედა მარადის, ჯერ-არს საზომით მწუხარებაჲ და სიხარული, რამეთუ ზრუნვაჲ და სიხარული არა დაადგრებიან ჩუენ თანა უკუნისამდე. უწყოდე, ვითარმედ არა რაჲ დაადგრების სამკჳდრებელსა ამას ძეთა კაცთასა. ამისთჳს ჯერისაებრ განაგე ყოველი საქმე შენი და დაიმარხენ მცნებანი ჩემნი, რამეთუ არა ყოლადვე გეპოვოს ჩემებრი განმზრახი სულისა შენისათჳს. იყავნ გონებაჲ შენი მღჳძარე ცხორებისა შენისათჳს და საქმესა უჯეროსა ყოლადვე ნუ იგონებ გონებასა შენსა. უკუეთუ გნებავს მეგობრობაჲ ღმრთისაჲ, ნუ ეძიებ მეგობრობასა კაცთასა. ფრიადი სარგებელი აქუს მას, რომელი მარადის აბრალებდეს თავსა თჳსსა და არა განიკითხვიდეს მოყუასსა. ესე არს, რომელი მარადის ცხოველ არს ღმრთისა თანა ჭეშმარიტისა, რომელმან კმა იყოს და არარაჲ მოიგოს ქუეყანასა ზედა სიბრძნითა მით სულიერითა. ესე არს უმდიდრეს მდიდართა, რომელთანი საფასენი აღურაცხელ არიან და სხჳსაგან არას იკმარებედ. ესე არს საქმე, რომელი ჰშუენის ცხორებასა სათნოსა, რაჲთა არა შესცოდოს კაცმან მოყუასსა თჳსსა. ესე არს კეთილი გულისიტყუაჲ, რაჲთა რომელი მისცე მოყუასსა თჳსსა და დაადგრეს იგი შენ თანა. ესე არს სრული კაცი, რომელისაჲ ყოველი გულისსიტყუაჲ მისი სიბრძნით არს. ესე არს მეგობარი ღმრთისაჲ, რომელი არა დაემორჩილოს ბოროტთა გულისსიტყუათა. ინებე, რაჲთა იყო ძლიერ სულითა და არა ჯორცითა. უწყოდე, ვითარმედ საქმე მტყუვართაჲ არა გრძელად დაადგრის, ვითარცა არარას სარგებელ არს მკურნალი სახელით, რომელმან ვერ შეუძლის

განდევნად სალმობაჲ ჯორცთაგან, ეარეთვე უსარგებლო არს სიბრძნე, რომელმან ვერ შეუძლოს განდევნად სენი იგი ბოროტი სულისაგან თჳსისა.

საფუძველი შიშისა ღმრთისაჲ არს მოწყალებაჲ. მოიგე სიტყუაჲ ღმრთისაჲ კადნიერად წინაშე მათსა, რომელთა უყუარს ცუდი დიდებაჲ და უშიშად ზრახეედი სამართალსა. რომელი ზრახვიდეს ღმრთისათჳს, ჰქონანმცა საქმენი, საყუარელნი ღმრთისანი. უკუეთუ მოყუასი შეაწუხო, უწყოდე. ვითარმედ შენცა შეწუხებად ხარ. სიტყუასა გმობისა და ჩყუნილებისასა ნუ შეუტეობ სასმენელთა შენთა და ნუცა მიხედავ სახედველითა შენითა ცუდთა ხილვათა და ნუცა ზრახვასა უსარგებლოსა, არამედ განიშორე შენგან ყოველი ზრახვაჲ უშეერი, მსოფლიოჲ და უსახური.

ტაძარი ღმრთისაჲ არს გული ბრძენთაჲ, რომელთა ყოველთა დღეთა ცხორებისა მათისათა სამკჳდრებელ მისა ყჳან მოთმინებითა განსაცდელთაჲთა, არა თუ იგინი, რომელნი ინგორებიან ნებასა შინა ჯორცთა მათთასა, იგინი მახლობელ არიან ღმრთისა, არამედ რომელნი შეჩჩურვილ არიედ მადლითა და მოთმინებითა და დამაშურალ არიედ სწავლითა და გამოცდილ არიედ სულგრძელებითა. მონაგები შენი, რომელი შორს არს შენგან, ნუ ჰგონებ, ვითარმედ შენი არს.

ისწავე სათნოებაჲ კაცისაჲ საქმეთაგან მისთა და ნუ სიტყუათა მისთაგან. მრავალთა კაცთა განგებაჲ ბოროტ არნ და სიტყჳთა კეთილითა აჯერებედ კაცთა. კეთილ არს კაცისა ყოლადვე არა ცოდვაჲ და. უკუეთუ ცოდოს, ჯერ-არს მისა, რაჲთა გულისხმა-ყოს ცოდვაჲ იგი და არა უდებ იქმნეს მისთჳს. კაცი ბრძენი იგი არს, რომელსა უყუარს ღმერთი და ზრუნავს სულისა თჳსისათჳს და ჭეშმარიტად პატივსცემს, რომელი-იგი ხედავს დაფარულთა გულისსიტყუათა მისთა. ფრიად უმჯობეს არს კაცისა სიკუდილი ჯორცითა, ვიდრე არა უდებებით ვნებასა სულისასა. კაცი, რომელი ვერ მძლე ექმნეს ჯორცთა თჳსთა. იგი მკლველ არს სულისა თჳსისა. კაცსა რომელსა უყუარან გემონი და შეაგუებს ჯორცთა, მეგობარ ღმრთისა ვერშემძლებელ არს ყოფად. რომელსა უყუარან გემონი, მას უყუარან ჯორცნი თჳსნი. რომელსა უყუარან გემონი, იგი ვეცხლისმოყუარულ არს. რომელსა უყუარს ვეცხლი, იგი ურწმუნო არს. გიყუარდედ იგინი, რომელნი შეგძინებდენ და ნუ იგინი, რომელნი დაგაჭირვებდენ სულისა სარგებელსა. რომელი შეასმენდეს თავსა თჳსსა ღმერთსა ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა, ჯერ-არს მისა, რაჲთა სასოებაჲ მისი არასადა განაშოროს მისგან ვიდრე სიკუდილადმდე. ცხორებაჲ კაცისაჲ შრომით არს სოფელსა ამას და კეთილი მისი დაადგრების უკუნისამდე.

ხოლო შენ, შვილო ჩემო მცირეო, აღირჩიე, რომელი არა განიკრწნების, და, უკუეთუ შეგემთხჳოს შენ საქმჱ საძნაური, ნუ აბრალებ კაცთა და ნუცა შფოთ ხარ ღმრთისათჳს და ნუცა დღეთა შენთა სწყევ. და ესრეთ იყავ სახე შენი. ვითარღამცა ვინ რბიოდა სწრაფით და წარსცა ფერკი თჳსი ქვასა, გინა ეკუეთა სუეტსა და წულულებაჲ შეამთხჳა თავსა, ნუუკეე კუალადიქცამცაა და აღუშფოთნა ქვასა, გინა ჰრისხვიდა სუეტსა? უკუეთუ შენ დაადგრე სწავლასა ჩემსა ზედა, არამცირესა ნიჭსა ღირს იქმნე ღმრთისაგან მოღებად და, უკუეთუ შეურაცხ-ყჳნე სოფლისა მონაგებნი, არა განგაშოროს ღმერთმან შეწევნაჲ მისი შენგან და კაცთა უყუარდე.

შეაყავ თავი შენი სიბრძნესა საღმრთოსა, რომელი არს შემწჱ ყოვლისა კეთილისაჲ და საფასე არს დაულეველი. მან სული და ჯორცნი შენნი დაიცვნეს და იგი გექმნეს შენ მამა და დედა და მეგობარ. და შრომაჲ შენი იყავ უფროჲს ყოვლისა მოთმინებისათჳს, რომელი შემძლებელ არს შეცვალებად ყოველსა მწუხარებასა კაცთასა და ყოფად მას მსგავსად ძილისა ნელისა, ვითარცა მკურნალი ჴელოანი ნუგეში-

ნის-ცემად სნეულისა მძაფრისა მისგან სენისა, ეგრეთვე სიმდაბლ© შემწე არს სწავ-ლისა და მოთმინებისა. ვითარცა-იგი კაცსა მდიდარსა პურის-თხოვაი არა ჰშუენის, ეგრეთვე ქრისტიანესა არა ჰშუენის ურწმუნოთაგან სწავლად სიტყუაი სათნოება-თათჳს. ვითარცა მდიდარი, რომელი პურსა ითხოვნ, სიწბოი და სირცხჳლი დაიმკჳდ-რის მათგან, რომელნი იცნობედ მას, ეგრეთვე ქრისტეანე. რომელსა ურწმუნოი ასწა-ვებდეს კეთილსა საქმესა.

ვითარცა-იგი, რაჟამს იყნოსი სული მძორისაი. მუნთქუესვე დაიბურნი საყნო-სელნი შენნი. რაჲთა არა შევიდეს მიერ სული სიმყრალისაი ტუნად შენდა და აღძ-რნეს საფეთქელნი შენნი და აღგიდგინოს თავი შენი და შეგიშალოს გონებაი გულისა შალვითა, ეგრეთვე გიღირს მსწრაფლ განშორებაი ჰამბავთაგან ბოროტისმზრახვალ-თაჲსა. რაჲთა არა ბოროტისა სიტყუაი დაეთესოს გულსა შენსა და მცირედსა ჟამსა აღორძნდეს იგი შენ თანა. ნერგი იგი მცირედმეცნიერებისაი ვენაჯსა გონებისა შენი-სსა. და გამოიღოს მან ნაყოფი იგი სიმწარისაი. კაცი. რომელი არა ელოდის სიტყჳსა განსრულებასა, არამედ მსწრაფლ უცნობელად დადვას საფუძველი, ვითარცა ინებოს იგი. ნაკლულევან არს იგი ხუროვნებასა შენებისასა.

რაჟამს იყოს სიტყუაი ღმრთისათჳს და სათნოებათათჳს. უზეშთაეს არს პატივ-სა დიდებულსა. აწ უკუე ისწრაფე მოგებად სათნოებათა კეთილთა მცირედსა ამას ჟამსა. ვიდრემდის შემძლებელ ხარ, რამეთუ ბუნებამან ჩუეულებისამან გაიძულოს შენ ლოცვად დღესა შინა მრავალგზის და მღუძარებასა ღამისასა შესწირვიდე ლოცვასა. და, რაჟამს აღსდგე ძილისაგან. ჰმადლობდი ღმერთსა და ნუცა რაი სიტყუაი გამო-ვალნ პირისაგან შენისა პირველ ლოცვისა. და რაჟამს გამოხჳდე კარით სენაკისა შენისაჲთ, დაიწერე წინაშე შენსა სახე ჯჯუარისაი და მადლი შეწირე ღმრთისა გონე-ბითა შენითა. და ესემცა საჭურველი გმოსიეს ყოლადვე სლვასა შენსა და ჯდომასა. და რაჟამს კუალადიქცე სენაკადვე. განამრავლე ლოცვაი შენი ღმრთისა მიმართ ლმობიერად.

ვითარცა-იგი ნაშენები, რომლისაი საფუძველი მისი კლდესა ზედა დადებულ არნ და ქვითა თლილითა და არაკითა განგებით აღშენებულ არნ. დაღაცათუ ეკუეთ-ნიან ღუარნი ძლიერნი. გინა ქარნი სასტიკნი. ვერ შეუძლიან დამკობად მის ნაშენე-ბისა. ეგრეთვე ჩუენ, უკუეთუ ყოველი განგებაი ცხორებისა ჩუენისაი ლოცვით და ვედრებით იყოს, არასადა დავეცნეთ, დაღაცათუ გუეკუეთნენ განსაცდელთა სიმძლაფ-რენი მრავალფერნი. რამეთუ ვითარცა-იგი მეედართა მბრძოლთა სახლებსა ჰკიდავნ მრავალფერი საჭურველი: ჯრმლები და ჰორლები. ფარები და მშვლდ-კაბარჭები შემზადებულები, რომელი მოასწავებნ საქმესა მათსა ბრძოლისასა. ეგრეთვე ჩუენცა მოგუცა უფალმან საჭურველი არა თუ შემზადებული ოქროისა და ვეცხლისაგან. გინა სპილენძისა და რკინისაგან, არამედ შემზადებული კეთილსა ნებისაგან და მართლისა სარწმუნოებისაგან. დაჰკიდე შენცა ესე საჭურველი კედელთა სენაკისა შე-ნისათა და ტაბლასა შენსა და საწოლსა ზედა შენსა და. რაჟამს პურსა განსტეხდე. გინა წყლისა სუმაი გეგულჳოს. ვიდრე ჯჯუარი არა დასწერო. ნუცა შჭამ და ნუცა ჰსუამ და. უკუეთუ ესრეთ ჰყოფდე. არარაი ვნებაი შეგემთხჳოს მტერისაგან.

არა რაი უფროესი შესაწევნელი იპო�s ტყუვილისა და საცთურისათჳს და ცხორებისა ჩუენისა წარწყმედისათჳს. ვითარცა კაცი უწესოი და პირი, რომელი ზრა-ხავნ ყოველსა უშჯულოებასა, რომელი იგინებინ და გმობნ და განიკითხავნ მოკეთესსა თჳსსა და ფიცავნ ცრუდ და ძჳრსა ზრახავნ ყოლადვე. ამისთჳს გეკვედრები. რაჲთა განეშორო მეტყუელსა ჰამბავთა ბოროტთასა და ეკრძალო მტყუართა მფიცავთა და

არა ხოლო თუ მტკუვართა და ცრუფიცთა, არამედ სამართლადცა მფიცავთა, რამეთუ ესე ცოდვაჲ დიდ არს. ევლტოდე მათგან და უკუეთუ გესუას მოწაფე ანუ მეგობარი, ევედრე მას, რაჲთა ყოლადვე განგაკრძალებდეს და გარიდებდეს საქმეთა ბოროტთა და სავნებელთა, რამეთუ ჩუეულებაჲ ბოროტ არს და ოდესმე იძლიის კაცი თჳნიერ ნებისა მისისა. და ვინაჲთგან გიცნობიეს ძალი ბოროტად ჩუეულებისაჲ, ისწრაფე განშორებად ბოროტსა ჩუეულებასა და შეაყავ სული შენი კეთილსა ჩუეულებასა. დაღაცათუ ესე სახჱ ბოროტ არს, ოდეს კეთილნი და სათნონი საქმენი სახითა ასწონნე ბოროტთა და უკეთურთა საქმეთა. რავდენ უბოროტეს და უსაშინელეს არს, ოდეს სახელი ღმრთისა ყოვლისა დამბადებელისაჲ და გონებათა და გულისსიტყუათა მეცნიერისაჲ. შეურაცხებით იესენებოდის. და ტყუვილით ფიცვენ სახელსა მისსა და ცრუდ იწამებდენ განსყიდასა ზედა და მოსყიდასა კონისა ერთისა მხლისასა, რომელი ოდესმე არა ღირნ ნახევარ ქრთილად. და კაცნი მას ზედა სახელსა ღმრთისასა ფიცვიდიან კადნიერად და შეურაცხებით შფოთ არიედ საქმისა რომლისათჳსმე შეურაცხისა და საწუნელისათჳს ამის სოფლისა წარმავალისა. ვითარ უკუე დაუთმოს ღმერთმან მათ და არა განურისხნეს შეურაცხებისათჳს სახელისა მისისა წმიდისა?

ხოლო ჩუენ ვეკრძალნეთ ყოველსა სავნებელსა და შიშით და ძწოლით და მადლობით და ვედრებით ჳსადოდით სახელსა მისსა წმიდასა სასოდ და შემწედ მლხინებელად და მაცხოვრად ჩუენდა, რამეთუ მისა ჰშუენის ჩუენ, ყოველთა, მიერ პატივი და თაყუანის-ცემაჲ, ქებაჲ და დიდებაჲ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

იონანე მინჩხი

მე, ვითარცა ხე ზამთრისაჲ
ფურცელდაცვენებული, განვშიშულდი
მადლისაგან ღმრთისა, რომელი მომე-
ცა.
რამეთუ ზუერსა ცოდვისასა
ვიუნჯებდ მარადის.
და მოვაძაგე ღმერთსა
დამბადებელსა თავი ჩემი,
და სირცხჳლეული
აწ სულ-თქუმით ვევედრები
სახიერსა
ღმერთსა ძჯრუჯსენებელსა
და ვესავ წყალობასა მისსა.
არა ღირს ვარ მე წარდგომად
წინაშე შენსა, მამაო,
არცა ჯერ-არს ლოცვაჲ ჩემი მარ-
თალთა თანა,
რამეთუ საჯსე ვარ ცოდვითა
და არაწმიდებითა,
და ვერმკადრე ვარ კმამაღლად
ვედრებასა შენდა მიმართ,
არამედ მდუმრიად,
სულ-თქუმითა და ცრემლითა
გევედრები
ბრალთა ჩემთა შენდობასა
და აჯოცასა ცოდვათასა.
უკუეთუ მსაჯული იგი
უწყალოჲ მოწყალე ექმნა
ქურივსა მას მარადის წყინებისა
მისთჳს,
რავდენ უფროჲს მოწყალე ღმერთი
სახიერ იქმნეს მათთჳს,
რომელნი დღე და ღამე
უწყინოდ ევედრებიან.
და აწ ჩუენცა, ძმანო,
ვილოცვიდეთ მარადის
და ვითხოვდეთ
შენდობასა ცოდვათასა
და მისმიერსა წყალობასა.

იოვანე-ზოსიმე

ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მ[ესი]ისა საწამებელად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰᲪლენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ. და მეგობრობაჲ ამისთჳს თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს. და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთჳს თქუა დავით წინსწარმეტყველმან, რამეთუ წელი ათასი, ვითარცა ერთი დღᲪ. და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათᲪსსა წილი ზის, რომელ ასოჲ არს და იტყჳს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა. და ესე არს ოთხი დღᲪ და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთჳს მის თანაჲ დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მისისაჲთა.

და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას – მეორედ მოსლვასა უფლისასა – და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოცდაათოთხმეტი წელი უმეტᲪს სხუათა ენათა ქრისტᲪს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ასოჲ ესე წილი ანბანისაჲ.

ლოცვა-ყავთ. წმიდანო ღმრთისანო, ლოცვა-ყავთ. ქრისტე. შეიწყალე მჩხრეკალი ამისი იოვანე. ამენ.

გალაჰვარიანი

(ნაწყვეტები)

ჰრქუა მას ძემან მეფისამან: „მე ვესავ ქრისტესა. რაჲთა, რომელი დასთესო ჩემ თანა, აღმოსცენდეს და მრავალი ნაყოფი გამოიღოს. აწ მეც მე სახე საწუთროჲსაჲ და ვითარ აცთუნებს მოყუარეთა მისთა“. ჰრქუა მას ბალაჰვარ: „მსგავს არს საწუთროჲ ესე და ყოველნი მოყუარენი მისნი კაცსა, რომელსა სდევდა პილოჲ ამრიზებული და მიაწყუდია ჯჯურღმულსა საშინელსა. და შთავრდომასა მას მისსა მას შინა პოვნა ორნი რტონი აღმოცენებულნი მას ზედა, და მოეკიდა და პოვა რაჲმე. რომელსა ზედა დაიდგნა ფერენი თჳსნი. და ვითარ მიეხედნა, იხილნა ორნი თაგუნი: ერთი თეთრი და ერთი შავი, რომელნი დაუცხრომელად შჭრიდეს ძირთა მათ ხეთასა. და შთაეხედნა ჯჯურღმულსა მას შინა და იხილა ვეშაპი. რომელსა აღემტკმო პირი და ეგულებოდა შთანთქმაჲ მისი. ხოლო რომელსა-იგი ზედა ფერენი ედგნეს, ოთხნი თაგნი იყვნეს ასპიტისანი გამოსრულნი ჯურელით. და აღიხუნა თუალნი თჳსნი და იხილა რტოთა მათ ზედა მცირედი რაჲმე თაფლი და იწყო ჭამად. და შეაქცია გეშოვნებამან და სიტკბოებამან მისმან და არა გულისჯმა-ყო განზრახვად განსაცდელთა მათთჳს, რომელთაჲ არა უწყის, ოდეს უკბინონ, არცა რტოთა მათთჳს, რომელთა მოკიდებულ არს. და ჰხედავს შეჭრასა ძირსა მისთასა თაგუთა მათგან და უფროისღა ვეშაპისა მისთჳს, და არცა განიზრახა, რომელსა ჰხედავს განშორებულსა შინთ[illegible]ᲪᲛᲐ

აწ პილოჲ იგი სახე არს სიკუდილისაჲ, რომელი სდევნის ძეთა ადამისთა და ჯჯურღმული არს სოფელი ესე. საესე ყოვლითა ბოროტითა და საბრკოითა მავნებელითა. ხოლო ორნი იგი რტონი არიან დღენი კაცისანი და ორნი იგი თაგუნი – ერთი

თეთრი და ერთი შავი — არიან ღამე და დღე. დაუცხრომელნი მათ ზედა, რომელნი მსწრაფლ დაპლევენ ცხორებასა კაცისასა. და ოთხნი იგი ასპიტნი მსგავს არიან ოთხთა მათ ნივთთა. რომელთა ზედა აღგებულ არს გუამი კაცისაჲ და ოდესცა ერთი მათგანი აღიძრას. წარვალს სიცოცხლე. ხოლო ვეშაპი იგი. რომელსა აღეღო პირი და ეგულებოდა შთანთქმაჲ მისი. სახე არს ჯოჯოხეთისაჲ. რომელსა შევლენან მოყუარენი ამის სოფლისანი შემდგომად სიკუდილისა და მცირედი იგი თაფლი წუთ ქუ საშუებელი არს ამის სოფლისაჲ. რომლითა შეიტკბენ შეცთომილთა მცირედითა მით სიტკბოებითა განხრწნადითა.

* * *

და ვითარ აღასრულეს დღესასწაული იგი. ჰრქუა მეფემან თედმას: „რომლითა ღონითა ჯერ-არს მოქცევაჲ ძისა ჩემისაჲ?" ხოლო მან ჰრქუა მას: „იძალენ მის ზედა ეშმაკნი დედათა გამო. რამეთუ უგანმკუეთელეს არიან დაწყლვად გონებისა უფროს მახჳლისა ორპირისა. რამეთუ მასმიეს მეფისა ვისიმე. რომელსა ესუა ძე. და ჰრქუეს მეფესა მკურნალთა: „უკუეთუ უწინარეს ათისა წლისა იხილოს მზე ყრმამან ამან. მოაკლდეს ნათელი თუალთაჲ. რამეთუ სუსტად შეზავებასა ვჰხედავთ გუგათა შინა ამისთა". ხოლო მეფემან გამოუკუეთა ქუაბი ქუეყანასა შინა და მუნ შინა ბრძანა აღზრდაჲ ყრმისაჲ მპოხელთა მისთა თანა. და ვითარ აღესრულნეს მის ზედა ათისა წლისა ჟამნი. ბრძანა გამოყვანებაჲ ყრმისაჲ მის. რამეთუ არღა ეხილვა რაჲ დაბადებულთაგანი. და ბრძანა მეფემან დადგინებად ყოველი უხილავი მისგან თითოეულად. რაჲთა ყოველი იხილოს. იცოდის. რაჲ არს და დედანიცა შემკობილნი დაადგინნენ გზასა ზედა მისსა. და მათ ყვეს ეგრე. ხოლო ყრმაჲ იგი იკითხვიდა თითოეულსა მათგანსა და იგინი უთხრობდეს. და იკითხნა დედანიცა იგი. ხოლო მათ ჰრქუეს: „ესე ეშმაკნი არიან. რომელნი აღაშფოთებენ და წარსწყმედენ კაცთა". და აღივსო ყრმაჲ იგი სიყუარულითა მათ ეშმაკთაჲთა. და ჰკითხვიდა მამაჲ ყრმასა მას: „რომელი უშუენიერესი იხილე სლვასა მას შენსა შინა?" ხოლო ყრმამან მან ჰრქუა: „არა რაჲ ვიხილე უშუენიერესი მათ ეშმაკთასა და არცა რაჲ უსაწადელეს არს ჩემდა მათსა". ეგრეცა შენ. მეფე. არა რაჲ უფროჲს შემწე არს შენდა. ვითარ ქალნი შემკობილნი. რაჲთა აკუეთნე მას ყოველსა ჟამსა. რომლითა აღასრულებს ეშმაკი ძალსა თჳსსა".

მაშინ ბრძანა მეფემან გამოსხმაჲ პალატისაგან ძისა თჳსისა ყოველთა მსახურთა მისთა და დადგინებად ადგილსა მათსა გამორჩეულნი ყოველთაგან საბრძანებელთა მისთა დედანი შუენიერნი და ქმნულკეთილნი მსახურებასა მისსა ზედა. და აღივსო პალატი მისი შფოთითა მათითა და ფრიად იტანჯებოდა ძე მეფისაჲ საბრკისა მისგან, რამეთუ არა რაჲთ უფრო აღძრა გონებაჲ მისი. ვითარ ამით ჯერითა. და ამცნო მეფემან ქალთა მათ, რაჲთა შეემღერდენ და აზრზენდენ ყოველსავე ჟამსა, დღე და ღამე. და იმკვებოდიან და მოაკსენებდენ ყოველთა სახეთა საცთურისათა. რომლითა შეუძლონ აღძრვაჲ მისი გულისთქუმად. ხოლო იგინი ფრიად მოსწრაფე იყვნეს აღსრულებად ბრძანებასა მეფისასა და ოდესმე ეჩუენნიან სამოსლითა და სახითა მამაკაცობრივითა და ოდესმე საჭურველითა შეიმკენიან და ვლენედ წინაშე მისსა, და ოდესმე სახითა მონადირეთაჲთა, და ოდესმე ქნარითა და ნესტჳთა და წინწილითა და თითოპირითა სახიობითა შემკობილნი აწყინებედ. და ოდესმე ებრძვიედ და ზედამიეჭრებიედ განშიშულებულნი და ეტყჳედ მრავალსა სიტყუასა აღძრვისასა და მოაკსენებედ. რაჲთა განვიდენ ნადირობად და მოთხვად სამოთხეთა შინა საშუ-

ებელთა. და რაჟამს განვიდის ძე მეფისაჲ. იგინიცა მის თანავე ასხდიან ჰუნეთა და არბეველ გარემო მისსა. და ამას ყოველსა შინა აწუეველ ნებასა მეფისასა და დაუკსნიელ შჯულსა მისსა უფროჲს სიტყჳსა მამაკაცობრივისა.

ხოლო იყო ვინმე მათ შორის ქალი ერთი. ასული მეფისა ვისიმე. რომელი ტკუეობით მოწევნულ იყო აბენესე მეფისა. და იყო იგი იგი უშუენიერეს მათ ყოველთასა ხატითა და უგონიერეს სიბრძნითა და უეუარდა იგი ძესა მეფისასა ქმნულკეთილობისა და სიბრძნისა მისისათჳს, რამეთუ იყო იგი ფრიად გონიერ და სიტყუაპოვნიერ. და მრავალგზის ამხილებენ ძე მეფისაჲ საქმესა შჯულისასა და განაცდინ განქარვებასა ამის სოფლისასა და მოაკსენებენ ღმერთსა და ამხილებენ ცოთმასა კერპთმსახურთასა. ესმა ესე მეფესა და განიხარა სიყუარულისათჳს მის ქალისა მიმართ. რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ იძლიოს მის მიერ.

ხოლო დღესა ერთსა ჰრქუა დედაკაცმან მან იოდასაფს: ..უკუეთუ გნებავს, ძო მეფისაო. რაჲთა ვისმინო შენი. რომელსა-ესე მაწუევ. განმის-უენე შენ თანა წელიწადსა ერთსა და მიგცე აღთქუმაჲ. რაჲთა აღვიარო შჯული შენი და ვჰმონებდეთ ღმერთსა შენსა ორნივე ვიდრე სიკუდილამდე''. ჰრქუა იოდასაფ ქალსა მას: ,,და ვინაჲ არს ჩემდა ნუგეშინის-ცემაჲ. უკუეთუ სიკუდილმან წარმიტაცოს უწინარეს ერთისა წელიწდისა?'' ჰრქუა დედაკაცმან მან: ..უკუეთუ გეწიოს სიკუდილი. მას შინა სასჯოდელი გაქუნდეს მოქცევისა ჩემისათჳს და არა ბრალეულ იყო ნების-ყოფისა ჩემისათჳს. რამეთუ იტყჳ შენ. ვითარმედ: ქორწილი წმიდა არს''. ჰრქუა იოდასაფ: ..ეგრეთ არს. არამედ არა მაქუნდეს მადლი მოთმინებისაჲ მათ თანა. რომელთა დაითმინეს და დაშრიტეს საკუმილი იგი კორცთაჲ. და მერმე მეშინის. ნუუკუე მიმიზიდოს გულისთქუმამან ჩუეულებისამან უდიდესად სხუად საქმედ და მერმე მეუფლოს ნებაჲ და შთამაგდოს წარსაწყმედელსა და ვიპოვო მტერ ღმრთისა და მეგობარ ეშმაკისა''. ჰრქუა დედაკაცმან მან: ..თანამეყავ თუესა ერთსა, გინა ერთსა ღამესა და ვყო ბრძანებაჲ და ნებაჲ შენი, რამეთუ ესოდენმან მცირემან ნებამან ვერ დასძლიოს სასჯოდელსა შენსა, რამეთუ შეცთომილი სული მიგჯავს დაგებად ღმრთისა და განაცხოველებ შემდგომად სიკუდილისა''.

ხოლო იოდასაფ მიდრკა ყოფად ნებისა მისისა და აღთქუმაჲ მოსთხოვა. რაჲთა აღიაროს ღმერთი. რამეთუ ბუნებაჲცა აიძულებდა ყოფად მას და გონებაჲ მისი დაიწყლვოდა ზრზენითა მათითა და შეაშფოთებდა გონებაჲ მისი. ხოლო ღმერთი ჩუენი იესუ ქრისტე შემწე ეყო ჭირთა შინა მისთა და არა ინება წარწყმედაჲ. ვითარცა იტყჳს მეფსალმუნე დავით: ..მივდერკ იძულებით დაცემად და უფალმან ყელი აღმიპყრა მე და არა თუმცა უფალი შემეწია მე. კნინერთღადა და-მცა-იმკჳდრა ჯოჯოხეთს სულმან ჩემმან''. რამეთუ ვითარ ამათ ოდენ გულისსიტყუათა შინა იყო, მიეძინა ღამის-თევასა შინა, ილოცვიდა რაჲ ღმრთისა მიმართ, რაჲთა შეეწიოს და განუღოს კარი უმჯობესი, და კურთხეულ არს ღმერთი. რომელმან ყვის ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ. და იხილა იოდასაფ ძილსა შინა ჩუენებით. ვითარმცა მიიწია სასუფეველსა და იხილნა მრავალფერნი საშუებელნი და ტაძარნი ოქროლესულნი და ყოველი ფუფუნებაჲ. რომელთაჲ ვერშესაძლებელ არს ხილვაჲ მათი სოფელსა ამას შინა. და მერმე კიდეგან იხილნა დედანი იგი. მაზრზენელნი მისნი. რომელთაგან დაწყლულ იყო გული მისი, და იყვნეს იგინი უუშუერეს და უსაძაგლეს პირთა ძაღლთაჲსა და ღორთაჲსა საშუებელთა მათ თანა სასუფეველისათა. და კმაჲ ესმოდა. რომელი ეტყოდა: ..ესე არს ადგილი განსასუენებელი წმიდათაჲ და მოთმინეთაჲ. უკუნისამდე იშუებდენ ამას შინა''. და მერმე მიიტაცეს ჯოჯოხეთად და იხილნა საშინელნი იგი

სატანჯველნი პირად-პირადნი, რომელთა ვერვინ შემძლებელ არს აღრაცხუვად. ... და კუალად კმაჲ ესმა: „ესე არს მისაგებელი ულმრთოთაჲ და ცოდვილთაჲ, რომელთა დაუტევეს ქრისტე ღმერთი და შეიყუარეს სოფელი. აქა იტანჯებოდიან საუკუნოდ და უკუნისამდე".

და ვითარ მოეგო გონებასა თჳსსა და აღიხილნა თუალნი თჳსნი და იხილნა დედანი იგი, გარემოდგომილ იყჳნეს მისა და ტიროდეს და ჰგოდებდეს, რამეთუ ეგონა, ვითარმედ მომკუდარ არს განგრძობითა მით ძილისაჲთა. და აღდგა იოდასაფ და იწყო განცდად შუენიერებასა მათსა და განკჳრვებულ იყო, ვითარ შეურაცხ და უშუერ იყჳნეს წინაშე თუალთა მისთა საშუებელთა მათ თანა. რომელნი იხილნა ჩუენ

და მოვიდა მეფე ხილვად ძისა თჳსისა, რამეთუ ესმა საქმე ესე. და ჰკითხვიდა მას, თუ რაჲ იხილა და თუ რაჲღა არს გულისსიტყუაჲ მისი. ხოლო იგი უთხრობდა ყოველსა, რომელი-იგი იხილა სასუფეველსა შინა — შუენიერებაჲ საშუებელთა უხილავთაჲ, და მერმე რაჲ-იგი იხილნა ჯოჯოხეთს შინა — დაუთმენელნი იგი და საშინელნი სატანჯველნი, და ჰრქუა მას: „მამაო ჩემო, მნებავს გასლვაჲ უდაბნოს და ცხორებაჲ მონაზონებით მძოვართა თანა და მუნ მონებაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ სურვილისა მისთჳს და შიშისა, რომელნი ვიხილენ".

ნოველეგი

თქუა ბერმან: „იყო ძმაჲ ერთი და შჭირდა სენი ფიცხელი და სულმოკლე იქმნა და შევიდა ქალაქად. რაჲთამცა განიკურნა. და შეემთხჳა მას დედაკაცი ვინმე განკრძალული და მოშიში ღმრთისაჲ, წარიყვანა მონაზონი იგი სახლსა თჳსსა და მოჰგურიდა მას მკურნალთა და ჰკურნებდა მცნებისათჳს ღმრთისა. ხოლო განიკურნებოდა რაჲ ძმაჲ იგი, მცირედ-მცირედ იწყო ეშმაკმან შთათესვად გულისსიტყუათა ბოროტთა მისა მიმართ. ხოლო დღესა ერთსა კადნიერ იქმნა და უპყრა ყელი მისი და გამოუცხადნა გულისსიტყუანი მისნი. ხოლო დედაკაცი იგი კურთხეული ეტყოდა: „ნუ, ძმაო, ნუ შეიწყნარებ გულისსიტყუათა მაგათ შეგინებულთა მტერისათა. არა უწყია, რამეთუ ხატი ანგელოზთაჲ გმოსია და მკედრად და მსახურად ქრისტესა აღბეჭდულ ხარ სიწმიდისათჳს და უბიწოებისათჳს? და კუალად მოიკსენენ მწუხარებანი იგი და სულთქუმანი და ტირილნი, რომელნი წინაგისხენ. ოდეს მიიქცე სენაკადვე შენდა და იწყო სინანულად. და ამის ბილწისა და უნდოჲსა საქმისათჳს, რომელ აწ დაუტკბობია ეშმაკსა შენდა. მრავალი ჭირი და გლოვაჲ წარჰკადო თავსა შენსა". ხოლო ესე რაჲ ესმა მისგან და სხუანი მრავალნი, განეშორა მისგან გულისსიტყუაჲ ბოროტი და იწყო ძმამან მან სირცხჳლად ფრიად, რომელ ვერცა ღათუ თუალთა თჳსთა შეუძლებდა ზეაღხილვად. ხოლო მაშინ ქრისტესმოყუარემან დედაკაცმან სახიერებითა თჳსითა იწყო ნუგეშინის-ცემად მისა და ეტყოდა: „ნუ გრცხუენიან, ძმაო, რამეთუ გულისსიტყუაჲ ეგე არა სულისა შენისაგან იყო, არამედ ეშმაკისაგან, რომელი გეშურების შენ, და არა ჰნებავს ჯორცთა შენთა სიწმიდე. ხოლო შენ აწ აღიჭურე ბრძოლად მისა მიმართ სინანულითა და ამიერითგან იღუწიდი სიწმიდისათჳს ჯორცთა შენთაჲსა". და ესრეთ მშჳდობით წარგზავნა ძმაჲ სენაკად თჳსად".

* * *

თქუა ბერმან: „უკუეთუ ებრძოდის სიძვაჲ ჯორცთა შენთა, გინა თუ გულსა შენსა, გამოიძიე, თუ სადაჲთ აღიძრა, და განკუეთე მიზეზი იგი, რამეთუ არს ანუ

შეებისაგან ჭამადთაჲსა, ანუ განსუენებისაგან ჯორცთაჲსა, ანუ ძილისაგან მეტისა, ანუ სიმაღლისაგან, ანუ გიჩნს თავი შენი უკეთეს ვისამე. გინა თუ განიკითხე ვინმე შეცოდებული. გულისხმა-ყავ და ეკრძალე. რამეთუ თუნიერ ამათსა არა აღიძრვის შინაგან გუამისა ბრძოლაჲ სიძვისაჲ''.

თქუა კუალად: ,,უკუეთუ დაეცე სიძვითა და იყოს პირი იგი მახლობელ, რომელსა თანა დაცემულ იყო, ახლოს ადგილსა შენსა, წარვედ მუნით, თუ არა, ვერ შეინანო''.

თქუა კუალად: ,,უკუეთუ იხილო ძილსა შინა დედაკაცი, იღუაწე დღისი, რაჲთა არა მოიკსენო, რამეთუ სიკუდილი არს და მოაშთობს სულსა''.

თქუა ბერმან: ,,უზრუნველობაჲ ჯორცთაჲ და დუმილი და ფარულად წურთაჲ და არავისი განკითხვაჲ მცველ არს სულისა და დამცველ სიწმიდისა''.

* * *

ეჯდა ბერი ვინმე უდაბნოსა, რომელსა ეშორა წყალი ათორმეტ მილიონ. და მოიღებნ წყალსა თესსა შრომითა და ჭირითა დიდითა. ხოლო ჟამსა ერთსა სულმოკლე იქმნა და განიზრახვიდა, ვითარმედ: ,,რად საკმარ არს შრომაჲ ესე? არამედ მივიდე და დავჯდე მახლობელად წყლისა მის''. ხოლო ამას რაჲ განიზრახვიდა, მოიქცა და იხილა ვინმე, რომელი შეუდგა და ჰრიცხვიდა ნაბიჯთა მისთა. ჰკითხა მას ბერმან. ვითარმედ: ,,ვინ ხარ შენ?'' ხოლო მან მიუგო: ,,მე ვარ ანგელოზი, უფალმან მომავლინა აღრაცხვად ნაბიჯთა შენთა და მიცემად დიდისა მადლისა.'' ხოლო ესე რაჲ ესმა ბერსა, განძლიერდა და შესძინა ხუთით მილიონით სხჳთ შინაგან უდაბნოსა მას.

* * *

ბერი ვინმე მივიდოდა ქალაქად განსყიდად ყელთსაქმრისა თჳსისა. ხოლო ეშმაკმან უჩინო-ყო ყელთსაქმარი იგი გზასა ზედა. ხოლო ბერი დადგა ლოცვად და იტყოდა: ,,გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ მიჯსენ მე განსაცდელისაგან''. მაშინ ვერ-ღარა მოითმინა ეშმაკმან სიბრძნე და მოთმინებაჲ ბერისაჲ მის და ვითარ იგი ყოველსავე ზედა ჰმადლობდა ღმერთსა. არამედ ეკმა-ყო და თქუა: ,,აჰა, ყელთსაქმარი შენი, ბერო ბოროტო!''

* * *

იტყოდა მამაჲ პიმენ, ვითარმედ: ძმაჲ მოუჴდა მამასა ამოის და ითხოვდა მისგან სიტყუასა და დაყო მის თანა შჳდი დღე და არარაჲ მიუგო მას. და ვითარ წარჰგზავნიდა, ჰრქუა მას: ,,ვიდოდე და ეკრძალე თავსა შენსა. რამეთუ მე. ესერა. ცოდვანი ჩემნი ზღუდე ბნელის მექმნეს ჩემ შორის და ღმრთისა''.

* * *

იტყოდეს ვისთჳსმე ბერისა, რამეთუ დაეყო ერგასისი წელი თუნიერ პურისა და წყლისაცა, იშჳთ სჳს და იტყოდა. ვითარმედ: ,,მომიკუდინებიეს ცოდვაჲ: სიძვაჲ და ვეცხლისმოყუარებაჲ და ცუდადმზუაობრებაჲ''. და მოვიდა მისა მამაჲ აბრაჰამ. რამეთუ ესმა, ვითარმედ ამას იტყოდა და ჰრქუა მას: ,,შენ სთქუ სიტყუაჲ ესე?'' და მან თქუა: ,,მე ვთქუ''. ჰრქუა მას მამამან აბრაჰამ: ,,აჰა, ესერა. შეხუალ სენაკად შენდა და ჰპოე ჭილსა ზედა სარეცელსა დედაკაცი. ძალ-გიცა არამოგონებად. ვითარმედ არა დედაკაცი არს?'' ხოლო მან თქუა: ,,არა. არამედ წინაალუდგე გულისსიტყუასა

ჩემსა არაშეხებად მისსა". ჰრქუა მას მამამან აბრაჰამ: „აწ უკუე არა ვიდრე მოგიკუდინებიეს, არამედ ცოცხალ არს ენებაჲ იგი და დაბმულ არს. კუალად მიხუალ გზასა და იხილე ქვაჲ და კეცი და საშუალ მათსა ოქროჲ. ძალ-გიცა გულსა შენსა, ვითარმცა ესეცა ეგრეეე მოიგონე. ვითარცა ქვაჲ?" ხოლო მან თქუა: „არა, არამედ ეჰბრძოდი გულისსიტყუასა ჩემსა არააღებად". ჰრქუა მას ბერმან: „აჰა, ეგერა, ცოცხალ არს". მერმე კუალად ჰრქუა მამამან აბრაჰამ: „აჰა, ესერა, გასმიეს ორისა ძმისათჳს, რამეთუ ერთი გყუარობს და ერთი გძულობს და ძჳრსა იტყჳს შენთჳს. უკუეთუ მოვიდენ შენდა ორნივე, მოითუალნეა სწორად?" და მან თქუა: „არა, არამედ ვსძლო გულისსიტყუასა ჩემსა კეთილის-ყოფად მოძულისა მის ჩემისა. ვითარცა-იგი მისა, რომელი მყუარობს". მაშინ ჰრქუა მას მამამან აბრაჰამ: „აწ უკუე ცოცხალ არიან ენებანი იგი, არამედ დაბმულ არიან წმიდათა მიერ".

* * *

ნეტარსა დედასა სარას ათურამეტსა წელსა ჰბრძოდა ეშმაკი სიძჳისაჲ და არასადა ილოცა. რაჲთამცა განეშორა მისგან ბრძოლაჲ იგი, არამედ ესე ხოლო თქჳს: „ღმერთო, მომეც ძალი!"

იტყოდეს მისთჳსვე ნეტარისა სარაჲსთჳს, ვითარმედ აურვებდა ოდესმე სული სიძჳისაჲ და გულსა მოუვლენნ სოფლისა ამის ამოებასა, ვითარცა იტყჳს ეკლესიასტე: „ყოველივე ამაოა". ხოლო იგი არა მიერჩდა შიშითა ღმრთისაჲთა და მარხვითა. აღ-ვიდა ერთსა შინა დღესა ერდოსა ზედა თჳსსა ლოცვად და ეჩუენა მას სული იგი სიძ-ვისაჲ კორციელად და ჰრქუა მას: „შენ მძლეა მე. სარა?" ხოლო მან ჰრქუა: „მე არა გძლე, არამედ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან".

გრიგოლი ღმრთისმეტყველი

ცხორებაჲ და შესხმაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი

(ნაწყვეტები)

... ხოლო ამიერითგან ვიწყოთ ქებად მისა და შემწედ მოვიყვანოთ მისივე იგი და ჩუენი და ყოველთაჲ ღმერთი, რაჲთა შეგუეწიოს, რომელ უძლურებითა ჩუენისა სიტყჳსაჲთა არა შეურაცხად გამოვაჩინოთ დიდი ესე და დიდებული კაცი და რაჲთა არა ფრიად უდარეს სხუათა მათ შემსხმელთა მისთასა გამოჩინდე, დაღაცათუ მისგან ყოველნივე სწორად ნაკლულევან ვართ. ვითარცა ცისა სიმაღლისაგან და ბრწყინ-ვალებისაგან მზისა ნაკლულევან იპოებიან ყოველნი, რომელთაცა ინებონ მიხედვად მუნ.

ხოლო აწ, უკუეთუმცა ვხედევდით მას კორციელისა დიდებულებისა და მშო-ბელთა სიდიდისა მოყუარედ, ანუ თუ სხუათა რათმე კორციელთა საქმეთა პატიოსან-თა, რომელთა ქუეყანისანი პატივ-სცემენ, უზეშთაესადმცა გამოვაჩინე იგი უფროს ყოველთა დაბადებულთა ქუეყანისათა და, რაჲ-იგი მისთჳსმცა აღვწერე, უზეშთაესმცა იყო მათ ყოველთა, და, ერთად, ამითმცა დიდებულ იყვნეს ჩემმიერნი ესე თქუმულნი, რომელ არამცა ტყუილ და ზღაპარ იყვნეს, არამედ ჭეშმარიტთა მიერმცა საქმეთა შევამკე იგი და რომელთა ზედა მრავალნი არიან მოწამე, რამეთუ მრავალთა კეთილთა მისთა მოგჳთხრობს ქუეყანაჲ პონტოისაჲ, საკჳრველებათა და დიდე-

ბულებათა მისთა მშობელთასა. რომლითა საკვე არიან წიგნნი. და კუალად მრავალთა დიდებულებათა ღალადებენ ჩემისა ამის ქუეყანისა კაბადუკიისა მკვდრნი მათთჳს. რამეთუ არა ვისსა უდარეს იყვნეს ახოვნებითა და სიმდიდრითა, ერისთჳობითა და პატიოსნებითა წინაშე მეფეთასა და სიმაღლითა საყდართაჲთა და პატივითა ერთა მიერ და ბრწყინვალებითა სიტყუათაჲთა, რომელთა უკუეთუმცა გუენება აღწერაჲ, არარადმცა გამოჩნდეს ჭეშმარიტად. ვითარცა არარაცა არიან ყოველნი იგი საწარმართონი სიტყუანი და ტყუილნი მათნი, რომელნი აჩემებენ თავთა თჳსთა სიცრუვით დიდებულებასა, ვითარცა მათთა მათ წიგნთა შინა იპოტის, რომელთა ჭეშმარიტებისა თქუმად ვერ ძალ-ედვა, რამეთუ არა იყო მათ თანა ჭეშმარიტი პატიოსნებაჲ. ამისთჳსცა ტყუილისა მიმართ მიივლტიან და ეშმაკთა და ღმერთთა ვიეთმე, ამათა და მტყუვართა, სახელ-სდებენ მშობელად მათდა, რომელთა უკეთესნი იგი საქმენი და სიქადულნი ურწმუნოება არიან და, უკუეთუ ჭეშმარიტად გამოჩნდენ. მაშინღა უმეტეს იქმნას საძაგელებაჲ მათი.

... ესე უკუე ვთქუ მრავალთაგანი ერთი და ესე ვთქუ. არა თუ. რაჲთამცა დიდებულებასა რაჲმე ბასილისსა შეეჰმატე. რამეთუ ვითარცა არა ეკმარებიან ზღუასა მისდა შემავალნი იგი მდინარენი, დაღაცათუ შევლენ მრავალნი და დიდნი. ეგრეთვე არა ეკმარებიან ამას ქებანი კაცთანი, არამედ ამისთჳს ვთქუ ესე. რაჲთა გიჩუენო, თუ ვითართა სახეთა მიმართ სათნოებისათა ხედვიდა და ვითარ წარჰკდა მათ. რამეთუ. უკუეთუ სხუათათჳს დიდ არს, რაჲთამცა დიდებულებითა მშობელთაჲთა მიიღეს პატივი რაჲმე. დიდ არს ამისთჳს უფროჲსად, რომელ-იგი პირველნი მშობელნი სახელოვან-ყვნა თავისა თჳსისა მიერ და განადიდნა, ვითარცა მდინარემან დაგუებებულმან და უკუქცეულმან.

... შეენიერებისათჳს უკუე კორციელისა და ძალისა და ჰასაკისა სიკეთისათჳს. რომელთა ზედა მრავალთა ვხედავ მოხარულად, არად საკმარ არს თქუმაჲ, არა თუ. რამეთუ ამათ ზედა უდარეს ვისამე იყო კაცთაგანისა. ვიდრე ჭაბუკღა იყო და არა ღუაწლთა მათ მრავალთა მიერ მოეკუდინნეს სრულიად კორცნი, არამედ ამისთჳს არა მნებავს ესევითართა საქმეთათჳს თქუმაჲ. რაჲთა არა ვემსგავსო უგუნურთა მათ მორკინალთა, რომელთა ყოველი ძალი მათი ამათთა რკინობათა შინა და გარეწართა წარაგიან და ჟამსა მას ჭეშმარიტისა რკინობისასა მოუძლურებულ იყვნიან, რაჟამს-იგი მიეცემოდიან გკრგკვნნი და ნიჭნი მეფეთა მიერ მძლეთა მათ. არამედ მე სოფლისა საქმეთა მისთაგანი ერთი ოდენ ვთქუა. რომელი-იგი არა უკმარ არს. და ვიცი. ვითარმედ მეწამნენ ყოველნი, რომელთაცა აქუნდეს გონებაჲ. ხოლო ესე არს სიბრძნე. რომელსა იტყჳან, ვითარმედ უზეშთაესი არს ყოვლისაკე საქმისა ამის სოფლისა და უპატიოსნეს.

... ჰასაკსა მას შინა სიჩჩოჲსასა რაჲ იყო, დიდისა მის მამისა მიერ განისწავლებოდა, რომელი-იგი მაშინ მასწავლელად სათნოებისა აქუნდა პონტოსა, და ისწავლიდა მისგან სწავლასა მას კეთილსა, რომელსა ნათლისად უწოდს დიდი დავით და ბნელისა წინაალმდგომად. და მის მიერ ისწავა საქმჱ და სიტყუაჲ უზეშთაესად და კეთილად ნეტარმან მან, რომელი-იგი არა კორციელსა რასმე ისწავლიდა. ანუ ნადირობისა საქმეთა, ანუ ველოვნებასა ბრძოლათასა, ანუ მწყსასა ცხენთასა. რაჲთამცა იგივე ცხენი იყო მასწავლელ მისდა, ანუ რაჲთამცა ტჳნითა ირემთა და ლომთაჲთა იზარდებოდა, ვითარცა ზღაპარი იგი წარმართთაჲ იტყჳს. არამედ ისწავლიდა ესე სიბრძნესა ჭეშმარიტსა და ღმერთისმსახურებასა და. რაჲთა მოკლედ ვთქუა. სისრულისა მის მიმართ. რომელსა ეგულებოდა მიწდომად. მისა მიმართ მივიდოდა პირველ-

თაგანითა მით სწავლითა, რამეთუ, რომელსა ერთი ოდენ წარემართოს, გინა თუ გულისკმის-ყოფაჲ, გინა თუ საქმე მოლუაწებათაჲ და მეორისაგან ნაკლულევან იყოს, მე ვჰგონებ, თუ არა რაჲთა განყოფილ არს ცალთუალთაგან, რომელთა დიდ არს დაჭირვებაჲ იგი ნათლისაჲ მის ერთისა თუალისაჲ.

... ვინაჲთგან უკუე კეთილად ისწავლა მან სწავლაჲ იგი, რომელი მუნ იპოებოდა, ხოლო ჯერ-იყო, რაჲთამცა არარაჲ კეთილთაგანი განერა მას, არცამცა შეურებითა სულნელებისაჲთა უდარეს ფუტკრისამცა გამოჩნდა, რომელი-იგი ყოველთაგან სულნელთა შემოჰკრებს ნაყოფიერებასა. ამისთჳს კესარია ქალაქად მიიწია შესლვად მუნ მყოფთა მათ სასწავლელთა. კესარიასა ვიტყჳ დიდსა მას და ჩუენსა, რომელი-იგი ჩემისაცა სიტყუათა სწავლისა დასაბამ იქმნა, რომელი-იგი სიტყჳთა არს უმთავრეს სხუათა მათ შემოგარეთა ქალაქთა, უფროს ვიდრეცა ძალითა, რომლისა მოსწრაფებაჲ სიბრძნე არს სიტყუათაჲ. რომელ უკუეთუმცა ვინ ინება სიბრძნისა მიღებად მისგან, ვითარმცა ყოველივე დაერღჳა, რამეთუ სხუანი ქალაქნი სხუასა რასმე ზედა მოქადულ და შემკულ არიან, ხოლო ესე — სიბრძნესა ზედა სიტყუათასა.

... მერმე კესარიით მივიდა ბიზინტიად ქალაქსა მას დასავალითკერძოთა ყოველთა მთავარსა, რომელსა შინა იყენეს ბრძენნი და ფილოსოფოსნი ყოლოვანნი, რომელთა ყოლოვნებაჲ მცირედსა ჟამსა დაისწავლა ყოველივე სიმახჳლითა მით გონებისაჲთა და ესრეთ მუნით მოიწია ათინად, რომელი-იგი დედაჲ არს ფილოსოფოსობისაჲ. და მოივლინა ღმრთისა მიერ და კეთილითა მით სიბრძნისა უძღებლობითა ათინას, რომელი-იგი მე ჭეშმარიტად ოქროჲსა ქალაქად მექმნა და კეთილისა მომატყუებელად უფროს ყოველთაჲსა, რამეთუ მათ შემამცნიერეს მე მისდა სრულიად, რომელი პირველცა არა უცნაურ იყო, და სიტყუათა რაჲ ვეძიებდი, ნეტარებაჲ ვპოვე და ამით სახითა მსგავს ვიქმენ საულისა, რომელი კარაულთა მამისათა ეძიებდა და მეფობაჲ პოვა და საქმისა მის გარეწარი იგი უზეშთაეს იქმნა.

... ესე იქმნა დაწყებაჲ ჩუენისა მეგობრებისაჲ და ნაბერწყალი სიყუარულისაჲ. მერმე იქმნა ესევითარიცა საქმჱ: რამეთუ, ვითარცა არს ნათესავი იგი სომეხთაჲ არა წრფელი, არამედ მზაკუვარი და გულარძნილ და ბოროტი, მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი დაფარულ არიან ზღუასა შინა და ვერ იხილვენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ. ესრეთ სხუასა იტყჳან იგინი და სხუაჲ უც გულსა მარადის და სიწრფოებაჲ მათ თანა არა არს. და რაჲ საკჳრველ არს, უკუეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინაჲთგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუვარ და ბოროტად აღმსაარებელ. მაშინ უკუე მოვიდეს მისა სომეხნი ვეთნიმე, რომელნი იყენეს მუნ მოსწავლე და მეცნიერ იყენეს მისდა და მამისა მისისა, იწყეს მისდა სიტყუად სახითა მეგობრებისაჲთა. ხოლო არა სიყუარული იყო გულსა მათსა, არამედ შური, და ეტყოდეს მას ცილობით სიტყუათა, რაჲთამცა უდარეს მათსა გამოაჩინეს იგი, რამეთუ იცოდეს პირველთაგანი იგი გონებისა მისისა სიმახჳლე და პატივსა მას არა თაყვანიდებდეს, რომელ ყოველთა მიერ პატივიცემებოდა, რამეთუ შურდა. რომელ-იგი მათ შეემოსა სამოსლები ათინელთა ფილოსოფოსობისაჲ და მრავალთა ჟამთა ესწავლა, რაჲთამცა არაჲ უმეტესი აქუნდა უცხოისა მის და ახლადმოსრულისა.

ხოლო მე, ათინისმოყუარემან ამან და ამაომან, ვერ გულისკმა-ყაჲ შური იგი მათი და ვჰგონებდი, ვითარმედ სიყუარულით ეუბნებიან ..და ვიხილენ რაჲ იგინი ძლეულნი მის მიერ და დანთქმულნი მოქცევთა მათ შინა სიტყუათა მისთაჲსა და შემშურდა ესოდენი იგი სიქადული ათინელთა სიბრძნისაჲ და სახელოვნებაჲ იგი მის ქალაქისაჲ. რომელი სიბრძნესა ზედა განთქუმულ იყო ყოველსა ქუეყანასა, რაჲთამცა

ესრეთ ერთისა კაცისა მიერ ძლეულად და შეურაცხად გამოჩნდა, და ვიწყე დაცემულთა მათ და ძლეულთა სიტყვთა ჩემითა შეწევნად და აღდგინებად, რამეთუ მცირედიცა ძალი სიტყვსაჲ ფრიად განაძლიერებს ესევითართა მათ. დაცემულნი იგი აღვადგინენ და შევასწორე სიტყუაჲ მათი მის თანა ძალითა. ხოლო ვითარცა ვცან მზაკუვარებაჲ იგი მათი, რომელსა გამოაცხადებდეს, მეყსეულად მოვიქეც და აფრაჲ სიტყუათა ჩემთაჲ მოვაქციე მისდა და ძლევაჲ მისი განვაძლიერე. რამეთუ რაჟამს მე დაუტევენ იგინი, ცნა ნეტარმან მან, რამეთუ მახვლი იყო გონებითა და მსწრაფელი უფროს ელვისა, და იწყო დართვად სიტყუათა უბადრუკთა მათ ზედა და ორკეცობითა მით სიტყუთაჲთა შეპმუსრვიდა და არა დაუტევნა, ვიდრე არა სრულიად მოაკუდინნა და უსიტყუელ-ყვნა. ესე იქმნა ჩუენი მეორე სიყუარულისა არღარა ნაბერწყალი, არამედ ალი.

... ესრეთ უკუე აღივსო რაჲ ყოვლითავე სწავლულებითა და სიბრძნითა, რაზომ-იგი ბუნებასა შინა კაცისასა ეტევის. რამეთუ უზეშთაეს ღადირთა არა წარივლების. ხოლო მოიწია ჟამი წარსლვისაჲ მიერ და დაწყებისაჲ სრულსა მას ცხორებასა მონაზონებისასა და რაჲთა ვიწყოთ ქმნად საქმეთა მათ, რომელთათჳს ვისწრაფდით. მაშინ უკუე გარემოგუადგეს თანამოსწავლეთა მათ და მოძღუართა ჩუენთა კრებულნი და იწყეს ჩუენთჳს ცრემლოვად და იძულებად დადგომად მუნ, და ყოველსა ღონესა საქმეთასა და სიტყუათასა ეძიებდეს დაჭირვად ჩუენდა. ამას ადგილსა ვაბრალო თავსა ჩემსა და ვაბრალო წმიდასა მასცა და შეუხებელსა სულსა, დაღაცათუ კადნიერებაჲ არს საქმე ესე, რამეთუ იგი მოუდრეკელ იქმნა მათდა მიმართ და წარვიდა. ხოლო მე დაშთომილ ვიქმენ ათინას შინა უდებებითა ჩემითა (რაჲთა ვთქუა ჭეშმარიტი) და კუალად ამისთჳსცა, რამეთუ მან დამიტევა, რომელი-ესე არა დაუტეობდი მას, და მიმცა ჴელთა მათ მაიძულებელთასა. საქმჱ, რომელი უწინარეს ქმნისა არა სარწმუნო იყო, და იქმნა, ვითარცა გუამისა ერთისა ორად განკუეთაჲ, ანუ ზუარაკთა ერთად აღზრდილთა განყოფაჲ, რომელნი-იგი ფრიად გოდებდიან, გარნა არა თავს-ვიდევ მყოვარ ჟამ დაჭირვებასა მას შინა ყოფაჲ.

...ვაქებ წესსა მას მენავეთასა, რომელნი-იგი მენავეთმოძღურად ყოფადსა მას პირველ ნიჩაბსა მისცემენ ჴელად და, რაჟამს მას შინა წარემართოს. მერმე დასუმენ წინასა მას კერძსა ნავისასა ხედვად ქართა და ჰაერთა, და რაჟამს მყოვარ ჟამ განიცადოს ჰაერი და აღდუღებანი იგი ზღუათანი და სასტიკებანი ქართანი, მაშინ უკუანაკერძო დასუან და ნავისა მმართებელნი იგი აფქიონნი ჴელთა მისცნიან. და კუალად ეგრეთვე არს ბრძოლათა შინა, რამეთუ პირველ არნ მჴედარ და მერმე იქმნის ასისთავ და კუალად ათასისთავ და მერმეღა ერისთვობაჲ მიიღის. ესე არს კეთილი და ჯეროვანი წესიერებაჲ, ხოლო ჩუენი ესე ფრიად უმეტეს ამათ ყოველთასა ღირს იყო ესრეთ ქმნად. არამედ აწ უწესოებით არს ჩუენ შორის დასი ესე ყოველთა უპატიოსნესი და იქმნების ყოველთა უსაკიცხლეს. რამეთუ არა სათნოებისაგან, არამედ მანქანებისა მიერ მივსცემთ მღდელობასა, არცა ღირსთანი, არამედ ძლიერთანი არიან საყდარნი. და მკურნალად, ანუ მხატვრად არავინ უწესს კაცსა, რომელსა არა ესწავლოს ცნობაჲ ბუნებათაჲ, ანუ შეზავებაჲ წამალთაჲ, ხოლო მღდელთმოძღუარი და წინამძღუარი, რომელი-იგი ყოველთავე უდიდესი და უძნელესი არს, ესე ჩუენ მიერ ფრიად და უხუად იპოების, რომელსა არარაჲ ეშრომის, არამედ უშრომელად მიიღის პატივი იგი, ერთსა ჟამსა დაეთესის და აღმოეცენის. რომელნი-ესე ყოველთა დღეთა წმიდათა შევიქმთ თავით თჳსით და არა ღმრთისა მიერ და ბრძენ-ვჰყოფთ არაბრძენთა მათ, რომელთა არა რაჲ აქუნ ღირსი პატივისაჲ მის, გარნა ოდენ გულის-

თქუმაი მისი. და მრავალგზის სიმაღლისა ღირსი ქუემდაბლად მდგომარე არნ. რომელსა ფრიად ეწუართნიან სიტყუანი იგი საღმრთონი და ფრიად დაემორჩილნიან ჯორცნი სულისადა. ხოლო უღირსი იგი ზუაობით ზინ საყდართა ზედა და აღიმაღლებენ წარმთა და არა ძრწინ საყდრისა მისგან. არცა ჰრცხუენინ ღირსთა მათ ქუემდგომარეებისაგან, არამედ ჰგონუენცა თავსა თუსსა უბრძნეს მათსა. რამეთუ ელმწიფებისაგან ცნობაი მისი მიღებულ არნ.

გარნა არა ესრეთ იქმნა დიდი იგი და დიდებული ბასილი, არამედ ვითარცა სხუასა ყოველსავე ზედა სახე და წეს კეთილისა ექმნა ყოველთა, ეგრეთვე ამის საქმისა წესიერებასა ზედა, რამეთუ პირველ საღმრთოთა წიგნთა ოდენ უკითხვიდა ერსა გამომთარგმანებელი იგი მათი და არა უღირს-იჩინა პატივი იგი. და მერმე აღკდა კიბესა დიაკონობისასა და მერმე საყდარსა ზედა ხუცობისასა და ესრეთღა საყდარსა ზედა ეპისკოპოსობისასა: აქებდა უფალსა, რომელმან არა მიიხუეჭა პატივი იგი. არცა მიიტაცა. არცა სდევდა პატივსა, არამედ პატივისა მის მიერ დევნულ იქმნა.

გიორგი მთაწმიდელი

ცხორებაი იოვანესი და ეფთჳმესი

(ნაწყვეტები)

5. რამეთუ ჭეშმარიტად ღირსი იყო და საყუარელი ღმრთისაი ნეტარი მამაი ჩუენი იოვანე. რომელმან-იგი მსგავსად აბრაჰამისა უცხოებაი აღირჩია და მწირობით და სიგლახაკით ცხორებაი. და მისცა თავი თჳსი მორჩილებასა სულიერთა მამათასა. ვინაცა მსგავსად მისსა ესეცა ადიდა ღმერთმან და სახელოვან-ყო ყოვლითა სათნოებითა და უფროს ყოვლისა სანატრელისა შვილისა მინიჭებითა, რომელ არს ნეტარი ეფთჳმე, რომლისა-იგი სახელი ოდენ კმა არს სათნოებათა მისთა სიმაღლისა გამოჩინებად. რომელი-იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა განანათლა ქართველთა ენაი და ქუეყანაი. რამეთუ. ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი. ამის ღირსისა მოღუაწებითა განსწაულულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებელად და შემამკობელად ეკლესიათა ჩუენთა, რომლისა-იგი ნამუშაკევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებაი. ვითარცა ნესტჳ ოქროიანაი ჴმამაღალი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა. არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა. რამეთუ ბალაპვარი და აბუკურაი და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნნა ბერძნულად.

7. ესე ნეტარი მამაი ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი. მშობელთა და პაპთაითგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოი მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მჴნე და ახოვანი და განთქუმული წყობათა შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისაითა და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისჴმის-ყოფითა და საჴსე შიშითა ღმრთისაითა და ყოვლითავე კეთილისა საქმითა და ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილადჴსენებულისა დავით კურაპალატისაი.

8. ხოლო ვინაითგან ცეცხლი იგი ქრისტეს სიყუარულისაი გულსა მისსა მძაფრიად აღეტყინა, ყოველივე დიდებაი ამის სოფლისაი შეურაცხ-ყო და ნაგვად შეჰრაცხა და მონაგებნი და სიმდიდრე და განსუენებაი, მეუღლე და შვილნი თჳსნი და ნათესავნი და, რაოდენიცა-რაი არს ამის სოფლისაი, სრულიად მოიძულა და უგუ-

ლებელს-ყო და მერმე კუალად თავიცა თჳსი სიტყჳსაებრ უფლისა, და აღიღო ჯუარი მჴართა თჳსთა ზედა და ფარულად ყოველთაგან სივლტოლაჲ იკუმია და იჯმნა ყოველთაგან და მხოლოჲ ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა შევიდა.

9. ხოლო ვინაჲთგან იწყო განცხადებად საქმემან მისმან, ნეტართა მათ მამათა ლოცვაჲ მიიღო და საბერძნეთისა ქუეყანად მიჰმართა, რამეთუ ეკლტოდა დიდებასა კაცთასა, და ესრეთ მთასა ულუმბოჲასსა მიიწია და მონასტერსა ერთსა შინა ჟამთა არამცირედთა ჯორთა მსახურებისა ღუაწლი ახოვნად თავს-იდვა და სხუანი უნდონი მსახურებანი და შეურაცხნი სიმდაბლით აღასრულნა.

12. ხოლო შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, ვინაჲთგან განითქუა სახელი მისი და პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი, შეუძნდა საქმე ესე და ამის პირისათჳს კუალად უცხოებასავე მიჰმართა. რამეთუ აღიღო ძე თჳსი და რავდენნიმე მოწაფენი და მთაწმიდას მოვიდა, ლავრასა დიდსა ათანასესსა, და მუნ შეეწჳნარა. და აქუნდა თავი თჳსი ფარულად და ყოველთავე საქმეთა მორჩილებისათა სიმდაბლით და უდრტჳნველად იქმოდა და დაყო მზარეულობასა შინა ორი წელი, გინა უმეტეს.

13. და მათ ჟამთა შინა თჳსი მისი თორნიკ თჳსსა ქუეყანასა მონაზონ იქმნა და, რამეთუ ასმიოდა იოვანესთჳს, ვითარმედ ულუმბათა არს და ვინაჲთგან ფრიადი სიყუარული აქუნდა მისსა მიმართ, მას მოჰმართა და ულუმბათა შთამოვიდა და, ვინაჲთგან მუნ ვერ პოვა, ფარულად გამოიწულილა და ცნა, ვითარმედ მთაწმიდას არს. და თჳნიერ ცნობისა მეფეთაჲსა იდუმალ მთაწმიდას მოვიდა და კურთხევაჲ მონაზონებისაჲ ჴელთაგან იოვანესთა მიიღო.

16. და მას ჟამსა იქმნა განდგომილებაჲ სკლიაროსისაჲ და ჴმელითკერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი და დედოფალი შეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა. და ამას რაჲ შინა იყვნეს. განიზრახეს, ვითარმედ: „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს". და ვინაჲთგან გზანი ყოველნი სკლიაროსსა დაეპყრნეს, კაცისა წავლენაჲ არა ეგებოდა, და დიდსა ზრუნვასა შინა იყვნეს, რამეთუ არცა ვინ იყო ეგევითარი კაცი, რომელმანმცა სრულ-ყო ნებაჲ გულისა მათისაჲ. და ესრეთ რაჲ იურვოდეს ამის პირისათჳს, ესმა იოვანესთჳს და თორნიკისთჳს და ცნეს. რამეთუ ლავრასა დიდისა ათანასესსა არიან. და მეყსეულად სევასტოფორი, კაცი წარჩინებული მათ ჟამთა შინა მთავართა შორის დედოფლისათა. წიგნებითა სამეუფოჲთა ლავრას წარმოავლინეს. და ვითარცა მოვიდა, მისცა წიგნები თჳთოეულად, ვითარცა აქუნდა ბრძანებაჲ. ერთი — ათანასის და ერთი — თორნიკს და ერთი — იოვანეს. და ესე პირი მოეწერა, ვითა: „უღმრთოჲ სკლიაროსი გაგუადგა და ჴმელითკერძი ყოველი დაიპყრა. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქუენსა, რაჲთა თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა იოვანე-თორნიკ მოვიდეს მეფობისა ჩუენისა". და სხუანი მრავალნი ვედრებანი და ქენებანი ეწერნეს სამეუფოთა მათ წიგნთა შინა.

17. ესე რაჲ ესრეთ იქმნა, ფრიადსა უღონოებასა შთავარდეს ათანასე და იოვანე და. უნდა თუ არა, შეუვრდეს თორნიკს და იწყეს ვედრებად მისსა. რაჲთა აღვიდეს მეფეთა წინაშე. ხოლო მას რაჲ ესმა ვედრებაჲ მათი, ფრიად შეწუხნა და ეტყოდა. ვითარმედ: „წმიდანო მამანო, მე ცოდვათა ჩემთათჳს მოსრულ ვარ ამას წმიდასა ადგილსა და შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსლვაჲ, რამეთუ მე ვიცი. თუ რომლისა პირისათჳს მიკმობენ. და, ვინაჲთგან ღმერთმან ღირს-მყო და სახე მონაზონებისაჲ შევიმოსე. მე მიერითგან არცალა მეფეთა თანამიც შესაპოვარი. არცალა სხუასა ვის ქუეყანასა ზედა. აწ ვევედრები სიწმიდესა თქუენსა, ღმრთისა სიყუარულისათჳს შემინდვეთ და ნუ მაიძულებთ ამის პირისათჳს. რამეთუ. უკუეთუ წა-

ვიდე. ამის სოფლისაკე შფოთთა შთამაგდებენ". და იგინი ეკვდრებოდეს, ვითარმედ: „უკუეთუ ამას ეამსა ურჩ ვექმნეთ მეფეთა. დიდსა რისხვასა მოვაწევთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედა". და ამას ცილობასა ზედა გარდაკდა შჯდეული ერთი. ხოლო უკუანაბსენელ, უნდა თუ არა. ყოველი ბრალი მამამან ათანასი და მამამან იოვანე მიიდვეს და ძლით დაარწმუნეს წარსლვაი.

18. ხოლო ბასილი და კონსტანტი მას ეამსა წუთლა ყრმა იყენეს და ყოველი გასაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა. და ვითარცა აღვიდა თორნიკ სამეუფოდ, მეყსეულად შეიყვანა იგი პარაკიმანოსმან მეფეთა წინაშე და მეფენი და დედოფალი ზეაღუდგეს და პატივით მოიკითხეს და გუერდით დაისუეს. და უბრძანა დედოფალმან ბასილის და კონსტანტის და ფერკეთა შეუვრდეს. და დედოფალმან მიუგო, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, რაიცა ამათ ობოლთა თანა ჰქმნა, ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა!"

19. და ესევითარი რაი ეამი დახუდა იოვანეს. შინაგამოღებით მრავალფერთა საქმეთათჳს ამხილა და მან ყოველი სიმდაბლით შეიწყნარა და აღუთქუა. ვითა: „წმიდაო მამაო, რაიცა მიბრძანოს მამობამან თქუენმან, თქუენსა ბრძანებასა არა გარდავჰკდე. ოდენ, ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომაი თავს-იდევ და, რომლითაცა სახითა გნებავს, წარვედ კურაპალატისა წინაშე და ყოველი ჭირი ჩუენი აუწყე და ვესავ ღმერთსა, რომელ იოტოთ იგი ულმრთოი სკლიაროსი და ჩუენ ჭირისაგან განგუარინნეთ". ფრიად ეკვდრა დედოფალსა, რაითამცა განათავისუფლა და. ვითარ იხილა მოუდრეკლობაი მისი, მიუგო ესრეთ, ვითარმედ: „მე ჩემთა ცოდვათათჳს შევიმოსე სახე ესე და. უწყის უფალმან, რომელ სწორად სიკუდილისა მძიმე არს ესე საქმე ჩემ ზედა. გარნა რაი ვყო, არა ვიცი. წმიდასა მეფობასა თქუენსა ურჩ ვერ ვექმნები". და კუალად დედოფალმან და პარაკიმანოსმან ჰრქუეს. ვითარმედ: „შენ ოდენ ამათ ობოლთა კელი აღუპყარ და. რაიცა ბრალი იყოს. ღმერთმან ჩუენგან იძიენ." და ესრეთ წიგნები ვედრებისაი დაწერეს კურაპალატსა თანა. და ესრეთ იკმნა მეფეთაგან და რომლითაცა სახითა კურაპალატსა წინაშე მიიწია თორნიკ.

20. ხოლო იხილა რაი იგი კურაპალატმან. ფრიად განიხარა და წიგნები მეფეთაი მიითუალა, და ყოველივე საქმე თორნიკ გააცადა, რომლისათჳსცა განზრახვაი ქმნეს, რაითა ლაშქარნი წარმგზავნენ საბერძნეთს. და სპასალარად თორნიკ განაჩინეს. ხოლო თორნიკ კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაი კურაპალატისაი აუწყა. და მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა. რაითა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ.

21 ხოლო თორნიკს მოუწერეს: „ვიცით, რომელ ღმერთი შეგეწევის, და ნურარას ორგულობ, და ოდეს ღმერთმან წარგიმართოს, ყოველნი წინააღმდგომნი ჩუენნი დატყუენენ და ყოველივე ნატყუენავი მათი შენი იყოს", რომლისათჳსცა მისცა კურაპალატმან თორმეტი ათასი მჴედარი რჩეული თორნიკს და შეწევნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია. და მერმე შეიქცა და სიტყჳსაებრ მეფეთაისა დატყუენნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ყო, და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თჳთ დაიმჭირა ნატყუენავი დიდძალი ფრიად: ოქროი და ვეცხლი და სტავრაი და სხუაი ესევითარი. და უკუნიქცა და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმადლა და იკმნა და მეფეთაკე წინაშე მოვიდა.

22. ხოლო იგინი დიდითა პატივითა მიეგებნეს და მოწლედ მოიკითხეს. იკმნა უკუე მათგანცა და გამოეთხოვა და კუალად მთაწმიდასკე მოიქცა, ლავრად დიდისა

ათანასესა. ხოლო მამანი სიხარულით მიეგებნეს და ამბორს-უყვეს და პმადლობდეს ღმერთსა, რომელმან კუალად მოაქცია მშჯდობით.

23. და ამისა შემდგომად განიზრახეს მამათა ჩუენთა და თქუეს, ვითარმედ: „აჰა ყოფაჲ ჩუენი შეუძლებელ არს. კაცნი ვართ სახელოვანნი და ქართველნი მოგუმართებენ". და ესე გამოარჩიეს, რაჲთა თავისუფლად თჳსი მონასტერი აღაშენონ. დაღათუ უძნდა საქმე ესე იოვანეს, გარნა ქართველთა განსუენებისათჳს და უფროს ხოლო თორნიკის აშენებისათჳს თავს-იდვა ამისი ჴელ-ყოფაჲ. და ღმერთისა მომადლებითა პოვეს ადგილი შუენიერი შუა მთაწმიდისა და აღაშენეს მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა ღმერთისმშობელისა სახელსა ზედა და წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისასა ფრიადითა ოფლითა და ღუაწლითა. და ადგილნი მრავალნი, მონასტერნი და სადაუედებულონი გარემოეს დიდისა მონასტრისა ვიდრე იმერად ზღუადმდე თჳსითა საფასითა იყიდნეს, რომელნი-იგი შუენიერ არიან და საწადელ და მომზადებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად.

24. და ეგრეთვე ღმერთისმსახურთა მეფეთა, ვინაჲთგან ესევითარნი მსახურებანი პმსახურნეს და დიდნი საქმენი უქმნნეს, რომელნიცა ადგილნი და სოფელნი სთხოვნეს, ყოველნი ოქრობეჭდითა დაუმტკიცნეს, რომელნი-იგი მრავალცა არიან და რჩეულ ფრიად. ვითარცა ამას ქუეყანასა შეჰგავს.

29. ხოლო ვინაჲთგან დიდი თორნიკ წყობათა შინა აღზრდილ იყო და სალაშქრითა საქმეთა. ამათ ესევითართა პირთათჳს უბნობაჲ და ჰამბავი უეუარდა და, ვითარცა ვთქუთ, მამაჲ იოვანე ერიდებინ და არა უნდა, რაჲთამცა ამხილა მას, რაჲთა არა მოწყალას გონებაჲ მისი. და ვითარცა იყვნეს მას ჟამსა კაცნი წარჩინებულნი და პატიოსანნი, შევიდიან და ეუბნებოდიან მას ზემოთქუმულთა ამათ პირთათჳს. მაშინ ვითარცა იხილა იოვანე, რამეთუ სიწრფოებით იქმს ამას, შეეშინა, ნეუკეუ ამის სახისათჳს ზღვევაჲ რაჲმე სულიერი შეამთხჳოს ღირსსა მას და თჳსსაცა სულსა. ამისთჳსცა პრქუა მას მამამან იოვანე, ვითარმედ: „საეუარელო ძმაო, ეხედავ, რომელ მადლითა ღმერთისაჲთა კეთილად წარმართებულ ხარ მცნებათა შინა ღმერთისათა და არა მნებავს, რაჲთა კრძალვისა გზითა ზღვევაჲ რაჲმე მოვატყუა სულსა შენსა. აწ დაიცადე სოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობაჲ და ამიერითგან სხუასა ნუვის ეუბნები. გარნა გაბრიელს ხუცესსა". ხოლო ხუცესი იგი ესევითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიოჲ სიტყუაჲ არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოჲ და სულიერი. ესე რაჲ ესმა ღირსსა მას, მეყსეულად დავარდა ფერეთა თანა მისთა და ცრემლით ეტყოდა, ვითარმედ: „და რად დაიდუმე აქამომდე და არა მამხილე. წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო?" ხოლო მამამან იოვანე აღადგინა იგი და პრქუა: „უფალმან შეგინდვენ. გარნა აწ ხოლო ეკრძალე" და მიერითგან მონასტრისა ძმათა არარავის ეუბნებინ, გარნა თუ უცხოჲ ვინ მოვიდის და მცირედი რაჲმე სიტყუაჲ მიუგის მას. და ესრეთ ესევითარსა ამას სულიერსა ცხორებასა შინა აღასრულნა დღენი თჳსნი და ღმერთისა მივიდა. და ჭეშმარიტად წამეს მამათა ჩუენთა მისთჳს, ვითარმედ: „ღმერთმან შეუნდვნა ცოდვანი მისნი და საუკუნესა ცხორებასა ღირსყო".

33. შემდგომად თორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოვანე, რაჲთა აღიღოს ძე თჳსი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად, — რამეთუ პირველითგანვე უძნდა შეღლიანობაჲ და შფოთი, გარნა თავს-ედვა მუნ ჟამამდე თორნიკის აშენებისათჳს და რაჲთა შეიძინოს სული მისი, — რამეთუ ასმოიდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ. და ამის პირისათჳს წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე, რაჲთა მიერ პოვოს ნავი, კერძოთა

სპანიისათა მიმავალი, და წარვიდეს მუნ. და რომელი-იგი მას ჟამსა მთავრობდა ავიდოსს, ფრიად საყუარელი იყო მამისა იოვანესი, და მეგობრობისა მისისათჳს გამოუცხადა მას გულისსიტყუაჲ თჳსი. ხოლო იგი წინააღუდგა და. რაოდენ შესაძლებელ იყო მისგან. აბრკოლებდა. და ვითარ იხილა მამაჲ იოვანე დამტკიცებული თჳსსავე გულისსიტყუასა ზედა, გამოუცხადა და ჰრქუა, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, არა უმეცარ ხარ შენ, თუ რაბამი სიყუარული აქუს მეფეთა ღირსებისა შენისაჲ და, უკუეთუ გაგიტევნე. დიდი ბოროტი მოწევნად არს ჩემ ზედა. მიუწერო მეფეთა და, ვითარცა ბრძანონ, ეგრეცა ქმენ". და ვითარცა მიუწერა, უბრძანეს მეფეთა, რაჲთა სამეფოს წარავლინნეს. და ვითარცა აღვიდეს. დიდითა პატივითა მოიკითხნეს იგინი მეფეთა და დიდად აბრალეს და ჰრქუეს, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, ჩუენ დიდი სიყუარული გუაქუს სიწმიდისა თქუენისაჲ და რაჲ არს ესე. რომელ ესრეთ ივლტით ჩუენგან და უცხოსა ქუეყანასა წარხუალთ?" მიუგო ნეტარმან იოვანე და ჰრქუა: „ღმრთისმსახურნო და თჳთმპყრობელნო მეფენო. ბალბაკი ესე ერისკაცი ვიყავ. სოფელსა შინა მყოფი და თანამდები ყოვლისა ბრალისაჲ, და მენება, რაჲთა უცხოებასა სამე წარვიდე და სული ჩემი ვიცხოვნო და ბალბაკებით ვიყოფებოდი. და თუ ვითა მოპკდა, არა უწყი, მოვიდა თჳსი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა დიდთა შუღლთა შთავვარდი და ერისკრებასა და მნებავს, რაჲთა ამის ყოვლისაგან თავისუფალ ვიქმნა და სულისა ჩემისა ზრუნვასა შეუდგე". მრავალთა ჟამთა დიდითა პატივითა დაიმჭირეს და მერმე დიდითა ქენებითა ძლით დაარწმუნეს მონასტრადვე შექცევაჲ და დიდითა ბოძითა განუტევეს. და ესრეთ კუალად შეიქცა თჳსსავე მონასტერსა და შემდგომად მცირედისა ჟამისა ნიკრისისა სენსა შთავარდა და მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა დავრდომილი მდებარე იყო და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა და მარადის ჰმადლობდა ღმერთსა. და ესრეთ მხიარულ იყო სენსა მას ზედა სასტიკსა, ვითარცა საფასესა დიდძალსა და ვითარცა პატივსა და ნიჭსა სამეუფოსა.

34. და ვითარ იხილა ესევითარი უძლურებაჲ თჳსი, ევედრებოდა მამასა ეფკმის, რაჲთა მიითუალოს ზრუნვაჲ მონასტრისაჲ. ხოლო იგი მოწიწებით აიძულებდა მას, რაჲთა შეუნდოს, რამეთუ უძნდა შფოთი ამის სოფლისაჲ და არა თაკს-იდებდა შფოთთა შთავრდომად, გარნა. ვინაჲთგან შეუძლებელ იყო მამისა მოხუცებულისა და სენთაგან განკაფულისა ურჩებაჲ. უნდა, თუ არა. მორჩილ ექმნა მას და. ვიდრე ჯორცთაკა შინა იყო, მორჩილებითა და ბრძანებითა მისითა განაგებდა საქმეთა მონასტრისათა. ვითარცა იკონომოსი. და თჳნიერ მისისა ბრძანებისა არარას იქმოდა

38. ამისა შემდგომად სანატრელმან მამამან ჩუენმან იოვანე პირველთქუმულსა მას სალმობასა შინა განკაფულმან, შეისუენა და ღმრთისა მივიდა განმდიდრებული ტკბრთითა სათნოებათაჲთა და ნებისმყოფელი ღმრთისაჲ.

45. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. რამეთუ ვითარცა-იგი ზემორე ვთქუთ, წარიყვანა სამეუფოჲთ შვილი თჳსი ეფთჳმე მამამან იოვანე და პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძნულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით. და სიყრმითგანვე მადლი ღმრთისაჲ იყო მის ზედა და ღმრთისაგან მიეცა გულისხმის-ყოფაჲ წერილთაჲ და სულისა წმიდისა მადლითა აღიავსო, ვითარცა ეუწყა ნეტარსა იოვანეს, მამასა მისსა, გამოცხადებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა: რამეთუ ჟამსა სიჭაბუკისა მისისასა, ვიდრე ყრმაღა იყო, სენითა მძაფრითა შეპყრობილ იქმნა და სიკუდილსა მიეახლა. და იტყოდა ნეტარი იოვანე. ვითარმედ: „სასოებაჲ წარვიწირე ცხორებისა მისისაჲ, რამეთუ ვჰგონებდი მეყსა შინა სულთა აღმოსლვასა, ვინაჲთგან არცაღა სიტყუაჲ დაშთომილ იყო მის თანა, არცა

კმაი და ვითარ-იგი შეშფოთებულ ვიყავ. წარვედ ტაძარსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და დავვარდი წინაშე ხატსა წმიდისა დედოფლისასა და ცრემლითა მკურ-ვალითა ვევედრებოდე უხრწნელსა მარადის ქალწულსა ღმრთისმშობელსა, რაითა შემწე ყოს და ყოს ლხინებაი. და ვამცენ მღდელსა. რაითა მსწრაფულ აღმოვიდეს და აზიაროს კორცსა და სისხლსა უფლისასა. და ვითარ-იგი შეშფოთებულ ვიყავ და აღ-ვისწრაფდი ხილვად, თუ რაი-ძი იქმნა, განვაღე კარი სენაკისაი, სადა-იგი დამეტევა მწოლარე. და მეყსეულად ვიყნოსე სული სულნელებისაი საკვრველი, რამეთუ იქმნა მოხედვაი წმიდისა ღმრთისმშობელისაი და ვიხილე ეფთვმე. რამეთუ მადლითა მისითა აღდგომილ იყო და ჯდა ცხედარსა ზედა ყოელითურთ მრთელი და უნებელ".

46. და მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა, რომელნი-იგი იხილნა რაი, ვითარცა იყო მორწმუნე, სიხარულითა აღიკსო და ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა, ვითარმედ: „მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ ყამთა ესალი ოქროპირი გამოაჩინა", და ზედაესზედა მოუწერნ, რაითა თარგმნიდეს და წარსცემდეს. და იგი სანატრელი შეუსუენებელად თარგმნინ და რაითურთით არა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგ-ნთა საღმრთოთასა შურებოდა. რომლისა მიერ დაატკბო ენაი ჩუენი და ეკლესიაი. რამეთუ თარგმნნა წიგნნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხუვაი კნინღადა შეუძლებელ არს, რომელთაგანნი რაოდენნიმე მოვიკსენნეთ, რაითა მათ მიერ სხუათათჳსცა ეუწყოს ქრისტეს მორწმუნეთა, რამეთუ არა თუ ულუმბათა და მთაწმიდას ოდენ თარგმნნა, რაითამცა აღვრიცხუენით თითოეულად, არამედ სამეუფოსცა და გზასა და სხუათა ესევითართა ადგილთა.

55. იქმნა ოდესმე გუალვაი ფრიადი და მაისი და ივნისი და ივლისი და აგვსტოსი უწვმრად გარდავლო და დიდად მისჭირდა ქუეყანასა. ვიდრეცა ფურცელი ხეთა და ვენაკთაი გაკმა და სცკოდა და დიდსა ურვასა შინა იყვნეს კაცნი. არს მცირე მონასტერისა მონასტრისა ჩუენისაი მთასა ზედა, სადა-იგი შენ არს ეკლესიაი წმიდისა ელია წინაასწარმეტყუელისაი. და ვითარ მოიწია დღესასწაული წმიდისა ელიაასი, პირველ დღისა ერთისა უბრძანა მამამან იოვანე შვილსა თჳსსა ეფთვმეს, ვითარმედ: „წარიყვანენ ძმანი და წარვედით ეკლესიასა წმიდისა ელიაასსა და ღამე ათიეთ და ყამისწირვაი აღასრულეთ". და ოდეს ამას უბრძანებდა, მრავალნი ძმანი შეკრებულ იყვნეს წინაშე მამისა იოვანესსა და რეცა განცხრომისასხედ უბრძანა, ვითა: „ყრმანო, საწკმრები უკუანა წაიღეთ. რამეთუ ვსავ ღმერთსა, რომელ არა შევიქცეთ ამაოდ". წარვიდეს და ღამე ათიეს. და ვითარ მოიწია ყამისწირვისა ყამი, შეიმოსა წმიდაი მამაი ჩუენი ეფთვმე და, ვითარ იწყეს ლოცვად, პირველ სახარებისა წარკითხვისა გამოჩნდა მცირე ღრუბელი ერისონსა ზედა. და მასვე ყამსა აღიკსო ცაი ღრუბლითა და ვიდრე ყამისა ზიარებადმდე შეიქმნა წკმაი საშინელი და დაათრო ყოველი ქუეყა-ნაი. და ვითარცა იხილეს ესე, ღმერთსა კელაპყრობით ჰმადლობდეს. და ვითარცა ყამისწირვაი აღასრულეს და საზრდელი მიიღეს, წარმოვიდეს შინა და. რომელთა ძმათა აქუნდა საწკმრები, მოლხინებით შთამოვიდეს მონასტრად. ხოლო რომელთა არა აქუნდა, — შრომით და ჭირით. და ესრეთ ორნივე ჰმადლობდეს ღმერთსა და ნეტარსა მამასა იოვანეს.

108. იყო წმიდაი მამაი ჩუენი ეფთვმი სახითა მყუდრო და გონებითა წრფელ და მდაბალ და სულითა განათლებულ და წმიდა და გუამითა ძლიერ საღმრთოთა შინა საქმეთა და მოღუაწებათა და ჰასაკითა წესიერ და თჳნიერ წამებითა წერილ-თაითა არარას დაამტკიცებენ თავით თჳსით. გინა იტყჳნ და ეკლესიას დგომასა მჳნე,

რამეთუ დგან იგი თუნიერ კუერთხისა და კედელსა მიყრდნობისა ჴელმოჭდობით. ვითარცა სუეტი შეურყეველი, და პირი და თუალნი მისნი იყვნიან ქუეყანად მიმართ მხედველ. ხოლო სენაკსა შინა მოღუაწებათა მისთა აღრაცხვაჲ ვისმცა ძალ-ედვა, რომელნი-იგი ღმერთმან მხოლომან უწყნის, რამეთუ ყოველნივე ფარულად აღესრულებოდეს მის მიერ. ხოლო არნ სამოსლად მისა ძაძაჲ და ძაძისა მის ზედა ჯაჭჷ მძიმჱ. და რომელიცა ვინ სათნოებაჲ გამოიძიოს, მის თანა პოოს მის მიერ აღსრულებულად კეთილად და შუენიერად. ხოლო სიწმიდე და ქალწულებაჲ შეუხებელი და უბიწოჲ დაემარხა. ვითარცა ანგელოზსა ღმრთისასა და ცათა შინა მყოფსა. ხოლო თარგმანებაჲ წიგნთაჲ აქუნდა ნამეტნავად ყოველთა სათნოებათა და გჳრგჳნად და განმანათლებელად ნათესავისა ჩუენისა.

109. აღასრულნა წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთჳმი ათოთხმეტისა წლისა ჟამნი შემდგომად მამისა თჳსისა აღსრულებისა და მერმე ვედრებითა ზემოჴსენებულთა მათ წმიდათა ბერთაჲთა — არსენი ეპისკოპოსისაჲთა და იოვანე გრძელის ძისაჲთა — იჴმნა წინამძღურობისაგან, რამეთუ ხედვიდეს ღირსნი იგი ბერნი. რომელ მიზეზთა მრავალფერთა ზრუნვათაჲთა დაეხრწეოდა თარგმანებისაგან წმიდათა წერილთაჲსა. და ესრეთ მოიცალა და თჳსსა სენაკსა დაჯდა და წინამძღურობაჲ ძმათაჲ შეჰვედრა გიორგის, რომლისათჳს ემცნო მამასა იოვანეს, თჳსსავე ნათესავსა. და თავადი წიგნთა საღმრთოთა თარგმანებასა შეუდგა და ფრიადნი წიგნნი თარგმნნა, რომელთაგანნი რაოდენნიმე ზემო გჳსენებიან.

110. ხოლო აქუნდა ზრუნვაჲცა დიდისა ლავრისაჲ და, ვიდრემდის ერჩდეს, კეთილად განაგებდა. ხოლო უკუანაჲსკნელ იწყეს თავკედობად და ამბოხებად და წინამძღუართა ზედაჲსზედა ცვალებად და უმეტეს და უმეტეს აღორძნდებოდა ამბოხებაჲ მათი. ვიდრემდის სამეუფოდ აღვიდეს და აუწყეს კოსტანტი მეფესა შფოთისა მათისათჳს. ხოლო ცნა რაჲ მეფემან. ვითარმედ დიდი ევთჳმი არს განმგებელი მათი, აღუწოდა მას სამეუფოდ. რაჲთა ყოველი ჭეშმარიტი ისწაოს მისგან, რამეთუ დიდი სარწმუნოებაჲ და სიყუარული ჰქონდა მისა მიმართ ღირსებისა მისისათჳს.

111. და ვითარცა წარვიდოდა წინაშე მეფისა, შეკრიბნა ძმანი ყოველნი და ნუგეშინის-სცა და ტაბლაჲ კეთილი განუმზადა და ლოცვასა დაეედრა. და მერმე წარვიდა სანატრელისა და ქრისტეს ნებისმყოფელისა თეოფანე ხუცისა, რომლისა მიმართ დიდი სიყუარული აქუნდა მამასა ევთჳმეს, რამეთუ სიყრმითგან აქა აღზრდილ იყო და ყოვლითა სათნოებითა განშუენებულ იყო. და იყო იგი მღდელი, სათნოჲ უფლისაჲ და სწავლული ფრიად და ჴელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთაჲ, რომლისათჳს წამებდა მამაჲ ეფთჳმე. ვითარმედ: „უფროჲს ათასსუთასისა დრაჰკნისა უწერიან წიგნნი მონასტრისანი შინა და გარე". და ვინაჲთ არსენი და იოვანე შეისუენეს. მრავალგზის მას ჰკითხავნ სულიერად მამაჲ ჩუენი. ამის უკუე ნეტარისა ბერისა წარვიდა და მოიკითხა იგი ტირილით და ლოცვასა დაეედრა. ხოლო იგი მოეხვა და ცრემლით ჰრქუა. ვითარმედ: „ვაჲ მე. უბადრუკსა, რამეთუ არღარაოდეს გიხილო შენ ჯორციელად. ჳ წმიდაო მამაო!" და თჳთ მამაცა ეფთჳმე ეწამებოდა სიტყუათა მისთა, რომელი-იგი იქმნაცა და აღესრულა ორთუ წინაწარმეტყველებაჲ.

112. რამეთუ, ვითარცა ვთქუთ, აღვიდა ღმერთშემოსილი მამაჲ ჩუენი ეფთჳმე სამეუფოდ. და ვითარცა ცნა მეფემან მისლვაჲ მისი, დიდითა პატივითა მოიკითხა იგი და გამოჰკითხა საქმე ლავრისაჲ. და ვიდრე დაურვებადმდე ყოვლისა საურავისა მრავალნი ჟამნი გარდაჯდეს და მოიწია დღესასწაული წმიდისა იოვანე ღმრთისმეტყველისაჲ და, ვითარცა აქუნდა ჩუეულებაჲ, დიდებულად გარდაიჯადა და მრავალნი

გლახაკნი ილუაწნა და მონაზონთა მათ, რომელთა თანა იყო, კეთილად ნუგეშინისცა და თჳთ თავით თჳსით ჰმსახურა და ყოვლითა კეთილითა აღავსნა. და ამისა შემდგომად თავადმან პირი იკსნა და მცირედ განისუენა შრომისაგან. და ვითარცა აღდგა, მოეკსენა ხატი წმიდისა იოვანე მახარებელისაჲ, რომელი მხატვრისადა მიეცა განსაგებელად. და უბრძანა მოწაფესა, რაჲთა წარვიდეს და უთხრას, ვითარ ჯერ-არს შეკაზმვაჲ მისი. და მერმე ჰრქუა, ვითარმედ: „ვითარ-იგი გჳკმს ჩუენ, ნუუკუედ ვერ გაგონო, შვილო. არამედ დამისხენ საჴედარსა და მე თჳთ წარვიდე“. ხოლო იყო ჯორი იგი ახლადსყიდული და მანკიერი, და მათ არა იცოდეს სიმედგრე მისი და ზნოანებაჲ. და ვითარ წარვლეს ხანი რაოდენიმე. ჰოვა ვინმე გლახაკი, რომელი ითხოვდა ქველისსაქმარსა. და დადგა წმიდაჲ მამაჲ ჩუენი, რაჲთამცა მისცა მას ქველისსაქმარი, ხოლო იგი აღდგა შემოსილი ძონძებითა და მოპმართა მიღებად ქველისსაქმრისა. ხოლო ვითარცა დახედნა მანკიერმან მან საჴედარმან, მყის განკერთა და იწყო სივლტოლად და აქა-იქი ეკუეთებოდა. ვიდრემდის ფიცხლად მოწყლა წმიდაჲ იგი და სანატრელი მამაჲ ჩუენი. და ვითარცა გარდამოაგდო, ფრიადი ერი შეკრბა მის ზედა, რამეთუ ყოველნი მეცნიერ იყვნეს და ყოველნი ტიროდეს და იგლოვდეს. და მერმე წარიღეს მონასტრად. სადა-იგი სავანე-ეყო.

113. და ვითარ ესმა კოსტანტი მეფესა, დიდად შეწუხნა და წარავლინა თჳსი ვინმე საკუთარი და მოიკითხა იგი. და ეგრეთვე მოქალაქეთა, დიდებულთა და მთავართა და პალატისათა დიდი სარწმუნოებაჲ და სიყუარული აქუნდა, და ყოველნი მოვიდოდეს და ცრემლითა ილტობოდეს და ამბორს-უყოფდეს და წარვიდოდეს ქართველთათჳს კულა რაჲ ვინ თქუას? რამეთუ ყოლადვე განუშორებელ იყვნეს ანგელოსთა მობაძავსა მას გუამსა მისსა და ტყებითა ფრიადითა ეგლოვდეს სიობლესა თჳსსა. და ესრეთ ლოცვასა შინა და მადლობასა ღმრთისასა გარდაიცვალა სამგზის სანატრელი იგი და ღმერთშემოსილი მამაჲ ჩუენი ეფთჳმე და ფრიადი მწუხარებაჲ მოიწია ჩუენ ზედა, რომელნი დავაკლდით ტკბილსა მას და საწადელსა მამასა ჩუენსა. ხოლო იგი წარვიდა წინაშე ღმრთისა, ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა, ყოველთა თანა წმიდათა, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყვნეს ღმერთსა, და მეოხ არს ცხორებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა წინაშე სამებისა წმიდისა. ხოლო პატიოსანნი იგი ნაწილნი მისნი აღმოიყვანნეს თჳსსავე მონასტერსა და დაისხნეს სამარხოსა ლუსკუმასა, ტაძარსა შინა წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისასა და, რომელნი სარწმუნოებით მოუკდებიან, კურნებისა მადლთა აღმოიჳსებენ უხუებით კადნიერებითა მისითა წინაშე ღმრთისა.

114. აღესრულა სამგზის სანატრელი მამაჲ ჩუენი ევთჳმი თუესა მაისსა ათცამეტსა, დღესა ორშაბათსა, ინდიკტიონსა ათერთმეტსა, წელთა დასაბამითგან სოფლისაჲთ ექუსათას ხუთასოცდამეათექუსმეტესა წელსა, სადიდებელად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და პატიჳ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თეოფილე ხუცეს-მონაზონი

მეტაფრასული კრებულის შესავალი

ვინაცთგან უკუ(ბ) მდიდარმან მან დიდებითა და უმრავლესმან წყალობითა ღმერთმან, მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაცთა და მადლითა მოძღურისა და გამზრდელისა ჩემისა გეორგი მთაწმიდელისაცთა, — რამეთუ კმა არს ჯსენებაცა ოდენ სახელისა მისისაცა შესხმად მისა, რომელსაცა ყმამაღლად ოხრიან ყოველნი ეკლესიანი ქართველთანი, — აღაღო პირუტყუთსახ(ბ) ესე პირი ჩემი და კუალად მეცა. ულირსმან ამან, ვყავ მრავალი მოსწრაფებაცა ამისთჳს და სიყუარულისათჳს ამათ წიგნთა და ყოველთა ქართველთა ნათესავისა დაუტეევ ზრუნვაცა სულისა ჩემისაცა და ტირილი ცოდვათა ჩემთაცა და შევჰკადრე საქმესა უზეშთაესსა ძალისა ჩემისასა, რომელ არს თარგმანებაცა წიგნთაცა ბერძულისაგან ქართულად. ამისთჳსცა უნებლიეთ თანამაც. რაცთა გაუწყო ყოველთა მიზეზი წიგნთაცა ამათ და თუ ვინაცა აღიწერნეს, ანუ ვის მიერ და თუ რა და რა ითარგმნნეს ძუელთა მიერ თარგმანთა.

უწინარეს უკუ(ბ) ქრისტეს, ძისა ღმრთისა, ჯორციელად ჩუენდა მოსლვისა, ჟამთა მათ შინა პირველთა იყო წესი და ბრძანებაცა სამეუფოცა, ბრძენთა მათ მიერ ძუელთა შჯულად დადებული. ხოლო უმეტესადცა იულის ვისმე მიერ ჰრომაელთა კეისრისა მტკიცედ განწესებული და შეკრძალული, რომელსა-იგი აქუნდა პყრობაცა ზღჳსა და კმელისაცა, რაცთა ყოველნივე მთავარნი, ყოველსა შორის სოფელსა განფენილნი, წერდენ ყოველთავე საქმეთა და მშჯავრთა მათთა კაცისა მიერ სამეუფოცასა. ბოროტთაცა და კეთილთა დაუკლებელად და რაცთა რაცა წელიწად აღვიდოდიან ჰრომედ, ანუ თუ წარსცემდენ წერილთა მათ და მუნ მეფისა მიერ და მთავართა და ათორმეტთა მათ მიერ ფილოსოფოსთა, ბჭეთა ქალაქისათა, გამოიძიებოდის თჳთოეულად ყოველივე საქმე მათი: უკუეთუ ვისმე ავნეს უსამართლოდ, ანუ თუ ქრთამი მიიღეს და მოკლეს გინა თუ შურითა ვიეთთამე მონაგები ვისიმე იავარ-ყჳს და მიხუჴს

ესე ყოველი რაცა წესლილად გამოიძიან, უკუეთუ კეთილ იყვის, კუალადეგის სამთავროდ თჳსა. უკუეთუ კულა არა, მიეკადის უკუანაისკნელი საშჯელი. ამას იქმოდეს წარმართნი იგი ფრიადცა კეთილად, რაცთა ამის მიერ მშჯდობით განეგებოდის სოფელი. ესევე წესი ეპყრა თჳთ თავადთაცა კეისართა და მეფეთა, რომელი-ესე მეფესა ბერძენთასა უპყრიეს ჯერეთცა. დაღათუ არასრულიად დაწერენ ყოველსავე რას მომავალთათჳს ნათესავთა, და ესე შჯული და წესი მათგან შეუნდობელ არს. ამით უკუც წესითა იწერებოდეს ღუაწლნიცა წმიდათა მოწამეთანი და პალატად სამეუფოდ შეკრბებოდა ყოველივე იგი სრული და ჭეშმარიტებაცა საქმისაცა. ხოლო რომელ-ესე ძუელად იყვნეს წამებანი წმიდათანი, აღიწერნეს ესრეასახედ: რაჟამს-იგი დიდად ბორგდა სამაელ, აღშფოთებული ქრისტეს მიმართ და სამწყოთა მისთა, და ეძიებდა ღონესა განბანად მჴსნელისა მიერ ჩუენისა ძლეულებისა მის თჳსისა და ვერარაცა პოვა, მაშინ შეუეკდა მეფეთა მათ უღმრთოთა და მთავართა უშჯულოთა და აღადგინა დევნულებაცა ქრისტეანეთა ზედა ესოდენ სასტიკი, ვიდრეცა რომელნიმე მოსწყჳდნა და რომელნიმე ლტოლვილ-ყვნა. ხოლო რომელნი-იგი მოსწყდებოდეს სახელისათჳს ქრისტესისა, მათგან თავიეთ წამებისა დაწერა შეუძლებელ იყო, რაცთამცა დაჰრჩეს ქრისტეანეთა, კუალად, რომელნი-იგი შიშისათჳს ლტოლვილ იყვნეს მთათა შინა, მათმცა რაცა აღწერეს, თუ რაცა იქმნების ქალაქთა შინა? გარნა თუ მივიდის ვინმე კაცი ქრისტეანე, უკუეთუ იპოვის ოდენ დამალულთა მათ თანა, და იგიცა მდაბიო ვინმე და ლიტონი, და აუწყის მას, რაცა-იგი მას ასმიოდის, ვითარმედ მას რომელსამე

ადგილსა იწამა ვინმე წმიდაჲ: რომელი-ესე ესმის რაჲ მას, ამისთჳს ოდენ. რაჲთა დარჩეს მოსაკსენებელად და არა სრულად განქარდეს ჟამთაგან, დაწერის რაჲმე, ვითარცა ნაკშირითა ხატი გამოსახული. ხოლო ჭეშმარიტნი იგი და მთავართა მიერ აღწერილნი მიიხუნის პალატმან და საუნჯეთან სამეუფომან, ვითარცა ზჱმორე სიტყუამან გამოაჩინა. ესრეთ უკუჱ აღიწერნეს ძუელნი იგი ცხორებანი წმიდათანი და უკუანასკნელ მწვალებელთა მიერ განიხრწნეს, რომელსაცა-ამას ზედა ფრიად იხარებდა ეშმაკი.

ხოლო არავინ იპოვა ესევითარი კაცი, რომელსამცა აქუნდა მადლი და სიბრძნე სულიერი და დიდებაჲ და კელმწიფებაჲ კორციელი, რაჲთამცა გამოეხუნეს იგი[ნი] საგანძურთაგან სამეუფოთა და შეეწყუნეს იგი[ნო] და შეეკაზმნეს და ქრისტიანეთა ეკლესიისადა მიეცნეს. ვიდრე დღეთადმდე ბასილი მეფისათა. უკუანასკნელსა სამე. შემდგომად ჟამთა. გამორნდა კაცი იგი საკჳველი, სუმეონ სანატრელი, რომელი შემკობილ იყო სიბრძნითა საღმრთოჲთაცა და კაცობრივითა და აქუნდა მას კელმწიფებაჲცა ფრიადი პალატსა შინა. რამეთუ იყო ლოღოთეტი.

ამან სანატრელმან აღუწერნა ქრისტეანეთა ათორმეტნი ესე წიგნნი მეტაფრასნი და მიანიჭა ეკლესიათა საბერძნეთისათა უსასყიდლოჲ ესე მარგალიტი, რომლისათჳსცა ყოველნი ეკლესიანი მას იკითხვენ და მითა განათლდებიან და სწორად სახარებისა პატივ-სცემენ.

ხოლო უკუეთუ ვინმე იტყოდის, თუ: „ვინაჲთგან ესოდენ საწადელ არიან ათორმეტნი ესე წიგნნი მეტაფრასნი, რად არა თარგმნნეს წმიდათა მამათა ჩუენთა, ეფთჳმი და გეორგი?“ მე ვაუწყო ჭეშმარიტი მიზეზი, — რამეთუ. კაცი რაჟამს სიყმილითა პურისაჲთა მომყმარ იყოს, მას ძიებად ხილთა და სანოვაგეთა არა სცალს. — რამეთუ უფრო საჭიროთაგან არა სცალდა და ამისთჳს დაშთეს უთარგმანოდ. რომელთაგან მე. ულირსსა ამას. თეოფილეს, რეცა ხუცეს-მონაზონსა, მოწაფესა გეორგი მთაწმიდლისასა. რომელი არა ღირს ვარ მოწაფე-წოდებად მისა. ათორმეტთა მათგან ერთი ესე გამომიღია. უკუეთუ გაპმარჯოს ღმერთმან, სხუათათჳსცა კეთილ, და. უკუეთუ არა, ამისთჳს ლოცვა-ყავთ. სივერაგემან ჟამთამან, შეუწეველობამან კაცთამან და სიგლახაკემან ჯორცთამან სიძჳრესა თანა ეტრატისასა დამიხრწიეს, რამეთუ ორანი ქსელანი მოვიდოდეს დრაჰკანად, თუარა მცირეთა შინა ჟამთა მრავალი კეთილი იქმნებოდა. აწ ღმერთისათჳს. უკუეთუ ვინმე სწერდეთ ამას. რაჲცა აქა პპოოთ. სრულად დასწერდით და შეუცვალებელად და ადიდებდით ღმერთსა უკუნისამდჱ.

ფსევდოდიონისე არეოპაგელი

სრულისათჳს და ერთისა

ესოდენ იყავნ ამათ პირთათჳსცა. ხოლო ჩუენ, გნებავს თუ, თჳთ მის უძლიერესისა სიტყჳსა მიმართ მივიწინეთ ამიერითგან. რამეთუ ღმრთისმეტყველებაჲ ყოველთა მიზეზსა მას ყოველსაცე და თანად ყოველსა უწოდს. და ვითარცა სრულად და ვითარცა ერთად უგალობს. სრულ უკუე არს არა ხოლო, ვითარცა თჳთსრული და თავით თჳსით თავსა თჳსსა შინა ერთსახეობით განთჳსებული და ყოვლად ყოვლითურთ სრული, არამედ, ვითარცა ზეშთასრული. ყოველთაცე ზეშთა აღმატებითა ყოველსაცე უზომოებასა განასაზღვრებს. ხოლო თჳთ ყოვლისაჳვგან ზომისა და საზღვრისა ზეშთა გარდაფენილ არს და არცა ერთისა რაჲსაგანმე დაიტევის. ანუ გარე-

შეიცვების, არამედ განჰფენს თანად ყოველთა ზედა და ზეშთა ყოველთა მოუკლებელთა მათ მოცემათა და დაუსრულებელთა მოქმედებათა თჳსთა. ხოლო კუალად სრულ ითქუმის იგი, ვითარცა აღუორძინებელი და მარადის სრული და ვითარცა მოუკლებელი, ვითარცა ყოველთა თაჳსა შორის თჳსსა წინაადთვე მქონებელი და ზეშთააღმომაცენებელი ერთბამითა მით დაუცხრომელითა და იგივეითა და ზეშთა საჳსითა და მოუკლებელითა მიცემითა მით, რომლითა სრულთა ყოველთა სრულთმოქმედებს და აღავსებს თჳსისა სრულებისაგან.

ხოლო ერთ, რამეთუ ყოველთა შორის ერთსახეობით არს ერთითა მით ერთობისა ზეშთააღმატებულებითა და ყოველთავე ერთისა გამოუვალობისა მიზეზ არს, რამეთუ არარაჲ არს არსთაგანი მიუღებელ ერთისა, არამედ, ვითარცა ყოველი რიცხჳ, ერთისაგან მიიღებს და ერთი ორადცა და ათადცა ითქუმის და ნახევარი ერთ, და მესამედ და მეათედი — ერთ. ეგრეთვე ყოველნი და ყოველი ყოველთა ნაწილები ერთისაგან მიიღებენ და ყოფაჲ იგი ერთ ყოველთავე არსთაჲ არს, და არა ერთი მრავალთა ერთთაგანი არს. ყოველთა მიზეზი იგი ერთი, არამედ პირველყოვლისა ერთისა და მრავალთა განსაზღვრებისა, რამეთუ არცა სადა არს სადმე სიმრავლე არამიმღებელი ერთისაჲ, არამედ მრავალნი იგი ნაწილებითა ერთ იქმნებიან ყოვლად შემოკრებითა და მრავალნი იგი შემთხუევითთა შინა ერთ არიან მათ თანამოკიდულსა მას გუამსა შინა; და მრავალნი რიცხჳთა, გინა ძალითა არიან სახითა; და მრავალნი სახითა ერთ არიან ნათესავითა: და მრავალნი წინაგანმავლობითა ერთ არიან დასაბამითა. და არა რაჲ არს არსთაგანი, რომელი არა სადმე მიიღებს ერთსა ყოველთა მიმართ ერთობითა ყოვლისაადთა და ყოვლად ყოველთა წინააღდგომითთა და ერთობითთა წინა შემოკრებითა. და თჳნიერ ერთისა ვერ არს სიმრავლე. ხოლო თჳნიერ სიმრავლისა არს ერთი. ვითარ-იგი ერთობაჲ უპირატეს არს პირველ ყოვლისა რიცხჳსა განმრავლებულისა. და უკუეთუ ვინმე ყოვლისა ყოველთა შეერთებულებაჲ დადვას, ყოველივე იყოს ყოვლად ერთ.

ამას თანა ესეცა საცნაურ იყავნ, ვითარმედ თითოეულისა ყოვლისა პირველმოგონებული სახე შეერთებად ითქუმის შეერთებულთა და ყოველთა შემანივთებელ არს ერთი. და უკუეთუ მოსპო ერთი, არცა ყოვლობაჲ, არცა ნაწილი, არცა სხუაჲ რაჲმე არსთაგანი იყოს, რამეთუ ყოველსავე თაჳსა შორის თჳსსა ერთსახეობით მიულიეს ერთი და წინამიულიეს. ამისთჳს უკუე ღმრთისმეტყველებაჲ ყოველსა ღმერთმთავრობასა, ვითარცა ყოველთა მიზეზსა, უგალობს სახელის-დებითა ერთობისაადთა. და ერთ არს ღმერთი მამაჲ და ერთ უფალი იესუ ქრისტე და ერთ თჳთ სული წმიდაჲ ზეშთა გარდამატებულითა მით ყოვლისა ღმრთეებისა ერთობისა განუყოფელობითა, რომლისა შორის ყოველი ერთობითად შემოკრებულ არს და უფროჲსად შეერთებულ არს და პირველითგან არს იგი ზეშთა არსებისა, ვინაჲცა მის შორის ყოველივე სამართლად აღმოეცენების და დაიუნჯების, რომლისაგან და რომლისა მიერ და რომლისათჳს და რომლისა შორის და რომლისა მიმართ ყოველივე არს და განწესებულ არს და ჰგიეს და იპყრობების და აღივსების და მოიქცევის. და არასადა ჰპოვო არსთაგანი რაჲმე, რომელი არა ერთსა შორის არს, ერთსა მას, რომლითა ყოველი ღმრთეებაჲ ზეშთა არსებისა სახელ-იდების და არს. ვითარ-იგი არს, და მის შორის სრულ იქმნების და ცხოველ არს ყოველივე. ვინაჲცა საკმარ არს ჩუენდაცა, რაჲთა მრავლობისაგან ერთობად მოქცეულნი ძალითა საღმრთოჲსა მის ერთობისაადთა ერთობითად უგალობდეთ ყოლადსა მას და ერთსა ღმრთეებასა, ერთსა მიზეზსა ყოველთასა. რომელი-იგი პირველ ყოვლისა ერთისა და მრავლისა, და კერძოთა და ყოვ-

ლისა. და საზღვრისა და უსაზღვროებისა. და დასასრულისა და დაუსრულებელობისა განასაზღვრებს ყოველთა და ყოვლად ყოვლითურთ და თანად პირველ ყოველთა და ზეშთა ყოველთა ერთობითად მიზეზ არს და თჳთ მის ერთ-ყოფისაცა ზეშთა არს და თჳთ მას ერთ-ყოფასაცა განასაზღვრებს. ვინაათგან არსებითი ერთი არსთა შორის ერთრიცხუად არს, ხოლო რიცხჳ არსებისა მიმღებელ არს.

ხოლო ზეშთა არსებისა იგი ერთი არსებითსა მასცა ერთსა და ყოველთა რიცხუთა განასაზღვრებს. და იგი არს ერთისა მისცა რიცხჳსა და ყოველთა არსთა დასაბამ და მიზეზ და რიცხუ და წეს. ვინაიცა ერთობად და სამებად რაი იგალობებოდის ზეშთა ყოველთა ღმრთეებაი, არა ჩუენებრი არს, არცა სხუათა რათმე არსთა მსგავსად ცნობილი ერთობაი გინა სამობაი მისი, არამედ რაითა ზეშთაშეერთებულსა მას და ღმერთმშობელსა ჭეშმარიტებით ვაქებდეთ, ამისთჳს სამებად და ერთობით თქუმითა ღმრთის სახელთაითა ზეშთა სახელისასა მას სახელ-ვსდებთ არსთა შორის უზეშთაესსა არსებათასა. ხოლო არცა ერთი არს ერთობაი, ანუ სამობაი, არცა რიცხჳ, არცა პირველობაი. არცა მშობლობაი, არცა სხუაი რაიმე არსთაგანი, ანუ ცნობილი არსთაგანისა რაჲსაგანმე, რომელმანმცა უძლო განცხადებად ზეშთა ყოვლისა გონებისა და სიტყჳსასა მას დაფარულებასა ზეშთა ყოველთა სიტყუათა და გონებათა ზეშთაარსებით ზეშთამყოფისა ზეშთაღმრთეებისასა, არამედ შეუჴალთა შინა დამკჳდრებულ არს.

და ვერცაღა თჳთ მას სახიერებისა სიტყუასა. ვითარ-იგი შეეტყუების, ეგრეთ შეესწირავთ მისსა, არამედ სურვილითა მოგონებად რასმე. ანუ თქუმად გამოუთქუმელისა მის ბუნებისათჳს წადიერნი უპატიოსნესსა ამას სახელთასა განუკუთნებთ მას უპირატესად და ამითცა ვითარმე ერთჳმა ვიქმნებით ღმრთისმეტყუელთა თანა. ხოლო საქმეთა ჭეშმარიტებისაგან ქუე დავშთებით, ვინაიცა თჳთ ღმრთისმეტყუელნი იგი უკუთქუმასაც მას აღმავლობასა უფროჲს პატივ-სცემენ, ვითარცა განმაშორებელსა სულისასა. მისთანათა მათ ერთნათესავთაგან და მავლინებელსა ყოველთაჲ მიმართ საღმრთოთა ცნობათა. რომელთასა ზეშთააღმატებულ არს უზეშთაესი იგი ყოვლისაჲ სახელისა და ყოვლისა სიტყჳსა და ცნობისაჲ. და ესრეთ უკუანაჲსკნელ ყოვლითურთსა მას თავადსა შეაერთებენ. რაოდენ ოდენ შესაძლებელ არს ჩუენგან შეერთებაჲ მისი.

ესრეთ უკუე ჩუენ საცნაურნი ესე ღმრთის სახელნი შემოვკრიბენით და. რაოდენ მისაწდომელ იყო. განეჰმარტენით, არა ხოლო ამათისა ზედამიწევნით ცნობისაგან ნაკლულევანად, რამეთუ ესე ჭეშმარიტებით ანგელოზთაცა თქუან, არცა თჳთ მის ანგელოზთა ოდენ გალობისასა უდარესად. რომელთა-იგი უუკუანაჲსკნელისაცა რაჲსმე გალობისაკერძოსა მოქენე არიან უპირატესნი ჩუენთა ღმრთისმეტყუელთანი, არცა თჳთ მათ ღმრთისმეტყუელთასა ოდენ, არცა თჳთ მათ მოღუაწეთასა. გინა კუალსა მათსა შედგომილთასა ოდენ. არამედ თჳთ ჩუენ თანამოდასეთასაცა უკნინესად და უუკუანაჲსკნელესად, ვინაიცა, უკუეთუ მართლმეტყუელებაჲ აქუს თქუმულთა ამათ და, რაოდენ შემიგავს ჩუენ. ნამდჳლვე შეხებულ რასმე ვართ ჩუენ გონებითა ღმრთის სახელთა სიტყუათა თარგმანებასა, ყოველთა კეთილთა მიზეზისად შეირაცხებოდედ საქმე ესე, რომელი-იგი მოგუანიჭებს პირველად თჳთ მას თქუმასა და ამისსა შემდგომად კეთილად თქუმასა. და რაიცა-რაჲ ჩუენგან დაკლებულ არს აქა საღმრთოთა მათ სახელთაგანი. ამათ თანა ერთძალი სიტყუაჲ. იგიცა ამისვე ესევითარისა გულისკმის-ყოფისა მოქენე არს წესისაებრ ზემოთქუმულთა ამათ თარგმანებათა.

ხოლო უკუეთუ არა მართლთქუმულობაჲ, ანუ უსრულობაჲ რაჲმე აქუს სიტ-ყუათა ამათ და შეცთომილ ვართ ჭეშმარიტებისა ანუ ყოვლისაგანვე. ანუ კერძოსა რაჲსაგანმე. შენისა სადმე კაცთმოყუარებისა არს განმართებაჲ უნებლიეთ უმეცრისაჲ და მოცემად სიტყუაჲ მოქენესა სწავლისასა და შეშწე-ყოფად მქონებელსა ძალისა ვერ კმასაყოფელისასა და კურნებად არამნებებელსა სნეულებისასა, და რომელსამე თავით თჳსით და რომელსამე სხუათა მიერ მოპოვნებად და ყოველსავე სახიერისა მიერ მიღებად და ჩუენდა მომართ მოწევნად. ვინაჲცა ნუ დაშურები ქველის-მოქმედებად კაცისა მეგობრისა შენისა, რამეთუ ხედავ. ვითარ-ესე ჩუენცა მოცემუ-ლები იგი ჩუენდა მღდელთმთავრობითები სიტყუები არცა ერთი რაჲ თავთა ოდენ ჩუენთა შინა შეგჳწყუდე

თავე მყოფთაგანისაჲ, რამეთუ უკუეთუ ცნობაჲ მიზეზთაჲ საქმე და აღსასრული არს ზედმიწევნ-ულებისა და კელოვნებისაჲ, და მაშინღა ვიტყჳთ ზედმიწევნად კელოვ-ნებასა, რაჟამს მიზეზნი ვცნნეთ მყოფთანი. და კუალად, უკუეთუ მრგულივ მოვლიან მიზეზნი, იგივე იყვნენ პირველცა და შემდგომ ერთმანერთისადმი და უძლიერეს და უუძლურეს, რამეთუ ყოველი წარმომჩენელი უმჯობეს წარმოჩენილისა ბუნებასა, რამეთუ არარაჲთ განეყოფიან ერთმანერთისაგან, ანუ უმრავლესთა, ანუ უმცროესთა საშუალთა მიერ ეზიარებოდის და ეხებოდის მიზეზიანი თჳსსა მიზეზსა და წარმომჩენელსა, და რამეთუ საშუალთაცა ყოველთა უმჯობეს იყოს, რომელთადა მი-ზეზცა არს და, რაზომცა უმრავლე იყვნენ საშუალნი, ეგზომცა უფროს და უძლი-ერეს მიზეზნი.

ხოლო თუ ვიდრე უსაზღვროობამდე იყოს აღსავალი მიზეზისაჲ და სხუაჲ სხჳსა მიერ იყოს მარადის მიზეზ, კუალად არრომლისაჲ იყოს ზედმიწევნულებაჲ და კელოვნებაჲ, რამეთუ უსაზღვროთა არრომელთა იყოს ცნობაჲ, ხოლო თუ მიზეზნი ეოცნებოდინ, არცა შემდგომთა იყოს კელოვნებაჲ და ზედმიწევნულებაჲ. და უკუეთუ ჯერ-არს, რაჲთა იყოს მიზეზი მყოფთაჲ და განსაზღვრებულ და განყოფილ არიან მიზეზნი მიზეზოანთაგან და არა ვიდრე უსაზღვროობამდე იყოს აღსავალი მყოფთაჲ, იყოს ვიდრემე პირველი მიზეზი მყოფთაჲ, რომლისა გამო, ვითარ ძირისაგან, იწარ-მოებოდინ თითოეულნი, და რომელნიმე იყვნენ უმახლობელეს მისსა, ხოლო რო-მელნიმე უშორიელეს. ვინაჲ აღმოიჩინა, ვითარმედ ერთ არს მიზეზი პირველი ამის-თჳს, რომელ ყოველი სიმრავლე შემდგომად წარმოდგა პირველისა.

არსთა დასაბამისათჳს

ყოველთა მყოფთა დასაბამი და მიზეზი უპირატესი კეთილობაჲ არს. ვინაჲ, უკუეთუ ერთისა მიზეზისა მიერ იწარმოებიან მყოფნი, ამის უკუე მიზეზისა ანუ კე-თილად კამს თქუმაჲ, ანუ უმჯობეს კეთილობისა, ხოლო უკუეთუ უმჯობეს კეთილო-ბისა, რაჲ უკუე წარმოელოს რამანმეა პირველისა მისგან მიზეზისა მყოფთადმი. ანუ არა? და თუ არა, იყოს უჯერო, რამეთუ არა დაუცაჲთ მას წესსა მიზეზისასა, რა-მეთუ სათანადო არს, რაჲთა წარმოვლიდეს რაჲმე მიზეზისაგან მიზეზოანთადმი და უფროს ხოლო მის უპირატესისაგან, რომლისადმი ყოველი აღკრულ არს და რომ-ლისა მიერ იარსებს თითოეული მყოფთაჲ, ხოლო თუ არს თანმიარსებაჲ მისი მყოფ-თადმი. ვითარდა კეთილობისაჲ, იყოს ვიდრემე უმჯობეს კეთილობასა შორის მყოფ-თასა წარმომვლელი პირველისა მიზეზისაგან, რამეთუ უმჯობესი კეთილობისაჲ და უზეშთაესი არ თანმისცემს თჳს გამო მიზეზოანთა უდარეს კეთილობისა რათავე შემ-დგომთა თჳსგამოთადმი, მაგრა რაჲმცა იყო უმჯობეს კეთილობისა? ვინაჲდა თჳთ მას უმჯობესობასა უმეტესისა კეთილობისა ვიტყჳ თანმიმღებელად და მზიარებელად, რომლისათჳსცა არცა თუ უმჯობეს ითქუა არაკეთილობაჲ კეთილობისა. უკუანაას-კნელ უკუე და შემდგომ კეთილობისა არაკეთილობაჲ, ხოლო თუ მყოფნი ყოველნი კეთილობისა არიან მეტრფე და წადიერ, ვითარ იყოს ამის მიზეზისა სხუაჲ რაჲთვე უპირატეს? რამეთუ უკუეთუ იწადებს მას, რად უფრო ეტრფობის კეთილობასა? ხოლო თუ არ ეტრფობის, ვითარ ყოველთა მიზეზსა არ ეტრფის წარმოჩენილი მისგან? ხოლო თუ კეთილობაჲ არს, რომლისადმი ყოველნი მყოფნი აღკრულ არიან, იყოს დასაბამი და მიზეზი უპირატესი ყოველთაჲ კეთილობაჲ.

მიზეზი, მიზეზოანი, უმიზეზოჲ

ყოველი მზიარებელი ზიარებულსა უდარეს არს და ყოველი თანზიარებული უზიარებელსა, რამეთუ ყოველი თანმზიარებელი პირველ თანზიარებულისა უსრულეს არს, სრულ იქმნების ვიდრემე თანზიარებითა, უდარეს განაღა ზიარებითა, რომლისა მიერ სრულ იქმნების, ხოლო თუ იყო უსრულ, ზიარებითა მისითა იქმნეს სრულ, საჩინო, ვითარმედ უდარეს მისსა არს. ხოლო თანზიარებული ერთისა რომლისადაცა არს და არა ყოველთა წარმოდგომილ და რომელსა რაჲ სადვე ერთისათჳს ხუდეს მას კუალად უდარესი მყოფობაჲ ყოველთა პირველისა მიმართ და რამეთუ რომელიმე ყოველთა მიზეზისადმი უთჳსიერეს, ხოლო რომელიმე დამხე და უშორესრე. თჳსეძლუანვის ვიდრემე და ეპირველების თანუზიაროჲ თანზიარებულთა, ხოლო თანზიარებული თანმეზიარეთა, ვითარ-რაჲ შემოკლებით იყოს საჩინო, არს უკუე ერთი პირველი მრავალთაჲ. ხოლო თანზიარებული შორის მრავალთა ერბამად ერთ და არ ერთ, ხოლო თანმზიარებელნი არა ერთ და ერთ ერთბამად.

მსგავსისა და უმსგავსოჲსათჳს

ყოველნი გზავნაჲ არსებითი მსგავსებისა მიერ სრულ იქმნების შემდგომთაჲ პირველთადვე მიმართ, ხოლო თუ წარმომაარსებელნი პირველ უმსგავსოთაჲსა მსგავსთა წარმოაყენებენ, ვინაჲ მსგავსებაჲ წარმომაარსებელთაგან წარმოაყენებს წარმოარსებულთა. რამეთუ მსგავსნი მსგავსებისა მიერ იქმნებიან მსგავს და არა უმსგავსოობისა მიერ. ვინაჲ გზავნაჲ არსებითი შორის უდარესობითსა შთამოობასა დაიცავს მასვეობასა შობილისასა მშობელისა მიმართ და ვითარ არს იგი პირველ, ესე სახეცა წარმოაჩენს შემდგომსა, ვინაჲ მსგავსებისა მიერ აქუს მას მდგომარეობაჲ.

სხეულთათჳს და უსხეულოთა

ყოველი სხეული ბუნებით ვნებადი არს, ხოლო ყოველი უსხეულოჲ უვნებ. არამედ სხეული ბუნებით უმოქმედო. ივნებს უკუე უსხეულოჲცა სხეულთა ზიარებისათჳს, რაოდენ იყოს შესაძლებელ, იქმს, და სხეულიცა უსხეულოჲსა თანმეარსეობისათჳს.

ხოლო სხეული, ვითარ სხეული, მხოლოდ ოდენ განწვალებადი არს და ვნებადი და ყოვლითურთ განნაწილებადი ვიდრე უსაზღვროობადმი, არამედ უსხეულოჲ უვნებ არს, რამეთუ ვერ უძლებს განნაწილვად უნაწილოჲ და არცა სხუად შეცვალებად მარტივი და თანშეუდგმელი, რამეთუ ანუ არა არს მიზეზი შემოქმედებითი და, თუ არს, უსხეულო არს, ვინაჲთგან სხეული, ვითარცა სხეული, მოქმედებად ვერ უძლებს, მხოლოდ განჭრად ოდენ და ვნებად წინამდებარე.

ვინაჲთგან ყოველსა მექმსა აქუს ძალი შემოქმედებითი, ხოლო სხეული არა ვითარ სხეული მოქმედებს, არამედ მის შორის შემოქმედებითისა ძალისა მიერ, ურომელო უკუე და უძალო სხეული თჳს შორის თანზიარებითა უკუე ძალისაჲთა იქმს, იმოქმედის რაჲ, ვინაჲდა უსხეულონიცა ვნებათა იზიარებენ, იქმნეს რაჲ სხეულთა შორის, რამეთუ თანგანიწვალებიან სხეულთა და მიიღებენ განჭრადისა და განწვალებადისა მათისა ბუნებისაგან განუჭრელნი და განუნაწილებელნი არსებითა თჳსთა

არსებისათჳს სულისა

ყოველი უსხეულოჲ თჳსდადვე უკუმქცევ არს და თჳსთა მზიარებელთა განუყენებელად ეზიარების, ხოლო თუ განუყენებელად, მოქმედებაჲ თჳსი არ ჰქონდის განუყენებელად მზიარებელისაგან, ვითარვედა არცა არსებაჲ და თუ ესრეთ, არ უკუნიქცეს თჳსდადვე. ხოლო თუ უკუნიქცეს, იყოს განყენებულ მზიარებელისაგან, ვითარ სხუაჲ სხჳსაგან, ვინაჲვე ყოველი შემძლე უკუნქცევად თჳსდადვე განყენებულად იზიარებვის, იზიარებოდის რაჲ სხჳსაგან.

სული, მიზეზი და წყაროჲ ცხოველობისაჲ

ყოველი სული ცხოველობაჲ არს და ცხოველი, რამეთუ, სადაცა წარმოდგეს სული, ესე ცხოველ იქმნების საჭიროდ და დაკლებული სულისაგან მყის ცხოველობისაგან უნაწილო იქმნების. რამეთუ ანუ სულისა მიერ ცხოველობს, ანუ სხჳსა რაჲსაცვე და არა სულისა მიერ, არამედ მხოლოდ სხჳსა მიერ შეუძლებელ არს, რამეთუ ყოველი მზიარებელი თჳსდა ზიარებულსა ანუ თჳთთჳთებასა თჳსსა მისცემს, ანუ თჳთებისასა რასაცვე. ხოლო რომელი არც ერთისა ამათგანსა არ ივნებდეს, არვინაჲ იზიაროს და არცა თან მისცეს. ხოლო სული იზიარებვის მისგან, რომლისადაცა წარმოდგომილ არს და სულიერად ითქუმის მზიარებელი სულისაჲ, ხოლო თუ ცხოველობასა მიუქმს სულიერთა, ანუ ცხოველობაჲ იყოს, ანუ ცხოველი მხოლოდ, ანუ ერთბამად ცხოველიცა და ცხოველობაჲ, ხოლო თუ ცხოველ მხოლოდ და არა ცხოველობა იყოს ცხოველობისა მიერ და არვინაჲ უწყოდის თჳსი თჳსებაჲ და არცა უკუნიქცეოდის თჳსდაცვე, რამეთუ ცხოველობაჲ არს ცნობაჲ და უწყებაჲ ესევითარად ცხოველობისა თჳსისა, ხოლო თუ მის შორის რაჲვე არს უცხოვლობო, არ ჰქონდის მებრ შუენიერებით ძალი ცნობისაჲ, ხოლო თუ მხოლოდ ცხოველობაჲ ოდენ იყოს, არუკუე ეზიაროს გონიერსა ცხოველობასა, რამეთუ მზიარებელი ცხოველობისაჲ ცხოველი არს და არა ცხოველობაჲ მხოლოდ, რამეთუ მხოლოჲ ცხოველობაჲ პირველი და უზიარებელი ცხოველობაჲ არს, ხოლო შემდგომად მისსა ერთბამად ცხოველობაჲ და ცხოველი, ხოლო სული არა არს პირველი და უზიარებელი ცხოველობაჲ, ვინაჲ ერთბამად ცხოველცა იყოს და ცხოველობა — სული.

ანდერძები

მაკარი ლეთეთელისა

წყალობითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, ამის თაყუანისსაცემელისა სამებისა წმიდისა, ღმრთისა ჩუენისა მომადლებითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძალითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა საუფლოჲსა ჯუარისაჲთა და მადლითა წმიდისა ადგომისა საფლავისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტ(ჲ)სისაჲთა და მეოხებითა ყოველთა წინაწარმეტყველთა, მოციქულთა, მახარებელთა, მარტჳლთა მართალთა და მოწამეთაჲთა და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა და მადლითა წმიდისა წინაწარმეტყველისა და დიდებულისა მოს(ჲ)სითა მე, მაკარი ლეთეთელი, ძ(ჲ) გიორგი გრძელისაჲ, ცოდვილი ფრიად, ღირს-მყო ღმერთმან შესაქმედ წმიდისა ამის წიგნისა მრავალთაჳისა თანაშეწევნითა ძმისა ჩუენისა სულიერად პიმენ კახისაჲთა და ჴელთ-წერითა დედისძმის-

წულისა ჩემისა ამონა ვახთანგ მოძარღულისა ძისაგთა, საკსენებელად სულთა ჩუენთათუს და სულთა მშობელთა ჩუენთათუს და ყოველთა გარდაცვალებულთა თუსთა ჩუენთათუს.

აწ ღმერთმან დაგაჯეროს, მამანო და ძმანო, რომელნი აღმოიკითხვიდეთ წმიდათა ამათ სიტყუათა ამათ მიერ, ჩუენ. პირველმოკსენებულნი ესე ცოცხალნი და მიცვალებულნი, მოგუკსენენით ღმრთისათუს წმიდათა ლოცვათა თქუენთა შინა, რაგთა თქუენ მიერ განგერნეთ ჩუენ დღესა მას საშინელსა განკითხვისა ჩუენისასა ტირილისაგან თუალთაგსა და ღრჭენისაგან კბილთაგსა და თქუენცა უფალმან მოგიკსენენინ სასუფეველსა მისსა, ამენ. და მოიკსენენინ უფალმან ყოველნი, რომელთა ყველს შეწევნაგ წიგნისაგ ამის სულთა მათთათუს.

დაიწერა ესე წიგნი იერუსალიმს, ლავრასა დიდსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაგსსა დღეთა ღმრთისმოყუარისა თევდოსი პატრიაქისათა და საბაწმიდას პატიოსნისა და სანატრელისა სოლომონ მამასახლისისათა. და დაიწერა წმიდაგ ესე წიგნი დასაბამითგან წელთა ხვჲ-ჱ. ქრონიკონი იყო პ-დ.

და მე, გლახაკმან მაკარი, შევწირე წმიდაგ ესე მრავალთავი წმიდათ-წმიდასა მთასა სინასა საკსენებელად და სარგებელად თავთა ჩუენთა და სულთა ჩუენთათუს. და ამას შინა არს შემკობაგ წელიწდისა დღესასწაულთა ყოველთაგ, თქუმული წმიდათა მოძღუართაგ.

მოეც, უფალო, პოვნად წყალობაგ შენი მას დღესა შინა სულთა ჩუენთა ცოდვილთა და უწყალოდ გუემულთა ბოროტისმოძღურისა მიერ ეშმაკისა. უფალო, იკსენ სული ჩუენი სიკუდილისაგან, თუალნი ჩუენნი — ცრემლთაგან და ფერკნი ჩუენნი — ბრკომისაგან, ამენ. დიდებაგ შენდა, უფალო, რომელმან ღირს-მყავ მე, უღირსი ესე, აღსრულებად საქმისა ამის

(სინური მრავალთავი, 864 წ., 273ν-274r).

მიქაელისი:

[დაიწერა წმიდაგ ესე ოთხთავი დასაბამითგან წე]ლთა ხფ[ა. ქრონიკო]ნსა რი-ზ. შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით წელთა ჩ-ა. ქრისტე მეუფეო. შეგკწყალენ ერთობით, ამენ.

მწერალი ამისი მიქაელ ლოცვასა მომიკსენეთ და შემინდვეთ სიუცბე ჩემი. და მმოსელიცა მიქაელ დიაკონი მომიკსენეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა. უფალი მფარველ გუექმნენინ ყოველთა ერთობით, ამენ

(ადიშის ოთხთავი, 897 წ., 387 r).

მიქაელისი:

[სახელითა მამისაგთა და ძისაგთა და სულის]ა წმიდისაგთა. მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაგთა და წმიდისა ნათლისმცემელისაგთა და წმიდათა მახარებელთაგთა და ყოველთა წმიდათა მისთაგთა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი სოფრონ, აღსრულებად წმიდასა ამას წიგნსა სახარებასა ოთხთავსა ფრიადითა მოღუაწებითა სულიერთა ძმათა ჩემთაგთა, სალოცველად ყოვლისა ამის კრებულისათუს და ყოველთა ნათესავთა ჩუენთა ჯორციელად და სალოცველად მეფეთა ჩუენთა ღმრთივდიდებულისა ადრნესე კურაპალატისა და ღმრთივგბოძთა ნაშობთა მათთა დავით ერისთვისა და

მეუღლეთა და ნაშობთა მათთათჳს და სალოცველა სულთა გარდაცვალებულთათჳს: სულისა მამისა გაბრიელისისა და ყოველთა ძმათა ჩუენთა გარდაცვალებულთათჳს და სულთა მეფეთა ჩუენთათჳს: არსენისა, დავითისა, აშოტისა და ყოველთა თჳსთა გარდაცვალებულთათჳს.

აწ ვინცა ღირს იქმნნეთ აღმოკითხვად და მსახურებად წმიდასა ამას სახარებასა. მოგჳსენენთ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა ჩუენ და ყოველნი, რომელნი წერილ არიან, რაჲთა თქუენცა მიგანიჭოს ღმერთმან კეთილი საუკუნოჲ

(ადიშის ოთხთავი, 897 წ.)

გაბრიელისი:

სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ძლიერებითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა, მეოხებითა წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისათა და წმიდათა მახარებელთაჲთა. და მოციქულთაჲთა და წმიდათა წინასწარმეტყველთაჲთა, წმიდათა მღდელმოძღუართა და ყოველთა მამათაჲთა და ყოველთა წმიდათა ნებისმყოფელთა მისთაჲთა ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდაჲ ესე სახარებაჲ ჴელითა გაბრიელ მღდელთა ნარჩევისაჲთა თავად მეფესა ჩემსა სუმბატს სალოცველად და შემდგომად მშობელთა ჩემთა მირდატისთჳს, თაგუნაჲისთჳს და ძმათა და დათა ჩემთათჳს და ჩემთა ცოდვათა და თანაცხორებულისა ჩემისათა საჴსრად და მკუდართა საჴსენებელად: ილარიონისთჳს და დაშელისთჳს.

აწ ვინცა იკითხვიდეთ წმიდასა ამას სახარებასა, ნუმცა დავიწყებულ ვართ ლოცვასა წმიდასა თქუენსა ცოცხალნი და მკუდარნი, რაჲთა თქუენცა უფალმან მადლი მიგანიჭოს, ამენ.

დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შატბერდს ჴელითა უცბად მჩხრეკალისა გაბრიელისითა, თანაშეწევნითა და მოღუაწებითა გაბრიელისითა და გეორგისითა, რამეთუ დიდი გულსმოდგინებაჲ მაჩუენეს ამის წმიდისა სახარებისა დაწერასა. ჴსენებულმცა არიან კეთილსა შინა, ამენ. დასაბამითგან წელნი იყვნეს ხ~ფმ, ქრონიკონი იყო რ~ნვ. სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ

(ჯრუჭის ოთხთავი, 936 წ. 291).

გრიგოლისი:

ადიდენ ღმერთმან გრიგოლ, მომგებელი ამის წმიდისა ევანგელისა და გაახარენ ღმერთმან ყოველთა სახარულთა მისთაგან და მშრომელი ამის წმიდისა სახარებისა უფალმან შეიწყალენ

(ჯრუჭის ოთხთავი, 936 წ. 229ა).

ივანესი:

დიდებაჲ შენდა, ღმერთო ძრიელო და ცხოელო, რომელმან სრულ-ჰყავ საქმჱ ესე. დაესრულა იადგარი საწელიწდოჲ. ქრისტე, შეიწყალე ტიმოთე, მომგებელი, და ივანე, მწარედ ცოდვილი მწერალი, და თეოდორე, ძმაჲ ჩემი, და გიორგი, ამენ

(სინ. -1, იადგარი, X ს. I ნახევარი, 291ბ).

იოვანე-ზოსიმესი:

აწ გევედრები მე. გლახაკი და ფრიად ცოდვილი მომგებელი და მჩხრეკალი ამისი იოვანე, თქუენ, ყოველთა ღმრთისმოყუარეთა, და ძმათა ჩემთა, რომელნი იმსახურებთ ამათ იადგართა, მოგკკსენენით ჩუენ, ცოდვილნი, რომელნი-ესე ვსწერთ, წმიდასა ლოცვასა თქუენსა, ცოცხალნი და მიცვალებულნი, რაჲთა წყალობითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდათა მისთაჲთა და ლოცვითა წმიდითა თქუენითა ღირსმყენეს მარჯუენით მისა ყოველნი და გუესმისმცა ყოველთა კმაჲ იგი ტკბილი მისი, ღირსმცა ვართ ყოველნი სმენად კმასა მას და შესლვად და დამკჳდრებად სასუფეველსა ცათასა მეოხებითა ყოველთა წმიდათაჲთა უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

და ნუმცა ვისთჳს დაეყენების, ვისცა ვის უჴმდენ, და, რომელი-რაჲმე დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათჳს და ლოცვა-ყავთ ჩემთჳს, რამეთუ მრწამს თქუენი ლოცვაჲ და თქუენცა ქრისტემან შეგიწყალენინ ყოველნი

(სინ. -34, ლიტურგიკული კრებული, X ს. შუა, 143ა).

იოვანე-ზოსიმესი:

კჳრიელესონ! ქრისტესმოყუარენო და სანატრელნო და წმიდანო მამანო და ძმანო ჩემნო, პირველად შეგივრდები ყოველთა ვედრებითი, შემინდვეთ ღმრთისათჳს. ესე ჟამნი დიად უცბობისა და უგუნურებისა ჩემისა ჟამსა დამიჩხრეკიან. დიად მოშლილად არიან, დედად ნუ ვინ იმსახურებთ, ნუცა მას და ნუ, რომელიცა ჩემი დაჩხრეკილი მოგუხდეს, ამისთჳს, წმიდანო ღმრთისანო, რამეთუ მიწყებით რეგუენი ვიყავ და, სადაცა რაჲმე მეტი ვპოე, ჩაურთი ჩემით გულით და რეცა მიხარინ, და უფროისგან დავაკლი, და ზოგი გრძელი ლოცვაჲ, გინა სხუაჲ რაჲმე ორად გავწყჳდი, გინა სიტყუები მრავალთაგან ქუე დაუტევი, გინა შეუმატი უცბობითა და დიად უგუნურებითა ჩემითა და უმოძღურობითა.

ნათელნო და წმიდანო მამანო, დიად თავჴედი და თავმოთნეჲ და ამპარტავანი და ყოვლითა ბოროტითა სავსჱ ვიყავ სიყრმით ჩემითგან და ვერვის თავ-უყავ მორჩილებით ერთსა მოძღუარსა და არცა იყო ჩემ თანა ყოლადვე სიმდაბლჱ და მორჩილებაჲ, არამედ ყოლადვე ნებასა ჩემსა ბოროტსა შედგომილ ვიყავ და დაილინეს დღენი ჩემნი ამას უკეთურსა განგებასა ჩემსა შინა და ცოდვითა და ბრალითა და ყოვლითა სიბილწითა სავსჱ წავწყმდი საუკუნოდ. შემინდვეთ და ლოცვა-ყავთ ჩემთჳს ღმრთისა სიყუარულისათჳს, რამეთუ მე ფრიად მრწამს თქუენი ლოცვაჲ და ყოს ღმერთმან წყალობაჲ ჩემ ზედა, არაღირსისა ამის, და შემინდვნეს შეცოდებანი ჩემნი ურიცხუნი თქუენითა წმიდითა ლოცვითა, ამენ.

...ხოლო შენ უკუეთუ სწერდე, ესე მეტნი ლოცვანი ჟამთაგან კიდე ერთგან დაწერენ და ესე კალისტოსისა ლოცვანი იბ-ნი ეგრევე კიდე მიწყებით ერთგან დაწერენ და მეტნი ფსალმუნნი ეგრე კიდე მისწავებით საცნაურად ჰყენ და დაწერენ. და მერმე, ვითა რად უნდეს ვის, ეგრეთ იტყოდის. სხუაჲ ნუ ვინ სცთების ჩემებრ უვიცად, რამეთუ არა შეჰგავს და არცა სადა კეთილ არს შემატებაჲ, გინა დაკლებაჲ რაჲსამე უფროის განსაზღვრებულისა მის წმიდათა მამათა და მოძღუართაჲსა

(სინ.-34 /დამატება/, ლიტურგიკული კრებული, X ს. შუა, 19ა).

იოვანე-ზოსიმესი:

...ჰ, საშინელი ესე და ზარისაღსაკდელი საქმჱ, მოწევნადი ჩუენ ზედა, ძმანო ჩემნო. რომელსა ყოლადვე უგლომელ არიან გონებანი ჩუენნი და შესულებულ ცნობანი ჩუენნი, რამეთუ დღეს. აჰა, ესერა, თუალნი ჩემნი წერენ ამათ სიტყუათა. და იყოს ჟამი. ოდეს-იგი თქუენ აღმოიკითხვიდეთ, მიწა და ნაცარქმნულ იყვნენ ამის მწერალნი. და ესე ჭეშმარიტად უწყი და ვეროდეს მოვაგონი დაღონებულსა სულსა ჩემსა მოქცევაჲ და სინანული, არამედ შე-ხოლო-უმოსიეს ხატი იგი ღმრთისმსახურებისაჲ და ძალსა მისსა უვარ-ჰყოფს.

...ჰ. უფალო სახიერო. მოწყალებათა შენთა გაფუცებ, ნუ დამშჳი მე ღირსად საქმეთა ჩემთა საძაგელთა, არამედ ყავ ჩემ თანა მსგავსად სახიერებისა შენისა და განატფე განსაგრილებელი ესე გული მჳურვალებითა მაგით მადლისა შენისაჲთა და მომეც მე სათნოჲ სინანული პირველ მოვლინებისა ჩემდა მწოდებელისა შენისა, რაჲთა არა ვიპოო, ვითარცა ორგული იგი მონაჲ, რომელმან მოსლვაჲ უფლისა თჳსისაჲ უდებ-ყო, და მყის მოავლინენ ჩემ ზედა პატიჟნი იგი, უდებთათჳს განმზადებულნი, ბნელსა მას გარესკნელსა, არამედ ღირს ვიქმნე მათ თანა, რომელთა მიეტევნეს ურჩულოებანი და რომელთა დაეფარნეს ცოდვანი, და ვადიდებდე სახელსა შენ მოწყალისა ღმრთისა ჩემისასა ვიდრე უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

დაიწერა და განსრულდა და შეიმოსა წმიდაჲ ესე იადგარი იერუსალიმისა უდაბნოთა ლავრასა შინა დიდსა წმიდისა საბაჲსსა ჴელითა იოვანე შეცთომილისაჲთა დღეთა იოვანე კურთხეულისა პატრიაქისათა დასაბამითგანთა წელთა ქართულად ხფ-ჲთ, ქრონიკონი იყო რ-ე. რომელი რაჲმე დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათჳს და ლოცვა-ყავთ ჩემთჳს, რამეთუ მე ფრიად მრწამს თქუენი ლოცვაჲ, და თქუენცა ქრისტემან შეგიწყალენინ, ყოველნი, ამენ. იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ უკუნისამდე. ამენ.

(იქვე. 19ა).

სჳმეონ მგალობელისა

ესე იადგარანი დაჩხრეკილანი თევდორე პალავრელმან დაყუდებულმან დამაწერინა ცოდვილსა მე. სჳმეონს მგალობელსა. და აწ გევედრებით ჩუენ. ორნივე. ცოდვილნი, ყოველთა, რომელნი იმსახურებდეთ იადგართა ამათ, რაჲთა მოგჳსენნეთ ჩუენ, ცოდვილნი ესე, წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა. ამენ. და თქუენცა ქრისტემან შეგიწყალენინ, ამენ. დაიწერნეს საბაწმიდას შინა

(სინ. -40. იადგარი. X ს.. 253ბ).

ივანე კუმურდოელისა

სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისაჲთა და წმიდისა ნათლისმცემელისა და მოციქულთაჲთა და მეოხებითა მოსჳსითა და ელიაჲსითა მე, გლახაკი და ცოდვილი გრიგოლ და უნარჩევესი ყოველთა მღდელთაჲ, ღირს-მყო ღმერთმან წმიდასა ამას მთასა შემოსლვად და დაჯდომად ადგილსა. სადა მოსე უფალი იხილა, და მუნ შინა მოვიგენ წმიდანი ესე იადგარნი გამოკრებულნი სასწავლელად ჩემდა, უცბისა. და სალოცველად ყოველთა თჳსთა ჩემთათჳს. შეუცვა-

ლებელთა და შეცვალებულთათვს. აწ გეკედრები ყოველთა, რომელნი იმსახურებდეთ, წმიდასა ლოცვასა თქუენსა მოგკესენენით და თქუენ უფალმან შეგიწყალენინ, ამენ. და რომელმან ამათი შრომაჲ თავს-იდვა და მომიგნა, ივანე კუმურდოელი, ქრისტემან შეიწყალენ, ამენ.

(სინ.-40, იადგარი, X ს. 253ბ-254ა).

დავითისი:

მე, იოვანე თორნიკ-ყოფილმან, და ძმამან ჩემმან, იოვანე-ვარაზ-ვაჩე, ძეთა სულკურთხეულისა ჩორდვანელისათა, მოვიგეთ და დავწერეთ წმიდაჲ ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ სამოთხჱ, რომელსა შინა იპოვებიან მრავალ-ფერნი მადლნი, მკურნალნი სულისანი, სალოცველად და სადიდებელად პირველად ძლიერისა და ღმრთისმსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა კურაპალატისა დავითისთვს, რაჲთა სათნოდ ღმრთისა ქცევათა მისთათვს დაუმკვდროს მეუფემან სუფევაჲ დაუსრულებელი, რამეთუ მართლმადიდებლობისა თუალი არს და, მსგავსად შემოქმედისა თვსისა, სიმდაბლისა წესსა შინა დაუკლებელად იქცევის და საღმრთოჲსა სიყუარულისა ჴელჭვთა აღჭურვილი, და მოწყალებაჲ ქრისტესსახედ შეუმოსიეს, რამეთუ სული წმიდაჲ თანამზრახველად აქუს, რომელი ორძის გონებასა შინა მისსა, ვითარცა თავი აგებულებასა ზედა ნივთიერსა, და მათსა შემდგომად სალოცველად თავთა ჩუენთა — პირველად იოვანე, თორნიკ-ყოფილისათვს, და აწ წმიდათა მეფეთა მიერ იოვანე სჳნგელოზისათვს, რომელმანცა სიყუარულისათვს ღმრთისა დაუტევა დიდებაჲ ქუეყანისაჲ და პოვა ზეცისაჲ, რამეთუ ღმრთისა მიერ ზეგარდამო დიდებასა შინა მათსა და პატივსა წმიდათასა მეფეთა მიერ მწრაფლ შეიცვალა ხატი ერისაკაცობისაჲ და შეიმოსა სახჱ მეუდაბნოვეთაჲ, არამედ ამასცა სახესა შინა დიდად და ერთგულად ჰმსახურა ძელსა ცხორებისასა და წმიდათა მეფეთა. რაჟამს-იგი გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა კაცი განლაღებული და მკდომად აღუდგა წმიდათა მეფეთა, ამან ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და ყოვლით კერძოვე უძლეველისა დავით კურაპალატისა და ბრძანებითა ამათითა დაამკუა განზრახვაჲ მისი და განამტკიცნა წმიდანი მეფენი, — ღმერთმან დაიცევინ სულითა და ჯორცით! — და მერმე იოვანე ვარაზ-ვაჩჱსთვს და მეუღლისა მისისა და შვილთა მისთა: მიქაელისა და ჩორდვანელ ზორავარისა და ჩოროლოდისათვს და თორნიკისთვს, და ძმისწულთა ჩემთა: ჩორდვანელ პატრიკისათვს და ბაგრატ პატრიკისათვს, და სალოცველად სულსა ბაგრატ მაგისტროსისასა და მშობელთა ჩემთა: ჩორდვანელი-სათვს და მარიამისთვს, და ძმათა ჩემთა ბაგრატისთვს და არშუშაჲსთვს და აბუჰარ-ბისთვს, და მამისძმათა: აბურჰაბისთვს და არშუშაჲსთვს, და ყოველთა სახლისა ჩემისა მიცვალებულთათვს.

აწ გეკედრები ყოველთა ქრისტესმორწმუნეთა, რომელნი ღირს იქმნნეთ აღ-მოკითხვად წმიდასა ამას წიგნსა, გინა თუ სმენად და ირწყვოდით მადლისაგან საღ-მრთოჲსა, უავთ სიყუარული ქრისტესთვს და მოგკესენენით წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, რომელნი-ესე ზემო წერილ ვართ, და თქუთ წმიდითა პირითა თქუენითა აღკოცაჲ ბრალთა ჩუენთაჲ, რაჲთა თქუენითურთ ღირს-გუყუნეს ქრისტემან მიმთხუ-ევად სასუფეველსა მისსა, რომელსა შუენის დიდებაჲ და თაყუანის-ცემაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულსა ლავრასა ოშს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემელისასა, მამობასა საბაჲსა, — ქრისტემან აკურთხენ! — ჴელითა სტეფანე დეკანოზისაჲთა და მისითავე ჴელითა შეიმოსა, — ღმერთმან აკურთხენ! ქრონიკონი იყო რჟ-ზ.

ესე ანდერძი მე. უღირსმან დავით, დისწულმან ღმერთშემოსილისა მამისა მიქაელ მოდრეკილისამან, დავწერე. თუ რაჲ სიუცბითა დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათჳს და ლოცვა-ყავთ

(ათ.–9, კრებული, 977 წ. 376Ბ – 377Ა).

იოვანესი:

სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, ძლიერებითა ცხოველისა, პატიოსნისა ჯუარისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, მეოხებითა წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა და წმიდისა იოვანე მახარებელისაჲთა და წმიდათა მოციქულთა და მღდელთმთავრთა და წმიდათა მამათაჲთა და მეოხებითა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისითა მე, იოვანე, ღირს ვიქმენ მოგებად წმიდისა ამის წიგნისა, რომელი თარგმნა შეილმან ჩემმან ეფთჳმე ბერძულისაგან, და შრომაჲ დიდი ვაჩუენეთ ამას ზედა საკსენებელად სულისა ჩუენისა.

აწ ვინცა მიემთხჳნეთ წმიდათა ამათ სიტყუათა ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისთა, განმანათლებელთა სულისათა, ღმერთმან დაგაჯეროს, ლოცვასა მოგჳსენენინთ მე. იოვანე. და სულიერად და ჯორციელად ძმაჲ ჩემი იოვანე, თორნიკ-ყოფილი, და შვილი ჩემი ეფთიმე. რომელმან თარგმნა ესე, და სულიერნი ძმანი ჩემნი: არსენი, თეოდორე და გიორგი, და თქუენ კუალად სასყიდელი მოგანიჭენ უფალმან.

დაიწერა მთასა წმიდასა ათონას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მონასტერსა წმიდისა იოვანე მახარებელისასა, ინდიკტიონსა ე

(ათ.-32, ბასილი დიდი, ჰომილიები. 977 წ., 313Ბ).

იოანე ბერასი:

სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა და ყოვლადდიდებულისა ღმრთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძალითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაჲთა, მეოხებითა წმიდისა და ნეტარისა წინაწარმეტყველისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა, მეოხებითა და შეწევნითა წმიდათა და ყოვლადქებულთა მოციქულთაჲთა და წმიდათა წინაწარმეტყველთაჲთა, მეოხებითა წმიდათა მახარებელთაჲთა: მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანესითა, მეოხებითა წმიდათა მოწამეთაჲთა და ღირსთა მღდელმოძღუართაჲთა და ნეტართა მამთაჲთა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე. ნართაულად ბერაჲ, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთაესა მოღუაწებითა სულისა წმიდისაჲთა და შეწევნითა ღმერთშემოსილთა კაცთაჲთა, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და სამოძღურებელად თავისა ჩემისა და სალოცველად სულისა მშობელთა ჩემთასა და ყოველთა თჳსთა ჩუენთათჳს, სულიერთა და ჯორციელთა, და სალოცველად მეფეთა ჩუენთათჳს ღმრთივდიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთვისა და ღმრთივმონიჭებულთა ძეთა მათთათჳს. ქრისტემან ყოველნი აღიდენინ მოწყალებითა მისითა ჟამთა უკუნისამდე.

აწ ვინცა ღირს იქმნნეთ აღმოკითხვად და მსახურებად წმიდასა ამას სახარებასა, მოიკსენეთ სული ჩემი ცოდვილი წმიდათა ლოცვათა თქუენთა და ყოველთა ერთობით მოგუანიჭენინ ღმერთმან კეთილნი საუკუნენი და ყოველნი ღირსმცა ვართ სასუფეველსა ცათა და სანატრელისა მის ჯმისა სმენად ქრისტე იესუის მიერ უფლისა ჩუენისა. მისა დიდებაჲ ეკლესიასა შინა მამისა თანა სულით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ საუკუნეთასა. ამენ.

დაიწერა დასაბამითგანთა წელთა ხფოზ. ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქცეული რ~ეგ

(პარხლის ოთხთავი. 973 წ. 237 ფ.).

მისივე:

წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებელად ღმერთივგკრგუნოსნისა მეფეთა მეფისა, — ადიდენინ ღმერთმან! — ღმრთივდამყარებულისა დავით მაგისტროსისა, მამობასა სარწმუნოისა მწყემსისა და კეთილადმოღუაწისა წმიდისა მამისა ეფთიმესა, — ქრისტემან შეაწიენ ესე წმიდანი მახარებელნი მათ და ყოველსა კრებულსა პარხლისასა ჟამთა უკუნისამდე. ცოცხალთა და მიცვალებულთა ცხორებასა მას საუკუნესა, ამენ.

აწ ვინცა ვინ რაჲთაცა მიზეზითა გამოაკუას წმიდასა ნათლისმცემელსა. ანუ გაძღუანოს. ვინა გაყოდოს და ჩუენი სასყიდელი და გულსმოდგინებაჲ დაამკუას, გამცა—ურისხდების თავადი ღმერთი და ნაწილიმცა მისი იუდას თანა არს ისკარიოტელსა და წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისა მკლველთამცა თანა დაიშჯების და ესე წმიდანი მახარებელნი არიან მოსაჯულნი მისნი დღესა მას ადგომისასა საშინელსა, ოდეს ყოველი დაბადებული წარმოდგეს განკითხვად წინაშე საყდართა დაუსაბამოისა ძისა ღმრთისათა, თუალუხუავად მსაჯულისათა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

და ამასვე პირსა ზედა მეფეთა სიმტკიცე დაწერონ, — ადიდენინ ღმერთმან! მე. ივანე ბერამან. მწერალმან შატბერდელმან. შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა, ყოველნი აკურთხენ ღმერთმან

(იქვე. 238ფ)

მისივე:

სახელისა წმიდისა სამებისაჲსა მქადაგებელნო. ზეგარდამო ქებულნო და დიდებულნო წმიდანო მღდელთმოძღუარნო, ნეტარნო გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსო და ღირსო ეპიფანე კკპრელ მამადმთავარო და განთქუმულო წმიდაო ბასილი, მწყემსო ყოველთა მორწმუნეთაო და დიდებულო იპოლიტ(ე). წინაწარმეტყველნო, გამოუთქუმელთა მადლთა მეცნიერად მეტყველნო, დიდად განსაკვრებულნო კაცნო, პოვნილნო გულითად უფლისად, წოდებულნო მონად ქრისტესა. სამკჳდრებელნო სულისა წმიდისანო, რომელმანცა გამოუჩინებელნი და დაფარულნი სიბრძნისანი გამოგიცხადნა, და სული წრფელი განახლდა გუამთა თქუენთა და დაუწერენით ეკლესიასა ქრისტესსა პირად-პირადთა წიგნთა თარგმანებანი და შესხმანი წმიდისა და ყოვლადდიდებულისა ღმრთისმშობლისანი და ჩუენ გუაუწყეთ წესი აწინდელისა ქცევისაჲ ღმრთისმსახურებით და მოსაგებელი ნეტარისა მის საუკუნოისა სასოვებით ცხორებისაჲ. ვითარცა ხილული, დაუმტკიცეთ გულისხმისმყოფელთა, ვითარცა თქუა და-

ნიელ, საკვრელმან წინაწარმეტყველმან. მაშინ გამობრწყინდენ გულისხმისმყოფელნი იგი, ვითარცა მბრწყინვალენაი სამყაროისაი, და რომელთა კეთილად ყელ-ყვეს დაუნჯებაი ზეცისა სიმდიდრეთაი წარგებითა ქუეყანისა მონაგებთაგთა და ქველისქმისა მათისა ახოვანებაი, ვითარცა ნესტუ, ოხრის წინაშე ღმრთისა და კაცთა ყოველთა აიძულებს მიბაძვებად მათა, დაღაცათუ გლახაკ ვინმე იყოს, ვითარცა წერილ არს: „მედგარო, ემსგავსე ჯინჭველსა და შებმა-ყაკ უფროს ძალისა შენისა, რამეთუ ღმერთი არს მომცემელი ძალისაი". ამისთვს მეცა არა დავფარ© სწრაფაი სულისა ჩემისაი მიზეზითა ნაკლულევანებისაგთა და შეუდეგ კეთილსა გულმოდგინებასა მე, ცოდვილი და უნარჩევესი ყოველთა მოწესეთაი ივანე ბერაი, და განვასრულე წმიდაი ესე წიგნი: „კაცისა შესაქმ©" და მეორედ — „წიგნი თუალთაი" და „სახისმეტყველი" და „იპოლიტე" და „ქართლისა მოქცევაი" და „ცხორებაი ნეტარისა მის და დიდებულისა მღდელთმოძღურისაი იაკობ ნასიბინელისაი" და „თარგმანებაი ზოგთარე ფსალმუნთა დავითისთაი" მოღუაწებითა და თანადგომითა დედისძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისითა, და სხუაი არაი არავის ჰრთავს თუნიერ სიგლახაკისა ჩემისა, და შევწირე შატბერდს, საოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, რომელსაცა შინა აღვიზარდე... სალოცველად სულისა ჩემისასა ცოდვილისა და მშობელთა ჩემთა და სალოცველად მეფეთა... ბაგრატ მეფისა და ყოველთა შვილთა მათთათუს

(შატბერდის კრებული, X ს.-ის 70-80-იანი წლები, 285Რ).

კვრიკესი

მე, ცოდვილმან და ფრიად უდებმან კვრიკე, წმიდისა მთისა სინაწმიდისა დეკანოზმან მიძნაძოროელმან, დათუაის ხუცისა მოწაფემან, გულს-ვიდგინე ფრიადითა წადიერებითა ამის წმიდისა სახარებისა მოგებად და ამას წმიდასა მთასა შეწირვად. ღმერთმან მოწყალემან გამიმარჯუა და დამიწერეს სალოცველად ჩემდა და მათდა: ეზრა დაუუდებულმან, პატიოსანმან მღდელმან, ორი თავი, — მათ©სი და მარკოზისი, — ღმერთმან აკურთხენ! — და იოანე, ფრიად ცოდვილმან და დიად უგუნურმან ზოსიმე, ორი თავი, — ლუკაისი და იოანესი, და კანონისა განგებაი და ქრონიკონი სრულად და სხუაი ესე ყოველი განგებაი

(სინ.-38, ოთხთავი, 142 V. 979 წ.).

იოვანე-ჩირასი:

დიდებაი შენდა, სამებაო, რომელმან ღირს-მყავ გლახაკი ესე აღსრულებად საქმისა ამის კეთილისა, რომლისათუსცა წადიერ ვიყავი მსახურებისათუს ღმრთივდიდებულთა უფალთა და წმიდათა მამათასა: პირველად იოვანე-თორნიკ სინგელოზისათუს და ვარაზ-ვაჩე-იოვანესთუს და შვილთა მათთათუს ერთობით, ადიდენინ ღმერთმან და შეიწყალენ წმიდაი ოქროპირი, რომლისა მსგავსნი არიან.

და აღვწერე წმიდაი ესე წიგნი „ცხორებაი წმიდისა იოვანე ოქროპირისაი" და „ნაწილთა უკმოყვანებაი". რომელი კნინსა ბუნებასა ჩემსა შეეძლო, არა დამიკლია და გავასრულე ნებითა ღმრთისაგთა და მადლითა წმიდისა ოქროპირისაგთა. ღმერთმან უბედნიერენ თორნიკ სინგელოსსა და წმიდასა ოქროპირსა თანადაუსაყდრენ. იოვანე-თორნიკს და იოვანე-ვარაზ-ვაჩეს და შვილთა მათთა ორთავე ცხორებათა მეოხ ეყავ. წმიდაო ოქროპირო.

დაიწერა წმიდაი ესე წიგნი ლავრასა შინა დიდებულსა ოშს. საყოფელსა წმიდისა და დიდებულისა ნათლისმცემელისასა. წინამძღურობასა წმიდისა საბაისსა. - ღმერთმან აღიდენ და ცოდვანი შეუნდვენ. — ჯელითა ჩემ გლახაკისა. საწყალობელისა იოვანე ჩირაისითა. ღმერთმან დაგაჯეროს ვინ იკითხვიდეთ. ესენებულმცა ვარ წმიდათა ლოცვათა თქუენთა. რაითა თქუენცა უფალმან მადლი მოგანიჭოს. ამენ. ხოლო რომელი სიუცებით დამეკლოს, ღმერთმან დაგაჯეროს. შენდობა ყავთ, რაითა ღმერთმან თქუენცა შეგინდოს. კურთხევაი მამისაი მწერალსა ზედა. წყალობაი ძისაი მკითხველსა ზედა, მადლი სულისა წმიდისაი მსმენელთა ზედა. ამენ

(ათ.-3 . კრებული. 979-980 წწ. 141ბ — 141ბ).

პეტრესი:

სახელითა მამისაითა, ძისაითა და სულისა წმიდისაითა და მადლითა ადგომისაითა. მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღმერთისმშობელისაითა და ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაითა და მეოხებითა წმიდათა მთავარანგელოზთაითა და ს[ე]რაბინ-ქერაბინთაითა და ყოველთა წმიდათა ანგელოზთაითა, მეოხებითა წმიდისა ნათლისმცემელისაითა და წმიდისა მახარებლისაითა, მეოხებითა წმიდათა მოწამეთაითა და ყოველთა წმიდათა შენთაითა, რომელნი საუკუნითგან სათნო გეყონეს შენ. მე. გლახაკმან მწირმან და ფრიად ცოდვილმან პეტრე. მოვაგე წმიდაი ესე პარაკლიტონი საფლავსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა. წმიდასა გესმანიასა, შესაკრებელსა ყოველთასა, სალოცველად სულისა ჩემისათჳს და სულთა მოძღუართა, მშობელთა, ძმათა და დათა სულიერთა და ჯორციელთა და ყოველთა თჳსთა ჩემთათჳს.

აწ ლმობიერად გევედრები. წმიდანო ღირსნო, ვინცა იმსახურებდეთ, ლოცვასა თქუენსა მოგუიკსენენით, ვისცა უშრომია აქა შინა, და მე შემინდევით. არაჲვი შაუნდე ჩხრეკაი უდბებისა ჩემისათჳს, ვიმწავრე. რომელი დამეკლო[ს]. შემინდევით სიყუარულისათჳს ღმრთისა და თქუენცა ღმერთმან შეგინდოს, მლოცველთა და მსმენელთა, ერთბამად. ამენ, იყავნ.

დაიწერა წმიდაი ესე პარაკლიტონი საფლავსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, წმიდასა გესმანიასა. შესაკრებელსა ყოველთასა. სუეტსა შინა მოძღურისა ჩემისა ზაქარიაისსა. რომელ სინას მიიცვალა, მადლი მისი მეოხ გუეყავნ, ამენ. ქრონიკონი იყო სიდ

(სინ. -13. პარაკლიტონი. 1044 წ.. 270ა).

გიორგი მორკნეველისა:

სახელითა ღმრთისაითა ესე ანდერძი მე. გიორგი მორკნეველმან, დავწერე სისრულესა ზედა ცნობისა ჩემისასა. ესე მარხვანი მოძღუარსა ჩემსა, ჩიხოარელსა, ჩემდა მოეცნეს. აწ მე ღმრთივქმნულსა ქუაბსა ქართველთასა შემიწირავს საბაწმიდას. ვინ რაითამცა მიზეზითა, ანუ მძლავრებით, ანუ მკლავითა, ანუ მოპარვით ესე მარხვანი ამას ეკლესიასა გამოაკუნეს და წაიკუნეს, კრულმცა არს ღმრთისა პირითა და წმიდისა საბაის მადლითა და ყოველთა წმიდათა მადლითა, და ნისტორს და არიუზს თანამცა არს ნაწილი მისი. და ვინ ესე ჩემი ანდერძი ამოკუეთოს, ანუ ვინ შინა დაისწავნეს, თუნიერ [ხოლო] დედად იკმარებდეს, სხუად არა ვის ჯელ-ეწიფების ეკლესიით გახმაი და ვინ ესე ჩემი ანდერძი დაამტკიცოს, ჯუარი აქუს და კურთხევაი

წმიდანო მამანო, ვინ იკმარებდეთ, ლოცვასა გვედივართ მოძღუარი ჩემი. ჩიხოარელი, და მე. გიორგი მორკნეველი

(სინ.-5, მარხვანი, 1052 წ.. 1ბ).

იოვანესი:

სახელითა ყოვლადმოწყალისა სამებისა, ერთარსებისა, სამგუამოვნისა და ერთ-ღმრთეებისა. მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, რომელ არს კურთხეულ საუკუნითგან და უკუნისამდე. მეოხებითა სასოჲსა და განმანათლებელისა ჩუენისა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ძლიერითა შეწევნითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაჲთა, ვედრებითა წმიდათა ანგელოსთა, მთავარანგელოსთა და ყოველთა ზეცისა ძალთაჲთა, მეოხებითა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა და წმიდისა იოვანე ღმრთისმეტყველისაჲთა, მეოხებითა ყოვლადქებულთა მოციქულთა და წმიდათა მოწამეთა, ღირსთა მღდელთმოძღუართა და სანატრელთა მამათაჲთა და წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსითა, ამათ ყოველთა ოხითა, და შეწევნითა მოძღურისა ჩემისა იოვანე გოლგოთელისაჲთა ღირს-მყო სახიერმან უღირსებისა ჩემისა, უნარჩევესი ყოველთა მოწამეთაჲ, რეცა მღდელი, ცოდვილი იოვანე, აღწერად წმიდასა ამას წიგნსა სადიდებელად სახელისა მისისა წმიდისა და საქებელად ყოველთა წმიდათა მის თანა და განსანათლებელად შვილთა ეკლესიათა და სალხინებელად ყოვლისა სულისა ჩემისა და სალოცველად სულისა მოძღუართა, მშობელთა და ძმათა ჩემთა სულიერთა და ჯორციელთათჳს. შეუნდვენ, სახიერო, ყოველთა ბრალნი მათნი.

ძმანო და მამანო, ვინ იკმარებდეთ ამათ წმიდათა მარხვათა, ლოცვა-ყავთ სიყუარულისათჳს ღმრთისა იოვანესთჳს და საწყალობელისა დიმიტრისთჳს. რაჲ ეგებოდა, ვიღუაწეთ.

დაიწერა ქრონიკონსა უ˜(!) ჯერაკუმიას და შეიმოსა ყელითა ნისთერეონისით. ღმერთმან აკურთხენ სული მათი, ამენ

(სინ.-5. მარხვანი. 1052 წ. 44ბ).

თეოფილე ხუცეს-მონაზონისა:

რომელი-ეგე მხოლოდ ხარ მეუფე მეუფეთაჲ. უფალი დაბადებულთაჲ და მთავარი საუკუნეთაჲ, რომელი სამწმიდაარსობით იდიდები და ერთარსებით თაყუანის-იცემები, რომელი დიდებულ ხარ ყოველთა ზედა ქმნულთა შენთა, რომელი დაუსაბამო ხარ და უხილავ. მიუწდომელ და სამარადისო, რომელი ზეშთა ხარ და გარეწარსრულ ყოველთაგანვე გონებათა, ჟამთა და ცნობათა. რომელი ხარ შეუნიერებაჲ არსთაჲ და შემამკობელი ძალთაჲ, რომელი სიმრგულესა მას ცათასა იპყრობ სოფელსა თანა სიმდიდრითა, რომლისა სუფევაჲ მოუკლებელ და მოწყალებაჲ მიუთხრობელ.

მხოლოო წმიდაო. მხოლოო ტკბილო, მხოლოო სახიერო და კაცთმოყუარეო, ღმერთო ღმერთთაო და უფალო უფლებათაო, რომელსა გაქუს ძლიერებაჲ უბრძოლელი და ყელმწიფებაჲ წინადაუდგრომელი. რომელი გამოაბრწყინევ ბნელისაგან ნათელსა და ადვილად შესცვალე წინა-შემდგომობასა საქმეთასა, რომელმან განაშუენენ ცანი ვარსკულავითა. ხოლო გონიერნი იგი ცანი სრულ-ყოვენ მადლითა, რო-

მელმან შეამკვე ქუეყანაჲ ნერგთა მათ მიერ მრავალფერთა და თჳთოსახეთა მიერ ყუავილთა განასურნელე იგი. ხოლო კაცსა პატივ-ეც პატივითა მით ღმერთ-ყოფისაჲთა და აღამაღლე იგი საკჳრელითა მით სიმაღლითა დიდებასა თანა უაღრესსა. რომელი-ეგე ღმრთივშუენიერად განაგებ ყოველსავე და იპყრობ რისხვასა წყალობითა, რომელი ნივთთაგან კნინთა შეპმზადებ საქმეთა დიდებულთა, რომელსა არა გნებავს სიკუდილი ცოდვილისაჲ, არამედ მოქცევაჲ და სინანული მისი საცხორებელად, რომელი აღადგენ ქუეყანისაგან გლახასა და ორთა მათგან სკორეთა აღადგინებ დავრდომილსა და აღიყვანებ მას ზჷ და აღამაღლებ. გარნა არა დაუტევებ მას მუნადმდე. არამედ დასუამცა მთავართა თანა ერისა შენისათა. დიდებულებაჲღა ესე საქმისაჲ ვინ განიცადოს, რომელი-ესე მრავალგზის ჰქმენ მრავალთა ზედა, ხოლო უმეტესღა აღსრულე დღჷს უნდოებასა ჩემსა ზედა და აღსრულებითა არა ლიტონინთა, არამედ საკჳრველითა, რომლისა ამის ყოვლისათჳს გაკურთხევ შენ და თაყუანის-გცემ და ვპმადლობ ჯრცელთა მათ და ურიცხუთა წყალობათა შენთა, რამეთუ განამრავლენ და გარდაპმატენ ქველისმოქმედებანი სულგრძელებისა შენისანი უბადრუკებასა ზედა ჩემსა. აღვიარებ მადლსა, ვქადაგებ წყალობასა. არა დავჰფარავ კეთილისმოქმედებასა, არამედ განვკჳრდები და უსიტყუელ ვარ და ვადიდებ მდუმრიად განუვლელთა მათ განკითხვათა შენთა. ნანდჳლვე. ნანდჳლვე ჭეშმარიტად შენ ხარ უფალი მხოლოჲ. ღმერთი დიდი, ღმერთი წმიდაჲ და ძჳრეულსენებელი, რომლისა ძლიერებათა ვინ შეუძლოს გამოთქუმად. ანუ ვინ სასმენელ-ყენეს ყოველნი გალობანი მისნი?

რამეთუ ჩემთჳს, ᲗᲐ მეუფეო უფალო, უტანჯველად ოდენ ყოფაჲ სოფელსა ამას შინა დიდ იყო, და ფრიადცა დიდ და ნამეტნავ და არა მოგებად აწვე აქა შემსგავსებულად ცოდვათა ჩემთა. რამეთუ ფრიად არიან და მრავალ ცოდვანი ჩემნი წინაშე ღმრთეებისა შენისა. რომლისათჳსცა გეეჳდრები და შეგივრდები და აღვიარებ წინაშე სუფევისა შენისა ბრალთა ჩემთა. ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიკსენებ. მიწყალე მე. უფალო. მიწყალე და ულხინე ჭირვეულსა სულსა ჩემსა! განხეთქე. მეუფეო. განხეთქე ჴელითწერილი ბრალთა ჩემთაჲ! დამიწერე მე, მაცხოვარ. დამიწერე ჴელითწერილი იგი ლხინებისა და გამოჴსნისაჲ! მოიხილე, წმიდაო, მოიხილე უნდოებასა ზედა ჩემსა და განანათლენ დაბნელებულნი თუალნი სულისა ჩემისანი!

ᲗᲐ. წმიდაო წმიდათაო, მთავარო მთავართაო და სრულმყოფელო ყოველთაო, ღმერთო დიდებისაო და უფალო სუფევისაო. რომელსა გმსახურებენ დასნი იგი ბევრეულნი ზეცისა მჴედრობათანი კრებულსა მას თანა და სულებსა წმიდათასა, ისმინე, ჴმაჲ უნდოჲ ვედრებისა ჩემისაჲ და წმიდა-მყაე მე ყოვლისაგან ბოროტისა და ბრძოლისა ენებათაჲსა და ბრძანე. სახიერო. შეწყალებად ჩემდა აწცა აქა და მერმე სამთა მათ შინა ჟამთა საშჯელისათა და ნუმცა გარდამატებულებაჲ მადლთა შენთაჲ მექმნების მე გარდამატებულება სატანჯველთა, არამედ განაგე ცხორებაჲ ჩემი უაღრესად შეცვალებითა მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და ძალთა მათ წმიდათა უსხეულოთაჲთა. დიდებულთა მოციქულთა და მოძღუართა და ახოვანთა მოწამეთაჲთა. ხოლო უმეტესადღა, რომელნი წერილ არიან წიგნსა ამას სეკდენბერისა თჳსსა, რომელი-ესე შეპმზადა თარგმანებით უნდოებისაგან ჩემისა ყოვლადძლიერმან წამის-ყოფამან შენმან, ვითარცა ეკლესიაგან ვარდი. სულნელებაჲ იგი მთავართაჲ, და მატლისაგან აბრეშუმი. სამოსელი იგი მეფეთაჲ, და ფუტკრისაგან უნდოჲსა სიტკბოებაჲ და სინათლე. სასურველი იგი და საწადელი ყოველთა კაცთაჲ.

ნათელო ნათელთაო და დიდებაო წმიდათაო და სიმდიდრეო არსთაო, მეუფეო დიდებისაო და უფსკრულო წყალობისაო იესუ ქრისტე. ძეო და სიტყუაო ღმრთისა ცხოველისაო. რომელი არა მართალთა მოხუეულ წოდებად, არამედ ჩემებრთა ცოდვილთა — სინანულად, რომელმან ყოველივე შემსგავსებულად დიდებისა შენისა აღასრულე. რამეთუ ესე პირველითგანვე წეს არს შენდა, რაჲთა ნივთთაგან კნინთა და უნდოთა შეჰმზადნე საქმენი დიდებულნი. რაჲთა ყოველივე იყოს ღმრთეებისა შენისა მიერ აღსრულებულ და რაჲთა შენ თავადისა ძისა მამითურთ და სულით მოდრკეს ყოველი მუკლი ზეცისათა, ქუეყანისათა და ქუესკნელთაჲ და ყოველმან ენამან აღგიაროს ყოვლადწმიდასა სამებასა, ღმერთსა ჩუენსა.

მოიკსენენ, უფალო, მოიკსენენ პირველდაძინებულნი მონანი შენნი, მშობელნი სანატრელისა და წმიდისა მამისა გეორგი მთაწმიდელისანი. მარიამ და იაკობ, რომლისა მადლითა და ლოცვითა იქმნა, რაჲ-ესე იქმნა, და კუალად უნდონიცა იგი მშობელნი უღირსებისა ჩემისანი, მარიამ და იოვანე. ცოდვილსა თანა სულსა ჩემსა, რომელმან აღვწერე ესე, ეგრეთვე ყოველნივე. რომელნიცა შემწე მექმნნეს ყოფად ამას საქმით. ანუ სიტყჳთ. მიეც მათ მადლი და კურთხეჲაჲ და ჴსნაჲ ცოდვათაგან. და ყოველნი. რომელნი იკითხვიდენ და ისმენდენ გულსმოდგინედ და სურვილით, დაიცვენ და დაიფარენ და იჴსნენ იგინი საუკუნოჲსაგან საშჯელისა.

კუალადცა და მრავალგზის შეგივრდები შენ, უფალო. და გეეედრები, წარჰმართენ სლვანი სულისა ჩემისანი ალაგთა მიმართ წმიდათა მცნებათა შენთაჲსა და მომეც მე. მჴსნელო. ძალი იგი ორკეცი და შეჰრთენ ერთსა ამას თანა ათერთმეტნი იგი, რაჲთა სრულ იქმნეს ჩემ ზედა მოწყალებაჲ შენი და სრულისაჲ სრულსა შინა სრულიად იდიდებოდის სრული იგი სახელი შენი, წმიდისა სამებისაჲ, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მხოლოჲ, სრული. მაღალი. დაუსაბამოჲ. გამოუსახველი, განუცდელი და უსაზღვროჲ. მოუკლებელი, უკუდავი. გამოუთქუმელი. უხილავი. მიუწდომელი. უხრწნელი და სამარადისოჲ, და შენი არს ყოველივე დიდებაჲ. პატივი. სიმტკიცე და სუფევაჲ აწ და მარადის და უკუდავთა მათ საუკუნეთა უკუნითი უკუნისამდჱ, ამინ.

ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ცოდვილისა თეოფილესთჳს, რეცა თარგმანისა, რამეთუ მე არარაჲსათჳს სხჳსა, არამედ ლოცვათათჳს თქუენთა წმიდათა თავს-მიც შრომაჲ ამისი.

ხოლო ვეეედრები და ვამცნებ ყოველთა ეკლესიათა, რომელსაცა მიიწიოს წიგნი ესე. რაჲთა უკუეთუ ვინმე წერდეს ამიერ, ვითა აქა პოოს, ეგრეთ წერდინ შეუცვალებელად, რაჲთა არა ბრალეულ იქმნას საშჯელთაგან სალმრთოთა. და ნუცა სიტყუასა სცვალენ. ნუცა თავსა და ნუცა წერტილსა. რამეთუ მე თავით ჩემით არარაჲ დამიწერია, არცა ჩამირთავს და არცა დამიკლია. რაოდენ ჩემგან ეგებოდა და ქართული ენაჲ თავს-იდებდა, არამედ ვითარცა ბერძულად მიპოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრიადცა წარჩინებულთა. ესრეთვე ქართულად დამიწერია, ხოლო უკუეთუ ვინმე ამას ურწმუნო იყოს. შეაწამენ და მიერ ისწავენ ჭეშმარიტებაჲ სიტყჳსაჲ. ესრეთვე კუალად ვეეედრები წინამძღუართა და დეკანოზთა, რაჲთა არცა ტანსა ზედა. არცა წუერთა ზედა და არცა ყბათა ზედა განჰყოფდენ საეკლესიოდ კითხვასა, არამედ მეცნიერთა ზედა და ღმრთისმოშიშთა. და ესე წესი იყარნ მანცა. რომელი უპყრიეს ეკლესიათა საბერძნეთისათა, რაჲთა პირველსა დღესა მიეცემოდის წიგნი და დღე ყოველ დაიწუართოს მკითხველმან ცისკრად წარსაკითხავი იგი საკითხავი.

რამეთუ თჳთღა თქუენ განბჭეთ და განიკითხეთ. თუ არა სირცხჳლ არსა ესე ჩუენდა. უკუეთუ ბერძენნი ესოდენსა მას სიბრძნესა ზედა და წურთილებასა და წე-

რილთა მათთა სიკეთესა და აღნიშნვასა კუალად დაიწურთიდენ და წარინახვიდენ, რომელთა თჳთ ენაჲ მას ზედა ამოუდგამს, და ჩუენ ჩუენსა უსწაველელობასა ზედა არა ვიქმოდით ამას.

ითარგმნა უკუმ ესე მეტაფრასი ქალაქსა შინა სამეუფოსა კონსტანტინეპოლეს, მონასტერსა შინა ყოვლადშუენიერსა ტრიანდაფილვის, დედისა ღმრთისასა, უღირსისა მიერ თეოფილეს, რეცა ხუცეს-მონაზონისა და მათვე ჴელთა მიერ დაინუსხა დასაბამითგანთა წელთა ექუსათას ხუთასოთხმეოცდამეცხრესა, ინდიკტიონსა ოთხსა ბერძულად. მეფობასა აღმოსავალეთს გეორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისასა, რომლისა ბრძანებითა და მოღუაწებითა ვიწყე თარგმნად წიგნთა საღმრთოთა ელენურისაგან ქართულად. – მიეცინ ღმერთმან სრულებაჲ კეთილთაჲ აქაცა და საუკუნოდ! – ხოლო საბერძნეთს დედოფლობასა მართა, მისვე გეორგის დისასა, და მეფობასა ნიკიფორე ბოტანიოტისა და ალექსი კომნინოსისა, მას ჟამსა, ოდეს ბაგრატის ასული მარიამ დედოფალი აღმოსავლეთით კონსტანტიპოვლეს შემოვიდა, და ჩუენ ზედა მეუფებასა იესუ ქრისტეს, ძისა ღმრთისასა, რომელი-იგი სუფევსმცა საუკუნოდ სულთა ზედა და ჯორცთა ჩუენთა აწ და ყოველთა მიმართ საუკუნეთა უკუნისამდმ, ამინ

(ათ.-20, მეტაფრასული კრებული, 1081 წ.. 186ბ-188ბ).

შემმოსელისა

იოვანე-ზოსიმესი:

შეიმოსა მესამედ წმიდაჲ ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა ზროხისაჲთა სინაწმიდას ჴელითა იოვანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულობისა ჩემისათა, ბრძანებითა და ფრიად მოსწრაფედ მოღუაწებითა მიქაელ და მიქაელ პატიოსანთა მღდელთაჲთა, დასაბამითგანთა წელთა ქართულად ხფ˜პე და ქრონიკონსა ს˜ა-სა.

აწ გეეედრებით თქუენ, ყოველთა ღმრთისმოყუარეთა მამათა და ძმათა ჩუენთა. გეეედიეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა მე. ფრიად ცოდვილი იოვანე. და მიქაელ და მიქაელ და მშობელნი და ძმანი ჩუენნი და ყოველნივე ჩუენეულნი, ცოცხალნი და მიცვალებულნი, სულიერნი და ჯორციელნი, რამეთუ ჩუენ ფრიად გურწამს თქუენი ლოცვაჲ, და ყოველი დაკლებული ჩუენი შეგუნდვეთ ღმრთისათჳს და თქუენცა ქრისტემან შეგინდვენ და შეგიწყალენინ ყოველნი, ამენ.

ქრისტე. შეიწყალე მიქაელ და მიქაელ. გაბრიელ, კჳრიკე. გიორგი, იოანე-ზოსიმე და ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტეანენი და უფროჲს ყოველთასა ყოველნი ქართველნი.

ლოცვა-ყავთ ჩუენთჳს. წმიდანო. ლოცვა-ყავთ, ამენ

(სინური მრავალთავი, 274ბ, 981 წ.).

იოანე-ზოსიმეს წერილი მიქაელს

ქ. კრიელეისონ. ქრისტემან მომიბოძენ ჯუარი და წმიდაჲ ლოცვაჲ თქუენი, ძმაო და უფალო ჩემო მიქაელ. რომელი გებრძანა, დამიწერია. „მარიამ მეგკპტელი-საჲ" არა ვპოვე, სხუაჲ ვერაჲ ვიცოდე. რაჲმცა დავწერე. რვეულნი, რომელ დარჩის, საკითხაებად დავწერე. შემინდვე, არაჲ მქონდა. ყოველთა ძმათა თაყუანის-ცემასა და ლოცვასა მოვაკსენებ. ესე მე ადრე დავწერე, განა არა ვინ ვპოვე, ვისმცა მივეც. აწ კრისკესდა წარმომიცემიან, — ღმერთმან მოაწიენ.

თუ რას მაწერიებდე, მიხარიან, ეტრატი გიზღო

(სინ.-6 1r, 982 წ.)

მინაწერები

იოანე-ზოსიმესი:

ესე ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი ამისთჳს ვაჩინენით, რავდენ სხუანი არღარა სწერიან ამას შინა, რაჲთა, რომელიცა დღესასწაული იყოს რომელსაცა კმასა ზედა, ესენი მის კმისანივე ჭირისა მაგიერ ითქუენენ, თუ გინდენ, და ლოცვასა წმიდასა თქუენსა გჳედიეთ.

(სინ.-26. იადგარი, X ს. შუა, 225 r)

იოვანე-ზოსიმესი:

საბაწმიდას მესმა მოძღუართაგან, ვითარმედ სამისა მუკლისა მოდრეკაჲ არს მადლისა მისაცემელად ღმრთისა პირველ ჭამისა და — სამი შემდგომად მისა. და სინაწმიდას მესმა, ვითარმედ ი¯ბ, გინა კ¯დ, გინა ჲ¯, რამეთუ მუკლთა მოდრეკაჲ არს პურისა ჭამისა ფასად, რომელ ჭამოს კაცმან, და აკრებაჲცა, და რამეთუ ზედგომით ჯერ-არს ტაბლისა კურთხევაჲ, რავდენნიცა იყვნენ. და ყოველთა კრიაკეთა და დღეასწაულთაცა ჟამთა ილოცვენ ბერძენნი სუბუქადრე. ხოლო თქუენ, ვითა გინე. ყავთ. მე შემინდვეთ და ლოცვასა წმიდასა გჳედიეთ მე. ფრიად ცოდვილი ესე, და წინაშე მისნი ყოველნი და თქუენცა ლოცვა-ყავთ.

(სინ.-34, ლიტურგიკული კრებული, X ს. შუა, 2v).

მათესი:

შემინდვეთ, კეთილო. ესე აქამომდე მე დამიშავებია და წაღმართ სხუასა ვისმე დაუშავებია. ლოცვა-ყავ, ღმერთმან გარწმუნოს.

შეუნდვენ ღმერთმან მოძღუარსა ჩემსა სამოთხელსა და ყოველთა მოწაფეთა მისთა და მათეს, ამის დამჩხრეკელსა.

(სინ.-75, მარხვანი, XI ს., 113v).

სიგელი ბაგრატ მეფისა ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებს

მოვიდეს ჩუენ წინაშე ქუთათის, სახლსა სამკუიდრებელსა ჩუენსა, ესე მამანი მიჯნაძოროელნი და მამანი ოპიზარნი. და მოიყვანნეს მიჯნაძოროელთა ხატნი წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და ნაწილნი წმიდისა ბართლომე მოციქულისანი. და მოიხუნეს სიგელნი გურგენ ერისთავთ-ერისთვისაი, გურგენ მეფეთა მეფისაი, პაპისა ჩემისა ბაგრატ კურაპალატისაი და მამისა ჩემისა გიორგი მეფისაი, რომლითა-იგი ტყენი და ზღვარნი მიჯნაძოროისათუის დაემტკიცნეს, და კრულობითა მოწმობანი კათალიკოზთა და მღდელთმოძღუართანი.

და მოიღეს ოპიზართა დაწერილი გუარამ მამფლისაი, რომლითა მას ტყესა და ზღვარსა მიჯნაძოროელთა ერჩოდეს, და ამათ მიჯნაძოროისა სიგელთა შინა გუარამ მამფლისა დაწერილი, რომელ ოპიზართათუის დაუწერია, არაკსენებულ იყო არცა დამტკიცებულად და არცა გარდაგდებულად.

და ჩუენ ესე შფოთი მათი გუიმძიმდა, რავდენ იგი წმიდანი უდაბნონი მშუიდობისა და დაწყნარებისა და ჩუენ მეფეთა ლოცვისათუის აღშენებულნი არიან. და გულს-მიდგინა ღმერთმან და მადლმან მათ წმიდათამან და ჯელ-ვყავ ხარკებით საურავსა მათსა: შეეკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღდელთმოძღუარნი, ერისთაეთ-ერისთაენი, ერისთაენი და ყოველთა ჯვეთა. ზემოთა და ქუემოთა, აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი. და დავსხენით წინაშე ჩუენსა და წაეკითხენით მათნიცა და მათნიცა დაწერილნი და. რომელი სიტყუის-გებაი იყო მათ შორის, მოვისმინეთ, და სამართლად ესე გავიგონეთ, რომელ ჯელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს და ჩუენგან მათი გატეხაი არა ჯერ-იყო და სულსა მათ პირველთა მეფეთასა არა დავამძიმებდით. და თუმცა ოპიზარნი უნუგეშინისცემოდ გაგუეშუნეს, იგინი შეწუხდებოდეს, და ესე ჩუენ ბრალად შევინახეთ.

და აწ სალოცველად მეფობისა ჩემისა და შვილისა ჩემისა გიორგი კურაპალატისა და სალოცველად სულსა მათ პირველთა მეფეთასა ესრეთ განვაგე და დავამტკიცე საქმე მათი: ტყენი და ზღვარნი ამათნი, ვითა მათ პირველთა მეფეთა დაწერილთა სიგელთა შიგან უწერიან, ნიშნით ზღვარნი: სამხრით — სამწყარისა წყალი ვითა შავშეთისა წყალსა ჩაერთვის და ტიხარის კლდე და ქედ-ქედი ვითა წავალს: დასავლით — ეჟუანთა ქედი: და ჩრდილოეთ — დიდუბისა ხერთვისი და საქათმისკარი, ვითა ქედ-ქედი წავალს, დიდი ქედი ერთკარი. ესე ზღვარნი მტკიცენი არიან მიჯნაძოროელთა ზედა და ქედსა ამერით არაი უც საქმე და სასარჩლოი ოპიზართა, სალესველთა სათიბისაგან კიდე.

და ამისდა ნაცვლად, რაითამცა ოპიზარნიცა გულსავსე-ვყვენ, სალოცველად სულისა ჩემისა თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებელისა ჩუენისაგან ბარევანი სოფელი და მივეც ოპიზართა სატრაპეზოდ და გარდავსწყუიდე მათ შორის საზიდი და სარჩელი, რაითა ესე ორნიეე წმიდანი უდაბნონი მშუიდობით და უშფოთველად იყუნენ და მეფობასა ჩემსა და ძესა ჩემსა გიორგი კურაპალატსა გუილოცვიდენ და მათ პირველთა მეფეთა, მაშენებელთა და შემწირველთაცა, ულოცვიდენ, რაითა ღმერთმან მეოხებითა მათ წმიდათა მოციქულთაითა და მათდა მიმართ ვედრებითა მათ წმიდათა მამათაითა დღესა მას განკითხვისასა ულხინოს ცოდვილსა სულსა ჩემსა, მიჯსნას სასჯელთაგან საუკუნეთა.

აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი, შემდგომთა ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ტაოისა და კლარჯეთისა ტანუტერთა და ყოველთა ყელისუფალთა და საქმისმოქმედთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ ყელ-ჰყოფთ შლასა და შეცვალებასა ამისსა. და უკუეთუ ვინმე, რასაცა ჯამსა, რაიცა გუარი კაცი, დიდი გინა მცირე, ადგეს და ამას ნაქმარსა ჩუენსა აქცევდეს, გა-მცაურისხდების მამაი, ძე და სული წმიდაი და ესეცა წმიდანი მოციქულნი არიან მოსაჯულნი სულისა მისისანი დღესა მას განკითხვისასა და ჩემნი ბრალნი მისგან იძიენ ღმერთმან.

და თქუენ, წმიდანო, მეუფეო ქართლისა კათალიკოზო და წმიდანო მღდელთმოძღუარნო, უჯუარო[ბითა დაუმტკიცეთ...].

ბაგრატ მეფის სიგელი მღვიმის ლავრას

... ლაშქარნი დიდი წარმართნი და ვერ დავიმორჩილეთ ლაშქ[არი და აღაოჯრნეს მამულნი] წმიდისა უდაბნოისა ლავრისა მღუიმისანი. და [ესე წმიდათა მამათა მღუიმელთა ფრიად] დაუმძიმდა, რომლისათუისცა გულს-ვიდგინეთ შესა[ესებელად აღოჯრებულისა მამულისა წმიდისა ლავრისა და დაკლებულობისა მათისა გასაკურნებელად, მ[ოსაკსენებელად] სულსა პირველგარდაცვალებულთა მეფეთა, მამათა ჩ[ემთა, და სალოცველად] სულისა ჩემისა და სალხინებელად ცოდვათა ჩემთა შევსწირე წმიდასა მამასა შიოს, ლავრასა მღუიმისასა და წმიდათა მამათა მღუიმელთ[ა მანგლისის]ველს ადგილი ბორცუისჯუარი ყოვლითა მზღვრითა მისითა, მთითა, ბარითა, წყლითა, ტყითა, კლდითა, წისქვილითა და ყოვლითა საკმრითა და უკმრითა და გაუთავისუფლეთ ყოვლისა შესავალისა და გამოსა[ვა]ლისაგან საკელმწიფოისა, საერისთვოისა, სააზნაურეოისა, საც[ხის]თვოისა, საკვეისუფლოისა, საბანჯრისა, საკიდისა, საკოშრისა და ყოვლისა ღმრთისაგან დაბადებულისა შესავალისა და გამოსავალისაგან, და არარაი ზედაც თუინიერ სამსახურებელისა მის წმიდისა ლავრისა მღუიმისა, რამეთუ თავისუფლობით შემიწირავს ყოვლისა მეუნებლისა და დამაკლებლისაგან, რაითა მეოხებითა წმიდისა მამისა შიოისთა, ლოცვითა წმიდათა მამათა მღუიმელთაითა მოგუენჭოს ღმრთისა მიერ შენდობაი ამის ნაქმრისა და დაკლებისა მათისაი, წარმემართოს ლაშქრობაი ესე და ყოველნივე დღენი ცხორებისა ჩემისანი ნებასა შინა ღმრთისასა მშუიდობით და მტერთა ჩემთა ზედა ძლევით აღვასრულნე და შემდგომად სიკუდილისა მეოხ იყოს წინაშე ღმრთისა სულისა ჩემისათუის წმიდაი იგი და მადლი მათ ყოველთა წმიდათა მამათაი.

აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი, შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა, ციხისთაეთა, ყეისუფალთა, ჩინებულთა და ყოველთავე საქმისმოქმედთა ჩუენთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ ბრძანებულსა ამას და გაგებულსა ჩუენსა, ნუცა რას ვინ დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა თუინიერ შეწევნისა და თანადგომისა. და უკუეთუ ვინმე გამოშრნდეთ ღმრთისა უვარისმყოფელად და ამის წმიდისა ლავრისა შემცოდედ ოდესცა და რასაცა ჯამსა, ანუ რაისაცა მიზეზისა მოღებითა. გინა თუ იგი ადგილი შეუცვალოთ მას წმიდასა ლავრასა, ანუ თუ ესე წესნი, გაგებულნი ჩუენნი, შეუშალნეთ, უარისმყოფელთამცა ღმრთისათა თანა დასჯილ ხართ, იგიმცა წმიდაი მამაი და მადლი მის წმიდისა ლავრისაი არს მოსაჯული თქუენი, ცოდვათამცა და ბრალთა ჩემთა გარდამჯდელი ხართ წინაშე ღმრთისა.

და თქუენ, ქრისტეს მიერ გიორგი ქართლისა კათალიკოზმან, და წმიდათა მღდელთმოძღუართა დაწერილი ესე ჩუენი დაამტკიცეთ; ვითა წესი არს. წყევლანი და შეჩუენებანი დაწერენით, ვინცა უქციოს და შეუცვალოს.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მეო-ლა-სა, ყელითა იოვანე მწიგნობრისა მწერელისაითა.

კირიელეისონ! ესე ვითა, — ადიდენ ღმერთმან! — ძლიერსა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსსა დაუწერია და ბორცუისჯუარი სალოცველად მეფობისა მათისა და შვილთა მათთათუის მღუიმისა მონასტრისადა შეუწირავს, მე. გიორგი, ქართლისა კათალიკოზი, მოწამე ვარ დაწერილსა მათსა.

აწ, ვინცა ვინ რამანცა გუარმან კაცმან რასცა ჟამსა, ვითა მათსა დაწერილსა სწერია, უქციოს და შალოს დაწერილი მათი გინა ჟამთა ცვალებითა, გინა სიგრძოთაგან ჟამთაისა იკადროს ანუ შლად; ანუ ცვალებად, ანუ შესავალად და საკევისუფლოდ გაკადოს. ანუ ბეგარი და გამოსავალი რაი დასდვას და, ვითა დაუწერია და გაუთავისუფლებია, მას ზედა მკუიდრად და შეუვალად არა იპყრან. ჰრისხავსმცა მამაი, ძე და სული წმიდაი, წმიდაი ღმრთისმშობელი! და კრულმცა არიან დაუსაბამოისა უფლისა სიტყუითა, ათორმეტთა წმიდათა მოციქულთა მადლითა, ექუსთა კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიაქთა ჯჯუარითა, წმიდისა დედაქალაქისა და სუეტისცხოელისა მადლითა, ჩემ გლახაკისა ჯჯუარითა გაუკსნელად სულით და ყორცით ამას ყოფასა და მას საუკუნესა! არსმცა ნაწილი მისი იუდას თანა ისკარიოტელსა და ყოველთა მწუალებელთა და უფლისა უარისმყოფელთა თანა შერაცხილია! და ვინ დაამტკიცოს და არა შალოს ბრძანებული და დაწერილი მათი, მიიღენ კურთხევაი ღმრთისაგან და ჩემ გლახაკისაგან.

ადიდენ ღმერთმან, — ესე, ვითა უძლეველსა მეფეთა მეფესა დაუწერია და შეუწირავს ბორცუისჯუარი მღუიმისათუინ სალოცველად მეფობისა მათისა, — შეაწიენ ღმერთმან მადლი წმიდისა შიოსი და ევაგრესი, მეცა, მიწასა მეფობისა მათისასა, იოვანეს, ძესა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთვისასა, დამიმტკიცებია. უქცეველი არს ბრძანებაი მათი ჩემგანცა, მონისა მათისა.

გიორგი მეფის სიგელი მღვიმის ლავრას

... მავნებელი და დამაკლებელი მათი არა ვინ გუიბ[რძან]ებია და არცა მშლელი და მაქცეველი ბრძანებისა ამის ჩუენისაი.

და ესე ამისთუის გუიქნია, რაითა ღმერთმან მადლითა და მეოხებითა წმიდისა მამისა შიოისითა სა[წუთ]როისა ამის ცხორებასა კეთილად წარჰმართოს მეფობაი ჩემი და საუკუნესა მას მლხინებელ მექმნეს სულისა ჩემისა, დღესა მას საშინელსა განკითხვისასა.

აწ ვინც ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, აზნაურთა, მემამულეთა და მოსაკრგავეთა, ციხისთავთა, ყეენუფალთა, მანდატურთა, შურტათა ჩინებულთა და ყოველთა საქმისმოქმედთა, დუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ ბრძანებასა ამას და გაგებულსა ჩუენსა და ნუცა რას დაკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა თუინიერ შეწევნისა და თანადგომისა.

და უკუეთუ ვინმე, რამანცა გუარმან კაცმან, რასაცა ჟამსა ყელ-ყოს და იკადროს ამის ბრძანებისა ჩუენისა შეცვალებად, წმიდაი მამაი შიო და ყოველნი წმიდა[ნიმცა არიან მოსაჯულნი...].

სიტყვათა დაჭარაგმება

საწერი მასალის ეკონომიის მიზნით ძველ წერილობით ძეგლებში ხშირად გვხვდება შემოკლებული სიტყვები. მათ უმთავრესად ზემოდან ასლავს სპეციალური ნიშანი ˜ (ქარაგმა). ზოგჯერ სიტყვა შემოკლებულია, ოღონდ ნიშანი არაა წარმოდგენილი.

სიტყვათა შემოკლებას თავისი წესები აქვს, მათგან უმნიშვნელოვანესია:

ა) შემოკლებისას აუცილებელია საწყისი ასოს წარმოდგენა. შესაძლოა, სიტყვა მხოლოდ ერთი ასოთი აღინიშნოს: რ˜ (რამეთუ), ხ˜ (ხოლო).

ბ) შემოკლებისას აუცილებლად აღინიშნება სიტყვის საწყისი და ბოლო ასოები: ვ˜ე (ვიდრე), ო˜ი (უფალი), რ˜ა (რაათა), ქ˜ესა (ქრისტესა), ღ˜ისა (ღმრთისა)...

გ) შემოკლებისას აღინიშნება ფუძისეული (ძირისეული) თანხმოვნები და გრამატიკული მაწარმოებლის ხმოვანი (ხმოვნები): ღ˜ისა (ღმრთისა), წნწ˜ულითა (წინაწარმეტყველითა) და მისთ.

დ) ძველ ქართულში რიცხვითი მნიშვნელობები ასოებით გადმოიცემოდა. ასოებს ქარაგმა ასლავს:

ა˜ = 1, გ˜ = 3, ი˜ = 10, ი˜Ი = 18, რ˜ნე = 155, ჩᲘ˜ᲯᲑ = 1992 და მისთ.

ქვემოთ წარმოვადგენთ ძველ ქართულში ყველაზე გავრცელებულ შემოკლებებს:

ა˜დ	არამედ	დღს˜სწლი	დღესასწაული
ამ˜ნ	ამენ	ე˜	ერისთავი
ამ˜რ	ამიერ	ე˜ე	ერისთავთ-ერისთავი
ამ˜რთგნ	ამიერითგან	ეგე˜ვთრი	ეგეევითარი
ამ˜ს	ამას	ესევ˜თრი	ესევითარი
ამ˜თ	ამათ	ვ˜ა	ვითარცა
ამ˜ნ	ამან	ვ˜დ	ვითარმედ
ბრ˜ტი	ბოროტი	ვ˜ე	ვიდრე
გ˜ი	გიორგი/გეორგი	ვ˜დე	ვიდრემდე
გბრ˜ლ	გაბრიელ	ვ˜დს	ვიდრემდის
გრ˜გლ	გრიგოლ	ვ˜რ	ვითარ
გ˜ლი	გული	ვთ˜რი	ვითარი
გლ˜ბი	გალობაი	ვთ˜რნ	ვითარმან
გნს˜ლი	განსლვაი	ზ˜ა	ზედა
გ˜ხნ	გიხაროდენ	თ˜ა	თანა
დბ˜ი	დაბაი	თ˜ვი	თავი
დბდ˜ბი	დაბადებაი	თ˜ლი	თუალი
დ˜დბი	დიდებაი	თ˜ნ	თან
დ˜დბლი	დიდებული	თ˜სი	თჳსი
დდბ˜ლბი	დიდებუდებაი	თს˜ნი	თჳსნი
დ˜თ	დავით	თს˜თა	თჳსთა
დდ˜ი	დედაი	თქ˜ა	თქუა

თ˜ქეს	თქუეს
თქ˜ას	თქუას
თქ˜მი	თქუმაი
თქმ˜ული	თქუმული
თქ˜ნ	თქუენ
თქნ˜ი	თქუენი
თქნ˜ნი	თქუენნი
თქნ˜სა	თქუენსა
თჟ˜ისცმი	თაჟუანის-ცემაი
თჟის˜მცმელი	თაჟუანისმცემელი
ი˜ე	იოვანე/იოანე
ი˜ᲘᲚი	ისრაᲘᲚი
ი˜ᲘᲛი	იერუსალᲘᲛი
იᲘ˜ᲚᲛი	იერუსალᲘᲛი
ი˜ჯ	იესუ
იჯ˜ს	იესუს
კთ˜ლი	კეთილი
კლ˜დ	კუალად
კრთხ˜ი	კურთხევაი
კრთ˜ხლი	კურთხეული
კრც˜ხლბკი	კუარცხლბეკი
კც˜ი	კაცი
კ˜ცნ	კაცმან
ლც˜ვი	ლოცვაი
მ˜დს	მარადის
მ˜ნ	მან, მუნ
მ˜ს	მას, მარადის
მ˜თ	მათ
მთ˜ი	მათი
მ˜თე	მათე
მ˜გნ	მაგან
მ˜გს	მაგას
მგ˜თ	მაგათ
მმ˜ი	მამაი
მ˜მნ	მამამან
მმ˜სა	მამასა
მმ˜ისა	მამისა
მმ˜ითა	მამითა
მმ˜ად	მამად
მმ˜ო	მამაო
მმ˜ნი	მამანი
მმთ˜ა	მამათა
მმ˜ნო	მამანო
მ˜რ	მიერ
მ˜რითგნ	მიერითგან
მ˜რმ	მარიამ
მრ˜მს	მარიამს
მქ˜ლ	მიქაელ
მყ˜სა	მეყსა
მყს˜ლად	მეყსეულად
მშ˜ნ	მაშინ
მწ˜ფე	მოწაფე
მწფ˜ნი	მოწაფენი
ო˜ი	უფალი
ო˜ნ	უფალმან
ო˜სა	უფალსა
ო˜ისა	უფლისა
ოი˜თა	უფლითა
ოა˜დ	უფლად
ო˜ო	უფალო
ოკ˜ი ოკ˜ე	უკუნითი უკუნისამდე
პლ˜ი	პირველი
პლ˜ნ	პირველმან
პლ˜ნი	პირველნი
პლ˜ე	პავლე
პრ˜ი	პირი
პტვ˜ი	პატივი
ჟ˜ი	ჟამი
ჟმ˜ი	ჟამი
ჟმ˜სა	ჟამსა
რ˜	რამეთუ
რა˜	რაᲲთა
რლ˜ი	რომელი
რ˜ი	რომელი
რლ˜ნ	რომელმან
რ˜ნ	რომელმან
რლ˜ნი	რომელნი
რნ˜ი	რომელნი

რლ˜თა	რომელთა	ქ˜ე	ქრისტე
რლ˜ითა	რომლითა	ქ˜ნ	ქრისტემან
რ˜ჲ	რაჲ	ქ˜ს	ქრისტეს
რს˜ა	რასა	ქს˜ი	ქრისტესი
რჟ˜ს	რაჟამს	ქე˜სი	ქრისტესი
ს˜დ	სრულიად	ქᲡ˜სი	ქრისტᲡსი
სლ˜ი	სული	ქეა˜ნე	ქრისტეანე
სლ˜ნ	სულმან	ქლ˜წლი	ქალწული
სლ˜სა	სულსა	ქლწლ˜ბჲ	ქალწულებაჲ
სლი˜სა	სულისა	ქლ˜ქი	ქალაქი
სლი˜თა	სულითა	ქლ˜ქნი	ქალაქნი
სლნ˜ი	სულნი	ქყნ˜ჲ	ქუეყანაჲ
სლთ˜ა	სულთა	ქყ˜ნმნ	ქუეყანამან
სს˜ჲ	სასოჲ	ქყნს˜ა	ქუეყანასა
სსბ˜ჲ	სასოებაჲ	ქყნი˜სა	ქუეყანისა
სნტრ˜ლი	სანატრელი	ქყნ˜ნი	ქუეყანანი
სყრლ˜ი	საყუარელი/სიყუარული	ღ˜ი	ღმერთი
სფ˜ლი	სოფელი	ღთ˜ი	ღმერთი
სფვ˜ჲ	სუფევაჲ	ღ˜ნ	ღმერთმან
სსფ˜ვლი	სასუფეველი	ღთ˜ნ	ღმერთმან
ს˜მი	სამი	ღ˜სა	ღმერთსა
სსწ˜ლი	სასწაული	ღთ˜სა	ღმერთსა
სლც˜ვლდ	სალოცველად	ღი˜სა	ღმრთისა
სც˜დ	საცოდ	ღთ˜ისა	ღმრთისა
სხ˜ჲ	სხუაჲ	ღთ˜ნი	ღმერთნი
სხ˜ნ	სხუამან	ღღ˜დბჲ	ღაღადებაჲ
სხნ˜ი	სხუანი	ღღ˜დბლი	ღაღადებული
სხთ˜ა	სხუათა	ყ˜ი	ყოველი
სხ˜ე	სახე	ყლ˜ი	ყოველი
ფ˜დ	ფრიად	ყ˜ნ	ყოველმან
ფ˜ნი	ფსალმუნი	ყლ˜ნ	ყოველმან
ფს˜ა	ფსალმუნსა	ყ˜სა	ყოველსა
ფ˜ნნი	ფსალმუნნი	ყ˜ლსა	ყოველსა
ფნ˜თა	ფსალმუნთა	ყი˜სა	ყოვლისა
ფრს˜ვლი	ფარისეველი	ყლ˜ისა	ყოვლისა
ფფ˜ნბჲ	ფუფუნებაჲ	ყი˜თა	ყოვლითა
ქბ˜ჲ	ქებაჲ	ყლი˜თა	ყოვლითა
ქბლ˜ი	ქებული	ყ˜დ	ყოვლად
ქდგ˜ბჲ	ქადაგებაჲ	ყლ˜დ	ყოვლად

ყლ˜ნი	ყოველნი
ყლ˜თა	ყოველთა
შ˜ა	შინა
შ˜დ	შემდგომად
შ˜ე	შეიწყალე
შე˜ნ	შეიწყალენ
ში˜	შენი
შ˜ნ	შენ
შნ˜ნი	შენნი
შდ˜ბი	შენდობაი
შ˜ს	შორის/შოვრის
ჩ˜ი	ჩემი
ჩმ˜ნ	ჩემმან
ჩმს˜ა	ჩემსა
ჩ˜ნ	ჩუენ
ჩნ˜ნი	ჩუენნი
ჩნ˜ო	ჩუენო
ცდვ˜ი	ცოდვაი
ცდულ˜ი	ცოდვილი
ცლ˜ი	ცოლი
ცლ˜ნ	ცოლმან
ძლ˜ი	ძალი
ძლ˜რი	ძლიერი
ძლრ˜ბი	ძლიერებაი
ძმ˜ი	ძმაი
ძმ˜ნ	ძმამან
ძმს˜ა	ძმასა
ძ˜ნ	ძემან
ძნ˜ი	ძენი
წ˜ი	წმიდაი
წ˜ნ	წმიდამან
წ˜ა	წმიდასა
წი˜სა	წმიდისა
წ˜ო	წმიდაო
წნ˜ი	წმიდანი
წთ˜ა	წმიდათა
წნ˜ო	წმიდანო
წდ˜ი	წმიდაი
წდ˜ნ	წმიდამან

წდნ˜ი	წმიდანი
წწულ˜ი	წინაწარმეტყველი
წწულ˜ნ	წინაწარმეტყველმან
წწულ˜სა	წინაწარმეტყველსა
წწულ˜ისა	წინაწარმეტყველისა
წწულ˜ითა	წინაწარმეტყველითა
წწულ˜ნი	წინაწარმეტყველნი
წწულ˜თა	წინაწარმეტყველთა
წწულ˜ბი	წინაწარმეტყველებაი
წნსწტყ˜ლი	წინაისწარმეტყველი
წნსწტყ˜ლბი	წინაისწარმეტყველებაი
ჭტ˜ი	ჭეშმარიტი
ჭტ˜დ	ჭეშმარიტად
ჭტ˜ბი	ჭეშმარიტებაი
ხ˜	ხოლო
ხრბ˜ი	ხარებაი
კ˜ი	კმაი
კ˜ნ	კმამან
კნ˜ი	კმანი
კთ˜ა	კმათა
კჯ˜ი	კჟარი
კჯ˜ნ	კჟარმან
კჯს˜ა	კჟარსა
კჯი˜სა	კჟარისა
კჯ˜ო	კჟარო
კჯრს˜ცმი	კჟარს-ცუმაი
კჯრსცმლ˜ი	კჟარსცუმული
კჯკ˜ხთი	კოკოხეთი
ჰრ˜ი	ჰურიაი
ჰრ˜ნ	ჰურიამან
ჰრს˜ა	ჰურიასა
ჰრნ˜ი	ჰურიანი
ჰრთ˜ა	ჰურიათა
ჰრნ˜ო	ჰურიანო
ჰრბ˜ი	ჰურიაებაი
ჰრქ˜ა	ჰრქუა
ჰ˜რქს	ჰრქუას
ჰრქ˜ქს	ჰრქუეს
ჰრქ˜ნ	ჰრქუან

შენიშვნები

წარწერები

ბოლნისის წარწერები, IV-VI სს., იხ.: ქართული წარწერების კორპუსი, I, გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

ურბნისის წარწერა, V ს., I ნახ., იხ.: ქართული წარწერების კორპუსი, I, გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

საპაკდუხტის წარწერა, V ს. იხ. გ. ბოჭორიძე, ჯვარისას ძეგლი: საქართველოს არქივი, II, ტფ., 1927.

უკანგორის წარწერა, V-VI ს-ის დასაწყისი, იხ. ლ. მუსხელიშვილი, უკანგორის ისტორიული ნაშთები: ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941; ვ. სილოგავა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში: „მაცნე" (ისტ. სერია), 1972, №4.

ბეთლემის წარწერები, VI ს., იხ. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.

მცხეთის წარწერები, VI-VII სს., იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ., 1926.

წყისის წარწერა, 616-619 წ., იხ. ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია, ტფ., 1935.

ატენის წარწერები, VIII-XI სს., იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ., 1926; გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977; ზ. ალექსიძე, ატენის სიონის ოთხი წარწერა, თბ., 1983; თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957.

ერედვის წარწერა, 906 წ. იხ.: რ. მეფისაშვილი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის სამშენებლო წარწერა: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, V, №10, თბ., 1944.

იშხნის წარწერა, XI ს.-ის დასაწყისი, იხ. ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.

ოშკის წარწერა, X ს. შუა, იხ. ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.

მარტვილის წარწერა, 996 წ. იხ. ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, II, თბ., 1980.

ქუთაისის წარწერა, XI ს-ის დასაწყისი, იხ. ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, II, თბ., 1980.

ნიკორწმინდის წარწერა, XI ს-ის დასაწყისი, იხ. ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, II, თბ., 1980.

ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები

იერემიას წინასწარმეტყველება, VI-VII სს., გამოსცა ივ. ჯავახიშვილმა: ტფ. უნივ. მოამბე, II, ტფ., 1923; ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

ნაწყვეტები სახარებიდან, VI-VII სს., გამოსცა ლ. ქაჯაიამ: ხანმეტი ტექსტები, I, თბ., 1984.

ხანმეტი ლექციონარი, VII ს. გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1944.
იაკობის პირველსახარება, VII ს., გამოსცა ა. შანიძემ: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, თბ., 1977.
ხანმეტი მრავალთავი, VIII ს. I ნახ., გამოსცა ა. შანიძემ: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფ., 1927.
ჰაემეტი ლექციონარი, VIII ს. II ნახ., გამოსცა ა. შანიძემ: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტფ., 1923.

სანნარევი ტექსტები

იაკობ ხუცესი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი, იბეჭდება ზ. სარჯველაძის, კ. დანელიას და ე. გიუნაშვილის გამოცემის მიხედვით, თბ., 1985.
იოვანე საბანის ძე, წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲანი, იბეჭდება ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების I ტომის მიხედვით, თბ., 1984.
წამებაჲ წმიდისა სტეფანჱსი, იბეჭდება „სინური მრავალთავის" მიხედვით, თბ., 1959.
იოვანე ოქროპირი, იოვანჱს თავისკუეთისა საკითხავი მეორჱ, იბეჭდება „სინური მრავალთავის" მიხედვით, თბ., 1959.
ნაწყვეტები ადიშის ოთხთავიდან (897 წ.) იბეჭდება ელ. გიუნაშვილის, დ. თვალთვაძის, მ. მაჩხანელის, ზ. სარჯველაძისა და ს. სარჯველაძის გამოცემის მიხედვით, თბ., 2003.
გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", იბეჭდება ზ. სარჯველაძის, კ. დანელიას და ე. გიუნაშვილის გამოცემის მიხედვით, თბ., 1985.
წიგნი რუთისი, ოშკური ბიბლიის ხელნაწერიდან (978 წ.), იბეჭდება „წიგნნი ძველისა აღთქუმისანი"-ს მე-3 ნაკვეთის მიხედვით, თბ., 1991.
ქებაჲ ქებათაჲ, იბეჭდება ოშკური ბიბლიის ხელნაწერის (978 წ.) მიხედვით.
ფსალმუნნი, იბეჭდება მ. შანიძის გამოცემის მიხედვით, თბ., 1960.
ცნობისათჳს და უწყებისათჳს ჭეშმარიტად, იბეჭდება მ. შანიძის გამოცემის მიხედვით: ფსალმუნნი, თბ., 1960.
პავლეს ეპისტოლე კორინთელთა მიმართ პირველი, დაბეჭდილია კ. დანელიასა და ქ. ძოწენიძის გამოცემის მიხედვით: პავლენი, თბ., 1974.
პავლეს ეპისტოლე კოლასელთა მიმართ, დაბეჭდილია კ. დანელიასა და ქ. ძოწენიძის გამოცემის მიხედვით: პავლენი, თბ., 1974.
კათოლიკე ეპისტოლენი, დაბეჭდილია ქ. ლორთქიფანიძის გამოცემის მიხედვით: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, თბ., 1956.
ნაწყვეტები ლატალის ლექციონარიდან, იბეჭდება მესტიის მუზეუმში დაცული ხელნაწერის (X ს.) მიხედვით.
ნაწყვეტები სინური ლექციონარიდან, იბეჭდება სინ.-37 ხელნაწერის (X ს.) მიხედვით.
ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი, იბეჭდება შატბერდის კრებულის ბ. გიგინეიშვილისა და ე. გიუნაშვილის გამოცემის მიხედვით, თბ., 1979.

თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოსისაჲ შურისათჳს და სახჱ სინანულისაჲ მორწმუნეთათჳს, იბეჭდება ილ. აბულაძის გამოცემიდან: „მამათა სწავლანი", თბ., 1955.

იოანე მინჩხი, მე ვითარცა ხე ზამთრისაჲ, იბეჭდება ლ. ხაჩიძის გამოცემის მიხედვით: იოანე მინჩხი, პოეზია, თბ., 1987.

იოანე-ზოსიმე, ქებაჲ და დიდებაჲ ქართულის ენისაჲ, იბეჭდება „სინური მრავალთავის" მიხედვით, თბ., 1959.

ბალაჰვარიანი, იბეჭდება ილ. აბულაძის გამოცემის მიხედვით: ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბ., 1957.

ნოველები, იბეჭდება მ. დვალის გამოცემის მიხედვით: შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, თბ., 1966; II, თბ., 1974.

გრიგოლი ღმრთისმეტყველი, ცხორებაჲ და შესხმაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი, ეფთვიმე მთაწმიდლის თარგმანი, იბეჭდება X-XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით.

გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, იბეჭდება ივ. ჯავახიშვილის გამოცემის მიხედვით, თბ., 1945.

თეოფილე ხუცეს-მონაზონი, მეტაფრასული კრებულის შესავალი, იბეჭდება ათონური კოლექციის აღწერილობის მიხედვით: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I. თბ., 1986.

ფსევდოდიონისე არეოპაგელი, სრულისათჳს და ერთისა, ეფრემ მცირის თარგმანი, იბეჭდება ს. ენუქაშვილის გამოცემის მიხედვით: პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961.

პროკლე დიადოხოსი, შრომები, იოანე პეტრიწის თარგმანი, იბეჭდება ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის მიხედვით, თბ., 1940.

სიგელი ბაგრატ მეფისა ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებს, 1054-1072 წწ. იბეჭდება ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

ბაგრატ მეფის სიგელი მღვიმის ლავრას, 1057-1058 წწ. იბეჭდება იმავე გამოცემის მიხედვით.

გიორგი მეფის სიგელი მღვიმის ლავრას, 1073 წ, იბეჭდება იმავე გამოცემის მიხედვით.

უძველესი ქართული ხელნაწერები

ჩვენამდე მოაღწია 10 000-ზე მეტმა ქართულმა ხელნაწერმა, რომლებიც დაცულია საქართველოს, რუსეთის, გერმანიის, ავსტრიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბულგარეთის, აშშ-ისა და სხვა ქვეყნების მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში.

ხელნაწერთა დიდი ნაწილი თავმოყრილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. იგი ილია აბულაძემ დაარსა. ამ ინსტიტუტის ფონდებში ხელნაწერთა ოთხი კოლექცია ინახება:

A — ყოფილი საეკლესიო მუზეუმისა და უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმისა;

H — ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა;

S — ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა;

Q — ახალი მასალა.

ძველი ქართული ხელნაწერების მნიშვნელოვანი ფონდებია დაცული საქართველოს არქივში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ქუთაისის, მესტიის, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების მუზეუმებში.

ქართული კულტურისათვის უაღრესად ფასეულია სინის მთაზე, იერუსალიმსა და ათონის მთაზე დაცული ხელნაწერთა კოლექციები.

ქვემოთ წარმოვადგენთ ცნობებს ყველაზე ადრინდელი და უმნიშვნელოვანესი ხელნაწერების შესახებ.

1. ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ერთი ფურცელი, რომელიც იერემიას წინასწარმეტყველების ფრაგმენტს შეიცავს. ინახება ოქსფორდის (ინგლისი) კოლეჯის ბიბლიოთეკაში. ამავე ხელნაწერის ორი ფურცელი დაცულია კემბრიჯის (ინგლისი) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ხელნაწერი VI-VII საუკუნის მიჯნისაა. იგი იერუსალიმში შეუქმნიათ და, საგულვებელია, ბიბლიის მთლიან ტექსტს შეიცავდა. XI საუკუნეში ხელნაწერი დაუშლიათ და გამოუყენებიათ ებრაული თალმუდისათვის. მე-19 საუკუნის ბოლოს მისი ფურცლები იპოვეს კაიროს სინაგოგაში. შემდგომში ისინი ოქსფორდსა და კემბრიჯში მოხვედრილან. ხელნაწერის უდიდესი ნაწილი დაკარგულია. ამოიკითხეს და გამოსცეს ივ. ჯავახიშვილმა და ა. შანიძემ.
2. A-737 — შეიცავს „საქმე მოციქულთას" აპოკრიფული ვერსიის ნაწყვეტებს. ინახება თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტში. თარიღდება VI-VII საუკუნეებით, პალიმფსესტი. ამოიკითხა და გამოსცა ივ. ჯავახიშვილმა.
3. A-89 — ოთხთავის ტექსტის ნაწყვეტები. ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. თარიღდება VI-VII საუკუნეებით, პალიმფსესტი. ამოიკითხეს და გამოსცეს ივ. ჯავახიშვილმა და ლ. ქაჯაიამ.
4. A-844 — ოთხთავის ტექსტის ნაწყვეტები. როგორც გაირკვა, ეს ხელნაწერი და A-89 ერთი წიგნის შემადგენელი ნაწილებია.
5. A-999 — ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) წიგნთა ნაწყვეტები. ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. თარიღდება VI-VII საუკუნეებით, პალიმფსესტი. ამოიკითხა და გამოსცა ივ. ჯავახიშვილმა.
6. ხანმეტი ლექციონარი, VII ს-ისა, ინახება გრაცის უნივერსიტეტში (ავსტრია). დაცული იყო სინის მთაზე. წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში. 1883 წელს

ა. ცაგარელმა აღწერა ამ ხელნაწერის 29 ფურცელი. 1897 წელს შეიძინა პროფ. ჰუგო შუხართმა 27 ფურცელი. ერთი ფურცელი შემდგომში ბირმინგემში (ინგლისი) აღმოჩნდა მინგანას კერძო კოლექციაში, ერთი კი — პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. გამოსცეს ა. შანიძემ, ჟ. გარითმა და ბ. უტიემ.

7. იაკობის წინარესახარების (პროტოევანგელის) ნაწყვეტები, თარიღდება VII ს-ით. ინახება ვენის (ავსტრია) ეროვნულ ბიბლიოთეკაში, პალიმფსესტი. ამოიკითხეს და გამოსცეს ჯ. ბერდზოლმა და ა. შანიძემ.

8. ეზრა პირველის ნაწყვეტები, თარიღდება VII ს-ით. ინახება ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, პალიმფსესტი. ამოიკითხა და გამოსცა ჯ. ბერდზოლმა.

9. მრავალთავის ფრაგმენტები, VIII ს-ის ნახევრისა, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, პალიმფსესტი. ამოიკითხა და გამოსცა ა. შანიძემ.

10. ოთხთავის ფრაგმენტები, VII ს-ის I ნახევრისა, ინახება ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. პალიმფსესტი. ამოიკითხა და გამოსცა ჯ. ბერდზოლმა.

11. ლექციონარის ფრაგმენტები, VIII ს-ის II ნახევრისა, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (H-1329). პალიმფსესტი. ამოიკითხა და გამოსცა ა. შანიძემ.

12. მრავალთავი. 864 წლისა, დაცულია სინის მთაზე. წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში. შექმნილია იერუსალიმში. საბაწმიდის ლავრაში. გამოსცეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის წევრებმა (რედაქტორი — ა.შანიძე).

13. ოთხთავი, 897 წლისა, ინახება მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. გადაწერილია შატბერდში, მოგვიანებით დაცული იყო ჰადიშის ეკლესიაში. 1945 წ. გამოსცა ა. შანიძემ. 2003 წ. გამოიცა ზ. სარჯველაძის რედაქციით.

